ᲫᲘᲮᲐᲙᲝ ᲭᲔᲠᲔᲗᲔᲚᲘ

ᲔᲠᲘ ᲓᲐ ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲝᲑᲐ

(ᲡᲝᲪᲘᲝᲚᲝᲒᲘᲣᲠᲘ ᲐᲜᲐᲚᲘᲖᲘ)

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ 1990

83.3Гр
 წ 394

მ. წერეთლის ნაშრომი „ერი და კაცობრიობა" 1910 წელს გამოვიდა. მასში შეკიდა ავტორის ნააზრევი ერის პრობლემებზე, რომელსაც ის წერილების სახით აქვეყნებდა რამდენიმე წლის განმავლობაში. ნაშრომი მრავალ საინტერესო და არაორდინარულ მოსაზრებას შეიცავს და, შეიძლება ითქვას, პირველი მონოგრაფიაა ქართული სოციოლოგიის ისტორიაში. ერის საკითხებზე მ. წერეთლის ნააზრევი დღესაც ისევე საინტერესოა, როგორც ამ რვა ათეული წლის წინ. ნაშრომი იბეჭდება შეუცვლელად როგორც შინაარსობრივი, ისე ენობრივი თვალსაზრისით.

წიგნში დანართის სახით იბეჭდება მიხაკო წერეთლის პუბლიცისტური და ეპისტოლარული ხასიათის მასალა, აგრეთვე მოგონებები მის შესახებ.

გათვალისწინებულია ფილოსოფოსების, სოციოლოგების, ისტორიკოსების და, საერთოდ, ფართო მკითხველისათვის.

რედაქტორი ე. კ ო დ უ ა
რეცენზენტები: ზ. ა ნ ჯ ა ფ ა რ ი ძ ე
ვ. ე რ ქ ო მ ა ი შ ვ ი ლ ი

© თბილისის უნივერსიტეტის, გამომცემლობა, 1990

0302020000
Ц ——————
608(06) 90

ISBN 5—511—00385—9

მიხაკო წერეთელი და მისი ნაშრომი

„ერი და კაცობრიობა“

ქართულ გვარებს შორის ერთ-ერთი წარჩინებულია წერეთელთა საგვარეულო. ხანგრძლივი ისტორიის მქონე ეს გვარი დიდადაა წარმოჩენილი ქართულ ხელოვნებასა და მეცნიერებაში, საერთოდ ჩვენი ერის ინტელექტუალურ ცხოვრებაში, განსაკუთრებით XIX–XX საუკუნეებში. ამიტომაცაა, რომ ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში წერეთლების საგვარეულო ყველა დახარჯნზე ფართოდაა წარმოდგენილი. სამწუხაროდ, მათ ყოველთვის ჯეროვანი დაფასება როდი რგებიათ. გაეიხსენოთ მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერის — გრიგოლ ფილიმონის ძე წერეთლის ბედი; პოლიტიკიდან ძალზე შორს მდგომი, რეპრესიათა ტალღამ მსხვერპლი გახდა და დღემდე მისი არც ერთი ნაშრომი არ გამოცემულა საქართველოში, უცხოეთში კი მისი ბევრი გამოცემა არსებობს. იმათ რიცხვში, ვინც ღირსეულ დაფასებას ელოდება ჩვენი საზოგადოებისაგან, პირველთაგანია მიხეილ (მიხაკო) გიორგის ძე წერეთელი. ეს მრავალმხრივი მოღვაწე, მეცნიერი და პოლიტიკოსი დავიწყებასაა მიცემული, არადა დღევანდელობა სწორედ მის ნაშრომს საჭიროებს. უკანასკნელ პერიოდში გარკვეულად „დაიძრა ყინული“. გამოქვეყნდა ორი მეტად საყურადღებო წერილი „ლიტერატურულ საქართველოში“, გურამ შარაძის „მიხაკო წერეთელი“ და გ. ყორანაშვილის „მიხაკო წერეთლის ნაშრომი ერის შესახებ“ (1988 წლის 18 ნოემბერი).

მიხაკო წერეთლის ცხოვრება წინააღმდეგობებით არის აღსავსე, მაგრამ იგი მაინც ამაღლებულ პიროვნებად წარმოგვიდგება ცხოვრების ყველა ეტაპზე. მიხაკო წერეთელი დაიბადა შორაპნის მაზრის სოფელ ცხრუკვეთში, გიორგი წერეთლის ოჯახში. ის უმცროსი შვილი იყო, უფროსმა, ვასილ წერეთელმა, ქართულ კულტურაში მნიშვნელოვანი კვალი დატოვა როგორც საკუთარი მოღვაწეობით, ისე თავისი მემკვიდრეებით — გიორგი და თინა წერეთლებით. ვასილ წერეთელმა (1862—1937) თავისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობით საკმაო გავლენა მოახდინა მიხაკოზე. ქუთაისის ქართული გიმნაზიის დამთავრების შემდეგ, ვასილი 1884 წელს შეეიდა ოდესის უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტზე. ის ხალხოსნური მოძრაობის ერთ-ერთი აქტიური წევრი იყო, რის გამოც დააპატიმრეს და გადაასახლეს ოდესიდან. 1893 წელს კვლავ დაუბრუნდა უმაღლეს სასწავლებელს და დაამთავრა კიევის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტი. მან, როგორც ექიმმა, დიდი ამაგი დასდო ქართულ სამკურნალო დაწესებულებებს საქართველოს სხვადასხვა ქალაქში, იყო აქტიური პუბლიცისტი, წეიოლებს წერდა მრავალ დარგში— იყო ჯერ ფედერალისტური, შემდეგ კი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრი, როგორც ამ პარტიის წარმომადგენელი, იყო საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, რედაქტორობდა გაზეთ „საქართველოს“. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამ წერეთელი დაუსვა მის პოლიტიკურ მოღვაწეობას.

მიხაკო წერეთელი დაიბადა 1878 წლის 23 დეკემბერს, გარდაიცვალა მოუნხენში 1965 წლის 2 მარტს. სრულიად ახალგაზრდა, გიმნაზიის წლებში ჩაება რევოლუციურ ბრძოლაში. ზოგიერთი ბიოგრაფი აღნიშნავს, რომ იგი მიემხრო მარქსისტულ მოძრაობას. ეს არ არის სწორი, მიხაკო არასდროს ყოფილა მარქსისტი, ის ცარიზმის წინააღმდეგ იბრძოდა გიმნაზიიდანვე, მაგრამ არა მარქსიზმის პოზიციებიდან. 1899 წლიდან სწავლობს კიევის უნივერსიტეტში, მაგრამ რევოლუციური საქმიანობის გამო იძულებული გახდა თავი დაენებებინა სწავლისათვის და საზღვარგარეთ წასულიყო ცოდნის გასაღრმავებლად.

ერთბანს პარიზის უნივერსიტეტში სწავლობდა, მაგრამ მისი ლტოლვა ანარქისტული რევოლუციური მოძრაობისაკენ და შემდგომ ანარქისტულ დემონსტრაციაში მონაწილეობის მი-

ღება გახდა საბაბი მისი დაპატიმრებისა და პარიზიდან გადასახლებისა. იგი გადავიდა ლონდონში, სადაც დაუახლოვდა ვარლამ ჩერქეზიშვილს, რომელმაც არსებითი გავლენა მოახდინა მიხაკო წერეთლის პოლიტიკური მსოფლმხედველობის საბოლოოდ ჩამოყალიბებაზე. მიხაკო წერეთელი თავისი პოლიტიკური მრწამსით ანარქისტი იყო. მისი თეორიული მსოფლმხედველობა ჩამოყალიბდა როგორც ბიოლოგიზმის, ჯერჯოდ ორგანიციზმისა და სოციალ-დარვინიზმის ერთ-ერთი მიმართულება. ამას მოწმობს მისი ერთ-ერთი პირველი წერილი „საზოგადოებრიობა და არსებობისათვის ბრძოლა“ (1904 წელი). სანგალას ფსევდონიმით 1907 წელს გამოქვეყნდა ნაშრომი საფრანგეთის რევოლუციის ისტორიაზე, ხოლო 1910 წელს Baton-ის ფსევდონიმით — „ერი და კაცობრიობა“. ეს იყო მიხაკო წერეთლის პირველი დიდი სოციოლოგიური შრომა და არსებითად პირველი სოციოლოგიური მონოგრაფია საქართველოში.

როგორც მიხაკო წერეთელი აღნიშნავს, მისი მეცნიერული ინტერესების განვითარებაზე არსებითი გავლენა მოუხდენია ექვთიმე თაყაიშვილს, რომელსაც უსაყვედურია ანარქიზმის იდეებით გატაცება და ურჩევია სწავლა-განათლების გაგრძელება. ამან უბიძგა წერეთელს, გამგზავრებულიყო ლონდონს, სადაც ასირიოლოგიას სწავლობდა, შემდეგ გადასულა ლაიფციგში და ბოლოს ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში დაუმთავრებია სწავლა. 1920 წელს ივანე ჯავახიშვილმა მიხაკო წერეთელი მოიწვია თბილისის უნივერსიტეტში ასირიოლოგიისა და აღმოსავლეთის ისტორიის კათედრის გამგედ. უცხოეთში გამგზავრების შემდეგ იგი ასირიოლოგიისა და ქართული ენის კათედრებს განაგებდა ბრიუსელისა და ბერლინის უნივერსიტეტებში. ემიგრაციის შემდეგ მიხაკო წერეთელი მალე ჩამოშორდა პოლიტიკურ სარბიელს. მისი უკანასკნელი პოლიტიკური აქცია იყო გერმანიის წყალქვეშა ნავით გამომგზავრება საქართველოს პოლიტიკური საკითხების მოსაგვარებლად. 20-იანი წლების დასასრულისათვის მიხაკო წერეთლის მოღვაწეობა ძირითადად მეცნიერულ კვლევა-ძიებას ეთმობა. იგი ქართული კულტურის პრობლემებს მსოფლიო კულტურასთან მიმართებაში იკვლევს, მას ქართული კულტურისათვის არასდროს უღალატნია. თავისი ცხოვრების საზრისს ქართველი ერის სამსახურში ხედავდა, ამიტომ მართებულია გურამ შარაძის მტკიცება: „მიხაკო წერეთლის ღრმა მეცნიერული მემკვიდრეობის სათანადოდ შესწავლა, დაფასება და გამოცემა ჩვენი მამაშვილური ვალია“. მიხაკო წერეთლის ნააზრევი და ნაღვაწი ერის გარშემო ტრიალებს, — მაშინაც, როცა ერზე წერს მონოგრაფიას და მაშინაც, როდესაც მსოფლიო კულტურის საკითხებს განიხილავს, ამიტომ მართებულად მიგვაჩნია გურამ ყორანაშვილის მოსაზრება: „მიხაკო წერეთლის შეხედულებანი ერის საკითხში სულაც არ იყო მხოლოდ პოლიტიკური კონიუნქტურით ნაკარნახევი და გამომდინარეობდა საკითხის ნამდვილად მეცნიერული ფილოსოფიური გააზრებიდან, დაფუძნებული იყო თანამედროვე სოციოლოგიისა და ისტორიოგრაფიის (კერძოდ ქართული), ასევე ერის თეორიების კარგ ცოდნაზე, ამიტომაც მისი თეორიული მემკვიდრეობა ერის საკითხის თაობაზე წარუვალი მნიშვნელობისაა და „ერისა და კაცობრიობის“ ხელახალი გამოცემა ჩვენი კულტურული ცხოვრების გადაუდებელ საქმეს წარმოადგენს“[1].

მიხაკო წერეთელს მემკვიდრეები არ დარჩენია, მაგრამ დატოვა ბრწყინვალე ნააზრევი, რომლის წარმოჩენა ქართული საზოგადოებისათვის ცხადს გახდის მკვლევარის უკვდავებას, ეს წიგნი პირველი ნაბიჯი იქნება მიხაკო წერეთლის მრავალმხრივი მემკვიდრეობის გამომზეურების გზაზე.

მიხაკო წერეთელი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის როგორც სოციალურ-პოლიტიკური მოღვაწეობის ერთ-ერთი წარმომადგენელი, უკვე ქუთაისის გიმნაზიაში ებმება რევოლუციურ მოძრაობაში. მისი რევოლუციური მრწამსი სოციალიზმისაკენ სწრაფვაა ანარქიზმის გზით. ახალგაზრდობის პერიოდში იგი ანარქიზმის მესვეურთა დიდ გავლენას განიცდიდა. ის ახლოს გაეცნობა ბაკუნინის, კროპოტკინის, რეკლიუს, ჩერქეზიშვილის იდეებს, განსაკუთრებით მოსწონდა ამ უკანასკნელის მსოფლმხედველობა, რადგან მხოლოდ ის იყო აგებული ეროვნულ ნიადაგზე. მიხაკო წერეთელმა თავისი ნაშრომი „ერი და კაცობრიობა“ სწორედ ვ. ჩერქეზიშვილს მიუძღვნა შემდეგი წარწერით: „ძვირფას მასწავლებელს და მეგობარს ვარლამ ჩერქეზიშვილს, რომელმაც კაცობრიობის ოლიმპზე თავისი პატარა საქართველოც ცნო ღირსად თავისუფალი ცხოვრებისა“.

მ. წერეთლის მსოფლმხედველობის ჩამოყალიბება გაბატონებულ სოციალურ იდეათა კრიტიკული ანალიზის საფუძველზე წარმოებდა. ყოველ შემთხვევაში, მან ადრევე გადალახა დოგმატიზმი, რომელიც უკრიტიკოდ იღებდა მარქსის, ენგელსის, კაუცკის, მერე ბაკუნინის, კროპოტ-

---

[1] გ უ რ ა მ ყ ო რ ა ნ ა შ ვ ი ლ ი, მიხაკო წერეთლის ნააზრევი ერის შესახებ, „ლიტერატურული საქართველო“, 1988 წლის 18 ნოემბერი.

ეროვნულ და ოჯახურ იდეებს, დარწმუნდა, რომ „ევროპიელების კრიტიკულად უნდა მოეკიდოს და სოციალიზმის ფილოსოფიაც, რათა ჭეშმარიტება ... დადგინოს".

მიხაკო წერეთლის მოღვაწეობა ორაა ერთმანეთგანსხვავებული. უკვე აღინიშნა, რომ იგი სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა როგორც სოციალური მოძრაობის წარმომადგენელი, სწორედ ამ პერიოდში ყალიბდება მისი მსოფლმხედველობა, ძირითადად სოციალ-ფილოსოფიურ და სოციოლოგიური ხასიათისა. მ. წერეთელი პრაქტიკულად ცარიზმის საწინააღმდეგო მოძრაობაში უკვე გიმნაზიის წლებში ებმება, სრულიად ახალგაზრდა იწყებს წერილებისა და წიგნების გამოქვეყნებას სოციალური მოძრაობის საკითხებზე. მისი შრომები ხვადასხვა ფსევდონიმით იბეჭდებოდა: „სანგალა", „ალაროიდელი" „Baton". მისი პირველი წერილები ეძღვნება სოციალური მოძრაობის და პოლიტიკური ცხოვრების საკითხებს. 1904 წელს გამოქვეყნდა წერილი „საზოგადოება და არსებობისათვის ბრძოლა", შემდეგ „რევოლუცია და რეაქცია", „სახელმწიფო ძალის ხელში ჩაგდება და სოციალური რევოლუცია" და სხვა. ცალკე გამოცემული წიგნებიდან აღსანიშნავია „სანგალას" ფსევდონიმით დაბეჭდილი „მუშათა მოძრაობა საფრანგეთში 1789 წლამდე" და 1910 წელს Baton-ის ფსევდონიმით გამოქვეყნებული „ერი და კაცობრიობა", რომელიც პირველ სოციოლოგიურ შრომას წარმოადგენს XX საუკუნის საქართველოში.

როგორც ითქვა, ჩვენს პრესაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ გიმნაზიელი მ. წერეთელი მიემხრო მარქსისტულ მოძრაობას, რომ „მიხაკო წერეთელი მალე გამოეთხოვა ანარქისტულ იდეებს და წმინდა ეროვნულ ნიადაგზე დადგა, რასაც მოწმობს 1910 წ. გამოსული მისი წიგნი „ერი და კაცობრიობა"[2]. თუმცა ამ წერილის ავტორი მ. წერეთელზე ძრავალ საინტერესო ცნობას გვაწვდის, ორივე ზემოგამოთქმული დებულება მცდარია: მ. წერეთელი მარქსისტულ მოძრაობას არ ემხრობოდა და არც „ერი და კაცობრიობაა" ანარქიზმის იდეების გადალახვის მაჩვენებელი. მ. წერეთლის მსოფლმხედველობას როგორც დასაწყისში, ისე „ერი და კაცობრიობის" გამოსვლის დროსაც განსაზღვრავდა ანარქისტული თვალსაზრისი, სწორედ იმიტომ შეარჩია თავის მასწავლებლად ვ. ჩერკეზიშვილი, რომ მის ნააზრევში დაინახა საკუთარი თვალთახედვის მაფორმიზებელი პრინციპები, კერძოდ, მ. წერეთლისთვის მთავარი იყო ანარქიზმის იდეების დაკავშირება ეროვნულ ყოფასთან. ეს კი, როგორც თვითონ აღნიშნავს, მხოლოდ ჩერკეზიშვილისათვის იყო დამახასიათებელი. მ. წერეთლისავე აღიარებით, იგი უკვე ჩამოყალიბებული ანარქისტი ჩავიდა პარიზსა და ჟენევაში და თვალს ადევნებდა სოციალურ მოძრაობას. „სოციალ-დემოკრატიულმა" სოციალიზმმა კარგ ძიძიზიდა, რადგან ჩემი იდეალი უფრო მაღალი იყო და ანარქიზმი უკეთ მაკმაყოფილებდა. იგი უკეთ წყვეტდა ადამიანის პიროვნებისა და საზოგადოებრივი ორგანიზაციის საკითხებს. მაგრამ ვერც აქ ვნახე საამართალი ქართველმა"[3].

მიხაკო წერეთლის ბიოგრაფია — ეს არის ერთი იდეალისადმი სამსახური; მხედველობაში გვაქვს მისი პოლიტიკური მოღვაწეობა. რა არის მისი არსება და საზრისი? —ამ კითხვაზე პასუხის გაცემაში დაგვეხმარება 1906 წელს Baton-ის ფსევდონიმით გამოშვებული მისი ბროშურა „პასუხი პროტესტანტებს", ავტორი ყოველგვარი თეორიის კრიტიკის წანამძღვრად მიიჩნევს განთავისუფლებას წინასწარ აკვიატებული და შეუმოწმებელი აზრებისაგან, რომელთაც ცრურწმენის ძალა აქვთ. ამ ბროშურაში ის მიმართავს სოციალ-დემოკრატებს, მუშებს და ახალგაზრდებს. პირველთა მიმართ ფიქრობს, რომ ისინი იეზუიტები არიან და მათთვის ჭეშმარიტების შთაგონება შეუძლებელია. მეორეთ არწმუნებს საკუთარი იდეალების სისწორეში, მესამეთ კი მოუწოდებს თვითონ გაიაზრონ, განსაჯონ და ისე იმსჯელონ. ის, რასაც აქ მიხაკო წერეთელი ამტკიცებს, ანარქიზმის ძირითადი პრინციპების ანალიზი და მათი დაპირისპირებაა სოციალ-დემოკრატიული პრინციპებისადმი. მიხაკო წერეთელი საყვედურობს სოციალ-დემოკრატიულ პროპაგანდას აყოლილ მუშებს და ახალგაზრდებს, რომ მათ არ ესმით ანარქიზმის იდეალი და არ იციან, რომელი მიმართულება გამოხატავს მათ ნამდვილ ინტერესებს. ანარქიზმის იდეალი, რომლის წარმომადგენელი მიხაკო წერეთელია, სოციალიზმია, მაგრამ სოციალ-დემოკრატიული სოციალიზმისაგან განსხვავებული. მიხაკო წერეთლის აზრით, ეს უკანასკნელი ამხობს ძველთა ბატონობას და ამკვიდრებს ახალ ბიუროკრატთა ბატონობას საზოგადოებაში. ეს არის ხელმძღვანელთა ერთი კასტის შეცვლა მეორით. მიხაკო წერეთელი არ ცნობს არცერთი ტიპის ხელმძღვანელს და არც გარეშე გამათავისუფლებელ ძალას. მუშის განთავისუფლება თვითონ მუ-

---

[1] Baton, ერი და კაცობრიობა, განხილული სოციოლოგიური მხრით, თბ., 1910, გვ. XX.

[2] გურამ შარაძე, მიხაკო წერეთელი, „ლიტერატურული საქართველო", 1987. 25 სექტემბერი.

[3] Baton, ერი და კაცობრიობა, გვ. XXV.

ზის საქმე. ცხოვრება ხელმძღვანელობის გარეშე. „მე, მაგალითად, მუშის ყველა ეგრედ წოდებული „ხელმძღვანელები“ მეზიზღება, რადგანაც ვიცი მათი საქმეები, თუ რა ჩაუდენიათ მუშათა მიმართ მთელი ერთი საუკუნის განმავლობაში, — ვიცი ეს და მიტომაც არის ჩემი იდეალი: განთავისუფლდეს მუშა ყოველ ამგვარ ხელმძღვანელთაგან და თავისი შეგნებით, თავისივე ძალღონით განთავისუფლდეს ყოველგვარ გაბერილ ხელმძღვანელთაგანაც და ყოველ სხვა ბატონთაგანაც. ეს მართლაც მწამს თვით მუშების დევიზი, — მუშათა განთავისუფლება უნდა მოხდეს თვით მუშათა მიერო, — და ამიტომ არა ვთელი ნამდვილ სოციალისტად არც ერთ „სოციალისტურ“ პარტიას, რომელსაც მიზნად გაუხდია მუშათა „ხელმძღვანელობა“, ე. ი. მათი ხელში ჩაგდება, მათი გაფანატიკოსება, მათ ზურგზე თავისი დიდების აშენება და პირადი თავმოყვარეობის დაკმაყოფილება“[1].

ანარქიზმი მოითხოვს ცხოვრების ისეთ წესს, რომელსაც უშუალოდ მუშა და გლეხი წარმართავს, სახელმწიფო აპარატის, პოლიციის, კანონებისა და დასჯის გარეშე. მუშის განთავისუფლებაც და მისი ცხოვრებაც მთლიანად მის ხელში უნდა იყოს. აქედან გამომდინარე, წერეთლის აზრით, შეუძლებელია, თუნდაც ყველაზე დემოკრატიული სახელმწიფო იმსახურებდეს ყოფიერებას ადამიანურ სამყაროში. ანარქისტები არ მოითხოვენ დეპუტატობის მანდატებს და წინააღმდეგნი არიან ამ მანდატთა სისტემის არსებობისა. წერეთლის აზრით, გურიის გლეხთა აჯანყება. სწორედ მმართველებისაგან თავისუფალი საზოგადოების განხორციელება იყო. მიხაკო წერეთელი საყვედურობს სოციალ-დემოკრატებს იმის გამო, რომ მათ ანარქიზმი გამოაცხადეს საზოგადოებრივი ანარქიისა და არეულ-დარეულობის თეორიად. სინამდვილეში ანარქიზმი ქაოსს კი არ ქადაგებს, არამედ უარყოფს ადამიანებზე მაღლა მდგარ ინსტიტუტებს. არათუ დიქტატურა, დემოკრატიაც მიუღებელია მათთვის. „ჩვენ უარსა ვყოფთ ყოველივე სახელმწიფოებრივ დაწესებულებას, რომელიც დამყარებული იქნება საყოველთაო და ფარულ კენჭის ყრაზედაც კი. მაშასადამე ოქვენი კენჭის მოხარბე არა ვართ, ჩვენ არ გვინდა თქვენი არჩევნები, რომ შემდეგ ისევ ზურგზედ დაგაჯდეთ ჩვენი გამოცემული კანონებით და სარჩენად გაგიხდეთ. აბა თუ გახსოვთ როდისმე, რომ სადმე კენჭის ყუთი დაგვედგას, ან შეგხვეწოდით,—ჩვენ, ანარქისტები ამოგვირჩიეთ-მეთქი. ჩვენთვის არც ქალაქის საბჭოში სადეპუტატოდ მოგიციათ ხმა, არც პარლამენტებში, არც რუსეთის სახელმწიფო სათათბიროში. ჩვენ არც გვითხოვია არავითარი დიდება შუა ხალხისთვის, არც ახლა ვითხოვთ, და არც არასოდეს“[2].

მიხაკო წერეთლის აზრით, სოციალიზმი და კომუნიზმი, რომელსაც სოციალ-დემოკრატები გვთავაზობენ, სახელმწიფო აპარატითა და მმართველი წრეებით. ვერასოდეს იქნება შესაბამის ცნებათა შინაარსის გამომხატველი. ნამდვილი სოციალიზმი და კომუნიზმი ანარქისტების იდეალია. „ჩვენი სოციალიზმი ისეთია, როგორც იდეალად ჰქონდათ დასახული საერთაშორისო მუშათა კავშირის წევრებს, — მუშებს: ყველა საწარმოო იარაღები, — მიწა და სამრეწველო ქარხნები და ფაბრიკები მუშათა თავისუფალ კავშირთა ხელში იქნება. ეს კავშირები შეეკვრიან ერთმანეთს ფედერატიულად და თავისუფლად მოაწყობენ წარმოებას. აღარ იქნება აღარც მეარცველები და მგლეჯელები, აღარც სახელმწიფო, ე. ი. ჯარი, პოლიცია, მსაჯული, საპყრობილე და ჯალათი. — არამედ თავისუფალი კავშირი მშვენიერად, მეცნიერულად აღზრდილ მწარმოებელთა შორის, რომელთაც ძალდატანება და კისერში ცემა აღარ დასჭირდებათ, რომ ცხოვრების საერთო მიმდინარეობაში მიიღონ გონიერი მოხაწილეობა. ეს არის ანარქია, და არა არეულ-დარეული, როგორც გვეუბნებიან მუდამ თქვენი, „პატიოსანი“ და სხვისი აზრის „პატივისმცემელი“ ხელმძღვანელი სოციალ-დემოკრატები. მოიგონეთ გურიის მოძრაობა. იქ თვითეულ სოფელსა ჰქონდა თავისი პატარა თავისუფლება: აღარც პოლიციელი, აღარც მღვდლის ბატონობა,— აღარც მემამულისა, აღარც მსაჯულისა — ყოველივე გაქრა. სახელმწიფო უარყოფილ იქნა. წარმოიდგინეთ, რომ ამგვარად მოაწყეს საქმე ყველა სოფლებმა და მერე შეერთდნენ თავისუფლად. ესთქვათ, რომ ქალაქებშიდაც იგივე მოახდინეს მუშებმა და ასე, ამგვარად მთელ ქვეყანას, ან მარტო ევროპას მოედო ამგვარი წესი ცხოვრებისა. თვითოეული თემი თავის წარმოების სახსართა მიხედვით თავისუფლად აწარმოებს და იმავე დროს შეკავშირებულია სხვა მწარმოებელ თემებთან წარმოებითი კავშირით. მათ შორის მუდმივი დამოკიდებულებაა, მუდმივი ცვლა ნაწარმოებისა. საწარმოო იარაღითა და აგრეთვე აზრთა; მათ შორის ძალ-დამტანებელი არა არის რა, არამედ ბუნებრივ, თავისუფალი და მოთხოვნილებათა მიერ გამოწვეული ათასნაირი ურთიერთობანი. — აიღეთ ამგვარად მოწყობილი საზოგადოება და ეს არის ის, რასაც ჩვენ კომუნიზმს ვუწოდებთ.

გურიაში ხომ აღარ იყო არც პოლიციელი, არც მსაჯული, არც საპყრობილე და წამება ადა-

---

[1] Baton, პასუხი პროტესტანტებს, თბ., 1906, გვ. 11—12.

[2] იქვე, გვ. 12-13.

მიანისა, — შემდეგ, ზემოხსენებულ საზოგადოებაში სრულიად მოსპეს, ძირიანად ამოაგდეს ყველა დაწესებულებანი, რომელნიც გურულებმა უარყვეს, — და ეს იქნება ანარქია, ე. ი. ის წესი ცხოვრებისა, როდესაც აღარც პოლიცია, აღარც ჯარი, მსაჯული და ციხე აღარ იქნება. ერთი სიტყვით, — ჩვენი სოციალიზმი — კომუნისტური და ახარქიული», და ეს არის ჩვენი იდეალი»[1].

როგორც ვხედავთ, იდეალი — სოციალიზმი და კომუნიზმი — ანარქისტებისა და სოციალ-დემოკრატებისათვის ერთი და იგივეა, მაგრამ განსხვავებულ შინაარსს დებენ მასში. ანარქისტებისათვის არ არსებობს გარდამავალი ხანა. მათ უნდათ პირდაპირი ნახტომი კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე დემოკრატიული გარდაქმნების გარეშე. იდეალის განხორციელების ერთი გზა აქვთ ანარქისტებს და სოციალ-დემოკრატებს — რევოლუცია, მაგრამ არსებითი დაპირისპირებაა რევოლუციის გაგებაში. სოციალ-დემოკრატია რევოლუციის პირველ ეტაპზე მუშათა კლასს მოუწოდებს დაეხმარონ ბურჟუაზიას ბურჟუაზიული რევოლუციის ამოცანების განხორციელებაში. პროგრამა მინიმუმის ამოცანაა პროლეტარიატის მონაწილეობით ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რესპუბლიკის დამყარება. ანარქიზმს ეს ზედმეტად მიაჩნია. წერეთელი კითხულობს — რატომ უნდა იბრძოლოს მუშამ იმისათვის, რომ ბურჟუაზიას ჩაბაროს ხელისუფლება და ფეოდალის ნაცვლად ბურჟუის უღელი დაიდგას?

მუშამ უნდა იბრძოლოს იმისათვის, რომ საერთოდ მოსპოს ყოველგვარი ბატონობა და ხელისუფლება. სოციალ-დემოკრატებსა და ანარქისტებს შორის რევოლუციური ბრძოლის ფორმების დადგენაშიც დაპირისპირებაა. წერეთელს მიაჩნია, რომ სოციალ-დემოკრატია ხელს იღებს რევოლუციური მოქმედების ისეთ ფორმებზე, როგორიცაა შეიარაღებული აჯანყება, საყოველთაო გაფიცვა და ტერორი. ანარქისტებისათვის „საერთო გაფიცვა მუშათა, ორგანიზაცია სახელმწიფოს გარეშე, სახელმწიფოსთან და ბურჟუაზიასთან ბრძოლა ძირითადი პრინციპებია»[2]. მიხაკო წერეთლის აზრით, ნამდვილი რევოლუცია „უარყოფაა სახელმწიფოსი და კერძო საკუთრების». „მიწა გლეხს, ქარხანა მუშას, სრული თავისუფლება ყველას — აი, რა არის ნამდვილი შინაარსი რევოლუციისა»[3]. სოციალ-დემოკრატების პროგრამა-მინიმუმს მიხაკო წერეთელი უპირისპირებს პროგრამა-მაქსიმუმს, რის გამოც სოციალ-დემოკრატები ანარქიზმს მიიჩნევენ უტოპიად. წერეთელი არ ეთანხმება იმ მოსაზრებას, თითქოს საზოგადოებას სოციალიზმისთვის მომზადება სჭირდებოდეს, საჭირო იყოს დემოკრატიული საზოგადოება. „რა არის სოციალიზმი? საწარმოო საშუალებათა საზოგადო მფლობელობა, თავისუფალ მშრომელთა მიერ წარმოების მოწყობა, ამხანაგურად და თავისუფლად, ისე, რომ აღარც პოლიციელი და მსაჯული, აღარც მღედელი და მემამულე, აღარც კაპიტალისტი და სახელმწიფო აღარ გაწუხებდეთ»[4], ამ საქმისთვის საზოგადოება მზადაა და ფაქტიურად სახელმწიფო და მისი ინსტიტუტები მუშას არავითარ დახმარებას არ უწევენ. თუ მმართველი ფენა ჩამოშორდება საზოგადოებას, ეს იქნება რევოლუცია და სოციალიზმი. მუშებმა და გლეხებმა ბურჟუაზია არ უნდა გააკარონ რევოლუციას და არც ხელისუფლება უნდა დაუთმონ. რევოლუცია ყოველგვარი ბატონობის მოსპობაა და სრული თავისუფლების დამყარება. ამიტომ არ უნდა გაბატონდეს ისიც, ვინც რევოლუციაში ღებულობს მონაწილეობას, რადგან თავისუფლება ყოველგვარი ბატონობის საწინააღმდეგოა. ამდენად მიხაკო წერეთლის აზრით, სოციალიზმის მხოლოდ ანარქიული ფორმაა მისაღები.

მიხაკო წერეთელი ყველა ანარქისტს ერთნაირად არ აფასებს. ადამიანის ადამიანობა, მისი პიროვნება არ დგას ერის გარეშე, ადამიანის თავისუფლების საკითხი უნდა გადაწყდეს ერის თავისუფლების ნიადაგზე. ასეთი შეხედულებისანი არ იყვნენ არც სოციალ-დემოკრატები და არც ანარქისტები. მხოლოდ ჩერქეზიშვილმა მისცა, მ. წერეთლის აზრით, საწყისი სოციალური მოძრაობის ერთან დაკავშირებას. არც „კროპოტკინს და არც რეკლიუს არ გაურჩევიათ ერის და კაცობრიობის ცნებები. ეს ნაწილობრივ გააკეთა ჩერქეზიშვილმა». აქედან ამოდის მიხაკო წერეთლის მსოფლმხედველობა, საკუთარ საპროგრამო პრინციპებს ის ამგვარად გვამცნობს: „მე ქართველი ანარქისტი ვარ. ჩემთვის ეროვნული საკითხი ყოფნა არყოფნის საკითხია, რომლის გარეშე ანარქიზმიც არაა. მე ჩემი ერის უფლებას ვამტკიცებ და ამისთვის დამჭირდა ერის, კაცობრიობის და ინტერნაციონალიზმის განსაზღვრა»[5].

როგორც ვხედავთ, მ. წერეთელს არათუ არ გადაულახავს ანარქიზმი, არც დაუსახავს მსგავ-

---

[1] Baton, პასუხი პროტესტანტებს, გვ. 13—15.
[2] იქვე, გვ. 17—18.
[3] იქვე, გვ. 25.
[4] იქვე, გვ. 27.
[5] Baton, ერი და კაცობრიობა, გვ. XXXI.

სი აშოცანა. ძან ანალი გახზოშილება მოუნახა ამ მიმართულებას, სცადა ის ეროვნულ ნიადაგზე დაეყენებინა და საერთოდ ყოველგვარი მოძრაობის განმსაზღვრელად თვლიდა ეროვნულ ნიადაგს. თეორიები, რომლებიც ეროვნულ ნიადაგზე არ იდგა, მ. წერეთლის კრიტიკული ანალიზის საგანი ხდებოდა. ამის გარკვევაში მისი ბიოგრაფიაც დაგვეხმარება. გიმნაზიაში სწავლის პროცესშივე მონაწილეობს სოციალურ მოძრაობაში, მაგრამ ეს არ ყოფილა დაკავშირებული მეცამე დასთან. სოციალური მოძრაობა მაშინ მრავალი მიმართულებისა იყო და არ ყოფილა განსაზღვრული მარქსიზმით, არც ქუთაისში და არც კიევის უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში, როდესაც დემონსტრაციაში მონაწილეობისათვის იძულებული გახდა დაეტოვებია უნივერსიტეტი და უცხოეთში წასულიყო. ის უკვე გატაცებული იყო ანარქიზმის იდეებით. ხოლო როცა პარიზში განაგრძო სწავლა, იგი აქტიურად ებმება ანარქისტურ მოძრაობაში, რამაც საბოლოოდ სატესაღმდე მიიყვანა. სწორედ პარიზსა და ჟენევაში დაუკავშირდა ანარქიზმის მამამთავრებს, შემდეგი კი ლონდონში — ჩერკეზიშვილს, რომელმაც, როგორც ითქვა, ყველაზე დიდი გავლენა მოახდინა მ. წერეთლის მსოფლმხედველობაზე. უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ მ. წერეთლის მსოფლმხედველობაზე მსჯელობა უნდა შემოვფარგლოთ ძირითადად მისი მსოფლმხედველობის ფორმირების პირველი პერიოდით, რადგან სოციალური მოძრაობისა და სოციალური ფილოსოფიის პრობლემები მისი მოღვაწეობის შემდგომ პერიოდში არ ყოფილა ძირითადი და განმსაზღვრელი. მიხაკო წერეთელი მას შემდეგ, რაც თბილისის უნივერსიტეტის პროფესორი გახდა, უფრო გვიან კი ბრიუსელის და ბერლინის უნივერსიტეტების პროფესორი, თავს ანებებს სოციალურ რეფორმაცია და მსოფლმხედველობის პრობლემებს და იწყებს მეცნიერულ კვლევა-ძიებას. ამავე დროს განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს კვლავ ეროვნულ პრობლემებს, ქართული კულტურის საკითხებისადმი ინტერესი წერეთელს სიკვდილამდე გაჰყვა.

ჩვენი ინტერესის საგანია მიხაკო წერეთლის სოციალური შეხედულებანი, უფრო სწორად მისი სოციალურ-ფილოსოფიური და სოციოლოგიური ნააზრევი.

მიხაკო წერეთელი პირველი სოციოლოგია XX საუკუნის საქართველოში. სოციალური ფილოსოფიისა და სოციოლოგიის იდეები გასული საუკუნის საქართველოშიც ვრცელდებოდა, მაგრამ სოციოლოგი, როგორც ასეთი, XX საუკუნეში გვეკლინება მ. წერეთლის სახით. ამას ადასტურებს მისი შრომა „ერი და კაცობრიობა". სწორედ ამ შრომაში ხდება ანალიზის საგანი ისეთი სოციოლოგიური ფენომენები, როგორიცაა: კაცობრიობა, საზოგადოება, ერი, ხალხი, საშართალი, სახელმწიფო, სამშობლო, თავისუფლება და სხვ.

სოციალურ ფილოსოფიასა და სოციოლოგიაში მიმართულებათა დაპირისპირებას არსებითად შემოფარგლავენ მატერიალიზმისა და იდეალიზმის, დიალექტიკისა და მეტაფიზიკის დაპირისპირებით. მაგრამ არსებობს სხვა სახის დაპირისპირებაც. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სოციალური ყოფიერება რიგ განსხვავებულ ნიშნებს მოიცავს, რომლებიც ასახვას პოულობენ ამ ყოფიერებისადმი მიდგომისა და მისი მოძრაობის განსაზღვრაში, სოციალური ყოფიერება აუცილებლობით გულისხმობს სოციალურ სუბიექტს, როგორც სოციალური მოძრაობის განმსაზღვრელსა და სოციალური მოძრაობის იდეალს. სოციალურის სფეროში სპეციფიკურია არა მარტო თავისუფლების, საზრისის, იდეალის, მიზნის და სხვა კატეგორიები, არამედ სუბიექტის, სოციალური მოძრაობის წარმმართველის და მისი მიზნის განმსაზღვრელის ცნებებიც.

რა არის სოციალური სუბიექტი საზოგადოებრივ ცხოვრებაში, როგორია მისი ნიშნები — ამ საკითხების გადაწყვეტა განსაზღვრავს სოციალური თეორიის ხასიათს. თუ ამ თვალსაზრისით შეეხედავთ სოციალურ აზროვნებას, როგორც საკაცობრიო, ისე საქართველოს მასშტაბით, აქ ორი ძირითადი მიმართულება თუ ტენდენცია დაისახება: ერთისთვის სოციალური მოძრაობის სუბიექტია კლასები და კლასთა ბრძოლა (მარქსიზმი და მასთან ახლომდგომი მიმართულებანი), მეორესათვის ძირითადია ერი და ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლა ერებს შორის. სწორედ ამ მეორე ნაკადს მიეკუთვნება მიხაკო წერეთლის ნააზრევი. მისთვის გამორიცხულია კლასობრივი ინტერესები, როგორც ამოსავალი, და ერის გათიშვა, მთავარია თვითონ ერი და მისი ინტერესები, მისთვის სოციალური მოძრაობის იდეალია არა პროლეტარიატის, ან სხვა რომელიმე კლასის გამარჯვება, არამედ ერის გამარჯვება, და მისი თავისუფლების უზრუნველყოფა: მაშასადამე, დილემა შემდეგ ფორმას ღებულობს: კლასი თუ ერი. მ. წერეთელი ერის ინტერესებიდან ამოდის და უარყოფს კლასებისა და კლასობრივი ბრძოლის თეორიას, როგორც საზოგადოების იდეალის განთავისუფლების გზას, რადგან მიაჩნია რომ უნდა განთავისუფლდეს მთელი ერი და არა მისი ნაწილი.

მ. წერეთლის ნააზრევს სოციოლოგიაში განსაზღვრავს დიდი ხნის წინათ სადავოდ გამხდარი და დღესაც დავის საგნად ქცეული ერთ-ერთი ძირითადი საკითხი — თეორიისა და პრაქტიკის სოციოლოგიისა და ცხოვრების მიმართების პრობლემა, აქ თეორიისა და პრაქტიკის, კერძოდ, „რისთვის სოციოლოგიის?" პრობლემა დგას, რომელსაც მ. წერეთელი „ყოველ

გვარ თეორიულ დოგმათა გარეშე, მთელი თავისი მსოფლმხედველობრივი ორიენტაციით საკ-სებით მართებულად წყვეტს. იგი ეძებს ერის თავისუფლების გზებს. იდეალიც და მისი განხორციელების გზებიც თეორიამ უნდა გააანალიზოს, რათა პრაქტიკას ჰყავდეს მეგზური. ცხოვრების ამოცანათა ისეთი თეორიული გააზრებაა საჭირო, რომ უზრუნველყოს ადამიანის ადამიანობა, მისი იდეალის განხორციელება. „ერი და კაცობრიობის“ წინასიტყვაობა მთავრდება სწორედ იმის შტკიცებით, რომ ერის, კაცობრიობისა და ინტერნაციონალიზმის თეორიული განსაზღვრა თუ გააზრება ავტორს დასჭირდა ერის უფლების, მისი თავისუფლების დამტკიცებისათვის და „ამ მიზნით სარგებლობდა თანამედროვე სოციოლოგიური ლიტერატურით.“ „ყველაფერი ერის სამსახურში უნდა იდგეს. ინტერნაციონალიზმიც და ანარქიზმიც მხოლოდ ერთიანობაში ინარჩუნებენ მნიშვნელობას. „თუ ერი მოისპობა, მოისპობა ანარქიზმიც და ინტერნაციონალიზმიც“. ავტორი, მართალია, ანარქისტია და ინტერნაციონალისტიც, მაგრამ თუ ერის ინტერესებმ მოითხოვს, ის მზად არის ანტიანარქისტული და ანტიინტერნაციონალისტური იდეებიც გაიზიაროს, რადგან, როგორც თვითონ აღნიშნავს, თუ ზოგჯერ ერის დაცვას ანტიანარქისტული და ანტიინტერნაციონალისტური წამალი სჭირდება, ეს ის შხამია, რომელიც სასარგებლოა ორგანიზმისათვის. ეს წიგნიც ამ ამოცანას ისახავს მიზნად. ამიტომ წიგნის დასკვნაში „იდეალი და პრაქტიკა“ ავტორი ამტკიცებს: ჩვენი იდეალია ერის უფლებათა სრული განხორციელება. იგი უნდა დაიცვას ყველა მიმდინარეობამ — ანარქიზმი იქნება, სოციალიზმი თუ კოსმოპოლიტიზმი, ერის გარეშე არც ერთი არ არსებობს, ისაა სუბიექტი.

რატომ ვთვლით მ. წერეთლის მოძღვრებას სოციალურ ფილოსოფიად და სოციოლოგიად? იმიტომ, რომ მასში განხილული პრობლემები სოციალური ფილოსოფიის და სოციოლოგიის პრობლემატიკაა: თუ ფილოსოფია ყოფიერების თეორიაა, სოციალური ფილოსოფია სოციალური ყოფიერების თეორიაა. სოციალური ყოფიერება სოციალურ ერთობათა სახით არსებობს, სოციალურ ერთობებში კი შედის საზოგადოება, ერი, კაცობრიობა, სოციალური ჯგუფები. მათი ანალიზი სოციალური ყოფიერების ანალიზია. ამიტომ ამტკიცებს მ. წერეთელი, „ერის და კაცობრიობის პრობლემა წმინდა სოციალური ფილოსოფიის პრობლემაა, მისი საგანია და არაა არცერთი სხვა მეცნიერების საგანი“.[1] თუ საკითხის ამგვარ გაგებას გადაეუხვევთ, პრობლემის დაყენება გაძნელდება და მისი გადაწყვეტა შეუძლებელი გახდება. მაშასადამე, მ. წერეთლის მოძღვრება, რომელიც სწორედ სოციალურ ერთობათა პრობლემის განხილვაა, სოციალური ფილოსოფიაა. ამიტომ აღნიშნავს მ. წერეთელი: „ჩვენ ვიკვლევთ საზოგადოებას სოციალური ფილოსოფიის მხრიე“[2]. მაგრამ ის არაა მხოლოდ სოციალური ფილოსოფია, ის სოციოლოგიაცაა, წიგნის სათაურშიც ჩანს მისი ასეთი ხასიათი: ერი და კაცობრიობა აქ განიხილება სოციოლოგიურად. სოციოლოგიის საგანი ყოველთვის იყო საზოგადოება, სოციალური და სოციალურ ერთობათა ფორმები. მ. წერეთლის ანალიზის ობიექტს სწორედ ეს ფენომენები და მათი გამომხატველი კატეგორიები წარმოადგენს. ამიტომ ეს მოძღვრება სოციოლოგიაა. უფრო გარკვევით თუ ვიტყვით, მ. წერეთელთან სოციალური ფილოსოფია გაიგივებულია სოციოლოგიასთან, მათი საგანი ერთი და იგივეა. აქ ის ამოდის გუმპლოვიჩის თეორიიდან, რომელიც სოციალურ ფილოსოფიას აიგივებდა სოციოლოგიასთან.

საერთოდ უნდა აღინიშნოს, რომ მ. წერეთლის მოძღვრება ემყარება მისი თანამედროვე ევროპული სოციოლოგიის თეორიებს, მათთან თანხმობით, თუ მათი კრიტიკით აყალიბებს ის თავის შეხედულებებს. მათ შორის, ვინც დიდი გავლენა მოახდინა მ. წერეთელზე, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს დე გრეფი და შტამლერი, შემდეგ კი ორგანიცისტები: ვორმსი, სპენსერი, ფულიე და სხვ. მ. წერეთელი წერს: „საზოგადოების გაგება ბევრმა სცადა, ჩვენ მივმართავთ საუკეთესო სოციოლოგებს, ასეთია შტამლერი, რომელსაც ამ პრობლემის გადაწყვეტის ბრწყინვალე ცდა აქვს მის შრომაში „მეურნეობა და სამართალი“. მეორეა ბელგიელი სოციოლოგი დე გრეფი“[3]. სოციოლოგიის ძირითადი ცნების საზოგადოებისა და სოციალურის გაგებაში მ. წერეთელი, მისივე აღიარებით, ეყრდნობა შტამლერის, ტარდის და სხვათა შეხედულებებს[4]. ეს მიუთითებს არა მ. წერეთლის თეორიის ნაკლზე, არა იმაზე, რომ ის დამოკიდებული იყო ამ მოაზროვნეებზე, არამედ იმაზე, რომ მისი თეორია არ იყო მოწყვეტილი სოციალურის გააზრების თანამედროვე თეორიებს და მათ ბაზაზე, ისე როგორც მათდამი კრიტიკული პოზიციაზე, იყო აგებული. ასეთი ვითარება თეორიას დადებითად ახასიათებს, რადგან გუ-

---

[1] Baton, ერი და კაცობრიობა, გვ. 3.

[2] იქვე, გვ. 91.

[3] იქვე, გვ. 7—8.

[4] იქვე, გვ. 54.

ლისსმობს, რომ ის ითვალისწინებს თანამედროვე მიღწევებს და ამავე დროს ნაკლოვანებათა კრიტიკული ანალიზით თეორია ახალ საფეხურზე აყავს. სხვაგვარად შეიძლება თეორია უბრალოდ ველოსიპედის ხელახლა გამოგონება გახდეს, თუ ის არ ითვალისწინებს იმ მიღწევებს, რაც ამ დარგში არსებობს.

მ. წერეთლის ღირსება იმაშია, რომ ის არაა არცერთი მიმართულების ნაბრეული ეპიგონი და გამოირჩევა კვლევის მიმართულების, საკითხთა გადაწყვეტის ორიგინალობით. როგორც წიგნის სათაურიდანაც ჩანს, მისი კვლევის მიზანია ერისა და კაცობრიობის კატეგორიათა ანალიზი და მათში გამოხატული ფენომენის ადგილის მონახვა სოციალური ყოფიერების სფეროში.

„რა არის კაცობრიობა და რა არის ერი სოციალური მხრით, საზოგადოებრივი სინამდვილის მხრით? შეეწირება თუ არა პირველს მეორე? როგორია მათ შორის ურთიერთობა? ე. ი. რა ადგილი უჭირავს ერს კაცობრიობაში ეხლა და როგორი ურთიერთობაა შესაძლებელი მომავალში ან როგორი ადგილი უნდა ეჭიროს ერს მომავალ კაცობრიობაში?"[1]. ამ საკითხებზე პასუხის გაცემა როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული მნიშვნელობისაა და საჭიროებს მთგან გამომდინარე საკითხთა გადაწყვეტას. „არის თუ არა საზოგადოებრივი შინაარსი ერსა და კაცობრიობაში? როგორი ტენდენცია აქვთ მათ? როგორ უნდ· შეეფასოთ სოციოლოგიურად ერი და კაცობრიობა? რას წარმოადგენს ამ მხრივ საქართველოს ერი? როგორი უნდა იყოს ამ ანალიზის შემდეგ იდეალური და პრაქტიკული დასკვნა? ესაა ჩვენი საგანი"[2]. მაშასადამე, კვლევის მიზანი მოხაზულია და მისი განხორციელების გზაა ის, რომ სოციოლოგიური კვლევის განმსაზღვრელია: საზოგადოებისა და სოციალურის ანალიზი, იმის დადგენა, რას ეწოდება საზოგადოება და მოვლენათა რა ჯგუფები შეეა სოციალურში. მთელი ეს კვლევა მიზნად ისახავს ადამიანის აწმყო ვითარებასა და მომავლის განსაზღვრას. ე. ი. მ. წერეთლის სოციოლოგია ანთროპოლოგიური მიმართულებისაა. ადამიანი სოციალური არსებაა. ერი და კაცობრიობა ადამიანურის სფეროს შესახებ ცნებებია, ე. ი. სოციალურის სფეროა, მათი ანალიზისათვის საჭიროა გარკვეული საზომი მესამე ცნების სახით. ეს იქნება სწორედ სოციალური. როგორც ვხედავთ, მ. წერეთელი ემიჯნება იმ ცდებს, რომელთა არსი იყო სოციალურის დაყვანა მისგან განსხვავებულზე — ბიოლოგიურზე, ფსიქოლოგიურზე, მექანიკურზე. ის ცდილობს სოციოლოგია იყოს სოციოლოგიური და არა ბიოლოგიური ან ფსიქოლოგიური. მისი აზრით, სოციალურის ახსნა მხოლოდ სოციალური კანონზომიერებით უნდა მოხდეს, ამის საშუალება კი სოციალურის გაგებაა მისი შინაგანი კანონზომიერების საფუძველზე. მაშასადამე, სოციალური, რომელმაც გასაგები უნდა გახადოს ერი და კაცობრიობა, თვითონ უნდა გაანალიზდეს. სოციალური არაა ადამიანთა შეერთების გარეშე, ინდივიდი სხვა ინდივიდებთან კავშირის გარეშე ბიოლოგიური არსებაა. სოციალური მასში მხოლოდ შესაძლებლობის სახით არსებობს. ეს შესაძლებლობა რეალიზდება ერთობაში, ე. ი. საზოგადოებაში. ამიტომ სოციალურის გასაგებად უნდა გავიგოთ, რა არის საზოგადოება. საზოგადოება რომ ინდივიდუალურ ძალთა შეერთებაა, სოციალურობის ეს გაგება ანტიკურობიდან მომდინარეობს.

ჯერ კიდევ ეპიკურემ და ლუკრეციუსმა შეამჩნიეს, რომ საზოგადოება ინდივიდუალურ ძალთა შეერთებაა. არსებობისათვის ბრძოლაში საკითხი დგას, რაში გამოიხატება ეს შეერთება, რით ხასიათდება იგი? შეერთების განსაკუთრებულ წესში უნდა ვეძიოთ ადამიანთა კავშირის სოციალურ ფაქტად გახდომა. ადამიანთა ძალების შეერთებაა საზოგადოება, მაგრამ არა ყოველი შეერთებაა საზოგადოება. არსებობს შეერთების სპეციფიკური წესი, რომელიც მას ხდის სოციალურად და განასხვავებს არასოციალური ხასიათის შეერთებისაგან. როდესაც საზოგადოებას განვსაზღვრავთ, როგორც ძალების შეერთებას არსებობისათვის ბრძოლაში, აქ სოციალურში რამდენიმე ცნებას ვგულისხმობთ: „მოთხოვნილებას", „მოქმედებას", „მორწმუნეობას", ძალთა შეერთებას". მაგრამ ჩრმოჩნდება, რომ სოციალურის სპეციფიკა არ დაიყვანება არც ერთ მათგანზე. მოთხოვნილებაც და მოქმედებაც ახასიათებს ცალკეულ ადამიანებსაც, მაგრამ ის არაა სოციალური. ამიტომ ამ ცნებებით სოციალურს ვერ გამოვხატავთ. მორწმუნეობაც ახასიათებს ცალკეულ ადამიანს და არც ის გამოხატავს სოციალურის სპეციფიკას. დარჩა შეერთება და სწორედ შეერთების წესში უნდა იყოს ნაძებნი სოციალური. მაშასადამე, საკითხი ისმის „ადამიანთა როგორი შეერთებაა სოციალური?" ზემოთ აღვნიშნეთ, რომ მ. წერეთელი თავისი დროის სოციოლოგების გავლენას განიცდის, მაგრამ ამავე დროს კრიტიკულადაც უდგება მათ, რაც საშუალებას აძლევს დაინახოს მათი შეცდომები. განსაკუთრებით მწვავედ აკრიტიკებს მ. წერეთელი მათ ბიოლოგიზმსა და ფსიქოლოგიზმს სოციალურის გაგებაში. მისი მტკიცებით ამ სოციოლოგებმა სწორად ვერ დაინახეს, რომ სოციალური დაკავშირებული ბუნებ-

---

[1] Ватсп. ერი და კაცობრიობა, გვ. 2.

[2] იქვე, გვ. 54.

რიეთან, ბიოლოგიურთან, ფსიქოლოგიურთან. მაგრამ ამის საფუძველზე არასწორად დაიყვანე-სოციალური ბიოლოგიურსა და ფსიქოლოგიურზე. სინამდვილეში „როგორც ფიზიკური მოვლენა ვერ დაიყვან ფიზიოლოგიურ და მექანიკურ მოვლენაზე, ისე სოციალური მოვლენა ვერ დაიყვან ფსიქიურსა და ბიოლოგიურზე".

სოციალურის გასაარკვევად მ. წერეთელი ასეთ მეთოდს მიმართავს: ის განიხილავს სოციოლოგების მიერ სოციალურად მიჩნეულ მოვლენათა ჯგუფებს, რომელთა რიცხვი დე გრეფთან შვიდია, და ამ ჯგუფებში რაც არის, იმას თვლის სოციალურად, ე. ი. განუვლენია ამ ჯგუფებს ამ მოვლენათა განმასხვავებელი თვისებებისაგან და მათში საერთოს, როგორც მათ გამაერთიანებელს, მიიჩნევს სოციალურად. მოვლენათა 7 ჯგუფი, რომელიც სოციალურადაა მიჩნეული, შემდეგია: 1. ეკონომიკური, 2. გამრავლება და აღზრდა, 3. ხელოვნება 4. რელიგია და მეცნიერული ცოდნა, 5. ზნეობა, 6. იურისპრუდენცია და სამართალი, 7. პოლიტიკური. საზოგადოება არ არსებობს ამ სოციალურ მოვლენათა გარეშე, ისე როგორც ეს სოციალური მოვლენები — საზოგადოების გარეშე. მ. წერეთელი სვამს კითხვას: ხომ არ ვეარდებით აქ ლოგიკურ შეცდომაში და ხომ არ ეცდილობთ ერთი უცნობის განსაზღვრებას მეორე უცნობის გზით, კერძოდ, სოციალურ მოვლენათა გზით სოციალურის ცნებას როგორ გავიგებთ? ავტორის აზრით, კერძოობითი ცოდნა ზოგადი ცოდნის ძიებაა, ენერგიათა ცალკეული სახეების ცოდნამ ადვილად შესაძლებელი ენერგიის გაგება, ორგანიზმის ნაწილის, უჯრედის შეისწავლებამ გაადვილა შესაძლებელი ორგანიზმის შემეცნება. ჩვენს შემთხვევაში ცალკეული სოციალური მოვლენის ანალიზი არის სოციალურის გაგების წინაპირობა. ამიტომ უნდა გაანალიზდეს ეს მოვლენები და მოინახოს ის, რაც საერთოა, რაც სოციალურის გამომხატველი იქნება.

დავიწყოთ ეკონომიკით. რა არის ეკონომიკური მოვლენა? ეკონომიკური მოვლენებით ადამიანთა მოთხოვნილებების დაკმაყოფილება ხდება მათი მოწესრიგების გზით. ადამიანები მიზანშეწონილად უნდა მოქმედებდნენ, ე. ი. მიზნები უნდა ჰქონდეთ შეთანხმებული. ეს კი ხდება მათი მოწესრიგებით, შეთანხმებით, ან ძალადობით, ჩვენებით. ყველა შემთხვევაში მოწესრიგებასთან გვაქვს საქმე. აქედან გამომდინარე: „რეგულირება ან მოწესრიგება ადამიანთა მიერ საზრდოს საშუალებათა პოვნისა, კვებისა და ხმარებისაგან მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად შეერთებულ ადამიანთა ძალით. ეი რა არის ეკონომიკურ-სოციალური მოვლენა, საზოგადოებრივი ცხოვრების ერთი უმთავრესი დამახასიათებელი მხარეთაგან"[1]

სოციალური ფაქტის მეორე სახეობა გამრავლება და აღზრდაა. ერთიც და მეორეც გულისხმობს მოწესრიგებას. გამრავლების მომწესრიგებელი ფორმა ოჯახია, აღზრდისა — სკოლა და ოჯახი.

მოწესრიგება აუცილებელი ელემენტია ხელოვნებისაც. მოწესრიგებული უნდა იყოს ურთიერთობა ხელოვნების შუაკთა და ხელოვნების შემფასებელთა შორის. საერწმუნოებაც სოციალური ურთიერთობის ელემენტია, თანაც მოწესრიგებული. მეცნიერებაზე ყველაზე მეტად ითქმის, რომ ის მოწესრიგებულია და ამავე დროს მოწესრიგების ფორმაა. მოწესრიგებას გულისხმობს ზნეობაც, რომელიც თვითონაც საზოგადოების მოწესრიგებას ემსახურება. ასეთივე ხასიათისაა სამართალიც, რომელიც სხვადასხვა ფორმით აწესრიგებს საზოგადოებას. პოლიტიკა, როგორც საზოგადოების გარედან დაცვის ფუნქცია, მოწესრიგების ერთ-ერთი ძირითადი ფორმაა. „პოლიტიკა საზოგადოების მოწესრიგებული მოქმედებაა". მაშასადამე, საერთო ელემენტი ყველა სოციალური მოვლენისათვის მოწესრიგებაა და სწორედ ის საერთო, რომელსაც ეძებდა ავტორი, როგორც სოციალურს, გამოხატა ცხოვრების მოწესრიგებაში. აქედან გამომდინარეობს საზოგადოების წერეთლისეული განსაზღვრება: „საზოგადოებრივი ცხოვრება ერთად მცხოვრებ ადამიანთა მოწესრიგებული მოქმედებაა მათ ყველა მოთხოვნილებათ დასაკმაყოფილებლად, მათ საერთო მიზანთა მისაღწევად. საზოგადოება შეერთებულ ადამიანთა ისეთი კრებულია, რომელთა საერთო ცხოვრება მოწესრიგებულია საერთო მიზანთა მისაღწევად"[2]. ავტორი ცდილობს დააზუსტოს თავისი განსაზღვრა ანთროპოლოგიური ელემენტის გათვალისწინებით და იმაზე მითითებით, რომ მოწესრიგება ყოველთვის გარეგანი ფორმაა. „გარეგნული მოწესრიგება შეერთებულ მიზანდასახული ნიჭის მქონე ადამიანების ცხოვრებისა, მათ საერთო მიზანთა მისაღწევად. ეი, რა არის საზოგადოებრივი ცხოვრება.

საზოგადოება მიზანდასახული ნიჭის მქონე შეერთებულ ადამიანთა ისეთი კრებულია, რო-

---

[1] Baton, ერი და კაცობრიობა, გვ. 16.

[2] იქვე, გვ. 32.

[illegible] ცხოვრება [illegible] [illegible] [illegible]

საზოგადოებისათვის იყო დამახასიათებელი და ამავე დრის მისი არსების გამომხატველიც, ასეთი კი წარმოებით ურთიერთობათა და მისგან გამომდინარე კულტურული, ზნეობრივი თუ სხვა სახის ურთიერთობათა სისტემაა.

საზოგადოების ეს ცხება ავტორს გამოყენებული აქვს მისი ძირითადი მიზნის — ერისა და კაცობრიობის ანალიზისათვის. მას აინტერესებს, რას უნდა ემსახურებოდეს საზოგადოება — რეალურ იდეალს, თუ მითიურს. არის თუ არა რეალური იდეალი — „კაცობრიობა იმის მსგავსი, როგორიც ერია". ამის გასარკვევად აუცილებელია დადგინდეს, არსებობს თუ არა რეალურად კაცობრიობა, რომელსაც სოციალური მოძრაობის წარმომადგენლები იხდიან იდეალად და, რომლის სამსახური მიაჩნიათ ცხოვრების საზრისად?

მ. წერეთლის ნაშრომის მეორე თავი სწორედ ამ საკითხის გარკვევას ეძღვნება. ის სვამს კითხვას: „არსებობს თუ არა კაცობრიობა და როგორ?" ავტორი რიგ არგუმენტებს აყენებს იმის ნათელსაყოფად, რომ კაცობრიობა არ არის სოციალური ფაქტი, რომ მას სოციალური არსებობა და საერთოდ არსებობაც არ გააჩნია და რომ ამის გამო არ შეიძლება იყოს იდეალი. მაინც რატომ არ არის, ავტორის აზრით, კაცობრიობა სოციალური ფაქტი? ჯერ ერთი, იმიტომ, რომ კაცობრიობა ადამიანთა ერთობლიობად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ. ეს კი არ ქმნის სოციალობას, ამიტომ არც სოციოლოგიის საგანია. მეორეც, სოციალური ფაქტი, ადამიანთა გარეგნულად მოწესრიგებული ცხოვრებაა, კაცობრიობას არ ახასიათებს ასეთი ცხოვრება, ამიტომ ის არაა სოციალური ფაქტი. კაცობრიობა არაა სუპერორგანიზმი ერთიანი ორგანოებით და ფუნქციებით და, მაშასადამე, არც საზოგადოებაა. შემდეგ ავტორი სოციალურ ფაქტთა იმ რიგის ანალიზით, რომელსაც ზემოთ მოცემული განსაზღვრა უჩვენებს, ასაბუთებს, რომ არც ერთი მათგანი არა აქვს კაცობრიობას როგორც ნიშანი. ავიღოთ ენა. ის გარეგნულად მოწესრიგებული კავშირია, მაგრამ კაცობრიობის მასშტაბით არ არსებობს ასეთი კავშირი. არსებობს ენათა სიმრავლე, მაგრამ არაა ერთიანი საკაცობრიო ენა. არც ეკონომიკური ერთიანობა ახასიათებს კაცობრიობას. თითოეული სახელმწიფო იწესრიგებს ეკონომიკას. არც საკუთრება და არც წარმოება არაა საკაცობრიო მასშტაბით მოწესრიგებული. განსხვავებულია ოჯახის ფორმებიც, ხელოვნებაც, ზნეობაც, იურიდიული და პოლიტიკური ნორმები და შეხედულებანი. არც საკაცობრიო სახელმწიფო არსებობს. კაცობრიობას არა აქვს საერთო ფუნქციები საერთო მიზნების მისაღწევად. რადგან ასეთი საერთო მიზანი არ არსებობს. ეს ნიშნავს, რომ „კაცობრიობა სოციალური ფიქციაა". აქედან დასკვნა: „კაცობრიობა როგორც სოციალური არსი არ არსებობს, არსებობენ მხოლოდ ნაწილები, რომელთაც აქვთ სოციალური ცხოვრება და წარმოადგენენ სუპერორგანიზმებს"[1].

აქ მ. წერეთელი იყენებს ნომინალისტ ორგანიცისტთა არგუმენტაციას კაცობრიობის არსებობის წინააღმდეგ, რათა ცხადყოს, რომ ადამიანის იდეალი უნდა იყოს არა კაცობრიობა და საკაცობრიო ღირებულებანი, არამედ ერი და ეროვნული ღირებულებანი, რადგან რეალური ყოფიერება მხოლოდ ერს ახასიათებს.

ამიტომ ავტორი კაცობრიობის უარყოფის შემდეგ გადადის ერის ანალიზზე და მისი რეალობის დასაბუთებაზე. სანამ ამ ანალიზს გადმოვცემდეთ, რამდენიმე კრიტიკული შენიშვნა უნდა გაკეთდეს კაცობრიობისადმი იმ ნომინალისტურ-ნიჰილისტური პოზიციის გამო, რაც მ. წერეთელს აქვს შემუშავებული. რასაკვირველია, კაცობრიობა განსხვავებული სოციალურ ორგანიზაციის და სოციალური ინსტიტუტების ფორმებით არ არსებობს. განსხვავებული სოციალურ ორგანიზაციის ფორმები და ინსტიტუტები ახასიათებს სხვადასხვა რეგიონებს, სახელმწიფოებს და ერებსაც კი, მაგრამ ეს არაა კაცობრიობის საწინააღმდეგო არგუმენტი, რადგან ის ფაქტი, რომ პლანეტაზე მცხოვრებ ყველა რასას, ტომს, ხალხს, ერს თუ სოციალურ ერთობას ახასიათებს განსხვავებული ინსტიტუტები და ორგანიზაციის ფორმები, ასევე ღირებულებანიც, მიუთითებს იმაზეც, რომ საერთო ღირებულებათა, ორგანიზაციათა და ინსტიტუტთა სახით კონკრეტული ფორმების გარდა მათ აქვთ საერთო ნიშნები, რითაც აერთიანებენ პლანეტის მცხოვრებთ. ის, რომ ერთიანი ეკონომიკა არ ახასიათებს ყველა სოციალურ ერთეულს, არ უარყოფს იმას, რომ მათ ახასიათებთ ეკონომიკური ერთიანობა თვით ეკონომიკურ, პოლიტიკური, ზნეობრივი, საშართლებრივი ნორმების ზოგადი ნიშნების სახით. აბსტრაქციას თუ გავაკეთებთ მათი კონკრეტული ფორმების სპეციფიკისაგან, დაგვრჩება ისინი ზოგადი ფორმით, რომელიც მთელი კაცობრიობისათვის საერთოა. გარდა ამისა, ფაქტიური ისტორია სულ უფრო მეტად ხდება პლანეტარული მსოფლიო კავშირებისა და ურთიერთობის სახით. დღევანდელ ისტორიაზე თავისუფლად შეიძლება ითქვას, რომ ის ერ-

---

[1] Baton, ერი და კაცობრიობა, გვ. 68.

ითანი. მსოფლიო ისტორია, რადგან არ არსებობს მსოფლიოს არც ერთი კუთხე თუ ხალხი, რომლის ყოფიერები წესი გარკვეულ გავლენას არ ახდენდეს დანარჩენ მსოფლიოზე. დღეს სუფთა იზოლატები არ არსებობს და ყველა ხალხი ჩაბმულია მსოფლიო ურთიერთობებში. მეტიც, დღეანდელობა ბლანეტარული ისტორიიდან კოსმიურზე გადასვლის ხანაა. დღეს შეუძლებელია ლაპარაკი იზოლირებულ კულტურაზე. თუმცა ისინი ფორმით განსხვავებულნი არიან, მაგ. აქვთ საერთო ნიშნებიც, ოღონდაც ის, რომ კულტურებს წარმოადგენენ, რაც მათ საკაცობრიო ღირებულებაზეც მიუთითებს.

სხვაგვარად ვერ ავხსნით ამ გარემოებას, რომ დღეს არ არსებობს იზოლირებული ეკოლოგიური პრობლემები, რომ ისინი, სადაც არ უნდა მიმდინარეობდნენ, ეხებიან მთელ პლანეტას, არ არსებობს დემოგრაფიული იზოლირებული პრობლემები, რომ ყველა რეგიონი თავისი დემოგრაფიული პაექვით განსაზღვრავს პლანეტის ყოფიერების წესს თუ ვითარებას. ასეთივეა პოლიტიკური აქციები. განა შეიძლება დღეს ლოკალური ომები არ ახდენდეს გავლენას მსოფლიოზე? შეუძლებელია. არის პრობლემები, რომლებიც უკვე დღეს შეუძლებელია მოექცეს ლოკალურ ჩარჩოებში და ასეთ პრობლემათა რიცხვი სულ უფრო იზრდება. სულ უფრო აუცილებელი ხდება საკაცობრიო მასშტაბით აზროვნება. ამიტომ. სავსებით სამართლიანად იქნა აღნიშნული, რომ დღეს კლასობრივ და სხვა სოციალურ ერთიანობათა ღირებულებებმა უკანა პლანზე გადაიწია, საერთო საკაცობრიო ღირებულებებთან შედარებით, რომ დღეს მადომინირებელი ხდება არა კლასობრივი ან ეროვნული, არამედ საკაცობრიო ინტერესები, გლობალური პრობლემატიკა ქმნის ამინდს და არა ეიწრო სოციალური პრობლემები.

მ. ფერეიელს თვითონაც ჰქონდა ნაწილობრივ გაცნობიერებული მის მიერ კაცობრიობის უარყოფის არარეალობა, ამიტომ ამბობდა, რომ ჯერჯერობით არაა საკაცობრიო ინსტიტუტებიო.

პირველი მსოფლიო ომი და მისი შემდგომი ხანა გახდა საწყისი მოვლენათა მსოფლიო მასშტაბით მიმდინარეობისა, მაგრამ მაინც არსებობდა პოტენციურად კაცობრიობა, როგორც არა უბრალოდ ჯამი პლანეტის ადამიანთა, არამედ განხორციელების გზაზე მყოფი სოციალური რეალობა, რომლის უარყოფა შეუძლებელი იყო.

განვიხილოთ, როგორ და რატომ სჭირდება მ. ფერეიელს კაცობრიობის უარყოფა. ეს მისთვის იყო საშუალება საბისოდ, რომ სოციალური ერთობის ისეთი ფორმა, როგორიცაა ერი, დაესახა იდეალად, ღირებულებათა ორიენტაციების ამოსავლად. ამიტომ მისი პოზიციური ანალიზი ძირითადად დაკავშირებულია ერის ანალიზთან, იმის ჩვენებასთან, თუ რა არის ერი და რა ადგილი უკავია მას სოციალურ ყოფიერებაში. ამ საკითხის გარკვევა მოითხოვს საზოგადოების, სახელმწიფოს, ხალხის და სხვა სოციალურ კატეგორიათა ერთიან მიმართებაში განხილვას. მიეყვეთ ავტორს: მეცნიერი ერთმანეთს უპირისპირებს ერს და კაცობრიობას. ის, რაც კაცობრიობის არყოფიერების მაჩვენებელია, ერის ყოფიერების ნიშანია. ყველა ის სოციალური ფაქტი, რომელთა ნაწილი ჩამოთვალა და გააანალიზა შვიდი თუ მეტი ჯგუფის სახით და რომელთაგან არც ერთი არ ახასიათებდა კაცობრიობას და ამიტომ ის გამოაცხადა ფიქციად, სამაგიეროდ დამახასიათებელია ერისთვის და ამიტომ ერი ორთ რეალობა. თანაც მისი მნიშვნელობა მეტად დიდია მას შემდეგ, რაც რასებმა დაკარგეს საზოგადოებაში განმსაზღვრელი როლი, როცა ისინი დაიშალენ ერებად და ხალხებად და ჩამოყალიბდა ეროვნული სახელმწიფოები. ამ უკანასკნელმა სახელმწიფო, ერთი ეთნიკური ჯგუფის მიერ მეორის ჩაგვრის იარაღის ნაცვლად, აქცია კლასთა ბრძოლის მოწესრიგების ინსტრუმენტად, რადგან კლასთა ბრძოლამ დაიკავა ეთნიკური ბრძოლის ადგილი ეროვნულ სახელმწიფოში. „საზოგადოებრივი ჯგუფები უკვე ენით, სჯულითა და ჩვეულებებით კი არ განირჩევიან, არამედ თავისი ვიწრო სოციალური მდგომარეობით, ერი როგორც რეალური სოციალური ორგანიზმი გამოირჩევა ორი ძირითადი ნიშნით: 1. ენით და 2. პოლიტიკური ორგანოებით, ე. ი. სახელმწიფოებრივობით“.

ეროვნული საზოგადოებაა, მაგრამ საზოგადოება სხვადასხვა სახისაა — დაწყებული შემთხვევით თავმოყრილი ადამიანებით და დამთავრებული ერთ სახელმწიფოში მცხოვრები ხალხებით. შეიძლება გვქონდეს სხვადასხვა სახის საზოგადოებანი. მაგალითად, სახელმწიფოებრიობა თუ იქნება კრიტერიუმი, ორი ტიპია შესაძლებელი—სახელმწიფოებრივი და ანარქიული საზოგადოება. თუ სოციალურ ურთიერთობებს ავიღებთ კლასიფიკაციის საფუძვლად, იქნება: პირველყოფილი, მონათმფლობელური, ფეოდალური, კაპიტალისტური, სოციალისტური საზოგადოებანი. საზოგადოებანია აგრეთვე სამეცნიერო, რელიგიური, რევოლუციური და სხვა სახის კავშირებიც. ამიტომ საზოგადოება აბსტრაქტული ცნებაა, ერი კი კონკრეტულია, რადგან ის ყოველთვის ერთი და იმავე არსებითი მოვლენებით განისაზღვრება. ერები განს-

ხეკავებულია სოციალურის გამოვლენის ფორმათა შინაარსით. თვით ფორმები ყველა ერისა-თვის საერთოა, მაგრამ ყოველ ერში ისინი განსაკუთრებულ ხასიათს იძენენ. მაგალითად: ერისთვის დამახასიათებელია ენა, მაგრამ ერს საკუთარი ენა გააჩნია. ავტორი განასხვავებს არა მარტო ერსა და საზოგადოებას, არამედ ერსა და სახელმწიფოსაც. საზოგადოებასა და სახელმწიფოსთან გვაქვს საქმე, როცა გარეგნულად მოწესრიგებული ცხოვრების ერთიანი მიზნის ძისაღწევად, სახელმწიფოში ადამიანთა შორის მექანიკური კავშირი არსებობს ძალდატანების ორგანოების მეშვეობით, ერი კი ადამიანთა შორის ორგანული კავშირია. ამიტომ „ერი რჩება უმაღლეს, უდიდეს და უბუნებრივეს და დღეს თითქმის ერთადერთ დიდ ჰურჭლიდ საზოგადოებრიობისა მთელ კულტურულ კაცობრიობაში“.

ერის წარმოშობას ავტორი უკავშირებს ტომების დაშლას ხალხებად, რომელთა ნიადაგზე აღმოცენდა ერები. „ხალხი ორგანული მასალაა ერის ორგანიზმის შესაქმნელად“. ერი, ავტორის აზრით, მყარი და დაუშლელი მონადაა, მას ვერც კლასთა ბრძოლა შლის და ვერც დაპყრობა. ერს აქვს ინდივიდუალობა, საკუთარი სოციალობა, ენა, ლიტერატურა, სამართალი, პოლიტიკა, სარწმუნოება, თითოეული მათგანი შეიძლება ერთი ერის კუთვნილება იყოს, მაგრამ თითოეული ერი თავის ელფერს სძენს ამ სოციალურ ფენომენებს. მისი ყოფიერების განმსაზღვრელია თავდაცვის თვითშეგნება. საბოლოოდ ავტორი ერის ასეთ განსაზღვრებას გვთავაზობს: „ერი სოციალური სუპერორგანიზმია ანუ ჰიპერორგანიზმი, შემდგარი ერთგვარ და ან მრავალგვარ ეთნიკურ და სოციალურ მასალისაგან, რომელსაც შეუძლია ქამთა ვითარებაში შექმნას ერთი გარეგნულად მოწესრიგებული საერთო ცხოვრება თავის შემადგენელ ერთეულთა, ერთი საზოგადოება ყველა თავისი ორგანოებით: ქნით, სარწმუნოებით, მეცნიერებით, ზნეობით, ხელოვნებით, სამართლით და პოლიტიკით, საზოგადოება განსაკუთრებული ისტორიით, ტიპითა და თვითშეგნებით სრული ინდივიდუალობით“ [1].

შემდგომი ანალიზი ეხება ამ ფენომენებს, რომლებიც დაკავშირებულია ერთან, იქნება ეს სამშობლო, სამართალი, ასევე ერის პერსპექტივები და ქართველი ერის ადგილი ერთა ყოფიერებაში. ავტორი განასხვავებს ერს სამშობლოსაგან, თუმცა სამშობლო ის ტერიტორიაა, სადაც ერი შემოქმედებას ეწევა, სამშობლო ერის საცხოვრებელია, მისი ბინაა. სამშობლოს სხვა გაგება არ არსებობს, თუ არა ერის საცხოვრისისა. მკვლევრის აზრით, სამშობლო და სახელმწიფო არაა ერთი და იგივე, სამშობლო დაკავშირებულია ერთან და არა სახელმწიფოსთან. სამშობლო არ შეიძლება სახელმწიფოს იგივეობრივი იყოს. თუნდაც იმიტომ, რომ სახელმწიფოში მრავალი ერი შეიძლება იყოს გაერთიანებული და ყოველ ერს ამ სახელმწიფოს შიგნით თავისი სამშობლო ექნება, რასაც ვერ შეცვლის სახელმწიფო ტერიტორია. სამშობლო ის ადგილია, რომელიც კონკრეტულ ერს უპირავს, სადაც ერს შეუქმნია თავისი ისტორია და ცხოვრობს. „სამშობლო ერის იგივეობრივი არაა, მაგრამ მისგან განუყოფელია“. სამშობლო ერის წარსული და აწმყო ცხოვრებაა განსაზღვრულ ტერიტორიაზე. „იმ პატარა სოფლით დაწყებული, სადაც დაიბადა და იმ ტერიტორიით დამთავრებული, რომელიც მის ერს უპირავს, მისი სამშობლოა“. დღეს ჩვენ ორი სამშობლოს ცნება გვაქვს — დიდი და მცირე სამშობლოსი. ამ უკანასკნელში გულისხმობენ ერის ტერიტორიას, პირველში კი — ჩვენი მრავალეროვანი სახელმწიფოს ტერიტორიას. ეფიქრობთ, ასეთი გაგება არ უნდა იყოს სწორი. ის ემყარება სამშობლო და სახელმწიფო ტერიტორიის გაიგივებას. სახელმწიფო, მით უმეტეს მრავალეროვანი, იმდენივე სამშობლოს შეიცავს, რამდენი საკუთარი ტერიტორიის მქონე ერიც ბინადრობს მასში. ქართველებისათვის საქართველოა სამშობლო და არა უკრაინა ან სომხეთი, რუსისათვის რუსეთია სამშობლო და არა საქართველო ან აზერბაიჯანი. არ არსებობს ძალა, რომელიც წაშლის ერის თვითშეგნებაში ამ მიჯნებს. რაც შეეხება მცირე სამშობლოს ცნებას, მას მხოლოდ ერთი გამართლებული მნიშვნელობა შეიძლება ჰქონდეს: ესაა ის ადგილი, სოფელი თუ ქალაქი, რომლებშიც ადამიანი თავისი ერის წიაღში იბადება და იზრდება, მცირე სამშობლოა აგრეთვე ერის შიგნით ცალკეულ ეთნოსტრუქტურათა საცხოვრისი: მეგრელისთვის — სამეგრელო, ხევსურისთვის — ხევსურეთი, კახელისთვის — კახეთი და ა. შ.

საქართველო ქართველის სამშობლოა, საბჭოთა კავშირი კი მისი სახელმწიფოა, ისე როგორც ყველა სხვა ერებისათვის, რომლებიც საბჭოთა კავშირში ცხოვრობენ. სხვანაირი გაგე-

---

[1] Baton, ერი და კაცობრიობა, გვ. 130.

ბა მცირე და დიდი სამშობლოსი, რომლის დამკვიდრებას ცდილობენ, ფიქტიურია და მოჩვენებითი. ისე როგორც საუკუნის დასაწყისში მ. წერეთელი, საუკუნის დასასრულსაც, მეცნიერება სამშობლოს ეთნოსს უკავშირებს და არა პოლიტიკურ ორგანიზაციას. ლ. ნ. გუმილიოვის აზრით, „ეთნოსი" შედგება სამი კომპონენტისაგან: სამშობლოს, მამულისა და გამომგონებელთა, თუ ხელოვანთა ქმნილებათაგან, რომლებიც ყველს ტოვებენ ადამიანთა შეგნებაში, აძლევენ მათ „სპეციფიკურ მეზობელ ტომთაგან განსხვავებულ სახეს". „ამ სამი კოორდინატის თანაფარდობა ქმნის „ეთნოსს", რომელიც ხასიათდება ქცევის ორიგინალური სტერეოტიპით და განუმეორებელი შინაგანი სტრუქტურით" [1].

სამშობლო, პატრიოტიზმი და ეთნოსი, გუმილიოვის აზრით, განუყოფელია: «Патриотизм—великое и благородное чувство. Однако понять и объяснить его можно, только ответив на вопрос: что значит принадлежать к той или иной национальности? И вообще—что «национальное»? По-моему очень важно усвоить: вне этноса нет ни одного человека на земле. Национальная принадлежность —неоспоримая реальность. Выйти из этноса — значит вытащить себя из болота за собственные волосы, а такое смог проделать только барон Мюнхгаузен. Но если это присуще человеческой природе, нельзя отмахиваться от этнических вопросов, игнорировать реальные противоречия, пытаться представлять людей массой. Надо помнить что каждый известный науке облик народа — этнос несет в себе не только печать окружающей среды, но и накапливаемое прошлое, формирующее стереотип его поведения»[2].

როგორც ეხედავთ, ეთნიკური კუთვნილება არაა ადამიანისთვის სამოსის მსგავსი, რომლის გამოცვლა და შეცვლა ჩვენი ნებელობით შეგვიძლია, ის ადამიანის შინაგანი, არსებითი განსაზღვრულობაა და არ ცვლება ადვილად კლასობრივი კუთვნილების მსგავსად.

აქ ორ საკითხს უნდა შევეხოთ: მ. წერეთლის არგუმენტს მარქსიზმის წინააღმდეგ, რომ მარქსიზმი ერების ურთიერთშერწყმის ქადაგებით ზეეროვნულ კოსმოპოლიტურ ლოზუნგს აყენებს, და თვით წერეთლის თეორიის მიმართ უნდა დაისვას კითხვა — კაცობრიობის უარყოფა და იდეალად ერების დასახვა იქნება თუ არა ნაციონალიზმი. პირველი საკითხი მეტად მტკივნეულია, ყოველ შემთხვევაში, თანამედროვე მეცნიერებაში არის მოსაზრება, რომ ერები თავიანთ წვლილს შეიტანენ მომავალშიც ამ უნივერსალური ამოცანების განხორციელებაში, რომელთაც დააყენებს პლანეტის მცხოვრებთა ინტერესები. მაგრამ ეს უნივერსალიზმი არ იქნება კოსმოპოლიტიზმის იგივეობრივი. მაშასადამე, დღეს უარიყოფა კოსმოპოლიტიზმი და არა უნივერსალიზმი, კოსმოპოლიტიზმის წანამძღვარს კი შეიცავს ერების შერწყმის და იმის თეორია, რომ ეროვნულით ვერ შევალთ სოციალიზმში თუ კაცობრიობის იდეალის განხორციელებაში. ერთი რამ ფაქტია, რომ მარქსისტები ერების შერწყმას უფრო ადვილად მიიჩნევდნენ, ვიდრე სინამდვილეში ამის განხორციელება იქნებოდა შესაძლებელი. დღესდღეობით პირიქითაა. კიდევ უფრო მეტი მნიშვნელობა მიიღო ეროვნულმა თვითშეგნებამ და კულტურათა ეროვნულმა ფორმამ, აღმოჩნდა, რომ საზოგადოების წინსვლისათვის სულაც არაა აუცილებელი ერთა გაერობა, რომ თვითეულ ერს ეროვნულ ფარგლებშიც შეუძლია ემსახუროს უნივერსალურ ამოცანებს, რომ კოსმოპოლიტიზმის საშიშროება ყოველთვის არსებობს. ესპანელი ფილოსოფოსი და მწერალი მიგელ ლე უნამუნო სამართლიანად მიუთითებს, რომ „ერის, რელიგიის, ენისა და სამშობლოს საკითხები აშფეს, ასმეს და აცშეს წარმოსახვას და გრძნობას. რა იქნება პოეზიისათვის უფრო დამღუპველი, ვიდრე უნაყოფო და აბსტრაქტული კოსმოპოლიტიზმი, რომელიც თავისი არსებით შტრულადაა განწყობილი ღრმა და დადებითი უნივერსალობისადმი"[3].

მაშასადამე, საკითხი ეხება არა იმას, რომ ამ უნივერსალობას არ შეეწიროს მსხვერპლად ის, რაც ადამიანს მიეჯაჭვავს გარკვეულ დროს და გარკვეულ სივრცეს, რაც ადამიანს აძლევს მყარ ნიადაგს და გრძნობას თავისთავად გეომეტრიული, მაგრამ მისთვის ინდივიდუალური ღირებულების საკითხისადმი, რასაც სამშობლოს ვეძახით და ადამიანებისადმი, რომელსაც ერი ქვია. თვითონ სამშობლოს, ერისა და სხვა მსგავს კატეგორიათა შესაბამისი ფენომენები უზრუნველყოფენ ადამიანის უნივერსალობას: «Человеческая природа универсальна-правильна, но это — живая, плодотворная универсальность: она свойственна каждому

---

[1] Л. Гумилёв, Биография научной теории или автонекролог. Знамя, № 4, 1988, стр. 206—207.

[2] Г. Гумилёв, Корни нашего родства, «Известия», 1988, 13 апреля.

[3] Мигел де Унамуно, Искусство и космополитизм в книге: Называть вещи своими именами, М., 1986, стр. 231.

отдельному человеку лишь постольку, поскольку одета плотью науки, религии, языка и культуры и коренится в них, а не в абстрактных свойствах участника «общественного договора» руссоистов. Разве не универсальны гении, раскрывающие в индивидуальном и временном вечное? Шекспир, Данте, Сервантес, Ибсен принадлежат всему человечеству как раз в силу того, что один из них был англичанин, другой флорентиец, третий кастилиец, четвертый — норвежец.

Данте стал гражданином вселенной и гражданином веков именно потому, что будучи более всех итальянцев XIV века итальянцем и человеком XIV века, он воплотил в себе и сделал вечным тип человека всех времен и народов...»[1].

როგორც ვხედავთ, ცხოვრება უარყოფს ორივე უკიდურესობას: ერის შეწირვას კაცობრიობისადმი და კაცობრიობის უარყოფას ერის გამო. ყველაზე სწორი გზაა ერის გზით კაცობრიობის ამოცანების გადაწყვეტა და ამდენად მაოოებულია უნამუნოს მოსაზრებანი, რომ სწორედ ერისადმი კეთილისების გამო შეძლეს კაცობრიობის გენიოსებმა საკუთარი ფუნქციების შესრულება. მაშასადამე, კორექტივი სჭირდება არა მარტო კაცობრიობის უარმყოფელ მ. წერეთლის თეორიას, არამედ მარქსიზმის იმ მოძღვრებასაც, რომელიც ერების სიკვდილს მიიჩნევს კაცობრიობის იდეალთა განხორციელების საშუალად. არც ერი უნდა შეეწიროს კაცობრიობას და არც კაცობრიობა — ერს.

საერთოდ, მ. წერეთლისეულ ანალიზში საინტერესოა კოსმოპოლიტიზმის კრიტიკა და მისი უარყოფა. მტკიცება, რომ მსოფლიო მოქალაქეობა შეუძლებელია, რომ მცდარია როგორც კოსმოპოლიტიზმის ქადაგება, ისე თვით ტერმინიც შეცდომას შეიცავს, რადგან კოსმოსის მოქალაქეობაზე კი არაა ლაპარაკი, არამედ დედამიწისა და მას კოსმოპოლიტიზმი კი არ უნდა ეწოდებოდეს, არამედ გეოპოლიტიზმი. ისიც განუხორციელებელია, რადგან „რეალური ერთიანობა ენის, რწმენის, სამართლის, ხელოვნების, პოლიტიკური ორგანოების მხრივ არასდროს დამყარდება". და რომც იყოს შესაძლებელი, სასურველად არ უნდა იყოს მიჩნეული, რადგან სპობს მრავალფეროვნებას, ე. ი. სიცოცხლეს, დაამკვიდრებს ერთფეროვნებას, ე. ი. სიკვდილს. „ერთფეროვანი საზოგადოება მოსაწყენი და შემოქმედებას მოკლებული იქნება", „ერთფეროვანი ბუნება უდაბნოა, ერთფეროვანი ინდივიდი — ირარაობა", „ერთგვაროვანი კაცობრიობა მსოფლიო უდაბნოა". მ. წერეთელი კრიტიკულად განიხილავს ერებისადმი დამოკიდებულებას, აღნიშნავს, რომ საერთაშორისო სამართლის ნორმები, რომელთაც მხოლოდ პირობითად შეიძლება ეწოდოთ საერთაშორისო, ფაქტიურად ერთა ურთიერთობას კი არ აწესრიგებენ და ერების ინტერესებს კი არ იცავენ, არამედ სახელმწიფოთა ურთიერთობას და სახელმწიფო ინტერესებს. სახელმწიფო კი ერთა ჩაგვრის ორგანოა. სახელმწიფოთა თანასწორობის აღიარება არ ნიშნავს ერთა თანასწორობის აღიარებას[2].

ერის უფლებათა დაცვად მ. წერეთელს მიაჩნია: „**უ ფ ლ ე ბ ა ა რ ს ებ ო ბ ი ს ა დ ა ხ ელ შ ე უ ხ ებ ლ ო ბ ი ს ა, თ ა ნ ა ს წ ო რ ო ბ ა ს რ უ ლ ი დ ა ს ა მ ა რ თ ლ ი ა ნ ი, უ ფ ლ ებ ა რ ო მ ე ლ ი მ ე ფ ო რ მ ი ს ს ა ხ ელ მ წ ი ფ ო ს დ ა ა რ ს ებ ებ ი ს ა, უ ფ ლ ებ ა ს ა ზ ო გ ა დ ო ებ ა თ ა, ს ა ზ ო გ ა დ ო ებ ი ს წ ი ნ ა შ ე ს ა მ ა რ თ ლ ი ს პ ო ვ ნ ი ს ა დ ა თ ა ნ ა ს წ ო რ ი ს ა მ ა რ თ ლ ი ა ნ ი ვ ა ლ დ ებ უ ლ ებ ა მ ი ს წ ი ნ ა შ ე, ა ი, ე რ ი ს უ ფ ლ ებ ა**"[3].

ამ პრინციპით ერის უფლებათა დაცვა მიაჩნია მკვლევარს ნამდვილ ინტერნაციონალიზმად და მას უპირს მხარს, ხოლო მარქსისტებს ინტერნაციონალიზმი მიაჩნიათ კოსმოპოლიტიზმად. „ყველა ერი უნდა იყოს სუვერენული" — ესაა ძირითადი მოთხოვნა, რომლის განხორციელებისათვის ბრძოლა მიაჩნია მ. წერეთელს ადამიანის ყოფიერების საზრისად. მისი აზრით, მომავალში ერები კი არ შეერწყმიან ერთმანეთს, არამედ ახალი ერები წარმოიშობა სხვადასხვა ერთა გარკვეული ელემენტების შეერთების გზით. ყველა შემთხვევაში ავტორი მოითხოვს ფაქიზად მოეკიდოთ ეროვნულობის გრძნობას და არ გაუხადოთ ის იდეოლოგიური და პოლიტიკური სპეკულაციების საგანი. ეს შეხედულებანი როგორ ეხმაურება თანამედროვე განაზრებებს: ლევ გუმილიოვი წერდა: «Преодолевая догматизм, мы стремимся разрушить устаревшие стереотипы. Однако и тут надобно действовать с умом. Скажем, кому-то взбредёт в голову взяться за переделку этнического стереотипа поведения. Кстати такое уже бывало. Упаси бог, чтобы повторилось! Надо чрезвычайно чутко относиться к национальным обычаям, хотя и не раз-

---

[1] იქვე, გვ. 232—233.

[1] Baton, ერი და კაცობრიობა, გვ. 220.

[3] იქვე, გვ. 253.

дувать различий. Одни едят свинину, другие нет. Ну и что из этого? Не из каких благих побуждений не должно быть подталкивания и сближению и слиянию, которые представляют, как я понимаю, очень длительный и во многих чертах нами ещё не осознанный процесс»[1].

შემთხვევითობას ვერ მივაწერთ იმ გარემოებას, რომ მ. წერეთელი მოითხოვს ერის კვლევა დადგეს სოციოლოგიურ ნიადაგზე. ეს ნიშნავს, რომ ერი განვიხილოთ როგორც სოციოლოგიური კატეგორია, რომლის კვლევის მეთოდები მხოლოდ სოციოლოგიური შეიძლება იყოს. ავტორი გვთავაზობს ქართველი ერის საინტერესო ანალიზს. მისი ძირითადი მახასიათებელი ქართული ენაა, რომელიც „სამი შტოსაგან შედგება: ქართლურისაგან, რომელზედაც ლაპარაკობენ ქართლ-კახელები, იმერლები, გურულები, მესხები, მთიულნი და სხვანი, მეგრულისაგან, რომელზეც ლაპარაკობენ მეგრელები და ჭანები და სვანურისაგან, რომელზეც ლაპარაკობენ სვანები. მიუხედავად ამისა, ქართული ენა ერთია, ერთისა და იმავე აგებულებისა, ერთისა და იგივე ძირისა"[2].

მ. წერეთელი აანალიზებს სახელწოდება „ქართველის" წარმოშობას და აღნიშნავს: მეგრულ-ლაზურ ტომს ერქვა „ქარდუხი", რაც „ქართუხს" უდრის. ამ „ქართუ"-დან (მეგრული ქორთუ) წარმოდგა სიტყვა „ქართველი", რომელიც შემდეგ ყველა ქართველის სახელი გახდა. მისი აზრით, ესეც ერთ-ერთი არგუმენტია ჭან-მეგრელთა და ქართველთა ერთობისა. სიტყვა „ქართველი" სადაურობას ნიშნავს, „ქართუ-ელი" ქართუ კი ნიშნავს ქალდეას. სვანეთში ახლაც არის სოფელი ქალდე. როგორც ჩანს, ჩვენი სამშობლო ქალდეა ყოფილა. ავტორის მტკიცებით, იქ, სადაც ამჟამად იმერლები და გურულები ცხოვრობენ, მეგრელების საცხოვრებელი იყო, ხოლო ამჟამად სამეგრელოს ტერიტორია სვანებით იყო დასახლებული, რომ საქრისტიანო ისტორიის დასაწყისიდან ეროვნულ-სოციალური ერთობა ყოველთვის იყო ჩვენში, პოლიტიკური კი არა. ასეთია სოციალური ყოფიერების და სოციალური ერთობების მ. წერეთლისეული ანალიზი. საბოლოოდ ის იდეალად სახავს ადამიანობის ნიადაგზე ერის სუვერენობას და ამ იდეისათვის მას არასოდეს უღალატნია, მაშინაც კი, როდესაც სოციოლოგიურ და სოციალურ პრობლემებს თავი მიანება და მთლიანად ენათმეცნიერების, კულტურისა და ისტორიის პრობლემების კვლევას მიჰყო ხელი.

ე. ქოდუა

---

[1] Лев Гумилёв, Корень нашего родства, Известия, 1988, № 104.

[2] Baton, ერი და კაცობრიობა, გვ. 51.

წინასიტყვაობა

„ეროვნული საკითხი“ და სოციალიზმი

ძვირფას მასწავლებელს და მეგობარს ვ ა რ ლ ა მ ჩ ე რ კ ე ზ ი შ ვ ი ლ ს, რომელმაც კაცობრიობის ოლიმპზედ თავისი პატარა საქართველოც სცნო ღირსად თავისუფალი ცხოვრებისა და მის წმინდა საკურთხეველზედ გულწრფელი მსხვერპლი შესწირა, უძღვნის ამ წიგნს

ა ვ ტ ო რ ი.

რომელი ჩვენგანი არა ყოფილა გატაცებული უკიდურესი და უკეთილშობილესი იდეალებითა, მეტადრე ახალგაზრდობაში! რომელი ჩვენგანი არ გამხდარა მსხვერპლი იმ შეცდომისა, რომელიც თანა სდევს ყოველთვის ყოველ იდეალსა, რადგანაც იდეალს უმეტეს ნაწილად უფრო ფანატიკოსები აცხოველებენ, ვიდრე თვით დიდი მასწავლებელნი და მისი კრიტიკული მიმდევარნი.

.მეც ვიყავ ერთხელ გატაცებული სოციალიზმისა და კერძოდ ანარქიზმის დიადი იდეალითა, რომელიც არის მთელი კაცობრიობის გარდაქმნა და სრულიად ახალ საფუძველზედ დამყარება მისი ცხოვრებისა. მაგრამ ჩემს ახალგაზრდობაში ეს იდეალი მე მივიღე მზად, რუს და ევროპიელ მწერალთაგან, რუს და ევროპიელ მეგობართაგან, აგრეთვე იმ ქართველ მეგობართაგან და ამხანაგთაგან, რომელთაც ჩემზედ წინადა ჰქონდათ მიღებული ეს იდეალი და ჩემი მეგობარ-მასწავლებელნი იყვნენ.

როდესაც იდეალი ღრმა რწმენად იქცევა, — სიყვარულის საგნად, —იგი კრიტიკას გაურბის. სატრფოს კრიტიკა ესთეტიურის თვალთახედვით არ შეიძლება, — იგი მყისვე სატრფო აღარ არის. სჯულიც აღარ არის სჯული, აღმაფრთოვანებელი და დიდ საქმეთა ჩამდენი, თუ სარწმუნოება კრიტიკის ცეცხლით დასწვი და გონება გააბატონე ღრმა რწმენის გრძნობაზედ, მაშინ ადამიანი ან ინდიფერენტი ხდება, ან სხვა რწმენას იმუშავებს, ან და, თუ გულწრფელობას მოკლებულია, თვალთ-მაქცობა, სწორედ თავის რწმენის სახელით ათას სისაძაგლეს სჩადის სხვა, ქვენა ანგარიშებით, რომელიც ოდნავაც არ ეთანხმება მისგან სიტყვიერად აღიარებულ რწმენასა და იდეალსა. ცხადია, ასეთ რწმენის კაცს სრულიად ურწმუნო ადამიანი სჯობია.

ქართველი, რომელიც ყოვლის მხრით შებოჭვილია, რომელიც ეროვნული სიცოცხლით არა სცოცხლობს, რასაკვირველია სხვაგან ეძებს თავის რწმენის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებელ საშუალებასა. მისი აღზრდა რუსულია, ე. ი. უცხოა, რომელიც არა თუ აკავშირებს მას ეროვნულ წარსულთან და კულტურასთან, არამედ სრულიად უწყვეტს მასთან შემაერთებელ ძაფებსა და აზიარებს სხვა, უცხო, რუსულ ანუ ევროპიულ კულტურულ სფეროს-

თან, — მაგრამ მხოლოდ მახინჯად. ქართველი ევროპის კულტურას სავსებით არასოდეს არ ეზიარება. არ ეზიარება იგი მას არც მას შემდეგ, რაც ჯერ თავისი კულტურა შეითვისა და სულით და გულით დაამთავრა ქართული სულიერი ზრდა. მისი ზიარება მხოლოდ ცალ-მხრივი და უსრულია. ასეთი ზიარება კი ქართველს ვერც ევროპიელად ხდის და ვერც რუსად, თანაც ქართველობას აცლის. და ამგვარად იგი რაღაც უცნაურ ტიპად ხდება, სულიერ არარაობად, რომელიც არც ერთს სოციალურ წრეს აღარ ეკუთვნის და ორგანიულად არ იღებს მონაწილეობას მის ცხოვრებაში. აიღეთ მაგალითად ერთი მხარე ადამიანთა სოციალური ცხოვრებისა, — ენა. ქართველი ინტელიგენტი ქართულ წრეში, სადაც მარტო ქართულად ლაპარაკობენ, საცოდავია, რადგანაც ქართული ნაკლებად იცის, არ იცის რიგიანად აგრეთვე თავისი ლიტერატურა, ქართული ხალხური შემოქმედება და სხვა, — მაგრამ იგი აგრეთვე უცხოა ამავე მიზეზით რუსთა და ევროპიელთა შორისაც. იგი მართლაც „ორთა შუა რამ გამომწყვდეულია".

მთელის საუკუნის განმავლობაში სცდილობდნენ შეეწყვიტათ ძაფი მეხსიერებისა ჩვენს აწმყოსა და წარსულს შორის, ამით სულიერი ცხოვრება ჩვენი ისეთ პირობებში ჩააყენეს, რომ შეგნება ჩვენი ეროვნული ორგანიული ცხოვრებისა, მისი ზრდისა, მისი აწმყო მდგომარეობისა და მომავლის სასურველი მისწრაფებისა— შეუძლებელი ჰყვეს, — და მრავალ ქართველსაც მარტო გვარიღა მერჩა ქართული, ხშირად ისიც ბოლოში შეკვეცილი და „ოვად" გარდაქმნილი; — იგი ცუდ ქართულად მოლაპარაკე და რუსულის არ მცოდნე რაღაც უცნაური, „არც რუსი და არც ქართველი" შეიქმნა და ისე დამახინჯდა სულიერად, რომ ასეთი თავისი მდგომარეობა ნორმალურად ჩასთვალა; — მან ყველა თავის მსგავსად წარმოიდგინა, და ბევრი ვერც კი იგებდა, თუ რა განსხვავება იყო მასა და მაგალითად ფრანგს ან რუსს შორის, რომელთაც ეროვნულ-სოციალურ სფეროში მიუღიათ აღზრდა და ამით არიან მთლიანნი ბუნებანი; მათ იდეალსა და მოქმედებას ღრმადა აქვს ძირი გადგმული საკუთარ ეროვნულ სოციალურ ნიადაგზედ და ამიტომაც მათი სულის-კვეთება ნაყოფიერი და გულ-წრფელია.

მეორეს მხრით, — ქართველი ინტელიგენტიც კაცია, — მასაც აქვს მოთხოვნილება რწმენისა და დიადის იდეალისა, რომელიც უნდა აღიაროს უმაღლეს ჭეშმარიტებად, მთელი თავისი მოქმედება ზედ დაამყნას და უმაღლესი, ადამიანური მიზანი დაისახოს ცხოვრებაში. მისი სული რომ გადამახინჯებულია და დაშორებული სამშობლო ნიადაგს, სამშობლოს პრობლემებსაც ვეღარ აქცევს ყურადღებას, იგი იმისთვის აღარც კი არსებობს, — იგი აღარ არსებობს მისი აზრით აღარც სხვისთვის, აღარც საზოგადოდ, — და მით უმეტეს იგი ითვისებს ან ისეთ იდეალებს, რომელიც პირდაპირ მავნებელია მისი სამშობლოსათვის და მსგავს სამშობლოთათვის, ან და, თუმცა დიადს, მაგრამ ბევრის მხრით შემცდარს. ქართველიც მას კრიტიკულად ვერ მოპყრობია.

თუ დიდ ერთა დიადი წარმომადგენელნი ამ შეცდომებს აღიარებენ, რად უნდა იყოს იგი შეცდომაო, —და არავითარ ყურადღებას არ აქცევს თვით ამ დიდ ქვეყნებში არსებულ აზრთა წინააღმდეგობის მეორე მხარეს, იმ მხარეს, რომელიც არ ეთანხმება მისგან შეთვისებულ იდეალთა. იმ ეპიტეტსაც კი იმეორებს ქართველი, რომლითაც გაცხარებულნი მოკამათენი ერთმანეთს ნათლავენ, მაგალითად საფრანგეთში. მაგრამ იმას კი აღარ ხედავს, რომ ეს მოვლენა ხდება იმავ **ფრანგულ** სოციალურ სფეროში, და ჩვენი ქართველიც, ან ძლიერ

[illegible]ეკვირდება ხოლმე, თითქმის უაზროდ იცქირება, როდესაც ერთ დღეს დაინახავს, რომ ეროვნულმა საერთო ინტერესებმა უცებად ეს მტერნი შეაერთა, ან და აქაც სრულიად უკრიტიკოდ ირჯება და დაეკითხება რომელიმე უკიდურესი პარტიის მოძღვარს და მისი ბუნდოვანი ახსნით კმაყოფილდება. შემდეგ კი თუთიყუშივით იმეორებს მის სიტყვებს.

რამდენი იყო ასეთი მაგალითი ჩვენს ცხოვრებაში და რამდენია დღეს. განა მთელი ჩვენი ძველი ინტელიგენცია რუსული აზრებითა და იდეალებით არ იკვებებოდა? განა მათი რუსული პსიხიკა, ქართულ ნიადაგზედ გადმონერგული, როდისმე სცდილობდა საქართველოში შეექმნა რწმენა სამშობლოს ორგანიულ ეროვნულ ცხოვრების აღდგენისა და განგრძობის აუცილებლობისა?... გარდა ერთ-ორ დიდ-ბუნებოვან ადამიანისა — არავინ და არასოდეს; მთელი მიმართულება რუსულ ეროვნულ მიმდინარეობის ამყოლი იყო, მისი წაბაძვა, ოდნავ ეროვნულ ფერადით შეღებილი, და ამიტომაც მესამეცე წლების ჩვენ მოღვაწეებსაც კი ვერ წამოეყენებინათ საკუთარი ეროვნული იდეალი. თუ რა ვნება მოიტანა უკანასკნელ მოძრაობის დროს ამ რუსულმა მიმართულებამ და ეროვნულ იდეალთა არ-არსებობამ, ამას ყველა გრძნობს ეხლა. როდესაც ხალხი აყვირდა — ძირს ავტონომიაო, — ამისი მიზეზი მარტო ის კი არ იყო, რომ ჩვენში წმინდა რუსული მიმართულების ადგილი საერთაშორისო სოციალიზმის გადამახინჯებულმა იდეალმა დაიპირა, არამედ ისიც, რომ საკუთარი ეროვნული იდეალი ვერ შექმნა ძველმა თაობამ, რომ ეს იდეალიც შემდეგი თაობისათვის, რაც თუ გინდ უკიდურესი სოციალიზმით გატაცებული ყოფილიყოს იგი, აუცილებელი ელემენტი ყოფილიყოს საქართველოში გადმონერგულ სოციალისტურ იდეალისა, მისი აუცილებელი დამატება. მაშინ ინტერნაციონალიზმსაც ისე ყალბად არ გაიგებდნენ ჩვენში, აღარც „ძირს ავტონომია"-ს აყვირებდნენ ხალხსა, არამედ, პირიქით, ყველა ერის „ავტონომია" იქმნებოდა აღიარებული ინტერნაციონალიზმის საფუძვლად. ჩვენში კი ძველმა რუსულმა მიმართულებამ რუსული სული დასტოვა, ახალმა აგრეთვე რუსული სოციალიზმი შეითვისა და წარმოიდგინა იგი ნამდვილ საერთაშორისოდ, — და მოხდა საშინელი სასწაული: საქართველოში ინტერნაციონალიზმი რუსის ცენტრალიზმად გარდიქმნა, — უსოციალიზმოდ და უინტერნაციონალიზმოდ! ეგ რად გინდათ, — დღესაც აბა სად არის ჩვენში ღრმა რწმენა საქართველოს ღირსეულ და თავისუფალ ეროვნულ ცხოვრებისა. ორიოდ კაცის გარდა, წარმოუდგენიათ თუ არა ან ძველებსა და ან ახლებს ურუსოდ ქართული თავისუფლება და ქართული სოციალიზმი. მართალია, ბევრი ჩვენს სისუსტესა და სიძაბუნეს წამოაყენებს არგუმენტად, — არ შეგიძლია უძიძოდ გაძლებაო, — მაგრამ ეს არგუმენტი არ არის, ეს ურწმუნოებაა საკუთარის სიცოცხლისა. მიზეზი ამ ურწმუნოებისა ღრმაა, იგი ასის წლის განმავლობაში და წინადაც ვრცელდებოდა. ხოლო წინად იგი მიზეზი ბრძოლით დაღლილობა და სასოწარკვეთილება იყო, დღეს კი იგი ჩვენი სულიერი მოწყვეტაა საქართველოსაგან უცხოთა მიერ.

რასაკვირველია მიზეზი ჩვენი ინტელიგენციის ასეთის უგზო-უკვლობისა სხვა რამაც არის, — თვით ის შეცდომები, რომლის მსხვერპლნიც გახდნენ დიდ ერთა დიდი ინტერნაციონალისტები.

ვერც ინგლისის დიდმა რევოლუციამ, ვერც საფრანგეთის დიდმა რევოლუციამ, ვერც მთელი საუკუნის განმავლობაში გრიგალივით მქროლავმა ხალხურმა მოძრაობამ მთელს ევროპაში — ვერ გადასწყვიტეს სოციალური სა-

კითხი, ვერ დაამყარეს სოციალური თანასწორობა, რომელიც უმთავრესი იდეალი იყო ყველა დიდ ხალხურ მოძრაობისა. საფრანგეთის რევოლუციამ წამოაყენა უკვე ძლიერ მკაფიოდ ეს საკითხი, შემდეგ კი განვითარებულმა მუშათა კლასმა მთელს ევროპაში იდეალად დაისახა სოციალიზმი და მის პრაქტიკულ განხორციელებისათვისაც თვითოეულ სახელმწიფოში გაშმაგებით იბრძოდა იგი. და როდესაც თეორიულადაც განამტკიცეს სოციალიზმი უდიდესმა მოაზრეებმა მეცხრამეტე საუკუნის პირველს ნახევარშიაც და განსაკუთრებით მეორე ნახევარში, როდესაც სოციალისტური იდეა შეიკრა ყველა ქვეყანაში და შეიქმნა პროლეტარიატის რწმენად, ამ უკანასკნელმაც შეიგნო თავისი ერთი და განუყოფელი ინტერესი და ამაზედ ააშენა თავისი ინტერნაციონალიზმი. ეს ინტერნაციონალიზმი უფრო ღრმა და რეალური იყო, ვიდრე პლატონიური, წმინდა იდეიური და ბუნდოვანი ინტერნაციონალიზმი საფრანგეთის რევოლიციისა.

გატაცება ამ ინტერნაციონალიზმითა მესამოცე წლებიდან დიდი იყო მთელს ევროპაში, მაგრამ რომ თვალი გადავაველოთ მაშინდელ მდგომარეობას, იმ წამსვე დავინახავთ, რომ განსაკუთრებით იმ ერთა შორის იყო ღრმად ფესვ-გადგმული ინტერნაციონალიზმი, სადაც ეროვნული საკითხი გადაწყვეტილი იყო, სადაც ერს, როგორც მთელს სოციალურს ორგანიზმს. საფრთხე არ მოელოდა. ხოლო იმ ერთა შორის, რომელნიც დამონებულნი იყვნენ. —სხვა, კიდევ უფრო ცხოველი და ღრმა მოძრაობა იყო, — ეროვნული მოძრაობა, რომელიც წითელი ზოლივით ეელება მთელს ისტორიას მეცხრამეტე საუკუნისას. ფაქტია, რომ სწორედ ინტერნაციონალიზმით გატაცების დროს განთავისუფლდნენ ევროპაში დაჩაგრული ერები და მხოლოდ განთავისუფლების შემდეგ მოიკიდა ღრმად ფეხი მათ შორის გულ-წრფელმა ინტერნაციონალიზმმა და სოციალიზმმა. იმ ქვეყნებში კი, რომელნიც მონებად დარჩნენ, დღესაც ინტერნაციონალიზმს ეროვნული პრობლემების მხრივ დიდი დაბრკოლება აქვს და ექნება ყოველთვის, თუ ერს სრულიად არ დაუკარგავს სურვილი სიცოცხლისა და დამოუკიდებლობისა. ასეთი ერის კი ინტერნაციონალიზმიც ფუჭია და სოციალიზმიცა.

სწორედ საკვირველია დიდ ერთა მოაზრეთა და თვით პროლეტარიატის ასეთი გატაცება ინტერნაციონალიზმითა. ჯერ ერთი, —მათ არას დროს არ გამოურკვეიათ ნათლად და მკაფიოდ, რა არის ინტერნაციონალიზმი, არ განუსაზღვრავთ არც ერი და არც მისი უფლება; ეს კი აუცილებელი იყო, რადგანაც ინტერნაციონალიზმი ნიშნავს ერთა შორის განწყობილებასა, უფლებრივ და ვალდებულებითს დამოკიდებულებასა. თვით ცნებანი ერისა და მისი უფლებისა აუცილებელია ინტერნაციონალიზმის საცოდნელად. — მათ კი პირდაპირ სთქვეს, — კაპიტალიზმი საქვეყნო შეიქმნა, მთელს ქვეყანაზედ ერთნაირად იტანჯება პროლეტარიატი კაპიტალის უღლის ქვეშ, მაშასადამე ყველა ქვეყნის პროლეტარიატთა შეერთება აუცილებელია, საჭიროა, რომ შეერთებული ძალით დაამხონ კაპიტალიზმი და ახალ საფუძველზედ დაამყარონ კაცობრიობის ცხოვრებაო. ისე ლაპარაკობდნენ, თითქოს კაპიტალიზმის მეტი არა ყოფილიყოს რა კაცობრიობის ცხოვრებაში; ისე მსჯელობდნენ, თითქოს ეკონომიური ჩაგვრა ყოფილიყოს ერთად-ერთი ფორმა ადამიანისაგან ადამიანის ჩაგვრისა, და ეროვნული წამება კი არაფერი მასთან შედარებით. —ცხოვრებამ სრულიად სხვა გვაჩვენა: ევროპისა და სხვა ქვეყანათა ისტორიამ დაამტკიცა, რომ ეროვნული ჩაგვრა კიდევ უარესია, და თვით პროლეტარი არ იქნება ნამდვილი ინტერნაციონალისტი და სოციალისტი, სანამ თავიდან არ მოიშორებს სხვა

ქვეყნის ბატონობასა. მეორე, —თვით ამ დიდ ერთა შორის რომ იყო ეროვნული კითხვა გადაწყვეტილი, ანუ უკეთ ესთქვათ, არც კი არსებობდა, ყველას რომ ამ მხრით გული საგულესა ჰქონდა და მთელი თავისი ენერგია შინაგან სოციალურ პრობლემის გადაწყვეტას მიაქციეს, — სხვებსაც, დამონებულთაც იგივე მოსთხოვეს, და როდესაც შეუძლებელი ვერ აღასრულა დამონებულმა,— იგი გაჰკიცხეს, დაჰგმეს, შესწამეს შოვინიზმი და სოციალიზმის ღალატი, ნაციონალიზმი მხოლოდ ბურჟუაზიის მისწრაფებად, მის ხრიკებად და მის სასარგებლოდ მიმართულ მოძრაობად გამოაცხადეს. მაგრამ რომ შესაძლებელი ყოფილიყოს მაშინ პოლიტიკური დამოუკიდებლობის მოსპობა ამ დიდ ერთა, მაშინ ვნახავდით, რას იტყოდნენ იგივე უკიდურესი ფრანგი ან ინგლისელი სოციალისტები და ინტერნაციონალისტები! ჩაუფიქრდებოდენ მაინც თავიანთ შემცდარ თეორიებსა და შეიძლება მაშინ მაინც გაერკვიათ ნათლად, რას ნიშნავს ინტერნაციონალიზმი, ეწინააღმდეგება იგი ნაციონალიზმს, თუ არა, ან რა დამოკიდებულებაში არიან ურთი-ერთ შორის სოციალიზმი და ნაციონალიზმი.

მაშინ იგინი შეიმუშავებდნენ ერის თეორიასაც და კაცობრიობის გარდაქმნის თეორიას მარტო -ეკონომიურ მოვლენათა ანალიზზედ არ დაამყარებდნენ. მაშინ მათ თვალში ერის სიცოცხლე იქმნებოდა სიცოცხლე კონკრეტულ სოციალურ ორგანიზმისა, ხოლო ეკონომიური ცხოვრება, — ერთი მისი მხარე და რადგანაც სოციალიზმი მათივე თეორიით საზოგადოების ეკონომიურ საფუძვლის შეცვლაა, მაშასადამე შინაგანი ერთი რეფორმათაგანი, — მათი ნაციონალიზმიც აღარ დაუპირდაპირდებოდა სოციალიზმს, როგორც მთელი ნაწილსა, მაშინ ნაციონალიზმი იქმნებოდა ერის სიცოცხლის პრობლემა, როგორც ცოცხალ სოციალურ ინდივიდისა, სოციალიზმი კი გარდაქმნა ასეთ ინდივიდის ცხოვრების ერთის, თუ გინდ უმთავრესის წესისა. მაშინ სოციალიზმი და ნაციონალიზმი სულ სხვა და სხვა სფეროში იქმნებოდნენ მათთვის.— მაშინ აგრეთვე ინტერნაციონალიზმი ასეთნაირად კი არ გამოიხატებოდა: არ არის არც ფრანგი, არც ინგლისელი, არც გერმანელი, არამედ არის მხოლოდ მუშა, — რასაც არავითარი აზრი არა აქვს, — არამედ ასე: ფრანგი, ინგლისელი, გერმანელი, ყველა, ვისაც აქვს თავისუფლება და არა აქვს, უნდა განთავისუფლდნენ როგორც გარეგან, ისე შინაგან მონობისაგან და შეადგინონ თავისუფალი კავშირი თავისუფალ ერთა. მაშინ აგრეთვე კაცობრიობაც აღარ წარმოუდგებოდათ კაპიტალიზმის რაღაც მასალად, არამედ სუმმად სხვა და სხვა განვითარების ხარისხზედ მდგარ სოციალურ ორგანიზმთა, რომელნიც, მართალია, ითვისებენ ევროპის კულტურასა და კაპიტალიზმს, მაგრამ მათში ეს კულტურა კიდევ უფრო აღვიძებს ინდივიდუალობასა და ადრე თუ გვიან მოითხოვენ ევროპის ერებთან სწორ-უფლებიანობასა. მაშინ მომავალი კაცობრიობა მათ არ მოეჩვენებოდათ, როგორც ერთად-ერთი სოციალისტური საზოგადოება, არამედ როგორც აწმყოში არ მქონე ერთი საზოგადოებისა, მომავალში კი შემდგარი თავისუფალ, ორიგინალურ და ინდივიდუალობა-დაცულ, სწორ-უფლებიან საზოგადოებათა კრებულად. მაშინ იგინი აღარავის შეაშინებდნენ კაცობრიობის სახელით და აღარ იტყოდნენ — რა არის ერი, განსაკუთრებით პატარა ერი, შედარებით მთელს აწმყო და მომავალ კაცობრიობასთან, რომელიც მალე განახორციელებს ბედნიერებას, სოციალიზმსაო! — რა არის და ის, რაც ყოველი პატარა კაცუნა, რომლის სიცოცხლეს სამართალმა და სიმართლემ ისეთივე პატივი უნდა სცენ, როგორც გენიოსსა, და რომლის სიცოცხლესაც ისეთნაირადვე ვერ შევწირავთ საზოგადოებას, როგორც გენი-

ოსის სიცოცხლესა. მერე რომელ კაცობრიობას! რომელიც დღესაც არ არსებობს სოციალურად, და რომელიც დღესაც კი ბევრისათვის მარტო ევროპა და ამერიკაა, მომავალში კი სათუო და შეიძლება შეუძლებელიც!...

აი ეს დიდი საკითხები და მასთან ბევრი წვრილმანიც სოციალ-ინტერნაციონალისტებს არ გამოურკვევიათ. ხოლო მათგან გავრცელებული ზერელი და ყალბი ინტერნაციონალიზმი წამბაძველობით ამ ხალხებსაც მოედო, ვინც სრულიადაც არ იყო მოგებული ასეთ ყალბ აზრის შეთვისებით. ამით აგრეთვე კიდევ უფრო მტკიცე ნიადაგი გაუჩნდა სწორედ გაბატონებულ ერთა და ბურჟუაზიათა შოვინიზმსა. სოციალისტებმა ისიც კი არ გამოიკვლიეს დაახლოვებით, რომ სანამ მათი ინტერნაციონალიზმი განხორციელდებოდა, —არსებული, ცოცხალი ჩაგრული ერი სულ განქრებოდა გაბატონებულ ბურჟუაზიისა და სახელმწიფოსაგან, და ამით ჩაგრულთათვის სიკვდილის შემდეგ ჰქრებოდა თვით პრობლემა სოციალიზმისა, მის პროლეტარიატის სოლიდარობასაც სხვა პროლეტარიატთან ყოველი მნიშვნელობა ეკარგებოდა. მათ ისიც კი ვერ გაითვალისწინეს, რომ ეროვნული მოძრაობა ყოველთვის სახელმწიფოს წინააღმდეგია, მაშასადამე მათთვის ხელ-საყრელი, წინ-წამწევი ინტერნაციონალიზმის განხორციელებისა.

მაგრამ, საბედნიეროდ, იმ ერებს, რომელნიც ძლიერნი იყვნენ ძალითა და გულით, ასეთმა ინტერნაციონალიზმმა გვერდზე ჩაუარა, ყოველ შემთხვევაში მათთვის მას დიდი ვნება არ მოუტანია. ხოლო ჩვენსავით სუსტთა შორის არა სასურველი ნაყოფი გამოიღო. ჩვენში მან რამოდენიმედ რუსეთის რევოლუციასაც ავნო, რადგანაც რუსეთის ბიუროკრატიულ სახელმწიფოს ისეთი მტერი არა ჰყოლია საქართველოში, როგორიც იყვნენ და არიან დღესაც პოლონეთი და ფინლანდია. ჩვენი სოციალიზმი უქვეშევრდომილეს გრძნობებს უცხადებს რუსის სოციალიზმს, **რომელიც ფიქრადაც არ გაივლებს უარ-ყოს რუსის სახელმწიფოებრივობა და შეზღუდოს მისი საზღვრები,** — სწორედ ისე, როგორც ჩვენი თავადაზნაურობა რუსეთის მთავრობასა. ამასვე რომ სჩადიოდეს პოლონეთი, ფინლანდია, უკრაინა და სხვა, — რასაკვირველია არ იქმნებოდა რუსეთში არც ერთი ჭკვიანი სახელმწიფო კაცი, რომ ტაში არ დაეკრა ამ საკვირველ ინტერნაციონალისტ-სოციალისტთათვის და ჩუმად მაინც მფარველობა არ გაეწია. მაგრამ მათ საუბედუროდ მარტო ჩვენ გამოვედით ასეთი „ჭკვიანები" და გულ-წრფელი ინტერნაციონალისტები და სოციალისტები, ჩვენი ძალა თუ უძლურება კი რუსის სახელმწიფო კაცისათვის აბა რა ანგარიშში ჩასაგდებია. — აბა მთელი კავკასია იყოს საქართველო, ან არა და აბა მთელი კავკასიის ერები გამოვიდნენ ერთად და ან ლოიალობა გამოუცხადონ რუსეთს სოციალიზმის სახელით, ან მასთან სწორ-უფლებიანობა მოითხოვონ,— და მაშინ ვნახავთ, როგორ გვაქებენ და თავზედ ხელს დაგვისმენ შორს გამჭვრეტი პლეხანოვები და მილიუკოვები, — შეიძლება სტოლიპინებიც,— პირველ შემთხვევაში და როგორი წყრომით დაგვემუქრებიან მეორე შემთხვევაში.

ასეთმა გაურკვეველმა და ყალბმა ინტერნაციონალიზმმა საშინელი შოვინიზმი დაბადა სოციალისტურ პარტიათა შორის, —სრულიად წინააღმდეგი რამ მოიმკო. ორი რამ იყო ამის მიზეზი: ერთი ის, რომ გაბატონებულმა ერებმა ისეთი ინტერნაციონალიზმი აღიარეს, რომელიც ბოლოს და ბოლოს მათთვის გამოდგა ხელ-საყრელი და არა დამონებულთათვის. ამით მათ უნებურად განმტკიცეს თავიანთ ერის ისტორიის უსამართლობანი და დააკანონეს თავიანთ სახელმწიფოთა **საზოგადო** უსამართლო პოლიტიკა სხვა ერთა მიმართ. მეორეს

მხრით დაჩაგრულ ერთა შორის კანონიერი რეაქცია გამოიწვია ასეთმა ყალბმა ინტერნაციონალიზმმა და კიდევ უფრო განაძლიერა ნაციონალიზმი, როდესაც თავიანთ უფლებათა აღიარება მოწინავე ინტერნაციონალისტ-სოციალისტთა შორისაც ვერაკინ ნახა. ამიტომაც დიდ სახელმწიფოებში, განსაკუთრებით გერმანიაში და რუსეთში, სოციალისტური პარტიები ბოლოს და ბოლოს უკვე შეგნებულად შოვინისტებზედ უარესნი გახდნენ, და საკმარისი იყო, რომელიმე დაჩაგრულ ერს ხმა ამოეღო თავის უფლებათა დასაცველად, რომ მყისვე ქვა და გუნდა მიეყარათ და სწორედ იგი მოენათლად შოვინისტად და ბურჟუაზიის იდეალთა მატარებლად.

მათ პრესსაში, მათ კონგრესებზედ — ყველგან თავს იჩენდა ასეთი შოვინიზმი. გერმანიის ს.-დემოკრატიული პარტია ეხლაც არ აღიარებს პოლონელთა დამოუკიდებლობას, რუსეთის სოციალ-დემოკრატია უარ-ჰყოფს გადაჭრით რუსეთის სხვა ერთა დამოუკიდებლობას. მაშინაც კი, როდესაც პირველად სისტემატიურ პროგრამმას არდგენდნენ, თავიანთ კონგრესსზედ (1903 წ) რუსებმა არა თუ სხვა ერთა დამოუკიდებლობა დაჰგმეს, არამედ მათი ავტონომიაც უარ-ჰყვეს. პროგრესსი საზოგადოდ სოციალისტებისა ეროვნულ საკითხში მით გამოიხატა, რომ ეროვნული ენის და კულტურის თავისუფლება აღიარეს, მაგრამ ეს უფრო უბრალო პოლიტიკანობაა, რადგანაც მათ ძლიერ კარგად იციან, რომ გაბატონებულ ერის სახელმწიფოში შეუძლებელია ნამდვილი თავისუფლება დაჩაგრულთა ენისა და კულტურისა: უნდა დაიშალოს თვით ეს სახელმწიფო და თვითოეულ ერს სრული თავისუფლება უნდა მიენიჭოს, — აი როგორ გადაწყდება საკითხი ეს პრობლემა, — **ამაზედ კი სოციალისტები თავის დღეში არ დასთანხმდებიან.**

მხოლოდ იმ ქვეყნებში იყვნენ იძულებული სოციალისტები მიექციათ ყურადღება ეროვნულ საკითხისათვის, სადაც ბევრი ერი იყო და რაოდენობითი განსხვავებაც მათ შორის არც ისეთი იყო, როგორც მაგალითად გერმანელთა და პოლონელთა შორის. ასეთი ქვეყანა ავსტრიაა, და სწორედ აქ ეცადნენ სოციალისტები პრაქტიკულადაც და თეორიულადაც განეხორციელებინათ ერთა სწორუფლებიანობა. პერნესტორორფერი, ოტტო ბაუერი, რუდოლფ შპრინგერი და სხვანი მთელ თავიანთ ანალიზის ნიჭს ხმარობდნენ, რომ დაემტკიცებინათ სოციალიზმისა და ნაციონალიზმის თანხმობა: აღნიშნეს მოვალეობა პროლეტარიატისა, ყურადღება მიექცია მას ეროვნული საკითხისათვის და გადაეწყვიტა იგი სწორედ სოლიდარობის სახელითა. ცხოვრებამ აიძულა ასეთი რამ მოემოქმედნა ავსტრიის სოციალიზმსა. ჩეხთა, პოლონელთა და სხვა ერთა ძლიერება იყო ის ძალა, რომელმაც აამოძრავა პარტიის აზრი, აგრეთვე ამ ერთა მოზრდილი რაოდენობა, თორემ გერმანიაში, სადაც გერმანელი განუსაზღვრელად ბატონობს, ან რუსეთში, სადაც რუსის ერს ცენტრალური ადგილი უჭირავს და მეტიც არის ბევრით ყველა სხვა თვითოეულ ერზედ,—სოციალიზმს თავის დღეში არ დაედება ავსტრიული ელ-ფერი. ამისათვის ან რუსის სოციალისტების ძირითადი მორჯულებაა საჭირო, რაც შეუძლებელია,— რადგანაც იგინი გერმანელთა წამბაძველებიც არიან და რუსის დიდი ერის შოვინისტებიც, — ან და მთელი პოლონეთისა, ფინლანდიისა, უკრაინისა და სხვათა პირდაპირი ეროვნული გამოლაშქრება.

არის მეორე ნაწილი უკიდურეს ინტერნაციონალისტთა. ესენი არიან უკიდურესი ანარქისტები და ფრანგ ჰერვეს მსგავსი სოციალისტები. მაგრამ მათი თეორიები კრიტიკას ვერ უძლებენ სრულიად. დედა-აზრი მათი თეორიისა ის არის, რომ ერი სრულებითაც არ არსებობს, თუ არსებობს, —ეს მოგონი-

ლი რამ უაზრობა არისო. მაშასადამე არც საზღვრებია საჭირო, არც ენას აქვს მნიშვნელობა, არც მთავრობას, — სულ ერთია პროლეტარიატისათვის რა ენაზედაც ილაპარაკებს, სულ ერთია მისთვის, — გერმანული მთავრობა იქმნება საფრანგეთში თუ ფრანგულიო, და სხვა ამგვარები. მაგრამ ასეთნაირად გადაწყვეტა საკითხისა შეიძლება ანტიმილიტარისტულ აგიტაციისთვის იყოს საპირო, ხოლო თეორიული სიმტკიცისა და მეცნიერებისა მას არა სცხია რა. მის მაგივრად, რომ ერის თეორია შექმნან, — პირდაპირ უარ-ჰყოფენ მის არსებობასა და იგი რაღაც მოგონილად მიაჩნიათ, — მაგრამ ასეთივე რიხით შეგვიძლია უარ-ვყოთ ინდივიდის არსებობა, ან იგი ილუზიად მივიჩნიოთ, როგორც ამას ბევრი სკეპტიკი სოფისტი სჩადიოდა, და აქ რა იქმნება მეცნიერული ან ფილოსოფიური! —შეიძლება სულ ერთი იყოს, რა ენაზედაც უნდა ილაპარაკოს ფრანგის პროლეტარმა, — გერმანულად თუ ფრანგულად, — მაგრამ დღეს რომ ფრანგი გერმანულად აალაპარაკო, — იგი ხომ გერმანელი იქმნება და ამით განა ერი, ეროვნება ისპობა?—ან იქნებ მათ იმედი აქვსთ ერთი რომელიმე საკაცობრიო ენის შექმნისა, მაგრამ აქაც რომ არავითარი მეცნიერული მოსაზრება არ წამოუყენებიათ, არავითარი ანალიზი არც კაცობრიობისა, არც ენისა საზოგადოდ, და არც კონკრეტულ ენათა გავრცელებისა ან მათი რიცხვის დაკლების ისტორია? — მთავრობა სულ ერთიაო, — მაგრამ გერმანიის რკინის ხელი რომ დღეს საფრანგეთს დაეწვეს, ხომ აჯანყდა მთელი საფრანგეთი, ხომ მთელი თავისი ენერგია მასთან ბრძოლას მოანდომა — ის ენერგია, რომელიც დღეს სოციალიზმზედ იხარჯება, — და მაშინ რეგრესსი არ იქმნება ერთი იმ ქვეყნისა, სადაც ყველაზე მეტად არის განვითარებული სოციალიზმი? — ამასაც აღარ ფიქრობენ ეს ზერელა სოციალისტ-ინტერნაციონალისტები, რომელთაც დიდი ფიქრი არ უყვარსთ დიდ საკითხთა გადასაწყვეტად.

ხანდახან ამ ჯურისა და სხვა ინტერნაციონალისტებსაც არგუმენტად ის მოჰყავსთ, რომ არ მოიპოვება დღეს არსად წმინდა ერიო. საფრანგეთის ხალხი ათას რასისაგან შესდგება, იგი ათასის ხალხის ნარევიაო. მაშასადამე ერის არსებობის კრიტერიუმიც არ არის, არ არის თვით ერიო!

აი, სწორედ ეს არის მათი მეცნიერული ბანკროტობა! საქმე სწორედ იმაშია, რომ ერი, მიუხედავად იმისა, რომ იგი სხვა და სხვა რასის და ხალხის ნარევია, სულიერი ერთეულია, სოციალური ორგანიზმი, ნამდვილი საზოგადოებრივი ცოცხალი არსი. ერი ეთნოგრაფიული ცნება კი არ არის, არამედ სოციალური. და ასეთი ადამიანები, ვისაც ეს ორი ცნება ვერ გაურჩევია, „მეცნიერების სახელით“ აქარწყლებენ ყველა ერის თვით არსებობასაც კი! — რამდენჯერ მსმენია, როგორი რიხით ამტკიცებდნენ ისინი ამ სრულიად უსაფუძვლო აზრსა და ბევრი განათლებული კაცი კი მათ ტაშის ცემით აჯილდოვებდა.

არ ვიტყვით, შეიძლება მათი მნიშვნელობა სხვა მხრით იყოს დიადი, — ხალხში რევოლუციონური სულის გასამტკიცებლად და სოციალისტურ იდეალთა გასავრცელებლად, მაგრამ მათი თეორიული საფუძველი ინტერნაციონალიზმისა რომ არარაობაა, — ეს ცხადი და უეჭველია. მაგრამ მათი გავლენა დღეს ნაკლებია, ვიდრე იმ ზოგიერთ ინტერნაციონალისტთა, რომელთაც დაახლოვებით სწორად ესმით ინტერნაციონალიზმი, და აგრეთვე ვიდრე შოვინისტ დიდ ერთა სახელმწიფო სოციალისტურ პარტიათა.

ასეთი იყო მიმართულება სოციალისტურ-ინტერნაციონალიზმისა დასაბამიდან დღემდე, — მისი საზოგადო მიმდინარეობა რომ ავიღოთ და ყურადღე-

ბა არ მივაქციოთ ოდნავ საწინააღმდეგო განდგომათა ამ საერთო მიმართულებისაგან.

ქართველი ჩავარდება ხოლმე ამ საზოგადო იდეათა მორევში და უმეტეს შემთხვევაში ვერავითარ ორიგინალურ კრიტიკას ვერ უწევს ამ მიმართულებასა. იგი ან სხვისი კრიტიკით კმაყოფილდება, ან დოგმატიურად ირწმუნებს ხოლმე ამ უკიდურესს სხვისი შოვინიზმის თეორიებს, რომელიც მას გულწრფელ სოციალიზმად ეჩვენება. ორივე შემთხვევაში იგი შეიძლება გულწრფელის. მაგრამ ყალბი მოძღვრებით ჩამოდის ჩვენში. მას ფიქრადაც არ მოსდის ყოველივე ამის განსჯა თავისი ქვეყნის მდგომარეობის თვალთახედვით, და იმას კი აღარა ფიქრობს, თუ როგორი იქმნება ჩვენში შედეგი მისი ყალბი იდეალის მუშაობისა. არ იხილავს იგი ქართული თვალთახედვით ამ თეორიებსა, რადგანაც ქართული ცხოვრებით არას დროს არ უცხოვრია, — და განა მარტო სოფელში ცხოვრება და გლეხებთან ლაპარაკია ქართული ცხოვრება: იგი სულიერად განცდაა ქართველი ერის მთელი ისტორიისა, მისი სულის კვეთებისა და მის მისწრაფებათა. რასაკვირველია ასეთი ადამიანი იდეალს შეითვისებს იდეალისათვის, უფრო თავის საკუთარ სულიერ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. უცხოეთში შეთვისებული იდეალიც მას ჰეშმარიტება ჰგონია ყოველ კერძო შემთხვევისათვის, და თუ ქართული წარსული და თანამედროვე ცხოვრება ოდნავ მაინც არ ეთანხმება ამ უცხოეთში შეთვისებულ იდეალს, — თამამად და გულ-წრფელად წამოიძახებს, — წარსული მეზიზღება და აწმყო მეჯავრებაო! გულ-წრფელადვე მას ასეთი ყოვლად უაზრო სიტყვა სოციალიზმის რწმენის განმტკიცებად მიაჩნია, იდეალის სამსახურად!..

დიახ, როგორც ზემოდ ვამბობდი, ერთხელ მეც შეესცურე ასეთ მორევში. რუსეთშიაც ვსცხოვრობდი და ევროპაშიაც. მეც შევითვისე გულ-წრფელად ეს იდეალები. მეცა მწამდა იგი უკრიტიკოდ და ბრმად. მეც ჯერ მარქსისის, ენგელსისა და კაუცკისა, მერმე ბაკუნინისა, კროპოტკინისა და რეკლიუს იდეალები და თეორიები თითქმის სარწმუნოების სიმბოლოდ მიმაჩნდენ, თუმცა ამ უკანასკნელთ უფრო კრიტიკულად ვექცეოდი. მაგრამ გულის სიღრმეს მაინც რაღაც მძიმე და გამოურკვეველი ტანჯა მიწვავდა. ეს რაღაც გამოურკვეველი გრძნობა ყოველ ზემოხსენებულ ჯურის ქართველს აქვს; ეს ძალიან კარგად ვიცი, რადგანაც თვალ-ყური მიდევნებია მათთვის და ვიცნობ თითქმის ყველა მათგანს, ვისაც თავი განუწირავს საქართველოში სოციალიზმისათვის. მხოლოდ დაკვირვება და ანალიზი უნდა ამ გრძნობასა, შემდეგ ფიქრი, დიდი ფიქრი და ტანჯვა, რომ ამ გრძნობის მიზეზთა კვლევამ კრიტიკა გამოიწვიოს შეთვისებულ და შესისხლ-ხორცებულ იდეალთა, — კრიტიკა მიუდგომელი და ცივი, რომლის მიზანიც უნდა იყოს ჰეშმარიტების გამორკვევა თავის თავისათვის და მაზედ აგება ახალი რწმენისა; ვერავითარი შიში ძველ იდეალთა დაკარგვისა ვერ უნდა ჰბოჭავდეს ადამიანს ასეთის კრიტიკის დროს, თორემ იგი მუდამ ბრმად ივლის, მისს სიბრმავეს კი შეიძლება ცოცხალ ადამიანთათვის, ცოცხალ ერისათვის დიდი ვნება მოჰყვეს, **ეს კი წინააღმდეგი უნდა იყოს არა თუ სოციალისტურ, არამედ უფრო მდაბალ იდეალისაც, რადგანაც ცოცხალ არსისადმი მიყენებული ვნება და ტანჯვაა ბოლოს და ბოლოს დანაშაული მისის წმინდა სახითა.**

თუმცა შევითვისე უკიდურესი და უკეთილშობილესი სოციალისტური და ანარქისტული იდეალები, მაგრამ ის მძიმე ლოდი მაინც მაწვა გულზედ, რომელიც ყველას აწევს ხოლმე, — ყველას, ვისაც შემცდარი ინტერნაციონალიზმი ბიუღია უკანასკნელ საკაცობრიო ჰეშმარიტებად და თანაც ყრუდა გრძნობს,

რომ იგი დამღუპველია მისი ერისა, მაშასადამე მისი საკუთარი ინდივიდუალობისაც.

ეხლა რომ ეუკვირდები, რუსეთში არა მინახავს რა ორიგინალური, გარდა ბრმა წამბაძველობისა და უვიცობისა ჩემს ამხანაგთა შორის. ვინც „დიდებად“ ითვლებოდნენ, მათთვისაც დამიგდია ყური, წამიკითხავს მათი თხზულებანი და იქაც არა მინახავს რა მაინც და მაინც ორიგინალური, თუმცა ისიც მწამდა, რომ მათ უეჭველად უნდა გადმოეღოთ ევროპიელებისაგან მზა მზარეული „ერთად-ერთი ჭეშმარიტი“ მეცნიერება და არც კი უნდა ჰქონოდესთ უფლება გადაესხვაფერებინათ იგი თავიანთის გონებითა. ვადევნებდი თვალ ყურს მათ ჟურნალებში სხოლასტიურ მსჯელობას მარქსიზმის შესახებ და მეც, რასაკვირველია, ორტოდოქსები მეგონენ ჭეშმარიტების ერთად-ერთი მატარებელნი, სხვები კი თითქმის დამნაშავენი. როდესაც პირველად წავიკითხე ბელტოვის «К Вопросу о Развитии Монистического Взгляда на Историю». ასე მეგონა მიხაილოვსკი და ყველა მისი მიმდევარი მართლაც რაღაც საცოდავი ხალხია და ბელტოვის თავშია მოთავსებული მთელი მეცნიერება მეთქი. როგორ გავკვირდი, როდესაც რუსეთიდან დაბრუნებისას ჩემს ძმასთან მქონდა ლაპარაკი ამ წიგნის შესახებ და იგი სცდილობდა დაემტკიცებინა ჩემთვის, რომ ბელტოვს, რასაც ბევრს არა ყვიროდა ბუნების მეტყველებაზედა და ფილოსოფიაზედ, იმდენი მაინცა და მაინც არც ერთის გაეგებოდა რამ და არც მეორისა!..

ევროპაში რომ ჩავედი, უპირველეს ყოვლისა მოვკიდე ხელი სოციალიზმის წმინდა ავგუსტინის, მარქსის სწავლასა, თუმცა აქაც მქონდა წაკითხული. ყველა დიდ მოციქულს მოვუსმინე. გადავიკითხე მათი სახარებანი, მაგრამ თანაც სამი რამ მიძრავდა ეჭვს: ერთი ის იყო, რომ საზოგადოებრივი მეცნიერება, ეს უდიდესი შტო ადამიანის ცოდნისა, ევროპაში ძლიერ განვითარებულია და მარტო სოციალისტები არ ეწევიან მის კულტურასა. პირიქით, არა სოციალისტები უფრო ღრმადაც და მრავალ-მხრივადაც ავითარებდნენ სოციოლოგიის მეცნიერებასა. მე ამასაც ვადევნებდი თვალ-ყურს შეძლებისა და-გვარად. მეორე ის იყო, რომ მარტო მარქსი და ენგელსი არ იყვნენ სოციალიზმის წარმომადგენელნი, არამედ აუარებელი პავლე მოციქული და წმ. ავგუსტინი ყოფილა ევროპის სოციალიზმისა. სენ-სიმონიდან და კიდევ უფრო ადრინდელ ავტორებიდან დაწყებული ახალ სოციალისტებამდე გადავიკითხე მათი თხზულებანი, უმთავრესნი მაინც: გავეცანი სოციალიზმის ისტორიას, ინტერნაციონალს. გავიგე რომ იქ მეორე უფრო სიმპატიური, უფრო მომქმედი და კეთილშობილი მოძრაობა ყოფილა, — ანარქიზმი, რომლის უდიდესნი წარმომადგენელნი იყვნენ ბაკუნინი და შემდეგ კროპოტკინი და ელიზე რეკლიუ. ყველაზედ უფრო კი იმან დამაფიქრა, რომ ყველა სოციალისტი. ევროპაში ეროვნულ ნიადაგზედ მოქმედებს, — განსაკუთრებით პარლამენტარისტები, რომლებიც ეროვნულ კანონმდებლობაში იღებენ მონაწილეობას, მაშასადამე პრაქტიკული სოციალიზმი მათთვის შინაგან, საკუთარ სოციალურ ორგანიზმის გაუმჯობესებით გამოიხატება. ისიც ნათლად დავინახე, რომ ეს სოციალისტური პარტიები უმთავრესად შოვინისტებიც კი იყვნენ და იცავდნენ ეროვნულ ინტერესებს, სხვა პატარა დაჩაგრულ ერებს ანგარიშშიაც არ იღებდნენ და არც აღიარებდნენ მათ თავისუფლებას. ხოლო ინტერნაციონალიზმი მათთვის უფრო ყვირილი და დემონსტრაცია იყო, ვიდრე რეალური მუშაობის საგანი. იგინი იმდენად იყვნენ ინტერნაციონალისტები, რამდენადაც პროლეტართა შორის კავშირს ამტკიცებდნენ, ხოლო იმდენად არა, რამდენადაც ერო-

ცხელ ინტერესებს ავნებდა იგი. მახსოვს როგორ უარ-ჰყვეს ჰაინდმენმა და ინგლისის ს.-დ.-ებმა ევროპის სოციალისტთაგან შემუშავებული პროექტი ინგლისის ვაჭრობის ბოიკოტისა ინგლის ბოერთა ომის დროს! —უკიდურესთა ინტერნაციონალიზმს, რომელიც არავითარ პირობას არ იღებს მხედველობაში და მხოლოდ „ყვირის“, მაინცა და მაინც დიდი გავლენა არა ჰქონდა. ყოველისფერი ესე თვალით ვნახე, და პირველად მივხედი, — რომ სოციალიზმიც ეროვნული საქმე ყოფილა, ხოლო ინტერნაციონალიზმი ყველა ერის საურთიერთო უფლების აღიარება. ამის უარ-მყოფელი ან თვით არის შოვინისტი, ან დაბრმავებული მეთქი. — ვიცნობდი შვეიცარიელ სოციალისტებს, რომელნიც არას დროს არ დასთანხმდებოდნენ გერმანიის, საფრანგეთის, ან იტალიის ბატონობას. ეს პატარა სახელმწიფო, სამი ერისაგან შემდგარი, თავისუფლების თაყვანისმცემელი იყო, მისი სოციალისტები კი სხვებზედ უფრო იცავდნენ ეროვნებასა და რესპუბლიკასა თავიანთ შინაგან სახელმწიფოებრივ სფეროში, მათ „ინტერნაციონალიზმიც“ განხორციელებული ჰქონდათ ამ ერთ მტკაველა ტერრიტორიაზედ. — ვხედავდი მათ უდიდესს კულტურასა. ზედ ჟენევის საზღვარზედ სავოიაა, —იგივე რასა, იგივე ბუნება, რაც ჟენევის კანტონში, ხოლო რა განსხვავება ცხოვრებისა, კულტურისა!—მიზეზი—ერთის მხრით საფრანგეთის ცენტრალიზმი, მეორეს მხრით შვეიცარიის კანტონალური თავისუფლება. ვსთქვი, —გიჟები არიან ჟენეველები ფრანგებს რომ შეუერთდნენ მეთქი? —მეორეს მხრით შვეიცარიის რასა და ბუნების სიმდიდრე საქართველოსაზედ დაბლა იდგა ყოველის მხრით, — ვფიქრობდი, —თუ ამ მწირმა ქვეყანამ, რომელსაც არც ზღვა აქვს და არც მადანთა აუარებელი სიმდიდრე,— კრეტინებიც ბლომადა ჰყავს, — უმაღლესი კულტურა შექმნა ევროპაში პოლიტიკურ თავისუფლების წყალობით, — ჩვენ რაღა ვართ, ვის რა დავუშავეთ მეთქი! — საქართველოდან კი ხმა მოდიოდა, — ჩვენ სოციალ-დემოკრატებს რეზოლუცია დაუდგენიათ, — საქართველოში რუსების გადმოსახლების წინააღმდეგი არა გვაქვს-რაო. სადამდის მივა უკულტურო ადამიანის „ინტერნაციონალიზმი“ მეთქი, ვიფიქრე, და შვეიცარიის მნახველ ოდნავ გულ-წრფელ კაცს, მათ სოციალისტთა მცოდნეს არ შეუძლია კიდევ უარესი არა სთქვას. რუსის კოლონია ჩემ თვალ-წინ იდგა პარიზში და ჟენევაში. თვალ-ყურს ვადევნებდი მათ ცხოვრებას. ვხედავდი პლეხანოვს, — ამ ნამდვილ რუსის ნაციონალისტ პოლიტიკოსს, რომლის პოლიტიკაც ვერ იყო კარგად დაფარული და მით უფრო საზიზღრად მეჩვენებოდა იგი. ვხედავდი ლენინს, — რუსის შოვინისტსა და იმპერიალისტს, იმპერიის საზღვრების დამცველს ს.-დ ების კონგრესსზედ ცნობილი პროგრამმის შემუშავების დროს. ვხედავდი ებრაელებს, რომელთაც გულში ყველას ებრაული განკერძოება ედვა; — ამ ნიადაგზედ ბუნდიც აღმოაცენეს, — ისიც ვნახე, თუ რა დღე დაადგათ ამ ბუნდისათვის რუს ნაციონალისტთაგან; — სიტყვით კი სამშობლოს უარ ჰყოფდნენ ყველასათვის. რა ენაღვლებოდათ, თვითონ რომ არა აქვსთ სამშობლო — სხვებისათვის მით უფრო დიდის რიხით უარ-ჰყოფდნენ თვით ეროვნების პრინციპსა. იქვე კი, იმათვე გვერდით, სიონისტები იყვნენ ერთ აურ ზაურში და „სიონის“ ძებნაში. სრული დარწმუნებული ვარ, ყოველი ებრაელი თანაუგრძნობდა გულში ამ სიონისტებსაც, მხოლოდ ერთის მხრით შიში, მეორეს მხრით უიმედობა არ ანებებდა მათ ერთბაშად, ებრაელურად გასიონისტებულიყვნენ! ვხედავდი ჩერნოვს, ამ ნამდვილს წარმომადგენელს მოსკოველ-თათრულ პოლიტიკისას, რომელსაც სხვა ერთა ავტონომიაც თითქოს სწამდა, მაგრამ მხოლოდ „ტაქტიკურის“ მოსაზრებით რუსის რევოლუციის ინტერესის მხრით,

მაგრამ როცა სხვა ერთა რევოლუციონერებთან განწყობილებაზედ მიდგებოდა საქმე. — ვაჭრობდა. აღვიარებთ თქვენს ავტონომიას, მაგრამ როდესაღ დამ-**ფუძნებელი კრება იქმნება მოწვეული, — თქვენი დამფუძნებელი კრება დამოუკიდებელი არ იქმნება, — იგი უნდა მუშაობდეს სრულიად რუსეთის დამ-ფუძვნებელი კრების კანონმდებლობის სფეროშიო!** — ჭკვიანი პოლიტიკა, არა, მკითხველო, რომ თათრული ეშმაკობა და ცოტა თვალსაჩინო გაიძვერობა არ იყოს?! — ყველას ძლიერ კარგად ვიცნობდი, მაგრამ მათში არც წმინდა სოციალიზმი მინახავს და ინტერნაციონალიზმის მაგივრად უკიდურესი შოვინიზმი ვიხილე! აქაც ყველა თავის საქმეს აკეთებდა, — ზოგი სხვისი ხარჯითაც!..

კაი ხნის ანარქისტი ვიყავ, როცა პარიზში და ჟენევაში თვალ-ყურს ვადევნებდი ასეთ მოვლენებსა. სოციალ-დემოკრატიულმა სოციალიზმმა ვერ მიმიზიდა, რადგანაც ჩემი იდეალი უფრო მაღალი იყო და ანარქიზმი უფრო მაკმაყოფილებდა. იგი უკეთ სწყვეტდა ადამიანის პიროვნებისა და ადამიანთა საზოგადოებრივ ორგანიზაციის პრობლემათა. ამასთანავე ერთის მხრით მარქსიზმის თავის-კერძო შოვინიზმი, მეორეს მხრით სხვა ერთა უფლების უარ-ყოფა, აგრეთვე მათი დოგმატიზმი ზიზღსა მგვრიდა და ამიტომაც სოციალიზმის უმაღლეს მოძღვრებით მინდოდა დამეკმაყოფილებინა სული. მაგრამ აქაც მოვსტყუვდი. ვერც აქ ვნახე სამართალი ქართველმა; მახსოვს, ერთხელ ფრანგულად წერილი დაესწერე ასეთის შინაარსისა: იმ უმაღლესმა მოძღვრებამ, რომელიც ყოველ-გვარ მონობას უარ-ჰყოფს, ყოველ ავტორიტეტს,— ერის უფლებაც უნდა აღიაროს მეთქი. ანარქიზმი საყოველთაო თავისუფლებისა და თანასწორობის მოძღვრებაა, ამიტომ ერი მისთვის ისეთივე წმინდა და ხელ-შეუხებელი უნდა იყოს, როგორც ინდივიდი მეთქი. ამასთანავე ეროვნული მოძრაობა სახელმწიფოთა წინააღმდეგია და ამით მაინც ეთანხმება ანარქიზმსა მეთქი. — გავგზავნე ეს წერილი ანარქისტულ გაზეთში, რომლის რედაქტორიც ერთი წმ. ავგუსტინოვგანი იყო. მაგრამ არ დაბეჭდა. მე განა ის მეწყინა, რომ არ დაბეჭდა, ეს წინდაწინვე ვიცოდი და არც ისეთი ბავშვი ვიყავ უკვე, რომ ჩემი ნაწერის დაბეჭდვა ძალიან გამხარებოდა, — მე ის მეინტერესებოდა,— რას იტყოდა წმ. ავგუსტინი ანარქიზმისა? იცით რა პასუხი მივიღე, როდესაც შევეკითხე? — ნამდვილი ს.-დ.—იული: როდესაც სოციალიზმი განხორციელდება, მაშინ ყოველივე განთავისუფლდება, მაშასადამე, ერიცაო! მაღლობელი ვარ მეთქი, ვიფიქრე გულებაში; —როცა განთავისუფლდება— განთავისუფლდება, ეს მართალია, მაგრამ როდის მოხდება ეგ საყოველთაო განთავისუფლება,— ეს არც შენა და არც არავინ იცის, მანამ კი მე, ქართველი, ვისპობი, ვიტანჯები, ვკვდები — და შენ, უდიდესი მოძღვრების მქადაგებელი, რაღაც იეზუიტურ პასუხს მაძლევ მეთქი!.. ამ აზრმა გამიელვა თავში და გული დამითუთქა. მაშინ მივხვდი, რომ რაც კაცს არ გაწუხებს, — იმაზედ გულ წრფელად არც ჰფიქრობ, თუ გინდ არქი-ანარქისტიც იყო. იმ ჩემ რედაქტორს რა დასცხელს „ერის", როდესაც საფრანგეთი არ განიცდის გერმანელის ქუსლით თელვასა. იგი კიდევ არწმუნებს ყველას, რომ ამ ქუსლის არ ეშინია, მაგრამ აბა გამოსცადოს და მაშინ ენახავდი რა ჰანგზედ დაიწყებდა მღერასა! — გარეშე ერისა ან რომელიმე სოციალური ჯგუფისა არ არის ადამიანის პიროვნება. და როდესაც ერი დამონებულია, პიროვნებაც ილახება, შეურაცხ-ყოფილია მისი სულიერი არსება; ჩემმა რედაქტორმაც შეურაცხჰყო ჩემი პიროვნება, უარ-ჰყო რა მისი არსებობის უფლება ერის უფლების უარ-ყოფითა. ეს კარგად დამანახსოვრდა!

ანარქისტთა შორის მუდამ ვიყავ. იქაც ისეთივე ფანატიზმი, დოგმატიზმი იყო გამეფებული, — თუმცა მუდამ ყვიროდნენ თავისუფლებაზედ და თავისუფალ აზროვნებაზედ. ერის უფლებაზედ ლაპარაკიც არ შეიძლებოდა. მაგრამ იმავე დროს ვამჩნევდი, რომ ანარქისტებიც სხვებსავით ყველგან თავის ეროვნულ საქმეს აკეთებდნენ. სებასტიან ფორს საფრანგეთის კლერიკალებისაგან დახსნისათვის ძეგლი დაედგმის, მაშ საყვედური ეთქმის?!

მხოლოდ ლონდონში მოვისვენე. იქა ვნახე კროპოტკინი, ანარქისტი და სამართლის უფრო გულ-წრფელად აღმსარებელი ყველასათვის, ვიდრე სხვა ვინმე, რეკლიუს თხზულებანი ვიცოდი, მაგრამ აქ გავიგე მის მეგობართაგან მისი იდეალები, ხასიათი მისი სამართლიანი ინტერნაციონალიზმისა, აქვე გავიცანი ქართველი ვარლამ ჩერქეზიშვილი, ჩემ ნაცნობთა შორის ერთად-ერთი ანარქისტი და სოციალისტი, რომელსაც ნათლადა აქვს წარმოდგენილი ანარქიზმიც, ინტერნაციონალიზმიც, უზენაესი საერთაშორისო სამართალიც. მასთან მოვისვენე სულიერად. იგი ერთად-ერთი ჰბედავდა სიმართლის ხმის ამოღებას „ყველა კერპთა“ წინააღმდეგ («Все кумиры долой!»). იგი მოუსვენარი კრიტიკოსი იყო და არის მარქსიზმისა საზოგადოდ. არ ეშინოდა არც ს.-დ — ებისა და არც იმ ანარქისტებისა, რომელნიც უარჰყოფდნენ ერის უფლებასა. მაგრამ იგი ქართველია, — და არა ზემოდ აღწერილი ქართველის ტიპი, არამედ ბევრის მნახველი და ყოველისფრის გამომცდელი, — აი რა არის მხედველობაში მისაღები! — კროპოტკინი არასოდეს არა ყოფილა ერის უფლების წინააღმდეგი. ერთ თავის პატარა წიგნში (Un siècle d'attente) კიდევაც აღიარა იგი პირდაპირ. ეს პატარა ბროშიურა ეხლაც ძვირფასია ჩემთვის. კროპოტკინს არც ისა სწამს, თითქოს საფრანგეთში ეროვნული მთავრობა და გერმანიის ქუსლი ერთი და იგივე იყოს, — წარმოიდგინეთ, ამიტომაც მას ბევრმა ანარქისტმა ნაციონალისტი, ფრანგის პატრიოტი და დემოკრატი უწოდა! ჩემ თვალ წინაც რამდენ პატარა მატრაკვეცა ანარქისტს გაულანძღავს იგი, დემოკრატი არის და ანარქისტულ პრინციპებს უღალატაო და სხვ.—რეკლიუს მეცნიერული თხზულებანი ჩემ ნაცნობს უკიდურესს ანარქისტთა უმეტეს ნაწილს არც კი წაეკითხათ, თორემ მის „გეოგრაფიაში“ პირდაპირ ნახავდნენ, როგორი ინტერნაციონალისტი იყო რეკლიუ, — უარ-მყოფელი ერის უფლებისა თუ აღმსარებელი ყველა რასისა და ყველა ერის თანასწორობისა! დიახ, იგი ამ უკანასკნელი აზრის იყო. მან იცოდა მთელ დედამიწის ზურგზედ ყველა რასისა და ერის ცხოვრება და პატივსა სცემდა ყველასა. —ვ. ჩერქეზიშვილს თავისი სამართლიანი და პირდაპირი აზრისათვის კი უმეტესი ნაწილი გაფანატიკოსებულ ანარქისტებისა აგრეთვე შოვინისტს და ნაციონალისტს, დემოკრატსა და რადიკალს ეძახდა, რასაც ვ. ჩერქეზიშვილი ყურადღებას არ აქცევდა და უმტკიცებდა ასეთის ჯურის მოწინააღმდეგეთ, რომ იგინი ამით მხარს უჭერდნენ დესპოტიზმსა და მონობასა.

მაგრამ, საუბედუროდ, არც კროპოტკინსა და არც რეკლიუს სისტემატიურად არ განურკვევიათ ცნებანი ერისა, კაცობრიობისა, ერის უფლებისა და ინტერნაციონალიზმისა. ისევ ვარლამ ჩერქეზიშვილი ეხებოდა ამ საკითხებს ქართულ პრესაში. პირველი ორის ნაწერებში ბუნდოვანადა სჩანან მხოლოდ ეს ნათელი ცნებანი, მესამე კი წერის გარდა საქმითა და ცოცხალი სიტყვითაც იცავდა სამართლიანობასა. ამ უკანასკნელმაც უფრო ამიხილა თვალი. მასაც ვუძღვნი ამ მცირე შრომასა ნიშნად ჩვენი მეგობრული განწყობილებისა, როგორც ძვირფასს მასწავლებელსა და ჩემი თავიდან ფანატიზმის აღმომფხვრელსა...

ევროპაში შეთვისებულ მოძღვრებათაგან წმინდა იდეალიღა შემრჩა ანარქიზმისა. დოგმები, რომელნიც უსამართლოდ მეჩვენებოდნენ, —უკუ ვაგდე. ამ

წმინდა ანარქიზმის სახელით ვებრძოდი იქაც, რამდენადაც შემეძლო, რუსების ცენტრალისტურ სოციალიზმსა და შოვინისტურ ინტერნაციონალიზმს.

მაგრამ მაინც კიდევ დამრჩა რაღაც ძველ რწმენათაგან. საქართველოში რომ დავბრუნდი, მოძრაობა გაჩაღებული იყო, და მეც ჩემი წმინდა მოძღვრება გამყავდა ხალხში პირდაპირ, — დარწმუნებული ვიყავ, რომ რევოლუციის დროს ხალხი ყოვლის შემძლე იყო, და გამარჯვებისას თუ სოციალიზმს ვერა, მის რასმეს მსგავსს მაინც განახორციელებდა. მეც ანარქიზმის განხორციელების იდეალს ვქადაგებდი იმ იმედით, რომ ხალხის რევოლუციონურ შემოქმედებაში იგი უნდა ყოფილიყო გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი. გული საგულესა მქონდა, — რაღაი ხალხმა გაიღვიძა, — სოციალურ შემოქმედებას აუცილებლად, თავის თავად მოჰყვება ეროვნული თავისუფლებაც მეთქი. და მართლაც თვალითა ვხედავდი ამ ტენდენციას ჩვენში, იმას კი აღარ ვფიქრობდი, რომ ეს პროცესსი ეროვნული განთავისუფლებისა მხოლოდ ბუნებრივად ხდებოდა სოციალურ გარდაქმნასთან ერთად, რადგანაც ეს სოციალური გარდაქმნა თვით იყო ერთის მხრით უცხო კანონის უარ ყოფა. იმას კი აღარ ვფიქრობდი, რომ დამარცხება შესაძლებელია და ხალხს სწორედ რეაქციის დროს უნდა გამაგრება, რომ არ დაჰკარგოს ეროვნული იდეალი, რადგანაც მტერი რეაქციის დროს ქართველებს განსაკუთრებით, როგორც ერს, ისე დაუწყებდა დევნასა. და როდესაც მართლაც დავმარცხდით, —მაშინ ვიგრძენ ჩემი შეცდომა. — დიახაც, თვით მოძრაობის დროს მაინც უნდა განგვემტკიცებინა ეროვნული იდეალი, თუ ძველმა თაობამ იგი ვერ დანერგა. და ამდენი უბედურება აღარ დაგვატყდებოდა თავზედ, რაც დღეს დაგვატყდა. ავიღოთ თუ გინდ ტერრიტორიის საკითხი. ჩვენში მიწის საკითხი განა მარტო აგრარული საკითხია? — იგი ღრმა პოლიტიკური საკითხია. ქართველი ხალხი თუ ტერრიტორიას შეირჩენს, ვერავინაც ვერას დააკლებს, —თუ დაჰკარგავს — იგი მოკვდება. რევოლუციის დროს ეს უნდა შეგვეგნებინებინა ხალხისათვის და დღეს იგი აღარ იტყოდა, — ხაზინა მამულებს ყიდულობს თავადიშვილებისაგან და მუქთად დაგვირიგებს, — მაშ რაღად უნდა ვიყიდოთო! გლეხისათვის და მუშისათვის მარტო ბურჟუა და თავადიშვილი გამოვიყვანეთ მტრად, აგრეთვე მთავრობა, როგორც მისი სოციალური მტერი, — ხოლო იგივე მთავრობა და უცხო ერი მის ეროვნულ და პოლიტიკურ ბუნებრივ მტრად არასოდეს არ დაგვისახავს, და აი დღეს ამისი ნაყოფი,—იღუპება საქართველოს ტერიტორია! — თვით ავტონომიის საკითხსაც რაღაც უხალისოდ ვეპყრობოდი. დიდება ფედერალისტებს, რომ მხოლოდ მათ მიაქციეს ყურადღება ამ საკითხსა, — სხვა სოციალისტები კი მისი დაუძინებელნი მტერნი იყვნენ და მეც პირადად მხოლოდ იმას თუ ვიტყოდი ხოლმე, რომ ავტონომიას რა უჭირს, —ცენტრალიზმს სჯობია მეთქი. — და აი ნაყოფი ჩვენის ასეთის მოქმედებისა, —დღეს სომხები და სხვა ერები, ვინც კაი ხანია მუშაობენ ეროვნულ ნიადაგზედ, მძლავრნი არიან შეგნებით, სიცოცხლით, საშუალებით, — ჩვენ კი ჩვენსავე ქვეყანაში ყველაზედ უფრო საცოდავები ვართ.

დადგა რეაქცია და პარტიები არა თუ ჭკუაში არ ჩავარდნენ, უარესად გადაირივნენ, ფანატიზმი და შეცდომანი განაძლიერეს. სოციალ-დემოკრატები უარესად „გარუსდნენ“ და ეს გარუსება წარმოიდგინეს ინტერნაციონალიზმად. ფედერალისტები ისევ ძალად ახვევდნენ თავზედ თავიანთ ფედერალიზმს სხვა ერებს, თუმცა იგი არც ერთს არა სწამდა საქმით, რადგანაც მათთვის ეს ან გაუგებარია და ან ხელ-საყრელი არ არის. ანარქისტებმა სხვა „სასახელო და საგმირო საქმეებს“ მიჰყვეს ხელი. მაშინ კი სრულიად გამოფხიზლდა ის ნაწილი

ქართველი საზოგადოებისა, ვისაც რაიმე ეროვნული თავმოყვარეობა ჰქონდა და სამართლის გრძნობაცა. ეხლა იბადება ჩვენში რწმენა ეროვნული თავისუფლების აუცილებლობისა, ურომლისოდაც ტყუილი და ყალბია სოციალიზმიცა და ინტერნაციონალიზმიცა. — როგორ ჩამოვრჩით სხვა ერებს. მაგალითად სომხებს! მათ თავიანთ წრეშიაც კაი ხანია განავითარეს ეს რწმენა და მთელს ქვეყანასაც ჩააგონეს, სოციალისტებსაც და არა სოციალისტებსაც, რომ სომხობაც ერია და თან ყველასთან ერთად თანასწორი უფლებაცა აქვს თავისუფალი ცხოვრებისა და განვითარებისა. დღეს მათი დამცველები თვით ევროპიელი სოციალისტები და ანარქისტები არიან!.. — ევროპაში მათაც ვადევნებდი თვალ-ყურს, მაგრამ ჩვენ „სოციალიზმს" მაინც მაღლა ვაყენებდი მათ „შოვინიზმზედ". ეხლა კი ვხედავ, რა დიადი და თავგანწირული მუშაობა გაუწევიათ მათ და რა ფუქსავატები ვყოფილვართ ჩვენ.

ამ სულის კვეთებიდან, ამ ფიქრთაგან და იქვთაგან გამოვიდა ჩემი წიგნაკი. ამაზედ ვყვიროდი, — რიგიანად თუ ურიგოდ ეს სულ სხვაა, — ჩვენს პრესაში სამი წლის განმავლობაში. მეც არა მაქვს პრეტენზიები რამე ახალის თქმისა. — არც ძველი დიდი იდეალებისათვის მიღალატნია. მე არც მოღალატე ვარ ანარქიზმისა. მართალია, თვით სოციალიზმისა და მომავალი ცხოვრების შესახებაც შეიცვალა ჩემი აზრი. ამ შეცვლასაც თავისი მიზეზები ჰქონდა. მაგრამ ეს სულ სხვა საგანია და ამაზედ აქ არ ვილაპარაკებთ. არც კაცის-ჭამია შოვინიზმის თეორიის შექმნას ვსცდილობ. მე მხოლოდ ქართველი ანარქისტი ვარ, მაგრამ გული-საგულეს არა მაქვს: ჩემთვის ეროვნული საკითხი გადაწყვეტილი არ არის, ეს საკითხი კი ჩემი ყოფნა არ ყოფნის საკითხია, ურომლისოდაც არც ანარქიზმი არსებობს, და ამიტომაც მინდა აღვიარო სამართლიანი და კანონიერი უფლება ჩემი არსებობისა, განვამტკიცო იგი ჩემს რწმენაში და ვეცადო საზოგადოდ დავამტკიცო, როგორც შემიძლია, იმავე უფლების სამართლიანობა ყველა ჩაგრულ ერისათვის.

ამისათვისაც დამჭირდა განსაზღვრა ერისა, კაცობრიობისა და ინტერნაციონალიზმისა. ესარგებლობდი შეძლებისა და გვარად თანამედროვე სოციოლოგიური ლიტერატურითა და გამოვიყენე იგი ამ ცნებათა განსასაზღვრელად.

ამ ცნებათა ანალიზის შემდეგ გამოვიყვანე შესაფერი დასკვნა, — რომ შეიძლება იდეალურად ანარქისტი იყო ადამიანი, მაგრამ იმავე დროს იცავდე შენს ეროვნულ საზოგადოებასა, რადგანაც ყოველი ერი კონკრეტული საზოგადოებაა, რომელმაც უნდა განახორციელოს თავის შემოქმედებით სოციალიზმი, შეეკრას თავისუფლად სხვა ერებსა და ამით შექმნას საკაცობრიო ინტერნაციონალი. თუ თვით ერი მოისპო, ისპობა მისთვის მისი შემოქმედებაც, მაშასადამე ანარქიზმიცა და ინტერნაციონალიზმიც. ამიტომაც უწინარეს ყოვლისა თვით ეს ორგანიზმი უნდა იყოს დაცული, და თუ ამ დაცვის დროს ერს ანტიანარქისტული და ანტიინტერნაციონალისტური წამალი დასჭირდა ხანდახან, —ესეც არ უნდა იყოს წინააღმდეგი იდეალისა, როგორც ხშირად ავადმყოფისათვის შხამის მიცემა არ არის წინააღმდეგი მისი ნორმალური ჯანმრთელობისა, რაიცა უმაღლესი მიზანია ექიმობისა.

ამის დამტკიცება იყო ჩემი მიზანი და თუ იგი ვერ შეასრულე, ნურავინ დამძრახავს, — რადგანაც ნათელი მეცნიერებისა და ფილოსოფიისა ჩემს გონებას დიდად ვერ აბრწყინებს. რაცა ვსთქვი — იგი ეთანხმება ჩემს გულსაცა და ჩემს გონებასაც. ამით ვკმაყოფილდები. შეცდომებისა კი, თუნდ თავიდან ბოლომდის შეცდომისა, — არ მეშინიან. — ვინ არა სცდება, რომ მე არ შევცდარიყავ.

ციტატებით არ ამიჭრელებია წიგნი. თვით მოთხრობის ფორმა არ მოითხოვდა აუცილებლად ციტატებსა. ამას გარდა ქართულ სტამბებში ციტატები ისე გადამახინჯებულად რჩება ხოლმე წიგნში, რამდენჯერაც უნდა გაასწოროთ. რომ თითქმის ყოველივე მნიშვნელობა ეკარგებათ.

ვგრძნობ აგრეთვე, რომ თვით ფორმა მოთხრობისა ვერ არის სასურველი, — შესაძლებელი იყო უკეთესი და უმარტივესი ფორმა ამერჩია. ენაც ქართული ვერა მაქვს სასიამოვნოდ სასმენელი. ხშირი განმეორებითაც თავს ეაწყენ მკითხველს, მაგრამ პირველი ორი ნაკლის თავიდან აცილება ჩემს ძალას აღემატებოდა, მესამე კი განზრახ ჩავიდინე, რომ უფრო ნათელ-მეყო ჩემი აზრი.

თბილისს, 12 იანვარს, 1910 წელს.

Bäton

ერი და კაცობრიობა

თავი პირველი

რა არის საზოგადოება?

I

უბრალო ლაპარაკშიაც კი ხშირად ხმარობს ყველა ჩვენგანი სიტყვებს— ერი, სახელმწიფო, კაცობრიობა და სხვა, — მაგრამ მხოლოდ სპეციალისტი სოციოლოგები, იურისტები და პოლიტიკოსები თუ ჩაჰფიქრებიან მათ შინაარსს, მათ მნიშვნელობასა. საზოგადოდ, ძლიერ ცოტას შესძლებია მეცნიერთა შორის ნამდვილის მეცნიერულის სისწორით გაერკვია ეს ცნებანი.

ყოველ შემთხვევაში, ეჭვს გარეშეა, რომ ყველა ზემოხსენებული ცნება ჩვენ აზროვნებაში განუყოფელია რომელიმე საზოგადოებრივი ორგანიზაციისაგან: ჩვენთვის ერიც, სახელმწიფოც, კაცობრიობაც **საზოგადოებანი** არიან, ჩვენ მათ ვერ ვაზროვნობთ გარეშე „საზოგადოებრივობისა", და თანაც არ ვიცით, რომელ მათგანს აქვს ნამდვილად სოციალური შინაარსი, რომელი მათგანი წარმოადგენს ნამდვილ საზოგადოებას. საზოგადოებრივი წესი ადამიანთა ცხოვრებისა ისეთი ხანგრძლივია, ისეთი შორეული წარსულიდან გვაქვს გადმოცემული თანამედროვე ადამიანებს თვით ეს ფაქტი საზოგადოებრივობისა, დღეს საზოგადოებრივი ცხოვრება ისე **გაფართოვდა**, გართულდა, რომ მრავლის უმრავლესს ჩვენგან ვერ გაურჩევია სოციალური შინაარსის მქონე არსი ისეთი არსისაგან, რომელსაც არა აქვს ეს შინაარსი.

ჩვენ შორეულ წარსულ მოდგმათა ცდა, საზოგადოებრივი ცხოვრების წესით განვლილი, ისეთ ინტეგრალურ ნაწილს შეადგენს ეხლა მთელი ჩვენი ზნეობრივი და გონებრივი არსებობისას, — გარდა ამისა კაცობრიობის იმ ნაწილებმა, რომელიც პირველი ხარისხისაა კულტურითა და განათლებით, ისე **ფართოდ** გაიცნო **მთელი ადამიანის სახე**, რომ საყოველთაო საკაცობრიო ორგანიზმის არსებობაც კი წარმოვიდგინეთ, კაცობრიობის წარმოდგენაც ვერ მოგვიხერხებია გარეშე სოციალური ორგანიზაციისა, — **ვლაპარაკობთ კაცობრიობაზედ, როგორც ერთ სოციალურად არსებულ საგანზედ.**

ეს ილლიუზია კაცობრიობისა, თუმცა ილლიუზიაა, მაგრამ კეთილ-შობილური ილლიუზიაა, რომ მას ერთი არა-სასიამოვნო შედეგი არა ჰქონდეს ჩვენ დროში. ამ ილლიუზიის საკურთხეველზედ ვსწირავთ **ეროვნებას**, და იმას კი ალარა ვკითხულობთ, არსებობს თუ არა ნამდვილად ეს კაცობრიობა, როგორც საზოგადოებრივი არსი, და შეეწირება თუ არა მას ეროვნება, ერი, რომელიც შეიძლება კაცობრიობაზედ არა ნაკლები სოციალური შინაარსის მქონე არსი იყოს? ეს კიდევ არაფერი, — ვიკითხოთ, — იქნებ სწორედ ერი იყოს სოციალური სინამდვილე და კაცობრიობა კი მართლა ილლიუზია, ან იდეალი მომავლისა?

ჩვენი წიგნის შინაარსიც ამ პრობლემის გადაწყვეტა იქნება. — შეძლებისა დაგვარად, რასაკვირველია: **რა არის კაცობრიობა და რა არის ერი სოციალური მხრით, საზოგადოებრივი სინამდვილის მხრით? შეეწირება თუ არა პირველს მეორე? როგორია მათ შორის ურთიერთობა, ე. ი. რა ადგილი უჭირავს ერს კაცობრიობაში ეხლა და როგორი ურთიერთობაა შესაძლებელი მომავალში, ან როგორი ადგილი უნდა ეჭიროს ერს მომავალ კაცობრიობაში?** ჩემის ფიქრით უწინარეს ყოვლისა ასეთი პრობლემის გადაწყვეტაა საჭირო, მხოლოდ ამ მხრით შეიძლება მეცნიერული მსჯელობა კაცობრიობასა და ეროვნებაზედ, — მათი სოციალური სინამდვილის მხრით, —თორემ წარა-მარა ხსენება კაცობრიობისა, მისი წარმოდგენის სიდიადით სუსტი ადამიანის გონების გასრესა, მუდმივი, უაზრო უარ-ყოფა ეროვნებისა კაცობრიობის სახელით, რომელზედაც ნამდვილი წარმოდგენა არა აქვს უმეტეს ნაწილს კოსმოპოლიტებისას და ინტერნაციონალისტებისასაც კი, — აგრეთვე ათასნაირი ყოვლად უაზრო და უშნო მსჯელობა კაცობრიობისა და ეროვნების შესახებ იაფ-ფასიან მეტაფიზიკის თვალსაზრისით და ეგრედ წოდებული „ფილოსოფიური განმტკიცებანი" ერისა და კაცობრიობისა, — ყოველივე ეს ყოვლად უნაყოფოა, მას არავითარი მეცნიერული შედეგი არა აქვს, ვერც ჩვენ იდეალებს აფართოვებს და ვერც ანიჭებს მათ უფრო მკვიდრ საფუძველსა, და ხშირად, განსაკუთრებით ჩამორჩენილ ქვეყნებში, როგორც მაგალითად ჩვენში, დამღუპველ პრაქტიკულ შედეგთა წარმომშობია და ხალხური იდეალისა და მისწრაფების გამათახსირებელი და შემრყვნელი.

უპირველეს ყოვლისა უნდა გვახსოვდეს, რომ პრობლემა ერისა და კაცობრიობისა არის პრობლემა წმინდა სოციალური ფილოსოფიისა, მისი საგანი, და არც ერთი სხვა მეცნიერებისა. თუ ბიოლოგიურ მხარეს ან წმინდა ფსიხიურს არ ავიღებთ კერძო ადამიანთა და ყოველი გადახვევა ამ უბრალო ჭეშმარიტებისა თვით პრობლემის დაყენებას აძნელებს და განსაკუთრებით მის გადაწყვეტას შეუძლებელ ჰყოფს. მეცნიერებათა კლასსიფიკაცია ამ შემთხვევაში დიდ სამსახურს გვიწევს ხოლმე, და რამდენი მოაზრის შრომას გაუვლია უნაყოფოდ ამ პრობლემის გადაწყვეტის დროს, როდესაც ეს კლასიფიკაცია არ მიუღიათ მხედველობაში.

დიახ, ჩემის აზრით პატიოსანი და გულწრფელი მსჯელობა იმას გვასწავებს, რომ თუ ვერავითარი სოციალური შინაარსი ვერა ვნახეთ „კაცობრიობაში", მაშინ სულ სხვანაირად უნდა გვესმოდეს ამ სიტყვის მნიშვნელობა, მაშინ ამ უზარ-მაზარი ფეტიშის წინაშე სულ სხვა მსხვერპლი და თაყვანის-ცემა გვმართებს, და არა ისეთი, როგორითაც ეხლა მიმართავენ ხოლმე კაცობრიობას, თუმცა უმეტეს ნაწილად მხოლოდ სიტყვითა და არა საქმით.

ეს კიდევ რა, — ეს ვეებერთელა ფეტიში და მისი სახელი ყოველი საზიზღრობის იარაღადაც კი გადიქცა მრავალ მრუდედ მოაზრე ადამიანის ხელში!

მეორე მხრით თუ კი, სამაგიეროდ, **ერში** ვნახეთ ნამდვილი საზოგადოებრივი შინაარსი, სოციალური სინამდვილე, მაშინ მის წინაშეც გვმართებს სხვანაირი ვალი, მაშინ ისიც სხვანაირად უნდა დავაფასოთ, ვიდრე დღეს ვაფასებთ, განსაკუთრებით ჩვენში, სადაც სიტყვა „ერის" ხსენებაზედ ბრაზი მოსდისთ „კაცობრიობის" მსახურთ, — თორემ სხვა ქვეყნებში თვით უკიდურეს კოსმოპოლიტთა შორისაც ჯერ სულ არ გამქრალა დაფასება და პატივი ერისა და ბევრგან უმწვერვალეს ხარისხამდისაც არის მიღწეული. ყოველივე ეს აუცილებელი დასკვნა უნდა იყოს ჩვენი მსჯელობისა, იმიტომ რომ ადამიანს

უწინარეს ყოვლისა უნდა აინტერესებდეს საზოგადოებრივი ცხოვრების გაუმჯობესება. და როდესაც მისი მსჯელობა ეხება აწმყო ვითარებას, მისი იდეალი — მომავალსა, როდესაც იგი აზროვნობს აწმყოთი მომავალ სოციალურ ფორმებზედ, მან თავის დღეში ხელიდან არ უნდა გაუშვას ის სოციალური საზომი, რომელიც ამ შემთხვევაში ერთად-ერთი საზომი უნდა იყოს, ვინაიდან სხვა საზომები სხვა მოვლენათ შეეხება, სხვა მეცნიერებათა საგნებსა, და არა სოციალურ მოვლენას, რომელიც მას ყველაზედ უფრო უნდა აინტერესებდეს, როგორც მისი საკუთარი შემოქმედება.

ყოველივე ამისათვის საჭიროა გვქონდეს უწინარეს ყოვლისა კრიტერიუმი ჩვენი მსჯელობისა, მთელი ჩვენი ანალიზისათვის. საჭიროა გვქონდეს საერთო საზომი ერისა და კაცობრიობის ცნებათათვის. ეს საზომი კი უნდა იყოს მესამე ცნება, — ცნება „სოციალურისა", რადგანაც კაცობრიობისა და ერის განხილვა სოციალური სინამდვილის მხრით გვწადია. ეს „ცნება სოციალურისა" ასეთ მსჯელობაში ყოველთვის აუცილებელი პირობაა, თავი და ბოლოა, რადგანაც ჩვეულებრივად ყოველთვის ეს ცნება შედის ხოლმე გამოურკვევლად ჩვეულებრივ მსჯელობის პროცესსში, მაშინ როდესაც სწორედ მისი გარკვევაა საჭირო და აუცილებელი თავდაპირველად, მისი გამოურკვეველობა კი მიზეზია უმთავრეს და მრავალ შეცდომისა და მრავალ უკუღმართ დასკვნისა.

განვიხილოთ ეს „ცნება სოციალურისა". ჩვენ რასაკვირველია აქ ამ ფრიად ძნელი საკითხის დაწვრილებით გარკვევას არ შევუდგებით.

პირდაპირი, ზერელე დაკვირვება არსებულ საზოგადოებათა გვაჩვენებს, რომ საზოგადოება არის ადამიანთა შეერთება. ეს არის ის უპირველესი ფაქტი, მარტივი და ყველასათვის თვალსაჩინო, რომელსაც თვითოეული ჩვენგანი შენიშნავს, ხედავს თვალით პირველივე დაკვირვებისათანავე. — შემდეგ, —მეცნიერებამ გაარკვია აგრეთვე თვალსაჩინოდ, რომ საზოგადოება, ეს ადამიანის ინდივიდუალურ ძალთა შეერთება, არის საუკეთესო წესი ადამიანის ცხოვრებისა და განვითარებისა არსებობისათვის ბრძოლაში. იგი ერთი გამოხატულებათაგანია სახეთა შენახვის საყოველთაო კანონისა, და ამიტომაც საზოგადოებრივი ცხოვრება მარტო ადამიანის ცხოვრების დამახასიათებელი კი არ არის, არამედ ცხოველთა სახეთა უმრავლესობის ცხოვრებისაც. მხოლოდ ადამიანმა უფრო განავითარა სოციალური ცხოვრება. სოციალური მოვლენის სპეციფიური ხასიათი უფრო თვალსაჩინო ჰყო ადამიანთა შეერთებამ. საზოგადოდ კი სოციალობა ცხოველებსაც აქვსთ, თუმცა, რასაკვირველია, ცხოველური სოციალობა, თუ შეგვიძლია ვიხმაროთ ეს სიტყვა.

მაგრამ ასეთი განსაზღვრა საზოგადოებისა, როგორც ინდივიდუალურ ძალთა შეერთებისა, ასეთი ზოგადი ცნება სოციალობისა, დამყარებული დღეს სახეთა შენახვის კანონზედ, წინად ეპიკურმა, ლუკრეციუსმა, სპინოზამა და სხვებმაც კარგად იცოდნენ. მაგალითად სპინოზამ აღწერა ყოველივე ესე თავის სახელმწიფოსა და ზნეობის სწავლა-მოძღვრებაში. მან განავითარა ეს თემა თავის „პოლიტიკო-თეოლოგიურ ტრაქტატში" და შემდეგ „ეთიკაშიაც" ვრცლად შეეხო მას. ხოლო ეს განსაზღვრა საზოგადოებისა არის წმინდა მექანიკური, რომელსაც არ შეუძლია მოგვცეს მთლიანი და სწორი წარმოდგენა საზოგადოებისა, — და განსაკუთრებით ადამიანთა საზოგადოებისა, რომელიც გაცილებით უფრო რთული მოვლენაა, ვიდრე ცხოველთა საზოგადოებანი და, საერთოდ ვიდრე ყველა დანარჩენი მოვლენა, რომლის ცნობაც შეუძლია ადამიანის გონებასა.

მართალია, — საზოგადოება, და კერძოდ ადამიანთა საზოგადოება. ეს-
მელიც აქ მხოლოდ გვაინტერესებს, არის ინდივიდუალურ ძალთა შეერთება
საერთოდ არსებობისათვის ბრძოლისათვის და საერთო მოთხოვნილებათა და-
საკმაყოფილებლად, მაგრამ მთავარი საკითხიც ის არის, თუ რაში გამოიხატე-
ბა ეს შეერთება, რითი დახასიათდება იგი? — თუ თვით ამ შეერთების შინა-
არსი არ გამოვიკვლიეთ, მაშინ საზოგადოების განსაზღვრა ბუნდოვანი და არა
რაის მთქმელი იქმნება, რადგანაც ამ „შეერთების" განსაკუთრებული წესი
ხდის ადამიანთა კავშირს სოციალურ ფაქტად. შეერთება ადამიანთა შეიძლება
ბევრ-გვარი იყოს, და ყოველმა შეერთებამ წინააღმდეგ სპენსერის აზრისა უნ-
და გამოსახოს სოციალური ფაქტი. ადვილი შესაძლებელია წარმოვიდგინოთ,
რომ ადამიანები ცოტა ხნით, დროებით შეერთდნენ რომელიმე მცირე ან თუ
გინდ დიდი მიზნის განსახორციელებლად, მაგრამ ამით ისინი თუმცა სრულს,
ხორც-სხმულ საზოგადოებას ვერა, მაგრამ სოციალურ ფაქტს მაინც ჰქმნიან.
ყოველი საზოგადოება არის შეერთება ადამიანთა ძალებისა, თუმცა, პირიქით,
ყოველი შეერთება ადამიანთა ძალებისა არ არის საზოგადოება, როგორც დღე-
გრძელი და რთული ცოცხალი არსი. დროებითი საზოგადოება ადამიანთა ცალ-
კე არ არსებობს, იგი ისევ რთულ საზოგადოებაშია მხოლოდ. მაშასადამე სა-
ჭიროა გავარკვიოთ, ვნახოთ ეს ერთად-ერთი, სპეციალური წესი ადამიანთა
შეერთებისა, რომელიც იქცევა სოციალურ ფაქტად, თვით პრინციპად საზოგა-
დოებათა სიცოცხლისა.

ჩვენის ფიქრით საუკეთესო საშუალება ასეთ ძირითად ცნების აღმოსაჩე-
ნად არის თვით არსებულ საზოგადოებათა განხილვა შემდეგ ნაირად: ფაქტია,
რომ არსებობენ დღეს, როგორც არსებობდნენ წარსულშიაც, სხვა და სხვა სა-
ზოგადოებანი, რომელნიც ურთი-ერთისაგან განირჩევიან კულტურითა, სიერ-
ცითა და სიდიდითა, ხანგრძლივობითა და სხვა. თვითოეულ მათგანს აქვს თა-
ვისი საკუთარი ინდივიდუალობა. მაგრამ იმავე დროს იგინი ემსგავსებიან
ურთიერთს. უამისოდ იგინი ყველანი ერთად ვერ მოთავსდებოდნენ საერთო
ცნებაში — „**საზოგადოება**". ჩვენც მაშასადამე უნდა ვეცადოთ იდეალურად
თანდათან განვდევნოთ მსჯელობიდან საზოგადოებათა შორის განსხვავებანი,
მათი ინდივიდუალური დამახასიათებელი მხარეები, და მივაკვლიოთ მათს იმ
არსებითს ხასიათს, რომელიც აერთებს ყველა საზოგადოებას ერთ საყოველ-
თაო ცნებაში — „**საზოგადოება**". ამ განყენების საშუალებით შეგვიძლია მოვს-
ძებნოთ იგი საერთო ცნება საზოგადოებისა. იგი შეიქმნება მაშინ ჩვენი აზრო-
ვნების განსაკუთრებული საგანი. მაშინ ჩვენ გვექმნება, როგორც ამბობს შტამ-
ლერი, ერთობა დამყარებული საზოგადოებათა ცვალებად ფორმებისათვის, —
ერთობა, რომელიც ყოველთვის ერთი და იგივე, უცვლელი თვისების რჩება,
როგორიც უნდა იყოს რომელიმე საზოგადოება, როგორი ევოლუციაც უნდა
ჰქონდეს მას განცდილი და საითაც არ უნდა მიისწრაფოდეს იგი.

ამ პრობლემის გადაწყვეტა ბევრმა სოციოლოგმა სცადა, მაგრამ ყველას
ჩვენ აქ არ გამოვუდგებით. მივმართავთ მხოლოდ იმ სოციოლოგებს, რომელ-
თა ცდა ჩვენ ყველაზედ უფრო ნაყოფიერადა და ჭეშმარიტების აღმომჩენად
მიგვაჩნია.

ამ მხრით ჩვენ შტამლერი ერთ საუკეთესო სოციოლოგად მიგვაჩნია. მისი
ცდა ამ პრობლემის გადაწყვეტისა ბრწყინვალე იყო მის თხზულებაში: „მეუ-
რნეობა და სამართალი".

აგრეთვე ბელგიელი სოციოლოგი დე-გრეფი მიგვაჩნია მეორე საუკეთესო
დამხმარედ ჩვენის მიზნის მიღწევისათვის.

ჩვენ აქ შტამლერის ანალიზის მეთოდს ვერ მივსდევთ ორი მიზეზის გამო. 1) იგი ძლიერ ძნელი და ნაზია; 2) მისი მოკლედ მოთხრობა ძლიერ ძნელი გასაგები იქმნება ძლიერ ბევრი მკითხველისათვის. 3) ჩვენის ფიქრით შტამლერის დასკვნამდის შეიძლება მივიდეს ადამიანი სხვა გზითაც.

ზემოდა ვსთქვით, რომ ყოველი საზოგადოება არის პირველი შეხედვით ადამიანთა ძალების შეერთება მათ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ამ მიზნითაც მოქმედებენ ადამიანები შეერთებული ძალებით. ვნახოთ ეხლა, სად იბადება სოციალურის ცნების შემადგენელი გული, — „მოთხოვნილებაში", „მოქმედებაში", „მიზან-შეწონილებაში" თუ „ძალთა შეერთებაში".

ცხადია, რომ წინააღმდეგი ცნება საზოგადოებისა არის ცალკე ადამიანი, სხვასთან შეუერთებელი. მოთხოვნილება კი შეიძლება რომ ჰქონდეს სხვასთან შეუერთებელ ადამიანს ისევე, როგორც შეერთებულს, საზოგადოებაში მყოფ ადამიანს. მაშასადამე ცნება „მოთხოვნილება" არ არის ელემენტი, „სოციალურის ცნების" შემადგენელი. შემდეგ, — ცალკე ადამიანს შეუძლია იმოქმედოს თავის მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად ისევე (რასაკვირველია არა ისეთივე ენერგიით), როგორც საზოგადოებაში მყოფ ადამიანს. მაშასადამე ვერც ადამიანის მოქმედება გამოჰხატავს სოციალობას. აგრეთვე მიზან-შეწონილება შეუძლია ჰქონდეს ცალკე ადამიანს თავის მოქმედებაში ისევე, როგორც შეერთებულს სხვა ადამიანებთანა და მაშასადამე ვერც იგი გამოჰხატავს სოციალობას.

ამგვარად ზემოხსენებული სამი ცნება საერთოა ცალკე ადამიანთა და შეერთებულ ადამიანთა ცხოვრების დახასიათებისათვის, და ისინი უნდა გამორიცხულ იყვნენ „სოციალობის ცნების" კვლევის დროს. გვრჩება მაშასადამე ერთი ცნება, — ცნება **ადამიანთა შეერთებისა** ერთად სამოქმედოდ. საერთო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, და როგორც უკვე ვსთქვით, აქ უნდა ვეძიოთ ელემენტი „სოციალობისა".

მაგრამ ჩვენ ზემოდა ვსთქვით, გამოსარკვევი ის არის, — ადამიანთა როგორი შეერთება ნიშნავს სოციალურ ფაქტს? როგორი **შეერთებაა** დამახასიათებელი საზოგადოებისა? ჩვენის ფიქრით უფრო უბრალო მეთოდით შეგვიძლია მივიდეთ შტამლერის დასკვნამდის, თუმცა, რასაკვირველია, შტამლერის მეთოდი უფრო პირდაპირი და უფრო ღრმა არის.

ჩვენ შეგვიძლია პირდაპირ ავიღოთ წარსული და აწმყო. საზოგადოებანი და მოვნახოთ მათი არსების საერთო შინაარსი, — ისეთი ცნება, რომელიც საერთო იყოს ყველა მათ ცვალებად ფორმათათვის, აგრეთვე მიუხედავად მათ შორის არსებულ ინდივიდუალურ განსხვავებათა. ეს ცნება გამოჰხატავს მას, რის მონახვაც ჩვენა გვსურს, — სოციალურ ფაქტს.

როგორიც და რომელიც უნდა იყოს საზოგადოება, — წარსული, აწმყო და მომავალი, მარტივი თუ რთული, პირველ ყოფილი თუ განვითარებული, ნეგრებისა თუ არიელებისა, — უეჭველ ფაქტად უნდა აღვიაროთ, რომ მათში თავს იჩენენ ისეთი მოვლენანი, რომელთაც არავითარი არსებითი მსგავსება არა აქვსო არც ერთ სხვა ბუნების მოვლენასთან. ყოვლად შეუძლებელია ადამიანმა დაამტკიცოს, რომ საზოგადოების წიაღში წარმოშობილი მოვლენა უბრალო შემთხვევა იყოს სხვა რომელიმე მოვლენისა, ან მისი პირდაპირი ერთთვისებიანი განგრძობა, თუმცა, რასაკვირველია, სოციალური მოვლენანი პირდაპირ შეკავშირებულნი არიან იმ მოვლენებთან, რომელთა შემდეგ იბადება სოციალური მოვლენა, — ბიოლოგიურ და ფსიხიურ მოვლენებთან. მაგრამ ეს ორგანიული და ბუნებრივი კავშირი მათი სრულიადაც არ ნიშნავს მათს

ერთსა-და-იგივეობას; როგორც ფსიხიურ მოვლენას ვერ დაიყვან ფიზიოლოგიურ და მექანიკურ მოვლენაზედ, ისე სოციალურ მოვლენას ვერ დაიყვან ფსიხიურსა და ბიოლოგიურზედ. ... ეს არის უკანასკნელი სიტყვა, როგორც კერძოდ სოციოლოგიისა და ფსიხოლოგიის მეცხიერებათა, ისე თანამედროვე ფილოსოფიისა. ფაქტია აგრეთვე ამ განსაკუთრებულ მოვლენათა, — ესე იგი სოციალურ მოვლენათა არსებობა ყველა საზოგადოებაში; ეს არის უეჭველი სინამდვილე, რასაც ამოწმებს მთელი ისტორია წარსულ და აწმყო საზოგადოებათა, — ისტორია, შესწავლილი და გამოკვლეული სრულიად სხვა და სხვა აზრთა და იდეალთა მქონე მწერალთაგან. გარეშე ამ მოვლენათა არა არის რა სოციალური, ამ მოვლენათაგან ვიცით არსებობა საზოგადოებისა, და მათი ანალიზისა, მათთვის ერთ, საყოველთაო მნიშვნელოვან ცნების მონახვის საშუალებით შეგვიძლია დავახასიათოთ მხოლოდ **საზოგადოება**, — თვით არსება საზოგადოებისა.

ამ წიგნის მიზანი არ არის დამტკიცება ამა თუ იმ სოციოლოგიური თეორიის სიმართლისა, არც ერთი თეორიის მეორის წინაშე უპირატესობა გვაინტერესებს, როგორც წმინდა სოციოლოგიური საკითხი, — როგორც წმინდა თეორია; ჩვენ გათვალისწინებული გვაქვს სხვა და სხვა სოციოლოგიური თეორიები და, რასაკვირველია, რამდენადაც ერთი თეორია ჩვენ მეორეზედ უფრო ჭეშმარიტად ან ნათლად მიგვაჩნია, იმდენად ეხელმძღვანელობთ ამ თეორიით ერისა და კაცობრიობის ცნებათა გასარკვევად. ამიტომაც ეხელმძღვანელობთ ჩვენ დე-გრეფისა და შტამლერის თეორიებით, რომლებიც „სოციალურის" ცნებას არკვევენ, რომ შემდეგ მითი ვისარგებლოთ ზემოხსენებულ ცნებათა გამოსარკვევად. ეს არის ჩვენი მთავარი მიზანი.

გ. დე-გრეფის კლასსიფიკაციით არსებობენ შემდეგნი სოციალურნი მოვლენანი: 1) მოვლენანი კვებისა და მსგავსნი ეკონომიურნი მოვლენანი, 2) მოვლენანი გენეზიურნი — შთამომავლობის გაჩენისა და აღზრდის მოვლენანი, 3) მოვლენანი არტისტიულნი — ხელოვნების მოვლენანი. 4) მოვლენანი რელიგიურნი და მეცნიერულნი — სარწმუნოებისა და ცოდნის მოვლენანი, 5) მოვლენანი ზნე-ჩვეულებისა და ზნეობისა — მორალურნი მოვლენანი, 6) მოვლენანი იურიდიულნი — მოვლენანი სამართლის განწყობილებათა, 7) მოვლენანი პოლიტიკურნი.

ჩვენა ვხმარობთ ამ კლასსიფიკაციას, თუმცა არის სხვა კლასსიფიკაციებიც სოციალურ მოვლენათა. არის სხვა-გვარი რიგი ამ მოვლენათა აღნუსხვისა. თუ ჩვენ დე-გრეფის კლასსიფიკაციას ვხმარობთ, — ეს იმიტომ, რომ იგი, ჩვენის აზრით, სხვებზედ უფრო მეთოდიურია. ამ კლასსიფიკაციას ემხრობა შესანიშნავი სოციოლოგი რენე ვორმსიც, თუმცა მრავალი შესწორებით. უნდა შევნიშნოთ აგრეთვე, რომ ეს კლასსიფიკაცია აქ იმიტომ კი არ გვაინტერესებს, რომ იგი მართლაც აღნიშნავდეს ერთი მოვლენის მეორეს წინაშე უპირატესობას, ან თითქოს ერთი მოვლენა მართლაც უეჭველად წინ უძღოდა დროით მეორეს, არამედ იმიტომ, რომ იგი უფრო მეთოდიურად გვიჩვენებს თვით ფაქტს სოციალურ მოვლენათა არსებობისას, რომელთა გარეშე საზოგადოება არ არსებობს. არ არსებობს აგრეთვე არც ერთი ამ მოვლენათაგანი გარეშე საზოგადოებისა. ეს ფაქტი ნამდვილია, არსებული, შემოწმებული თითქმის ყველა მეცნიერისაგან, მოგზაურისაგან, ისტორიკოსისაგან და სხვა მკვლევართაგან. ყოველი კამათი იმის შესახებ, თითქოს არსებობდნენ სადმე ისეთი საზოგადო

ებანი, სადაც ზემოხსენებულნი მოვლენანი სრულიად არ იყვნენ, ან უბრალო გაუგებრობა და უთანხმოება იყო ხოლმე მოკამათეთა შორის რომელიმე ცნების შესახებ. — მაგალითად „რელიგიისა“ ან „ზნეობის“ ცნებათა შესახებ. — ან და ბოლოს აღმოჩნდებოდა ხოლმე, რომ მიზეზი რომელიმე მოვლენის არ-არსებობისა ამა თუ იმ საზოგადოებაში დამკვიდებელისა ან მოგზაურის დაუკვირვებლობა იყო და სხვა არაფერი; მალე აღმოჩნდებოდა ხოლმე, რომ თუ განვითარებული სახისა არა, შთანაჩენების სახით მაინც არსებობდა ყველა ზემოდ-ჩამოთვლილი სოციალური მოვლენა ყველა არსებულ საზოგადოებაში, რაც თუ გინდ ველური ყოფილიყოს რომელიმე საზოგადოება.

მაგრამ მკითხველი შეიძლება დაგვეკითხოს: როგორ შეიძლება საერთოდ „სოციალურის“ ცნების მონახვა და გარკვევა იმავე „სოციალურ“ მოვლენათა განხილვით? ეს ხომ ერთი უცნობი ცნების გარკვევაა იმავე უცნობი ცნებითა, რომლის გარკვევაც უნდა იყოს სწორედ ჩვენი მიზანი? ამა ზედ ჩვენ შეგვიძლია ვუპასუხოთ, რომ მრავალმა ხანმა განვლო, სანამ ენერგიის დაახლოებითი ცნება და განსაზღვრა შემუშავდებოდა ფიზიკაში, მაგრამ კერძო ენერგიანი იცოდნენ და მათი თვისებანი აგრეთვე შესწავლილი ჰქონდათ. მხოლოდ ამ ცალკე ენერგიათა შესწავლით აღმაღლდნენ საზოგადოდ ენერგიის ცნების გარკვევამდისა და განსაზღვრამდის. ერთობა ფიზიკურ ძალთა, ერთობა ენერგიისა მას შემდეგ შეიგნეს, მთელი ფილოსოფიაც შექმნეს ენერგიისა, როცა შეისწავლეს კერძო ენერგიანი: მექანიკური ენერგია, სითბო, სინათლე, ელექტრონი, ქიმიური ენერგია და სხვ. აღმოაჩინეს მათ შორის ექვივალენტური განწყობილება, — მექანიკური ექვივალენტი სითბოსი მაგალითად. —დაამტკიცეს მათ კანონთა მსგავსება, — ელექტრონისა და სინათლისა, მაგალითად.— და სხვ. და სხვ. — აგრეთვე თვით ცოცხალ ორგანიზმზედ მხოლოდ მაშინ იქონიეს ნამდვილი მეცნიერული და ფილოსოფიური საზოგადო წარმოდგენა, როდესაც შეისწავლეს ორგანიზმების ცალკე ორგანოები და ფუნქციები, განსაკუთრებით კი როცა შეისწავლეს უჯრედი, მისი დამოუკიდებელი სიცოცხლე და მისი როლი ორგანიზმის სიცოცხლეში, — როცა შეისწავლეს ეგრედ წოდებული ელემენტარული სიცოცხლე. შემდეგ, — არასოდეს არ იქმნებოდა აბსტრაქტული ცნება ერთისა, ერთეულისა, რომ ადამიანს მუდამ არა ჰქონოდა საქმე მთლიან საგნებთან, განსაკუთრებით მაგარ საგნებთან, რომელთა დანაწილება შეიძლებ და შემდეგ შეერთება და რომელნიც ურთი-ერთისაგან სივრცეში განიყოფებიან და განირჩევიან; მაგრამ იგინი მიუხედავად ყოველნაირ განსხვავებათა ერთმანეთს ემსგავსებიან ერთი თვისებით მაინც, —მთლიანობითა. ამ მთლიანობისაგან წარმოსდგა ცნება ერთისა, ერთეულისა, რომელიც განყენებულად იქცევა, ყველა საგანს შეეხება მიუხედავად მათ კონკრეტულ-ინდივიდუალურ განსხვავებათა. მაგრამ საგნებმა შეაქმნევინეს ადამიანის გონებას ეს ცნება. პუანკარემა სთქვა — მაგარი საგნები რომ არა ყოფილიყო-— არ იქმნებოდა ჩვენი სამ-განზომილების გეომეტრიაო. ასეთივე ჰეშმარიტების თქმა შეიძლება აგრეთვე ერთეულზედაც: მაგარი საგნები რომ არ ყოფილიყო არ იქმნებოდა ერთეული, არ იქმნებოდა ჩვენი არითმეტიკაც.

ამიტომაც ჩვენ მიერ განხილვა ზემოხსენებულ მოვლენათა საერთო „სოციალურის“ ცნების გასარკვევად სრულიადაც არ უნდა იყოს უკანონოდ ცნობილი; მოვლენანი, რომელნიც ჩვენ ჩამოვთვალეთ, მიუხედავად მათი მეთოდიური თუ არა მეთოდიური კლასსიფიკაციისა, მიუხედავად მათი ურთიერთის წინაშე უპირატესობისა და ნაკლებ-მნიშვნელოვანებისა, ნამდვილად არსებობენ. იგინი სხვა და სხვანი არიან და იმავე დროს აქვსთ ერთი მსგავსება—

ისინი სოციალურნი მოვლენანი არიან, **რადგანაც არც ერთი მათგანი არ მოიპოვება საზოგადოების გარეშე და თვით საზოგადოება შეუძლებელია** მას. გარეშე. თვითოეული ამ მოვლენათაგანი ორიგინალურია, თავისებური, მაგრამ იგინი ყველანი ერთი ძირისანი არიან, რადგანაც გარეშე ადამიანთა საერთო ცხოვრებისა, მათ ბუნებაში ადგილი არა აქვსთ. მაშასადამე თვითოეულ ამ მოვლენის ანალიზით, მათ შორის განსხვავებათა, ორიგინალობათა გამოკლებითა და საერთო ძარღვის ნახვით ჩვენ შეგვიძლია დავამკვიდროთ ერთი, საერთო მნიშვნელოვანი ცნება ყველა ამ მოვლენათათვის — ცნება „სოციალურისა".

მივყვეთ მაშასადამე გ. დე-გრეფის კლასსიფიკაციას. თუ ყოველ საზოგადოებაში მოიპოვება ეკონომიური მოვლენა, მოვლენა კვებისა, მაშასადამე:

1. არ არის ისეთი საზოგადოება, არც ყოფილა და არც იქმნება, რომ იქ კვების მოვლენა, მოვლენა ეკონომიური არ არსებობდეს და არ დაახასიათებდეს მას. **კვების მოვლენა, ეკონომიური მოვლენა ყოველ დროსა და ყველგან, დამოუკიდებლად დროისა და სივრცისა, რასისა და კულტურისა, დამახასიათებელია საზოგადოებისა.** — აი პირველი თეზისი. ეს თეზისი უკვე თავის თავად ცხადია, იგი უეჭველი ფაქტია, როგორც არა ვსთქვით, მხოლოდ მას ანალიზი ეჭირვება.

რა არის ეს ეკონომიური მოვლენა, ანუ უკეთ ვსთქვათ მოვლენა „კვებისა"? ვხმარობთ ამ ტერმინს, რადგანაც იგი უფრო ტლანქი და მარტივია, უფრო ადვილად გასაგებია (რასაკვირველია ჩვენ აქ კვებას არ ვიხილავთ ფიზიოლოგიური მხრით, — მაშინ მისი ანალიზი სულ სხვა ხასიათისა და სირთულისა იქმნებოდა). უწინარეს ყოვლისა იგია დაკმაყოფილება ადამიანის უუსაჭიროესს მოთხოვნილებისა. — სმა-ჭამისა, ე. ი. თავის დარჩენა და გატანა; მაგრამ იმ საშუალებათა მონახვა, რომელნიც აუცილებელნი არიან ამ დაკმაყოფილების გასაადვილებლად და დასაჩქარებლად, მონახვა აგრეთვე იმ საშუალებათა. რომელნიც იცავენ ადამიანს ბუნების განმანადგურებელ ძალთაგან. აღდგენა და გადიდება ადამიანის ძალთა და ბუნების ძალთა დაპყრობა, დამონება, სასარგებლოდ გამოყენება. — ყოველივე ეს უკვე აღარ არის კვება,— იგი უფრო რთულია და შეგვიძლია იგი უფრო შესაფერი ტერმინით გამოვხატოთ, — იგი კვებასთან ერთად — ეკონომიური მოვლენაა, რადგანაც მას თადარიგი და ანგარიში ეჭირვება, რაც თუ გინდ პირველ-ყოფილნი და მდაბალი ხარისხის იყვნენ ეს უკანასკნელნი.

თვითოეული, ცალკე, კერძო ადამიანის მიერ თავის დაკმაყოფილება კვებითა, ან სხვითი რითიმე, როგორც არა ვსთქვით, არ არის სოციალური მოვლენა, არც კერძოდ ეკონომიური, არამედ უბრალო სარგებლობა ადამიანის მიერ ბუნებაში მყოფ საგნებითა, და სხვა არაფერი. საზოგადოება, უპირველესი განსაზღვრით — შეერთებაა ადამიანთა ძალებისა. იგი ადამიანთა საერთო ცხოვრებაა, და კვება მხოლოდ მაშინ გახდება სოციალურ მოვლენად, იგი მაშინ იქცევა ნამდვილ ეკონომიურ მოვლენად, როდესაც კვებისა და სხვა მსგავს მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საქმე აღსრულდება ადამიანთა შეერთებული ძალებითა, შეერთებული მუშაობით, — ყველგან და ყოველთვის, ყოველ საზოგადოებაში, როგორც ამას მართლაც ვამჩნევთ, ფაქტიურად ვიცით. მაგრამ კვებისა და სხვა ეკონომიურ მოქმედებათა პროცესსი ძლიერ რთულია და გრძელი. იგი საჭიროებს საერთო მიმოსვლას, საერთო მუშაობას, საერთო ნამუშევრის განაწილებას, შრომის განაწილებას, და რადგანაც ასეთი მიმოსვლა. ასეთი მუშაობა და მეტადრე შრომისა და ნამუშევრის განაწილება წარმო-

ედგენელია შესაფერ განსაზღვრულ მიზანთა გარეშე, — მაშასადამე ეკონომიური საერთო მოქმედება ადამიანისა აუცილებლად მოფიქრებული და წინდაწინვე განზომილი უნდა იყოს. იგი მიზან-შეწონილი უნდა იყოს. მიზან-შეწონილი, წინდაწინვე მოფიქრებული და განზომილი მოქმედება მრავალ ადამიანისა კი შეუძლებელია მიზანთა შეუთანხმებლად, მოუწყობლად. მაშასადამე ყოველი ეკონომიური მოქმედება აუცილებლად მიმდინარეობს შეთანხმებულ მიზანთა მიხედვით. წინად-განზომილ და მოწყობილ გზაზედ, **იგი მოწესრიგებულია.** ამ ფაქტს ჩვენ ვამჩნევთ ყველა საზოგადოებაში, — აწმყოში, წარსულში, და მომავალშიაც იგი მით უმეტეს აუცილებელი უნდა იყოს; ეს მოწესრიგება შეიძლება იყოს სხვა და სხვა ფორმისა და სხვა და სხვა ხასიათისა და ხარისხისა.

შემდეგ, — თუმცა მართალია, რომ იქ, სადაც არსებობს კვება შეერთებულ ადამიანთა შეერთებული ძალებით,—მოწესრიგებულია ეს უუსაჭიროესი ფუნქცია საზოგადოებისა, მაგრამ მოწესრიგება შეიძლება, მაგალითად, იყოს, წმინდა კონტრაქტიული, შეიძლება იყოს ძალ-დატანებითი, შეიძლება აგრეთვე იყოს ჩვეულებისაგან, მრავალ შთამომავლობის მიერ დაწესებული და სხვ., მაგრამ იგი მაინც ყოველთვის მოწესრიგებაა. ერთი სიტყვით, როგორიც არ უნდა იყოს წარმოშობა და ხასიათი ადამიანის ეკონომიურ მოქმედებისა, —იგი მოწესრიგებული მოქმედებაა ადამიანთა კვებისა და მსგავს მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად; მოწესრიგება ახასიათებს სოციალურ-ეკონომიურ ფუნქციის აღსრულებას ყოველ საზოგადოებაში. ჩვენ კი სწორედ ეს გვაინტერესებს, — ეს საზოგადოება, — რადგანაც გარეშე იმისა არ არის არავითარი ეკონომიური მოვლენა; — და კვების მოვლენაც გარეშე საზოგადოებისა არ არის ეკონომიური და სოციალური, — არამედ უფრო მდაბალი მოვლენა,— როგორც არა ვსთქვით, — უბრალო სარგებლობა ადამიანის მიერ ბუნების საგანთა.

მაშასადამე — ჩვენ შეგვიძლია თამამადა ვსთქვათ:

რეგულარიზაცია ან მოწესრიგება ადამიანთა მიერ სასაზრდოო საშუალებათა პოვნისა, კვებისა და სხვა მსგავს მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, შეერთებულ ადამიანთა ძალითა, — აი რა არის ეკონომიურ-სოციალური მოვლენა, — ერთი უმთავრესი დამახასიათებელ მხარეთაგანი საერთოდ საზოგადოებრივი ცხოვრებისა.

ეს არის ადამიანთა სამეურნეო ცხოვრება, რომელსაც ისეთი დიდი ადგილი უჭირავს მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, იგი ისეთი მნიშვნელოვანია, რომ ბევრ სოციოლოგს იგი საფუძვლად მიაჩნია, რომელზედაც თითქოს დამყარებული იყოს მთელი საზოგადოებრივი შენობა. რამდენად მართალნი არიან ეს სოციოლოგები, — ამის განხილვა არ არის აქ ჩვენი მიზანი.

2. შეერთებული ადამიანები მრავლდებიან ისეთივე ბუნებრივი წესით, როგორც საზოგადოდ ცხოველები. მაშასადამე საზოგადოების ერთ-ერთი ფუნქცია არის გენეზიური ფუნქცია, როგორიც უნდა იყოს საზოგადოება დროისა და სივრცის მხრით.

დროებით მოწესრიგებულ ცხოვრებას შვილთა აღზრდისათვის ცხოველთა შორისაც ვხედავთ. განსაკუთრებით იმ ცხოველთა შორის უფრო თვალსაჩინოა ეს მოწესრიგება, რომელთაც საზოგადოდ აქვსთ რაღაც მსგავსი სოციალური ცხოვრებისა. ადამიანთა შორის კი ეს მოწესრიგება მუდმივ მოვლენად იქცევა. ადამიანს უადვილებს გენეზიური ფუნქციის მოწესრიგებას მოწესრიგება ზემოხსენებული ფუნქციისა, — ეკონომიური ფუნქციისა, რო-

მელიც მიზან შეწონილი და წინადგანზომილია. ამიტომაც ვამჩნევთ ჩვენ, რომ ყოველი ოჯახი ეკონომიურად არის მოწესრიგებული, იგი ეკონომიური ორგანიზაციაა ყველგან, ყოველ საზოგადოებაში, თუ-კი რასაკვირველია იმას მივიღებთ მხედველობაში, რომ თუმცა ოჯახს ფორმები ეცვლება დროთა ვითარებაში, მაგრამ მისი ეკონომიური ორგანიზაცია მაინც ერთგვარ ეკონომიურ ორგანიზაციად რჩება, და თუ ამ ~~ფართო~~, საზოგადო აზრით გავითვალისწინებთ ოჯახს, და არა მისი ვიწრო. თანამედროვე წარმავალი მხრით, მაგრამ ეს მოწესრიგება ოჯახისა ეხება აგრეთვე შთამომავლობის გამგრძობთა შორის განწყობილებას ერთი მხრით, და შთამომავლობასა და მშობელთა განწყობილებას მეორე მხრით. მთელი კრებული ამ განწყობილებათა წარმოადგენს ოჯახის სოციალურ ორგანიზაციას, როგორც არა ვსთქვით, კერძო ფორმა და შინაარსი ოჯახისა შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ ეს ზემოდ-განმარტებული მისი თვისება იგივე, უცვლელი რჩება ოჯახის ცვალებად ფორმებში, დროისა და სივრცის, რასათა და კულტურათა მიუხედავად.

ამგვარად ყოველი საზოგადოების გენეზიურ მოვლენას სოციალურის მხრით ახასიათებს მოწესრიგება ცოლ-ქმრობისა, მშობელთა და შთამომავლობის ურთ-ერთ შორის განწყობილებათა.

ეს არის ოჯახის წმინდა სოციალური მხარე. ეს მოწესრიგება არის დამახასიათებელი საზოგადოების გენეზიური ფუნქციისა, სოციალურის მხრით.

3. ჭკუაზედ ახლოა ის ჰიპოტეზა, რომ გენეზისი ხელოვნებისა იმყოფება საერთო ცხოვრებაში, საერთო თამაშობა და გართობა, ხმის ამოღება და ყვირილი, საიდანაც ბოლოს სიმღერა იბადება, სხვა და სხვა საგნებით ხმაურობის გამოწვევა, რაიცა ბოლოს ჰბადებს უბრალო საკრავთა და სხვა სამუსიკო რთულ ინსტრუმენტთა, — მუდმივი ვარჯიშობისა და წაბაძვის კანონის ძალით მუდმივ მოვლენად ხდებიან საზოგადოებაში და წარმოადგენენ ადამიანის სოციალურ ცხოვრების ერთ დიდ მნიშვნელოვან მხარეს. ცნობილია აგრეთვე, რომ სქესობრივი სიყვარული და მუშაობის შემდეგ გადარჩენილი თავისუფალი ღრო, ან თვით მუშაობის რითმი ხელს უწყობს ზემოხსენებულ მოვლენათა განვითარებას, — ხელს უწყობს საზოგადოდ ადამიანის სულის-კვეთების გამოიატვას მრავალ-ფეროვანი გზითა სხვა ადამიანებთან კავშირში. გარეშე ამ კავშირისა წარმოუდგენელია რომელიმე ზემოხსენებული მოვლენა. და რადგანაც ამის წინამორბედი ფუნქციები საზოგადოებაში უკვე მოწესრიგებულია, — შეიძლება, ერთის მხრით, როგორც დამატება უკვე მოწესრიგებულ ეკონომიურ და გენეზიურ ფუნქციათა,—ხელოვნების ფუნქციაც მით უმეტეს მოწესრიგებული უნდა იყოს, ვინაიდან თვითეული ზემოხსენებული ფუნქციის აღსრულებისათვის, — თამაშობისათვის, დაკვრისათვის და სხვ. — აუცილებელია ადამიანთა შორის თანხმობა, აკორდი, საერთო დაფასებაც კი ხელოვნების აღსრულებისა. და მართლაც, როგორიც უნდა იყოს წარმოშობა ხელოვნებისა, ანუ მისი ღრმა ფილოსოფია, ასეთ მოვლენასა ვხედავთ ყველა საზოგადოებაში, პირველ-ყოფილ საზოგადოებაში, ცნობილია, რომ ხელოვნების უმრავლესს დარგს პირდაპირ საზოგადოებრივი ხასიათი აქვს აღსრულების მხრითაც კი. ხშირად მთელი თემი იღებს მონაწილეობას რომელიმე სიმღერისა ან ცეკვის აღსრულებაში. მუშაობის დროს საერთო სიმღერა ჩვეულებრივი მოვლენაა სოფლის მეურნეობაში. თვით განვითარებულ საზოგადოებაშიაც კი, სადაც ხელოვნება თითქოს უფრო ინდივიდუალურ შემოქმედების ნაყოფია, თუმცა კი რასაკვირველია კოლექტივური მხარე არ ეკარგება არასოდეს, შე-

უძლებელია მისი აღსრულება, სხვანაირად გამოჩენა, თუ არა სოციალურად, აგრეთვე მისი დაფასება ყოველთვის სოციალურია. არსებობს მოწესრიგებული თეატრი, მოწესრიგებული ხმათ-ამოღება და დაწერა, მოწესრიგებული ქანდაკება ფორმათა. ყოველივე ეს უნდა ეთანხმებოდეს აგრეთვე ამა თუ იმ ისტორიულ ეპოქაში შემუშავებულ გემოვნებას, ან საზოგადოების მისწრაფებას ახალი შემოქმედებისადმი. საზოგადოება აფასებს ხელოვნურ ნაწარმოებს, მას აქვს განსაზღვრული საკუთარი კრიტერიუმი ამ დაფასებისა. რასაკვირველია გემოვნებაც, მოწესრიგების ფორმებიც, ე. ი. წესები ხელოვნებისა — იცვლებიან, მაგრამ მათ ადგილს დაფასების სხვა კრიტერიუმი და შემოქმედების სხვა წესები იპერენ. თვით-ნებობა, „რაც მინდა მას გავაკეთებ", მე „მომწონს", „ასე მსურს", — ასეთი რამეები ნამდვილად არასოდეს არ არსებობს საზოგადოებაში, და თუ ვისმეს ჰგონია, რომ იგი სრულიად თავისუფალია, თვით ნებაა ან შემოქმედებაში ან დაფასებაში —შემცდარია, იგი მისი ილლიუზიაა მხოლოდ, და სხვა არაფერი. მას შეუძლია შესცვალოს წესი შემოქმედებისა, მოდა, გემოვნება, — მაგრამ თვითონაც ვერ ამჩნევს, რომ იგი ახალი კანონმდებელია, რომ მან ახალი წესები და გემოვნება შექმნა — ძველის მაგივრად. რაკი ინდივიდუალური შემოქმედება მოდად და წაბაძვის საგნად შეიქმნა, —მორჩა, — იგი უკვე სოციალურად გახდა მყისვე. და თუ არც ერთი წამბაძველი არ გამოუჩნდა ინდივიდუალურ შემოქმედებას, მისი მნიშვნელობაც არ არსებობს. რამდენია ასეთი მაგალითი ხელოვნებისა და განსაკუთრებით გამოგონებათა ისტორიაში. — თვით დეკადენტობაც ვერ ასცდა ამ საერთო მოვლენას, ისე როგორც უწესოების წარმოდგენით ჩვენ ამ უწესოების მაგივრად ახალ, სხვანაირ წესიერებას ვქმნით ხოლმე ჩვენს გონებაში, ისე როგორც არსებობის მაგივრად ჩვენ ახალ თავისებურ „არსებობას" წარმოგვიდგენთ ხოლმე და გვგონია რომ არ-არსებობა წარმოვიდგინეთ, — სწორედ ისევე ვერ ავცილდებით ვერასოდეს ხელოვნებაშიაც იმ წესებსა და იმ საერთო დაფასებას, რომელნიც აუცილებელნი არიან საზოგადოებაში თვით ხელოვნების არსებობისათვის.

ამგვარად ხელოვნებაც, რომელიც ეხება ადამიანის ესთეტიკას, გემოვნებასა, ვნებათა, — არის ზემოხსენებული აზრით მოწესრიგება შეერთებულ ადამიანთა ესთეტიკისა, გემოვნებისა, ვნებისა და სხვა უმაღლეს სულიერ მისწრაფებათა გამოჩენისა.

4. რასაკვირველია ძირი სარწმუნოებისა თვით ადამიანის ინდივიდუალურ პსიხიკაშია, მაგრამ მისი სოციალური გამოჩენა არ არსებობს და არ შეიძლება გარეშე ადამიანთა საერთო ცხოვრებისა; ამას გარდა, როგორც შენიშნავს ამერიკელი სოციოლოგი ბალდვინი, — დღეს შეუძლებელიც არის ინდივიდუალურ ადამიანის განხილვა, როგორც სოციალურ ერთეულისა, — იგი უფრო სოციალური ნაყოფია — გარეშე საერთო რწმენათა და სურვილთა, ფიქრთა, საერთო მოქმედებათა და მისწრაფებათა, სარწმუნოება, როგორც სოციალური მოვლენა არ იბადება. ამიტომაც პირველ-ყოფილ საზოგადოებაშიაც კი — საერთო კულტი, ლოცვა, ცერემონია, მითი, მსოფლმხედველობა, კოსმოგონია, შეგნება ბუნების ძალთა, შიში, იმედი და მისწრაფება მომავალი ბედნიერებისაკენ, აგრეთვე ის დაწესებულებანი, რომელნიც სოციალურად გამოჰხატავენ ყოველივე ზემოხსენებულსა, — პირდაპირ ახასიათებენ რელიგიას; სარწმუნოება და მისი შესაფერი დაწესებულებანი საზოგადოებაში კოლლექტივურნი არიან, და ამ მხრით რელიგია სოციალურ მოვლენად ხდება, რომ რელიგიას წაართვათ ეს სოციალური მხარე, იგი აღარაფერს აღარ უდრის. -

იგი მაშინ უბრალო ინდივიდუალურ რწმენად და აზრად იქცევა და რელიგია რელიგია აღარ არის, მაგრამ თვითოეულ ინდივიდუალურ აზრში, გენიოსურიც რომ იყოს იგი, რამდენია სხვისი ნააზრი, ანუ სხვათა ნააზრი? — ყოველ შემთხვევაში მეტი, ვიდრე პიროვნული, ორიგინალური, და გარდა ამისა, რომ ყველა წინამორბედი მოწესრიგებული მოვლენა ადამიანის ცხოვრებისა დიდ როლს თამაშობდა თვით რელიგიის მოწესრიგებულ მოვლენად გარდაქმნაში, გარდა იმისა აგრეთვე, რომ თვით სარწმუნოების შესაფერი დაწესებულებანი მოწესრიგებულ არიან ყველგან, — უბრალო ფაქტია, რომ „მოუწესრიგებელ" რელიგიას ვერსად ვერა ნახავს ადამიანი, — ვერც წარსულსა და ვერც აწმყო საზოგადოებაში, ვერც კულტურულში და ვერც უკულტუროში. ამასთანავე ჩვეულება, ეს მოწესრიგებული ზნე თავის დაღს აკრავს რელიგიურ გრძნობათა გამოჩენას და განამტკიცებს მისს სოციალურ ხასიათს. ასეთივე გავლენა აქვს მასზედ ეკონომიურ მოწესრიგებასა, ოჯახის ორგანიზაციასა და სხვა ყველა სოციალურად მოწესრიგებულ მოქმედებას ადამიანთა საზოგადოებაში.

მეცნიერებას რაც შეეხება — კიდევ უფრო თვალსაჩინოა მისი მოწესრიგებული ხასიათი. უპირველეს ყოვლისა იგი უმაღლესი მოწესრიგებაა ჩვენი ცოდნისა გონების მიერ, იგი სუმმაა ბუნების კანონთა, იგი ცდაა საყოველთაო ჭეშმარიტებათა შექმნისა, იგი ძებნაა ჰარმონიისა და აუცილებელ და მუდმივ განწყობილებათა ცალკე და განკერძოებულ მოვლენათა შორის, ძებნა საზოგადო ფორმულათა. ესეევ ითქმის რელიგიურ და ფილოსოფიურ სისტემებზედ, რომლებიც სცდილობენ ნახონ უზენაესი წესიერება ბუნებაში და ადამიანის სულში, ნახონ ბუნებასა და ადამიანთა შორის ჰარმონია; იქ ერთობ მოვლენანი ბუნებისა და ადამიანის სულისა განხილულ არიან ერთი რომელიმე უმაღლესი ჰიპოტეზის თვალსაზრისით, რომელმაც უმაღლესივე წესიერება უნდა შეიტანოს მთელს მსოფლიოში ჩვენი შეგნებისა და გონებისათვის. და ეს „კანონები", ეს „ჰარმონია", ეს ერთობა ადამიანისა და უზენაესისა ერთგვარი „სოციალური" კავშირია, დამკვიდრებული ჩვენ მიერ ბუნების ელემენტთა შორის და ჩვენსა და ბუნებას შორისაც. თვით სიტყვა რელიგია, „religio" კავშირს ნიშნავს კაცსა და უზენაესს შორის, დედა-მიწასა და ცას შორის. ამასთანავე ცალკე ადამიანს, რასაკვირველია არ ძალუძს და არც წარმოსადგენია მისთვის ყოველივე ზემოხსენებული სხვა ადამიანთა დაუხმარებლად.

მეცნიერული ჭეშმარიტებანი საყოველთაონი არიან, — ერთნი და იგივენი ყველა ადამიანისათვის, —არა იმ მხრით, რომ მათ წუნი და შეცდომა ვერავინ უნახოს, — არამედ როგორც ნაყოფნი ყველასათვის საერთო ლოღიკისა და გონების ხასიათისა. ჩვენი ლოღიკა ხანგრძლივ კოლლექტივურ ცდისაგან არის შემუშავებული, ჩვენი ცდა, რომელიც მემკვიდრეობით არის გარდმოცემული ჩვენდამი დროთა ვითარებაში, სოციალურად, კოლლექტივურად ხდებოდა, და მეცნიერებაც, რომელიც მისი ნამოქმედარია, ამ მხრით არის სოციალური მოვლენა, და როგორც ასეთი, თვით არის ერთგვარი მოწესრიგებული რამ, გარდა იმისა რომ იგი ჩვენი გონების ცდაა, როგორც არა ვსთქვით, მთელ მსოფლიოში წესრიგის შეტანისა. — მეორე მხრით, —გარდაცემა და გავრცელება მეცნიერებისა, რომელიც შეუძლებელი იქმნებოდა, რომ არ არსებობდეს ერთი სოციალური წესი გაგებისა და გამოთქმისა ,— ენა ,—აგრეთვე რომ თვით ხასიათი მეცნიერებისა შესაგნებელი არ იყოს საერთოდ ყველა საზოგადოების წევრისათვის, როგორც მათი გონების საერთო მუშაობის შედეგისა, — სოციალურად, მოწესრიგებულად უნდა ხდებოდეს და ხდება კიდეც

ყველგან. სკოლები და სხვა სამეცნიერო და სასწავლო დაწესებულებანი საზოგადოებაში ამას ნათლად ჰმოწმობენ. ჰმოწმობს ერთი რომელიმე კონკრეტული ფენა, რომლითაც ისწავლების მეცნიერება.

მაშასადამე სარწმუნოება და მეცნიერებაც სოციალურნი მოვლენანი არიან, მოწესრიგებანი ადამიანის ცოდნისა, რწმენათა და მსოფლიო შეხედულებათა; აგრეთვე მათი გამოჩენა, გარდაცემა და გავრცელება ხდება მოწესრიგებული გზით, შესაფერ დაწესებულებათა საშუალებით, რომელნიც შესაფერ ფუნქციებს ასრულებენ ყოველ საზოგადოებაში.

ნ. ზნეობა, მორალი არა არს გარეშე საზოგადოებისა, გარეშე ადამიანთა საერთო ცხოვრებისა. თვით ცნება ზნეობისა უჩვენებს ადამიანთა კავშირსა. ზნეობა, როგორც თვით სიტყვა გვიჩვენებს, წარმომდგარია ადამიანთა ზნე-ჩვეულებისაგან. ეს ზნე-ჩვეულება კი შეუძლებელია გარეშე ადამიანთა კავშირისა: სოციალური მხრით იგი მხოლოდ ადამიანთა ურთი-ერთ განწყობილებაში გამოიხატება და გამოჩნდება.

ხანგრძლივ კოლლექტივურ ცხოვრების ცდათა მემკვიდრეობითი გარდმოცემით მუშავდებიან საზოგადოებაში ცნებანი კეთილისა და ბოროტისა, სარგებლისა და ვნებისა, სინიდისისა და უსინიდისობისა და სხვ. ამ ცნებათა მიხედვით ფასდება ადამიანთა ყველა მოქმედება. რელიგია, როგორც თვით გახიცდის ამ ცნებათა გავლენას, ისე თვით ანიჭებს თავისს უზენაესს სანქციას ყოველ ზნეობრივ ნორმას განსაზღვრულ საზოგადოებაში. ამ უკანასკნელში მუშავდება ამგვარად თანდათან მთელი კოდექსი საურთიერთო განწყობილებათა გამომხატველ ნორმათა. ურთიერთისადმი ყოფა-ქცევის წესთა, — და ეაი იმ პიროვნებას. ვინც წინა-აღუდგება ასეთს დადგენილ „ზნეობას". იგი ყოველთვის მოწამედ ხდება, ან როგორც უბრალო დამნაშავე, ან და როგორც ახალი „სჯულის" მქადაგებელი. და აკი ყოველთვის და ყველგან ყოველი ახალი წინასწარმეტყველი, ახალი რჯულის შემქმნელი, იმავე დროს ახალი ზნეობის მქადაგებელი არ იყო?

ამასთანავე ბევრი მათგანი სწორედ თავის სოციალურ სფეროში ხდებოდა ხოლმე მოწამედ, მსხვერპლად ეწირებოდა ახალ მოძღვრებასა. მხოლოდ შემდეგ ერცელდებოდა ახალი ზნეობრივი მოძღვრება უცხო ქვეყნებში. ამ ხშირი მოვლენის მიხედვით ამბობენ ხოლმე ეხლაც — შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვსო.

ეერავითარი მისწრაფება ზნეობრივი იდეალისადმი ვერ გასცილდება ადამიანთა კავშირსა, ურთი-ერთისადმი ყოფა-ქცევას, მის მოწესრიგებას. ეს იდეალი შეიძლება უმაღლესად განიწმინდოს აწმყოში და წარსულში არსებულ საზოგადოებათა კონკრეტულ ზნეობრივ შინაარსისაგან, ისიც არა საუსებით, არამედ ნაწილად, მაგრამ მას მაინც შერჩება თავისი უმაღლესი, საერთო ხასიათი, — ის, რომ იგი მოწესრიგებაა ადამიანთა საერთო ცხოვრებაში ურთი-ერთისადმი ყოფა-ქცევისა.

თვით პიროვნული, თავისი თავისადმი ყოფა-ქცევაც ადამიანისა ყოვლად შეუძლებელია წარმოვიდგინოთ გარეშე ადამიანთა საერთო ცხოვრებისა, თუმცა პირველი შეხედვით ეს თითქოს შესაძლებელიც არის, რადგანაც ფაქტია, რომ ეს პიროვნული ზნეობა არსებობს. ეს იმიტომ, რომ თავის თავისადმი ყოფაქცევა მაშინ ხდება საერთო, ზნეობრივ მოვლენად, როდესაც ინდივიდ. აქვს გარკვეული შეგნება თავისი ინდივიდუალობისა, თავისი განსხვავებისა და მსგავსებისა სხვა ინდივიდებთან, თავისი მოვალეობისა თავის ახლო მეგობრებისა და ნათესავებისა, ან დაწესებულების წინაშე, ვინაიდან მას მხოლოდ ამ

შედარებითი ანალიზით შეუძლია ნათლად წარმოიდგინოს თავისი ვალდებულება-მოსილი ზნეობრივი „მე“ და დააყენოს იგი განსაზღვრულ დამოკიდებულებაში სხვა „მე“-ებთან. ეს კი იგულისხმებს უკვე მოწესრიგებულ ცხოვრებას, საზოგადოებას, რომელშიაც ადამიანები განსაზღვრულ წესებს ემორჩილებიან. ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილი ამ წესთა კი არის თვით საერთო ზნეობრივი წესები, რომელიც აწესრიგებს უზენაესად ადამიანთა საერთო ცხოვრებას.

„უწესო ყოფა ქცევა“ მთელი საზოგადოებისა ყოველად შეუძლებელია, ან პირადად თავის თავისადმი ყველას და თვითოეულის ცალ ცალკე „უზნეო ყოფა ქცევა“. ან ასეთივე „უზნეო ყოფა-ქცევა“ ურთი ერთისადმი. ეს რომ შესაძლებელი იყოს, მაშინ მთელი ზნეობრივი კოდექსებიც აღარ იქმნებოდა, აღარც ბრძოლა იქმნებოდა ძველსა და ახალ მორალურ ღირებულებათა შორის, აღარც ცალკე პიროვნებათა ზნეობა და თვით მათი არსებობა იქმნებოდა შესაძლებელი, არამედ საყოველთაო სიგიჟე და თვითმკვლელობა, თვით საზოგადოების მოსპობა იქმნებოდა აუცილებელი.

მაშასადამე ადამიანთა ყოფა-ქცევა საზოგადოებაში მოწესრიგებული რამ არის, და ამიტომაც აგრეთვე თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ **ზნეობა არის მოწესრიგება ადამიანთა ყოფა-ქცევისა, ურთი-ერთისადმი და პიროვნულისა, ადამიანთა შორის. მისი მოძრაობაც — მუდმივი ძებნაა ახალ ღირებულებათა, რომელთა დამკვიდრებაც მორალურ ნორმებად აგრეთვე წარმოუდგენელია გარეშე ადამიანთა საერთო, მოწესრიგებულ ცხოვრებისა.**

6. არ არსებობს არც ერთი სოციალური კავშირი ადამიანთა, სადაც არ იყოს იმავე დროს სამართალი, —. ან როგორც ნამდვილი, იურიდიულ-ძალ დატანებითი ნორმები, ან როგორც წმინდა ძალ-მომრეობა, ან როგორც კონვენციონალური — პირობითი ნორმები, ან და ყველა ამ ელემენტთა არევ-დარევა.

ყველა ეს ნორმა რომ ავიღოთ, — იგინი წარმოადგენენ შტამლერის სიტყვით ფორმას ადამიანთა საერთო ცხოვრების მოწესრიგებისას, მატერია კი მათი მოწესრიგებისა არის თვით სოციალური თანამშრომლობა, თვით სოციალური მეურნეობა. ჩვენის აზრით კი სოციალური ცხოვრება მარტო სამართალი და მეურნეობა არ არის, — არამედ, როგორც ვსთქვით, შვიდი უმთავრესი მოვლენა, რომელიც ზევით ჩამოვთვალეთ დე გრეფის კლასსიფიკაციის მიხედვით. რასაკვირველია, მაშასადამე, ყოველი განწყობილება ადამიანთა შორის არ წესრიგდება სამართლის ნორმებით. მაგრამ სოციალური ცხოვრების იმდენი მხარისათვის ჩაუვლია თავისი კლანჭები სამართალსა, რომ ყოვლად შეუძლებელია საზოგადოებისაგან ბევრი რამ დარჩეს, მას რომ ეს სამართალი გამოეაკლოთ. ამით ჩვენ საზოგადოებას ბევრი მეცნიერის აზრით, თვით სოციალურ ძარღვს მოვუკლავდით. — პრ. პეტრაჟიცკის აზრით საზოგადოებაში არასოდეს არა კმარა წმინდა ზნეობრივი, ანუ როგორც ის ამბობს იმპერატიულ-ეთიური ნორმები, არამედ მათი აუცილებელი დამატება უნდა იყოს იმპერატიულ-ატტრიბუტივული, ე. ი. მბრძანებლობით-კუთვნილებითი ნორმები, რაიცა შეადგენს სამართლის არსებას. — შტამლერის აზრით აგრეთვე თვით ძალ დატანებითი სამართალი ისეთი რამ არის, რომლის ნორმებისაგან ვერასოდეს ვერ განთავისუფლდება ადამიანი, რომლის ადგილს თავის დღეში ვერ დაიჭერს კონვენციონალური, ანუ მორიგებითი ნორმები, არამედ სწორედ ეს ძალ-დატანებითი სამართალი არის ერთად-ერთი საშუალება, რომ კაცთა საზოგადოების ყველა წევრი **გამოუკლიხად** შედიოდეს სოციალურ მოწესრიგე-

ის სფეროში, რომ სოციალური კანონ განზომილება არსებობდეს და კანონ-განზომილად ეთარდებოდეს სოციალური ცხოვრება.

როგორც არა ესთქვით, არსებობს სამი კატეგორია სამართლის ბრძანებათა. რომელნიც იმორჩილებენ ადამიანს სამართლის განწყობილებათა სფეროში: ნორმები კონვენციონალური ანუ პირობითი, წმინდა იურიდიული ნორმები. რომლებსაც აქვს აგრეთვე ძალდატანებითი ხასიათი, და წმინდა ძალ-მომრეობა. განვსაზღვროთ ეს სამი კატეგორია. მივსდიოთ შტამლერს, იგი საუკეთესო ავტორია, რომელმაც ნიჭიერად, მკაფიოდ და ნათლად შეასრულა ეს ანალიზი. მისი ანალიზის შედეგი არის განსაზღვრა ამ სამი სამართლის ბრძანებისა. კონვენციონალური სამართალი არის ისეთ წესთა კრებული, რომელნიც თავიანთ მნიშვნელობას ამყარებენ თვით დამორჩილებულ პირთა თანხმობაზედა და მორიგებაზედ. წმინდა სამართლის ნორმები არის ისეთი ნორმები, რომელსაც აქვს ხასიათი ძალ-დატანებითი მოწესრიგებისა ადამიანთა საერთო ცხოვრებაში. მნიშვნელობა და თვით აზრი ამ ნორმებისა არის მათი დაურღვევლობა. ყველანი შეკრულ-შებოჭვილნი არიან — ხელმწიფიდან დაწყებული უბრალო ადამიანამდე. წმინდა სამართალი თვით იკვლევს, ვინ უნდა იყოს მისი ბრძანების აღმასრულებელი და როგორ წესებს უნდა დაემორჩილოს იგი, მაშინ როდესაც სამართალი კონვენციონალური თვით შეთანხმებულ პირთა ნებაზედა და თანხმობაზედ ემყარება; — ეს პირნი თვით იწერენ თავიანთთვის წესებს, რომელსაც უნდა დაემორჩილონ. შტამლერის აზრით ეს ძალ-დატანებითი სამართალი არის ერთად-ერთი დამამკვიდრებელი სოციალური კანონ განზომილებისა. რადგანაც მარტო იგი აწესრიგებს მთელი საზოგადოების, აუარებელ სხვა და სხვა პირთა საერთო ცხოვრებას, მაშინ როდესაც კონვენციონალური სამართალი მხოლოდ განსაზღვრულ პიროვნებათა, განსაზღვრულ ჯგუფთა საერთო ცხოვრებას მოაწესრიგებს და მაშასადამე მთელი საზოგადოების, საერთო საზოგადოების კანონ-განზომილება მორიგებით შეუძლებელიაო. რამდენად მართალია ეს მისი აზრი, ჩვენ აქ არ გვაინტერესებს. — ძალ-მომრეობა კი მითი განირჩევა ძალ-დატანებით სამართლისაგან, რომ უმაღლესი ძალა — დესპოტისა, ან თვით-მპყრობელისა ყოველ სამართალზედ მაღლა სდგას, იგი არ არის შებოჭვილი სამართლის ნორმებით, თუმცა იქაც ყოვლად შეუძლებელია წმინდა, იდეალური ძალმომრეობა: ყოველ დესპოტიაში და აბსოლიუტურ მონარქიაში მაინც მოიპოვება მცირე ელემენტი სამართლისა, რომელსაც ყველა ემორჩილება, რომლითაც ყველაა შეკრული, — თვით მონარქიცა. — მატერია სამართლის მოწესრიგებისა, — წმინდა სამართალი იქნება იგი, კონვენციონალური თუ ძალმომრეობითი, — არის მრავალი მხარე სოციალური ცხოვრებისა, — მეურნეობა, ოჯახის ცხოვრება, არტისტიული ცხოვრება, მეცნიერული და სხვ. შტამლერის აზრით საგანი სამართლის მოწესრიგებისა მარტო მეურნეობაა, მაგრამ ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ შტამლერისათვის მეურნეობა უფრო ფართო ცნებაა, — ყველა მოთხოვნილებათა დაკმაყოფილება საერთო ძალით. წინააღმდეგი აზრის არის ვ. ზომბარტი ((Совр. Капит.). მართლაც, —მიუხედავად იმისა, რომ შტამლერი დიდ ასპარეზს უტოვებს სამართლის მიერ მოსაწესრიგებელ მატერიასა,—არ არსებობს არსად ისეთი სამართალი, რომ მისი მოწესრიგების საგანს შეადგენდეს ყველა მხარე სოციალური მოქმედებისა სავსებით. ან თვით სამართალი განსაზღვრავს საგანს მოწესრიგებისას და დაუდებს მას საზღვარს ნათლად და მკაფიოდ, ან კონვენციონალური სამართალი საზღვრავს იმავე საგანთა მოწესრიგების ხასიათს ამ სამართლის შემადგენელთა თანხმობითა და ნებითა. მაგრამ ვერც

ერთ შემთხვევაში სამართალი სავსებით ვერ გამოჰხატავს ყველა სოციალურ განწყობილებასა. იგი აწესრიგებს მხოლოდ მათ ერთს ნაწილსა. თუმცა მისი ძალა საზოგადოების ყველა მხარეს ეხება. არის ამიტომ მრავალი სამართალი: სამართალი საოჯრო, — სამართალი მფლობელობისა, სამართალი საზღვაო, საფინანსო, სახელმწიფო, საერთაშორისო და სხვ. და ის დაწესებულებანი საზოგადოებაში, რომელნიც ადგენენ და საზღვრავენ ამ სამართლის ნორმებს, ან ასრულებენ მის ბრძანებასა, — არიან საზოგადოების იურიდიულნი ორგანონი, იურიდიულ ფუნქციათა აღმასრულებელნი.

ამგვარად სამართლის ნორმებს ფართოდ ემორჩილება მთელი საზოგადოება, თუმცა არა სავსებით. საზოგადოება არ არსებობს გარეშე სამართლისა, თუმცა მას აქვს ისეთი ფუნქციები, რომელთაც სამართალი არ ეხება.

წმინდა სამართლის დამახასიათებელი თვისება არის, მისი დაურღეველობა, მისი დაურღეველობა კანონია, სანამ მას ძალა აქვს, სანამ ძველი სამართალი არ უქმდება და მის ადგილს ახალი სამართლის ნორმები არ იჭერს. სამართლის დარღვევა შეიძლებაო, ამბობს შტამლერი, მაგრამ მას არა სურს, რომ იგი დარღეეულ თუოს. იგი კვდება, მაგრამ არა ნებდება ცოცხალი არავის. და სანამ ცოცხალია, მისი მოთხოვნა ძალაშია, — მოთხოვნა, რომელიც შეადგენს მისი სიცოცხლის ძარღვს, — მოთხოვნა დაურღეველობისა. ეგეეე ითქმის კონვენციონალურ ნორმებზედაც. მათაც აქვსთ თავიანთი მოთხოვნა დაურღეველობისა, სანამ ახალი კონვენციები არ დაიჭერს ძველის ადგილს. — ამგვარად ერთი მოწესრიგება მეორის ადგილს იჭერს ყოველთვის, როდესაც იცვლება ეს მოწესრიგება, კონკრეტული განხორციელება მოწესრიგებისა, მაგრამ თვით მოწესრიგება სამართლის მიერ მოსაწესრიგებელ სოციალურ მატერიისა — ყოველთვის რჩება და ეს სამართლის მოწესრიგება აიძულებს ადამიანს ან ადამიანთა ჯგუფთ აღასრულონ თავიანთი მოვალეობა სამართლიანობისა, კონტრაქტისა თუ სამართლის ბრძანების სახელით, — ეს სულ ერთია,— რომელიც მათ იდვეს თავს ნება ყოფლობით, ან ძალით აიძულა რომელიმე ავტორიტეტმა.

ამიტომაც შეგვიძლია ვსთქვათ, **რომ საზოგადოდ სამართალი არის მოწესრიგება ადამიანთა ყველა ისეთ ყოფა-ქცევისა, რომელსაც მათ უნდა მისდიონ ან ნება-ყოფლობით აღიარებულ, ან ძალით დადგენილ ვალდებულებათა აღსრულებისათვის.**

7. დასასრულ, პოლიტიკა არის ერთი მხრით ისეთი მოწესრიგებული ფუნქცია საზოგადოებისა, რომელიც მიმართულია მისი გარეგანი დაცვის მიზნისაკენ, და აგრეთვე სხვა მოწესრიგებულ საზოგადოებათა შორის კავშირის დასაჭერად, მეორე მხრით იგი ისეთი ფუნქციაა საზოგადოებისა, რომელიც უმაღლესად თვალ ყურს ადევნებს მოწესრიგებულ სოციალურ თანამშრომლობასა და სცდილობს კანონ-განზომილი მიმართულება მისცეს ყველა სოციალურ მისწრაფებათა და მიზანთა.

ჩვენ აქ არ გამოვუდგებით იმის ანალიზს, თუ როგორ ასრულებს პოლიტიკა ამ საზოგადოებრივ დიდ-მნიშვნელოვან ფუნქციასა, ან თუ რა დამოკიდებულებაა მასა და სამართალს შორის, — დავკმაყოფილდებით მხოლოდ მისი ხასიათის აღნიშვნით, — რომ იგიც ერთგვარი მოწესრიგებული მოქმედებაა საზოგადოებისა.

ეს არის, ეს შვიდი ძირითადი მოვლენა დამახასიათებელი საზოგადოებისა. ეს კლასსიფიკაცია სოციალურ მოვლენათა საკითხის ნათელ-საყოფელად არის ძლიერ საჭირო. თორემ რასაკვირველია სოციალური ცხოვრება ერთია, ორ-

განიული და მთლიანი. ასე მთლიანადაც უნდა წარმოვიდგინოთ იგი. ჩვენის მიზნისათვის კი მკაფიო წარმოდგენა საზოგადოებისა, როგორც ერთი მთელისა, კიდეე უფრო საჭიროა, ვიდრე განსაზღვრა საერთო განყენებულ სოციალურის ცნებისა.

აქ ჩვენი მიზანი, რასაკვირველია, არ არის გამოვიკვლიოთ წარმოშობა საზოგადოებისა, გენეზისი ამ მოვლენათა, ან განვიხილოთ მათი ევოლუცია. ჩვენ ვამბობთ მხოლოდ, რომ ამ მოვლენათა არსება საზოგადოებაში — ფაქტია, რომ ეს ფაქტი ისედაც შეიძლება დახასიათდეს და განისაზღვროს, როგორც ზემოდ არის ნაჩვენები. ამ მოვლენებს, ან მათ შთანაჩენებს ყველა საზოგადოებაში ვნახულობთ, ყველგან და ყოველთვის, — როგორც წარსულში, ისე აწმყოში, როგორც პირველ-ყოფილში, ისე განვითარებულში, როგორც მუდმივში, ისე დროებითში (თუმცა „დროებითი" **მთელი** საზოგადოება არც კი არსებობს ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით), — ყველგან, სადაც არის და ყოფილა ადამიანი. მომავალშიაც არავითარი მოსაზრება არ გვაძლევს ნებას ვიფიქროთ, რომ რომელიმე ამ მოვლენამ დაჰკარგოს ზემოხსენებული თავისი არსებითი ხასიათი. შეიცვლება კონკრეტული მისი განხორციელება, მაგრამ ფორმალური მისი ვითარება უცვლელი დარჩება.

გარდა ამისა, კიდევაც რომ ზოგიერთი მოვლენა დროში გვიან გაჩენილიყო, კიდევაც რომ არსებულიყვნენ ისეთი საზოგადოებანი, რომელთაც აკლდებოდათ რამოდენიმე ზემოხსენებული მოვლენა, ამით ჩვენი საკითხი და დასკვნა არსებითად არ იცვლება, **რადგან ერთი ან ორი მოვლენა მაინც უეჭველად იყო და იქმნებოდა საზოგადოებაში, რომელიც დახასიათდებოდა „მოწესრიგებითა".**

აგრეთვე ისტორიული ევოლუციის სინამდვილის მხრით რომ შევხედოთ კონკრეტულ საზოგადოებათა, რასაკვირველია ზემოხსენებული მოვლენანი ერთსა და იმავე დროს არ ჩასახულან ყველანი ერთად, ერთისა და იმავე სიცხოველით, არამედ მათი ინდივიდუალობა მხოლოდ დროში განვითარდა, მათი ურთი-ერთისაგან დიფერენციაციით, აგრეთვე მეტ-ნაკლებად, მეტის თუ ნაკლების ინტენსივობითა.

ზემოხსენებული კლასიფიკაცია არა ისტორიული სინამდვილის კვლევისათვის ვიხმარეთ, არამედ როგორც მეთოდი სოციალური ცნების განსაზღვრისათვის. ეს არ უნდა დაავიწყდეს მკითხველს.

მართლაც, ზემოხსენებულ მოვლენათა მდგომარეობა ერთი და იგივე სრულიადაც არ არის ყველა საზოგადოებაში. პირველ-ყოფილ, მარტივ საზოგადოებაში ბევრ მოვლენას არ განუცდია ურთი-ერთისაგან სრული დიფერენციაცია: — მაგალითად წმინდა იურიდიულ მოვლენათ არ განუცდიათ სრული დიფერენციაცია კონვენციონალურ სამართლის მოვლენათაგან და ასე გასინჯეთ ზნეობრივ-ჩვეულებით მოვლენათაგანაც. აგრეთვე ოჯახურსა, რელიგიურსა და მეცნიერულ მოვლენათ არ დაუდევსთ სწორი და მკაფიო საზღვარი ურთიერთისათვის, — მამა ბევრ საზოგადოებაში ერთსა და იმავე დროს ქურუმიც არის, „მეცნიერიც", უზენაესი მსაჯულიცა და მეფის უფლების მქონეს მსგავსიც; — მაგრამ დღეს კი არ არსებობს არც ერთი საზოგადოება, რომ იქ უკვე არ იყვნენ ყველა ზემოხსენებულ მოვლენის შთანაჩენები, რომლისაგანაც წარმოსდგებიან და ვითარდებიან სავსებით ეს მოვლენანი. ზრდადამთავრებულ, რთულ საზოგადოებაში კი უკვე ნათლადა და თვალ-საჩინოდ ვხედავთ ყველა ამ მთავარ სოციალურ მოვლენასა. აგრეთვე საზოგადოებრივ

დაწესებულებათა ფუნქციები რთულდებიან და ვითარდებიან ცალ-ცალკე თვით მოვლენათა გართულების თანახმად, თანაც ყველა მათგანი მიისწრაფის ურთიერთის თანხმობისაკენ, წინააღმდეგობის მოსპობისაკენ, შესაფერ საერთო სოციალურ მიზნისა, და ჰქმნიან ერთ სოციალურ მთელს, რთულ „**სოციალურ ორგანიზმსა, ანუ „სუპერ-ორგანიზმსა**".

ამგვარად, ყველა ზემოხსენებული მოვლენა წარმოადგენს **მოწესრიგებას** ერთად მცხოვრებ ადამიანთა ამა თუ იმ მოქმედებისას, რომელიც მიმართულია რომელიმე მიზნისაკენ, ამა თუ იმ მოთხოვნილების დაკმაყოფილებისაკენ. საზოგადოებრივი ცხოვრება სავსებით უდრის ზემოხსენებულ მოვლენათა არსებობას საზოგადოების წიაღთა შინა. მაშასადამე, ჩვენ შეგვიძლია დავადგეთ შემდეგ საერთო დასკვნას:

საზოგადოებრივი ცხოვრება არის ერთად მცხოვრებ ადამიანთა მოწესრიგებული მოქმედება მათ ყველა მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, მათ საერთო მიზანთა მისაღწევად.

საზოგადოება არის შეერთებულ ადამიანთა ისეთი კრებული, რომელთა საერთო ცხოვრება მოწესრიგებულია საერთო მიზანთა მისაღწევად.

აი, დაახლოებით, რა განსაზღვრა შეგვიძლია დაეუდვათ საზოგადოებრივ ცხოვრებასა, საზოგადოებას.

ჩვენ რასაკვირველია ვიცით, რომ მოთხოვნილებანი ადამიანთა იცვლებიან, იცვლებიან მათი ვნებანი, სურვილნი, მისწრაფებანი, მიზანნი. იცვლება და მრავალფეროვანდება მოქმედება ადამიანთა. იცვლება ყველა ამისდა მიხედვით ისტორიულად შემდგარი საზოგადოება; კონკრეტული განხორციელება სოციალური მოწესრიგებისა სხვა და სხვანაირია სხვა და სხვა საზოგადოებაში და სხვა და სხვა დროს. **მაგრამ ამ ცვალებადობაში უცვლელი რჩება ერთი რამ,— თვით ფაქტი მიზან-დასახვის ნიჭის მქონე ადამიანების საერთო მოქმედებათა მოწესრიგებისა, რომლის გარეშე არ არსებობს საზოგადოება, სოციალური ცხოვრება.** საზოგადოება ისე არ შეიცვლება არასოდეს, რომ მას არ ახასიათებდეს ელემენტარული ფაქტი მოწესრიგებისა, — ამ შემთხვევაში უნდა განქრენ ზემოხსენებული მოვლენანი, უნდა განქრეს თვით საზოგადოება, როგორც განსაკუთრებული მოვლენა მსოფლიოისა.

მაშასადამე ჩვენ უკვე ვნახეთ ის ერთობა ცვალებადობაში, რომელიც აუცილებელია საზოგადოების განსაკუთრებული ხასიათის გასათვალისწინებლად, რომელიც თანა სდევს ყველა საზოგადოებას მის ევოლუციაში და დარჩება მისი საუკუნო თანმსრბოლი, ძირითადი ფაქტი, სანამ თვით სახსენებელი იქმნება ქვეყანაზედ იმ არსთა, რომელთაც შეუძლიათ იქონიონ მოწესრიგებული ცხოვრება თავიანთ მიზანთა მისაღწევად.

მაგრამ, როგორიც არ უნდა იყოს ხასიათი საზოგადოებისა, იგი მაინც ცალკე ინდივიდებისაგან შესდგება. ესეც ეჭვს გარეშე მდგომი ფაქტია. ინდივიდი კი თავისი ინდივიდუალობით, თავისი განსაკუთრებული პიროვნებით დახასიათდება. ინდივიდები არასოდეს არ არიან ურთიერთის სრულნი მსგავსნი. იგინი ერთმანეთისაგან განირჩევიან სახითა და სხეულითა, გრძნობითა, ვნებითა, გონებითა, კერძო მიზნითა და მისწრაფებითა — როგორც ფიზიკურად, ისე პსიხიურად ისინი თავის დღეში ვერ „შეერთდებიან" ისე, რომ ადამიანმა სთქვას: რადგანაც ინდივიდი A იდენტიურია ინდივიდ B-სი, ამიტომ A=B (ე. ი. შეადგინოს არა უბრალო თანასწორობის ფორმულა, არამედ ფორმულა იგივეობისა) და შაშასადამე მათი შეერთება ჰქმნის 2A-სო. ეს რომ ასე იყოს, მაშინ თვით ინდივიდუალობა, ინდივიდიც აღარ იქ-

მნებოდა და მოისპობოდა ზემოხსენებული პრობლემა ადამიანთა შეერთებისა, საერთო ცხოვრებისა, მაშასადამე თვით საზოგადოებისა. მეორე მხრით კი ფაქტია, როგორც არა ვსთქვით, რომ საზოგადოება შეერთებაა ადამიანთა, მათი საერთო ცხოვრების მოწესრიგება. როგორ შეიძლება ამ წინააღმდეგობის შერიგება? — ერთი მხრით ინდივიდები, ერთი-ერთისაგან განსხვავებული. მეორე მხრით მათი „შეერთებული", მოწესრიგებული ცხოვრება, — საქმე სწორედ ეს მოწესრიგებაა, ერთი-ერთ შორის განსხვავებულ ინდივიდთა საერთო ცხოვრების მხოლოდ **მოწესრიგება** შეიძლება ან მორიგებით, კონტრაქტით — ამასთანავე ეს კონტრაქტი არ უნდა გვესმოდეს ამ სიტყვის პირდაპირი აზრით, როგორც პირდაპირი, წინასწარ მსჯელობითი მორიგება, არამედ კონტრაქტი შეიძლება იყოს ავტომატიური, ინსტინქტიური და მსჯელობითიც, — ან და ძალდატანებით სხვა გზა მოწესრიგებისა არც არის და არც ყოფილა ნამდვილად არსად, და ამ ორი მოვლენის მაგალითს მრავალსა ვხედავთ ხალხთა კონკრეტულ ისტორიაში, მათ საზოგადოებრივ ევოლიუციის მსვლელობაში. მხოლოდ არ შეგვიძლია არ დაეუმატოთ, რომ ნაძალადევი მოწესრიგება ადამიანთა საერთო ცხოვრებისა უთუოდ ზერელია, თანაც მისი როლი გაციცხოვრების მხოლოდ **მოწესრიგება** შეიძლება ან მორიგებით, კონტრაქტით, — რომელიც გაცილებით უფრო ღრმაა და წმინდა სოციალური ხასიათისა. ამასთანავე თვით ეს ნაძალადევი მოწესრიგება ძლიერ ბევრ ელემენტს შეიცავს კონტრაქტისას (მაგალითად ნადირობისა და ომის დროს ბელადის ამორჩევა ადამიანთა კრებულის მიერ და მერე მის წინაშე მორჩილების განმტკიცება მშვიდობიანობისა და შინ მუშაობის დროსაც). აგრეთვე მთელი ორი მესამედი საერთაშორისო სამართლისა რა არის, თუ არა წმინდა კონვენციები. კონტრაქტები სახელმწიფოთა შორის, როგორც სამართლის პირთა შორის? იგი აგრეთვე გარდამავალია და თანდათან უთმობს ადგილს ან თავისუფალ კონტრაქტს, ან სწორუფლებიანობას. ეს უკანასკნელიც, მართალია, თავისებური ძალ-დატანებითი მოწესრიგებაა, მაგრამ დიდად განსხვავებული დესპოტიურ და თვით მპყრობელობით სამართლისაგან, — როგორც არა ვსთქვით, შტამლერის აზრით ძალ-დატანებითი სამართალი არასოდეს არ მოისპობა, ჩვენის აზრით კი მან ადგილი უნდა დაუთმოს თავისუფალ კონტრაქტს, მაგრამ ეს ჩვენ აქ არ გვაინტერესებს, შტამლერის აზრი რომ კიდეეაც სრული ჰეშმარიტი იყოს, ჩვენ თეზისს მაინც ვერა სცვლის. **ყოველ შემთხვევაში კონტრაქტი მაინც ერთი სახეა რეგულარიზაციისა**, რასაც შტამლერი თვით აღიარებს, — და ისეთი სახე, რომელიც ფართოდ და ღრმად არსებობს საზოგადოებაში, აწესრიგებს საზოგადოების მრავალ დარგს. ამას ამტკიცებს არსებობა კონვენციონალურ სამართლისა. იერინგი ზნეობრივ ძალასა და მასზედ აღმოცენებულ ვალდებულების გრძნობას მეტ როლს აწერს თავის „სამართლის მიზანში", ვიდრე შტამლერი. შტამლერიც მას დიდ როლს აწერს, თუმცა მისი აზრით მხოლოდ წმინდა სამართალს შეუძლია განახორციელოს კანონ-განზომილება სოციალური ცხოვრებისა; ამაშია მთავარი საგანი შტამლერის ანარქიზმთან კამათისა, რომლის მოძღვრებითაც ამ მიზანს კონვენციონალური სამართალიც მიაღწევს.

მაგრამ ჩვენ აქ უმთავრესი ყურადღება უნდა მივაქციოთ კონტრაქტსა და ძალ-დატანებით სამართალს იმ მხრით, თუ რაგვარი მოწესრიგებანი არიან იგინი? თავისთავად ცხადია, რომ ძალ-დატანებითი სამართალი არ არის მოწესრიგება, შეთანხმებული ადამიანის სუბიექტივურ მისწრაფებასთანა და ვნებასთან. სამართალი თვით საზღვრავს ადამიანთა დამორჩილებას, თვითა სდებს წესებს ამ მორჩილებისას. ადამიანს, რომელიც სამართალს ემორჩილება, გა-

რედან ევლინებიან ეს ბრძანებანი, რომელნიც მან უნდა აღასრულოს დასჯის შიშით, მაშასადამე სამართალი არის **გარეგნული მოწესრიგება** საერთო ცხოვრებისა. — ესევე ითქმის კონტრაქტზედაც. აქ თუმცა მორჩილების წესები თვითონვე, წინასწარ-ძალ-დატანებით არა საზღვრავენ მორჩილების სუბიექტებს, არამედ ეს უკანასკნელნი თვით არდგენენ თავიანთთვის ამ წესებს, მაგრამ ეს მორჩილების წესები, რაღაი საერთო შეთანხმებით უკვე დამკვიდრდებიან. — უკვე იძენენ დამოუკიდებელი ძალის ხასიათსა, უკვე სუბიექტთა და მათ ინდივიდუალურ ხასიათთა გარეშე სდგანან და ხშირად მათი ბრძანება უფრო სასტიკიც არის, ვიდრე წმინდა სამართლისა. უამისოდ შეთანხმებაც არ იქმნება, როგორც ზემოთა ვსთქვით. მაშასადამე კონტრაქტიც **გარეგნული** მოწესრიგებაა საერთო ცხოვრებისა, როგორც წმინდა სამართალი, მხოლოდ იგინი სხვა და სხვანი სახენი არიან ერთის გარეგნულის მოწესრიგებისა. ესევე ითქმის ყველა სხვა სოციალურ მოვლენაზედ, რომელიც ზემოდ ჩამოთვალეთ. არ არის არც ერთი სოციალური მოვლენა, რომელიც გარეგნულ ვალდებულებასაც არ ადებდეს ადამიანს, რაც თუ გინდ შინაგან, ღრმა პიროვნულ პსიხიკაში უნდა ჰქონდეს მას სათავე. მაშასადამე, საზოგადოდ, სოციალური მოწესრიგება გარეგნულია, როგორიც უნდა იყოს მისი სახე. კონტრაქტიული თუ ძალ-დატანებითი.

ამიტომაც სრული განსაზღვრა საზოგადოებისა, რომელსაც მოწესრიგება დაახასიათებს, იქმნება შემდეგი:

გარეგნული მოწესრიგება შეერთებულ, მიზან-დასახვის ნიჭის მქონე ადამიანების ცხოვრებისა მათ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად, მათ საერთო მიზანთა მისაღწევად, — აი რა არის საზოგადოებრივი ცხოვრება.

საზოგადოება არის ისეთი კრებული მიზან-დასახვის ნიჭის მქონე შეერთებულ ადამიანთა, რომელთა საერთო ცხოვრება მათ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად და საერთო მიზანთა მისაღწევად გარეგნულად არის მოწესრიგებული.

საზოგადოებრივ ცხოვრებაში გარდა ზემოხსენებულ მოვლენათა ჩვენ ვამჩნევთ ერთს მართლაც უმშვენიერესსა და განსაცვიფრებელ მოვლენას. ეს მოვლენა არის აგრეთვე სოციალური მოვლენა. მაჩვენებელი საზოგადოებრივობისა, აგრეთვე ერთგვარის მოწესრიგებისა. რომელიც საუკეთესო ნიმუშია ძალა-დაუტანებელ და თავისუფალ მოწესრიგებისა. ეს მოვლენა არის — ენა. ენა ისეთი ელემენტარული რამ არის სოციალურ ცხოვრებაში, ისეთი საერთო თვისება ყველა ადამიანისათვის. ყველა საზოგადოებისათვის. რომ მისი ჩათვლა განცალკევებულ სოციალურ მოვლენად არც კი არის საჭირო: როდესაც ადამიანთა საზოგადოებაზედა ველაპარაკობთ, ენა თითქოს თავის თავად იგულისხმება. ამასთანავე განსაკუთრებული ენა არჩევს ერთს საზოგადოებას მეორისაგან. უმეტეს შემთხვევაში. ყოველ ენას თავისი განსაკუთრებული სახე აქვს. ენა არის აგრეთვე საუკეთესო, უწმინდესი, შეუმწიკველი თავისუფალი „კონტრაქტი", გარეგნული მოწესრიგება ადამიანთა შორის განწყობილებათა გამოთქმისა, საუკეთესო და უმაღლესი გამოჩენა მათი საერთო ცხოვრებისა. ამ განსაკუთრებულ, თავის საკუთარ ენით გამოჰხატავს ხოლმე საზოგადოებაში ადამიანი თავის გრძნობათა, მისწრაფებათა და იდეალთა. ამ ენით აბამს იგი თავის თანამშრომლებთან რთულ ქსელს განწყობილებათა. ამ ენაზედ ეყრდნობა იგი თავის იმედს, — უზენაესს არსებას, თავის ღმერთებს. ამ ენაზედ მღერის იგი თავის საყვარელ ჰანგებსა და იგონებს წარსულ საერთო საქმეთა. მთელის საზოგადოების მიერ აღსრულებულთა, ადიდებს ძველ გმირებს, მამულის

ახსნელებს, უმღერს სიყვარულსა; ამ ენაზედ ჰქმნის იგი თავის ისტორიას, საუკუნოებით აგროვებს საერთოდ ჩადენილ საქმეთა მოთხრობებს და გარდმოცემებსა. ინახავს მათ შთამომავლობისათვის; ამ ენაზედ აზროვნობს იგი და აღწევს რა თავისი გონებით ბუნების საიდუმლოებასა, — თავის აზროვნების ნაყოფს გამოსთქვამს, სწერს და ამცნობს თავის მოკავშირეთ, თანამოქალაქეთ, მთელს საზოგადოებას, შემდეგ მრავალ საზოგადოებას, — და სხვ. საკვირველი არ არის მაშასადამე, რომ ადამიანს თავისი ენა უყვარდეს, აუმჯობესებდეს, ამაღლებდეს და აღმერთებდეს მას. იგი გამომხატველია უწინარეს ყოვლისა მისი საზოგადოებრივობისა, უარ-მყოფელი მისი მარტოობისა, რაც მას ეჯავრება და რასაც იგი უარ ჰყოფს. იგი ადამიანთა უპირველესი ხელოვნებაა. იგი სალარია, სადაც ინახება მათ წარსულ საქმეთა, წარსულ ცხოვრების მოთხრობანი, იგი მათი სულის მეტყველების იარაღია. საკვირველი არ არის, რომ ყველა ამ ენისათვის კვდებოდეს, მტერს ზედ აკლავდეს თავსა გმირულად, თუ მას ამ ენას ართმევენ და სხვა ენით უნდათ ძალით აამეტყველონ.

მაგრამ ჩვენ მგონი საგანს ავსცდით. ჯერ-ჯერობით განვაგრძოთ ჩვენი ანალიზი: საზოგადოება ჯერ კიდევ არ არის სრულიად განსაზღვრული.

II

თუ ერთი მხრით საზოგადოება არის გარეგნულად მოწესრიგებული საერთო ცხოვრება ადამიანთა, ცხადია მეორე მხრით, რომ იგი, როგორც ერთი მთელი რამ, არის ერთი განსაკუთრებული არსი, რომელიც განსხვავდება ყველა სხვა არსთაგან და თვით ინდივიდისაგანაც. საზოგადოება ისეთი არსია, რომლის ცხოვრებისა, სიცოცხლის პროცესისა და განვითარების კანონები საკვლევით არ ჰგვანან ცალკე ინდივიდის კანონებსა, და რასაკვირველია სოციოლოგები შესცდნენ, როდესაც უბრალო ანალოგიით არ დაკმაყოფილდნენ ინდივიდსა და საზოგადოებას შორის და ამ უკანასკნელის კანონები და ინდივიდისა ერთ და იმავე კანონებად აღიარეს. შესცდნენ აგრეთვე ის სოციოლოგებიც, რომელთაც საზოგადოება წმინდა პსიხიური მოვლენა ეგონათ. წმინდა პსიხიური მოვლენა მხოლოდ ინდივიდის წიაღთა შინა არსებობს, საზოგადოება კი, თუმცა ინდივიდთაგან შესდგება, მაგრამ მაინც განცალკევებული არსია და მას თავისი კანონები უნდა ჰქონდეს. მაგრამ ესეც სხვა საკითხია, რომელიც აქ არ გვაინტერესებს.

ჩვენა ვსთქვით, რომ საზოგადოება არის გარეგნულად მოწესრიგებული ცხოვრება შეერთებულ ადამიანთა. მაგრამ იმავე დროს მაშასადამე იგი უნდა იყოს ერთი რაღაც მთლიანი არსება, რომლის სიცოცხლის პრინციპი ეს გარეგნული მოწესრიგებაა. და თუ თვით ამ მთელ არსებაზედ არ ვიქონიეთ რაიმე წარმოდგენა, მარტო მისი ძირითადი დამახასიათებელი თვისების შეგნება ვერ მოგვცემს საზოგადოების საკვლევით განსაზღვრას. როგორია მაშასადამე ეს საზოგადოებრივი არსი, როგორც ერთი მთელი არსება, განსხვავებული ყველა სხვა არსისაგან ბუნებაში?

საზოგადოება შესდგება ადამიანთაგან, — ეს უეჭველი ფაქტია, ადამიანი კი ცოცხალი არსია. მაშასადამე თვით საზოგადოება მკვდარი არ შეიძლება იყოს, არამედ იგი ისეთი ცოცხალი არსია, რომლის სიცოცხლის პრინციპი მის შემადგენელ ნაწილთა შორის გარეგნულად მოწესრიგებული საერთო ცხოვრებაა. სიცოცხლე საზოგადოებისა უსათუოდ უნდა აღვიაროთ, რადგანაც არ არის ქვეყანაზედ არც ერთი არა-ცოცხალი არსი, რომ იგი ცოცხალ არსთაგან

შესდგებოდეს. კლოდ-ბერნარი ამბობდა, რომ ყოველი ცოცხალი არსი შესდგება აგრეთვე ცოცხალ არსთაგანაო, — და ეს უბრალო ჰეშმარიტება მისი ხანგრძლივი შრომისა და ფიქრის შედეგი იყო. პასტერმა შემდეგ დაამტკიცა, რომ ყოველი ცოცხალი არსი, როგორი სირთულისაც უნდა იყოს იგი, წარმოსდგება აგრეთვე ცოცხალ არსთაგან. ესეც მისი მრავალი ფიქრისა, შრომისა და ცდის შედეგი იყო. მან დაამტკიცა შეცდომა იმ მეცნიერთა, რომელთაც სწამდათ ეგრედ წოდებული generatio aequivoca, ე. ი. თავისუფალი ჩასახვა. თანამედროვე ბიოლოგებს ვერ უნახავთ შემაერთებელი ძაფი სიცოცხლესა და მკვდარ ნივთიერებას შორის. არის მრავალი თეორია, როგორც პოზიტივისტური, ისე უკიდურესი მეტაფიზიკური, მაგრამ არც ერთი არა სწყვეტს პრობლემასა. უკანასკნელად ფრანგმა ფილოსოფოსმა ბერგსონმა სიცოცხლე რაღაც შემომქმედ პრინციპად აღიარა, რომელიც განირჩევა ძირითად უმოქმედო ნივთიერებისაგან. ჩვენ შეგვიძლია ესე ყოველი ჰეშმარიტებად აღვიაროთ, მიუხედავად იმისა, რომ ყოველთვის არის შესაძლებელი დაყენებულ იქმნას საკითხი, — საიდან წარმოსდგა პირველი ცოცხალი არსი, თვით პირველი სიცოცხლე? ეს უკანასკნელი საკითხი კი სულ სხვა საკითხია და აქ საინტერესო არ არის. როგორც არა ესთქვით, ჩვენთვის საინტერესოა ის უეჭველი ფაქტი, რომ ყოველი ცოცხალი არსი წარმოსდგება ცოცხალ არსისაგან, აგრეთვე ყოველი ცოცხალი არსი შესდგება ცოცხალ ნაწილთაგან. და მაშასადამე ცოცხალ ნაწილთა შეერთება ყოველთვის ცოცხალ არსსა ჰქმნის, როგორი თავისებურებისაც უნდა იყოს ეს უკანასკნელი.

საზოგადოება კი შესდგება ცოცხალ არსთაგან, ადამიანთაგან, და როგორიც უნდა იყოს უცნაური, თავისებური ინდივიდუალობა ბუნებაში ამ არსისა, ანუ ამ „მახინჯი" ბუნებრივი არსისა, როგორც საზოგადოებას უწოდებს გ. დეგრეფი, იგი მაინც **ცოცხალი არსია**, განსხვავებული როგორც მის შემადგენელ ცალკე ინდივიდთაგან, ისე მით უმეტეს ყველა სხვა არსისაგან.

ცოცხალი ნივთიერება დახასიათდება ორგანიზაციით. ცოცხალი რთული არსი კი, როგორც ცხოველი, მცენარე — ორგანოსანი არსია, **ორგანიზმი.** არიან მეტისა და ნაკლები სირთულის ორგანიზმები, საზოგადოება. როგორც გაცილებით უფრო რთული მოვლენა, ვიდრე თვით ადამიანის ორგანიზმი, არის მაშასადამე ძლიერ რთული ორგანიზმი, რომ საზოგადოება დახასიათდება ორგანიზაციით, ამას ამტკიცებს თვით ზემოხსენებული განსაზღვრა მისი: ცხოვრება მოწესრიგებაა ერთად მცხოვრებ ცოცხალ ადამიანთა. რომ იგი წარმოადგენს ერთგვარ ორგანიზმს, — ამას ამტკიცებს ის ფაქტი, რომ მას აქვს თავისი სპეციალური ორგანოები და ფუნქციები, როგორც სხვა ორგანიზმებს აქვსთ თავიანთი სპეციალური ორგანოები და ფუნქციები, ბუნების გარემოცულ წრეში მრავალფეროვან მოქმედებათა აღსასრულებლად.

ჩვენ აქ არ გვაინტერესებს აგრეთვე სოციალური ორგანიზმის წარმოშობა, გენეზისი მისი თავისებური ორგანიზაციისა, მისი განვითარება და ცვალებადობა, — ჩვენ გვაინტერესებს მხოლოდ ის ფაქტი, რომ საზოგადოება ორგანიზმია. ამასთანავე უნდა შევნიშნოთ ერთი რამ. ბევრი სოციოლოგი ისე უყურებდა საზოგადოებრივ ორგანიზმს, როგორც უბრალო ცხოველის ორგანიზმს. საზოგადოებას თითქოს ჰქონდა სისხლის ბრუნვის აპპარატები, ნერვების სისტემა, კვების აპპარატები და სხვ. ისე გაიტაცა ამ შედარებამ ეს მეცნიერნი, რომ მათთვის სოციალური ორგანიზმის ფიზიოლოგია და უბრალო ორგანიზმისა **ერთი და იგივე** გახდა. მათ უკვე ანალოგია კი აღარა ჰქონდათ.

სახეში, არამედ იგივეობა სოციალურ და ბიოლოგიურ კანონთა, და ამით მთლად უნდა მოსპობილიყო თვით პრობლემა სოციოლოგიისა, როგორც განსაკუთრებული დისციპლინისა; მართლაც — სოციალური მოვლენა ან განსხვავდება უბრალო ორგანიულ მოვლენათაგან, ან არ განსხვავდება. თუ განსხვავდება, მაშინ მისი კანონები სხვანაირია, და აქ ფიზიოლოგია ვერას გვიშველის, გარდა ანალოგიისა მისსა და სპეციალურ სოციოლოგიურ კანონთა შორის, რომელნიც წინდაწინვე უნდა იცენენ აღმოჩენილნი, სანამ მათი ნამდვილი ანალოგია შეიძლებოდეს სხვა კანონებთან, თუ არ განსხვავდება, — მაშინ ლაპარაკიც აღარ შეიძლება სოციოლოგიაზედა და ეს უკანასკნელი უკიდურესს შემთხვევაში გახდება მხოლოდ ნაწილი ბიოლოგიისა და ფსიხოლოგიისა, და არა დამოუკიდებელი დისციპლინა. ზემოხსენებული მეცნიერნი კი სოციოლოგიიდან დამოუკიდებელ დისციპლინას ჰქმნიდნენ და იმავე დროს სპეციალურ საზოგადოებრივ მოვლენებს მზა მეცნიერების, სხვა მეცნიერების, ბიოლოგიის კანონებითა ხსნიდნენ, — მის მაგივრად, რომ უბრალო ანალოგია ეხმარათ ბიოლოგიურ და სოციალურ მოვლენათა შორის, რომ სოციოლოგიურ კანონთა აღმოსაჩენად მხოლოდ დახმარება გაეწია ამ ანალოგიას. ამ წინააღმდეგობამ დააფიქრა სხვა სკოლის სოციოლოგები. საშინლად გაილაშქრნენ ორგანიცისტების წინააღმდეგ, მაგრამ მათი უმთავრესი არგუმენტი იყო იგივე, რასაც ეხლა ვლაპარაკობდით: სოციალური მოვლენა განსაკუთრებული მოვლენაა, იგი არ არის არც მარტო ფიზიოლოგიისა და არც მარტო პსიხოლოგიის საგანი. და თუ სოციალური მოვლენა არ არის განსაკუთრებული, თუ მისი ახსნა შეიძლება ბიოლოგიისა და ფსიხოლოგიით, მაშინ რაღა-საჭიროა ლაპარაკი სოციალურ მოვლენებზედ, როგორც განსაკუთრებულ მეცნიერების საგანზედო — სრულ ჭეშმარიტებას ამბობდნენ ეს სოციოლოგები, მაგრამ ჩვენის ფიქრით ძლიერ გადააჭარბეს თავიანთი კრიტიკა. მათ ისიც კი უარ-ჰყვეს, რომ რაიმე ანალოგია ყოფილიყოს შესაძლებელი ორგანიზმსა და საზოგადოებას შორის. მათ კიდევ უფრო მოიცეს გული, როდესაც შეეცადნენ განესაზღვრათ თვით სოციალური ფაქტი, რაიცა საშუალებას იძლეოდა სოციალური მეცნიერების შექმნისას, რადგანაც ამ ელემენტარული ფაქტის განსაზღვრით სოციოლოგია გაეყრებოდა სხვა მეცნიერებათა და მოიპოვებდა არსებობის ფორმალურ უფლებასა. მაგრამ, ჯერ ერთი, აღმოჩენა და განსაზღვრა ამ ფაქტისა კიდევ ვერ იძლევა სრულსა და მთლიან წარმოდგენას საზოგადოებაზედ, — ისე, როგორც ასსიმილიაცია და სხ., დამახასიათებელი ცხოველის სიცოცხლისა, ვერ იძლევა ორგანიზმის წარმოდგენასა, — მეორე კიდევ ის, რომ ანალოგიის შიში უსაფუძვლოა, რადგანაც ამ ანალოგიას ვერ ასცილდება ვერც ერთი მეცნიერი უბრალო სიტყვითა და მოხსენებით მაინც. მართლაც, — ყველა ანტიორგანიცისტიც კი ყოველთვის ხმარობს სიტყვას — **სოციალური ორგანიზმი!** და რას ნიშნავს ეს, თუ არა — ან სოციალურ ორგანიზმის ნამდვილ არსებობას, — ან და სწორედ უბრალო ანალოგიას? ჩვენის აზრით, როდესაც უბრალოდა ხმარობენ ანტიორგანიცისტები ამ სიტყვას — სოციალურ ორგანიზმს, — კიდევ უფრო დიდ შეცდომაში შეჰყავთ მკითხველი, ვინაიდან იგინი არ ამბობენ — რა აზრითა ხმარობენ ამ ტერმინსა, და განუსაზღვრელი ცნება სოციალური ორგანიზმისა უფრო დიდ გამოურკვეველობასა ჰბადებს ჩვენთვის, ვიდრე განსაზღვრული, — როგორც მაგალითად შეფლესი, ლილიენფელდისა, ან ვორმსისა და დე-გრეფისა, ან თუ გინდ თვით სპენსერისაც.

დიახ, თვით ანტიორგანიცისტებიც ვერ გასცილდებიან სოციალური ორგანიზმის ცნებას, რადგანაც ეს უკანასკნელი — ჭეშმარიტებაა ჩვენის აზრით, — და ისინიც თუმცა უარ-ჰყოფენ, მაგრამ მაინც ბუნდოვანად აღიარებენ ამ ჭეშმარიტებასა მხოლოდ საჭიროა მისი განხილვა სპეციალური თვალსაზრისით.

ეს სპეციალური თვალსაზრისი კი დამყარებულია თვით სოციალური ფაქტის განსაზღვრაზედ, როდესაც სოციალურ ორგანიზმზედ ლაპარაკობენ. ყოველთვის მხედველობაში უნდა ჰქონდესთ ეს სპეციალური თვალსაზრისი, — სოციალურ ელემენტარულ მოვლენის განსაკუთრებითი ვითარება, — და მაშინ აღარც ცხოველისა და სოციალურ ორგანიზმთა იგივეობა იქმნება აღიარებული სოციოლოგიაში, აღარ იქმნება მაშასადამე ეს დამღუპველი შეცდომა. და ანალოგიაც მათ შორის წრეს აღარ გადასცილდება, — იგი შეიქმნება მხოლოდ ანალოგია მეცნიერულ ტერმინთა შორის, და ისიც კიდევ იმდენად, რამდენადაც მოსახერხებელია. სოციალური ორგანიზმის თვისება ცხოველის ორგანიზმის თვისებასთან იგივეობაზედ, ან ანალოგიაზედ კი არ უნდა ააშენონ, არამედ წინდაწინვე უნდა იყოს დამტკიცებული, რომ სოციალური მოვლენა განსხვავდება თავისი განსაკუთრებული თვისებით სხვა მოვლენათაგან, მაშასადამე სოციალური ორგანიზმიც განსხვავდება სხვა ორგანიზმთაგან. მხოლოდ ამ ანალიზის შემდეგ არის შესაძლებელი ჭეშმარიტი შეგნება სოციალურ ორგანიზმის თვისებათა. და რომ სოციალური მთელი — ორგანიზმია, ეს უეჭველია, როგორც არა ვსთქვით, რადგანაც საზოგადოება რთული რამ ცოცხალი არსია, როგორც შემდგარი ცოცხალ ადამიანთაგან, რომელთა საერთო ცხოვრება მოწესრიგებულია გარეგნულად. საზოგადოება — ერთგვარი ორგანიზაციაა; უმცირეს ცოცხალ არსთა ორგანიზაციაა აგრეთვე მთელი ორგანიზმი რომელიმე ცხოველისა. მაგრამ ამ ორ ორგანიზაციის შორის პრინციპიალური განსხვავებაა. უჯრედი არის არსი მოკლებული გონებასა, ლოღიკასა, ნებასა და რთულ გრძნობათა, მით უმეტეს მიზან-დასახვის ნიჭსა, — ადამიანი კი, სოციალური უჯრედი, — ყველა ამ თვისების მატარებელია. პრინციპი უბრალო ორგანიზმის ორგანიზაციისა სულ სხვაა, სოციალურისა კი სულ სხვა, — გარეგნული მოწესრიგება მიზნის მქონე ადამიანთა საერთო ცხოვრებისა. რასაკვირველია, მაშასადამე, ორგანიზმებიც — სოციალური და ცხოველისა — ყველა ამისდა მიხედვით განირჩევიან ურთი ერთისაგან. სოციალური ორგანიზმი არის სწორედ ორგანიზმი „sui geueris". ძლიერ მკვეთრი კრიტიკა უძღვნეს ამ სიტყვას „sui generis"-ს, ამბობდენ რა სამართლიანად, რომ მისი ხმარება უფრო დაყენებაა პრობლემისა, ვიდრე მისი გადაწყვეტა, — საკითხავი სწორედ ის არის, თუ რაში გამოიხატება სოციალური ორგანიზმის ეს „sui generis"-ობაო? მაგრამ რაღაი ყოველ ანალიზს წინ უნდა უძღოდეს სწორედ გამორკვევა მთავარი ცნებისა, რაღაი მაგალითად, გამოირკვა, რომ ეს გარეგნული მოწესრიგება არის ელემენტარული საზოგადოებრივი სიცოცხლის დამახასიათებელი ფაქტი, ეს „sui generis"-ობაც განსაზღვრულია და ზემოხსენებული არგუმენტი ორგანიზმის წინააღმდეგ ისპობა. ალფრედ ფულლიემ მიაქცია ამას დიდი ყურადღება, მოახდინა ზემოხსენებული ანალიზი, აღიარა საზოგადოებრივი ფაქტის დამახასიათებლად კონტრაქტი, და ამის თანახმად მან საზოგადოება დასახა, როგორც **კონტრაქტუალისტური ორგანიზმი**. აგრეთვე გილლიომ დე-გრეფმა განიხილა და გადასწყვიტა ეს პრობლემა ასეთივე დასკვნით, ასეთივე, კიდევ უფრო ღრმა ანალიზი მოახდინა ტარდმა უმთავრესი სოციალური ფაქტისა, წამბაძველობისა, — და მანაც საზოგადოება თუ მთელს ორგანიზმს არა, მის უმთავრესს ორგანოს, ტვინს ამსგავსა და სხვა.

ჩვენ კი, თანახმად შტამლერისაგან სოციალურ ფაქტის განსაზღვრისა, შეგვიძლია ვუწოდოთ საზოგადოებას — ორგანიზმი, გარეგნულად მოწესრიგებულ ცხოვრების მქონე ადამიანთაგან შემდგარი. თუმცა შტამლერი არ ამბობს, წარმოადგენს თუ არა ასეთ რამეს საზოგადოება, მაგრამ იგი ჯერ ერთი ხშირადა ხმარობს „სოციალურ ორგანიზმსა" —და რა არის მისთვის ეს ორგანიზმი, თუ არა მის მიერვე განსაზღვრულ სოციალურ ფაქტის შესაფერი ორგანიზმი? მეორე, — მაც წარმოუდგენია საზოგადოება, როგორც ერთობა ერთისა და მთელის რთულის მოვლენისა, მასა სწამს ერთობა სოციალური ცხოვრებისა.

შტამლერი არასოდეს არ ივიწყებს ამ ერთობას. ამ ერთობის თვალსაზრისით განიხილავს იგი საზოგადოებრივ ცხოვრების მოწესრიგებას, რომლის წიაღშიაც წარმოიშობიან და ვითარდებიან სოციალური მოვლენები და ჩვენც ანალიზის გაადვილებისათვის ვიხმარეთ მხოლოდ ზემოხსენებული კლასსიფიკაცია ცალკე სოციალურ მოვლენათა საზოგადოების დამახასიათებელი ფაქტის განსარკვევად, — ისე, როგორც რომელიმე მანქანის ცალკე ნაწილებსა სწავლობენ მთელი მანქანის სტრუქტურაზედ და მოქმედებაზედ მთლიანი წარმოდგენის შემუშავებისათვის. და რას წარმოადგენს ეს ერთი მთელი არსი, თუ არა ორგანიზმს, იმ თავისებურ სოციალურ ორგანიზმს, რომელიც განირჩევა ცხოველის ორგანიზმისაგან — იმ თვალსაზრისთა მიხედვით, რომლებითაც ვუყურებთ ერთი მხრით სოციალური ცხოვრების ელემენტარულ ფაქტსა და მეორე მხრით ცხოველის სიცოცხლის მოვლენის დამახასიათებელ ფაქტსა?

ამის შემდეგ ნათელი უნდა იყოს, თუ რას ნიშნავს „სოციალური ორგანიზმი". ამ ორ ტერმინში მარტო მეორეს, სიტყვას ორგანიზმს კი არ უნდა მიექცეს ყურადღება, რაიც ჰბადებს მაშინვე ჩვენს აზრში სოციალურ ორგანიზმის ცხოველის ორგანიზმთან იგივეობასა და იწვევს შეცდომას, არამედ განსაკუთრებით პირველ ტერმინს, სიტყვას სოციალურს, რომელიც უკვე საზღვრავს მეორე ტერმინის განსაკუთრებით ხასიათს, თავისებურობას. მაშინ „ორგანიზმი" საშიში აღარ იქმნება სოციოლოგებისათვის. მაშინ ბიოლოგიისაგან ნასესხები ტერმინები ვეღარ შეიყვანს შეცდომაში ვერავის. ფიზიოლოგია და ანატომია სოციალური ორგანიზმისა, სტრუქტურა, ფუნქცია საზოგადოებისა და სხვ. ისეთივე ნასესხები, მოხერხებული ტერმინები იქმნება, როგორც სოციალური სტატიკა, დინამიკა, ექვილიბრიუმი და სხვა მექანიკისაგან ნასესხები ტერმინები, რომელიც სრულიადაც არ ამტკიცებს იმას, რომ სოციალურ მოვლენათა და მექანიკურ მოვლენათა კანონები ერთი და იგივეა, თუმცა აქაც ბევრი შესცდა, — მაგალითად კერი, ფისკე, ერთის მხრით სპენსერი და სხვანი. იგინიც სცდილობდნენ ამაოდ სოციალური მოვლენანი მექანიკის კანონებით აეხსნათ. — სოციოლოგი რენე ვორმსი კი უფრო ზომიერ ტიპის ორგანიცისტია და მას დიდი ღვაწლი მიუძღვის სოციოლოგიისაგან ნასესხებ ტერმინთა განმარტებაში და მეცნიერულად გამოყენებაში.

ამის შემდეგ აგრეთვე ნათელი უნდა იყოს, თუ რა ფასისა არის ანტიორგანისტების სიტყვა, — მაშ თუ საზოგადოება კაცზედაც უფრო რთული და ცოცხალი ორგანიზმია, — იგი უნდა აზროვნობდეს, მას ლოღიკა უნდა ჰქონდეს, გრძნობა, ნება და სხვაო. დიახ, ყოველივე ესე მას ექმნებოდა, საზოგადოება, რომ ადამიანსა ჰგვანდეს, მაგრამ ადამიანისა და საზოგადოების „ორგანიზმები" ურთი-ერთისაგან განირჩევიან და ამიტომ საზოგადოებას არა აქვს არც ადამიანური ლოღიკა, არც ადამიანური გონება, არც ადამიანური გრძნობა

და არც სხვა რამ. ხოლო მას აქვს თავისი „სოციალური“ შეგნება, ლოღიკა, გონება, გრძნობა, ინსტინქტი და სხვა. სხვანი რომ არ მოვიხსენიოთ, ტარდმა ერთი უშესანიშნავესი წიგნი დასწერა, სწორედ „სოციალურ ლოღიკაზედ“...

მაგრამ შეიძლება პირდაპირ გვითხრან, რომ საზოგადოება სრულიად არ არის ორგანიზმი, არამედ სულ სხვა რამ, მაშ რა არის იგი, თუ არა ორგანიზმი? რას წარმოადგენს იგი, როგორც ნამდვილად არსებული, თვალით საჩინო, ხელით შესახები არსი? — მექანიზმსა? მაგრამ მაშინ ხომ იგი უსულო საგანთაგან უნდა იყოს შემდგარი? საზოგადოება კი ცოცხალ ადამიანთაგან შესდგება.— ჩვენის ფიქრით არ შეიძლება, რომ საზოგადოება არა-ორგანიზმი იყოს. იგ. დიახაც ორგანიზმია და ამის დამამტკიცებელი პირდაპირი საბუთებიც არის.

ყოველ საზოგადოებას აქვს თავისი საკუთარი ფუნქციები და ორგანოები. აი იმის დამამტკიცებელი პირდაპირი საბუთი, რომ იგი მართლაც ორგანიზმია.

რაც უფრო განვითარებულია ორგანიზმი, მით უფრო რთული და მრავალი დიფფერენციაცია განუცდია მის ორგანოებსა და ფუნქციებს, მით უფრო რთულია თვით ორგანიზმი, საზოგადოების ზრდა კი ყოველ ეჟვს გარეშეა; ეჟვს გარეშეა დიფფერენცია მის ორგანოთა და ფუნქციათა აგრეთვე. — მაშასადამე გართულება საზოგადოებრივი ერთობისა, ორგანიზმისა.

თუ საზოგადოება ადამიანთაგან შემდგარი ცოცხალი არსია, მაშასადამე იგი ძლიერ რთული, ცოცხალი არსი ყოფილა, რადგანაც მისი შემადგენელი ადამიანი, მისი „უჯრედი“, თვით არის ძლიერ რთული ორგანიზმი, რთულ ორგანოთა და ფუნქციათა მქონე. მაშასადამე საზოგადოება თავისთავად ყოფილა ძლიერ რთული ორგანიზმი, რადგანაც რთული ცოცხალი არსი შეიძლება მხოლოდ ორგანიზმი იყოს.

რადგანაც საზოგადოება არის ორგანიზაცია უკვე განვითარებულ, რთულ ორგანიზმთა, — ადამიანთა, — ეს ორგანიზაცია მაშასადამე წარმოადგენს თვით ადამიანთა ელემენტების კომბინაციას, მაშასადამე ადამიანზედ უმაღლესსა და ურთულესს ორგანიზაციას. სახელ-წოდება მისი კი არ ხერხდება, გარდა სუპერ-ორგანიზმისა, როგორც ამბობს სპენსერი, ანუ ჰიპერ-ორგანიზმისა, როგორც ტარდი ერს უწოდებს, —რადგანაც იგი გვიჩვენებს ბუნებაში ადამიანზედ შორს წარსულ განვითარებასა, საზოგადოება მაშასადამე უმაღლესი ორგანიზმია, და, როგორც არა ვსთქვით, თავისებური, განსხვავებული ადამიანთა ორგანიზმისაგან, შედეგი ბუნების მოვლენათა ადამიანზედ უფრო შორს წარსულ განვითარებისა.

ჩვენ ზემოდა ვსთქვით, რომ საზოგადოებას აქვს თავისი ორგანოები და ფუნქციები და ეს ამტკიცებს მის ორგანიზმობას. დიახ, ყოველ ორგანიზმსა აქვს თავისი ფუნქციები და ორგანოები, როგორც მდაბალთ, ისე მაღალთ, და იგინი აქვს აგრეთვე სუპერ-ორგანიზმსა და ეს ამტკიცებს მის მსგავსებას ყველა სხვა ორგანიზმთან, — მის ორგანიზმობას.

ფუნქციანი კვებისა და შთამომავლობის განგრძნობისა განუყოფელ არიან ცოცხალ ორგანიზმთაგან; მათ აქვსთ ამ ფუნქციათა აღმასრულებელი ორგანონი. ეს ფუნქციანი აგრეთვე განუყოფელ არიან საზოგადოებრივ სუპერ-ორგანიზმისაგან. გარეგნულად მოწესრიგებული საერთო მოქმედება კვებისათვის და შთამომავლობის განგრძობისათვის, — აი უმთავრესი და უპირველესი ფუნქცია საზოგადოებრივი ორგანიზმისა, — მისი ეკონომიური და გენეზიური ფუნქციანი, რომელთაც ასრულებენ სპეციალური ეკონომიური და გენეზიური ორგანოები: გზები, ბანკები, კრედიტი, მრეწველობის და მეურნეობის

ორგანონი, საკუთრება, ოჯახი და სხვა. გარეშე ამგვარი მოწესრიგებული ფუნქციისა კვება და განმრავლება არ შეიძლება ჩაითვალონ საზოგადოებრივ ფუნქციებად არამედ ინდივიდუალურად უნდა ჩაითვალონ იგინი, რადგანაც ზემო-ნათქვამიდანა სჩანს, რომ საზოგადოებრივ ფაქტს საერთოდ დაახასიათებს ეს გარეგნული მოწესრიგება.

როგორიც უნდა იყოს საზოგადოება, — მარტივი თუ რთული, პირველყოფილი თუ თანამედროვე, — ეს ეკონომიურნი და გენეზიურნი ფუნქციანი სრულდებიან საზოგადოების მიერ სპეციალურ ორგანოთა შემწეობით, —რომელნიც არიან ორგანონი ბრუნვისა წარმოებისა და ხმარებისა, ოჯახი და სხვ. როდესაც სოციოლოგები — ორგანიცისტები,-ანალოგიით ადარებენ ამ ბრუნვის ორგანოებს ცხოველის ორგანოებს, ე. ი. სისხლის ბრუნვის ორგანოებს, — მათ უფრო შორს მიჰყავსთ ანალოგია და ამგვარად არდგენენ მთელ სოციალურ ფიზიოლოგიას, მაგრამ, როგორც არა ვსთქვით, ეს ხშირად დიდ შეცდომებს იწვევს ხოლმე, და აქ არც გვეინტერესება ამ შეცდომებზედ ლაპარაკის გაგრძობა. ჩვენთვის საჭიროა მხოლოდ ვიცოდეთ, რომ არსებობენ საზოგადოებაში ორგანონი და ფუნქციანი ბრუნვის წარმოებისა ხმარებისა და სხვ რიცხვი იმ ადამიანთა, რომელნიც აღასრულებენ თავიანთ საქმეს ზემოხსენებულ ორგანოთა მოქმედებაში მოყვანით, — ლიტონი რიცხვი, — თავის დღეში ვერ გამოჰხატავს ვერაფერს „სოციალურს", ადამიანთ მხოლოდ მაშინ აქვსთ სოციალური მოქმედების გამომხატველთა როლი, როდესაც მათი მოქმედება გარეგნულად არის მოწესრიგებული და აღასრულებენ განსაზღვრულ, მოწესრიგებულ, მიზან განზომილ ფუნქციას. აგრეთვე შთამომავლობის განგრძობა თავის-თავად არის მხოლოდ ბიოლოგიური მოელენა და სოციალური მას არა აქვს რა. რომელიმე ფორმის ოჯახი კი, ე. ი. მოწესრიგებული მოქმედება ადამიანთა, რომელნიც აღასრულებენ შვილთა აღზრდისა და გამოკვების საქმეს, — არის ორგანო საზოგადოებისა, რომელიც აღასრულებს შთამომავლობის განგრძობის ფუნქციასა. საზოგადოებრივ სუპერ-ორგანიზმს აქვს მაშასადამე ეკონომიური და გენეზიური ორგანონი და ფუნქციანი.

იგივე ითქმის დანარჩენ სოციალურ მოელენებზედაც, იგინი არიან აღსრულებანი საზოგადოებრივ ფუნქციათა განსაკუთრებულ ორგანოთა შემწეობით. ფუნქციანი და ორგანონი არტისტიულნი, ზნეობრივნი, სარწმუნოებისა და მეცნიერებისა, იურიდიულნი და პოლიტიკურნი, — ესენი ყველანი არსებობენ საზოგადოებრივ სუპერ-ორგანიზმისათვის და წარმოუდგენელნი არიან გარეშე გარეგნულად მოწესრიგებულ საერთო მოქმედებისა. არტისტი გარეშე თეატ- საზოგადოებრივ სუპერ-ორგანიზმისათვის და წარმოუდგენელნი არიან გარეშე, იმ იარაღთა, რომლის გაკეთებაში მონაწილეობა მიუღია სხვა სოციალურ ორგანოებს და ურომლისოდაც იგი ცხოველ სულს ვერ ჩაუდგამს უსულო ნივთიერებათა გროვას, გარეშე არსებულ ზნე-ჩვეულებათა. რწმენათა, მისწრაფებათა და სხვ.— ფანტაზიაა. მღვდელი და ქურუმი გარეშე კულტისა და ეკლესიისა, დოგმათა, სამლოცველოთა და სხვ. — არ არსებობს. მეცნიერი გარეშე ლაბორატორიათა, წიგნისა, წიგნ-საცავთა, უნივერსიტეტთა და აკადემიათა და სხვ. —წარმოუდგენელია. მსაჯულთა ჯგუფი დუქანში ან მაღაზიაში მხოლოდ მოლაზღანდარე დროს გამტარებელია, ან და უბრალო მომხმარებელთა ეკონომიურ როლს თამაშობს, ლაქია და მიკიტანი კი განსაკუთრებულ სოციალურ ფუნქციას ასრულებენ; ხოლო სამსაჯულოში ეს მსაჯულები დიდ სოციალურ როლს ასრულებენ შესაფერ ორგანოთა შემწეობით. პოლიტიკის ორგანოთა

ფუნქცია ხომ კიდევ უფრო თვალსაჩინოდ სრულდება შესაფერ ორგანოთა შემწეობით. ეს ისე ცხადია, რომ თვით საშუალო ადამიანებმაც კი იციან სახელწოდება „ორგანო", რომლითაც იგინი იხსენიებენ „საკანონმდებლო", „აღმასრულებელ" და სხვა სოციალურ დაწესებულებათა.

მაშასადამე საზოგადოებრივ სუპერ-ორგანიზმს აქვს თავისი განსაკუთრებული სოციალური ორგანონი და ფუნქციანი, რომელნიც ისე განირჩევიან ცხოველის ორგანიზმის ორგანოთაგან და ფუნქციათაგან, როგორც ცხოველის სიცოცხლის ძირითადი ფაქტი განირჩევა სოციალურ ძირითად ფაქტისაგან. ეს ორგანონი და ფუნქციანი ეთანხმებიან ზემოდ-ჩამოთვლილ განსაზღვრულ რიცხვის სოციალურ მოვლენათა.

სუმმა თვითოეულ სოციალური ფუნქციის ორგანოთა წარმოადგენს ამ ორგანოთა აპპარატს, თუ გნებავთ ერთს ორგანიზმს, რომელსაც აქვს თავისი განსაკუთრებული ფუნქცია. მაგალითად ეკონომიური ორგანიზმი საზოგადოებაში შესდგება ყველა ორგანოთაგან, რომელნიც ეკონომიურ ფუნქციებს ასრულებენ. ყველა აპპარატთა სუმმა კი წარმოადგენს მთელს სუპერ-ორგანიზმს: ამასთანავე ეს ცალკე ფუნქციანი ისე არიან ერთმანეთზედ გადახლართულნი, — მაგალითად ეკონომიური და იურიდიული, რელიგიური და მეცინერული, პოლიტიკური და იურიდიული, ეკონომიური და გენეზიური და სხვანი, რომ ერთი ორგანოს მიერ თავისი საკუთარი ფუნქციის აღსრულება იწვევს სხვათა მოქმედებას; ყველა ამ ფუნქციათაგან სდგება მრავალი კომბინაცია სოციალურ მოვლენათა, და ერთობ სოციალური ცხოვრება დაუსრულებრივ რთულდება. მაგალითები შორს წაგვიყვანდა, და არც არის საჭირო. ყველას შეუძლია წარმოიდგინოს რომელიმე უბრალო მაგალითით ერთი სოციალური ფუნქციისაგან მეორის, მესამის და მრავალ ფუნქციის გამოწვევა, შემდეგ მათ შორის რეაქცია, მუდმივი ბრუნვა საზოგადოებრივ მორევში ადამიანთა მრავალფეროვან მოქმედებისა, უაღრესი სირთულე სოციალური ცხოვრებისა, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საზოგადოებრივი ცხოვრება სდუღს და გადმოდის.

ერთი სიტყვით, — საზოგადოება, ეჭვი არ არის, ორგანიზმია, სუპერ-ორგანიზმია. მას აქვს თავისი ფუნქციები და ორგანოები. ანალოგია უბრალო ორგანიზმთა და სუპერ-ორგანიზმთა შორის, დიდი, ფართო და ღრმა შეიძლება რომ იყოს, მაგრამ არა ისეთი, როგორსაც ზემოდ-დასახელებულნი ავტორნი ხმარობენ. რასაკვირველია, სუპერ-ორგანიზმი და ორგანიზმი ერთი და იგივე არ არის. მათ შორის დიდი, ღრმა, ძირითადი განსხვავებაა. მაგალითად, ორგანიზმი შესდგება ცოცხალ უჯრედთაგან, რომელთაც არა აქვსთ არც რთული ორგანიზმის ნება, შეგნება, ლოლიკა, მისწრაფება და სხვა, მეტადრე არც ადამიანისა. საზოგადოება კი შესდგება სრულ, განვითარებულ ადამიანთა ორგანიზმთაგან, რომელთაც აქვსთ ზემოხსენებულნი თვისებანი. ძირითადი მოვლენა საზოგადოებრივობისა არის გარეგანი მოწესრიგება საერთო ცხოვრებისა, ან კონტრაქტი, — როგორც სხვანი ამბობენ, — მაშინ როდესაც უჯრედთა შორის ასეთ მოვლენას ადგილი არა აქვს. მაგრამ როგორიც უნდა იყოს ხასიათი სუპერ-ორგანიზმისა, იგი მაინც ორგანიზმია მიუხედავად მისი უმაღლესი ხარისხისა და თავისებურობისა. პრინციპი მის ცხოვრებისა არის გარეგნული მოწესრიგება ან თუ კონტრაქტია სოციალობის ძირითადი ფაქტი, როგორც ეს განმარტეს მაგ. გ. დე-გრეფმა, ფულლიემ, ვორმსმა (თუმცა ეს უკანასკნელი საზოგადოების ორგანიულ თეორიას აღიარებს, კონტრაქტს კი საკვლევით არ ეთანხმება) და სხვათა, ჩვენ შეგვიძლია აგრეთვე მივიღოთ ტერმინი კონტრაქტუალისტუ-

რი ორგანიზმი, — სახელწოდება, რომელიც ფულლიემ მისცა საზოგადოებას. მას სურდა შეერიგებინა წმინდა ორგანიციზმი და წმინდა კონტრაქტუალიზმი, და ამიტომ შექმნა მან სინტეზი ამ ორი მოძღვრებისა, რადგანაც იგი ამ ორივე მოძღვრებაში ხედავდა ჭეშმარიტებასა, თუმცა საკუთარი სიტყვებით არც ერთს არ ეთანხმება. და მართლაც — კონტრაქტი საზოგადოებაში რამდენიმედ ნამდვილი მოვლენაა, — თუმცა არა ლუკრეციუსისა და რუსსოსი, (ეს ნათელ-ჰყო ინგლისელ-ამერიკელ-ევროპელ-ევროპეველ იტალიელმა სოციოლოგმა ფრაგაპანემ თავის „კონტრაქტუალიზმი და თანამედროვე სოციოლოგია"-ში), და სოციალური ორგანიზმიც ნამდვილი მოვლენაა, თუმცა არა სპენსერისა, შეფლესი, ლილიენფელდისა და სხვათა.

მაგრამ გარდა იმისა, რომ საზოგადოება, როგორც ერთი მთელი რამ. არის ორგანიზმი, რომლის ცხოვრების პრინციპი არის გარეგნული მოწესრიგება ადამიანთა საერთო მოქმედებისა, — ორგანიზმი, რომელსაც აქვს თავისი საკუთარი ორგანოები და ფუნქციები, — მას კიდევ აქვს ბევრი რამ მსგავსი ორგანიზმისა, რაიცა ნებას გვაძლევს ანალოგია განვაველოთ სუპერ-ორგანიზმსა და უბრალო ორგანიზმს შორის: საზოგადოებას შეუძლია მემკვიდრეობით გადასცეს თავისი თვისებანი თავის შთამომავლობას, — მომავალ საზოგადოებას. პსიხოლოგიური მემკვიდრეობა არსებობს საზოგადოებაში ისე, როგორც ინდივიდთა შორის. საზოგადოებას აქვს თავისი ცნობიერება, თავისი პსიხოლოგია, იგი განირჩევა ინდივიდუალურ პსიხოლოგიისაგან, ინდივიდუალურ შეგნებისაგან. არსებობს სოციალური ლოგიკა, რომლითაც მრავალი სოციალური მოვლენა მართლდება, გაუმართლებელი ინდივიდუალური ლოგიკითა. (იხ. ტარდი, La Log. Soc.) ერთს საზოგადოებას შეუძლია შეითვისოს მეორე და შთანთქას იგი, ანუ შექმნას ახალი ტიპი. იგი ემორჩილება ინდივიდებსაკით წაბაძვის კანონებსა, შეუძლია კარგიც გადმოიღოს სხვა საზოგადოებათაგან და ცუდიც. მას შეუძლია „შვას შვილები", მაგალითად კოლონიზაციით, როგორც ამბობს რენე ვორმსი. მას შეუძლია მოსპოს მეორე საზოგადოება სრულიად. შეუძლია აღმაღლდეს მისი გაველენითა, ან სრულიად დაეცეს თვითონვე და მოისპოს. მას აქვს თავისი რთული პათოლოგია, — მას შეუძლია სხვა ავადმყოფობათა გარდა სრული გადაშენება, დეგენერაცია. საზოგადოებას აქვს თავისი ევოლუცია, თავისი განვითარების კანონები. საზოგადოებას შეუძლია შექმნა სხვა საზოგადოებებთან — საერთო საზოგადოებისა, „საზოგადოებათა საზოგადოებისა", რომელზედაც შემდეგ ვილაპარაკებთ. — და ასე დაუსრულებლივ შეგვიძლია განვაგრძოთ ეს ანალოგია, — მხოლოდ ერთი პირობით, — არასოდეს არ უნდა დაგვავიწყდეს ის სპეციალური, ძირითადი საზოგადოებრივი ფაქტის თვალთახედვა, რომლითაც ვიხილავთ საზოგადოებრივ ორგანიზმსა. მხოლოდ ამ შემთხვევაში შეგვიძლია შეცდომაში არ შევიდეთ და არ აურიოთ ერთმანეთში შეგნება საზოგადოებისა და ინდივიდისა, ან „განმრავლება", ან სხვა რამ ასეთი, მაგრამ არც ეს არის საგანი ჩვენი დაწერილებითი მსჯელობისა.

აღვნიშნოთ მხოლოდ, რომ საზოგადოება თავისებური ცოცხალი არსია. შეიძლება რაღაც მახინჯი, საშინელი და უცნაური, მაგრამ მაინც ცოცხალი არსი, თავისებური და ორიგინალური, რთული და ცვალებადი, გონიერი და ენებიანი. აღფრთოვანებისა და სასოწარკვეთილების ნიჭის მქონე, მებრძოლი, პროგრესის ნიჭის მქონე და აგრეთვე დეგენერაციის ნიჭისა, — ხან გამარჯვებული და დღე-გრძელი, ხან დამარცხებული და მსწრაფლ გარდამავალი, როგორც ყოველი ცოცხალი არსი ჩვენ ბედ-შავ დედა-მიწაზედ.

ჩვენის ფიქრით ასეთი მთლიანი წარმოდგენა უნდა ვიქონიოთ საზოგადო-

ებაზედ, რომ ადამიანთა ისტორიის და ბედ-იღბლის რამე გავიგოთ, ჩავხედეთ ჩვენს ცხოვრებასა ჩვენს ირგვლივ და ჩვენ შორის, წარსულში, აწმყოში და მომავალში, დროში და სივრცეში.

დასასრულ, ჩვენ შეგვიძლია შემდეგი სავსებითი განსაზღვრა დავუდვათ საზოგადოებას:

საზოგადოება არის ორგანიზმი, ანუ სუპერ-ორგანიზმი, შემდგარი მიზანდასახვის ნიშნის მქონე ადამიანთაგან, რომელთა გარეგნულად მოწესრიგებული საერთო მოქმედება აკმაყოფილებს ამ ორგანიზმის ყველა მოთხოვნილებას იმ სპეციალურ ორგანოთა საშუალებით, რომელნიც აქვს ყოველ ხუპერ-ორგანიზმს განსაზღვრულ ფუნქციათა აღსასრულებლად.

აი ეს სავსებითი ცნება ავიღოთ საზოგადოებისა. ეს არის გარკვეული სოციალური საზომი და მითიც ვიხელმძღვანელოთ ერისა და კაცობრიობის განხილვის დროს სოციოლოგიური მხრით. არის თუ არა საზოგადოებრივი შინაარსი ერთში და მეორეში? როგორი ტენდენცია აქვსთ ამ მხრით ერსა და კაცობრიობასა? როგორი უნდა იყოს სოციოლოგიური დაფასება ჩვენ მიერ კაცობრიობისა და ერისა? რას წარმოადგენს ამ მხრით საქართველოს ერი? როგორი უნდა იყოს ამ ანალიზის შემდეგ იდეალური და პრაქტიკული დასკვნა?— აი ჩვენი საგანი, რომლის გამორკვევაშიაც ზემოხსენებული განმარტება „სოციალურის ცნებისა" ძლიერ დაგვეხმარება.

საზოგადოება ჩვენ მხოლოდ დავახასიათეთ, უბრალო განსაზღვრა დავუდეთ მას, რომ გასაღები გვქონოდა ზემოხსენებულ ცნებათა — კაცობრიობისა და ერის სოციალურ გარკვეისათვისა და დაფასებისათვის. ჩვენი მიზანი არც საზოგადოების წარმოშობის აღწერა იყო, არც მისი განვითარების ისტორია და არც სხვა რამ. ჩვენ ავიღეთ საზოგადოება, როგორც არსებული ფაქტი, და შტამლერისა, დე გრეფისა, სპენსერისა, ფულლიესა, ვორმსისა, შეფლესი, გუმპლოვიჩისა, ტარდისა და ბევრ სხვათა დახმარებითა და აგრეთვე კრიტიკით შეეეცადეთ განგვესაზღვრა საზოგადოება და გვენახა საერთო სოციალური საზომი კაცობრიობისა და ერისათვის, რაიცა მხოლოდ მიგვაჩნდა აქ საჭიროდ. ჩვენ არც იმას ვამბობთ, რომ მხოლოდ ეს განსაზღვრაა ჭეშმარიტი და უტყუარი,— შეიძლება ათასჯერ უკეთესნიც იყვნენ. მაგრამ ჩვენ ეს მიგვაჩნია საუკეთესოდ და ვამბობთ ამასთანავე: —ესთქვათ რომ ეს განსაზღვრა საზოგადოებისა ჭეშმარიტია, — როგორი იქმნება მაშინ სოციალური თვალთა-ხედვით ერი და კაცობრიობა? ჩვენა გვგონია, რომ მაშინ **ერი არსებობს სოციალურად, კაცობრიობა კი არ არსებობს.** ამიტომაც, როდესაც ერსა სწირავენ ხოლმე ვითომც და არსებულ კაცობრიობის სამსხვერპლოზედ, — ამით უზნეო იდეალს ისახავენ. სინამდვილის, ცოცხალი არსის მსხვერპლად შეწირვა ფიქციის საკურთხეველზედ — ბარბაროსობაა, გაუგებრობა და გონების დახშობა მათი მხრით, ვისაც თავის დღეში არ უფიქრნიათ ასეთ საგნებზედა და მხოლოდ კაცობრიობის" ლამაზი და დიადი სიტყვით მოხიბლულნი ბარბაროსობა და კაცი-ჭამიობას ქადაგებენ ხალხთა შორის უმაღლეს იდეალთა სახელითა.

თავი მეორე

არსებობს თუ არა კაცობრიობა და როგორ?

ეჭვი არ არის, რომ არსებობს ადამიანის სახე. იგი წარმომდგარია სხვა ცხოველის საგნისაგან, მას განუვლია გზა განსაზღვრული ევოლუციისა, ადამიანი ამასთანავე საერთოდ საზოგადოებრივი არსია და სხვა. მაგრამ ყოველივე ეს

დაახასიათებს ადამიანის სახეს, როგორც ცხოველის ერთ სახეს, ვინაიდან ადამიანიც ერთგვარი, თავისებური ცხოველია. ყოველივე ამით ჩვენ ვიცით მხოლოდ, რომ ადამიანი არსებობს, როგორც Homo Sapiens, და სხვა არაფერი. კაცობრიობაც ამ მხრით ჩვენთვის მხოლოდ ყველა არსებულ ადამიანთა საერთო რიცხვია. ამ მხრით კაცობრიობას არავითარი სოციალური არსება არა აქვს, ვინაიდან რიცხვი ინდივიდებისა ვერა ჰქმნის სოციალობასა. რასაკვირველია, თუ არსებობს ცალკე ადამიანი, თუ არსებობენ ცალკე ადამიანები, მათი საერთო რიცხვის არსებობაც სინამდვილეა, — ამ მხრით მაშასადამე კაცობრიობაც არსებობს, მაგრამ ამგვარადვე არსებობენ მაიმუნები, ლომები, არწივები, არსებობს მათი საერთო რიცხვი, არსებობს ამ ცხოველთა სახე, როგორც ყველა სხვა ცხოველთა, მაგრამ ეს ვერც იქა ჰქმნის ვერავითარ სოციალურ მოვლენას. და თუ ასეთი თვალსაზრისით განვიხილავთ კაცობრიობას, ვერასოდეს ვერ გამოვალთ ბიოლოგიურ და ანთროპოლოგიურ კვლევათა წრიდან, რადგანაც ადამიანი, როგორც Homo Sapiens, ამ მეცნიერებათა საგანია, და არა იმ მეცნიერებისა, რომელიც იკვლევს სოციალობის განსაკუთრებულ მოვლენათა ხასიათსა, სოციალურ პროცესს, — იგი არ არის საგანი სოციოლოგიის მეცნიერებისა.

ჩვენა ვსთქვით, რომ სოციალური ფაქტი არის გარეგნულად მოწესრიგებული საერთო ცხოვრება ადამიანთა. ყოველი საერთო ცხოვრება ადამიანთა, გარეგნულად მოწესრიგებული და ამასთანავე ხანგრძლივი საერთო ცხოვრება. არის ნამდვილი სოციალური ცხოვრება. ხოლო მთელი კაცობრიობა რომ ავიღოთ, მთელი რიცხვი ადამიანთა, ე. ი. ერთ მილიარდ ნახევარი კაცი, რაიცა შეადგენს ერთი ადამიანის სახეს, Homo Sapiens-ს, ნათლად დავინახავთ პირველივე შეხედვით, რომ იგი არ ატარებს არავითარ სოციალურ შინაარსსა, რადგანაც ამ ერთ მილიარდ ნახევარ ადამიანს არა აქვს გარეგნულად მოწესრიგებული საერთო ცხოვრება, იგი არ წარმოადგენს ერთ სოციალურ სუპერ-ორგანიზმს თავის ორგანოებითა და ფუნქციებით მთელი კაცობრიობის ყველა მოთხოვნილებათა მიზან-შეწონილ დასაკმაყოფილებლად, უამისოდ კი სოციალური ორგანიზმი არ არსებობს. დიახ, კაცობრიობა არ არის საზოგადოება, და ამის დამტკიცება ძნელი არ არის, თუ ზემოხსენებული მსჯელობით ვისარგებლებთ.

ენა, — აი რა არის უპირველესი და უსაჩინოესი გამოხატულება გარეგნულად მოწესრიგებულ ერთად მცხოვრებ ადამიანთა შორის განწყობილებათა. ჩვენ არ გვაინტერესებს აქ ენის წარმოშობისა და განვითარების ისტორია, ან მრავალ არსებულ ენათა გაჩენის თეორია. ჩვენთვის სულ ერთია ერთი ძირითადი ენისაგან წარმოსდგა ყველა არსებული ენა, თუ სხვა და სხვა ენები ადამიანთა სხვა და სხვა წრეებში ჩაისახა, სხვა და სხვა დროს, სხვა და სხვა ადგილას. ჩვენ გვაინტერესებს აქ ენა, როგორც არსებული ფაქტი, არსებული სოციალური მოვლენა საზოგადოდ. ენა ერთგვარი გარეგნულად მოწესრიგებული კავშირია ადამიანთა შორის. იგი მოწესრიგებაა ჯერ უბრალო ხმათა, რომელნიც გამოჰხატავენ ადამიანთა წრეში ურთი-ერთისათვის გასაგებ ხმოვან ნიშნებსა სხეულის სხვა და სხვა ასოთა და სახის მოძრაობასთან ერთად, შემდეგ იგი ხდება მოწესრიგებად სიტყვათა, რომელნიც წარმოსდგნენ ამ ხმათაგან, და რომელთაგანაც შემდეგ განვითარდნენ წინადადებანი, რთული სიტყვიერება. ამ განვითარებულ სიტყვათა და წინადადებათა შემწეობით იხატებიან ადამიანთა ცნებანი, რთულნი აზრნი, სურვილთა გამოთქმანი, მთელი ლო-

ლიკური მსჯელობა და დასკვნანი ისე. რომ ეს წესები გამოთქმისა ყველას ესმის. გამოუკლისად. ყველას აქვს შეთვისებული და შესწავლილი. უამისოდ კაეშირი ინდივიდთა შორის სუსტი და ბუნდოვანი იქმნებოდა. კაცობრიობას. ე. ი. ერთ მილიარდ ნახევარ ადამიანს კი ეს უპირველესი მოწესრიგება არა აქვს, იგი არ ემორჩილება ერთ რომელიმე წესს გამოთქმისას. ფაქტია, რომ უნივერსალური, საკაცობრიო ენა არ არსებობს, კაცობრიობის მრავალ ნაწილთაგან ერთს არა ესმის რა სრულიად მეორისა. თუ სპეციალურად არ შეისწავლა ერთმა მეორის ენა, არამედ არსებობს მრავალი ენა ადამიანთა შორის.

ერთი ენით მოლაპარაკე ხალხს მეორესი არა ესმის რა. როგორც ვსთქვით. უცხო ენის შესწავლა კი საზოგადოდ ძლიერ ძნელია, განსაკუთრებით თუ ადამიანი ადგილობრივ არა სწავლობს რომელიმე ენას. შეუძლებელია მეტადრე. რომ ერთი ენის მცოდნე ადამიანმა ყველა სხვა ენა შეისწავლოს. რაოდენობა შესწავლილ ენათა ერთი ადამიანის მიერ. რაც თუ გინდ ბუმბერაზული ნიჭის პატრონიც იყოს იგი, ძლიერ და ძლიერ შეზღუდულია, მით უფრო ძნელია და შეუძლებელი უცხო ენის შესწავლა მთელი საზოგადოების მიერ, ამ შემთხვევაში მხოლოდ ერთი ენა ჰკრება. საზოგადოება ჰკარგავს. თავის ორიგინალობასა და სხვა საზოგადოებაში ითქვიფება. კიდეეაც რომ შესაძლებელი იყოს პოლიგლოტობა ერთისათვის, ანუ ყველასათვის, — ერთის მიერ ან ყველას მიერ ყველა ენათა ცოდნაც კიდეე არ ნიშნავს საზოგადოდ ენათა მრავალფეროვნების მოსპობასა და უნივერსალური ენის არსებობას, ვინაიდან მხოლოდ ეს უკანასკნელი მოასწავებს მთელი კაცობრიობის გარეგნულ, სოციალურ მოწესრიგებას სიტყვიერ გამოთქმის მხრით. აგრეთვე ყოველივე ცდა უნივერსალური ენის შექმნისა ამაო იყო და არის, რადგანაც ხალხთა რიცხვი, რომლის მხოლოდ მინიმალურ ნაწილს შეუძლია თავის მხრით ამ ახალი საერთო ენის შესწავლა და ხმარება. ძლიერ მცირეა თავისთავად, და ვინ იცის რამდენი ხანი გაიელის, სანამ ეს რიცხვი მთელ სახეს Homo Sapiens-ისას წარმოადგენდეს. კიდეეაც რომ მოსახერხებელი იყოს ასეთი ენის გამოგონება, როგორც მაგალითად ესპერანტოს გამოგონება სცადეს, — გარდა იმისა. რომ ესპერანტოს მსგავსი ენა ჯერ სრულიადაც არ არის კაცობრიობის მთელი სიტყვიერ მოწესრიგების სრული გამომხატველი, არამედ უფრო ხალხთა შორის ურთი-ერთის გაგების გამაადვილებელი საშუალება, — მისი განვითარებული სახით არსებობაც კი ვერა სპობს ენათა მრავალფეროვანებასა და მათ ცალკე ხალხთადმი სულიერ ღრმა კუთვნილებასა. უამისოდ კი ენა ვერ იქმნება ნამდვილი საკაცობრიო ენა. განვითარებული ესპერანტი უფრო ერთ ზედ-მეტ ენას შეაქმნის, ვიდრე ენათა რიცხვს შეამცირებს და მოსპობს. ესევე ითქმის მათემატიკურ ენის შესახებაც. ჯერ ერთი. — ყოველად შეუძლებელია შეითვისოს ეს ენა იმ აუარებელმა ხალხმა, სადაც ამისათვის საჭირო ხარისხი ცივილიზაციისა არ არსებობს. სადაც არ არის ამისათვის საჭირო სპეციალური ორგანოები რთულ მეცნიერებისა, რომელიც არ მოიპოვება საერთოდ მთელ კაცობრიობაში. ზულუსებისა და ბოტოკუდების სამეცნიერო აკადემიები არავის არა სმენია, მათ მსგავსთა რიცხვი კი მრავალია დედამიწის ზურგზე, მეორე, — თვით მათემატიკოსთა რიცხვი. რომელსაც შეუძლიან ამ ენით „ლაპარაკი", უმაღლეს კულტურულ ქვეყნებშიაც კი ძლიერ მცირეა. მესამე, — კიდეეაც რომ შესაძლებელი იყოს საკაცობრიო მათემატიკური ენის შექმნა და გავრცელება მთელ კაცობრიობაში, — ეს იმ

დაამტკიცებს მხოლოდ, რომ კაცობრიობა გამათემატიკოსდა. რაიცა შეუძ-ლებელია, — ან იმას, რომ კაცობრიობაში ბევრი მათემატიკოსია, რაიცა თავისთავად არაფერს არ ამტკიცებს.

მათემატიკური ენა გამოჰხატავს მხოლოდ ერთ მცირე ნაწილს ადამიანთა მსჯელობისას, იგი ეკუთვნის ერთ სპეციალურ მეცნიერებას ადამიანის გონების მიერ შექმნილს. იგი საერთო გამოთქმათა მხრით სრულიადაც არ არის ენა: იგი არა თუ კაცობრიობას ვერ ემსახურება, — ვერ ემსახურება ვერც ერთ ხალხს, ვერც თვით მათემატიკოსებს. გარდა იმ სპეციალურ მეცნიერების ძლიერ შეზღუდულ დარგისა, რომელსაც ეწოდება რიცხვთ მეტყველება, გეომეტრია და სხვა, — მათემატიკური მეცნიერება. გარდა ამისა მათემატიკას, მართალია იყენებენ სხვა რთულ მოვლენათა განწყობილებათა სისწორის გამოსახატავად, მაგრამ აქაც ყოვლად შეუძლებელია ყველა მეცნიერებამ მათემატიკურ თანასწორობათა სისტემით გამოჰხატოს ყველა თავისი კანონი. თვით მეცნიერება კი, თუ გინდ ყველა მეცნიერება, მხოლოდ ერთი მცირე ნაწილია ადამიანის სოციალური ცხოვრებისა. მით უფრო მცირეა ერთი მეცნიერება, — მათემატიკა, და ის ნაწილი სხვა მეცნიერებათა, სადაც მათემატიკური თანასწორობანი ჰხატავენ მოვლენათა განწყობილებასა. ენამ კი ყოველმხრივი კავშირი ადამიანთა შორის უნდა განამტკიცოს თავისი უმრავალფეროვანეს გამოთქმითა. წარმოიდგინეთ, რომ მათემატიკოსმა მათემატიკური ენის მეტი არა იცოდეს რა, ან ყველას რომ შეეძლოს თავიდან ბოლომდის მათემატიკურად მოყოლა მცირე, უბრალო და ყოველდღიური ამბისაც კი. პირველ შემთხვევაში ჩვენ გვეყოლებოდნენ უცნაური, თითქმის მუნჯი მეტყველები, მეორე შემთხვევაში საუკუნო მოლაქლაქე ადამიანის ტიპი, რომელიც ვერასოდეს ვერ გაათავებდა უბრალო ამბავსა. ერთიც და მეორეც აბსურდია:

მაშასადამე, ენის მხრით, ამ უპირველეს გარეგნულ მოწესრიგების მხრით, კაცობრიობა არ არსებობს სოციალურად.

რომ ავიღოთ ეხლა ზემოხსენებულნი სოციალურნი მოვლენანი და განვიხილოთ იგინი დე-გრეფის კლასსიფიკაციის მიხედვით — რომელსაც ცალუბად რენე ვორმსიც ეთანხმება, — ამ მხრივაც კაცობრიობის სოციალური არსებობა არ არის ჭეშმარიტება.

კაცობრიობის ეკონომიური ცხოვრება ერთ მთელ მოწესრიგებულ საერთო სამეურნეო მოქმედებას არ წარმოადგენს. კაცობრიობა არ არის სუპერ ორგანიზმი თავისი საკუთარი ეკონომიური ორგანოებით და ფუნქციებით — ბრუნვის, ხმარებისა და წარმოების ფუნქციებით. რასაც ჩვენ, მაგალითად, ვეძახით მსოფლიო ბაზარს, სრულიადაც არ არის მსოფლიო ბაზარი. ამ „მსოფლიო“ ბაზარზედ ებრძვიან, კონკურენციას უწევენ ერთმანეთს, ხელ-შეკრულებასა სდებენ ერთმანეთთან სხვა და სხვა ნაწილნი კაცობრიობისა, რომელთაგან თვითოეულს შინა აქვს **თავისი საკუთარი მოწესრიგებული სოციალური ცხოვრება.** რიცხვი ამ ნაწილთა აგრეთვე არ უდრის მთელ კაცობრიობას. აუარებელი ნაწილი ამ უკანასკნელისა რჩება ამ ბაზრის გარეშე, ან მისი მონაა, საექსპლოატაციო საგანი. ასე რომ, მხოლოდ ერთი ნაწილი კაცობრიობისა იღებს მონაწილეობას ბრუნვაში, აგრეთვე გასასყიდად გამოტანილი საქონელი სულ სხვა და სხვა მოწესრიგებულ სოციალურ წრეში მზადდება, სანამ „მსოფლიო ბაზარზედ გამოვიდოდეს. სიმდიდრის ხმარების მხრით ჩვენ კიდევ უფრო დიდ განსხვავებასა ვხედავთ ხალხთა შორის. მთელი კაცობრიობისათვის ჩვენ ვერავითარ საერთო მოწესრიგებას ვერა ვხედავთ ვერც ამ მხრით. აგრეთ-

ეე საკუთრება, ეს უპირველესი ორგანო ხმარებისა. სულ სხვა და სხვა ფორმისა ყოფილა, არის და შეიძლება მომავალშიაც იქმნეს კაცობრიობის სხვა და სხვა ნაწილებში. წარმოება, როგორც უფრო რთული და სპეციალური ფუნქცია ეკონომიურ ორგანოთა, კიდეე უფრო გაურბის საერთო მოწესრიგებას მთელ კაცობრიობაში. აგრეთვე, თუ სადმე, რომელიმე ქვეყანაში კაპიტალისტური წარმოება დამკვიდრდა და ამით იგი სხვა ქვეყნებს დაემსგავსა. ეს დიდ მითქმა-მოთქმას იწვევს ხოლმე როგორც იმ ქვეყანაში, სადაც უკვე დარწმუნდნენ თვალ საჩინოდ ახალ ეკონომიურ მოვლენის აღმოცენებაში, ისე სხვა ხალხთა შორისაც.

საერთოდ ეკონომიურნი მოვლენანი იბადებიან გარეგნულად მოწესრიგებულ ცხოვრების სფეროში. ეს უკანასკნელი კი კაცობრიობას არ ეევლება ირგვლივ. არამედ მრავალია კაცობრიობაში ადამიანთა ისეთი მოწესრიგებული კავშირი, სადაც იბადებიან საერთოდ ეკონომიურნი მოვლენანი. და თუ ბრუნვის დროს ერთი სოციალური ორგანიზმი მეორეს შეხვდება ხოლმე მაგალითად მსოფლიო ბაზარზედა, და მასთან რაიმე დამოკიდებულება აქვს, ეს შეხვედრაც აგრეთვე ყოველთვის სპეციალურად არის მოწესრიგებული, რადგანაც კონტრაქტი, მორიგება სავაჭრო და სამრეწველო შეიძლება მოხდეს მხოლოდ ორ ან მეტ დამოუკიდებელ. უკვე მოწესრიგებულ საზოგადოების შორის, როგორც სამართლის თავისუფალ პირთა შორის. კონტრაქტი. თუნდ მსოფლიო ბაზარზედაც, გულისხმობს უკვე არსებულ. სხვა და სხვა. ცალკე. დამოუკიდებელ საზოგადოებათა. ეს სწორედ იმას ამტკიცებს, რომ ცალკე ადამიანთა ჯგუფებს აქვთ თავიანთი. ცალკე სოციალური ორგანიზმები. ეს კი წინააღმდეგია კაცობრიობის ორგანიზმობისა. კაცობრიობა რომ ერთი სოციალური ორგანიზმი იყოს, მაშინ აღარც კი იქმნებოდა სხვა და სხვა „ხალხთა" კონკურენცია, აღარ იქმნებოდა ომი „სახელმწიფოთა" შორის ბაზრების მოსაპოვებლად და სხვა. ვინაიდან კონკურენცია, ომი ორ პირისპირ მდგომ ურთიერთისაგან რითიმე განსხვავებულ ინდივიდს შეუძლია და თუ ეს ხალხნი, ეს სახელმწიფონი, რომელნიც კაცობრიობაში არიან მოთავსებულნი, იბრძვიან და მეტოქეობას უწევენ ერთმანეთს, სჩანს მათ ჰქონიათ სოციალური შინაარსი და არა კაცობრიობას. კაცობრიობა რომ ერთი სოციალური ორგანიზმი იყოს, მაშინ ეს ელემენტები კი აღარ შეებრძოლებოდნენ ერთმანეთს. არამედ ადამიანები, ან კლასსები,—ეს უკანასკნელნი კი ცალკე საზოგადოებებში არსებობენ და მათი ბრძოლაც განსაზღვრულ სოციალურ მოწესრიგების ნიადაგზედ არის აღმოცენებული.

კაცობრიობას რომ საერთო ენა და საერთო ეკონომიური ორგანიზაცია ჰქონდეს, მაშინ მართლაც ერთად ერთი სოციალური არსი იქმნებოდა: კაცობრიობა. მაგრამ ნამდვილად, როგორც არა ვსთქვით, სულ სხვა რამესა ვხედავთ.

ოჯახის მოწესრიგება, გენეზიურნი ორგანონი და ფუნქციანი ერთნი და იგივენი არ არიან მთელი კაცობრიობისათვის. ის წესები, რომელსაც ემორჩილებიან სხვა და სხვა ხალხთა ოჯახნი, სულ სხვა და სხვაა და განირჩევა ურთიერთისაგან.

ხელოვნების მხრივაც დიდ განსხვავებასა ვხედავთ სხვა და სხვა ხალხთა შორის. ორგანონი და ფუნქციანი ხელოვნებისა დიდად მრავალ ფეროვანნი არიან კაცობრიობის სხვა და სხვა ნაწილებში.

სარწმუნოებისა და მეცნიერების ორგანონი და ფუნქციანი აგრეთვე არა აქვს საერთონი მთელ კაცობრიობას. ამას ამტკიცებს სჯულის სხვა და სხვაობა

მრავალ ხალხთა შორის, [illegible] ეროვნების გარდაცემისა, — ამ გარდაცემის მოწესრიგებისა და გავრცელების სხვა და სხვაობა კაცობრიობის სხვა და სხვა ნაწილთა შორის.

იგივე ითქმის ზნეობის შესახებაც. პაპუასის ზნეობრივი წესები და შოტლანდიელისა ძლიერ განსხვავდება ერთმანეთისაგან. იგინი განისაზღვრებიან თვითოეულად იმ საერთო სოციალურ ცხოვრების მოწესრიგებით, რომელიც დამკვიდრებულია თვითოეულ ამ ქვეყანაში.

იურიდიული ნორმები რასაკვირველია ერთნი და იგივენი არ არიან მთელი კაცობრიობისათვის. ამას ამტკიცებს სხვა და სხვაობა სამართალთა. სამართალი საფრანგეთისა, ინგლისისა, რუსეთისა და სხვათა, აგრეთვე ძველი სამართალნი — რომისა, ეგვიპტისა და სხვათა — არსებობენ და არსებობდნენ წარსულში. მათ ემორჩილებოდა არა მთელი კაცობრიობა, არამედ ცალკე ნაწილნი კაცობრიობისა, და მხოლოდ იგინი. რომის სამართალს ჩინელი არ ემორჩილებოდა ჩინეთში, არც რომაელი ჩინურსა რომში. მათ ცალ-ცალკე არც კი იცოდნენ, თუ რა იყო ან ერთი ან მეორე. — არსებობს ეხლა, მართალია საერთაშორისო საშართალი, მაგრამ ჯერ ერთი თვით სახელწოდება „საერთაშორისო" ამტკიცებს იმ „ერთა" არსებობას, რომელთაგანაც თვითოეულს აქვს თავისი საკუთარი სოციალური არსება დამოუკიდებლად კაცობრიობისა და მისი უნივერსალური სამართლისა. მეორე, — ეს ფრიად სუსტი საერთაშორისო სამართალი, რომელსაც ჯერ ვერც კი მოუპოვებია ნამდვილი ძალ-დატანებითი სამართლის ხასიათი, მხოლოდ ერთს ნაწილს აწესრიგებს ადამიანთა შორის რთულ განწყობილებათა... მაგრამ ამაზედ შემდეგ. ცალკე ვილაპარაკოთ.

რაც შეეხება პოლიტიკურ ორგანოებსა და ფუნქციებს, პოლიტიკურ მოწესრიგებას, — ეს ხომ თვალსაჩინოა, რომ კაცობრიობა ამ მხრით ფიქციაა, არ არსებობს დღეს ერთი საკაცობრიო სახელმწიფო, არამედ არსებობენ **სახელმწიფონი.** ზოგიერთთა იდეალი სწორედ, ერთი უნივერსალური რესპუბლიკის დაარსებაა, მაგრამ ვინ იცის, — რას წარმოადგენს თავის თავად ეს იდეალი? იქნებ ისიც იგივე იდეალური ფიქცია იყოს, როგორიც თვით სოციალური სინამდვილეა თანამედროვე კაცობრიობისა? მაგრამ ამაზედაც შემდეგ.

ერთი სიტყვით მოწესრიგება ეკონომიური, გენეზიური, არტისტიული, სარწმუნოებისა და მეცნიერებისა, ზნეობრივი, იურიდიული და პოლიტიკური — სხვა და სხვანაირნი არიან კაცობრიობის სხვა და სხვა ნაწილთა შორის; კაცობრიობას არა აქვს საერთო სოციალური ორგანოები და ფუნქციები არც ერთი მიზნის მისაღწევად სწორედ იმიტომ, რომ მას არა აქვს არავითარი საერთო მიზანი, არავითარი მიზან-შეწონილი საერთო მოქმედება და ამიტომაც ერთ სოციალურ სუპერ-ორგანიზმსაც ვერ წარმოადგენს იგი. ინგლისელისა და პაპუასის, მეურნეობა, ჰოტტენტოტისა და ფრანგის ოჯახი, ჩინელისა და იტალიელის ხელოვნება, სკანდინავიისა და ოსმალეთის სჯული, რუსისა და ქართველის ზნეობა, გერმანელისა და ზულუსის სამართალი, შვეიცარიისა და დაჰომეის პოლიტიკა — ისე განსხვავდებიან ერთმანეთისაგან სოციალური მოწესრიგის მხრით, რომ ძლიერ შორეულ მომავალშიაც არ არის არავითარი იმედი, რომ მთელმა კაცობრიობამ შექმნას ამ სხვადასხვაობათაგან ერთფეროვანება. საესებით ერთსა და იგივე სოციალურ წესებს დაემორჩილოს მილიარდ ნახევარი ადამიანი. ეს რა, — თვით ცალკე პატარა ხალხთა შორისაც კი არის ხოლმე ისეთი სოციალური განსხვავება, რომ ყოვლად შეუძლებელი ხდება ისინი ნამდვილად დაუმორჩილო ერთსა და იმავე სოციალურ წესებს, და რო-

დესაც ასეთი პროცესი ძალით მოხდება ხოლმე, თავდაპირველად საშინელი წინააღმდეგობა ჩნდება მოძალადესა და დაჩაგრულს შორის. შემდეგ კი ეს „სოციალური პროცესსი", როგორც მას უწოდებს გუმპლოვიჩი, თავდება ხოლმე ერთი რომელიმე საზოგადოების სრული შთანთქმითა მეორეს მიერ, ან მისი სრული გადაგვარებით. გუმპლოვიჩი ამბობს, —ასეთი პროცესსი ნამდვილი სოციალური პროცესსია და პროგრესსის ფაქტორიო. ჩვენ ერთიც შემცდარ აზრად მიგვაჩნია და მეორეც. ყოველ შემთხვევაში ამის კრიტიკას ამ წიგნში არ გამოვუდგებით. იგი სულ სხვა საკითხია, მართალიც რომ იყოს გუმპლოვიჩის აზრი.

ცხადია, მაშასადამე, რომ მთელი კაცობრიობა არ განვითარებულა, როგორც ერთად-ერთი ჯგუფი ხალხისა. ცხადია, რომ მთელი კაცობრიობა, ეს სოციალური ფიქცია, არ წარმოადგენდა არასოდეს ერთ მთელ რამეს, რომელსაც შესძლებოდა ორგანიული სოციალური განვითარება პირდაპირი ხაზით, რომ დასაბამიდან დღევანდლამდე შესაძლებელი იყოს მისი განვითარების თანდათანობითი ისტორიის წარმოდგენა და მოთხრობა, როგორც ერთი ორგანიზმისა, რომელმაც განსაზღვრულ დროს დაიწყო ზრდა, განვითარება, დიფერენციაცია ორგანოთა და ფუნქციათა, გართულება, და ბოლოს მოაღწია დღევანდელ განსაზღვრულ წერტილს. მართლაც კაცობრიობა დღეს ასეთ სურათს არ წარმოადგენს. მისი ნაწილები განვითარების სულ სხვა და სხვა საფეხურზედა სდგანან ყველა მხრით, — როგორც რასიულისა, ისე სოციალურის მხრით. ცხადია მაშასადამე, რომ ორგანიულად განვითარებულან მხოლოდ მისი **განსაზღვრული ნაწილები**, — და არა მთელი პირველ-ყოფილი სუმმა ადამიანთა, როგორც საერთო მოწესრიგებული ცხოვრების მქონე. ეს ნაწილები, რასაკვირველია, ალბად ხან დამოუკიდებლად ვითარდებოდნენ, ხან ურთი-ერთის ზედგავლენით, ხან ისე, რომ თუმცა პირველად შეიძლება ერთ სოციალურ არსს წარმოადგენდნენ. მაგრამ შემდეგ განიყოფოდნენ, დანაწილდებოდნენ, შეადგენდნენ ცალ-ცალკე სოციალურ სუპერ-ორგანიზმებს და შემდეგ კი შეიძლება კიდეც დავიწყებოდათ ურთი-ერთის არსებობა დროთა ვითარებაში და მანძილის სიდიდის გამო; ამიტომაც ვხედავთ დღეს ასეთ მრავალფეროვნებას კაცობრიობის სხვა და სხვა ნაწილთა შორის.

როგორიც უნდა იყოს კამათი პოლიგენისტთა (ესენი ამტკიცებენ, რომ ადამიანი ერთ განსაზღვრულ ადგილს ერთი წყვილისაგან არის წარმოშობილიო) და მონოგენისტთა (ესენი წინააღმდეგს ამტკიცებენ) შორის, რომლის მხარეზედაც უნდა იყოს სიმართლე, — ერთი ცხადი ჭეშმარიტება გვაინტერესებს ჩვენ აქ, — ის რომ კაცობრიობას, Homo Sapiens-ს არა აქვს განვლილი ერთი სწორი გზა განვითარებისა, იგი ერთადერთ პირველ ყოფილ ორგანიზმად არ გაზრდილა და არ განვითარებულა, და დღეს იგი არ წარმოადგენს ერთ სუპერ-ორგანიზმსა.

და მართლაც, როცა განვიხილავთ ხოლმე კაცობრიობას, როგორც ერთ მთელსა, მაშინ ვრწმუნდებით, რომ მას არა თუ არა აქვს ერთი მოწესრიგებული საერთო ცხოვრება, — ერთი ენა, ერთი ეკონომიკა, ერთი ოჯახი, ერთი ხელოვნება, სარწმუნოება და მეცნიერება, ზნეობა, სჯულდებულება და პოლიტიკა, — არამედ არა აქვს ერთი საკაცობრიო შეგნებაც. სოციალური თვითშეგნება, სოციალური ერთსულოვანება არ არსებობს მთელ კაცობრიობაში, რადგანაც მას თავის დღეში არა ჰქონია საერთო ორგანოები და ფუნქციები, როგორც ერთ სუპერ-ორგანიზმსა, არა ჰქონია ერთი გარეგნულად მოწესრიგებული საერთო ცხოვრება, რომ ეს შეგნება ამ საერთო მოქმედების წიაღში

დასახულიყოს და განვითარებულიყოს, რომ მთელ კაცობრიობას ეგრძნოს თავისი ერთობა, რამდენადაც საზოგადოდ სუპერ ორგანიზმს შეუძლია იგრძნოს ან შეიგნოს რამე. კაცობრიობა დღეს ვერ იტყვის, ვერ იგრძნობს — „მე ვარსებობო", რამდენადაც საზოგადოდ სუპერ-ორგანიზმს შეუძლია თავისი არსებობის შეგნებულად აღსარება, თავისი ნების გამოჩენა. მომავალში რა იქმნება, — ამაზედ შემდეგ ვილაპარაკებთ. დღეს და აქამდის კი ჩვენის აზრით ასეთი იყო ვითარება კაცობრიობისა, — მას თავის დღეში არ გამოჩენია ეს გრძნობა და შეგნება თავის თავის არსებობისა და არც არავითარი შეძლება ჰქონია, რომ გამოეჩინა იგინი. თვით უკიდურესი კოსმოპოლიტიზმიც ვერა ჰფარგლავს მთელ კაცობრიობასა, და როცა ლაპარაკობენ მომავალ კოსმოპოლიტურ საზოგადოებაზედ, ან გაუგებრობით მოსდისთ, ან იდუმალად მხოლოდ კაცობრიობის შეზღუდული ნაწილი აქვსთ ხოლმე მხედველობაში, ან და კიდევ პირდაპირ გულისხმობენ კაცობრიობის ეგრედ-წოდებულ კულტუროსან ნაწილსა, ე. ი. მარტო ევროპისა, ამერიკის გაევროპიელებულ სახელმწიფოებსა და იმ ქვეყანათა ნაწილებს, სადაც ევროპიელის სული, ფული და ზარბაზანი ტრიალებს.

მაგრამ, ჯერ ერთი, კაცობრიობის დაყოფა კულტუროსნად და უკულტუროდ სოციალური თვალთახედვით დიდი შეცდომაა და ყელის გამოპრა, ლოგიკური თვით მკვლელობა კოსმოპოლიტებისა, ვინაიდან კულტურის ხარისხი არა ჰქმნის საზოგადოებრივობას თავის თავად. ბოტოკუდებისა და შეერთებული შტატების საზოგადოება ორივე საზოგადოებაა. მეორე, — თუ კაცობრიობა რიცხვია ყველა ადამიანთა, — მაშინ აქ კულტურა რაღა შუაშია, მაშინ ასეთი დაყოფა უარ-ყოფაა თვით „კაცობრიობისა". ასეთი დაყოფა კულტუროსნად და უკულტუროდ სწორედ გვიჩვენებს ნათლად, რომ არა თუ კულტურა ვერა ჰქმნის საზოგადოებრივობას, — პირიქით, საზოგადოებრივობა წინ უნდა უძღოდეს ყოველთვის კულტურასა; კულტუროსანნი აწ არსებულნი საზოგადოებანი უკვე გამოყოფილ არიან „კაცობრიობისაგან" და შეადგენენ მის ერთ ნაწილს. დღეს კი თუ შესაძლებელია რამე კაცობრიობის გაერთიანების მხრით, — შესაძლებელია მხოლოდ ამ კულტუროსან ნაწილთა შეერთება, — შეერთება საზოგადოებათა უკვე განვითარებულ ზოგ ორგანოთა, ისეთ სოციალურ სუპერ-ორგანიზმთათვის, რომელთაც სჭირდებათ გარეგანი კავშირი თავის მსგავსს საზოგადოებასთან, რომელთაც შეუძლიანთ შექმნან მათთან საერთო ორგანონი, საერთო ცხოვრების გარეგნული მოწესრიგება რამოდენიმეკ მაინც, — რომ წარმოადგინონ თუ ერთი სოციალური სუპერ ორგანიზმი არა, მსგავსი რამ მაინც, თუ ერთი მოწესრიგებული საერთო ცხოვრება ადამიანთა არა, მსგავსი რამ მაინც, როგორიც არის მაგალითად დღეს „სახელმწიფოთა საზოგადოება", მორჩილი საერთაშორისო სამართლისა, ან შესაძლებელი მომავალი შეერთებული შტატები ევროპისა. მაგრამ ასეთი საზოგადოება მაინც ერთი ნაწილი იქმნება კაცობრიობისა და არა მთელი კაცობრიული სუპერ-ორგანიზმი. მაინც შორსა ვართ ამ შემთხვევაშიაც წარმოვიდგინოთ მთელი კაცობრიობა, Homo Sapiens-ის სახე. როგორც ერთი განუყოფელი არსი, სოციალური სულის მქონე.

დასკვნა: კაცობრიობა, როგორც სოციალური არსი არ არსებობს, არსებობენ მხოლოდ მისი ნაწილები, რომელთაც აქვსთ სოციალური ცხოვრება, რომელნიც წარმოადგენენ სოციალურ-სუპერ-ორგანიზმებს.

და მართლაც, თუ კი ერთის მხრით კაცობრიობა არ არსებობს როგორც

ერთი სუპერ-ორგანიზმი და, მეორე მხრით, არსებობს კაცთა საზოგადოება, თუ საზოგადოდ Homo Sapiens ისეთი ცხოველია, რომელმაც ყველა სხვა ცხოველებზედ უფრო განავითარა სოციალური ცხოვრება და შექმნა უმაღლესი სოციალური მოვლენანი დედა-მიწის ზურგზედ თავისი სიდიადითა და სირთულითა, — ცხადია ეს მოვლენა უნდა არსებობდეს კაცობრიობის ნაწილთა შორის. ადამიანის სახე საზოგადოდ სოციალური თვისებისაა. და თუმცა მთელ სუმმას ადამიანთა არა აქვს საერთო სოციალური ცხოვრება, მაგრამ იგი აქვს ადამიანთა ცალკე ჯგუფებს, დიდებსა და პატარებს, — კაცობრიობის ნაწილებს. აი უეჭველი ფაქტი.

მაგრამ არის ნაწილიცა და ნაწილიც. ჩვენ რომ ავიღოთ მთელი რიცხვი ადამიანთა და ეს მილიარდ ნახევარი დავყოთ როგორც გვსურს ისეთ ნაწილებად, ამით ვერ აღმოვაჩენთ კონკრეტულ საზოგადოებათ კაცობრიობის წიაღთა შინა. კაცობრიობის რიცხვის მეოთხედი, მეხუთედი, მეათედი, ნახევარი ან რომელიმე ლიტონი რიცხვითი ნაწილი არ არის საზოგადოება, ისე როგორც მთელი კაცობრიობის ლიტონი რიცხვი არ არის საზოგადოება. როგორც რამოდენიმე მსაჯული არ არის, ზემონათქვამისა არ იყოს, იურიდიულ ფუნქციათა აღმასრულებელი თავის თავად, როგორც განსაზღვრული რიცხვი ადამიანთა, — არამედ იგინი რომელიმე საზოგადოების სამსაჯულოში გარდაიქცევიან სოციალურ განსაზღვრულ ფუნქციის აღმასრულებლებად, სამართლის ფუნქციის აღმასრულებლებად, — ისე არც მთელი რიცხვი კაცობრიობისა და არც მისი რაოდენობის რომელიმე განსაზღვრული ნაწილი, როგორც განსაზღვრული რიცხვი ადამიანთა, ვერ შექმნის ვერასოდეს საზოგადოებას.

მაშასადამე კაცობრიობის რომელ ნაწილებზედ შეიძლება აქ ლაპარაკი? რასაკვირველია ისეთ ნაწილებზედ, რომელთაც აქვსთ თავიანთ წიაღთა შინა ზემოდ-განმარტებული გარეგნულად მოწესრიგებული საერთო ცხოვრება ადამიანთა, — ისეთ ნაწილებზედ, რომელნიც წარმოადგენენ სუპერ-ორგანიზმებს, — შეიძლება ზრდა-დაუმთავრებლებს. შეიძლება ურთი-ერთზედ უფრო რთულებსა ან მარტივებსა, შეიძლება აგრეთვე სნეულებსა და გადაგვარების გზაზედ დამდგარებსა, შეიძლება კიდევ დროებით, ან სამუდამოდ — სიკვდილის დღემდის — სხვა უფრო დიდ და ძლიერ სუპერ-ორგანიზმის მიერ წარტყვენილებსა, —მაგრამ მაინც სუპერ-ორგანიზმებს. რომლებიც თავიანთ სიძლიერითა, ან და მიუხედავად სისუსტისა, ან რომელიმე განსაკუთრებულ პირობათა მიხედვით იჩენენ თავიანთ ინდივიდუალურ სიცოცხლის ძალას.

ჩვენ შეგვიძლია ავიღოთ მაშასადამე დღევანდელი კაცობრიობის ნაწილები და განვზომოთ იგინი ზემოხსენებული სოციალური საზომით. და როდესაც რომელიმე ნაწილს სრულიად მიუდგება ეს საზომი, მაშინ გვექმნება აღმოჩენილი ის კონკრეტული განხორციელება საზოგადოებრივობისა, ის რეალური არსი, რომელიც არის ნამდვილი, არსებული საზოგადოება, რასაკვირველია ეს ნაწილი კაცობრიობისა, სოციალური შინაარსის მქონე, აგრეთვე არის მისი რაოდენობის განსაზღვრული რიცხვითი ნაწილი, მაგრამ აქ ჩვენ არითმეტიკული ოპერაციები არ გვაინტერესებს. კაცობრიობის რიცხვის დაყოფა, შეერთება და გამოკლება მის ნაწილთა და სხვა არც არის წმინდა სოციალური კვლევის საგანი.

ბევრგვარი ვითარებისაა ასეთი სოციალური შინაარსის მქონე ნაწილები კაცობრიობისა. სხვანაირად რომ ვსთქვათ, საზოგადოებრივობა ბევრი ფორმით გამოხატულა ქამთა ვითარებაში და ეხლაც არის გამოხატული; საზოგადოებრივობას ბევრი სხვადასხვანაირი კონკრეტული სახე მიუღია და ეხლაც

არსებობს ამ სხვადასხვანაირი კონკრეტული სახით. მაგრამ ჩვენ გვაინტერესებს ერთი ფორმა საზოგადოებრივობისა, ერთი სახე საზოგადოებრივ ორგანიზმთა. ყველაზედ უფრო დიდ-მნიშვნელოვანი, ხანგრძლივი და მედგარი საზოგადოებრივი ორგანიზმი იყო და განსაკუთრებით ეხლა არის ერი. პირველი შეხედვით ეს შეიძლება ძლიერ დიდ შეცდომად ეჩვენოს ადამიანს, მაგრამ რამოდენიმე განმარტების შემდეგ, ჩვენის აზრით, შესაძლებელია ამ ეჭვმარიტების ნათელყოფაცა.

ბევრმა ძველმა და ახალმა სოციოლოგმა აღიარა კაცობრიობის ორგანიზმობა, თავისებურად გაგებული, და მისი მთლიანი და ორგანიული განვითარება; სოციალურ კანონებსაც კი ეძებდნენ მისი ამგვარი განვითარების გათვალისწინებით. ოგიუსტ კონტი უპირველესი ხარისხის სოციოლოგი იყო, რომელმაც აღიარა ესევე შეცდომა და მრავალი თავისი მიმდევარიც შეიყვანა ამ შეცდომაში. ამ შეცდომას კი დიდი მავნე შედეგები ჰქონდა სოციალური მეცნიერებისათვის.

თანამედროვე სოციოლოგებმა გაიგეს ბოლოს და ბოლოს ეს შეცდომა და შეუდგნენ ნამდვილ სოციალურ ელემენტებზედ ლაპარაკსა და მსჯელობას. უკვე სპენსერი აღარა ლაპარაკობს კაცობრიობაზედ, როგორც ერთ სოციალურ მთელზედ. გუმპლოვიჩი და სხვანი პირდაპირ უარ-ჰყოფენ კაცობრიობას, როგორც სოციალურ ცნებას, და სულ სხვა ელემენტებს აღიარებენ სოციალობის კონკრეტულ განხორციელებად. რენე ვორმსი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს უკვე არა კაცობრიობას, არამედ ერს, და სხვ. ჩვენც მათის დახმარებით და კრიტიკით შეუდგეთ ამ უკანასკნელი ცნების ანალიზსა.

თავი მესამე

ერი და საზოგადოება — კონკრეტული და აბსტრაქტული ცნება.

ჩვენა ვსთქვით, რომ უპირველესი და უთვალსაჩინოესი მაჩვენებელი ადამიანთა გარეგნულად მოწესრიგებულ საერთო ცხოვრებისა არის ენა.

არსებულნი თანამედროვენი და აგრეთვე გამქრალნი ენანი რომ ავიღოთ და მოვახდინოთ მათი კლასიფიკაცია, მათ საერთო ჯგუფთა ურთი-ერთ მსგავსებისა და ნათესაობის თანახმად, — ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ რამოდენიმე დიდი საერთო ჯგუფი ენათა, რომელთაგანაც თვითოეული უეჭველად ეკუთვნის ამ ჯგუფს, — ჩვენ შეგვიძლია მივაღწიოთ იმ ძირითად ენას, რომლისაგანაც წარმოსდგა ესე თუ ის ჯგუფი ენათა. მაგრამ ფილოლოგიას არ მიუღწევია ჯერ იმ წერტილამდის, რომ ყველა ენათა ერთი წინაპარი ენა აღმოეჩინოს, და ვერც მიაღწევს ამ მიზანს. ვინაიდან ძლიერ საეჭვოა, რომ ოდესმე არსებულიყოს ასეთი ენა, როგორც საეჭვოა თვით მონოგენიზმი. მაშასადამე ჩვენ იმითი უნდა დავკმაყოფილდეთ, რომ უნდა აღვიაროთ წარსულში რამოდენიმე ენის არსებობა, რომლითაც ლაპარაკობდნენ მრავალნი ჯგუფნი ადამიანთა, ანუ რასები. ამ ჯგუფებს ჰქონიათ ენის მხრით სოციალური საერთო ცხოვრება. შეიძლება სხვა მხრივათაც ჰქონდათ მათ ვიწრო სოციალური კავშირი მანამდის, სანამ არ მოხდა საგრძნობელი დიფერენციაცია მათ შორის,— ან განმრავლებისა და ან სხვა რაიმე მიზეზის გამო, რომლითაც მოხდა ჯგუფთა დაყოფა და ურთი-ერთისაგან საუკუნო განშორება.

გარდა ამისა, რასა მარტო ენის ერთობას არა ნიშნავს, პირიქით, ხშირად მომხდარა ხოლმე ხალხთა ისტორიაში, რომ ერთი რასის ხალხს თავისი ენა დაუვიწყებია სხვა და სხვა მიზეზთა გამო და სხვა რასის ენა შეუთვისებია. ჩვენ მხოლოდ აპრიორულად უნდა აღვიაროთ, რომ ოდესმე რომელიმე ადამიანთა რასას უნდა შეექმნას თავისი ენა, რომელიც შემდეგ ერცელდებოდა სხვა და სხვა რასებზედ. თუ როგორ გაჩნდა რომელიმე რასა, ან როგორ შემუშავდა განსაზღვრული რასის პირველ-ყოფილი, განსაზღვრული წმინდა ენა, — ეს სულ სხვა კითხვაა. დღეს კი მხოლოდ იმის თქმა შეგვიძლია რომ მარტო ენა არ არის რასის აღმნიშვნელი ადამიანთა შორის ფიზიკური ტიპის მსგავსება, — აი რა აღნიშნავს აგრეთვე რასას. ეს უკანასკნელი გარემოება კი ენასთან ერთად გვაფიქრებიებს, რომ ოდესმე მაშასადამე რასა წარმოადგენდა ერთს გარეგნულად მოწესრიგებულ ჯგუფს ადამიანთა, ერთ სოციალურ სხეულს, რომელიც ყამთა ვითარებაში იშლებოდა და ხდებოდა სხვა ახალ ორგანიზმთა შემადგენელ ნაწილებად მრავალ მიზეზის გამო, რომელთა შორის განმრავლება ხალხისა, ბრძოლა რასათა და მათი დაუდგრომელი მოძრაობა უმთავრესად მიგვაჩნია. რასაკვირველია, ამასთანავე, ეს პირველ-ყოფილი, „აპრიორული რასა" იმ რაოდენობისა არ იქმნებოდა, როგორიც ეხლაა მონგოლთა ან არიელთა რასა, არამედ გაცილებით უფრო შეზღუდული.

მაშასადამე თვით ცნება რასაც ერთ-დროს სოციალური შინაარსის ცნება ყოფილა, რადგანაც შესაძლებელი და საფიქრებელია, რომ რასა ოდესმე ერთ სოციალურ სხეულს წარმოადგენდა, ეხლა კი მას სრულიად დაუკარგავს ეს თვისება, ვინაიდან ეხლა არც არიელები, არც მონგოლები, არც წითელ კანიანები, არც ნეგრები, და არც სხვანი არ წარმოადგენენ ერთ საზოგადოებას. არამედ მრავალთა, თუმცა ნაშთნი მათი წარსული ერთობისა მრავალნი არიან.

რასას უნდა დაეკარგა თავისი სოციალური ვითარება იმიტომ, რომ ადამიანთა განმრავლებამ, დიდ ჯგუფთა დაყოფამ ერთ დროს არსებულ ერთ სოციალურ ორგანიზმისაგან გამოყოფილი ნაწილები სხვა და სხვა პირობებში ჩააყენა. განსხვავებულმა პირობებმა ამ ახალ ჯგუფებზედ რასაკვირველია განსხვავებული გავლენა იქონიეს და განაშორეს იგინი ურთიერთისაგან, — შესცვალეს ენა, რომელიც წინად ერთი უნდა ყოფილიყო და შემდეგ კი დაჰყვეს ერთმანეთისაგან განსხვავებულ რამოდენიმე ენად, — მაშასადამე შესწყვიტეს მათ შორის უპირველესი სოციალური მოწესრიგება; — ამასთანავე რასაკვირველია დაჰბადეს განსხვავებულნი ზნე ჩვეულებანი, განსხვავებული რელიგია, განსხვავებულნი სხვა სოციალურნი წესნი ცხოვრებისა. ამგვარად თვითოეულ ამ ახალ ჯგუფთაგან უნდა დაბადებულიყვნენ ახალნი სოციალურნი სხეულნი. ამ სხეულთ შეიძლება კიდევ დარჩენოდესთ რაიმე ცნობა ურთი-ერთის შესახებ, შეიძლება კი ისე დაშორებულიყვნენ ერთმანეთზედ, რომ აღარც კი დარჩენოდესთ ეს ცნობა, თვინიერ ლეგენდარულ ცნობათა; შეიძლება კიდეც ებრძოდნენ ერთმანეთსა, და სხვ.—ყოველივე ესე დამოკიდებელი უნდა ყოფილიყო იმ რთულ პირობებისაგან, რომელშიაც თვითოეული მათგანი იყო ყოველ შემთხვევაში — თვითოეულს ამ ჯგუფთაგანს უნდა შეედგინა ახალი სოციალური სხეული. ამ ახალ სოციალურ ორგანიზმებს რასაკვირველია უნდა დაჰბადებოდათ შესაფერი ახალი სოციალური შეგნება და სხვ. ყოველსავე ამას უნდა დავუმატოთ შემდეგი: ჩვენ აქ სოციალურ ორგანიზმთა მიერ მოპოვებულ განსაკუთრებით თვისებებზედ არა ვლაპარაკობთ. ჩვენ მხედველობაში გვაქვს მხოლოდ ის, თუ როგორ იყო შესაძლებელი, რომ ერთი რომელიმე სოციალური ორგანიზმისაგან დაბადებულიყო

მრავალი, და მართლაც, თუ აპრიორულად ვიტყვით, რომ დედა-მიწის ზურგზედ იყვნენ სხვა და სხვა ადგილებში ადამიანთაგან შემდგარნი სულ პირველყოფილნი საზოგადოებანი, თუ ამ სულ პირველ ყოფილ ადამიანთა სხვა და სხვა ჯგუფებს ვუწოდებთ რასებს. და თუ განვიხილავთ ამ რასათა დანაწილებას სოციალურის მხრით ქამთა ვითარებაში, — მაშინ დასკვნა ერთი იქმნება: ოდესმე ერთ გარეგნულად მოწესრიგებულ ერთი რასის ადამიანთა საერთო ცხოვრებისაგან წარმომდგარა მრავალი. აი ეს დასკვნა გვაინტერესებს ჩვენ ჯერ-ჯერობით.

წარმოვიდგინოდ, მაგალითად, რომ პირველ-ყოფილ ეპოქაში არსებულ რამოდენიმე ურთი-ერთისაგან დამოუკიდებელ რასათა დიფფერენციაცია ბუნებრივად მოხდა; ვსთქვათ, რომ ეს დიფფერენციაცია ერთი რომელიმე მათგანისა გამოიწვია ყველა შესაძლებელმა მიზეზმა, გარდა ორი რასის ურთი ერთშორის ბრძოლისა, გარდა მათ შორის არევისა აგრეთვე რომელიმე მიზეზის გამო, — ან ხშირი დამოკიდებულებისა და ან სხვა რაიმეს გამო. ამ შემთხვევაშიაც უნდა აღვიაროთ, რომ ქამთა ვითარებაში ამ ერთი „რასისაგან", როგორც ერთ სოციალურ ორგანიზმისაგან, დაიბადებოდა მრავალი სუპერ-ორგანიზმი, მოძრავი და ადგილის შემცვლელი სივრცეში, ცალკე სიცოცხლისა და დამოუკიდებლობის მქონე, რადგანაც „ბუნებრივი" დიფფერენციაციაც თავის შესაფერ ინდივიდუალობას აძლევს თითოეულ გამოყოფილ ნაწილს. რომელიც ოდესმე ინტეგრალური ნაწილი ყოფილა პირველ-ყოფილ მთელის ორგანიზმისა; გამოყოფის შემდეგ იგი ხდება ინდივიდად, დამოუკიდებლობის მქონე არსად, რომელსაც აქვს დიდი თუ მცირე ხარისხი მსგავსებისა თავის მშობელთან, — ეს სპეციალურ პირობებისაგანაა დამოკიდებული. ასეთი განვითარებული სოციალური ინდივიდი დღეს მაგალითად იქმნებოდა წმინდა, იდეალური ერი, რომელსაც სისხლიც და ენაც. ზნე-ჩვეულებაცა და რელიგიაც, აგრეთვე ყოველივე სხვა სოციალური თვისებანი წმინდა, შეუბღალავი, განსაზღვრული რასისაგან მომდინარე და 100%-ით ნაციონალურნი ექმნებოდა, მაგრამ ნამდვილად ასეთი ერი თავისდღეში არც არსებულა და არც ახლა არსებობს, მომავალში ხომ რასაკვირველია შეუძლებელია ასეთი ერის დაბადება. ზემოხსენებული ჩვენი ჰიპოტეზა მხოლოდ წარმოსადგენია. ნამდვილად კი დასაბამიდან მუდმივ ურთიერთის წინააღმდეგ ბრძოლაში გაუტარებიათ ასი და ათასი წლები სხვა და სხვა რასათა, ადამიანთა მრავალ ჯგუფთა, და უმეტეს ნაწილად სწორედ ასეთი ბრძოლისაგან და შერევისაგან იბადებოდა ხოლმე ხანგრძლივი პროცესსის შემდეგ რომელიმე ახალი, განსხვავებული ნაწილი კაცობრიობისა, რასისა, — იბადებოდა ახალი ეთნიური გრუპპა, რომელსაც შეეძლო ახალი საზოგადოების შექმნა. და სწორედ ეს ახალი ეთნიური გრუპპებიცა ჰქმნიდნენ ხოლმე ახალ კონკრეტულ საზოგადოებათა.

რაც თუ გინდ შემცდარი იყოს გუმპლოვიჩის მთელი სოციოლოგიური სისტემა, — ერთია მართალი მის „რასათა ბრძოლის" თეორიაში. არსად არ მოიპოვება პირველ-ყოფილ წმინდა რასისაგან, ან პირველ-ყოფილ ურდოსაგან განვითარებული ერი, ან სახელმწიფო. სახელმწიფო ყოველთვის ერთი ურდოს მიერ მეორის ჩაგვრის ნიადაგზედ აღმოცენებულა ხოლმე. სახელმწიფო ამ მხრით მართლაც ორგანიზაციაა ერთი ურდოს მეორეზედ ბატონობისა. ამას ჰმოწმობს მრავალი ისტორიული ფაქტი. მაგალითად ინდოეთის კასტები ურთიერთისაგან განირჩეოდნენ თავდაპირველად ენით, სისხლით, სჯულითა და სხვ. აგრეთვე რომის სახელმწიფოში აღორძინებული კლასსი პატრიცი-

ებისა და გაბატონებული პლებსის კლასსზედ, იყო ეტრუსკების შთამომავალი და განირჩეოდა აგრეთვე ენითა, სისხლითა და სჯულითა პლებსისაგან, რომელიც ლათინთა შთამომავალი იყო. შემდეგ სახელმწიფოს დაარსებისა, შემდეგ „ბატონობის ორგანიზაციისა“ შეერეოდა ერთი ერი, — განსაკუთრებული ლათინური ენით, განსაკუთრებული სჯულითა, ზნე ჩვეულებითა და სხვ. ამასავე ამტკიცებს სოციოლოგი ა. ვაკკარო („არსებობისათვის ბრძოლა და მისი შედეგები კაცობრიობისათვის“), რომელიც გუმპლოვიჩის სისტემის მიმდევარი სრულიადაც არ არის და ცხარე კრიტიკოსიც არის მისი ბევრ საკითხთა გადაწყვეტაში.

მხოლოდ შემდეგ, როდესაც მრავალფეროვანი ეთნიური ჯგუფები ერთი ორგანიზაციის ქვეშ ხანგრძლივი ყოფნის გამო შედუღდებიან ხოლმე, წარმოადგენენ უკვე ერთ განუყოფელ სოციალურ ერთეულს, — ერთი ენით, ერთი სჯულით, ერთი კულტურით, ერთი ისტორიით, ერთი უკვე დამკვიდრებული რასიული ტიპითა, — მაშინ ქრება საზოგადოებაში ბრძოლა ეთნიურ ჯგუფთა შორის, მაშინ სახელმწიფო უკვე აღარ არის ერთი ეთნიური ჯგუფის მიერ მეორეზედ ბატონობის ორგანიზაცია, არამედ კრებული იმ ძალ-დატანებით დაწესებულებათა, რომელიც აწესრიგებს ცხოვრებას უკვე კლასსთა შორის, ვინაიდან კლასსთა ბრძოლა იჭერს ეთნიური ბრძოლის ადგილს. ვინაიდან საზოგადოებრივი ჯგუფები უკვე ენითა, სჯულითა და ზნე-ჩვეულებით კი აღარ განირჩეევიან, არამედ თავისი ვიწრო სოციალური მდგომარეობითა. მრავალი მაგალითია ისტორიაში იმისი, რომ კლასსები ჩამომავლობით სხვა და სხვა ეთნიურ ჯგუფებს ეკუთვნიან. ეროვნული შეგნება კი უკვე ერთია დამკვიდრებული და იგი შეიძლება მიმართული იყოს სხვა რომელიმე ერისა, ან ურდოს წინააღმდეგ.

თუმცა პირველ-ყოფილ ბატონობის ორგანიზაციას ერთი ეთნიური ჯგუფისას მეორეზედ დიდი როლი უთამაშნია ერთი სოციალური ორგანიზმის წარმოშობაში, მაგრამ საერთოდ სახელმწიფო მაინც ვერ დაახასიათებს ერსა. სახელმწიფო არის ან ორგანიზაცია ბატონობისა ერთი ეთნიური ჯგუფისა მეორეზედ, ან ფორმა ერის ორგანიზაციისა. როდესაც იგი კოჰეზიის მაღალ ხარისხს აღწევს, ერი იწყება იქ, სადაც პატარა ელემენტარული სოციალური ორგანიზმები ურთი ერთს ემსგავსება წამბაძველობის ძალით განსაზღვრულ ეთნიურ სფეროებში, ჩნდება საერთო ორგანოები და ფუნქციები. — ბოლოს პოლიტიკურიც, — და ეს მოასწავებს ერის კოჰეზიას, რომელიც სახელმწიფოს მუდმივ არსებობით დაგვირგვინდება, როგორც ბუნდოვან ნიეთიერებისაგან ბოლოს და ბოლოს თანდათან წარმოიშობა გარკვეული ინდივიდუალობის მქონე სხეულები, ისე რასათა და ხალხთა ქაოტიურ სოციალურ მასსისაგან წარმოიშობა სოციალური მთლიანი ორგანიზმები, — ერები.

რადგანაც ეს არეე-დარეევა უმთავრესად ბრძოლითა ხდებოდა და რადგანაც სახელმწიფო ნამდვილად წარმოადგენდა ერთი ეთნიური ჯგუფის მეორეზედ ბატონობას, — ისეთ ორგანიზაციას, რომელიც დაჩაგრულ ჯგუფებს მჩაგვრელთა სასარგებლოდ ამუშავებდა, — ამიტომაც სახელმწიფოს ჰქონდა ყოველთვის საშინელი სასტიკი ხასიათი; ყოველთვის სცდილობდა იგი არეე დარეულ ელემენტთა ერთ სოციალურ ორგანიზმად გარდაქმნას საშინელი და სასტიკი ძალ დატანებით, და აკი მართლაც სახელმწიფოს ისტორია დახასიათდება მუდმივი ბრძოლისა და ძალ-მომრეობის დიდის როლითა მის წარმოშობაში, აგრეთვე მის მიერ სუსტ, ან ნაკლებ-რიცხვოვან, ან სხვა რო-

ჭელიმე მხრით „დაბლა მდგარ“ ელემენტთა გაქნითა და შესმითა ერთი რომელიმე რასის მთავარი ელემენტის მიერ,— სანამ სახელმწიფო გახდებოდა ერთად-ერთი საზოგადოებრივი ცხოვრების ფორმა განვითარებულ ერთათვის, მეორე მხრით, ხშირად გაბატონებულნი ითვისებდნენ ხოლმე დაჩაგრულთა ენასა და კულტურას, და მათი სახელმწიფოებრიეობისაგან გამოწვეული ეროვნული კოჰეზია უფრო დაჩაგრულთა სასარგებლოდ ხდებოდა ბოლოს და ბოლოს.

ამ საშინელი დესპოტიური სახელმწიფოს ჭერ-ქვეშ, ან უფრო თავისუფალ კავშირთა ურთი-ერთზედ გავლენით, წმინდა წამებაძველობით, მუშავდებოდა დროთა ვითარებაში უკვე ახალი გარეგნულად მოწესრიგებული საერთო ცხოვრება ადამიანთა, ერთი განსაზღვრული ენითა, ზნე-ჩვეულებითა, სჯულითა, კულტურითა, სოციალური შეგნებითა და ისტორიითა. მუშავდებოდა ერი, რომელიც სხვა ახალ ძირითად კატასტროფამდის ორგანიულად იწყებდა განვითარებას. სახელმწიფო მისთვის მაშინ იქცეოდა მხოლოდ მომწესრიგებელ ორგანოდ, გარეშე მტერთაგან თავის დასაცველ ფარად, ან მფლობელობათა გასადიდებელ იარაღად, და არა ერთი ეროვნების მეორეს მიერ ჩაგვრისა და ექსპლოატაციის ორგანიზაციად, სანამ ხელ-ახლა არ დაიპყრობდა ახალ ერსა და არ შეუდგებოდა მის გარდაქმნასა, დენაციონალიზაციას.

მივმართოთ რამოდენიმე მაგალითს. ფაქტია, რომ არსებობდა ბერძენთა და ლათინთა ერები, რომელთაც ჰქონდათ თავიანთი წარმოშობის ისტორია სხვა რასათა და ენათა შერევისაგან. არსებობდა ბერძენთა რესპუბლიკები, ხან ცალ-ცალკე და დამოუკიდებლად, ხან თავისუფალი კავშირით შეკრული; არსებობდა ძლიერი ბერძენთა სახელმწიფოც კი, რომელმაც მთელი მაშინდელი ქვეყანა დაიპყრო და სცდილობდა მისს ელლინიზაციას. ჯერ თვითოეულ ამ პატარა რესპუბლიკაში იყო თავისი საკუთარი სახელმწიფოებრივი და „ეროვნული“ შეგნება. ხშირად ბერძენთა რესპუბლიკები ურთი-ერთის წინააღმდეგ კიდევაც იბრძოდნენ ხოლმე. მეორე მხრით დაჩაგრული კლასსები, ერთხელ სხვა რასისა და ხალხისა, გააბერძნეს და მათდამი ბრძოლა უკვე კლასსიური იყო და არა ნაციონალური. საერთოდ ბერძნის ეთნიურმა ჯგუფებმა კი მუდმივი ურთი ერთზედ ზედ-გავლენით შეიმუშავეს ერთი ლიტერატურული ენა, ერთი სჯული, ერთი რასიული ტიპი, ერთი ზნე-ჩვეულება, რომელიც თუმცა ადგილობრივ განსხვავდებოდა, მაგრამ სამაგიეროდ ათასჯერ უფრო განსხვავდებოდა მაგალითად სპარსთა ზნე-ჩვეულებისაგან, ელლინთა საერთო შეგნება, რომელმაც ისეთი საშინელი წინააღმდეგობა გაუწია სპარსთა უდიდესსა და დესპოტიურ სახელმწიფოს და ბოლოს კიდეც დაამარცხა და დაიპყრო იგი ალექსანდრე მაკედონელის დროს. შეჰქმნა ერთი დიდი სახელმწიფო ბერძენთა, რომელიც ერთი უდიდესთაგანი იყო მთელ ძველ ეპოქაში. დასასრულ ბერძნებმა შექმნეს უღრმესი და უმშვენიერესი ნაციონალური სული, რომლის გამოხატულებაც იყო მათი ლიტერატურა, მეცნიერება, ხელოვნება და ფილოსოფია, — რომელიც ბერძნული იყო, ეროვნული, წმინდა ელლინური და დიდად განირჩეოდა ყველა სხვა ერთა ლიტერატურისგან, ხელოვნებისაგან და ფილოსოფიისაგან. დიახ, ბერძნები წარმოადგენდნენ ერს, და უდიდეს ერსაც მთელს ისტორიაში მიუხედავად მათი მცირე რიცხოვანობისა.

ასეთივე იყო რომის ერის განვითარების ისტორია, მხოლოდ აქ უმთავრესი როლი ცენტრალურმა სახელმწიფომ ითამაშა, და არა თავისუფალმა რესპუბლიკებმა და მათმა კავშირმა. იტალიაში სულ წინად სხვა და სხვა ეთ-

ნიური ჯგუფები სცხოვრობდა, სხვა და სხვა ენითა, სჯულითა და სხვ. მათმა ბრძოლამ, არეე დარეევამ და ერთის მიერ მეორეს ძლევამ გამოიწვია სახელმწიფოს დაარსება, რომელიც ძლიერდებოდა თან და თან სხვა ელემენტთა დაპყრობითა და მაზედ ბატონობის ორგანიზაციით. ჟამთა ვითარებაში აქაც შემუშავდა ერთი ერი, საერთო ლათინური ენითა, განსაზღვრული სჯულითა, განსაზღვრული ზნე-ჩვეულებითა, ხასიათითა და ტიპითა, — და აგრეთვე უძლიერესი სახელმწიფო, რომელმაც აგრეთვე მთელი ქვეყანა დაიპყრო. რომიც იყო უძლიერესი ერი, რომელიც განსხვავდებოდა მაგალითად ბერძენთაგან. ბერძნებს თავიანთი სიდიადე ჰქონდათ, რომაელებს თავიანთი განსაკუთრებული; ბერძნები უმთავრესად დიადნი იყვნენ თავიანთი სულიერი კულტურითა რომაელები საზოგადოებრივი სიძლიერითა, სამართლითა, სამხედრო გენიოსობითა და სიმდიდრითა, და ყოველივე ესე ენისა და სხვა დამახასიათებელ მხარეთა სხვადასხვაობასთან შეადგენდა ბერძენთა და რომაელთა ეროვნულ ინდივიდუალობის თავისებურებას.

არსებობენ ეხლა ფრანგები, ინგლისელები, გერმანელები, რუსები და სხვანი. თვითოეული მათგანი აგრეთვე ვინ იცის რაოდენ რასათა და ერთა ნარევია. მათი ენაც ვინ იცის რაოდენ ენათა ნარევს წარმოადგენს. ინგლისელების სისხლშია — სისხლი კელტ-ბრიტტებისა, ანგლო-საქსონელებისა, სკანდინაველ ვიკინგებისა, დანელებისა, გაფრანგებულ ნორმანნებისა და სხვ. პრუსსიელები არიან სლავიანებისა, ფინნებისა, გერმანელებისა და სხვათა ნარევნი. რუსები ბუშები არიან სლავიანებისა, ფინნებისა, პაჭანიკებისა, სკვითებისა, თათრებისა და სხვათა. ფრანგები — გალლებისა, რომაელებისა, გერმანელებისა და ვინ იცის კიდევ ვისი. ესევე ითქმის ყველა სხვა ერებზედ. მათი ენაც აგრეთვე ნარევია ვინ იცის რაოდენ ენათა და კილო-კავთა. მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა არსებობს დღეს ინგლისისა. გერმანელისა. ფრანგისა, რუსისა და სხვათა ერი; არსებობს განსაზღვრული და კელაპტარსავით ჩამოსხმული ინგლისური ენა, ფრანგული, გერმანული, რუსული და სხვანი. ეს ერები გრძნობენ თავიანთ თავსა, ორგანიულად ვითარდებიან. რუსი დღეს **რუსად** გრძნობს თავსა. და არა სკვითად, თათრად და პაჭანიკად ერთად. ინგლისელი **ინგლისურად** ლაპარაკობს და არა ფრანგულ-გერმანულ — დანურ-ბრიტტულად ერთად. თუმცა ხშირად დაკვირვებული ადამიანი შენიშნავს, რომ ძველი სისხლის წვეთები სხვანაირად, მამაპაპურად შეთამაშდებიან ხოლმე და სკვითის ბუში ან ნორმანნის ნარევი ნამდვილ სკვითად ან ვიკინგად იქცევა ხოლმე!

რომ ეს თანამედროვე ერები, მსგავსად ძველთა, ნამდვილი სოციალური ორგანიზმებია — ამას გვიჩვენებს უპირველეს ყოვლისა ორი თვისება მათი, რაიცა კაცობრიობას არ მოეპოვება: 1) **ენა** და 2) **პოლიტიკური ორგანონი**, ე. ი. სახელმწიფოებრივობა. კაცობრიობის ის ნაწილი კი, რომელსაც აქვს ეს ორი სოციალური ორგანო, — ერთი უპირველესი და მეორე უკანასკნელი, მაჩვენებელი სოციალური ორგანიზმის ზრდის დამთავრებისა, არის **საზოგადოება**, ე. ი. გარეგნულად მოწესრიგებული საერთო ცხოვრება განსაზღვრულ ტომის ადამიანთა. სახელმწიფოს უმთავრესი შემადგენელი ხალხი კი უმთავრესად ერი უნდა იყოს, თუმცა, რასაკვირველია, წინააღმდეგ, ყოველ ერს არა აქვს თავისი საკუთარი სახელმწიფოებრივობა. მას შეიძლება დროთა ვითარებაში დაეკარგოს ეს ნიჭი, შეიძლება მისთვის მოესპოსთ პოლიტიკური და საერთაშორისო ორგანოები, მიუხედავად იმისა, რომ სხვა საზოგადოებრივი ორგანონი, განმამტკიცებელნი მისი განსაკუთრებული საზოგადოებრივობისა, კიდევ

შერჩენოდეს. ამ შემთხვევაში ეს ერი ან დამპყრობელ ერში გაითქვიფება, ან, თუ ძლიერია, თავს გაინთავისუფლებს და ისევ შექმნის თავის საკუთარ სახელმწიფოსა და სრულ საზოგადოებრივობას, ან უბედურად იცხოვრებს დიდ ხანსაც სხვა ერის საზოგადოებრივ სფეროში.

ერი — კონკრეტული საზოგადოებაა. მას აქვს სოციალური შინაარსი. და მართლაც, ყველა ზემოხსენებულ ერებს აქვსთ თავიანთი სხვა დანარჩენი სოციალური ორგანოებიც, — ეკონომიური, იურიდიული, არტისტიული და სხვანი, — აგრეთვე თავიანთი ინტერნაციონალური ორგანოები ურთი-ერთ შორის კავშირის დასაჭერად. და ეს აბსტრაქტული პრინციპი საზოგადოებრივობისა კონკრეტულად ხორციელდება თვითოეულ ერში. სულიც კი, რომელიც შეიძლება ერთი და იგივე იყოს ორი ერისათვის, თვითოეულ სოციალურ რთულს ვითარებას ეგუება და მის განსაკუთრებულ ხასიათის თანაჩმად კონკრეტულ ეროვნულად გარდაიქმნება. ერთი სიტყვით, თვითოეული ერი არის ერთი განსაზღვრული, კონკრეტული სოციალური ორგანიზმი, სრული გარეგნულად მოწესრიგებული საერთო ცხოვრება განსაზღვრულ ტომის ადამიანთა, განსხვავებული სხვა ასეთივე კონკრეტულ საზოგადოებრივ ორგანიზმისაგან, თავისი განსაკუთრებული თვისების ორგანოებითა, მოწესრიგების სახითა და ერთობ მთელი თავისი ხასიათითა. მაგალითად, ეჭვს გარეშეა, რომ არსებობს ბრუნვა ინგლისის საქონელთა, არსებობს წარმოება ინგლისისა, ხმარება სიმდიდრეთა, რაიცა ყოველივე ემორჩილება განსაზღვრულ ინგლისურ სამართლის ნორმებს, განსაზღვრულ ინგლისურ ეროვნულ სახეს მოწესრიგებისას. სოციალურ-ეკონომიური მოვლენები წარმოიშობიან და ვითარდებიან განსაზღვრულ მოწესრიგების სფეროში, იგინი ემორჩილებიან განსაზღვრულ იურიდიულ ნორმებს, და რადგანაც ინგლისის მოვლენანი ბრუნვისა, წარმოებისა და ხმარებისა არიან განსაკუთრებულნი სოციალურ-ეკონომიურნი ძოვლენანი, მათი არსებობა წარმოუდგენელია გარეშე ასეთის მომოწესრიგებისა. და არსებობს კიდეც ნამდვილად ეს ინგლისური მოწესრიგება ეკონომიური ცხოვრებისა: არსებობს ინგლისური განწყობილებანი საკუთრებისა, ინგლისური სავაჭრო, საფინანსო და სამრეწველო სამართალი და სხვა, რომელნიც განსხვავდებიან მაგალითად ფრანგულისაგან. ინგლისის საზოგადოებას აქვს სპეციალური ეკონომიური ორგანოები, ორგანიცისტების ენით რომ ვილაპარაკოთ, — და ეს ორგანონი არიან ეროვნულ-ინგლისურნი, რომელნიც აგრეთვე განსხვავდებიან ფრანგულისაგან. ეჭვს გარეშეა აგრეთვე, რომ არსებობს ოჯახის განსაკუთრებული მოწესრიგება ინგლისში, რომელიც სხვას არა ჰგავს. შესანიშნავმა ფრანგმა სოციოლოგმა ლეპლემ თითქმის ყველა უმთავრეს ერთა ოჯახური ცხოვრება შეისწავლა და ამ მასალაზედ ააშენა მთელი თავისი სოციოლოგიური დოქტრინა, რომლის გაცნობაც მკითხველისათვის რასაკვირველია აქ ჩვენი მიზანი არ არის. იგი ანგლო საქსონელების ოჯახს ეძახის საღსა და მკვიდრსა, მაშინ როდესაც ფრანგული ოჯახი მისთვის არ არის ინგლისური ოჯახის მსგავსის სიმტკიცისა. იგი ყველა სხვა ოჯახთა შორის ნახულობდა განსხვავებასა და ეძებდა მათ შორის საუკეთესოს მიბაძვის ღირსსა, მაშასადამე იგი სხვა და სხვა ერთა ოჯახთა შორის განსხვავებასა ჰხედავდა, სხვა და სხვა მოწესრიგებასა, განსხვავებას გონეზიურ ორგანოთა შორის სხვა და სხვა ეროვნულ ჰიპერ ორგანიზმთა განხილვის დროს. — ფაქტია აგრეთვე, რომ ზნე-ჩვეულება ინგლისელისა განსხვავდება სხვა ერთა ზნე ჩვეულებისა-

გან. მორალი ინგლისელისა სხვაა, ვიდრე ფრანგისა, რელიგიური მოწესრიგება სხვა ფორმებისაა, რწმენაც სხვაფრივ გამოიხატება ინგლისელის სულის მიერ. ესევე ყოველი იხატება ინგლისურსა და ფრანგულ ლიტერატურაში, სადაც სჩანს თვითოეული მათგანის მორალური და რელიგიური თავისებურება. მეცნიერებაც ემორჩილება სხვა მოწესრიგებას, ოქსფორდის უნივერსიტეტი განსხვავდება ჰეიდელბერგისა ან პარიზის უნივერსიტეტისაგან. თვით მეთოდიც მეცნიერული კვლევისა და აზრთა დალაგებისა სხვაა ინგლისში, ვიდრე გერმანიაში და საფრანგეთში. მუსიკა ინგლისელისა, — შეგვიძლია კი ვილაპარაკოთ ინგლისელის მუსიკაზედ? — სულ სხვა ხასიათისაა, ვიდრე იტალიელისა ან გერმანელისა. აგრეთვე მთელი ხელოვნება. არსებობს, ეჭვს გარეშეა, ინგლისის ბუმბერაზი სამართალი, სჯულ-დებულება სახელმწიფო, სამოქალაქო, სისხლის სამართლისა და სხვა. არსებობს, ბოლოს, ინგლისის სახელმწიფო, უდიდესი, უძლიერესი და უმდიდრესი სახელმწიფო მთელ ქვეყანაზედ, რომელსაც შეიძლება სხვა ერებიც ჰყავდეს სახელმწიფოებრივობას მოკლებული და დაჩაგრული, მაგრამ მაინც გაბატონებული მთავარი ეროვნული ელემენტით, — ინგლისური ერით, მთელი მისი გენიოსობითა და ინდივიდუალობით; და რომ დიდი ბრიტანიის იმპერია საფრანგეთის რესპუბლიკა არ არის, არც გერმანიის იმპერია, — ეს ხომ ყველასათვის საჩინოა. ერთი სიტყვით ინგლისის ერი განირჩევა ენითა, რელიგიითა, ლიტერატურითა, რომელსაც ისეთი ორიგინალობა ეტყობა, რომ კაცი ადვილად გამოიცნობს ფრანგისაგანაა დაწერილი მაგალითად რომელიმე რომანი თუ ინგლისელისაგან, სჯულ დებულებითა, ეკონომიურ ცხოვრებითა, პოლიტიკითა, რომელზედაც ყოველი უვიციც კი ლაპარაკობს — ეს ინგლისის პოლიტიკაა და ეს საფრანგეთისაო, — და სხვითა; იგი განირჩევა სხვა ერთაგან, და როდესაც საზოგადოდ ორ სხვა და სხვა ერის ინდივიდუალურ ცხოვრებას შევადარებთ ხოლმე, ყოველთვის იძულებულნი ვართ შევადაროთ ის ზემოხსენებულნი სოციალურნი მოვლენანი, რომელნიც იბადებიან და არსებობენ ყოველი საზოგადოების ცხოვრებაში. ამ მოვლენათა მთელი რიცხვი კი სწორედ ის არის, რასაც ჩვენ საზოგადოდ სოციალურ ცხოვრებას ვეძახით, და ის არსი, რომელიც იჩენს ასეთ ცხოვრებას არის საზოგადოება, ერთი კონკრეტული საზოგადოება. მაშასადამე ერი — საზოგადოებაა: განსაზღვრული, კონკრეტული საზოგადოება, და როდესაც ჩვენ ორ ერს ვადარებთ ერთმანეთს, — ჩვენ ვადარებთ ორ განსაზღვრულ საზოგადოებას, ორ კონკრეტულ ცოცხალ სუპერორგანიზმსა.

მთელი ქსოვილი ერთი განსაზღვრული საზოგადოებისა სულ სხვანაირია, სხვა კანვაზედ შეკერილი, ვიდრე მეორისა. მისი უჯრედები მეორისას არა ჰგავს; — სხვა ფერადებით არის მოქარგული მთელი ქსოვილი. ცალკე ფიგურები სხვა და სხვა დროს არის ნაკერი, სხვა და სხვა პირობებში, სხვა და სხვა ხალხთაგან. მათ შორის განსხვავება ისეთია, რომ პირველი შეხედვისათანავე თვალსაჩინო ხდება იგი განსხვავება. ამას ჩვენ უბრალო თვალითაც ვხედავთ ხოლმე, როდესაც უცხო ქვეყნებში მივდივართ. აგრეთვე როდესაც უბრალო, ზერელი მსჯელობა გვაქვს ხოლმე, — მაშინაც კი ხშირად ელაპარაკობთ: აქ გეოგრაფიული პირობები უწყობდა ხელს განსაზღვრული საზოგადოების თავისებურობას, იქ რასა ან რასათა ნარევია სრულიად განსხვავებული ტომის შემქმნელი, სხვაგან კიდევ ეკონომიური ცხოვრების თავისებურობამ შექმნა ესე თუ ის ხასიათი ამა თუ იმ ხალხისა; — მეორეგან კიდევ ხალხი მშრომელი და მუყაითია, ან ზარმაცი და უსაქმური, ამა თუ იმ

ბუნებრივ, ეკონომიურ და უფლებრივ მიზეზთა გამო. მესამეგან აგრეთვე განსაკუთრებულ მდგომარეობას ან განსაკუთრებულ „ისტორიას“ ვაწერთ ხოლმე. მიზეზს ამა თუ იმ ერის თავზედ დატეხილ კატასტროფისას და სხვ. ყველა ამას რომ ვლაპარაკობთ, შეიძლება ჩვენ არც კი გვქონდეს სრულიად ნათლად წარმოდგენილი, რომ მაშინ ჩვენ გვაქვს მსჯელობა ერებზედ, როგორც მთელ სოციალურ ორგანიზმებზედა, რომელნიც წარმოშობილან განსაზღვრულ პირობებში, განუვითარებიათ თავისი სოციალური ორგანოები, გაზრდილან და ყველა არსებულ პირობის მიხედვით განსაზღვრული წესით იჩენენ თავიანთ სიცოცხლის სიძლიერესა და უნარსა, ან სიცოცხლის უნიჭობასა და სისუსტესა.

დასკვნა ჩვენი მსჯელობისა მაშასადამე იგი უნდა იყოს, რომ თუ ჩვენ დავამტკიცებთ და აღვიარებთ, რომ ყოფილა ადამიანთა დიდი თუ პატარა ჯგუფები თავიანთი განსაკუთრებული გარეგნული მოწესრიგებით, — ყოფილან მაშასადამე განსაზღვრულნი, კონკრეტულნი საზოგადოებანი, რომელნიც ურთი-ერთისაგან განსხვავდებიან, და არა **ერთი საზოგადოება.** ყოფილან კონკრეტულნი სოციალურნი არსნი, რომლებშიაც კონკრეტულად ხორციელდება განყენებული სოციალობა.

ფორმანი ამ საზოგადოებისა რასაკვირველია სხვა და სხვანაირნი ყოფილან ისტორიაში. ეხლა ჩვენ მათ ჩამოთვლას არ გამოეუდგებით. ვიტყვით მხოლოდ, რომ ყველაზედ უფრო განვითარებული და გაზრდილი ფორმა, მჭიდრო კავშირის განმამტკიცებელი ინდივიდთა შორის, არის ერი. თანამედროვე კაცობრიობის კულტურული ნაწილის ზრდა-დამთავრებულნი საზოგადოებანი წარმოადგენენ ერებსა. ამ ერებს აქვსთ სახელმწიფოებრივი ფორმა საზოგადოებრივობისა. როგორი ერთა სხვა და სხვანაირობაც უნდა იყოს სახელმწიფოში, მის გულს მაინც ერთი რომელიმე მთავარი ერი შეადგენს, — ერთის ენისა, ერთის ტრადიციისა, ერთის ისტორიისა, ხშირად ერთის სჯულისა, ერთის ნათესავისა ანუ რასათა შერევისაგან წარმომდგარ ერთის ტიპის შთამომავალთა ხალხისა. ცალკე სახელმწიფოებში არიან ცალკე მთავარი ერები, როგორც სოციალური შინაარსის მქონე არსნი, განსხვავებულნი ურთი-ერთისაგან. **ერთი ერი კი, ერთი კაცობრიობა, როგორც სოციალური შინაარსის მქონე არსი, არ არსებობს ისე, როგორც არ არსებობს ერთი საკაცობრიო სახელმწიფო.**

ჩვენ ზევითა ვსთქვით, რომ სახელმწიფო დიდ როლს თამაშობდა არეულ რასათა შეკავშირების საქმეში, სხვა და სხვა ტომის ადამიანთა საერთო ცხოვრების მოწესრიგებაში, მაგრამ აქედან ის დასკვნა სრულიადაც არ გამოდის, თითქოს სახელმწიფო შემქმნელი და ერთად-ერთი შემქმნელი ყოფილიყოს ერისა. მუდმივი ეკონომიური ურთი-ერთობანი აღებ-მიცემობისა, კულტურული ზედ-გავლენა, საერთო რელიგიის შემუშავება პროპაგანდითა და ქადაგებით, ცალკე ჯგუფთა ხშირი ნება ყოფლობითი კავშირი საერთო მტრის მოსაგერებლად, ან სხვა რაიმე მიზნისათვის, და სხვა მრავალი ასეთი ხასიათის ფაქტორი, — აი რა იყო აგრეთვე მიზეზი განსაზღვრული ერის წარმოშობისა ყველა მისი სოციალური ორგანოებითა, მათ შორის სახელმწიფო ორგანოთიც. რასაკვირველია სახელმწიფო შემდეგ ხელს უწყობდა ამ ერის ნაწილთა ურთიერთთან უფრო მჭიდრო კავშირის დამკვიდრებას. ხშირად, როგორც არა ვსთქვით, იგი ხელს უწყობდა ეროვნების შედგენას ძალით, სხვა რასის ნაწილთა ან სხვა ერის სრულიად ჩანთქმითა; ან და რომელიმე ერი, ძლიერი სახელმწიფოს მქონე, ისევადა სხვა ერებსა როგორც ძალით, ისე

აგრეთვე თავისი ძლიერი კულტურითა, თუმცა ხშირად თვით განიცდიდა ხოლმე სხვა ერთა გავლენასაც და ამით თავის თავსაც ასხვაფერებდა. ხშირად ისიც მომხდარა ხოლმე, რომ რომელიმე ძლიერ ეროვნულ სახელმწიფოს ისეთი ერები დაუპყრია, რომელთაც თვითონა ჰქონიათ წინად საკუთარი სახელმწიფოც და განვითარებული სოციალური ცხოვრებაც დამპყრობელის მსგავსად, ან მეტადაც. ეს ერები თუმცა დამორჩილებიან ხოლმე დამპყრობელის ძალ მომრეობას, დაუკარგავსთ თავიანთი პოლიტიკური, იურიდიული და საერთაშორისო ორგანონი, — მაგრამ მაინც შეუნახავსთ ერთობ თავიანთი ეროვნული თავისებურება, — ენა, ტიპი, სჯული, ზნე-ჩვეულება, ხელოვნება, ლიტერატურა, დიადი დარგები თავის განსაკუთრებულ სოციალურ ცხოვრებისა, — თავიანთი ეროვნება ერთი სიტყვით, როგორც განსაკუთრებულ, კონკრეტულ სოციალურ სუპერ-ორგანიზმთა დამახასიათებელი მოვლენა.

ასე რომ, ჩვენის მსჯელობიდან მკითხველმა ის დასკვნა სრულიადაც არ უნდა გამოიყვანოს, თითქოს ჩვენის აზრით ერი, საზოგადოება და სახელმწიფო ერთი და იგივე ცნებანი იყვნენ, რაღაი შესაძლებელია, რომ განსაზღვრულ მომენტში ერმა და სახელმწიფომ ერთი და იგივე სახელწოდება ატარონ და ორივენი იყვნენ ერთსა და იმავე დროს თითქოს ერთი კონკრეტული განხორციელება განყენებული სოციალური პრინციპისა. მართლაც, საზოგადოება მხოლოდ გარეგნულად მოწესრიგებული საერთო ცხოვრებაა ადამიანთა. იგი ორგანიზმია, სუპერ ორგანიზმი, რომელიც განირჩევა ყველა სხვა ორგანიზმთაგან, — სოციალური ორგანიზმი. აი რა არის საზოგადოება თავის თავად. იგი განყენებული ცნებაა. ერი — კონკრეტული საზოგადოებაა, განსაზღვრული სუპერ ორგანიზმი. იგი აგრეთვე ერთი ჟურჟელია საზოგადოებრივობისა, მაშინ როდესაც მთელი კაცობრიობა ამ ჟურჟლად ჯერ არ გამხდარა და შეიძლება ვერც გახდეს ვერასოდეს. სახელმწიფო კი მხოლოდ ერთი ფორმაა საზოგადოებისა. სახელმწიფო შეიძლება შესდგებოდეს მრავალ ერთაგან. სახელმწიფო რასაკვირველია არ შეიძლება იყოს გარეშე საზოგადოებრივი შინაარსისა, მაგრამ საზოგადოებას შეიძლება სხვა ფორმებიცა ჰქონდეს სახელმწიფოებრივ ფორმის გარდა, და არსებობდნენ და დღესაც არსებობენ ასეთი საზოგადოებანი. ერთი სიტყვით საზოგადოება არის — საერთო აბსტრაქტიული ცნება, სახელწოდება ყოველი გარეგნულად მოწესრიგებულ საერთო ცხოვრების მქონე ადამიანთა კრებულისა, — სახელწოდება ამ მოწესრიგების პრინციპად მქონე სუპერ ორგანიზმისა საზოგადოდ. ერი — არსებული, კონკრეტული საზოგადოებაა. — ანუ უკეთ ვსთქვათ ერები არიან ასეთი თვისებისა, რადგანაც სწორედ ერები არსებობენ ნამდვილად და არა ერთი ერი. ერი თავის მხრით აგრეთვე ზოგადი სახელია განსაზღვრულ, კონკრეტულ საზოგადოებრივ ორგანიზმთა, — ერთა სახელმწიფო კი ერთი ფორმაა საზოგადოებისა, რომელსაც მიიღებს განსაზღვრული. კონკრეტული საზოგადოება — პირველ ყოფილ ურდოთა კავშირი, ან ერთა არევ-დარეულ ნაწილთა ნაძალადევი შეერთება, ან წმინდა ერი.

რომ მკითხველმა უფრო ნათლად წარმოიდგინოს, რაში მდგომარეობს ამ სამი ცნების ურთი-ერთისაგან გარჩევა — საზოგადოებისა, ერისა და სახელმწიფოსი, — შემდეგ თავში ცალკე, უფრო ნათლად და დაწვრილებით განვიხილოთ იგინი და შევადაროთ ერთმანეთსა, ან ვნახოთ, თუ მათი შედარება შეიძლება, რადგანაც ამ სამი ცნების ერთმანეთში არევა საშინელ აზრთა არევ

დარევას იწვევს ხოლმე საზოგადოდ, და ამ არევ-დარევას შედეგად მოსდევს ხოლმე ის ცუდი მოვლენაც, რომ ადამიანის პირდაპირი პრაქტიკული მოქმედება ხშირად განისაზღვრება ხოლმე ასეთი შეცდომებითა და არევ-დარეული აზრებითა.

თავი მეოთხე

საზოგადოება, ერი, სახელმწიფო

საზოგადოება, როგორც არა ერთხელ განგვიმეორებია, არის გარეგნულად მოწესრიგებული საერთო ცხოვრება ადამიანთა მათ საერთო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ორგანიცისტულ ენით რომ ვილაპარაკოთ, საზოგადოება არის ერთგვარი, სპეციალური ორგანიზმი, — სუპერ-ორგანიზმი, რომელსაც აქვს თავისი საკუთარი ორგანოები და ფუნქციები აგრეთვე ადამიანთა საერთო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად. ასეთია თავის თავად საზოგადოება. მისი განსაზღვრა ჩვენის აზრით ასეთიც შეიძლება რომ იყოს. საზოგადოება თავის თავად ასეთი ხასიათის იქმნება ყოველთვის, დამოუკიდებლად დროისა და სივრცისა, როგორნიც უნდა იყვნენ მისი შემადგენელნი ელემენტნი — ზანგები, ინგლისელები, სკვითები თუ გერმანელები — ან რა დროშიაც უნდა ზრდილიყო საზოგადოება ქრისტეს დაბადებამდის თუ ქრისტეს დაბადების შემდეგ. თვით ცნება საზოგადოებისა დამოუკიდებელია სრულიად რომელიმე კონკრეტულ საზოგადოების შემადგენელ ნაწილთა ეთნოგრაფიულ ხასიათისგან, დროისაგან, სივრცისაგან, ხალხთა რაოდენობისაგან და ყოველივე ვითარებისაგან, რაიცა ეკუთვნის რომელიმე განსაზღვრულ, კონკრეტულ საზოგადოებას.

აგრეთვე რომ გავითვალისწინოთ ევოლუცია საერთოდ საზოგადოებისა, როგორც ევოლუცია განსაკუთრებული სუპერ-ორგანიზმისა, იგი დამოუკიდებელია იმავე ელემენტთაგან, იმავე ვითარებათაგან, რომელნიც დაახასიათებენ რომელიმე განსაზღვრულ, კონკრეტულ საზოგადოებას: ფორმანი საზოგადოებისა ჟამთა ვითარებაში სხვა და სხვანაირნი არიან; ამ ფორმათ თავიანთი სახელები ჰქვიანთ, დამოუკიდებლად იმისა, — ფრანგის საზოგადოება განვითარებულა, ინგლისელისა თუ სკვითისა, ან რუსისა.

ჩვენ ვიცით მრავალ-მეცნიერთა გამოკვლევათა წყალობით, რომ ყოფილა წარსულში და ველურთა შორის ეხლაც არის პირველ-ყოფილი ველური თემი, — ყოფილა შემდეგ ბარბაროსთა თემი, კლანი, — პატრიარქალური კომმუნა, სოფლის კომმუნა და სხვა ფორმანი საზოგადოებისა. ყოფილა აგრეთვე უკვე განვითარებული საზოგადოება მრავალ ფუნქციებითა და ორგანოებით. — ქალაქი სახელმწიფოს მსგავსი ორგანიზაციით — la cité, — ყოფილა ფედერაცია ქალაქთა და თემთა, რომელთა ცენტრიც აგრეთვე ერთი რომელიმე ქალაქი ყოფილა; ყოფილა და არის სახელმწიფოებრივი საზოგადოება. არსებობდა საზოგადოება სამხედრო წყობილებისა, საზოგადოება სამრეწველო ხასიათისა, როგორც ამბობენ სპენსერი და სხვანი არის აგრეთვე კიდევ ერთი კლასსიფიკაცია საზოგადოებათა დროში განვითარების მიხედვით; პირველ-ყოფილი კომმუნისტური საზოგადოება, საზოგადოება მონობისა, ფეოდალიზმისა, თანამედროვე კაპიტალიზმისა, — შემდეგ, მომავალში კი აუცილებლად განსახორციელებელი სოციალისტური საზოგადოება. როგორიც უნდა იყოს

კლასსიფიკაცია საზოგადოებათა დროის მიხედვით, ზემოხსენებული თუ სხვა რომელიმე, ამ კლასსიფიკაციაში მხოლოდ საზოგადოების სხვა და სხვა ფორმებია მიღებული მხედველობაში მათი განვითარების მიხედვითა, და სხვა არაფერი.

საზოგადოებაზედ საერთოდ ჩვენ შეგვიძლია ვილაპარაკოთ აბსტრაქტულად, დამოუკიდებლად კონკრეტულ მაგალითებისა: რასაკვირველია. როგორც ყოველ მეცნიერებაში, კონკრეტული მაგალითები საილლუსტრაციოდ საჭირონი არიან, მაგრამ ამა თუ იმ საზოგადოების განსაკუთრებით ელფერს გავლენა არასოდეს არ ექმნება საერთოდ საზოგადოების თეორიაზედ. მაგალითად, როდესაც ჩვენ ვმსჯელობთ ფიზიოლოგიურ კანონებზედ, როგორც საერთო აბსტრაქტულ კანონებზედ, კაცისა და ცხოველთა მაგალითები ყოველთვის გვჭირდება, არც შეიძლება აბსტრაქტულ ფიზიოლოგიის კანონთა აღმოჩენა, თუ კონკრეტულ ცდაზედ არ დავემყარეთ, მაგრამ პეტრეს ორგანიზმის ვითარება ან მისი ანომალიები ვერ იქონიებენ ვერავითარ გავლენას საერთოდ ფიზიოლოგიურ მეცნიერების კანონებზედ. პირიქით, ამ კანონებით უნდა ავხსნათ ესა თუ ის თავისებურობა, ან ანომალია. ერთი სიტყვით, საზოგადოებაზედ ფილოსოფოსობა აბსტრაქტული სოციოლოგიის საქმეა მხოლოდ, როგორც ერთობ მთელ ბუნების მოვლენათა შესახებ და აგრეთვე ცნობიერების შესახებ ფილოსოფოსობა აბსტრაქტული ფილოსოფიის საქმეა და არა რომელიმე კონკრეტული მეცნიერებისა. აი როგორია ჩვენის აზრით საზოგადოების ხასიათი და მის შესახებ ფილოსოფია, როდესაც საზოგადოებას ვეხებით თავის თავად, როგორც ერთ განსაზღვრულ აბსტრაქტულ ცნებას.

როდესაც კი ცალკე მაგალითების ანალიზს შევუდგებით, როდესაც საზოგადოებათა რეალურ, კონკრეტულ დასახელებას მივყოფთ ხელსა, მაშინ აუცილებლად შევხვდებით ხოლმე სხვა და სხვა ხალხთა, რასათა და ერთა, **რომელთაც ჰქონიათ, ან უსათუოდ უნდა ჰქონოდესთ ამა თუ იმ ფორმის საზოგადოებანი. მეორეს მხრით აგრეთვე ვხვდებით თვით კაცობრიობას, რომელსაც არა ჰქონია არასოდეს არავითარი საერთო საზოგადოებრივი ცხოვრება.**

ანუ სხვა ფრად რომა ვსთქვათ, ჩვენ ვიკვლევთ საზოგადოებას სოციალური ფილოსოფიის მხრით ისე, რომ არა გვჭირდება ვიცოდეთ, — ვინ არიან ის ადამიანები, რომლებიც სცხოვრობენ გარეგნულად მოწესრიგებული ცხოვრებითა, — ფრანგები, ინგლისელები თუ გერმანელები. — მონგოლები, არიელები თუ სემიელები. მაგრამ როდესაც რეალურ, ნამდვილად არსებულ ან ყოფილ საზოგადოებათა შესახებ გვაქვს ლაპარაკი, ეს ლაპარაკი მაშინ არის მხოლოდ შესაძლებელი. როდესაც მათ შორის განსხვავებაც ვიცით. ეს კი თავის მხრით მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც მათ შემადგენელ ადამიანთა შორის არსებული განსხვავებაც ვიცით. ეს განსხვავება არის განსხვავება რასისა, ერისა და სხვ. ფაქტია, რომ არსებობენ მონგოლისა, ზანგისა, წითელ-კანიანისა და თეთრი ადამიანის რასანი. ფაქტია რომ არსებობდნენ ბერძენი და რომაელნი, ურიანი და ასსურელნი, ფაქტია რომ არსებობენ ეხლა ინგლისელები, ფრანგები და გერმანელები. ყველა ამათ უნდა ჰქონოდათ, ჰქონდათ ან აქვსთ თავიანთი საზოგადოებანი, და ამიტომაც წარმოადგენენ ისინი ინდივიდუალურად განსხვავებულ არსთა, ცალკე, დამოუკიდებელ სუპერ-ორგანიზმთა, ან ოდესმე უნდა წარმოედგინათ ასეთი სუპერ-ორგანიზმები.

მაშასადამე რასანი. ერნი განხორციელებანი არიან მხოლოდ საზოგადოე-

ბრივობისა, **მათ შეუძლიანთ ჰქონდესთ ესა თუ ის ფორმა საზოგადოებისა,** მაგრამ თვით ცნებანი რასისა, ერისა და **საზოგადოებისა** ერთი და იგივეს სრულიადაც არ არიან. კერძოდ ერს, მაგალითად, აქვს სოციალური შინაარსი, მაგრამ ცნება ერისა და საზოგადოებისა არ არის ერთი და იგივე, — **საზოგადოება აბსტრაქტული ცნებაა განსაზღვრული ბუნების მოვლენისა, ერი კი განსაზღვრული, კონკრეტული მაგალითია ამ მოვლენის არსებობისა ბუნების წიაღთა შინა.**

ამით მგონი ცოტათი ნათელ-ეყავით განსხვავებანი ერისა და საზოგადოების ცნებათა, თუმცა ასეთი ანალიზი არც ისე ადვილია, როგორც შეიძლება ბევრს ეგონოს; და თუ ისეთი სოციოლოგი, როგორიც რენე ვორმსია, სავსებით ვერ ერევა ამ ანალიზს, ჩვენ, ამ პატარა მოთხრობაში, რასაკვირველია, უფრო გვეპატიება შეცდომანი.

სახელმწიფოს ცნება აგრეთვე განსხვავდება ამ ორ ზემოხსენებულ ცნებისაგან. **სახელმწიფო თავდაპირველად უფრო ორგანიზაციაა ერთი ეთნიური ჯგუფის მეორეზედ ბატონობისა, შემდეგ იგია უბრალო სუმმა იმ დაწესებულებათა, რომლითაც ერი ჰქმნის ერთი განსაზღვრული, ძალდატანებითი ფორმის საზოგადოებრივობას.** მაგრამ შეიძლება ერს სხვა ფორმა ჰქონდეს საზოგადოებრივობისა, — მაგალითად თავისუფალი ფორმა, რომელიც მომავალი იდეალია კაცთა საზოგადოებისა.

ამასთანავე შეიძლება საზოგადოება, როგორც არა ვსთქვით, ბევრი სხვა ფორმით არსებობდეს, გარდა სახელმწიფოს ფორმისა, — შეიძლება აგრეთვე ერთი სახელმწიფო სხვა და სხვა ერთაგან შესდგებოდეს, და ამ ერებს კი არ დაეკარგოსთ თავიანთი ეროვნულ-სოციალური ორგანონი, გარდა პოლიტიკურისა და იურიდიულისა. ასეთი და მსგავსი შემთხვევა მრავალია შესაძლებელი.

საზოგადოება შეიძლება იყოს პირველ ყოფილ-კომმუნისტური, მონური, ფეოდალური, კაპიტალისტური, ან მომავალი სოციალისტური ერთი კლასიფიკაციით, — ან და სახელმწიფოებრივი, ანუ ანარქიული მეორე კლასიფიკაციით, —ან კიდევ სხვა რომელიმე; რასათა და ერთა ნარევს, ან ერსა, ან ერის ნაწილებს შეიძლება ჰქონდეს ყოველი ზემოხსენებული ფორმა საზოგადოებრივობისა. რასათა პირველ-ყოფილ ნარევებს მართლაც ყველა პირველ ყოფილი საზოგადოებრივი ფორმები ჰქონიათ. ერებს და მის ნაწილებს კი ყოველგვარი სახელმწიფოებრივი ფორმანი, აგრეთვე ფორმანი თავისუფალ ქალაქთა და თემთა ფედერაციებისა.

აგრეთვე, მაგალითად თანამედროვე ცხოვრებაში პირდაპირა ვხედავთ, რომ სახელმწიფო რუსეთისა და ავსტრიისა სხვა და სხვა, მრავალ ერთაგან შესდგება. **ერთი ერი** კი, მაგალითად პოლონეთისა, სამ სახელმწიფოშია, — რუსეთში, ავსტრიაში და გერმანიაში. მიუხედავად ამისა იგი სცოცხლობს თავისი განვითარებული ეროვნული ორგანოებით, როგორც ერი, როგორც განსაზღვრული, კონკრეტული საზოგადოება. მისი არსებობა — ფაქტია. მისი ძლიერი სიტყვები — „იეშჩე პოლსკა ნე სგინელა“ უბრალო ტრაბახი ან სასოწარკვეთილი ძახილი არ არის, — მას დიდი სინამდვილე აქვს აღმომცენებლად და ნიადაგად. პოლონეთსაც აქვს თავისი საკუთარი სოციალური შინაარსი, როგორც ერსა, მიუხედავად იმისა, რომ იგი აღარ არის სახელმწიფო და მიუხედავად იმისა, რომ იგი სამს სახელმწიფოში შედის თავისი ნაწილებითა.

მაგრამ, ასე გასინჯეთ, თვით სახელმწიფოს არსებობაც არ შეიძლება ისე, თუ ერთი რომელიმე ერი არ არის მისი გული, — ბურჯი, რომელზედაც იგი

უნდა იყოს დამყარებული. მაგალითად, გული რუსეთის სახელმწიფოსი არის **რუსის ერი**. ეს ერი უმთავრესი ელემენტია რუსეთის სახელმწიფოსი. რუსეთის სახელმწიფოებრივობა თავდაპირველად რუსის ერის „ხასიათით" განისაზღვრებოდა და განისაზღვრება ეხლაც. **რუსეთის იმპერია** რომ კიდევაც დაირღვეს, **რუსის ერს** მაინც შეუძლია შეირჩინოს თავისი საკუთარი სახელმწიფო, გაცილებით უფრო პატარა სამეფო, ვიდრე ეხლა, მაგრამ მაინც სახელმწიფო რუსეთისა, — სულით მსგავსი თანამედროვესი. მას შეუძლია სახელმწიფოს დაკარგვაც, მაგრამ ეროვნებას მაინც შეირჩენს, თუ რასაკვირველია თვითშეგნებითა და კულტურით მარჯვედ იქმნა.

სახელმწიფო შეიძლება იყოს აგრეთვე სხვა და სხვა ერთაგან შემდგარი ისეთნაირად, რომ ცალკე ერები მაინცა და მაინც დიდად არ განსხვავდებოდენ ერთი-ერთისაგან სიძლიერითა და სიდიდით. ასეთი სახელმწიფოს მაგალითია ავსტრო-უნგრეთი. ამ შემთხვევაში ორი რამ არის აუცილებელი, რომ სახელმწიფომ იარსებოს ნორმალური სიძლიერითა და პრესტიჟით; ან საშინელი დესპოტიზმი ერთი რომელიმე გაბატონებული ერისა, ან და ერთა შორის თავისუფალი ფედერაცია, რომელიც უზრუნველ-ჰყოფს ერთა სრულ ავტონომიასა და მათს ეროვნულ დამოუკიდებელ განვითარებას. მაგრამ დესპოტიზმს დიდი ხნის ფოხი არასოდეს არა აქვს ხოლმე ასეთს სახელმწიფოში, იგი მხოლოდ დროებით შექმნის სახელმწიფოს სიძლიერეს, ნორმალურ კალაპოტში კი თავის დღეში ვერ ჩააყენებს მისს ცხოვრებასა. წინააღმდეგ შემთხვევაში კი, ესე იგი როდესაც სახელმწიფოში არც დესპოტიზმია განვითარებული ან და კბილი მოსტეხია, არც თავისუფალი ფედერაციაა ერთა, თავისუფალ ერთა საკუთარ ეროვნულ საზოგადოებრივობის განსავითარებლად. — სახელმწიფო სუსტდება ერთა ბრძოლითა და ან სრულიად იწეწება საქმეები და მუდამ ანორმალურია მისი ცხოვრება, ან და იგი აუცილებლად ირღვევა და შესაძლებელია მის ნანგრევებზედ აღმოცენდნენ ცალკე ერთა დამოუკიდებელი სახელმწიფონი.

ისეთ სახელმწიფოებში, სადაც არ არსებობს ერთა თავისუფალი ფედერაცია, არამედ დესპოტიზმი ერთი ერისა, ყოველთვის ბატონობს სურვილი განთავისუფლებისა მჩაგვრელთაგან და ცალკე სახელმწიფოთა დაარსებისა. ასეთ ერებს შეუძლიათ დაიარსონ სახელმწიფონი და მოაწყონ პოლიტიკურიურიდიული ორგანოები, — რადგანაც მიუხედავად მათი ჩაგვრისა, მათ კიდევ დარჩენიათ თავიანთ საზოგადოებათა დამახასიათებელი მოვლენანი: ენა, რელიგია, ზნე-ჩვეულება, ტიპი, ლიტერატურა, ტრადიციები, საერთო კულტურა, ისტორია და სხვა.

ამგვარად, ერი არის ჟურნელი საზოგადოებრივობისა. იგი განსაზღვრული, კონკრეტული საზოგადოებაა. საზოგადოებას კი, როგორც ამგვარს, შეუძლია მიიღოს მრავალი ფორმა, კერძოდ სახელმწიფოს ფორმა. სახელმწიფო კი ერთი ფორმაა საზოგადოებრივობისა, რომელიც შეიძლება ჰქონდეს განსაზღვრულ, კონკრეტულ საზოგადოებას, — ერსა.

გარდა ამისა უნდა შევნიშნოთ, რომ კერძო „საზოგადოებანი" შეიძლება იყვნენ ერთ დიდ საზოგადოებაში, — ერში, სახელმწიფოში. პროფესიონალური კავშირები, სამეცნიერო საზოგადოებანი, საარტისტო კავშირები, რევოლუციონური კავშირები, რელიგიური სექტები და სხვა მრავალი ამგვარები, — ესენიც არიან „საზოგადოებანი", რადგანაც ესენიც წარმოადგენენ ადამიანთა გარეგნულად მოწესრიგებულ საერთო ცხოვრებათა, საერთო მიზნის მისაღწევად, მაგრამ ეს საზოგადოებანი მოქმედებენ ერში ანუ სახელმწიფოში და არიან აღმო-

ცენებულნი მთელი მათი სოციალური ცხოვრების ნიადაგზედ. ეს საზოგადოებანი ნაწილნი არიან ერისა ანუ სახელმწიფოსი, ეთანხმებიან საერთო ეროვნულ-საზოგადოებრივ, სახელმწიფოებრივ სტრუქტურასა და ფუნქციებსა, ერთი სიტყვით, ისინი შედიან საზოგადოების უკვე ჩამოთვლილ ორგანოთა მექანიზმში, ანუ საერთო გარეგნულად მოწესრიგებულ ცხოვრების გამოხატულებანი არიან თვით, — ასე რომ როცა ამ ცალკე საზოგადოებათა შესახებ გვაქვს ლაპარაკი, მცირე ანალიზის შემდეგაც კი ისევ ვუბრუნდებით საზოგადოების ცნების განსაზღვრასა და აქ კი ეს მეტია, რადგანაც ამაზე უკვე დასაწყისში ვილაპარაკეთ.

სახელმწიფო მხოლოდ ერთი ფორმაა საზოგადოებრივობისა, ამასთანავე იგი სრულ საზოგადოებრივობას სავსებით არ შეადგენს: ამიტომაც იგი სრულიად არ ეთანხმება ეროვნულ საზოგადოებრივობას, არამედ ხშირად სრული წინააღმდეგიც არის ხოლმე მისი. რადგანაც სახელმწიფო ამასთანავე უფრო მექანიკური კავშირია ადამიანთა შორის თავისი ძალ-დატანებითი ფუნქციების წყალობითა, ვიდრე ერი, რომელიც ორგანიული კავშირია ადამიანთა შორის, ესე იგი ნამდვილი საზოგადოება, ერი რჩება უმაღლეს, უდიდეს და უბუნებრივეს და დღეს თითქმის ერთად-ერთ დიდ ჟურჟლად საზოგადოებრივობისა მთელ კულტურულ კაცობრიობაში.

მართალია, როგორც წინადა ვსთქვით, სახელმწიფო ორგანიზაციას დიდი როლი უთამაშნია ერის შექმნაში. ორი უმთავრესი გზით შეეძლო სახელმწიფოს ეროვნებათა შექმნაში მონაწილეობის მიღება. ერთი გზაა— განცალკევებულ მაგრამ ერთგვარ საზოგადოებათა შეერთება, ერთ ერად შეერთება. მაგალითად შეერთება გერმანიისა, იტალიისა, საქართველოსი და სხვა ერთა. ყოფილან ისტორიაში ისეთი დრონი, როდესაც ერთი და იგივე რასისა ანუ ხალხის ნაწილნი ცალ ცალკე სამეფოებსა, ქალაქებსა, ან ოლქებს შეადგენდნენ, ესე იგი ცალ-ცალკე საზოგადოებათა, რომელნიც ხშირად კიდეც იბრძოდნენ ხოლმე ურთი-ერთ შორის: მათი შეერთება დროთა ვითარებაში თავდაპირველად ან ნება-ყოფლობით ხდება, ან და უფრო ხშირადაც ერთი ცენტრალური სახელმწიფო ძალის განვითარებითა, რომლიდანაც ჩნდება ხოლმე შემდეგ ერთი დიდი ეროვნული სახელმწიფო. თავდაპირველად, შეერთებამდის, ეროვნული თვით-შეგნება არ არის განვითარებული, ან და ისე სუსტია, რომ ცალკე ჯგუფები — პროვინციები, ქალაქები, პატარა რესპუბლიკები ერთმანეთს ებრძვიან, — შემდეგ კი, ერთ სახელმწიფოს ჭერ ქვეშ ცხოვრების გამო ვითარდება ერთი ეროვნების თვით-შეგნება, ერი სამუდამოდ ხდება თვით-შემგნებ ორგანიზმად, თუმცა აქედან ის დასკვნა სრულიადაც არ გამოდის, რომ საჭირო იყოს ეროვნული თვით-შეგნების განვითარებისათვის სრული მოსპობა ადგილობრივ თავისუფლებათა ცენტრალური ძალის მიერ. პირიქით, მჭიდრო კავშირი ერის ნაწილთა შორის მაშინ არსებობს, თუ ამ კავშირის განმამტკიცებელი ცენტრალური ძალა იღწვის შეძლებისა დაგვარად ყველა ადგილობრივ ინტერესთა დასაცველად, რამდენადაც საზოგადოდ სახელმწიფოს შეუძლია ასეთი როლის აღსრულება ერისა და საერთოდ საზოგადოების ცხოვრებაში. მაშინ ადგილობრივი თვით-მმართველობა ორგანიულად აერთებს მთელს ერსა, ანვითარებს საერთო ეროვნულ თვითშეგნებას, რადგანაც ამ შემთხვევაში კერძო ადამიანი, კერძო ქალაქი, კერძო პროვინცია და შტატი, — ყველანი გრძნობენ, რომ მთელი მათი საერთო ორგანიზაცია არსებობს მათსავე დასაცველად და არა ადამიანი, ქალაქი და შტატი — სახელმწიფო ფეტიშის თაყვან-საცემლად.

მეორე მხრით, ასეთი გაერთიანება ერისა ხშირად ხდება ძალით, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამ ერის წიაღში ურთი-ერთის მსგავსი გაბნეული ნაწილები განვითარებული ცენტრალური ძალის მიერ არის დაპყრობილი. იმ ხალხთა შორის კი, რომელთაც ოდესღაც ჰქონნიათ დიდი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ცხოვრება, მაგრამ დაუკარგავსთ იგი, — ცალკე ნაწილთ ისევე განცალკევებული ცხოვრება დაუწყიათ, — ჯერ ისევ აღსდგება ხოლმე ეროვნული ერთობისა და თვითშეგნების იდეა და მერე შეიძლება ასეთ იდეიურ მოძრაობას შედეგად მოჰყვეს ერთი ეროვნული სახელმწიფოს დაარსება, ანუ უკეთ ვსთქვათ მისი განახლება, — მხოლოდ, შეიძლება, სხვა ფორმითა. იმისდა მიხედვით, მაშასადამე თუ როგორი ისტორია აქვსთ ერის ნაწილთა, ხან ეროვნული თვით-შეგნება უსწრებს წინ ეროვნულ სახელმწიფოსა, ხან სახელმწიფო ეროვნულ თვით-შეგნებასა, რომელიც ვითარდება საერთო ცხოვრების ჩვეულებითა და ვარჯიშობითა.

მეორე გზა ეროვნების შედგენისა არის დიდი ერის მიერ დაპყრობილ პატარა ერთა ან რასათა ნაწილების ასსიმილიაცია სახელმწიფოს მიერ. საშინელია თვით ეს პროცესსი ასსიმილიაციისა; როცა იგი თავდება ხოლმე, მაშინ ერი უკვე გადაგვარებულია, იგი უკვე ჰკარგავს ყოველისფერს ეროვნულსა, — ენას, რელიგიას, თვით შეგნებასა და სხვასა, და ინთქება მთავარი, დამპყრობელი ერის სოციალური ცხოვრების ტალღებში. ეს მთავარი ერი მას ისე გადაჰხარშავს ხოლმე, მოინელებს, როგორც პროტოპლაზმა ან განვითარებული ცხოველი საკვებსა.

მთავარი ერი კი ისევ ერად რჩება, მხოლოდ გაზრდილი და განმრავლებული ახალი ელემენტით, — თავისი ენითა, რელიგიითა, თვით-შეგნებითა და სხვ. მისი სოციალური შინაარსი არ იკარგება და როდესაც მას, შეიძლება, მეორე უფრო ძლიერი ერი ან სახელმწიფო მოესევა, აუცილებლად იგივე პროცესსი უნდა მოხდეს, თუ დამარცხდა: ან ასსიმილიაცია ჟამთა ვითარებაში, წვალებითა და ტანჯვით სიკვდილი, — ან ძალის შეკრება, მედგარი და ხანგრძლივი ბრძოლა და განთავისუფლება, — ან და მოდუნებული ცხოვრება, რაიცა ყოველისფერზედ უარესია.

ასე რომ, ერი მაინც ერად რჩება, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ერთმა ერმა მეორე შთანთქას: ერთი ერი დაიჭერს მეორეს ადგილს. მიუხედავად იმისა აგრეთვე, რომ იგი შეიძლება სხვა და სხვა სახელმწიფოებში იყოს, ან შეიძლება სახელმწიფო შესდგებოდეს სხვა და სხვა ერთაგან, — ზნე-ჩვეულება ერისა, ენა, რელიგია, საერთო კულტურა შეიძლება დარჩეს და იცოცხლოს. ამიტომაც ერი, სულ ერთია აქვს თუ არა მას სახელმწიფო, — ერთ თვით შემგნებ არსს წარმოადგენს, ერთ სოციალურ შინაარსის მქონე სუპერორგანიზმსა, თავისი სიცოცხლის დამცველსა. მას აქვს თავისი ენებანი, მისწრაფებანი, იდეალები, მიზნები და სხვ. მისი წარმოშობის ისტორიაში, მართალია, სახელმწიფოს დიდი როლი უთამაშნია, მაგრამ მას, როგორც განსაზღვრულ, კონკრეტულ საზოგადოებას, შეუძლია თავიდან მოიშოროს ეს სახელმწიფოებრივი ფორმები საზოგადოებრივობისა და შექმნას ახალი ფორმები, რადგანაც საერთოდ საზოგადოებას შეუძლია მიიღოს არა მარტო სახელმწიფოებრივი ფორმა, არამედ მრავალი, მომავალში მაინც შექმნის ერი არა-სახელმწიფოებრივ, თავისუფალ საზოგადოებრივ ფორმებს, თუ წარსულში არ შეუქმნია ასეთი იდეალური რამ, და თუ აწმყოში განსაკუთრებით სახელმწიფოებრივი ფორმა აქვსთ კულტურულ კაცობრიობის ერებს.

ამიტომაც ერი, როგორც სოციალური არსი, გაცილებით უმაღლესი და

უკეთილშობილესი არსია, ვიდრე ყველა სხვა არსებულნი სოციალურნი არსნი წარსულში და აწმყოში.

ამ თავში ჩვენ განვიხილეთ ერის განსხვავება საზოგადოებისაგან და სახელმწიფოსაგან. ეს ცნებანი ისე განსხვავდებიან ურთიერთისაგან, რომ საერთო საზომი არა აქვთ, — აბსტრაქტულად რომ ავიღოთ ეს ცნებანი. ძათი წმინდა განსაზღვრის მხრითა.

საზოგადოება აბსტრაქტული ცნებაა, გამომხატველი ადამიანთა საერთო მოწესრიგებული ცხოვრებისა, — ცნებაა საზოგადოებრივი სუპერ-ორგანიზმისა. ერი კონკრეტული სოციალური ორგანიზმია. სახელმწიფო კი ერთის მხრით განსაკუთრებული ფორმის საზოგადოებრივი ორგანიზმია, რომლის მაცოცხლებელი ერი შეიძლება იყოს, ან ერნი, მეორეს მხრით, უფრო სპეციალურად თუ გავსაზღვრეთ, — იგი ერთი ფორმაა საზოგადოებრივობისა: ერთი ფორმა საზოგადოების მომწესრიგებელ დაწესებულებათა, რომელსაც შეიძლება ერი ხმარობდეს თავის შინაგან სოციალურ და გარეგან საერთაშორისო ცხოვრებაში, ან აგრეთვე ერნი.

მაგრამ ხანდახან აქ ერთ ახალ ცნებას ურევენ ხოლმე და ვერ არჩევენ ერისაგან და სახელმწიფოსაგან. ეს ცნება არის — „ხალხი". განვიხილოთ იგი შემდეგ თავში ზემოხსენებულ ორ ცნებასთან ერთად.

თავი მეხუთე

ხალხი, ერი, სახელმწიფო

წინა თავებში ჩვენ განვიხილეთ ერი, როგორც განსხვავებული რამ საზოგადოებისაგან და სახელმწიფოსაგან. გავარკვიეთ, რომ ერი არის კონკრეტული საზოგადოება, რომელსაც შეუძლია შექმნას სახელმწიფო ან თავის საკუთარ ელემენტთა შემოქმედებითა, ან და სხვა ერთა დაპყრობითა; ვსთქვით აგრეთვე, რომ სახელმწიფო არის ერთი ფორმა საზოგადოებისა, რომელიც ერს შეუძლია დროთა ვითარებაში შემოიღოს, როგორც წარმავალი წესი სოციალურის ცხოვრებისა და სხვ.

გავარჩიოთ ეხლა ურთი-ერთისაგან ხალხი, რომელსაც აგრეთვე ერთგვარი აზრით იხსენიებენ, და სახელმწიფო. რა არიან იგინი, დამოუკიდებლად საზოგადოებისა, რომელიც აბსტრაქტული საზოგადო ცნებაა, გამომხატველი ადამიანთა საერთო ცხოვრებისა? გავარჩიოთ შემდეგ ერი და ხალხი დამოუკიდებლად სახელმწიფოსი, რომელიც ერთი განსაზღვრული, ისტორიულად გარდამავალი ფორმაა საზოგადოებრივობისა, მსგავსად ურდოთა ფედერაციისა, ქალაქისა და სხვ.

ერს, როგორც კონკრეტულ საზოგადოებას, თავისი ისტორია აქვს. იგი პირველ-ყოფილი სოციალური არსი არ არის. ყოველი ერი ეკუთვნის ამა თუ იმ რასას, რომელიც განსხვავდება სხვა რასისაგან. მაგალითად ინგლისელები, ფრანგები და გერმანელები ეკუთვნიან ეგრედ წოდებულ ინდო-გერმანულ ტომს, თეთრს რასას. ჩინელები და იაპონელები ყვითელს, მონგოლთა რასას; მაგრამ რომ განვიხილოთ თვითეული რასა საერთოდ, ან თვით ერები, ვერც წმინდა მონგოლის რასას ვნახავთ, ვერც წმინდა რასის სისხლს ერში. რასები ნარევია, აგრეთვე ერები ნარევ რასათაგან შესდგება, როგორც ზემოდა ვსთქვით.

ჩვენ არ ვიცით. თავდაპირველად ერთი რასა იყო თუ მრავალი. მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ ერთ დროს უნდა არსებულიყოს ერთი ან მრავალი წმინდა რასა, ურთი-ერთისაგან განსხვავებული. და მათგან წარმოსდგნენ თანამედროვე ხალხები და ერები. ამას ამტკიცებს მსგავსება ენისა და ტიპისა რომ სხვა და სხვა ხალხთა და ერთა შორის, რომელთა ისტორია დღეს აღარ კი მოგვითხრობს მათს შორეულ დროის ერთად ცხოვრებასა.

ვსთქვათ რომ ერთ დროს არსებობდა რასები. A. B. C. და სხვ. ჟამთა ვითარებაში ისინი ერთმანეთს ხვდებოდნენ ომებისა და მშვიდობიან მიმოსვლის წყალობითა. და რასაკვირველია მათი ერთმანეთში აღრევა აუცილებელი გახდა. მეორე განსაზღვრულ მომენტში მაშასადამე არსებობდნენ რასები A_1, B_1, C_1. და სხვ. მათი სოციალური ცხოვრება რასაკვირველია სხვა და სხვა ფორმას მიიღებდა დროთა ვითარებაში. მაგრამ ჩვენ აქ ეს არ გვაინტერესებს. ჩვენთვის ის არის საინტერესო, რომ რასათა აღრევისაგან ახალი რასები ჩნდებიან, რომელთაც შეუძლიანთ შექმნან აგრეთვე სხვა და სხვა ფორმის ახალი კონკრეტული საზოგადოებანი. მაგალითად თეთრმა და შავმა რასამ შეიძლება რომ შექმნან ახალი რასა. ყვითელმა და შავმა შეიძლება შექმნან აგრეთვე მეორე ახალი რასა ადამიანთა, რომლის ნაწილებს რამოდენიმედ ექმნება მსგავსება სოციალური ცხოვრებისა და სხვა და სხვა ფორმის კონკრეტული საზოგადოებანი.

რასა იქმნება თუ ტომი, ე. ი. უფრო ვიწრო ცნება, ვიდრე რასა. — სულ ერთია. — იგი ემორჩილება განმრავლების კანონს და მის შედეგებსა.

ტომი.—მაგ. არიელები, სემიელები და სხვა. — დიდდება, ნაწილდება და ადგილს იცვლის, ან მეორე ტომს იპყრობს, და ამგვარად ისევ სდგება ახალი ტიპი ადამიანთა კავშირისა და ნათესავისა. ასეთ ტიპს ადამიანთა ნათესავისას ჩვენ შეგვიძლია ვუწოდოთ — ხალხი, რომელიც კიდევ უფრო ვიწრო ცნებაა ვიდრე ტომი. მაგალითად არიელთა ტომისაგან, რომელიც თავის მხრივ შერეული იყოს სხვა ტომებთან, წარმოსდგნენ ხალხები — გერმანელთა, კელტთა, სლავიანთა, სპარსთა და სხვ. სემიელთაგან წარმოსდგნენ ასსურობაბილონელები, ურიები, არაბები და სხვანი. რომ ასეთი დიფფერენციაცია ხდებოდა ნამდვილად — ამის მაჩვენებელი ენაა, რომელიც განსხვავდება ტომთა შორის და ხალხთა შორის. მაგრამ ამასთანავე ძირთა მსგავსებით იგი უჩვენებს სხვა და სხვა ხალხთა ერთ-ერთი ტომისადმი კუთვნილებასა. სემიური ენა განირჩევა არიულისაგან, როგორც ტომის ენა ტომის ენისაგან, გერმახული შვედურისაგან, როგორც ხალხის ენა ხალხის ენისაგან, მაგრამ თუ სემიური ენა რამოდენიმედ ემსგავსა არიულსა, ჩვენ უნდა ვიკვლიოთ უხსოვარ დროის მათი ერთობა. აგრეთვე რამდენადაც გერმანული და შვედური ერთმანეთს ძლიერა ჰგვანან, ჩვენ გვიადვილდება შვედთა და გერმანელთა ერთობის დამტკიცება ახლო წარსულში.

როგორც რასები და ტომები, აგრეთვე ხალხები იჭერენ თავიანთ მოძრაობაში განსაზღვრულ ტერრიტორიასა და ჰქმნიან საერთო სოციალურ ცხოვრებასა. მათი აღრევაც და ხალხის ახალი ტიპის გაჩენაც მუდამ ხდებოდა ისტორიაში. მაგრამ ყოველთვის ხალხთა ნაწილებს შორის იყო სოციალური მოწესრიგება და ეს უკანასკნელი ან უკვე განვლილ სოციალურ ცხოვრებისაგან იყო დარჩენილი, როგორც მაგალითად ენა და სარწმუნოება, ან ახალი სოციალური ცხოვრებით შექმნილი, როგორც მაგალითად ფედერაცია თემთა, ქალაქთა, პროვინციათა და სხ., აგრეთვე მრავალი დარგი სოციალურ აღმოჩენათა. როდესაც კი ხალხის სხვა და სხვა ნაწილები. პოლიტიკურად და

სხვა მხრივაც დამოუკიდებელი, თითქმის ცალკე, მაგრამ მონათესავე სოციალური ორგანიზმები ერთდებიან ერთ დიდ სოციალურ ორგანიზმად — ერთის ენითა, სარწმუნოებითა, სამართლითა და პოლიტიკითა — მაშინ ხალხი ხდება ერად. იგი სახელმწიფო ორგანოების საშუალებით აარსებს ასეთს გაერთიანებულ საზოგადოებას; და შემდეგ მან კიდეც რომ დაჰკარგოს პოლიტიკური და იურიდიული ორგანონი თავისი საზოგადოებისა, იგი მაინც ერად რჩება, რადგანაც ერთობა უკვე ჰქონია, იგი უკვე ყოფილა გაერთიანებული კონკრეტული სოციალური ორგანიზმი, მქონე განმტკიცებული. მჟიდრო კოჰეზიისა.

სულ სხვა საკითხია, თუ როგორ ხდება რთული პროცესსი რასათა დიფ-ფერენციაციისა, როგორი იყო წარმოშობა ტომთა, ამ უკანასკნელთა დიფ-ერენციაცია, წარმოშობა ხალხთა, შექმნა ხალხის სოციალურ ცხოვრებაში ეროვნულ-სოციალური კოჰეზიისა, სხვა და სხვა ფაზები განვლილი კონ-კრეტულ საზოგადოებათა მიერ გამაერთიანებელ სახელმწიფოს გაჩენამდის.

ჩვენთვის ის არის საჭირო ვიცოდეთ, რომ ერი უპირველეს ყოვლისა არის ადამიანთა სოციალური შემოქმედება. იგი ნარევია რასათა, ტომთა და ხალხთა, მაგრამ თვით ეს რასები, ტომები და ხალხები სოციალური პროცესის ნაყოფნი არიან. ერი კი ხალხის სოციალური კოჰეზიის ნაყოფია. იგი სახელ-მწიფო ჯაჭვ-ჯავშნით იმოსება და ისე გამოდის საბრძოლველად მეორე ერის წინააღმდეგ, როგორც კონკრეტული, ცოცხალი სოციალური ორგანიზმი. და არ არსებობს არც ერთი ერი, რომელსაც უკვე დაუკარგავს ეს ჯავშანი, რომ არა სურდეს მისი ხელ-ახლა შეძენა თავის ეროვნების დასაცველად.

არ უნდა დაგვავიწყდეს ის ფაქტი, რომ ხალხებიც ებრძვიან ერთმანეთს, ერევიან ერთმანეთში, ხშირად ერთი ხალხი სხვა ხალხებს იპყრობს და სწორეთ მათის დაპყრობით აარსებს სახელმწიფოს, რომ მათის ასსიმილაციით გაძლიერეს თავისი ეროვნება, გახდეს ერად. მართალია, ხალხის ასსიმილიაცია უფრო ძნელია, ვიდრე პირველ-ყოფილი რასის ან ტომის რომელიმე ნაწილის ასსიმილიაცია. კიდევ ათასჯერ უფრო ძნელია იმ ერის ასსიმილიაცია, რომელსაც ჰქონია ოდესმე სახელმწიფო. მაგრამ ეს მისწრაფება ურთიერთის ჩაყლაპვისა მაინც არსებობს და ისტორიის ერთი დიდი ნაწილი უპირავს ამ ბრძოლის ამბავსა.

მას შემდეგ, რაც ხალხი ჰქმნის საერთო მოწესრიგებას სოციალური ცხოვრებისას, განსაკუთრებით თუ ოდესმე სახელმწიფოცა ჰქონია, — იგი ხდება მჟიდრო კონკრეტულ საზოგადოებად, ერად, რაიცა მოასწავებს ხალხის „მასალისაგან" გაერთიანებულ, ცოცხალ სოციალურ ორგანიზმის შექმნასა. ყოველი ერი მაშასადამე მისი შედგენილობის მხრით არის ხალხი. მაგალითად 40 მილიონი ფრანგი შეადგენს საფრანგეთის ერსა, ერთს ცოცხალ არსსა; თვით ეს 40 მილიონი ხალხი ჟამთა ვითარებაში სხვა ხალხთაგან გამოყოფილა, ნარევია დაპყრობილთა და შემოსეულთა, მაგრამ თანაც მას შეერთებისა და კოჰეზიის შემდეგ შეუქმნია ისტორიულად საერთო სოციალური ცხოვრება, საერთო მოწესრიგება მრავალ ფეროვან მოქმედებათა. ამ მხრით ეს 40 მილიონი ფრანგი შეადგენს საფრანგეთის საზოგადოებას. ამ საზოგადოებას აქვს ყველა სოციალური ორგანო. მათ შორის სახელმწიფო ორგანოები, რომელთა შემწეობითაც იგი სხვა ხალხებსაც იპყრობს და შეჰყავს თავის საკუთარ მოწესრიგების წრეში. ამ მხრით კი იგი საფრანგეთის სახელმწიფოს წარმოადგენს რომელიც გაცილებით მეტია საფრანგეთის ერზედ. იგივე ითქმის ინგლისზეც

და საზოგადოდ სხვა ერებზედ და სახელმწიფოებზედ. როგორ შეგვიძლია, მაშასადამე, წარმოვიდგინოთ ამ მხრით ის უცნაური არსი, რომელსაც ჩვენ სოციალურ არსს ვეძახით, მაგალითად — ინგლისი?

შედგენილობის თვალსაზრისით — ინგლისია — **ხალხი**. საზოგადოებრივ ორგანიზმობის მხრით იგია — **ერი**, როგორც კრებული ხალხთა და ერთა, აგრეთვე ერთგვარ სოციალურ ფუნქციათა მხრით. იგია —**სახელმწიფო**. როგორც განსაზღვრულ ხალხისაგან შემდგარი კონკრეტული ერი და განსაზღვრული სახელმწიფო — იგია — **საზოგადოება**. საზოგადოება რასაც ნიშნავს — ეს ჩვენ უკვე ვიცით. ინგლისის საზოგადოება მისი საზოგადოებრივობის მხრით არ არის-რა. გარდა ერთი კონკრეტული საზოგადოებისა. ინგლისის კონკრეტული მაგალითით განვიხილოთ მხოლოდ მისი ხალხობა, სახელმწიფოება და ეროვნება, რითი განირჩევა ერთმანეთისაგან ეს სამი მისი ხასიათი?

ინგლისის თანამედროვე ხალხი შესდგება ბევრ ხალხთაგან: ბრიტტები, ანგლო საქსონელები, დანელები, ნორვეგიელები, გაფრანგებული ნორმანნები და სხვა, — აი ვინ შეადგინა თანამედროვე ინგლისის ხალხი. ესენი დროთა ვითარებაში რიგ-რიგად მოდიოდნენ ბრიტანიის კუნძულზედ და სახლდებოდნენ. ბრძოლა და აღრევა ხდებოდა ხოლმე ადგილობრივთა და შემოსეულთა შორის. თავიანთ ქვეყანაში ისინი წარმოადგენდნენ სხვა და სხვა ფორმისა და განვითარების, სხვა და სხვა საფეხურზედ მდგომარე სოციალურ ორგანიზმებს, სხვა და სხვა ხალხთა ნაწილებს. მათმა ერთმანეთში აღრევამ წარმოშვა დაახლოვებით მეთერთმეტე საუკუნეში ინგლისის ხალხი, — ესე იგი ის ახალი ტიპი ხალხისა, რომელსაც ჩვენ ეხლა ინგლისურს ვუწოდებთ.

მართალია თვით ხალხიც სოციალური ცნებაა; შეუძლებელია ხალხის არსებობა, თუ მის წევრებს არ აერთებს განსაზღვრული სოციალური მოწესრიგება, მაგრამ იგი უფრო უბრალო მასალაა იმ დიდი სოციალური ორგანიზმის შესადგენად, რომელსაც ჩვენ ერს ვუწოდებთ. რა დიდი და რთული პროცესი მოხდა, სანამ ინგლისის ხალხი, მრავალ სხვა ხალხთა შერევისაგან წარმომდგარი, დაიჭერდა სრულიად განსაზღვრულ ტერრიტორიას. შეიმუშავებდა ერთ ენას, ერთ ლიტერატურას, დანარჩენ სხვა სოციალურ ორგანოებს, შექმნიდა სახელმწიფოს, რომელსაც ინგლისი ეწოდება, — გახდებოდა ერად, სახელმწიფოდ და იმპერიად. — ან და იტალია ავიღოთ: იტალიელი ხალხი არსებობდა დიდის ხნიდან. იტალიის ერი კი სოციალური კოპეზიის მხრით ხაოსი იყო. იყვნენ იტალიის თავისუფალი რესპუბლიკები. მათი ფედერაციები, სამეფოებიცა, — მაგრამ იტალიის ერი მაინც ხაოტიურ მდგომარეობაში იყო. იტალიის ხალხმა შექმნა ეს ცალ-ცალკე სოციალური ორგანიზმები, რომელნიც ერთმანეთსაც კი ებრძოდნენ გამუდმებით, მასა ჰქონდა ერთგვარი სოციალური ერთობა და ამითიც იყო იგი იტალიის ხალხი, მაგრამ იტალიის ხალხმა იტალიის ეროვნული კოპეზია მაშინ შექმნა, როდესაც იგი სოციალურად მჭიდრო ორგანიზმი შეიქმნა. იტალიის ერმა გაერთიანებულ სახელმწიფოს შექმნით დაავვირგვინა თავისი სოციალური კოპეზიის პროცესსი. დღეს კი ინგლისმა და იტალიამ კიდევაც რომ დაჰკარგონ თავიანთი მჭიდრო ეროვნული ორგანიზმების უმთავრესი სოციალური ორგანოები, შესაძლებელია ინგლისისა და იტალიის ხალხი არ დაიკარგოს. რამოდენიმე სოციალური ჯაჭვი მაინც დარჩება მათ წევრთა შემაერთებელი. ამის მაგალითებს ეხლაც ვხედავთ. სადღა არის სომხისა ან ურიის მჭიდრო ეროვნული ორგანიზმი? მაგრამ ვინ იტყვის, რომ სომხის ან ურიის ხალხი არ არსებობდეს! იგინი არსებობენ, გაბნეულნი

მთელ დედამიწის ზურგზედ. ებრაელებს აქვსთ ერთი სარწმუნოება, — ეს ერთი უმთავრესი სოციალური მოწესრიგება. ტერიტორია და სახელმწიფო, ენა აღარა აქვსთ. მაგრამ სარწმუნოებით არის ებრაელთა ხალხი — ხალხი განსაზღვრული ტიპისა და სოციალური სახისა იგი ერის „ნანგრევია, და არა ეროვნული სრული ორგანიზმი, მაგრამ, განვიმეორებთ, მათ დღეს მაინც აერთებს მათი ხალხობა, — ერთი ეთნიური ჯგუფისადმი კუთვნილება, ოდესღაც არსებული საზოგადოების მოგონება, აგრეთვე დარჩენილი ერთი სოციალური ჯაჭვი — სარწმუნოება. იგი არის სწორედ შთენილი მასალა დანგრეულ ეროვნულ ორგანიზმისა, რომლის ხელ-ახლავ აღდგენას თანამედროვე სიონიზმი სცდილობს. ამაზედ არის დამყარებული აგრეთვე მთელი ტენდენცია სომეხთა ოდესმე შექმნან მჭიდრო სომხის ეროვნული ორგანიზმი შეძენილ ტერრიტორიაზედ, რომელზედაც მათ შეეძლოსთ თავიანთ დანგრეულ სოციალურ ორგანიზმის აღდგენა, თავიანთი დაკარგული ეროვნულ მასალის ხელ-ახლავ ერთ ადგილას თავის მოყრითა.

ხალხი, ერთი სიტყვით, ორგანიული მასალაა ერის ორგანიზმის შესაქმნელად, და არა მჭიდრო სოციალური ორგანიზმი. ყოველი წევრი ხალხისა — ის ცოცხალი სოციალური უჯრედია, რომელიც განსაზღვრულ პირობებში ბქმნის დიდსა და რთულს, ცოცხალსა და მგრძნობიარეს, შეგნებულსა და მომქმედს სოციალურ ორგანიზმს, — ერს.

ჩვენ უკვე ესთქვით, რომ როდესაც ხალხის სოციალური ცხოვრება რთულდება, როდესაც იგი წარმოადგენს რთულ სოციალურ ორგანიზმს, მას ეწოდება სოციალური ერთობის თვალთახედვით — ერი. ეს უკანასკნელი იჭურვება სახელმწიფო ჯავშნით, რომ შინაც გამაგრდეს და სხვა სოციალურ ორგანიზმებსაც შეებრძოლოს და დაიპყრას. თანამედროვე ცხოვრებაში ვერ ნახავთ ვერც ერთ დიდ ერს, რომ დაკმაყოფილებული იყოს თავისი ეროვნული სახელმწიფოთი. მას თავის სახელმწიფო ფარგალში მოუთავსებია ძალით სხვა ერები, რომელთაც ერთხელ ჰქონიათ სახელმწიფო და შემდეგ ბრძოლაში დაუკარგავთ. მას ძალით შეპყრობილი ჰყავს აგრეთვე სხვა ხალხები, რომელთაგანაც ზოგნი ისეთ განვითარების ხარისხისა არიან, რომ შეუძლიანთ თავიანთ ეროვნულ ორგანიზმთა შექმნა, ზოგნიც მხოლოდ ჯერ-ჯერობით სოციალურ ორგანიზმის საშენ მასალას წარმოადგენენ ერის შესაქმნელად. მაგალითად ინგლისის ერი ინგლისის სახელმწიფო ორგანოებით პყრობს ინდოეთის ხალხთა, აფრიკის მრავალ ხალხთა, ტრანსვაალის ერსა, ავსტრალიის ხალხთა და აგრეთვე იქაურ კოლონიათა, რომელთაც შეიძლება ერი ვუწოდოთ, და სხვ. და სხვ. — აქ ჩვენ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ვიხსენიებთ ავსტრალიის კოლონიებს ერად: ხშირად ისიც მოხდება ხოლმე, რომ მსგავსი სოციალური ორგანიზმი შობს მსგავს სოციალურ ორგანიზმსა. ინგლისმა (მთელი ევროპის დახმარებით) შვა ამერიკის შტატები, რომელიც კოლონიობის დროს ძლიერა ჰგავდა და ეხლაც ჰგავს ინგლისს. ახალმა ინგლისმა იგრძნო სურვილი და ძალა ერის შექმნისა, იგი გამოეყო მეტროპოლიას და შექმნა ახალი, იანკის ერი— შეერთებული შტატები ამერიკისა თავისი სახელმწიფო ორგანოებით. შეიძლება ავსტრალიამაც იგივე ჩაიდინოს, და მის მაგალითსაც ამ აზრითა ვხმარობთ.

მართალია, სახელმწიფო, დიდი თუ პატარა, „სოციალური ორგანიზმია", მაგრამ ისეთი ბუნებრივი ორგანიზმი არ არის, როგორიც ერი. დიდი სახელმწიფო უმეტეს ნაწილად სხვა და სხვა ერთაგან ან ხალხთაგან შესდგება ხოლმე, და რომ სახელმწიფოს სოციალურ ორგანიზმობის არა ბუნებრიეობა ფაქტია, ამას ის ამტკიცებს, რომ უმეტესი ნაწილი უცხო სახელმწიფოში

მყოფ ერთა მუდამ სცდილობს გაინთავისუფლოს თავი სხვა ერის სახელმწიფოს ბატონობისაგან და დააარსოს საკუთარი სახელმწიფო. ამაზეა დამყარებული ყოველი ეროვნული მოძრაობა. მაგრამ სახელმწიფო სოფიზმებთან რამდენი ბრძოლა სჭირდება ეროვნულ, სრულიად ბუნებრივ მისწრაფებასა! განგებ და ხანდახან უცოდინარობით. რამდენი აღრევს ერთმანეთში ერსა და სახელმწიფოსა, რამდენი სარგებლობს ამით და ინდოელს, მაგალითად, ინგლისი ძალით უნდა აღიარებინოს **სამშობლოდ**, ინგლისის პატრიოტად გახადოს. საქართველოშიაც რამდენია ისეთი, რომელსაც რუსის **სახელმწიფო ნაციონალიზმი**, ეს უარ-ყოფა ინტერნაციონალიზმისა, ჭეშმარიტი ინტერ-ნაციონალიზმი ჰგონია, და საკუთარ ეროვნულ თავისუფლებისაკენ მისწრაფება კაციჭამია შოვინიზმად მიაჩნია.

ნამდვილად კი, წინააღმდეგ ბევრის აზრისა, სახელმწიფო სრულიადაც არ არის ბუნებრივი სოციალური ორგანიზმი. იგი უფრო ერის მიერ „ხელოვნურად“, იარაღით შექმნილი კონკრეტული სოციალური ორგანიზმია, რომლის დაყოფაც ბუნებრივ სოციალურ ორგანიზმებად, — ერებად, არა თუ ამ ორგანიზმთა სიკვდილს ნიშნავს, არამედ ერთად-ერთი პირობაა მათის ხანგრძლივის სიცოცხლისა. რომელ დიდ სახელმწიფოშია ერთი ენა, ერთი სარწმუნოება, ერთი ზნე-ჩვეულება, ერთი სამართალის შეგნება, ერთი კულტურა, ერთი ეროვნული მისწრაფება, ერთი ისტორიული ტრადიცია? — არც ერთში, სადაც სხვა ერებია ძალით დაპყრობილი. ყოველივე ესე კი სწორედ ის ელემენტებია, ურომლისოდაც კონკრეტული, ბუნებრივი სოციალური ორგანიზმი არ არსებობს. სახელმწიფო ამის მოსპობას სცდილობს, მაშასადამე ცოცხალ კონკრეტულ საზოგადოებათა მოსპობას. ამ მხრით იგი უფრო ანტი-სოციალური მოვლენაა. მაშასადამე ვერც სახელმწიფოს ცნება გამოჰხატავს საზოგადოების ცნებას, როგორც საუკეთესო კონკრეტულ მაგალითს მის აბსტრაქტულ არსებობისას: სახელმწიფო ერთი თვალსაზრისით მარტო ერთგვარ ფუნქციათა აღმასრულებელია საზოგადოებაში, მეორე თვალსაზრისით კი მკვლელი საზოგადოებათა. ერია, როგორც უკვე ვსთქვით, ერთად ერთი გამოხატულება თანამედროვე ხანაში ნამდვილ ბუნებრივ საზოგადოებრივობისა, ერთად-ერთი ბუნებრივი და ცოცხალი სოციალური ორგანიზმი. შემდეგ მისი ინდივიდუალობა კიდევ უფრო განვითარდება წინააღმდეგ იმ თეორეტიკოსთა აზრისა, რომელთაც ერთა მოსპობა და ერთი საკაცობრიო საზოგადოების შექმნა აუცილებელი ჰგონიათ. ამგვარად, როგორც საზოგადოება, ერი და სახელმწიფო ერთი და იგივე ცნებანი არ არიან, ისე ხალხი, ერი და სახელმწიფო არ არიან ერთი და იგივე ცნებანი. ამ ორი სერიის ცნებანი არასოდეს არ უნდა აღრიონ ერთმანეთში. განვიმეორებთ,— საზოგადოება არის აბსტრაქტული, საზოგადო ცნება; ერი არის ერთი კონკრეტული მაგალითი საზოგადოების აბსტრაქტული არსებობისა, ყველა სხვა სოციალურ ორგანიზმზედ უფრო ბუნებრივი და ორგანიული განხორციელება სოციალობისა, მონადა, — რომელიც ყველა სხვა სოციალურ მონადაზედ უფრო მკვიდრია და სცდილობს თავის დაცვასა, — ნამდვილი და საუკეთესო ჭურჭელი საზოგადოებრივობისა; ხალხი, — სოციალური მასალაა ეროვნული ორგანიზმისა; სახელმწიფო — ნაყოფია ერის მოქმედებისა, პროექცია ეროვნულ სოციალურ ორგანიზმის ორგანოთა, მაგრამ სხვა ერთა დამთრგუნველი და მეორეს მხრით მაშასადამე უფრო მექანიკურად შეკოწიწებული სოციალური ორგანიზმი, ამიტომაც რამოდენიმედ ანტი-სოციალური მოვლენა. და რომ ეს ცნებანი ერთნი და იგივენი არ არიან, ამას უბ-

რალო მაგალითებიც გვაჩვენებს: ფაქტია, რომ ერთ ერში შეიძლება მრავალი ხალხური მასალა შესულიყოს დროთა ვითარებაში, როგორც ინგლისის ერში. შეიძლება ერთ სახელმწიფოში ბევრი ერი და ხალხი შედიოდეს, როგორც ავსტრიაში. შეიძლება ერთი ერი რამოდენიმე სახელმწიფოში იყოს განაწილებული, როგორც პოლონელნი. შეიძლება ხალხი არსებობდეს და მჭიდრო ეროვნული ორგანიზმი კი არ იყოს, ამავე ხალხისაგან შექმნილი, ან დანგრეულიყოს, როგორც მაგალითად, ურიები, სომხები, ქართველთა დაპყრობილი ნაწილი, რომელიც აღარ ეკუთვნის ქართველ ერსა, არამედ უფრო ოსმალეთსა და სპარსეთსა. შეიძლება სახელმწიფოს დაშლისაგან ახალი ეროვნული სახელმწიფოები წარმოსდგნენ, როგორც ეს მოხდა ბალკანეთზედ, ან როგორც ამისაკენ მიილტვის ყველა თანამედროვე ჩაგრული ერი. შეიძლება ხალხი არსებობდეს და მჭიდრო ეროვნული ორგანიზმი არა, და მხოლოდ შემდეგ შესდგეს მჭიდრო კოჰეზიის მქონე ერი დროთა ვითარებაში, როგორც გაერთიანდნენ გერმანია და იტალია და სხვ. და სხვ.

ასე რომ, უბრალო ისტორიული მაგალითებითაც კი შეგვიძლია გავარჩიოთ ეს ცნებანი ურთიერთისაგან.

ჩვენი მიზანი იყო ერის ცნების გამოყოფა ყველა იმ ცნებისაგან, რომელთანაც მას კავშირი აქვს და რომელშიაც მას ურევენ ხშირად. ეს ცნება, განვიმეორებთ, მიტომ გვჭირდება, რომ განსაკუთრებით თანამედროვე ეპოქაში იგი ერთად ერთი შესანიშნავი ბუნებრივი კონკრეტული სოციალური ორგანიზმია, რომლის შიგნითაც უნდა განხორციელდეს ყოველი დიდი სოციალური რეფორმა და არა სახელმწიფოში, როგორც ეს ბევრსა ჰგონია. ამას გვიჩვენებს, სხვა არა იყოს რა, ის თვალსაჩინო ტენდენცია, რომელიც აქვს ყველა ერს განთავისუფლებისაკენ და საკუთარ სოციალურ ორგანიზმის დამოუკიდებლობისაკენ. უკვე ინსტინქტიურად გრძნობენ, რომ ხალხი კიდევ არ არის სრული ერი, სრული კოჰეზიის მქონე სოციალური ორგანიზმი, — ამიტომაც ერის ცენტრი იკრეფს ყოველი მხრიდან ამ გაფანტულ სოციალურ მასალას საკუთარ მკვიდრ სოციალურ შენობის ასაშენებლად. უკვე გრძნობენ აგრეთვე, რომ სახელმწიფო არ არის ბუნებრივი სოციალური ორგანიზმი, რომ იგი ვერ იქმნება და არც ყოფილა არასოდეს ნამდვილი ჭურჭელი საზოგადოებრივობისა, არამედ ეს ჭეშმარიტი და წმინდა ჭურჭელი არის ერი, და ამიტომაც ერები ჰფიქრობენ სახელმწიფოთაგან განთავისუფლებას და საკუთარ — ეროვნულ, **ბუნებრივ სახელმწიფოთა** დაარსებას, ისე **რომ სხვა ხალხი და ერი არ დასჩაგრონ.** ეროვნული მოძრაობა ამ მხრით ნამდვილი სოციალურია და ამასთანავე სახელმწიფოთა დამთრგუნველი. ეს უნივერსალური მოძრაობა არის ძირი მომავალი საერთაშორისო სამართლისა, ნამდვილ სამართლისა, რომელიც თავს იდებს ცოცხალ ერთა ინდივიდუალობის დაცვას. თანამედროვე საერთაშორისო სამართალი კი არ არის საერთაშორისო, არამედ **სახელმწიფოთაშორისო** და შემცდარი სახელწოდებაც მისი წარმოსდგება იმ ცნებათა არევ-დარეგისაგან, რომელმაც იგივენი გაჰხადა ცნებანი ხალხისა, ერისა და სახელმწიფოსი.

შემდეგ თავში განვსაზღვროთ, რა არის ერი თავის თავად. ვისარგებლოთ ზემო ნათქვამით.

თავი მეექვსე

ერი

მკითხველისათვის უკვე ნათელი უნდა იყოს, თუ რა არის ერი, რას წარმოადგენს იგი თავის თავად.

ჩვენ იგი გამოვყავით საზოგადოებისაგან, როგორც აბსტრაქტულისაგან კონკრეტული ცნება, როგორც საზოგადო ცნებისაგან ერთი ცალკე ცნება; დავსახეთ იგი ცალკე მაგალითად საზოგადოებრივობის კონკრეტულ განხორციელებისა.

ჩვენ აგრეთვე გამოვყავით ცნება ერისა სახელმწიფოს ცნებისაგან, რომელიც თავის თავად სულ სხვა ცნებაა, როგორც წინა თავებში გავარკვიეთ. მხოლოდ როგორც სახელწოდება შეიძლება უდრიდეს იგი ერს, ისიც ძლიერ იშვიათ შემთხვევაში: საფრანგეთს რომ მაგალითად არც კოლონიები ჰქონდეს და არც ერთი სხვა ხალხი დაპყრობილი. მაშინ საფრანგეთის ერი და საფრანგეთის სახელმწიფო ერთი და იგივე სახელწოდება იქმნებოდა ერთისა და იმავე კონკრეტული სოციალური ორგანიზმისა — საფრანგეთისა. ხოლო როგორც საზოგადო ცნებანი, ერი და სახელმწიფო თავის თავად აქაც არ იქმნებოდნენ ერთი და იგივენი, ვინაიდან საფრანგეთის ერი ნიშნავს საფრანგეთის კონკრეტულ სოციალურ ორგანიზმს, საფრანგეთის სახელმწიფო კი იმ ორგანოთა სერიას, რომელიც ამ ეროვნულ ორგანიზმს სჭირდება ზოგ სოციალურ ფუნქციათა აღსასრულებლად.

გამოვყავით აგრეთვე ცნება ერისა ხალხის ცნებისაგან, დავსახეთ რა ხალხი, როგორც სოციალური მასალა ეროვნულ-სოციალურ ორგანიზმის აღსაშენებლად.

რასაკვირველია, არც ის უნდა გვავიწყდებოდეს, რომ ერი არ არის რაღაც პირველ-ყოფილი სოციალური არსი, რომელიც მუდამ არსებობდა, არსებობს და იარსებებს აგრეთვე იმ ფორმით, როგორითაც იგი აწმყოშია: მას ჰქონდა თავისი დასაბამი, მან განვლო თავისი განვითარების პროცესსი თანამედროვე ხანამდე, იგი რასაკვირველია მომავალში ფორმას იცვლის.

ჩვენ გვაინტერესებდა განსაკუთრებით ის საკითხი, თუ რას წარმოადგენს იგი დღეს, როგორია მისი სოციალური შინაარსი კაცობრიობასთან შედარებით, და რამდენათაც შევსძელით, დავამტკიცეთ, რომ იგი დღეს კულტურულ ადამიანთა შორის ერთად ერთი ნორმალური, ბუნებრივი ჭურჭელია საზოგადოებრივობისა, ერთად ერთი კონკრეტული სოციალური ორგანიზმი, ღირსი ამ სახელწოდებისა, ერთად ერთი სუპერ-ორგანიზმი, რომელსაც ნამდვილი სოციალური სიცოცხლე აქვს და ორგანიული სიმტკიცე და სიმჭიდროვე მის შემადგენელ ნაწილთა. შედარებით ხალხთან, სახელმწიფოსთან — იგი უფრო ცოცხალი სოციალური ინდივიდია, შედარებით კაცობრიობის ფიქციასთან იგი უდიდესი სოციალური სინამდვილეა.

ერი სოციალური მონადაა. ნუ ვინ იტყვის და დაიწყებს დავას, რომ მონადათა ნამდვილი არსებობა ფილოსოფიურად საეჭვოა. ჩვენ აქ მონადათა ნამდვილი არსებობა არ გვაინტერესებს. ჩვენთვის აქ საჭიროა ცნება მონადათა, როგორც ერთ განუყოფელ ცოცხალ არსთა, ჩვენთვის ეს გონებისაგან შეთხზული საშუალება მსოფლიო საგანთა წარმოდგენისა საუცხოოა ცნებათა ნათელ ყოფისათვის, როდესაც ამ საგანთა ინდივიდუალობა გვინდა გავარკ-

ვიოთ, და ამ მხრით ერის მონადად დასახვა არც არსებითი შეცდომა არის და მსჯელობასაც აადვილებს.

როდესაც ერი ერად ხდება, დიახაც იგი ცოცხალი არსია, სოციალური ინდივიდუალობა, მონადა. — განვიმეორებთ, — ერი უფრო „ცოცხალია", ვიდრე სახელმწიფო, ვიდრე ხალხი, საკუთარი წარმოება, საკუთარი ხელოვნება, მეცნიერება, ზნე-ჩვეულება, სამართლის ნორმები, სარწმუნოება, საკუთარი ენა, საკუთარი ეთნიური ტიპიც — ყოველივე ეს ერს ახასიათებს, როგორც ერთ სოციალურ ინდივიდუალობას. მართალია ზოგი ამ თვისებათაგანი სხვა ერთა თვისებაც არის, — მაგალითად ორს ერს შეუძლია ერთი და იგივე რელიგია ჰქონდეს; ზოგიც დაკარგულია, — მაგალითად საკუთარი სამართალი და პოლიტიკა, რომელთა ადგილიც სხვა სახელმწიფოსაგან ძალით შემოტანილ სამართალსა და პოლიტიკას დაუჭერია; ზოგიც ნასესხებია; — მაგრამ ყოველთვის საერთოსა და ნასესხებს ადევს ეროვნული ელ-ფერი, დაკარგული კი ან ყოველთვის არსებობს რომელიმე ფორმით, როგორც მაგალითად კონფესიონალური სამართალი, ან ძალით შემოტანილის დათრგუნვა და საკუთარის შემოღების სურვილი ყოველთვის არსებობს ერში. კათოლიციზმი პოლონეთში, საფრანგეთში და იტალიაში ერთი და იგივე არ არის. რუსის სამართალს დღესაც ვერ აღმოუფხვრია ძირიანად ვერც პოლონეთისა და ვერც საქართველოს მრავალი სამართლის ნორმა. მრავალი ზნე ჩვეულება ქართველთა, ერთ დროს სომეხთაგან, არაბთაგან, სპარსთაგან და ოსმალთაგან ნასესხები, დღეს სრულიად გაქართულებულა და არც სომხურს და არაბულს, არც სპარსულსა და ოსმალურს აღარა ჰგავს, — ისე, როგორც სხვა და სხვანი არიან ქართული, სომხური, სპარსული, ოსმალური და არაბული ენანი, მიუხედავად იმისა, რომ ქართულს ენას მათგან მრავალი სიტყვა უსესხნია. ყოველ ერს აქვს თავისი სპეციალური ორგანოები, რაიცა აჩვენებს მის ცოცხალ მონადობასა. საფრანგეთის ეკონომიური ორგანოები, ხელოვნებისა, მეცნიერებისა, სამართლისა და პოლიტიკისა, — ერთი სიტყვით, როგორც უბრალოდ ამბობენ ხოლმე, — მისი სიმდიდრე, მისი ლიტერატურა და ენა, მისი მუსიკა, მისი მეცნიერება, მისი ჯარი, მისი პარლამენტი და სამინისტროები, — საფრანგეთისაა და არა სხვისი, — საფრანგეთის ტერრიტორიაზედაა, რომელიც საზღვრებით არის შემოფარგლული და რომელსაც გეოგრაფიის რუკაზედ, ე. ი. **კაცობრიობის შორის განსაზღვრული ადგილი უჭირავს.** — აქ შეიძლება ის გვითხრან, რომ ჩვენ განგებ ავიღეთ ისეთი ერი, რომელსაც სახელმწიფო აქვს. — მეორე ერი აიღეთ, რომელსაც სახელმწიფო აღარ აქვს: პოლონეთი. მისი ტერრიტორია დღესაც შემოფარგლულია, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მას ჯარის კაცი აღარ უდგია საზღვარზედ. სამი სახელმწიფოსაგან გაყოფილია იგი, მაგრამ მაინც არსებობს პოლონეთის ტერრიტორია, დასახლებული პოლონელებითა და არა რუსებითა და გერმანელებით, გარდა რამოდენიმე მცირე ნაწილთა. ეჰვს გარეშეა პოლონეთის მრეწველობა, რომელსაც პოლონეთის ერი ავითარებს შეგნებულად, პოლონეთის ერის სასარგებლოდ უპირველეს ყოვლისა. ეჰვს გარეშეა პოლონეთის ხალხის მიერ მიწის მფლობელობა, მეურნეობის განვითარების სურვილი პოლონეთის ერისათვის, ეჰვს გარეშეა მისი სურვილი ტერრიტორიის შერჩენისა, ფაქტია მისი ბრძოლა გერმანიასთან და რუსეთთან, რომელთაც სურსთ მის სოციალურ ინდივიდუალობას ძირი გამოუთხარონ საფუძვლის, ნიადაგის — მიწის წართმევითა, აგრეთვე სხვა საშუალებითა, რომელსაც უცხო სახელმწიფო ხმარობს. არსებობს პოლონეთის მდიდარი ენა და ლიტერატურა, მდიდარი ხელოვნება, თაეისებური,

პოლონური ზნე-ჩვეულება, ხასიათი, ტიპი, მეცნიერება, ამასთანავე ათასნაირი საზოგადოებანი, რომელნიც პოლიტიკურ ორგანოთა ფუნქციასაც კი ასრულებენ, აერთებენ მტკიცედ პოლონელთა სოციალურ მოქმედებათა, ჰქმნიან მათ სოციალურ ერთობას. ფაქტია, რომ პოლონეთი იბრძვის საკუთარ პოლიტიკურ ორგანოთა მოპოვებისათვის. აი ეს არის მისი ეროვნების, მისი სოციალური ინდივიდუალობის მაჩვენებელი.

რომელი ერიც უნდა აიღოთ, ღირსი ამ სახელისა, ყველგან ამავე მოვლენას შეხვდებით, რასაკვირველია მეტის ან ნაკლების ინტენსივობით.

ვერავითარი კლასსთა ბრძოლა ვერა შლის ეროვნულ ერთობასა. ყოველი კლასსთა ბრძოლა მხოლოდ ამ ერთიანობის შიგნით არსებულ წინააღმდეგობათა მტერია, მსურველია იმავე სოციალურ ერთეულში სხვანაირი მოწესრიგებისა და არა თვით სოციალური ორგანიზმის დარღვევისა, მაშინ როდესაც ეროვნული მოძრაობა — სურვილია ერთი ერის მეორისაგან გამოყოფისა, ვინაიდან მეორე პირველის სოციალური ინდივიდუალობის გაქრობას სცდილობს თავის სახელმწიფოს ორგანოთა შემწეობითა.

აიღეთ, სამაგიეროდ, რომელიმე დიდი სახელმწიფო, მაგალითად რუსეთი, — ეს დიდი, ვეებერთელა სოციალური უფრო მექანიზმი, ვიდრე ორგანიზმი. რამდენი ეროვნული ორგანიზმი და რამდენი ხალხი ჰყავს შთანთქმული ძალით! სად არის ან საერთო ეკონომიკა, ან საერთო ენა, ან საერთო ლიტერატურა, ან საერთო მეცნიერება და სხვ.? სად არის საერთო, ნამდვილი სოციალური ცხოვრება, გარდა სახელმწიფო მოწესრიგებისა და ნაძალადევი სამართლისა, რომლის ტლანქმა ძალამაც ლამის არის გაანადგუროს არა თუ სხვა ერები, თვით რუსის ერიც! რუსთან დღეს სხვა ერებს სამხედრო წესებიღა აერთებს, სხვა თითქმის არაფერი. ყველა ცოტად თუ ბევრად განვითარებულ ერს შეუქმნია დღეს თავისი საკუთარი სოციალური ორგანოები, იგინი ნამდვილი სოციალური ორგანიზმები არიან, და არა მათ გაერთიანებას წარმოადგენს დღეს რუსეთის სახელმწიფო, არამედ მათი სიკვდილის მსურველს დიდ სახელმწიფო ორგანიზმსა, მაგრამ, სამაგიეროდ, ყველა ეროვნული ორგანიზმი გაურბის მის სიმკაცრესა, აღარა სურს მასთან დარჩენა, თავს სრულ-წლოვანად გრძნობს და მიილტვის თავისუფალ, დამოუკიდებელ, ეროვნულ-სოციალურ ორგანიზმთა შექმნისაკენ. თვით ზემოხსენებული პოლონეთი, საქართველო, ფინლანდია, — რა არიან ესენი, თუ არ ნამდვილნი, კონკრეტულნი საზოგადოებანი, ცოცხალნი არსნი, რომელთაც სურსთ თავი დაანწიონ უზარმაზარ სახელმწიფოს უსულო მექანიზმის კლანჭებიდან. ეს რა, თვით ციმბირიც, რუსის ხალხით დასახლებული, ვეღარა სძლებს თავისი დედის ეკლიან კალთაში და ცალკე სურს დასახლდეს, წარმოადგინოს ერი. — დიახ, დიდი სახელმწიფო მითი განირჩევა ერისაგან, რომ პირველი უფრო უსულო სოციალური ორგანიზმია, ან სხვათა დამხრჩობი ვეშაპი, უკანასკნელს კი სოციალური სული უდგია. განვითარება ამ სულისა, მისი ზრდა და სიმწიფე — ნიშნავს ერთა ორგანიზმების სოციალურ სიმტკიცის განდიდებას, ამასთანავე სახელმწიფოს ტლანქ უსულო მექანიზმთა დაშლას, ნიშნავს ამ ვეშაპთა სიკვდილს,— უდიდესს რევოლუციას, რომელიც კი ოდესმე ხდება ხოლმე ადამიანთა ცხოვრების ისტორიაში!..

აიღეთ შემდეგ ხალხი, სოციალური მასალა ერისა. თუ ხალხი ისეთ პირობებში არ არის, რომ ერი შეადგინოს, იგი ნახევრად-მკვდარი სოციალური მონადაა, თუ შეგვიძლია ასე ვსთქვათ. ებრაელები, მიუხედავად მათ შორის დარჩენილ სოციალურ კავშირისა, არ წარმოადგენენ მჭიდრო სოციალურ

ორგანიზმსა, ნამდვილ ერსა. და ამიტომაც რუსის ურია რუსის ერშია მიკრობივით შემჯდარი, პოლონელი — პოლონეთის ერში; ინგლისელი ურია ინგლისელს უფრო ჰგავს, ვიდრე პალესტინის ურიასა. თბილისელი სომეხი ქართველი ბაზაში უფროა, ვიდრე ვანის სომეხი, მეტადრე ჩვენებური სოფლის სომეხს აღარავითარი მსგავსება აღარა აქვს ეჩმიაძინის სომეხთან. — ქართველი მაჰმადიანი ქართველსა და ოსმალოს შუაა გამომწყვდეული, აღარც ერთ ერს ეკუთვნის, აღარც მეორესა, ამიტომაც გაველურებულია. ერთ დროს ბრწყინვალე კულტურის მქონე, იგი ნაწილი იყო ქართველი ერისა, მონაწილეობას იღებდა მის სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში, მისი ლიტერატურის შექმნაში, მისი სარწმუნოების მმოსავი იყო. ოსმალებმა იგი მოსწყვიტეს საქართველოს სოციალურ ორგანიზმსა, თვითონაც ვერ მოინელეს, და დარჩა ქართველი ხალხის ეს ნაწილი ნახევრად დაღეჭილი ოსმალეთის სახელმწიფო მანქანის გაცვეთილი კბილებისაგან, ძალით მოგლეჯილი საქართველოს სოციალური სხეულიდან. ამიტომაც თუმცა არსებობს ეს თითქმის ნახევარი მილიონი ქართველი ხალხისა — გამაჰმადიანებული ქართველობა, — მაგრამ ისინი ქართველი ერის ნაწილს აღარ შეადგენენ, ვინაიდან აღარავითარ მონაწილეობას აღარ იღებენ საქართველოს ეროვნულ-სოციალურ ფუნქციათა აღსრულებაში. თანაც ვერ შესთვისებიან ოსმალურ სოციალურ ორგანიზმსა, უმეტესმა ნაწილმა ოსმალური ენაც არ იცის, ამიტომაც ისინი სოციალური მასალანი არიან მხოლოდ, ან ჩვენთვის, ან ოსმალთათვის „საასსიმილაციონი", და არა ბუნებრივნი ნაწილნი ცოცხალ სოციალურ-ეროვნულ ორგანიზმისა. კიდევ რამდენია ასეთი ხალხი, რომელსაც ან ვერ მიუღწევია ეროვნებამდის, ან ეროვნება დაუკარგავს, და მხოლოდ ისევ მასალად გამხდარა ეროვნული ორგანიზმის აღდგენისათვის.

მაგრამ ეროვნული ორგანიზმის სიცოცხლე ისეთი ძლიერია, რომ ის ხალხიც, რომელსაც ოდესმე ჰქონია ერი, არ ივიწყებს უკანასკნელ ჟამამდე თავის ოდესღაც მჩქეფარე სიცოცხლესა და სცდილობს ხელ-ახლავ შექმნას ნამდვილი ერი. ის ერი, რომელსაც დაჰკარგვია თავისი ნაწილი, სცდილობს უკანვე დაიბრუნოს იგი. ის ხალხიც, რომელსაც ვერ მიუღწევია ნამდვილ ეროვნებამდის სხვა და სხვა დამაბრკოლებელ მიზეზთა გამო, სცდილობს უკუ აგდოს დაბრკოლებანი, გართულდეს სოციალურად, შექმნას სოციალური ორგანონი, გახდეს ერად. მაგალითები ასეთ საზოგადოებათა: — 1) სომხები და ებრაელები, 2) ქართველები, ირლანდიელები და მსგავსნი, 3) ოსები, ლეკები და მსგავსნი.

სომხის ხალხის საუკეთესო ნაწილმა ძლიერ კარგად იცის, რომ მას ერის შექმნა არ შეუძლია, თუ არ დაიცვა თავისი ენა იქ, სადაც შეუნახავს, და თუ არ აღადგინა თავისი ენა იქ, სადაც დაუკარგავს. იგი ამიტომაც ჰქმნის ისეთ სოციალურ ორგანოებს, რომელიც უნდა აღასრულებდეს ენის დაცვისა, აღდგენისა და განვითარების ფუნქციებსა. იგი ხსნის სკოლებს, ანვითარებს მწერლობას, ეწევა ენერგიულ ეროვნულ პროპაგანდას იქ, სადაც დავიწყებული აქვსთ სომხობა, იდეურად აერთებს მთელს დედა-მიწაზედ გაბნეულ სომხობასა და ამგვარად ჰქმნის იდეალურ სომხურ მეიდრო ეროვნულ ორგანიზმსა, რომელიც ჯერ არ არის სრული სინამდვილე. მან კარგად იცის, — რომ ეს იდეალური ერი გარდიქცეს ნამდვილ ერად, რომ სომხის ხალხმა ნამდვილი ეროვნული ორგანიზმი წარმოადგინოს, — ამისათვის საჭიროა საფუძველი, ბუდე, ტერრიტორია, სადაც უნდა შეიკრიბოს სოციალური მასალა სომხის ერისა, — სომხის ხალხი, — და შექმნას ერთ განსაზღვრულ ადგილზედ საკუთარი სო-

ციალური ორგანოები, მჭიდრო კოჰეზიის მქონე სომხის ერი. ეს დაწყეველილი საკითხია სომხის ერის ყოფნისა თუ არ ყოფნის საკითხი, ამითი აიხსნება მათი ტანჯვა წამება, სხვა ხალხებთან მრავალი შეტაკება, მათი მისწრაფება რომელიმე კუთხეში თავის მოყრისა და მოსვენებისა. ამას ახმარებს მთელს თავის ეკონომიურ ძალას შეგნებული სომხობა, და ვინ იცის, იქნებ მართლაც ოდესმე ბედმა გაუღიმოს ამ დაქსაქსულ ხალხსა და დედა-მიწის რომელიმე კუთხეში მართლაც შექმნან ხელ ახლავ სომხეთი. რომლის ბრწყინვალე არსებობაც უკვე მრავალი საუკუნეა რაც განქრა. ეს არც თუ ისეთი ოცნებაა, რადგანაც სომხებს დიდი ეკონომიური ძალა აქვსთ. კარგი და საღი, შენახული სოციალური მასალა, ისტორიული ტრადიციები, ენა და ლიტერატურა, ტერრიტორიის მცირე ნაწილები და აგრეთვე სუსტი მოწინააღმდეგეები, რომელთა მიწა-წყალზედაც მათ სურსთ მოიკალათონ. — ებრაელები ბევრის მხრით გაცილებით უფრო ცუდ პირობებში არიან.

ქართველი ერის ერთი ნაწილი დღეს გაოსმალების გზაზედ ადგია. ჟამთა ვითარებაში ეს ნაწილი ძალით ჩამოსჭრეს ქართულ ეროვნულ ორგანიზმსა, თუმცა ყოველი მტკაველი მიწა საქართველოს ამ ნაწილისა სისხლით არის მორწყული. ქართველს არა სურდა ნებით მოსცილებოდა თავის საზოგადოებასა, საუკუნოებით იბრძოდნენ გმირები. მაგრამ დღეს ხალხი-ღა დარჩენილა ამ ქართველთაგან, — იგინი აღარ არიან ნაწილნი ქართველი ერისა. ზოგი ისევ საქართველოს ძველ ტერიტორიაზედ დარჩენილა, ზოგიც გადასახლებულა ოსმალეთის სხვა და სხვა ადგილას, მაგრამ აქ დარჩენილიც და გადასახლებულიც სოციალური მასალაა ქართველი ერისა. ბევრს გაღვიძებაც ეტყობა, თხოულობენ ქართულ სკოლებს, შეუნახავთ ენა, რომლის განვითარებასაც თხოულობენ, შერჩენიათ კიდევ ტიპი ქართული და მრავალი ზნე-ჩვეულება. ქართველი ერიც სცდილობს დაიბრუნოს თავისი დაკარგული ნაწილი. და როდესაც ერთ ნაწილს მაინც დავიბრუნებთ, გავხდით ისევ ჩვენი ერის ნაწილად, მაშინ იმ ნაწილთა დაბრუნებაც ადვილი იქმნება, სადაც ენაც კი დავიწყებიათ და მხოლოდ მცირე მოგონება-ღა დარჩენილა ქართველობისა. მაშინ კვლავ აღსდგება საქართველო, ისევ გაცოცხლდება საქართველოს ეროვნული ერთობა, ერთობა კულტურისა; მაშინ ვიხილავთ აჭარელ, სამცხელ, ტაოს მწერალთა და ხელოვანთა, იქაურ ქართველ გმირთა, რომელთაც ქართული ეროვნება ისევე ექმნებათ გამჯდარი გულში, როგორც გურულსა, ან კახელსა. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქმნებიან ისინი ნაწილნი ქართველი ერისა, ეხლა კი მხოლოდ ხალხის ნაწილნი არიან, უბრალო სოციალური მასალა. ამ მასალის გადამუშავება და ეროვნულ ელემენტებად შექმნა თვით ჩვენი, დანარჩენი ერის მხნეობისაგან და ენერგიისაგან არის დამოკიდებული.

ის ხალხები კი, რომელთაც არა ჰქონიათ ნამდვილი ეროვნული ცხოვრება, დღეს იღვიძებენ და მიილტვიან ასეთის ცხოვრების შესაქმნელად. იგონებენ ან-ბანსა და ჰქმნიან ლიტერატურასა, ჰქმნიან თავიანთ ეროვნულ მრავალგვარ დაწესებულებას, რომ ავი თუ კარგი, — მაგრამ მაინც საკუთარი საზოგადოება შექმნან — ოსური, ლეკური თუ სხვა რომელიმე. როგორია მათი მომავალი — ეს ჩვენ აქ არ გვაინტერესებს. ჩვენთვის თვით მოვლენაა საინტერესო, — მოვლენა ხალხისაგან მჭიდრო ერის შექმნის მისწრაფებისა, ვინაიდან რთულ საზოგადოებრივობის განხორციელება ეხლა მხოლოდ ეროვნულ ფარგალშია შესაძლებელი და ხორციელდება კიდეც.

თვით სული ცალკე რომელიმე ერის ადამიანისა ეროვნულ სოციალურ ატმოსფეროშია განვითარებული. გადაასახლეთ მაგალითად ფრანგი გერმა-

ნიაში — იგი მაინც ფრანგი რჩება მრავალ წელთა განმავლობაში. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ოჯახი ნახევრად გერმანელისაგან შესდგება — შთამომავლობა შეიძლება გაგერმანელდეს, თვითონაც გადასახლებული კი, ყველა გერმანულ სოციალურ ფუნქციათა აღსრულებაშიაც რომ მიიღოს მონაწილეობა, მაინც ფრანგი იქმნება, თუმცა თავის ეროვნულ ორგანიზმს მოცილებული. იგი ერთი სოციალური უჯრედია, სხვა სოციალურ ორგანიზმში შემთხვევით მოყოლილი, მაგრამ დაუბრუნეთ იგი თავის ბუნებრივ სოციალურ ორგანიზმსა, — იგი უფრო ბუნებრივად იგრძნობს თავსა.

ფრიად იტანჯება მთელი ნაწილი ერისა, სხვა ეროვნულ ორგანიზმში მოყოლილი, დაუბრუნეთ ელზას-ლოტარინგია საფრანგეთს, ან ტრიესტი იტალიელებს, — იგინი კმაყოფილნი იქმნებიან, უარეს ეკონომიურ პირობებშიაც რომ ჩავარდნენ. იტალიელთა უკიდურესი ნაციონალისტები ტრიესტელები არიან. აბა უთხარით ტრიესტელს — ავსტრიელი ხარო: მე იტალიელი ვარ და უფრო იტალიელი, ვიდრე სხვა ყველა იტალიელები, Sono Italiano irredentissimo — იმ საათშივე ასეთს პასუხს მიიღებთ.

აქ საკვირველიც არაფერია. ბუნებრივი ნაწილი ერისა მიისწრაფის თავის ბუნებრივ ორგანიზმისაკენ და შეურყეველი, შეუჩერებელია ასეთი მოძრაობა. ეს სისხლისა და საზოგადოებრივობის ნათესაობაა და მსგავსად ქიმიურ ელემენტთა ნათესაობისა, ეს ნათესაობაც საშინელს ლტოლვილებას წარმრადგენს მსგავსისას მსგავსისადმი.

ასეთია სიცხოველე ერისა. მაგრამ, მიუხედავად ერის ასეთის სიცხოველისა, ერთა ისტორიაში მაინც ვამჩნევთ ისეთს მოვლენებს, რომ გადაგვარება ეროვნული სოციალური ორგანიზმისა არ არის შეუძლებელი მოვლენა და განსაზღვრულ აუტანელ ცუდ პირობებში ერს, როგორც დაჩაგრულს, ისე თავისუფალს, გადაგვარების ნიშნები გამოაჩნდება ხოლმე. აგრეთვე ზოგი ხალხი უცხო დიდ სახელმწიფოში მოყოლილი, არა დაპყრობით, არამედ გაღასახლებით, ისეთ პირობებში ასრულებს თავის სოციალურ ფუნქციებს, რომ სახელმწიფოს საშინელი მექანიზმი პირდაპირ მტვრად აქცევს ხოლმე შიგ მოყოლილ მათ ეროვნულ ელემენტებს. პირველი მოვლენის მაგალითი ბევრია, მაგალითად საქართველო, მეორეს მაგალითი კი შეერთებული შტატებია, სადაც უცხო ელემენტები მალე ითქვიფება ანგლო-საქსონელების სოციალურ მორევში.

ჩვენ აქ არ შეეუდგებით გადაგვარების მიზეზთა გამოკვლევას. ეს სულ სხვა საგანია. ვიტყვით მხოლოდ — რაში გამოიხატება ეს გადაგვარება: როდესაც ეროვნული ორგანიზმის ზრდა დამთავრებულია, როგორც არა ვსთქვით, მას აქვს ყველა სოციალური ორგანო თავის ფუნქციათა აღსასრულებლად: ეკონომიური, არტისტიული, სარწმუნოებისა და მეცნიერებისა, ზნეობრივი, იურიდიული, პოლიტიკური. რაც უფრო რთულია და სპეციალური ორგანო, მით უფრო მგრძნობიარეა იგი. ეკონომიური ორგანო ყველაზედ უფრო საზოგადო და მარტივია, მაგარი და მტკიცე, პოლიტიკური კი ყველაზედ უფრო სპეციალური, რთული და მგრძნობიარე. უმეტეს შემთხვევაში ერის გადაგვარება იწყება ამ რთულ და მგრძნობიარე ორგანოს ატროფიიდან და თავდება ეკონომიურ ორგანოთა გაქრობით. შემდეგ თვით ხალხი და ტერიტორია ჰქრება, ეს ორი უპირველესი ელემენტი ეროვნულ-სოციალურ ორგანიზმისა, — მისი მასალა და საფუძველი. საქართველომ, მაგალითად, ჯერ პოლიტიკური ორგანო დაკარგა, შემდეგ კი თანდათან მიდის მისი სოციალური ორგანიზმის დაცემა. დაიშალა მისი იურიდიული ორგანიზმი პოლიტიკური ორგანიზმის დაშლის შემდეგ, დაე-

ცა ეკლესია და განიძარცვა სიმდიდრისაგან. დაეცნენ ზნე-ჩვეულებანი, მწერლობა, ენა, გაღარიბდა მთელი ერი ეკონომიურად. თითქმის მთელი მესამედი მისი ტერიტორიისა ოსმალებმა წაიღეს და ზედ-დარჩენილი ქართველობა გადააგვარეს და დაუკარგეს ეროვნება, შეარჩინეს მხოლოდ მცირეოდენი-ღა ხალხობა. დანარჩენი ორი მესამედი ტერრიტორიისა თანდათან ეხლა გვეცლება ხელიდან. ხალხი დაბნევის გზაზედ არის დამდგარი, ენაც ირყვნება და საზოგადოების მაღალ კლასსებს თითქმის ავიწყდება იგი. — ამაში იხატება საქართველოს გადაგვარება. ქართველი ერი ებრძვის, მართალია, ამ გადაგვარებას, მაგრამ ვინ იცის მიაღწევს თუ არა იგი თავის დაშლილ ეროვნულ ორგანიზმის აღდგენას, — იმდენი ხელის შემშლელი პირობა ახლეევია გარს. თუ სძლია ამ პირობათა, მისი ეროვნული ორგანიზმი ხელ ახლავე აღსდგება და განვითარდება, თუ ძლეულ იქმნა, მისი ეროვნული ორგანიზმის განქრება, ტერრიტორია, საფუძველი საზოგადოებისა დაიკარგება, ხალხი გაიბნევა მთელ დედამიწაზედ და გახდება მხოლოდ სოციალურ მასალად, ქართველ ხალხად, მსგავსად სომეხთა და ურიათა. და ვინ იცის, იქნებ მისი ხალხობაც სუსტი გამოდგეს, იქნებ სომხებსავითა და ურიებსავით საუკუნეთა განმავლობაში ვერ შეინახოს თავისი ხალხობა ქართველმა და შთაინოქას სრულიად სხვა ერთა სოციალური ცხოვრების მორევში.

ბევრი მოიპოვება ერი მსგავსი ქართველთა, — იგინიც მსგავს მდგომარეობაში არიან. მათი გადაგვარება და პროგრესსიც განიზომება ავრეთვე იმ რიგული მეტრით, რომელიც გათლილია სოციალურ ორგანოთა კლასსიფიკაციის მიხედვით (დე-გრეფ).

არიან ერნი, რომელთა გადაგვარებას ზომავენ ხოლმე ძლიერ მარტივი მეტრით, რომელიც ერთი სოციალური ორგანოს ატროფიის მიხედვით არის გათლილი. მაგალითად საფრანგეთს ამ უკანასკნელ ხნებში ეტყობოდა მისი გენეზიური ორგანოს გადაგვარება. მთელი საფრანგეთი სასოწარკვეთილებას მიეცა — ხალხი აღარ მრავლდება და გადაგვარების გზაზედ ვდგევართო. მაგრამ ასეთი გადაგვარება ისეთ შინაგან მიზეზთაგან არის გამოწვეული, რომ ერის სხვა სოციალურ ორგანოებს შეუძლიანთ მისი თავიდან აცილება, და საფრანგეთიც სცდილობს მოსპოს თეით მიზეზი ასეთი გადაგვარებისა. — სულ სხვაა, როდესაც გადაგვარება ყველა სოციალურ ორგანოებს ეტყობა.

შეერთებული შტატები კი ისეთი მაგალითია ერისა, რომელიც ძლიერ ადვილად შთანთქავს იქ მოყოლილ სხვა ერთა ელემენტებსა. იგი ინგლისის ხალხისაგან შესდგებოდა უმეტეს ნაწილად თავდაპირველად. მან ისეთი ეროვნული ძალა განავითარა, რომ გადასახლებულნი გერმანელი, ფრანგი, ირლანდიელი და სხვა ვერ უძლებენ მის სიძლიერესა და გაცილებით უფრო მალე ჰკარგავენ თავიანთ ხალხობას შეერთებულ შტატებში, ვიდრე სხვაგან. მხოლოდ ნეგრებმა გაუძლეს მიუხედავად ენის სრული დავიწყებისა. ერთობ ძლიერი იყო ნეგრთა და ევროპიელთა შორის განსხვავება, როგორც რასიული, ისე სოციალური ძლიერი იყო მათი სიმძულვარე, როგორც მონათა და ბატონთა. ამით აიხსნება უპირველეს ყოვლისა ნეგრების შენახვა, რომელთაც ქალსაც აღარ ათხოვებენ ეხლა თეთრ-კანიანები, ამ გუშინდელ მონათ, მათ შორის ეხლაც საშინელი წინააღმდეგობაა.

ნომადები, მოხეტიალენი ჩვენ მხედველობაში არ მიგვიღია. ჩვენ გავარკვიეთ ერი, როგორც კონკრეტული საზოგადოებრივი ორგანიზმი, განსაზღვრულ ტერრიტორიაზედ მჯდომარე. ამ მხრით იგი მცენარის ორგანიზმს უფრო ჰგავს, ვიდრე მუდამ მოძრავ ცხოველის ორგანიზმსა. განვარჩიეთ იგი ხალხისაგან

და სახელმწიფოსაგან. მოვიხსენიეთ ერნი, რომელთაც შეუძლიანთ სხვა და სხვა მდგომარეობაში იყვნენ, მაგრამ მაინც განსაკუთრებულ სოციალურ ორგანიზმებს, ერებს წარმოადგენენ, არაფერია დაკარგვა სახელმწიფო ორგანოთა, არაფერია ის მოვლენაც, როდესაც ერთ ერში სხვა ერის ან ხალხის ელემენტები ბაცილებივით არიან გამჯდარნი. ეს გარემოება შეიძლება დამღუპველი იყოს ერისათვის მომავალში, მაგრამ მისი განსაზღვრისათვის ერთ რომელიმე მომენტში ეს გარემოება დიდს არაფერს არ ნიშნავს.

ჩვენ აღვნიშნეთ, აგრეთვე, მისწრაფება ეროვნულ სოციალურ მონადისა თავის დაცვისადმი, საუკუნო არსებობისადმი; ეს თვისება ერისა გაცილებით უფრო ბუნებრივი და სამართლიანია, ვიდრე ყველა წარსულ და აწმყო მოძალადე კონკრეტულ სოციალურ ორგანიზმთა, მაგალითად დიდ სხვა და სხვა ერთაგან შემდგარ სახელმწიფოსი.

აღვნიშნეთ ამასთანავე შესაძლებლობა ერის გადაგვარებისა, რომელიც რთულის მეტრით განიზომება და რომელიც განირჩევა სახელმწიფოს გადაგვარებისაგან, განირჩევა აგრეთვე ხალხის გადაგვარებისაგან: სახელმწიფოს გადაგვარება პოლიტიკურ ორგანოთა მოსპობას ნიშნავს; ერნი ამის შემდეგ მაინც რჩებიან, ხალხის გადაგვარება—სხვა ერისაგან, ან ხალხისაგან შთანთქმას, ერის გადაგვარება კი განსაზღვრული სოციალური ორგანიზმის დაშლაა: შეიძლება ეს ორგანიზმი დაიშალოს, ხალხი, სოციალური მასალა კი დარჩეს, როგორც ნანგრევი ოდესღაც ბრწყინვალე შენობისა, და სხვ.

ზემო თავებში და ამ უკანასკნელში ჩვენ ვეცადეთ ყოველივე ეს გაგვერკვია. ჩვენა გვაქვს მაშასადამე ელემენტები ერის სრული განსაზღვრისა.

განსაზღვრა საგნისა არის მისი ისეთ ხასიათის ჩვენება, რომელიც საერთოა ყველა მსგავს და იგივე საგნისათვის. ასეთი საერთო რამ ჩვენ უკვე გავარკვიეთ ერისათვის: — იგი არის ბუნებრივი სოციალური ორგანიზმი, კონკრეტული სუპერ-ორგანიზმი, განსაზღვრული სოციალური მონადა, რომელიც დამოუკიდებელია სახელმწიფო მექანიზმის სოციალური არსებისაგან, აგრეთვე განირჩევა ხალხისაგან. ამასთანავე საჭიროა იმის გარჩევა, თუ რაში გამოიხატება სწორედ ის განსხვავება, რომელიც აქვს ორს ერს ერთმანეთში, აქვს თუ არა თვითეულ ერს თვალსაჩინო ინდივიდუალობა? თუ ერი, როგორც საზოგადო ცნება, განირჩევა სხვა ცნებათაგან, მაგალითად სახელმწიფოსაგან, ერთი კონკრეტული ერი განირჩევა მეორე კონკრეტული ერისაგან. რაშია ეს განსხვავება? აი რა არის საკითხავი და ძნელი საკითხავიც, — რადგანაც ერებს აქვსთ იდენტიური სოციალური ორგანოები. მაგალითად ყველა ოთხფეხთ აქვსთ იდენტიური ორგანოები, მაგრამ თვითოეული მათი სახე, მაგალითად ცხენთა, განირჩევა მეორე სახისაგან, მაგალითად ხარის სახისაგან. საერთოთ კი მათ აქვსთ თვალი, ყური, ცხვირი, კუჭი და სხვა ორგანონი, იდენტიურ ფუნქციათა აღმასრულებელნი. მაგრამ ხარი ცხენი არ არის, ცხენი კი ხარი. ეს კიდევ რა: ორი ცხენიც ერთმანეთს მთლად არა ჰგავს, არც ორი ხარი, არც ორი ადამიანი, მიუხედავათ უაღრესი მსგავსებისა. — რა არის, მაშასადამე მათი ინდივიდუალობის დამახასიათებელი? რა არის ერის ინდივიდუალობის დამახასიათებელი, მიუხედავად ერთა ორგანიზმების იდენტიურ ორგანოთა არსებობისა?

შესანიშნავ ფრანგ ფილოსოფოსს ბერგსონს, მაგალითად, არ აკმაყოფილებს არც დარვინისა, არც ლამარკისა, არც დეფრისისა და სხვათა თეორიები სახეთა იდენტიურ ორგანოების შექმნის ახსნისა. იგი რაღაც უცნაური ნიჭის პატრონია და უცნაურადაც ხსნის ასეთ მოვლენებსა. მას თავისი ბიოლოგია აქვს. მისი აზრით სიცოცხლე მომქმედი რამ მისწრაფებაა, რომელიც მოქმედებს უსულო

ნივთიერებაზედ და ამგვარად ხდება ბუნებაში შემოქმედება, თვით ევოლუცია— **შემოქმედებითია.** სიცოცხლეს აქვს პირველ-დასაწყისი აღფრთოვანება, შთანაჩენთა ერთი შთამომავლობიდან მეორეზედ გადადის ეს პირველ დასაწყისი აღფრთოვანება სიცოცხლისა განვითარებულ ორგანიზმთა შემწეობით, რომლებიც შემაერთებელნი არიან ამ შთანაჩენთა. ეს აღფრთოვანება ინახება მთელი ევოლიუციის სიგრძეზედ, იგია მიზეზი ცვალებადობისა, რომელიც მემკვიდრეობით გადადის ერთი შთამომავლობიდან მეორეზედ. და რაღაი ყველა სახე სიცოცხლის ერთი და იგივე აღფრთოვანებისაგან წარმოიშობის, ამიტომაც განსაზღვრულ მომენტებში მათი ევოლუცია იდენტიური უნდა იყოს ხოლმე. მაგრამ იგინი ერთმანეთს სცილდებიან მსგავსებით იმდენად, რამდენადაც განვითარება წინ მიდის. ამგვარად სჩნდებიან ახალი სახენი. ამ საერთო აღფრთოვანებით აიხსნება იდენტიური ორგანოები მრავალ სახეთა, — თვალი, ყური, ცხვირი და სხვ. **(H. Bergson, L'Evolution Créatrice, p. p. 95—106).**

ჩვენ აქ იმას არ გამოვუდგებით, რამდენად მართალია ბერგსონის თეორია. არ გვაინტერესებს, რა ღირებულება აქვს მეცნიერებაში მის „სიცოცხლის პირველ-დასაწყის აღფრთოვანებას" (L'Elan Originel). ეს ბიოლოგების საქმეა და ბიოლოგმა ლე-დანტეკმა ღირსეული პასუხიც გასცა ბერგსონსა. (F. Le Dantec, Science et Conscience) მაგრამ, ლეიბნიცის მონადებისა არ იყოს, ეს ჰიპოტეზაც ჩვენთვის აქ ძლიერ გამოსადეგია საგანთა ნათლად წარმოდგენისათვის. ანალოგია სიცოცხლის აღფრთოვანებასა და სოციალობის პირველ-დასაწყისს განვითარებას შორის სოციალურ შთანაჩენებში, ჩვენა გვგონია, შესაძლებელია და ჭკუაზედ ახლო.

როგორც ის არ გვაინტერესებს აქ, თუ რა არის ან როდის გაჩნდა ის პირველ-დასაწყისი აღფრთოვანება სიცოცხლისა, რომელიც მოქმედებს უსულო ნივთიერებაზედ და ასულდგმულებს მას, ისე ის არ გვაინტერესებს, რა მომენტში აღმოჩნდა პირველი საზოგადოებრივობა. ფაქტია მხოლოდ, რომ საზოგადოებრივობა იყო კაცობრიობის დასაბამიდან, რომ თვით ის რასები, რომელთაც ეხლა აღარა აქვსთ საერთო საზოგადოებრივობა, ამ საერთო საზოგადოებრივობის მქონენი იყვნენ და იმიტომ აქვსთ მათ ეხლა ურთიერთ შორის მსგავსება ენისა და სხვა თვისებათა. სოციალურ შთანაჩენთა შორის არსებობდა „სოციალური პირველ-დასაწყისი აღფრთოვანება", იგი გადადიოდა ერთი შთანაჩენიდან მეორეზედ, ერთი სოციალური ორგანიზმიდან მეორეზედ, რა ფორმისაც უნდა ყოფილიყოს იგი, — ერთი ერიდან, ამ უკვე განვითარებული სოციალური ორგანიზმიდან, მეორეზედ. ყოველი აღმოჩენა, ყოველი რელიგიური და ზნეობრივი ქადაგება, ყოველი სოციალური მოძრაობა, ყოველი კულტურული შეძენა გადადიოდა ერთი სოციალური ცენტრიდან მეორეში, — იგინი არას დროს არ დარჩენილან ერთი რომელიმე სოციალურ ორგანიზმის ხელუხლებელ კუთვნილებად. აგრეთვე წესები ორგანიზაციისა, დაწესებულებათა შექმნისა გადაღებულ იყო ხოლმე ერთი სოციალური ორგანიზმისაგან სხვა მრავალთა მიერ, და დღეს კიდევ უფრო ემჩნევა ყველა საზოგადოებას ეს უეჭველი მისწრაფება წაბაძვისა, განსაკუთრებით ტეხნიკის გაუმჯობესების სფეროში, ლიტერატურულ ახალ მიმართულებათა შექმნაში და სხვ. ტარდის წაბაძვა — აი რა შეგვიძლია დავამსგავსოთ სოციალურ ცხოვრებაში „სიცოცხლის აღფრთოვანებასა", რომელიც ბერგსონმა ბიოლოგიაში შეიტანა, აგრეთვე ბერგსონის შემოქმედებითი ევოლუცია ემსგავსება ტარდის „წარმატებულ ევოლიუციას", რომელიც მით დახასიათდება რომ პატარა, მცირე განახლებანი მუ-

დამ შედიან ევოლიუციის პროცესში, ურთიერთზედ ემყნობიან, ან პირდაპირ ერთად გროვდებიან, ან ურთიერთის ადგილს იპერენ. სისტემატიურად ერთდებიან და ჰქმნიან არსთა ინდივიდუალობას ევოლიუციის რომელიმე მომენტში. (q. Tarde; Les lois de l'imitation, La Logique Sociale და სხვ.) ტარდის წაბაძვის კანონთა ძალით ჰქმნიდნენ საზოგადოებრივი ორგანიზმები იდენტიურ სოციალურ ორგანოს, ამ კანონთა ძალით იყო ხოლმე განსაზღვრულ მომენტებში მათი ევოლიუციაც იდენტიური, მაგრამ მსგავსად იმისა, როგორც ბიოლოგიურ ცხოვრებაში არ მოიპოვება ორი იდენტიური სახე, ორი იდენტიური ინდივიდი, მიუხედავად იდენტიურ ორგანოთა, — სოციალურ ცხოვრებაშიაც არ მოიპოვება ორი იდენტიური სოციალური ორგანიზმი, ორი იდენტიური ერი— შემოქმედებით ან წარმატებით ევოლუციის კანონის ძალითა: ყოველ ერს აქვს ენა, მაგრამ ენა არის ქართული, ინგლისური, ფრანგული: ყოველ ერს თავისი გენიოსობა აქვს ენისა. ყოველ ერს აქვს სამართალი, მაგრამ სამართალი არის ფრანგული, გერმანული, იტალიური. აგრეთვე არის გენიოსობა თვითოეულ სამართლისა, ხელოვნებისა და სხვა.

რამდენადაც ერებს იდენტიური, საერთო ორგანოები აქვსთ, იმდენად ერი საერთო ცნებას წარმოადგენს, რამდენადაც ეს ორგანოები განსხვავდებიან ერთმანეთისაგან თავისთავად, იმდენად ერს აქვს თავისი ინდივიდუალობა. სოციალურ ევოლიუციას შეუქმნია მრავალფეროვანება ერთა მიუხედავად მათ იდენტიურ ორგანოთა, ისე როგორც ბერგსონის აზრით სიცოცხლეს შეუქმნია სახეთა და ინდივიდთა მრავალფეროვანება მიუხედავად მათ იდენტიურ ორგანოთა. საზოგადო ცნება ერისა არის ერთობა მრავალფეროვანებაში, კონკრეტული ერი არის ინდივიდუალობა, ერთი ნაკვეთი მრავალფეროვანებისა ერის არსებობის საერთო მოელენაში. ეს აუცილებელი პირობაა ყოველ განსაზღვრის შესაძლებლობისა, რადგანაც განსაზღვრა სწორედ ჩვენებაა ერთის მხრით მრავალფეროვანებათა ერთობისა, მეორის მხრით ჩვენება ამ ერთობაში მრავალფეროვანების ცალკე ნაკვეთთა არსებობისა. ხოლო დაუსრულებელი ერთფეროვანება განუსაზღვრელია, მიუწდომელი. იგი არავითარ განსაზღვრას არ ემორჩილება, ვინაიდან განსაზღვრა მსგავსებათა და განსხვავებათა ანალიზის შედეგია, ერთფეროვანებას კი არც მსგავსება აქვს არაფერთან, არც განსხვავება. იგი შეუდარებელია — მაშასადამე განუსაზღვრელი.

ერის საზოგადო არსებობა, მისი სოციალური ორგანიზმობა და არა მექანიზმობა, — აი რა არის ერთობა მისი ცნებისა. ერის ინდივიდუალობა, საკუთარი სოციალობა — საკუთარი ენა, ლიტერატურა, სამართალი, პოლიტიკა, სარწმუნოება, — რომელსაც მიუხედავად სხვა ერის სარწმუნოებასთან მსგავსებისა იმ სოციალური წრის ელფერი ადევს, სადაც იგი დამკვიდრებულა, — განსაკუთრებული „სოციალური ელფერი" თვითოეული ეროვნული ინდივიდისა, თვით შეგნება ეროვნული ორგანიზმისა, რომელიც უპირველეს ყოვლისა თავის დაცვისათვის ბრძოლაში გამოიხატება — აი რა ჰქმნის ერის ინდივიდუალობას, აი რა უჩვენებს, რომ იგი **განსაკუთრებული, ერთი** ნაკვეთია ერთა მრავალფეროვანებისა.

გუმპლოვიჩი (Pr. de Soc p. 274—284) მართალს ამბობს: ჩვენ მაშინვე ვცნობილობთ ცალ-ცალკე ეროვნულ ტიპებს, რადგანაც სოციალურ ცხოვრებას ადამიანის ფიზიკაზედაც აქვს გავლენაო. ეს კიდევ რა, — თვით სხვა ერის ადამიანი, რომელიმე ერის სოციალურ წრეში მოყოლილი, ოდნავ ტიპს იცვლის.

ეს-ერლოვნული ტიპი რაღაც განუსაზღვრელია, ენით გამოუთქმელი: ჩვენ მხოლოდ მაშინვე ვიცნობთ ხოლმე, რა ერისაც არის იგი, მხატვარს კი ქაღალდზედ შეუძლია აღნიშნოს ეს განსხვავებაო. სხვა და სხვა რასისა და ეთნიური ჯგუფის ისტორიის მიხედვით იბადება ერში განსხვავებული აზროვნება, მისწრაფება, აქედან წარმოსდგება განსაზღვრული ტიპი ერისა, რომელიც თავის მხრით თვითონ იცვლება დროთა ვითარებაში: ერთი და იგივე ერი იგივე აღარ არის სხვა და სხვა დროსა, თუმცა ძირი ეროვნებისა ინახება მისი ევოლიუციის მთელ სიგრძეზედ და ჰქმნის ეროვნებას, მის ინდივიდუალობას.

ეხლა ყველა ელემენტი გვაქვს ერის განსაზღვრისათვის. რაც ზემოდა ვსთქვით — საკმარისია: ერი ეკუთვნის ერთ-ერთ რომელიმე რასას, ან რამდენიმე რასის ნარევ ხალხისაგან შესდგება, ე. ი. განსაზღვრული სოციალური მასალისაგან. მჭიდრო კოჰეზიის ერი წარმომდგარია უფრო მდაბალ სოციალურ ორგანიზმთაგან დროთა ვითარებაში და დღეს ერთად ერთი ბუნებრივი სოციალური ორგანიზმია, დაფუძნებული განსაზღვრულ ტერრიტორიაზედ, რომელსაც შეუძლია განვითარება, ცვალებადობა, გადაგვარება, სიკვდილი, ბრძოლა არსებობისათვის, თავის დაცვა, გამარჯვებაცა და დამარცხებაც, — მაღალ კაცობრიობის კულტურულ ცხოვრებაში. იგი ინდივიდუალობაა, ვინაიდან აქვს საკუთარი ენა, ლიტერატურა, სამართალი, — პოლიტიკაც, როდესაც სახელმწიფოს შეადგენს; აქვს თვითშეგნება, თავმოყვარეობა, სურვილი სიცოცხლისა. და ყოველივე ეს არა ჰგავს სხვა ერთა იმავე თვისებათა. იგინი მისი საკუთრებანი არიან. განსაკუთრებით ენა წარმოადგენს ასეთს თავისებურებას. როგორც გამოცდილნი შენიშნავენ, ბერძნულ და გერმანულ ფილოსოფიის ნამდვილი გაგება ძლიერ ძნელია, თუ ეს ენები არ იცი. განსაზღვრა ერისა, მაშასადამე, ასეთ ნაირად არის შესაძლებელი:

ერი არის ერთი სოციალური სუპერ-ორგანიზმი ანუ ჰიპერ-ორგანიზმი (ტარდის სიტყვით), შემდგარი ერთგვარ ანუ მრავალ-გვარ ეთნიურ და სოციალურ მასალისაგან, რომელსაც შეუძლია უამთა ვითარებაში შექმნას ერთი გარეგნულად მოწესრიგებული ხაერთო ცხოვრება თავის შემადგენელ ერთეულთა, ერთი საზოგადოება ყველა თავისი ორგანოებითა: ენითა, სარწმუნოებითა, მეცნიერებითა, ზნეობითა, ხელოვნებითა, სამართლითა და პოლიტიკითა, — საზოგადოება განსაკუთრებული ისტორიითა, ტიპითა და თვითშეგნებითა, სრულის ინდივიდუალობითა.

აი რა არის ერი. მას კი აბუჩად იგდებენ უვიცნი და ფიქრის ნიჭის არა მქონენი. მათა სურსთ — კაცობრიობის დიდი სახელით დაჩრდილონ ეს უაღრესი სოციალური სინამდვილე. ხოლო უბედურება სწორედ ის არის, რომ კაცობრიობა არ წარმოადგენს ამ სინამდვილესა. არც ერთი თვისება, რომელიც მოიპოვება ერში ზემოხსენებული განსაზღვრით, არ მოიპოვება კაცობრიობაში. ეს უკანასკნელი სოციალურად არ არსებობს. იგი ან არითმეტიკული სუმმაი რასათა, ხალხთა, ერთა, რომელსაც არავითარი ორგანიული ერთობა არ აკავშირებს, ან იგივე არითმეტიკული სუმმაა ადამიანთა, — $1^1/_2$ მილიარდი ადამიანი, რომელთა ლიტონი რიცხვი არას გვეუბნება სრულიად კაცობრიობის სოციალურ ვითარებაზედ.

მაგრამ თვით დიდი ოგიუსტ კონტიც კი შესცდა კაცობრიობის დაფასებაში და გაჰხადა ეს ფიქცია რაღაც ფეტიშად; და რაღა გასაკვირველია რომ პიგმეები, სხვისი ფეხის ამყოლნი, სცდებოდნენ.

თავი მეშვიდე

სამშობლო.

დაგვრჩა კიდევ ერთი ცნება, რომელსაც ხშირად ვხმარობთ ხოლმე სულ უბრალო ლაპარაკშიაც და რომელიც განირჩევა ერისაგან, სახელმწიფოსაგან და ხალხისაგან, თუმცა ხშირად აღრევენ მათ ურთი-ერთში: ეს ცნება არის ცნება **სამშობლოსი.** სამშობლოს დაცვა, სამშობლოს სიყვარული, პატრიოტიზმი (Patria — ლათინურად ნიშნავს სამშობლოს), პატრიოტული გრძნობა და სხვ. მუდამ გვადგია ენაზედ, ხან სათაყვანებლადა გვაქვს, ხან კი საგინებლადაც, როდესაც კოსმოპოლიტიზმისა და ყალბი ინტერნაციონალიზმის სახელით ელაპარაკობთ.

სამშობლოს ცნება უპირველეს ყოვლისა განსაზღვრულ ადგილს ეხება, სადაც ერი სოციალურ შემოქმედებას ეწევა. მაგრამ სამშობლოსა და ერის ცნება ერთი და იგივე არ არის. ერი არის განსაზღვრული, კონკრეტული სოციალური ორგანიზმი, ინდივიდუალობა, რომელსაც თავისი გრძნობა, ნება, თვით-შეგნება და მიზანი აქვს. იგი თვით არის სოციალური სუბიექტი, რომელსაც უნდა ჰქონდეს სამშობლო, ე. ი. ადგილი, სადაც იგი აღზრდილა, განვითარებულა, შეუქმნია წარსული და აწმყო, სცდილობს მომავალშიაც განაგრძოს თავისი არსებობა. — ხალხისა და სამშობლოს ცნება აგრეთვე არ არის ერთი და იგივე. ხალხი, როგორც არა ვსთქვით, ერთი მხარეა ერისა, მისი შემადგენლობითი მხარე, მასალა მისი შენობისა. ტერრიტორიასთან თავისთავად ერსა და ხალხს მხოლოდ იმდენად აქვსთ დამოკიდებულება, რამდენადაც მათ ბინა სჭირდებათ თავიანთ შემოქმედების ნიადაგად, რამდენადაც უბინაო ერი და ხალხი იბნევა და იქსაქსება, თუ მას განსაზღვრული ტერრიტორია არ უჭირავს. ტერრიტორია ერისათვის ამიტომ უფლების ერთი საგანია, თუმცა უმთავრესი საგანი. — არც სახელმწიფოსა და სამშობლოს ცნება არის ერთი და იგივე, თუმცა ბევრი აღრევს მათ ერთმანეთში. ჯერ ერთი იმიტომ, რომ სახელმწიფო ერის საზოგადოებრივობის ერთი ფორმაა და არა თვით ერი, ე. ი. კონკრეტული სოციალური ორგანიზმი, აღმასრულებელი ყველა სოციალურ ფუნქციისა; მეორე იმიტომ, რომ სახელმწიფო ხშირად არის ორგანიზაცია ერთი ერის სხვა ერებზედ ბატონობისა და ამიტომაც შესაძლებელია ძლიერ ხშირად, რომ ერთ სახელმწიფოში მრავალი ერი შედიოდეს თავიანთი ტერრიტორიებითა, რომელიც სახელმწიფოს მიუთვისებია, — ე. ი. შედიოდეს მრავალი სამშობლო.

სამშობლოს ცნება, როგორც არა ვსთქვით, უპირველეს ყოვლისა შეკავშირებულია ადგილთან, ბინასთან, ტერრიტორიასთან, რომელიც განსაზღვრულ, კონკრეტულ სოციალურ ორგანიზმს უჭირავს. სამშობლო — ის ადგილია, სადაც ერს შეუქმნია თავისი ისტორია და სადაც იგი განსაზღვრულ მომენტში სცხოვრობს. ეს ადგილი „სამშობლოა“ იმ ადამიანთათვის, რომელნიც ამ ერს ეკუთვნიან, რომელთაც ეინტერესებათ ეროვნული თავის დაცვა, და მაშასადამე, დაცვა იმ ადგილისა, რომელიც უპირველესი საშუალებაა ერის არსებობისა. ამ მხრით სამშობლო განსაზღვრული ერის კერძო ადამიანთა რწმენაა ამ ერისადმი კუთვნილებისა, სიყვარულია იმ ადგილისა, სადაც მათი ერი ბინადრობს.

სამშობლოს ცნება თუმცა იგივე არ არის, რაც ერისა, მაგრამ განუყოფელია მისგან. მეხსიერება წარსულისა, ე. ი. ისტორია, შეგნება ერისადმი კუთვნილებისა, მისი კულტი, ეროვნული თავმოყვარეობა და სხვა. — ე. ი. სრული შეგნება თავისი ერის ინდივიდუალობისა და სურვილი მისი დაუსრულებელი

სიცოცხლისა, — აი რა აცხოველებს ადამიანთა გულში იმ სიყვარულს, რომელიც მას ულვივის განსაზღვრული ადგილისადმი, ერის ბინისადმი. სამშობლოს ცნება უადგილოდ არ შეიძლება, მაგრამ იგი აგრეთვე შეუძლებელია გარეშე კონკრეტულ სოციალურ ორგანიზმისა. მაგალითად, თუ ადამიანთა რწმენა ეროვნული არ არის, თუ ეროვნული მუსიკა მას არ აღფრთოვანებს, თუ ისტორია თავმოყვარეობას არ ულვიძებს, თუ ეროვნულ ინდივიდუალობის დაცვა ვალად არ მიაჩნია და თავს არ შესწირავს მის სიკვდილისაგან ხსნასა, მას არც სამშობლოს წარმოდგენა აქვს და არც გრძნობა პატრიოტიზმისა. ამ მხრით სამშობლო მთელი ერის წარსული და აწმყო ცხოვრებაა განსაზღვრულ ტერრიტორიაზედ, რომლის თვითოეული ფეხის გადადგმა რაღაც მწარეს ან ტკბილს აგონებს ადამიანსა, ან აწმყოში ჰბოჭავს მას ეროვნულ-სოციალურ განწყობილებათა ჯაჭვით. იმ პატარა სოფლიდან დაწყებული, სადაც პირველად აეხილა თვალი ადამიანს, სადაც პირველად დაიწყო ტიტინი ეროვნულ ენაზედ, სადაც მან პირველად იგრძნო სიტკბოება სიცოცხლისა, ბუნებისა, ალერსი მშობელთა და ნათესავთა, მეგობართა და საყვარლისა — მთელ ტერრიტორიამდე, სადაც დაბინავებულა ერი, რომლის წევრიც იგი გამხდარა, რომლის კულტურულ სოციალურ სფეროშიაც დამთავრებულა მისი სულიერი ზრდა და რომლის დაცვის მოვალეობაც მას უგრძვნია, — მას უყვარს მთელი ეს ადგილი მთელი თავისი არსებითა, მზად არის თავი შესწიროს მას. ყოველი ღალატი მის წინაშე მას იუდადა ხდის თავისავე თვალში.

ეს ტერრიტორიალური და ეროვნული არსება არის მისთვის **სამშობლო**, რომლის კულტიც მას სიკვდილამდის გულში აქვს და არ დაივიწყებს მას, რომელ სხვა სამშობლოშიაც უნდა გადასტყორცნოს იგი ბედმა. ამიტომაც პატრიოტიზმი, ე. ი. ერის სიყვარული და სურვილი მისი სიცოცხლისა და სიდიადისა პირველი და აუცილებელია, ზნეობრივი პირობაა ერის არსებობისა.

შეიძლება ერი კიდევ არსებობდეს, მაგრამ სამშობლო დაკარგული ჰქონდეს. შეიძლება ეროვნული ორგანიზმი ოდნავ კიდევ ორგანიზმობდეს მით, რომ რამოდენიმე სოციალური ფუნქცია შერჩენოდეს, — რელიგია, ენა, ლიტერატურა, — ან უკეთ ვსთქვათ შეიძლება ხალხი კიდევ დარჩენილიყოს ეროვნულ ორგანიზმის დაშლის შემდეგ, მაგრამ თუ მას ტერრიტორია აღარა აქვს, — მას აღარა აქვს სამშობლო, მაშასადამე საგანი ზემოხსენებულ კულტისა, სიყვარულისა და თავგანწირულებისა. ასეთ ერს თითქმის გამოცლილი აქვს ეროვნულ-ორგანიული თვისება, და შენახული მხოლოდ ხალხურ შემადგენლობითი თვისება. იგი ხალხია და არა მჭიდრო სოციალურ ცხოვრების მქონე ერი. მაგალითად, ებრაელებს შერჩენიათ სარწმუნოება და იგია უპირველესი სოციალური ჯაჭვი, რომელიც აერთებს დღესაც გაბნეულ ებრაელებს მთელს ქვეყანაზედ, და რომელსაც მათი ენაც კი შეუნახავს. მათ შერჩენიათ აგრეთვე ტიპი. მაგრამ თვით ებრაელ კაცებს ცოცხალი ენა დაჰკარგვიათ და ნაცვლად ქარგონებზედ ლაპარაკობენ. ეს გარემოება ხდის მათ ხალხად უფრო, ვიდრე ორგანიულ სოციალურ ერთეულად, ერად. მაგრამ მათი მთავარი უბედურება უფრო სამშობლოს, ტერრიტორიის უქონლობაა. ებრაელი მთელს ქვეყანაზეა გაბნეული, — იგი ყველას სამშობლოში სცხოვრობს, ხოლო თავისი არა აქვს. რა შეიყვაროს მან, რა გაჰხადოს კულტად, სად არის მისი ბინა, მისი ისტორიული საბუდარი, მისი ერის აწმყო ნიადაგი, რომელზედაც უნდა გამოიჩინოს თავისი კოლექტიუვური გენიოსობა, სხვა ერთა პირის პირ? სად არის გეოგრაფიულ რუკაზედ მისი **ურიახტანი**, — სახელი მისი არსებობისა? — სახელი-ღა დარჩა, არსებობა კი მოისპო. იყო და აღარ არის! თვით იგი ყველგან სცხოვრობს გაბნეული, მაგრამ

ყველგან სტუმარია, მუდამ დევნილი და ყველასაგან შეძულებული, ხოლო მასპინძელი, თავის თავისა და მიწის განსაზღვრული ნაკვეთის ბატონი ამ ფართო ბუნების წიაღში — არსად! აი სად არის ტრაგიზმი ებრაელთა ერისა. ამით აიხსნება, თუ რად ეძებენ იგინი ეხლაც თავიანთ სიონს. ადვილი ასახსნელია საშინელი სასოწარკვეთილებაც ებრაელ მამულისშვილისა, ორი მიზეზისაგან გამოწვეული: ერთი იმისაგან, რომ მათი ისტორიული პალესტინა ეხლა სხვას უჭირავს, მეორე იმისაგან, რომ ათასის წლობით გაბნეული ებრაელთა ხალხი — ერთ ადგილას კიდეც რომ დაასახლო, ერს ვეღარ შეადგენს, ვეღარ შეადგენს იმ საკვირველ და მშვენიერ ჰარმონიას, რომელსაც წარმოადგენს ეროვნული სოციალური ორგანიზმი, — არამედ ისე მიეჩვია ხეტიალს, ავანტიურას, მხოლოდ ფაქიზ მუშაობასა, — ვაჭრობას, მეცნიერებასა და სხვას, — რომ მუდამ დარჩება იგი ხალხად, რომლის ზოგიერთი წარმომადგენელი შეიძლება დიდად ნიჭიერიც იყოს და დიდად სასარგებლოც ბევრ უმაღლეს დარგში სხვათა სამშობლოსათვის, მაგრამ ერთობ უბინაო, უსახლ-კარო, უცხო უცხოთა შორის სტუმარი და მისთვის მხარჯველი თავის გენიოსობისა, უსიმპატიო, დევნილი, სასაცილოდ აგდებული და სოციალურად უპიროვნო. სამშობლოს უქონლობით აიხსნება აგრეთვე აუარებელი რიცხვი ებრაელთა შორის ჯაშუშთა, დეზერტირთა, მოღალატეთა, აგრეთვე მათი სხვა უსიმპატიო მხარეები. სამშობლო, — ეს ის არსებაა, რომლის წიაღთა შინა ადამიანი მუდამ ვარჯიშობს მამულიშვილობით, საკუთარი მამულიშვილობით. ათასის წლობით მოკლებული ასეთ სავარჯიშო ასპარეზსა და მუდამ სხვისი მოსამსახურე, საზოგადოდ ებრაელი არ შეიძლება იყოს ისეთივე მამულიშვილი სხვის კარზედ, როგორც მასპინძელი თავის სახლში. თუმცა კი — დიდება ამ ერს, რომ მის პირობებში კიდევ მეტი უსიმპატიო მხარე არა აქვს, კიდევ მეტი რიცხვი მისი არ არის მოღალატე; დიდება მას, რომელმაც სხვა და სხვა უცხო სამშობლოს მისცა საუკეთესო მამულიშვილები, მეცნიერები, ფილოსოფოსები და სხვანი.

ასეთივე თვისება ეტყობათ ისეთ ერებსაც, რომლებსაც თუმცა სრულიად არა აქვსთ დაკარგული ტერრიტორია, მაგრამ დიდი ნაწილი მათი მაინც გაბნეულია და სხვების სამშობლოებში უხდებათ ცხოვრება. როლი სომხებისა საქართველოში შეიძლება დიდი იყოს მით, რომ მათ მოგვცეს ზაქარია და ივანე მხარგრძელები. მაგრამ რამდენი დარჩო ბებუთაშვილი ყოფილა ჩვენში განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქართველოს მეტი ველა ეპირვებოდა! — კიდევ ეფრო უმადურია მასპინძელთა ასეთის ერის ნაწილები, როდესაც ისინი დაიბუდებენ ხოლმე მისუსტებული ერის ტერრიტორიაზედ და ხანმოკლე ფარული მეგობრობისა და სოლიდარობის შემდეგ პირდაპირ ომს უცხადებენ თავიანთ მასპინძლებს, — ადე შენი ტერრიტორიიდან, მე უნდა დავიპირო იგი, როგორც უფრო ძლიერმა და ნიჭიერმა!

სამშობლო და სახელმწიფო ერთი და იგივე არ არის, სახელმწიფოში მრავალი ერია შესული თავიანთ ტერრიტორიებითა. სამშობლო კი ერისა და ტერრიტორიის შედეგია. მაშასადამე სახელმწიფოში შეიძლება სამშობლონი იყვნენ, და ასეთი სახელმწიფო სამშობლო კი არა, სამშობლოს წინააღმდეგი ორგანიზაციაა. იგი იმისთვის არის სამშობლო, ვინც გაბატონებულ ერად ეელინება ჩაგრულთ. სახელმწიფო ძალით ავალებს უცხო სამშობლოს შვილებს სამშობლოდ აღიარონ გაბატონებული ერის სამშობლო, შესწირონ მას თავი, ებრძოლონ მისი სახელით ისეთ მტერს, რომელიც შეიძლება გაბატონებული ერის მტერია, მაგრამ დაჩაგრულის დიდი მეგობარიც. სახელმწიფო პყრობილ ერის მოღალატეს სჯის ისევე, როგორც მთავარი ერისას, მაგრამ ამისი ზნეობრივი უფლება

მას არა აქვს; ამიტომაც ამ სხვისაგან პყრობილთა განთავისუფლება ყოველთვის სიმპატიას იწვევს საერთაშორისო ზნეობის აღმსარებელ ადამიანთა გულში; აჯანყება დაჩაგრულთა სამართლიან უფლებად არის აღიარებული ყველასაგან, ხოლო განთავისუფლებულ სამშობლოებს თვით მომქმედი საერთაშორისო სამართალი იღებს თავის მფარველობის ქვეშ.

სანამ ეროვნული კოპეზია მოხდებოდეს, სანამ ეროვნული ცხოვრების წესი ქალაქური ცხოვრებაა, ე. ი. სანამ ცალკე სოციალურ ორგანიზმებს ქალაქები წარმოადგენენ, — სამშობლოდაც ქალაქია აღიარებული, თუმცა განსაზღვრულ ეროვნულ განვითარების საფეხურზედ შეგნება ერთის სამშობლოსი ფეხს იკიდებს და საქმითაც ჩნდება იგი. საბერძნეთში ცალკე სამშობლონი იყვნენ — ათინა, სპარტა და სხვანი, მაგრამ სპარსელებთან საბრძოლველად ერთად გამოდიოდნენ, მართალია, ხშირად რამოდენიმე სამშობლო უცხოელებს ებრძოდა, რამოდენიმე კი უცხოელებთან ერთად დაარჩენ ბერძენთავე სამშობლოებს, მაგრამ თანახმად ბერძენთა ერის სოციალურ კოპეზიის განვითარებისა მუშავდებოდა საერთო შეგნებაც ელლადის სამშობლოსი. ასე იყო საქართველოშიაც. მაშინ როდესაც საქართველოს ერთი ნაწილი უცხოელებს ებრძოდა ხოლმე, მეორეს მისი მხარე ეჭირა. ეს ასეა ყოველთვის, სანამ სრული სოციალური სიმჭიდროვე და ჰარმონია არ დამკვიდრდება ერის სხვა და სხვა ნაწილთა შორის და სანამ არ შემუშავდება ყველასათვის საერთო და განუყოფელ სამშობლოს ცნება. ქართველებს გვქონია ასეთი დრო, — დრო ჩვენი ერთობისა, დიდი დავითისა და თამარის დრო, მაგრამ ურთი-ერთის წინააღმდეგ ბრძოლა და უცხოთა მიმხრობა თავისიანების წინააღმდეგ ხშირი მოვლენა იყო ჩვენს ისტორიაში. ეხლაც ბევრი არ არის, ისეთი, ინტელლიგენტთა შორისაც, რომ თავის სამშობლოდ გულწრფელად მთელს საქართველოსა სთვლიდეს, არამედ მისთვის სამშობლო ან კახეთია, ან ქართლი, ან იმერეთი, სამეგრელო, გურია და სხვა. ჩვენში ჯერ არ არის მაშასადამე დამთავრებული სრული კოპეზია ერისა, მაგრამ ამ მხრით დიდი იდეიური მუშაობა სწარმოებს ამ ჟამად ჩვენს შორის. და როდესაც ჩვენი ეროვნული ერთობის შეგნება იქმნება განხორციელებული და არა მხოლოდ სასურველი იდეა, მაშინ ჩვენი ბედიც სხვანაირად დატრიალდება.

მაგრამ როგორიც უნდა იყოს ცნება სამშობლოსი, — ვიწრო თუ ფართო, ქალაქური თუ ეროვნული, ან სხვა რომელიმე სოციალურ ორგანიზმის თანახმა, — იგი მაინც შეკავშირებულია იმ ადგილთან, სადაც ამ კონკრეტულ სოციალურ ორგანიზმს ბინა დაუდევს და შეუქმნია თავისი ისტორია. სადაც ასისა და ათასის წლობით მტკიცე კავშირი დამკვიდრებულა ცოცხალსა და წარსულ, მიცვალებულ შთამომავლობათა შორის, სადაც ყოველი მტკაველი მიწისა მეხსიერების საგანია ცოცხალთათვის, მიცვალებულთა მიერ გარდმოცემული, სადაც ამ მიცვალებულთა საფლავები მდუმარედ შესცქერიან ცოცხალთ და თავიანთ საუკუნო ანდერძს აგონებენ, სადაც ეროვნული კულტურა კელაპტარსავით ჩამოასხამს ადამიანის სულს და შეჰქმნის მისგან განსაზღვრულ ეროვნულ ინდივიდუალობას სხვა სოციალური წრის ინდივიდუალობათა პირის-პირ.

ამ ნიადაგზეა აღმოცენებული იდეა სამშობლოსი, — რომლის შემადგენელი ელემენტები არის ერი და მისი ტერრიტორია. ამ ნიადაგზეა აღმოცენებული კულტი და სიყვარული მისი, ამით აიხსნება განუსაზღვრელი სურვილი, რწმენა და მოვალეობა მისი დაცვისა. ამით განისაზღვრება უმაღლესი და ძლიერი მისწრაფება მისი ინდივიდუალობის სიდიადის შექმნისა სხვათა პირის-პირ.

მაგრამ ამითავე განისაზღვრება, სხვა მიზეზებთან ერთად, რასაკვირველია, გადალახვა სამშობლოს საზღვრებისა და მისი განდიდება სხვათა დამონებით, უცხო სამშობლოთა უარ-ყოფითა. ეს არის ეროვნული ეგოიზმი და არა სამშობლოს გულ-წრფელი სიყვარული. ეს არის უარყოფა სხვისი უფლებისა და არა თავისი უფლების დაცვა. გაბატონებულნი ერნი სცდილობენ ტერრიტორია წაართვან დამონებულთა და თავისი ელემენტით დაასახლონ, რომ ან გადააგვარონ ეროვნულად, ან განფანტონ იგინი და მოუსპონ თვით სახსენებელი სამშობლოსი. აი, ეს არის ნამდვილი შოვინიზმი, და არა ის, რომ მონას თავისი ბატონი სძულდეს და სცდილობდეს მის კლანჭებს თავი და თავის სამშობლო გამოსტაცოს. — მონის — სიყვარულია საზიზღარი და არა სიძულვილი. ძლიერი, მკაცრი სიძულვილი მონისა ბატონისადმი მას სულიერად თავისუფლადა ჰხდის; იგი სრულიად კანონიერი, ღირსეული და დიადი გრძნობაა, რომელიც დიდ საქმეებს ჩაადენინებს მონასა, — ნამდვილს, ეროვნულ თავისუფლებას მიანიჭებს. ვინც არ დაიშლის და მასაც შოვინიზმს უწოდებს, — ჩვენ არც სიტყვის გვეშინია, — ვიტყვით მხოლოდ: მონათა შოვინიზმი ბატონთადმი — კეთილი ყოფილა და არა ბოროტი გრძნობა.

თუმცა არის ისეთი ერები, რომელთაც სამშობლო აღარა აქვსთ, მაგრამ მათი ეროვნული არსება ყოველთვის განსაზღვრულ ტერრიტორიაზედ განვითარებულა. სამშობლო ენა, სამშობლო ლიტერატურა, სარწმუნოება, ხელოვნება და სხვა, — ყოველთვის ან სხვა ხალხთაგან ყოფილა შეთვისებული განსაზღვრულ ადგილზედ მდგომი ერისაგან და საკუთარ სოციალურ სფეროში სპეციალურად გარდაქმნილი, ან და თვით ერის ტერრიტორიაზედ ორიგინალურად შემუშავებულა. ერი, ეროვნული კულტურა არ იბადება გარეშე რომელიმე სამშობლოისა, მიუხედავად იმისა, რომ მან შეიძლება დროთა ვითარებაში დაჰკარგოს სამშობლო.

თუ დაჰკარგა, — იგი მაშინ უბედურია, — ეს არის უპირველესი მიზეზი და დასაწყისი მისი სრული გაქრობისა. ყოვლად უაზრო აბსურდია იმ ადამიანთა აზრი, ვითომც ტერრიტორიას, სამშობლოს ერისათვის მნიშვნელობა არა ჰქონდეს. განსაზღვრით რომ ერი და სამშობლო ერთი და იგივე არ იყოს, — აქედან ის არ გამომდინარეობს, რომ მეორე პირველისათვის უმნიშვნელო იყოს. ორგანიზმი და ის წრე, რომელიც მისს არსებობას ხელს უწყობს, ან ენებს, ერთი და იგივე არ არის განსაზღვრითა, მაგრამ შესაფერი წრე რომ მისთვის აუცილებელი საჭიროა არსებობის განგრძობისათვის, ან და მავნებელი და დამღუპველი, — ეს ყოველ ეჭვს გარეშეა. იგი მაშასადამე დიდად მნიშვნელოვანია ორგანიზმისათვის. — იურისტებიც ხშირადა სცდებიან. რაღაი, მათის აზრით, უფლება საკუთრებისა ტერრიტორიაზედ შეიძლება ჰქონდეს ან სახელმწიფოს, ან ინდივიდს, — ამიტომ ერი აქ არაფერ შუაშია, ერის უფლება ტერრიტორიაზედ იურიდიული აბსურდია და დაჩაგრულ ერთა მისწრაფებაც ტერრიტორიის შენახვისა ნიადაგს მოკლებულიაო. — ძლიერ შემცდარია ასეთი შეხედულობა. ჯერ ერთი, არ მოიპოვება არც ერთი სახელმწიფო, რომ იქ ერთი ერი გაბატონებული არ იყოს და ეს ბატონი ერი არა სთელიდეს თავის საკუთრებად როგორც საკუთარ ტერრიტორიას, ისე სხვისას, დაპყრობილ ტერრიტორიას. მისი მთავრობაა გამომხატველი ერის ასეთის შეხედულობისა. როგორც თვით ერი, ისე მისი მთავრობა სცდილობენ „დაპყრობილ" ქვეყანათა „კოლონიზაციასა". მთავრობა სახელმწიფოდ აცხადებს აგრეთვე დაპყრობილი ერის ტერრიტორიის საუკეთესო ნაწილებს. მეორე, — დაპყრობილი ერი შეიძლება ოდესღაც სახელმწიფო ყოფილიყოს და მაშასადამე ჰქონოდეს განსაზღვრულ ტერრიტორიაზედ

სუვერენული უფლება. ამიტომაც, როდესაც იგი განთავისუფლებისათვის იბრძვის, — მას აქვს ყოველთვის გათვალისწინებული განსაზღვრული ისტორიული, ან განსაზღვრულ ეროვნულ ელემენტით დასახლებული ტერრიტორია, რომელზედაც უზენაესი უფლების მოსაპოვებლად იბრძვის, მესამე, — ერს ასისა და ათასის ზღვრით განსაზღვრულ ტერრიტორიაზედ სისხლი უღვრია მისი დაცვისათვის, მეუქმნია განუზომელი ენერგიით საკუთარი კულტურა, და გუშინდელ ?[illegible]ულს რა სამართლით დაუთმობს მიწას, თუ გინდ ფულითაც იყიდოს? — [illegible]ძალადე სახელმწიფოს კანონთა კოდექსზედ აქ უზენაესი ზნეობრივი სამართალი უფრო მაღლა სდგას. რაც შეეხება ინდივიდუალურ უფლებას მიწის საკუთრებაზედ, მართალია, შეიძლება ერთი ერის ადამიანებმა მეორე ერის მიწა-წყალი შეისყიდონ, თუმცა მცირედი ნაწილი, (შეუძლებელია მთელი ტერრიტორიის ყიდვა), მაგრამ ერის ცდაც — არ გაუშვას ხელიდან ტერრიტორია, ყოველთვის არსებობს ასეთ შემთხვევებში და რად უნდა ჩაითვალოს იგი არაკანონიერ მისწრაფებად, — ამას ვერავინ ვერ დაამტკიცებს, პირიქით, ის ერი. ვინც ამ ცდაში უნარს ვერ გამოიჩენს, — სუსტი და უღირსია, იგი პირდაპირ თავს იკლავს, ფეხ-ქვეშიდან ნიადაგს იცლის და ამით ჰკარგავს მომავალში არსებობის უფლებასა: **სამშობლოს მოკლებული ერი ვერასოდეს ვერ გახდება საერთაშორისო სამართლის თვალში დამოუკიდებელ სოციალურ არსად.**—რუდოლფ შპრინგერი თუმცა ზემოხსენებული აზრის არის წმინდა იურიდიულის თვალთახედვით, მაგრამ იგი მაინც აღიარებს ერთა უზენაეს უფლებას განსაზღვრულ ტერრიტორიაზედ, როდესაც ეს უკანასკნელი დასახლებულია ეროვნული ელემენტით. შეუძლებელიც არის სხვა პრინციპი. ერი უსამშობლოდ, უტერრიტორიოდ თითქოს სივრცის გარეშე მდგომია, როგორც უისტორიო ერი თითქოს დროის გარეშე სდგასო. ერის ისტორია, — მისი შემოქმედებაა დროში, ერის სამშობლო, — ნიადაგია ამ შემოქმედებისა სივრცეში; უამისოდ იგი ან ერი არ არის, ან ყოვლად უბედურია, — როგორც ებრაელები, რომელთაც ერთიცა ჰქონდათ და მეორეცა, მაგრამ ორივე დაჰკარგეს. განსაზღვრული სივრციდან განძევება ერისა მას დროშიაც არაისტორიულადა ხდის, უსპობს მომავალ ისტორიას, — და სწორედ ეს საშინელი უბედურება დაატყდათ თავზედ ებრაელებს.

ამგვარად ტერრიტორიის მნიშვნელობა უბრალო სიტყვა არ არის. იგი დიადია და უპირველესი. არც ისტორიულ ტერრიტორიას აქვს უაზრო მნიშვნელობა. ის ნაწილი ტერრიტორიისა, რომელიც ოდნავ შეიძლება სხვა ელემენტით იყოს დასახლებული, მაინც თავის კანონიერ პატრონს ეკუთვნის მართალ სამართლის თვალთახედვით, თუ რასაკვირველია ეროვნული ელემენტი იქ სავსებით არ არის აღმოფხვრილი. თუ იგი ერის ტერრიტორიის ორგანიული ნაწილია. დარჩენილი არის ოდნავ მაინც მისი კულტურა და ისტორიული ნაშთი, თუ ერის გულში მეხსიერება ამ ახლო წარსულისა კიდევ ღვივის, — ერს სრული უფლება აქვს მისი დაბრუნებისა და თავის კულტურის აყვავებისა, თუმცა მისი მოვალეობაა იმ ელემენტთა უფლებათა პატივისცემა, რომელნიც მას დროთა ვითარებაში ჩამოთესლებია. საქართველოს ტერრიტორიიდან ჩამოჭრა ტაოკლარჯეთისა, ლაზისტანისა, სამცხესი, ჯავახეთისა, სომხეთისა იმ მიზეზით, რომ იქ ზოგან ისლამი გაბატონებულა ქართველთა შორის, ზოგან — სომხობა. ბერძნობა და თათრობა ჩამოსახლებულა, ვერ იქმნება იმის არგუმენტი, რომ საქართველოს ტერრიტორია ამ ჩვენ ისტორიულ საზღვრებში არ აღიარონ. აქ ჩვენი მოსახლეობა კიდევ დარჩენილა, დარჩენილა ჩვენი ისტორიული ნაშთები, ჩვენი კულტურა აქ ყვავოდა, იგერ ახლა, ახლო წარსულში, ჩვენ ისტორიულ მეხსიერებაში ეს ნაწილები მჭიდროდ არის ჩაქსოვილი და იქ დასახლებულ უცხო

ელემენტებს არავითარი პრეტენზიის წამოყენების უფლება არა აქვსთ, გარდა მათ უფლებათა ჩვენ მიერ პატივისტემისა. ეს ტერრიტორია ჩვენი ორი ათასის წლის საკუთრებაა, და სრული უფლება გვაქვს იქ ხელ-ახლა ავაყვავოთ საქართველო. ჩვენ იგი გვჭირდება, და იმ მიზეზით, რომ იგი ისტორიულმა ბედმა წაგვგლიჯა დროებით, ახლო წარსულში, — ვერ დავსთმობთ ამ საჭიროებასა.

მაგრამ, სხვა არა იყოს რა, განა ფაქტი არ არის, რომ საერთაშორისო სამართალი მხოლოდ მაშინ იღებს თავის სფეროში განთავისუფლებულ ერს, თუ მას ტერრიტორია აქვს? სულ სხვაა, როგორ განსაზღვრავს ერი თავის ტერრიტორიის საზღვრებსა. ეს მისს სინიდისზედა და მის ხმლის ძალაზედ არის დამოკიდებული. ერი კი, რომელსაც არც სამშობლო აქვს და არც ტერრიტორია, ვერც განთავისუფლდება და ვერც ვერავითარ მოთხოვნას წარუდგენს საერთაშორისო სამართალსა. მართალია, უზენაესმა, იდეალურმა საერთაშორისო სამართალმა უტერრიტორიო ერის მფარველობაც უნდა იკისროს, მაგრამ დღეს მომქმედი საერთაშორისო სამართალი არა თუ უტერრიტორიო ერს, არამედ ტერრიტორიის მქონე ერებსაც არ უწევს მფარველობას, თუ არ განთავისუფლდნენ და სახელმწიფოები არ დააარსეს სივრცის განსაზღვრულ ნაკვეთზედ.

მაგრამ კაცობრიობის სინამდვილის მორწმუნეთ კიდევ აქვსთ არგუმენტები თავიანთ აზრის დასამტკიცებლად. სამშობლო, ერი, ხალხი — მათთვის სოციალურნი სინამდვილენი არიან, მაგრამ კაცობრიობაც იმავე სინამდვილეს წარმოადგენს, რადგანაც დღეს საერთაშორისო სამართლის არსებობა — ფაქტია: იგი აწესრიგებს კაცობრიობის ნაწილთა შორის განწყობილებათა. ზოგნი კიდევ მომავალ კაცობრიობის ორგანიზაციაში ეძებენ კაცობრიობის სოციალურ სინამდვილეს: — თუ აწმყოში არა, მომავალში ხომ კოსმოპოლიტიზმი ნამდვილ, ჰყოფს კაცობრიობას სოციალურადაო.

ეს არგუმენტები შემდეგ თავებში განვიხილოთ. განვიხილოთ ჯერ თუ როგორ უყურებს დღეს ერებს, სამშობლოებს მომქმედი საერთაშორისო სამართალი, ან როგორ უნდა უყურებდეს მათ იდეალური საერთაშორისო ზნეობა და მართალი სამართალი.

თავი მერვე

საერთაშორისო სამართალი და კაცობრიობა

ბევრი სპეციალისტი საერთაშორისო სამართლის მეცნიერებისა არ მიიღებს იმ გვარ შეხედულებას ერისა და კაცობრიობის შესახებ, როგორიც ჩვენა გვაქვს გატარებული. როგორ, კაცობრიობა არ არსებობს? — მაშ რა არის საერთაშორისო სამართალი, რომელმაც ლამის არის მთელ დედა-მიწის ზურგზედ მცხოვრები მილიარდ ნახევარი ადამიანი ერთ საზოგადოებად გარდაქმნას? მაშ რა არის ეს უკვე არსებული საზოგადოება სახელმწიფოთა, რომელთა შორის მოქმედებს ის იურიდიული წესები, რომლის სუმმაც წარმოადგენს საერთაშორისო სამართალსა? ერიც განა წარმოსადგენია უსახელმწიფოდ? — იტყვის მაგალითად ბლუნჩლი. აგრეთვე არც ერთი ფანატიკოსი სოციალისტი არ დაგვეთანხმება — კაცობრიობა არ არსებობსო, ვინაიდან მისი რწმენაა, მისი იდეალია, რომ შედარებით ახლო მომავალში მთელი კაცობრიობა წარმოადგენს ერთ დიდ სოციალურ რესპუბლიკას.

ამ უკანასკნელ უტოპიაზედ შემდეგ ვილაპარაკებთ, ეხლა კი გავარჩიოთ,

რამდენადა ჰქმნის საერთაშორისო სამართალი კაცობრიობას საზოგადოებად, ერთ დიდ სოციალურ ორგანიზმად, ერი და სახელმწიფო რომ ერთი და იგივე არ არის, ამაზედ უკვე ვილაპარაკეთ. ჩვენ პირდაპირ უარ-ვყოფთ, რომ საერთაშორისო სამართალს შეეძლოს მთელი კაცობრიობის გარდაქმნა ერთ დიდ საზოგადოებად, და აი ამის საბუთები: 1) საერთაშორისო სამართალი, როგორც ერთი დარგი სამართლისა, არ არის ისეთის ხასიათისა, როგორისაც არის სამართალი, მომწესრიგებელი ადამიანთა ყოფა-ქცევისა განსაზღვრულ საზოგადოებაში: სამართლის მდებელი საზოგადოებაში და სახელმწიფოთა საზოგადოებაში ერთისა და იმავე ავტორიტეტის არ არის; სამართალი ყოველნაირ ძალით, უუსასტიკესითაც კი ამტკიცებს თავის არსებობას იმ წამამდის, სანამ ახალი სამართალი სრულიად არ დაიპყრს მის ადგილს; საერთაშორისო სამართალს კი ასეთი თვისება არა აქვს. მაშასადამე იგი, როგორც სამართალი, თავის თავად ზრ არის ისეთის ორგანიულის თვისებისა, როგორისაც სამართალი, მომქმედი განსაზღვრულ კონკრეტულ საზოგადოებაში. 2) საერთაშორისო სამართალი, როგორც მომწესრიგებელი სახელმწიფოთა შორის განწყობილებათა, ეკუთვნის უკვე მოწესრიგებულ სახელმწიფოებს, განსაკუთრებით ევროპისა და ამერიკის სახელმწიფოებს, ნაკლებად აზიისას, რამოდენიმედ მხოლოდ აფრიკისას, დანარჩენი კაცობრიობა კი ან არსებულ დიდ სახელმწიფოთა ფარგალში შედის, ან და მათ მიმართ საერთაშორისო სამართალი ისე არ მოქმედებს, როგორც, მაგალითად, ინგლისის ან გერმანიის მიმართ 3) საერთაშორისო სამართალი არ არის ერთა შორის განწყობილებათა მომწესრიგებელი, არამედ სახელმწიფოთა შორის მომწესრიგებელი სამართალი. ერსა და სახელმწიფოს შორის კი დიდი განსხვავებაა. 4) კიდევაც რომ მოსალოდნელი იყოს მომავალი ნამდვილი საერთაშორისო სამართლის განხორციელება, იგი ვერ შექმნის მთელ კაცობრიობისაგან ერთს დიდს სოციალურ ორგანიზმს, რადგანაც სამართალი თავისთავად და კერძოდ საერთაშორისო სამართალი მხოლოდ ერთი მოვლენაა საზოგადოებრივობისა სოციალურ მოვლენათა კლასსიფიკაციის მიხედვით. იგი ვერ ამოსწურავს სოციალურ ორგანიზმის სრულ საზოგადოებრივობას. 5) თვით სახელი „საერთაშორისო სამართალი" მიგვითითებს იმაზედ, რომ არსებობს ცალკე სოციალური ორგანიზმები, რომელთა შორისაც მოქმედებს ეს სამართალი. ერთი საკაცობრიო საზოგადოება რომ არსებობდეს, მაშინ საერთაშორისო სამართალი აღარ იქმნებოდა. თვით განსაზღვრა საერთაშორისო სამართლისა წინააღმდეგია საკაცობრიო საზოგადოებისა. საერთაშორისო სამართლისაგან საკაცობრიო საზოგადოების შექმნა, მაშასადამე, — შინაგანი წინააღმდეგობაა. თანამედროვე კაცობრიობა, მაშასადამე, ერთი სოციალური ორგანიზმი კი არ არის, არამედ უბრალო სუმმა ცალკე სოციალურ ორგანიზმთა, რომელნიც სულ სხვა და სხვა განვითარების საფეხურზედა სდგანან: სუმმა ერთა, ხალხთა, თემთა და სხვათა, ანუ საერთაშორისო სამართლის მხრით,—გროვა სახელმწიფოთა, კოლონიათა, საპროტექტორატო ხალხთა, აღმოჩენილ ქვეყანათა, მფლობელობათა და სხვ., სადაც ამ საერთაშორისო სამართალმა წეს-რიგი უნდა შეიტანოს. ყოველივე ამის დამტკიცებას ვეცდებით ამ თავში.

მკაფიოდ და მარტივად რომ განვსაზღვროთ სამართალი, იგია „იმ ვალდებულებათა კრებული, რომელთა აღსრულებასაც შესაძლებელია აიძულებდეს ადამიანებს მომწესრიგებელი ძალა მთელი საზოგადოებისა". ეს არის „წმინდა სამართალი", მაგალითად იურისტ ედმონდ პიკარის აზრით, და შტამლერის კონცეპციაც სამართლისა თითქმის იგივეა. ასეთია ხასიათი სამართლისა, როდესაც იგი ერთი ორგანიული ნაწილთაგანია მთელი საზოგადოებრივი ორგანიული

ცხოვრებისა. ამიტომაც სწორად არის განსაზღვრული საზოგადოებაში პირი სამართლისა. საგანი სამართლისა და განწყობილება მათ შორის. ამიტომაც ყოველ სახელმწიფოში ნახავთ გარკვეულ კანონმდებლობასა, — კანონმდებელსა, საგანს კანონმდებლობისას და იმ ელემენტს, რომელსაც შეეხება კანონმდებლობა. საერთაშორისო სამართალს კი ჯერ სრულიადაც არა აქვს ასეთი გარკვეული ხასიათი.

მაგალითად — სად არის საერთაშორისო კანონმდებელი საერთაშორისო სამართალისა? არ შეგვიძლია კანონმდებლობის ნამდვილი როლი მივაწეროთ საერთაშორისო კონგრესსებს და კერძო ხელშეკრულებათ სახელმწიფოთა შორის. თუმცა მათ აქვსთ ასეთი ტენდენცია, მაგრამ არ აღსრულება დადებულ პირობათა ისეთს რეაქციას არ იწვევს სოციალური ძალის მხრით პირობის დამრღვეველის წინააღმდეგ, როგორც ეს ხდება განსაზღვრულ სახელმწიფოში. ეს იმიტომ, რომ ამისათვის არავითარი უნივერსალური სოციალური ძალა არ არსებობს, როგორც ამბობს ბლუნჩლი. დიპლომატიური მოლაპარაკებანი და სადაო საკითხების მოგვარება, ომი, ან დათმობა ერთი სახელმწიფოსი მეორეს წინაშე, ყოველივე ამას აქვს ნამდვილ სამართლის ხასიათის რაღაც მსგავსი, მაგრამ ისეთი არა, როგორც ნამდვილ სამართალსა აქვს კონკრეტულ სახელმწიფოში. ინდივიდი საზოგადოებაში გარკვეულად ემორჩილება განსაზღვრულ ნორმებს, სახელმწიფო კი „სახელმწიფოთა საზოგადოებაში“ ასე არავის არ ემორჩილება. მისი მოქმედება ჯერ არ არის სრულიად მოწესრიგებული, მისი სამართალი ჯერ კიდევ ბარბაროსულ ძალადობის ხანაშია. ამას მოწმობს საზოგადოებათა შორის განუწყვეტელი ომები. სხვა რომ აღარაფერი იყო შესაძლებელი ამ „სახელმწიფოთა საზოგადოების“ წევრთა თვითნებობის ასალაგმავად, თვით ომი მოაწესრიგეს, რომ იგი ერთობ ვერაგული და მხეცური არა ყოფილიყო, მაგრამ სწორედ ეს გარემოება გვიჩვენებს, თუ რამდენად განუვითარებელია საერთაშორისო სამართალი. სად გაგონილა, რომ კერძო საზოგადოებაში კაცის კვლა აღიარებული იყოს პრინციპიალურად და მოწესრიგებული, როგორც ბუნებრივი და აუცილებელი მოვლენა. მკვლელი ნამდვილი სამართლის სფეროში ან ისჯება, ან ეპატიება ძლიერ იშვიათ შემთხვევაში, როდესაც მართლაც განსაკუთრებულმა პატივ-სადებმა პირობებმა აიძულა იგი ჩაედინა სამართლის წინააღმდეგი საქმე.

ნამდვილ სამართალს ისეთი ხასიათი აქვს, რომ უკანასკნელ წუთამდე იცავს თავის არსებობას, სანამ ახალი სამართალი არ დაიჭერს ფაქტიურად მის ადგილს. სად არის საერთაშორისო სამართალში ისეთი გარკვეული ნორმები, რომ უკანასკნელ მომენტამდი დაიცვას თავი და ფაქტიურად მოქმედებდეს? პირიქით, ხშირი მოწამენი ვართ მუდმივ დარღვევისა სწორედ იმ საერთაშორისო კონგრესსების დადგენილებათა, რომელნიც ნაყოფნი იყვენ სახელმწიფოთა მოლაპარაკებისა და შეთანხმებისა. ჰაგის კონფერენცია, მშვიდობიანობის დასამკვიდრებლად მოწვეული, უთვალსაჩინოესი მაგალითი იყო ამისი: მას შემდეგ არ იყო ომი ინგლისისა და ბურებისა, ჩინეთისა და ევროპიელებისა, რუსეთისა და იაპონელებისა და სხვ.?

ბლუნჩლი ამბობს: „ეჭვს გარეშეა, რომ ფრიად და ფრიად საჭიროა საერთაშორისო კანონები; გონებრივად უკვე მზად არიან გამოჰხატონ კანონის ფორმით საერთაშორისო პრინციპები. მხოლოდ ყველასაგან აღიარებული კანონმდებელი გვაკლია. ყოველ ცალკე სახელმწიფოში კონსტიტუციამ შექმნა ცალკე ორგანო, გამომხატველი მთელი სახელმწიფოს ნებისა, შეჰქმნა კანონმდებელი. მაგრამ სად ვნახოთ ისეთი მსოფლიო კანონმდებელი, რომლის ხმასაც ყველა ხა-

ხელმწიფო გაიგონებს და რომლის ბრძანებასაც დაემორჩილება ყველა ერი? მთელი ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს დაწესება გულისხმობს მთელი ქვეყნის ორგანიზაციას, სწორეთ ეს კი არ არსებობს. შეიძლება ოდესმე განხორციელდეს ეს დიადი იდეა; შეიძლება მან ოდესმე შექმნას ცენტრალური ორგანიზაცია კაცობრიობისა; ეს უკანასკნელი აგრეთვე დაყოფილი იქმნება ერებად და სახელმწიფოებად, მაგრამ მაინც ექმნება საერთო ნება, აღიარებული ყველასაგან. წარსული გვიჩვენებს, თუ როგორ მოაწყვეს ხალხებმა თან და თან გაერთიანებული სახელმწიფონი, ამწყო გვაგრძნობინებს, ჰბადებს აზრს, რომ კაცობრიობა მარტო ბუნებითი თვალთსაზრისით კი არ წარმოადგენს ერთობას, არამედ მას აქვს საერთო პრინციპები, რომელსაც ერთ დღეს ყველა აღიარებს. თუ მთელი კაცობრიობა ოდესმე ერთ ორგანიზაციად იქცა, მაშინ იქმნება საერთო, მსოფლიო კანონმდებელი, მსოფლიო კანონი, მომწესრიგებელი უფლებათა და ვალდებულებათა სხვა და სხვა სახელმწიფოთა შორის და აგრეთვე მთელ კაცობრიობის მიმართ. ეს იქმნება ისეთივე გარკვეული და ნათელი, აგრეთვე ისეთისავე ძალის მქონე კანონები, როგორიც არის ეხლანდელი კანონები, მომწესრიგებელი პიროვნებათა საურთიერთო და რომელიმე სახელმწიფოსადმი განწყობილებათა. (Le Droit International, Codifié, cité par E. Nys, Le Droit International, p. 175—179) ბლუნჩლის ეს სიტყვები საუკეთესო არგუმენტია კაცობრიობის სოციალურ არსებობის წინააღმდეგ. ბლუნჩლისა სწამს, რომ მომავალი კაცობრიობა ერთს სოციალურ ორგანიზმს წარმოადგენს, — ეს სულ სხვაა, — მაგრამ იგი პირდაპირ უარჰყოფს მისს სოციალურ არსებობას აწმყოში, მიუხედავათ საერთაშორისო სამართლის არსებობისა. მასა ჰგონია, რომ მომავალში შესაძლებელია ასეთი მსოფლიო ორგანიზაციის შექმნა და მისი დამახასიათებელი იქმნება, სხვათა შორის ერთი კანონმდებელი, მაგრამ ჩვენი აზრით ბლუნჩლი საზოგადოდ შემცდარია საზოგადოების ვითარების შესახებ და ამიტომა ჰგონია ერთი კანონმდებელი საკმარისი მომავალ საკაცობრიო საზოგადოების განსახორციელებლად. იგი თვითონვე არ აღიარებს, რომ მომავალშიაც კაცობრიობა სახელმწიფოებისაგან და ერებისაგან შესდგება ისევაო? ეს კი — პირდაპირ უარ-ყოფაა კაცობრიობის ერთ ორგანიულ-სოციალურ არსებობისა, — რადგანაც მარტო სამართალი არა ჰქმნის საზოგადოებრივ ორგანიზმსა, არამედ სამართალთან ერთად დანარჩენი ექვსი სოციალური მოვლენა, ჩვენი კლასსიფიკაციის მიხედვით, და უმთავრესად აგრეთვე ენა.

ყოველ შემთხვევაში ეხლანდელი საერთაშორისო სამართალი არ არის ისეთი გარკვეული და ისეთი ნათელი, როგორც სამართალი კონკრეტულ საზოგადოებათა, და ამიტომ იგი, მთელ ქვეყანაზედაც რომ იყოს თანასწორად მომქმედი, მაინც ვერ შექმნის კაცობრიობისაგან ერთ დიდ საზოგადოებას, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საერთაშორისო სამართალი მაინც სამართალია. შესანიშნავი მეცნიერი საერთაშორისო სამართლისა ერნესტ ნისი სამართლიანად ამბობს, რომ მიუხედავად გაურკვეველი კოდიფიკაციისა, იგი მაინც ცხოველი, მომქმედი სამართალიაო. საშუალო საუკუნეთა სამართალს არა ჰქონია ისეთი გარკვეული ხასიათი, ისეთი კოდიფიკაცია, როგორც თანამედროვე სახელმწიფოთა სამართალს, მაგრამ ამიტომ ის უნდა ვსთქვათ, რომ საშუალო საუკუნოებში სამართალი არ იყოო?

ჰეშმარიტებას ამბობს ერნესტ ნისი, მაგრამ საერთაშორისო სამართალი განა მარტო იმიტომ ვერა ჰქმნის საერთო საკაცობრიო საზოგადოებას, რომ იგი

გარკვეულ, ძალდატანებით სამართლის ვითარებას ფრიად და ფრიად მოკლებულია და ცალკე ინდივიდები „სახელმწიფოთა საზოგადოებისა“ არ ემორჩილებიან გარკვეულ კანონმდებლობას; იგი ვერა ჰქმნის ერთ საკაცობრიო საზოგადოებას იმიტომაც, რომ მას მთელი სერია აქვს სხვა ნაკლთა, რომელთა განხილვის შემდეგ უეჭველი იქმნება უძლურება საერთაშორისო სამართლისა საკაცობრიო საზოგადოების შექმნის მხრით. ამას ეხლავ დავინახავთ.

საერთაშორისო სამართალი არა ვრცელდება მთელ დედამიწის ზურგზედ ერთისა და იმავე ძალით, ერთისა და იმავე უფლებრივი სამართიანობითა, „სახელმწიფოთა საზოგადოება“ არ შესდგება ერთისა და იმავე ხარისხის მქონე სახელმწიფოთაგან, არამედ სხვა და სხვა განვითარებისა და ძალის მქონე სახელმწიფოთაგან. მართალია, ფორმალური მხრით ინგლისსა და მონტენეგროს თანასწორი ხმა აქვსთ საერთაშორისო კონგრესსებზედ, მაგრამ ეს მხოლოდ ფიქციაა, ნამდვილად კი უმეტეს შემთხვევაში ძლიერი სახელმწიფოების ხელშია მთელი საერთაშორისო სამართალი, უფლება და ძალა.

ეს მოვლენა მეტ-ნაკლებობისა სახელმწიფოთა შორის კულტურულ სახელმწიფოებსაც ახასიათებს; რაც შეეხება კი ეგრედ წოდებულ უკულტურო ხალხებს, ან ჩამორჩენილებს, ან დასუსტებულ სახელმწიფოებს, განსაკუთრებით აზიაში და აფრიკაში, — აქ ხომ ყოველ დღე ვართ მოწამენი საერთაშორისო სამართლის უსამართლობისა. აქ საერთაშორისო სამართლის პრინციპები პირდაპირ დათრგუნვილია. „სახელმწიფოთა საზოგადოება“ ერთგვარად არ ეპყრობა თავის შვილებს. მათ შორის თანასწორობა ფიქციაა და მხოლოდ სიძლიერის მიხედვითა სცემს პატივს საერთაშორისო სამართალი თვითოეულს მათგანს. უბრალო სამართალი ამ მხრით გაცილებით უფრო სამართლიანია.

ერნესტ ნისის სიტყვით საერთაშორისო სამართალი—ნაყოფია ევროპის გენიოსობისა. ევროპა კი ერთი უმცირესი ნაწილია კაცობრიობისა.

აი, ამ უმცირეს ნაწილში დაიბადა და აღორძინდა ცნება საერთაშორისო სამართლისა, რადგანაც ეს ადგილი იყო კურთხეული აკვანი თანამედროვე ცივილიზაციისა, — განსაკუთრებით ევროპის სამხრეთი ნაწილი, — ხმელთა შუა ზღვის ნაპირას მდებარე ადგილები.

საშუალო საუკუნოებში, მე-XII და მე-XIII საუკუნოებში, როდესაც სამხრეთ ევროპაში ძლიერ განვითარდა მოქალაქობრივი ცხოვრება მრავალნაირ სოციალურ ორგანიზმთა, — ქალაქთა, ქალაქთა ფედერაციებისა, — აღმოცენდა საერთაშორისო სამართალი და მას შემდეგ იგი ვითარდება თანდათანობით. იგი გარდმოეცა თანამედროვე სახელმწიფოს, მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნეში შეჰკრა ჯერ ევროპის სახელმწიფონი მცირეოდენი სიმტკიცით მაინც. რუსეთი მხოლოდ მეთვრამეტე საუკუნის დამდეგს შევიდა ამ „სახელმწიფოთა საზოგადოებაში“, რომლის ცნებაც უკვე დაიბადა მიუნსტერში, 1648 წელს, ვესტფალიის ზავის დროს. მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში კი ძლივს ოსმალეთიც შევიდა ამ „საზოგადოებაში“. აგრეთვე ამავე დროს ამერიკის კულტურული სახელმწიფოები შედიოდნენ სახელმწიფოთა საზოგადოებაში. მას შემდეგ თანდათან შედის ყველა სახელმწიფო ამ „საზოგადოებათა საზოგადოებაში“ და ამგვარად საერთაშორისო სამართალი სცდილობს მოაწესრიგოს მთელი მილიარდ-ნახევარი ადამიანის საერთი-ერთო განწყობილებანი.

რომ განვიხილოთ ისტორია საერთაშორისო სამართლისა მე-XII და მე-XIII საუკუნიდან აქამდე რამდენი საბუთი შეგხვდება იმისი დამამტკიცებელი, რომ მთელ კაცობრიობას კი არა, არამედ მის უმცირეს ნაწილსაც არ ეხებოდა იგი. ქრისტიანობის მეფობის დროს საერთაშორისო სამართალს არ სწამდა მუსულ-

მანთა უფლება, ცოდვა იყო რაიმე ხელ შეკრულების დადება ურჯულოებთან, ოსმალეთის სულთანებთან კერძოდ. ახალ დროში კი რამდენი ბრძოლა იყო საჭირო, სანამ საერთაშორისო სამართალი აღიარებდა ეგრედ წოდებულ არა კულტურულ ერთა ტერრიტორიის დაპერას კულტურულ სახელმწიფოს მიერ მხოლოდ თვით ამ „უკულტურო“ ხალხთა თანხმობითა. მაგრამ ისიც ხომ კარგად ვიცით, თუ რა არის ეს „თანხმობა“, როგორი მოტყუებით ჰყიდულობენ მას ევროპიელები, როგორა სცემენ პატივს ადგილობრივ მცხოვრებთა უფლებებს, რაღაი მათ ბინაზედ დამკვიდრდებიან, და სხვა.

მაგალითად აფრიკაში, პორტუგალელთა სამფლობელოში, დღეს მონობაც კი არსებობს, და საერთაშორისო სამართალს ვერა გაუწყვია რა. პორტუგალელი პლანტატორები ზანგებს თითქოს თავისუფალი კონტრაქტით ეკვრიან, როდესაც მათ პლანტაციებზედ სამუშაოდ ჰქირაობენ, ნამდვილად კი ამ კონტრაქტის შემდეგ ზანგი მუშა ხდება პორტუგალელ პლანტატორის ისეთსავე მონად, როგორიც იყო ერთ დროს ამერიკის პლანტაციებზედ (იხ. **H. W. Nevinson, A. Modern Scavery).**

საერთაშორისო სამართალი წინად ისეთ სოციალურ ორგანიზმთა შორის განწყობილებას აწესრიგებდა, რომელთაც ჰქონდათ დამოუკიდებელი, ორგანიული, მთლიანი არსებობა, — ქალაქი იყო იგი, ფედერაცია ქალაქთა, სავაჭრო რესპუბლიკა, ფეოდალური სამეფო თუ თვით პაპობაც. რამდენადაც ვიწრო ან ფართო იყო მათი სოციალური ცხოვრება, ან რამდენადაც მცირე-რიცხოვანი ან მრავალ-რიცხოვანი იყო ეს სოციალური ორგანიზმები, ამის თანახმა საერთაშორისო კავშირი არსებობდა მათ შორის, — ურთი-ერთისათვის საჭიროებათა და თვითოეულ მათგანის სიძლიერის ან სისუსტის მიხედვით. მაშინდელ საერთაშორისო სამართალსაც უფრო შემთხვევითი, საჭიროებისაგან გამოწვეულ მორიგებათა ხასიათი ჰქონდა.

რასაკვირველია ევროპის გარდა სხვაგანაც იყო ასეთი საერთაშორისო სამართალი. თუ ე. ნისი მის შექმნას ევროპის გენიოსობას აწერს, ეს იმ აზრით, რომ მხოლოდ ევროპაში შექმნილმა საერთაშორისო სამართალმა დაიპირა ეხლა ადგილი მსოფლიო საერთაშორისო სამართლისა, რადგანაც ევროპაში აღმოცენდა თანამედროვე ძლიერი ეკონომიური და სამხედრო სახელმწიფო; მას გარდმოეცა ძველი ევროპის საერთაშორისო სამართალი, რომელიც ეხლა აწესრიგებს თანამედროვე „სახელმწიფოთა საზოგადოების“ სახელით ყველა ქვეყნის სახელმწიფოების საურთი-ერთო განწყობილებათა.

თანამედროვე საერთაშორისო სამართალი მოქმედებს უპირველეს ყოვლისა სუვერენიტეტის მქონე სახელმწიფოთა შორის. გარდა ამისა, რაც არ უნდა ილაპარაკონ დიდ და პატარა სახელმწიფოების თანასწორობაზედ საერთაშორისო სამართლის წინაშე, დიდი სახელმწიფოები და მათი კოალიაცია მაინც უმაღლესი კანონმდებელნი არიან დანარჩენი კაცობრიობისა, რომელსაც იგინი სჩაგრავენ, მაგრამ მასთან ერთად ერთ განუყოფელ სოციალურ ორგანიზმს არასდროს არ წარმოადგენენ. მეცხრამეტე საუკუნეში ევროპა ბატონობდა მთელ ქვეყანაზედ, მის პირველ ნახევარში ეგრედ წოდებული ევროპიული კონცერტი ბატონობდა მთელ ევროპაში. ნაპოლეონისაგან განდიდებულ საფრანგეთის შიშით ევროპის დიდი სახელმწიფოები — ინგლისი, ავსტრია, გერმანია და რუსეთი — ერთმანეთს პირობით შეეკვრენ, დაეცვათ „ევროპისა და ქვეყნის მშვიდობიანობა“ საფრანგეთისაგან, და ეს „წმინდა კავშირი“ ისე ბოროტად, ისეთის რეაქციისათვისა და საშინელი დესპოტიზმისათვის გამოიყენეს, რომ

არა თუ საერთაშორისო სამართლის პრინციპი, არამედ სახელმწიფოთა შორისო სამართლის პრინციპიც ძირიან-ფესვიანად უარ ჰყვეს. როგორც ნადავლს, ისე ინაწილებდნენ ერთმანეთში ხალხებსა, ერებსა და სახელმწიფოებს.

ეხლა საერთაშორისო სამართალი ევროპისა, ამერიკისა და აზიის დიდ სახელმწიფოთა შორის ქვეყნის განაწილების მოსამსახურეა უპირველეს ყოვლისა. დანარჩენი პატარა სახელმწიფოები, თუმცა იგინიც არიან აღიარებულნი „ძალებად", თანასწორებად დიდ სახელმწიფოთა, მაგრამ მართლაც ნამდვილი ძალა უნდა გამოიჩინონ, როგორც ამ უკანასკნელად ბოლგარიამ, რომ თავისი საკუთარი უფლება დაიცვან. წინააღმდეგ შემთხვევაში ან ომი ბუმბერაზ სახელმწიფოსთან, — ომი, რომელიც აღიარებულია და მოწესრიგებული თვით საერთაშორისო სამართლის მიერ, ან ჩაჩუმება და ყოველივე შეურაცხყოფის ჩაყლაპვა, ‚ბათრგუნვა' თავისივე უფლებისა, როგორც ეს დაემართა ამ უკანასკნელად სერბიასა და თვით დიდ რუსეთსაც, ძალამიხდილსა და განადგურებულს, რომელსაც ‚ვეღარავითარმა საერთაშორისო „სამართალმა" ვეღარ უშველა, როცა უძლურება შეატყეს მეტოქეებმა. რაც თუ გინდ მხეცური იყოს სამართალი რომელიმე კერძო სოციალურ ორგანიზმისა, მას პრეტენზია მაინც აქვს სუსტს და არა ძლიერს გაუწიოს მფარველობა სამართლიანად. საერთაშორისო სამართალში ეს არ არის, ან თუ არის — ისიც რომელიმე დიდი სახელმწიფოს ინტერესით გამოწვეული.

სად არის ყოველივე ამაში ნიშან-წყალიც კი ერთი საკაცობრიო საზოგადოების არსებობისა, — მისს წევრთა უფლება და ვალდებულება მკაფიოდ რომ იყოს განსაზღვრული!..

სახელმწიფონი არიან სუვერენიტეტის მქონე — სრულიად დამოუკიდებელნი, ვასსალები და პროტექტორატის ქვეშე მყოფნი. დიდ დამოუკიდებელ სახელმწიფოთაგან არიან დამოკიდებულნი ორი უკანასკნელი კატეგორიის სახელმწიფონი და ხშირად ეს დამოკიდებულება მათის პოლიტიკურის სიკვდილით თავდება ხოლმე. მაგალითისთვის შორს რაღად ვირბინოთ. საქართველო ასეთნაირად არ მოჰკლა რუსეთმა? ჩვენ პროტექტორატი ვსთხოვეთ, სუვერენიტეტის უფლებანი უარ-ვყავით და მას გადავეცით, ნაცვლად მოზღვავებულ მტერთაგან მფარველობა ვითხოვეთ, მან კი თავის სახელმწიფო ორგანიზმში ჩაგვყლაპა და ამით არა თუ კაცობრიობის გაერთიანებას შეუწყო ხელი, არამედ უარ-ჰყო თვით ის საერთაშორისო სამართალი, რომლის სახელითაც კაცობრიობა გამოჰყავსთ ერთ საზოგადოებად და რომლის წესითაც ჩვენ მასთან სრულიად კანონიერი ხელშეკრულობა დავსდევით!

ვასსალობა შეიძლება მხოლოდ ერთ სახელმწიფოს წინაშე. პროტექტორატის აღიარება კი შეიძლება როგორც ერთი სახელმწიფოსი, ისე მრავალთა, — მაგალითად შეიძლება საერთაშორისო პროტექტორატის ქვეშე ყოფნა.

მაგრამ როგორიც უნდა იყოს კლასსიფიკაცია სახელმწიფოთა, როგორიც უნდა იყოს აგრეთვე ფორმა პროტექტორატისა და ვასსალობისა, ყოველ სახელმწიფოს, სუვერენიტეტის მქონესაცა და დამოკიდებულსაც, აქვს შემოხაზული საზღვრები და ამ საზღვრებში მოქმედებს სამართალი ერთი რომელიმე სახელმწიფოსი, ან გაბატონებული სახელმწიფოსი დამოკიდებულ სახელმწიფოებზედ. იგი სხვას არ ეხება და არ აწესრიგებს.

ამ საზღვრებში კი მოთავსებულია არა მარტო განსაზღვრული სახელმწიფოები, არამედ მრავალი სხვა და სხვა საფეხურზედ მდგარი საზოგადოებრივი ორგანიზმი.

შესაძლებელია კლასსიფიკაცია ორგანიზმთა საზოგადოდ:

ორგანიზმები მარტივი, საშუალო რამ მცენარეთა და ცხოველთა; ორგანიზმები მცენარეთა; ორგანიზმები ცხოველთა; ორგანიზმები საზოგადოებრივი. ამასთანავე შესაძლებელია კლასიფიკაცია თვითოეულ ამ დიდ ჯგუფთა ორგანიზმებისა. შესაძლებელია მაშასადამე კლასიფიკაცია საზოგადოებრივ ორგანიზმთა. ესენიც არიან საზოგადოებრივი ორგანიზმები: ველურ თემთა, თემთა კავშირთა და სხვა. ერი, ანუ სახელმწიფოს მქონე ერი, რომელსაც შეუძლია იმპერიად იქცეს.

კაცობრიობა, თუ ერთი დიდი საზოგადოებრივი ორგანიზმი არა, ერთფეროვანი სოციალობა მაინც იქმნებოდა, — რომ დაახლოვებით ერთგვარ სოციალურ ორგანიზმთაგან იყოს შემდგარი. მაგრამ ამას ნამდვილად ვერა ვხედავთ. კაცობრიობაში სულ სხვა და სხვანაირი სოციალური ორგანიზმებია.

საერთაშორისო სამართალი კი აწესრიგებს უმეტეს ნაწილად სახელმწიფოთა შორის განწყობილებათა, და მისთვის კიდევ უფრო საინტერესოა მოწესრიგება განწყობილებათა დიდ იმპერიებს შორის, რომელნიც შეიცავენ უმეტეს ნაწილად ძალით მითვისებულ კაცობრიობის სულ სხვა და სხვა გვარ ნაწილთა, აი ამ ნაწილთა შორის ვერა ვხედავთ ვერავითარ საერთაშორისო მოწესრიგებას. მაგალითად, სად არის საერთაშორისო განწყობილება აფრიკის მცხოვრებთა შორის და პოლონელთა შორის? — არის საერთაშორისო განწყობილება რუსეთსა და ინგლისს შორის, რამდენადაც **საზოგადოებრივი** განწყობილებანი არსებობენ რუსეთისა და ინგლისის სახელმწიფოთა შორის, და არა რამდენადაც ინგლისის ყველა ხალხებსა და რუსეთის ყველა ხალხებს აქვსთ ან ესაჭიროებათ ურთი-ერთ შორის განწყობილებანი.

წარსულ და ამ უკანასკნელ საუკუნეთა განმავლობაში, მართალია, ყველა სახელმწიფო შევიდა საერთაშორისო სამართლის სფეროში, ყველანი არიან წევრნი „სახელმწიფოთა საზოგადოებისა". მართალია ერნესტ ნისი, რომელიც ამბობს: „რაოდენობა დედამიწის ზურგზედ მცხოვრებ ადამიანთა უდრის ერთ მილიარდ ხუთას ორმოცდა ათ მილიონზედ მეტს; კულტურული ადამიანი, ბარბაროსი თუ ველური, — ყველანი ემორჩილებიან ურთი ერთ განწყობილებაში სამართლის ნორმებს". — ამით იწყებს ერნესტ ნისი თავის წიგნის, — Le droit International-ის შესავალს. დიახ, მართალია, — ყველანი ემორჩილებიან სამართალს, მაგრამ ის კი არ არის მართალი, რომ ყველანი ემორჩილებოდნენ **საერთაშორისო სამართალს**. ამ უკანასკნელს ემორჩილებიან, ისიც სუსტად, მხოლოდ სახელმწიფონი, მილიარდ-ნახევარი ადამიანი კი — სრულიადაც არა. მრავალი მათგანი უცხოსაგან ძალით შემოტანილ სამართალს ემორჩილება, იგი უმოქმედო მასალაა დიდ სახელმწიფოთა საერთაშორისო სამართლისა, თორემ ამ მილიარდ-ნახევარ ადამიანთაგან მრავალგვარ სოციალურ ორგანიზმებს არავითარი ორგანო არა აქვსთ სხვა მსგავს ორგანიზმებთან საერთაშორისო კავშირის დასაჭერად, რადგანაც ისინი ძალით არიან ჩამწყვდეულები სხვა, უცხო სახელმწიფოებში, რომლებიც მათ საერთაშორისო კავშირზედ კი არა ზრუნავენ, არამედ თავის მთავარ **ერებზედ**: ინგლისი — ინგლისის ერზედ და არა ინდოეთზედ, რუსეთი — რუსის ერზედ და არა პოლონეთზედ, ან საქართველოზედ. პირიქით — სახელმწიფო რომელიმე ერის ინკორპორაციის შემდეგ უპირველეს ყოვლისა იმას სცდილობს, რომ საერთაშორისო სამართლის ქვეშევრდომთა სიიდან ამორიცხოს დაპყრობილი ერი, თუმცა, რასაკვირველია ერი ამით არ ისპობა, მას მხოლოდ ერთ ორგანოს აჭრიან ძალით; როგორც კონკრეტული სოციალური ორგანიზმი, იგი ცოცხალი რჩება და სწორედ აქ არის შინაგანი წინააღმდეგობა თანამედროვე საერთაშორისო სამართლისა.

ამას გარდა ეხლაც არის ისეთი ქვეყნები, რომლებიც არ ემორჩილებიან საერთაშორისო სამართალსა, არამედ მათ შესახებ სახელმწიფოებს აქვსთ შემუშავებული წესები, რომლითაც ამა თუ იმ სახელმწიფოს შეუძლია ჩაიგდოს ხელში „შეძენილი ქვეყანა". მაგრამ შეიძლია ეს აქტი სახელმწიფოთა მიერ „შეძენისა" ჩავთვალოთ ახალი ქვეყნის შესვლად „სახელმწიფოთა საზოგადოებაში", როდესაც ეს ახალი ქვეყანა ან სრულიადაც არ არის სახელმწიფო, ან დ.., თუ არის, მას რომელიმე დიდი სახელმწიფო ან ითვისებს პირდაპირ და საკ.. ლონიზაციოდ ისახავს, ან და საპროტექტორატო ტერრიტორიად აცხადებს? — სრულიადაც არა. წესები ქვეყნის შეძენისა, შემუშავებული სახელმწიფოთა მიერ, მოასწავებს უფრო სახელმწიფოთა მიერ დედა-მიწის, კაცობრიობის ძარცვას, ვიდრე საერთა-შორისო სამართლის გავრცელებას მთელ დედა-მიწის ზურგზედ და ამით ვითომცდა კაცობრიობის ორგანიზაციას. ეს ფაქტია და ვერც ადგილობრივ ინდიელთა უფლება, შემუშავებული შეერთებული შტატების მიერ, ვერც საერთოდ დაკითხვა და თანხმობის მიღება ადგილობრივ მცხოვრებთაგან რომელიმე სახელმწიფოს მიერ მათი ტერრიტორიის მითვისების ან დაპერის დროს, ბერლინის კონგრესსზედ გადაწყვეტილი 15 ნოემბერს 1884 წელს აფრიკის ტერრიტორიათა დაპერის შესახებ, და სხვ., — ვერ უარ-ჰყოფს ამ ფაქტსა.

აი რას ამბობს პირდაპირ და ურცხვად ისეთი მეცნიერიც, როგორიც არის პოლ ლერუა-ბოლიე:

„არც სამართალია და ბუნების წინააღმდეგიც არის, რომ დასავლეთის კულტურული ხალხნი დაუსრულებლივ მრავლდებოდნენ და იხრჩობოდნენ იმ საზღვრებში, რომელიც იყო მათი პირველი ბინა. აქ იგინი აგროვებენ მეცნიერების საკვირველებათა, ჰქმნიან ხელოვნებასა და ცივილიზაციის მშვენიერებას, და თანაც თითქმის ნახევარ ნაწილს ქვეყნიერებისას უტოვებენ უმეცარ ხალხთა პატარა ჯგუფებს, უძლურთა, ნამდვილ სნეულ ბავშვთა, რომელნიც გაბნეულნი არიან თვალუწვდენელ ადგილებზედ, ან და დაუძლურებულ ხალხებს, უენერგიოთა, მიმართულების არა მქონეთა, ამ მართლაც მხცოვან ბავშვებს. რომელთაც აღარაფერი აღარ შეუძლიანთ". „ისტორიამაო, ამბობს იერინგი, იზრუნა შთაეგონებინა ხალხთათვის ის ჭეშმარიტება, რომ არ არის აბსოლიუტური საკუთრება, ე. ი. დამოუკიდებელი საზოგადოებისაგან. როდესაც რომელიმე ხალხი ნიჭს ვერ იჩენს იმ მიწის მოხმარებაში, რომელიც მას ბუნებამ მიუზომა, მან ადგილი სხვას უნდა დაუთმოს. მიწა მხოლოდ იმ ხალხებს ეკუთვნის, რომელთაც იციან მისი დამუშავება" (Nys, Le Droit Intern. II, p. 49—50).

როდესაც ასეთ პრინციპებს მისდევენ მეცნიერებიც კი, რაღა უნდა სთქვან და ჰქმნან სახელმწიფო მოღვაწეებმა, პოლიტიკოსებმა, დიდ სახელმწიფოთა დიპლომატებმა, რომელნიც აწარმოებენ მთელ თანამედროვე საერთაშორისო სამართალსა. იერინგისა და ლერუა-ბოლიეს სიტყვები პირდაპირი უარყოფაა საერთაშორისო სამართლისა, — იმ იდეალურ საერთაშორისო სამართლისა, რომელმაც უნდა შექმნას კაცობრიობის ორგანიზაცია მომავალში მაინც, თუ იგი არ არსებობს თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ძალით. განა უფლება, სამართალი მით განისაზღვრება, — შეუძლია თუ არა ხალხს ისარგებლოს თავისი საკუთრებითა? განა სხვისი უნიჭობა უფლებას ანიჭებს ვისმე მითვისოს მისი ქონება? განა ყოველი მემკვიდრე ნიჭიერია? არა, — იგი უფლება-მოსილი პირია, და ათასჯერ უფრო ნიჭიერიც რომ იყოს სხვა ვინმე, თუ უფლება არა აქვს, მემკვიდრეს მემკვიდრეობას ვერ წაართმევს. ეს არის ნამდვილი

სამართლის ხასიათი. მართალია, ზოგიერთ შემთხვევაში სახელმწიფო ჩამოართმევს ხოლმე მემკვიდრეობას ან ქონებას კერძო პირსა, მაგრამ ჩამომრთმეველი სწორედ უფლებამოსილი პირია და იგი თავისი უფლებით სარგებლობს და არა მარტო სხვისი უნიჭობით, ან დანაშაულით. სხვისი დანაშაული და სხვისი უნიჭობა თავის თავად ვერ განსაზღვრავს ვერავის უფლებასა, თუმცა შეიძლება იგინი მიზეზნი ყოფილიყვნენ დროთა ვითარებაში კოლლექტივურ პირთათვის ამ განსაზღვრულ უფლების აღმოცენებისა. ამას გარდა, სად არის სწორი საზომი და საზღვარი ხალხთა ნიჭიერებისა ან უნიჭობისა? ან სად არის კაცობრიობაში ასეთი კოლლექტივური უფლება-მოსილი პირი, რომელსაც შეეძლოს უნიჭოთა ქონების მითვისება? — ჯერ ასეთი კაცობრიობა უნდა იყოს, მერე მისი ასეთი უფლება უნდა აღმოცენდეს, და მხოლოდ მაშინ შეიძლება ლაპარაკი ასეთ საქციელზედ. ერთს კერძო ერს კი მეორე კერძო ერის ქონების მითვისება არასოდეს არ შეუძლია არავითარი სამართლითა, მისი უნიჭობის გამო, როგორც ნიჭიერ კერძო პირს არ შეუძლია მიითვისოს სხვისი საკუთრება მისი უნიჭობის გამო. მაშ რომელი სამართლით შეუძლია ერთს დიდ კულტურასან ერს მეორე უკულტუროს მიწა-წყლის წაღება? არავითარის სამართლითა, რადგანაც ასეთი სამართალი არც არსებობს და ჯერ არც შეიძლება იარსებოს. ამისათვის საჭიროა კოლლექტივური კაცობრიობა, რომელსაც უფლება ექმნება უნიჭო წევრთა, ან დანაშაულ წევრთა დასჯა ქონების ჩამორთმევით. ასეთი კაცობრიობა ჯერ არ არსებობს. კერძო ერის ან კერძო კულტურულ ერთა ასეთი უფლება კი არაფრით არ განისაზღვრება. თვით თანამედროვე სახელმწიფოთაშორისო სამართალიც კი არ ქადაგობს ასეთ უსამართლობას და პრინციპიალურად მაინც არის აღიარებული დაკითხვა პატრონისა მოსულ სახელმწიფოს მიერ, როდესაც „ახალ“ ტერიტორიის „შეძენაზედ“ მიდგება ხოლმე საქმე.

მაგრამ ეს კიდევ არაფერი: ისტორია სრულიადაც არ გვასწავლის, რომ ერებს სამართლიანად ერთმეოდათ ხოლმე მიწა-წყალი. პირიქით, ყოველ ფეხის გადადგმაზედ ვხედავთ ხოლმე ისტორიაში ისეთ მაგალითებს, რომ ნაკლებად კულტუროსან და მდაბალ ერებს დაუპყრიათ დიდის კულტურისა და შემოქმედების ნიჭის მქონე ერები. ეს ფაქტია, რომლის უარ-ყოფაც არ შეიძლება. საბერძნეთი რომმა დაიპყრო. რომი ბარბაროსებმა დააქცეს. საქართველო და ბიზანტია ოსმალებმა დაამხვეს. ავსტრია ერთ დროს იტალიაში ბატონობდა და სხვ.

ეხლა კიდევ მთელი ევროპის წინააღმდეგ გამოდის აზია, — ჩინეთი, იაპონია, ინდოეთი, რომელნიც ამტკიცებენ თავიანთ უფლებებსა და ნებას აღარ აძლევენ ევროპიელებს ექსპლოატაციისას. იგინი თავიანთ უფლებათათვის იბრძვიან და რას დაგიდევენ, იხრძობიან თუ არა ევროპელები თავიანთ საზღვრებში. რაც შეეხება „გაბნეულ, დეგენერანტ ხალხთა“ მიწა-წყალს, თუ მათი ექსპროპრიაცია სამართლად ჩაითვლება, აზიელებსაც მეტი ზნეობრივი უფლებაცა აქვსთ მათი მიწა-წყლის დაპყრობისა, ვიდრე ევროპიელებს, რადგანაც ისინი ზოგჯერ კიდევ უფრო ვიწროდაცა გრძნობენ თავს თავიანთ ტერრიტორიაზედ. მეცნიერებისა და ხელოვნების საკვირველებათა შექმნაც კი მათაც შეუძლიანთ, როგორც ეს იაპონელებმა გვაჩვენეს. მაგრამ ნამდვილ სამართალზედ არც აქ შეიძლება ლაპარაკი. რაც თუ გინდ „გაბნეული“ იყოს ხალხი, თუ სამართალი არსებობს, არავის არა აქვს უფლება მისი მიწა-წყლის მითვისებისა: მხოლოდ აღსრულება შეუძლიანთ ამ ძალადობისა, მაგრამ ძალა, რომელსაც შეიძლება სამართლის წარმოშობაში დიდი როლი ეთამაშოს, ძირითადად და

არსებითად განსხვავდება მისაგან, და ალფრედ ფულიეს სამართლიანი სიტყვით ერთ მილიონ ქურდს ყოველთვის მეტი ძალა აქვს, ვიდრე მეტი უფლება.

ყოველივე ასეთი საქციელი, გამართლებული იერინგისაგან და პ. ლერუა-ბოლიესაგან, პირდაპირი უარ ყოფაა საერთაშორისო სამართლისა, და რამდენადაც ხალხთა ისტორიაში ასეთ საქციელს ადგილი აქვს, იმდენად საერთაშორისო სამართალი ვერ ასრულებს თავის იდეალურ დანიშნულებას, იმდენად „საზოგადოებათა საზოგადოება" ვერ ამყარებს თანასწორობას თავის ქვეშევრდომთა შორის, იმდენად კაცობრიობის ორგანიზაცია არ არსებობს საერთაშორისო სამართლის ძალით.

სულ სხვა საკითხია, — დაეტევიან თუ არა ევროპიელები, ან აზიის დიდი ერები თავიანთ საზღვრებში, დაიპყრობენ თუ არა ძალით სხვა გაბნეულ ხალხებს და შესდგება თუ არა ამით ერთი კაცობრიობა. ეს საკითხი „კაცობრიობის ფონდის" საკითხია და ჩვენ ამაზედ ცალკე თავში ვილაპარაკებთ.

შემდეგ — თანამედროვე საერთაშორისო სამართალი არ არის ნამდვილი საერთაშორისო სამართალი არამედ სახელმწიფოთაშორისო სამართალი. ერსა და სახელმწიფოს შორის დიდი განსხვავებაა, და როგორ შეიძლება იგი დღეს იყოს მაჩვენებელი ერთი საკაცობრიო საზოგადოებისა, როდესაც მას ერთა შორის კავშირიც ვერ მოუხერხებია, — ერთა შორის, რომელნიც ებრძვიან სახელმწიფოებს, მაშასადამე თანამედროვე სახელმწიფოთა შორისო სამართალსა და მიისწრაფიან ნამდვილ საერთაშორისო განწყობილებათა დამყარებისაკენ.

ფაქტია, რომ დღეს არ არსებობს არც ერთი სახელმწიფოსაგან პყრობილი ერი, ღირსი ამ სახელისა, რომ ეროვნული თავისუფლებისაკენ არ მიისწრაფოდეს. ერი არის კონკრეტული სოციალური ორგანიზმი. მისი კუთვნილებაა ენა, სარწმუნოება, ისტორიული წარსული, ერთობ კულტურა, მიწა-წყალი და სხვ. ასეთი ერის მისწრაფება არის შექმნა საკუთარ პოლიტიკურ ორგანოთა, მაშასადამე აუცილებლად საერთაშორისო ორგანოთა, რომ მიღებულ იქმნას სახელმწიფოთა საზოგადოებაში. პოლონეთი, ირლანდია, ინდოეთი, არაბეთი, საქართველო და კიდევ სხვა მრავალი ერი უკვე განვითარების იმ გზაზეა, რომ სურვილი დაებადათ დამოუკიდებელ ეროვნულ და პოლიტიკურ არსებობისა. მათი მიზნის განხორციელება იქმნება ახალ სახელმწიფოთა დაარსება და მაშასადამე საერთაშორისო სამართლის მიერ ახალ ქვეშევრდომთა შეძენა.

ერთობ რომ განვიხილოთ ყველა ერთა ასეთი მისწრაფება და მათი მიზნის შესაძლებელი განხორციელება, მაშინ შემდეგი სურათი გადაგვეშლება თვალის წინ: საერთაშორისო სამართალი თანამედროვე სახელმწიფოთა შორის განწყობილებათა მომწესრიგებელი სამართალია, და არა საერთაშორისო სამართალი, რადგანაც სახელმწიფოებში სხვა და სხვა ერები შედიან, რომელნიც ამ სახელმწიფოთა შინაგან სამართალს ემორჩილებიან და არ წარმოადგენენ საერთაშორისო სამართლის სწორ-უფლებიან სუბიექტებს. მისწრაფება ამ ერთა მაშასადამე პირდაპირი უარ-ყოფაა თანამედროვე სახელმწიფოთაშორისო სამართლისა და აუცილებელი პირობა მომავალი საერთაშორისო სამართლის შექმნისა, რომელიც ნამდვილი საერთაშორისო სამართალი იქმნება, — არა თანამედროვე, არამედ მისი წინააღმდეგი, მართალი საერთაშორისო სამართალი.

თანამედროვე საერთაშორისო სამართალმა თავისი თავი უნდა უარ-ჰყოს ყოველთვის იმდენად, რამდენადაც ერები განთავისუფლდებიან და საერთაშორისო სამართლის ახალ პირებად გახდებიან. რასაკვირველია, მაშასადამე, ლაპარაკიც არ შეიძლება იმაზედ, რომ დღეს არსებული სახელმწიფოთაშორისო სამართალი არის მთელი კაცობრიობის სოციალურ ერთ-არსებობის გამომხატ-

ველი. პირიქით, შინაგანი წინააღმდეგობით არის იგი აღსავსე, თავის თავის უარ-ყოფაა, რადგანაც სახელმწიფოთა უფლებას გამოჰხატავს, და არა ერთა უფლებას, რომელნიც ებრძვიან თანამედროვე სახელმწიფოთა. ერთა თავისუფლება, — უდიდესი რევოლიუცია იქმნება საერთაშორისო სამართლის სფეროში, წარმომშობი ახალი სამართლისა: მაგრამ თვით მომავალი, იდეალური, ნამდვილი საერთაშორისო სამართალიც ვერ შეჰქმნის ერთ საკაცობრიო სოციალურ ორგანიზმს, — ამ იდეალურმა სამართალმა ერთა შორის სრული, საყოველთაო და მუდმივი მშვიდობიანი კავშირიც რომ განამტკიცოს — მაშინაც კი, და აი რატომ:

ყოველი საერთაშორისო სამართალი, აწმყო თუ მომავალი, არის გამომხატველი არსებულ ცალკე სოციალურ ორგანიზმთა განწყობილებისა, ერი იქმნება კონკრეტული სოციალური ორგანიზმი თუ დიდი სახელმწიფო. მომავალ საერთაშორისო სამართლის განხორციელება სრულიად არ უარ-ჰყოფს არსებობას ამ კონკრეტულ სოციალურ ორგანიზმთა. განხორციელება სრულიად სამართლიან, იდეალურ საერთაშორისო სამართლისა იქმნება მაშასადამე განხორციელება ამ კონკრეტულ სოციალურ ორგანიზმთა შორის იდეალურ კავშირისა, მაგრამ რაც თუ გინდ იდეალური იყოს ეს კავშირი, რაც თუ გინდ მუდმივი და მშვიდობიანი, არსებობა ამ ორგანიზმთა მაინც ფაქტად რჩება, ვინაიდან განწყობილება შეიძლება მხოლოდ ორ, ან მრავალთა არსთა შორის. ერთი კონკრეტული სოციალური ორგანიზმი კი უარ-ყოფაა იმ საურთი-ერთო განწყობილებათა, რომელიც არის საერთაშორისო სამართალი. — მაშასადამე განხორციელება იდეალურ საერთაშორისო სამართლისა თავის თავად, როგორიც უნდა იყოს მისი ფორმა, ვერა ჰქმნის ერთ საკაცობრიო საზოგადოებას.

შემდეგ, — საერთაშორისო სამართალი, იდეალურიც კი, საკმარისი არ არის ერთ საკაცობრიო სოციალურ ორგანიზმის შექმნისათვის სოციალურ მოვლენათა კლასსიფიკაციის მიხედვით. ამ უკანასკნელის მიხედვით კონკრეტული სოციალური ორგანიზმი სინამდვილეა მაშინ, როდესაც დაახლოვებით ყველა მოვლენა ჩნდება და ვითარდება რომელიმე საზოგადოებაში. მაშასადამე, როცა საკაცობრიო საზოგადოებას ექმნება ერთი ენა, ერთი ზნეობა, ერთი ტიპის სარწმუნოება, ერთი ეკონომიკა, ერთი პოლიტიკა, ერთი სამართალი და ერთადერთი სოციალური ყოველმხრივი მოწესრიგება, — მხოლოდ მაშინ შეიძლება კაცობრიობაზედ ლაპარაკი, როგორც ერთ სოციალურ მთელ ორგანიზმზედ. მაგრამ ეს უკვე პირდაპირი უარყოფაა საერთაშორისო სამართლისა, რადგანაც ერთი კონკრეტული საკაცობრიო საზოგადოება თავის თავთან ვერ გამართავს საერთაშორისო განწყობილებათა.

თვით განსაზღვრა საერთაშორისო სამართლისა, თვით სახელი მისი გვაუწყებს, რომ არ არსებობს ერთი საკაცობრიო საზოგადოება, არამედ მრავალი კონკრეტული სოციალური ორგანიზმი, რომელთა შორისაც დაბადებულა, განვითარებულა საერთაშორისო სამართალი, მიუღწევია თანამედროვე სახელმწიფოთა-შორისო სამართლის შექმნამდის და მომავალში უნდა მიაღწიოს ნამდვილ, იდეალურ საერთაშორისო სამართლის შექმნასაც.

აი ის მოსაზრებანი, რომელნიც ნათლად გვიმტკიცებენ, რომ საერთაშორისო სამართალი ვერა ჰქმნის დღეს საკაცობრიო საზოგადოებასა და თავისთავად ვერც შექმნის ვერასოდეს, რადგანაც **ცნებანი „საერთაშორისო სამართალი“ და „საკაცობრიო საზოგადოება“ ურთიერთის წინააღმდეგნი ცნებანი არიან.** ხშირად ადამიანები, დიდ მოძრაობათა დროს, გატაცებულან ხოლმე, აზრით გადაულახავსთ საზღვრები თავიანთი ეროვნებისა და უფიქრიათ შესაძლებლობა

საკაცობრიო საზოგადოების დაარსებისა. დიდი რევოლიუციის დროს საფრანგეთში ანრი გრეგუარი ადგენდა პროექტს „საერთაშორისო სამართლის“ დეკლარაციისას, რომელიც მან წარუდგინა საერო კრებას 18 ივნისს 1793 წელს, და შემდეგ 23 აპრილს 1795 წელს. ეს დეკლარაცია კი, მიუხედავად მის კეთილშობილურ და ხალხთა შემაერთებელ შინაარსისა, უარ-ყოფა იყო სახელმწიფოთა ავტონომიისა, უარ ყოფა იყო, მაშასადამე, თვით საერთაშორისო, ანუ სახელმწიფოთაშორისო სამართლისა, და ამიტომაც პროექტი პროექტად დარჩა. ცხოვრებაში იგი მაინც ვერ განხორციელდებოდა. პროექტიც უკანვე წაიღო ავტორმა, რადგანაც ფილიპ-ანტონ-მერლენმა დიდი პროტესტი განაცხადა საზოგადო უზრუნველყოფის კომიტეტის სახელით, რომელმაც მიითვისა გარეშე პოლიტიკის მართვა (E. Nys, Dr. Int. I, p. p. 173—174).

თანამედროვე სოციალიზმიც პირდაპირ ასწავლის მომავალ საკაცობრიო საზოგადოების შექმნის შესაძლებლობასა, მაგრამ ის გზები კი, რომლითაც უნდა შეიქმნას ასეთი საკაცობრიო საზოგადოება, — უარ-ყოფაა ან კაცობრიობისა და ან საერთაშორისო სამართლისა: ინტერნაციონალიზმი სრული უარყოფაა საკაცობრიო საზოგადოებისა და განმტკიცება ნამდვილი **საერთაშორისო** სამართლისა. კოსმოპოლიტიზმი კი თავის მხრივ უარ-ყოფაა საერთაშორისო სამართლისა და შეუძლებელიცა. მაგრამ ამაზედ შემდეგ თავში მოვილაპარაკოთ.

პირიქით, ერთა განთავისუფლების ნიადაგზედ, ნაციონალიზმის ნიადაგზედ აღმოცენებულა ხოლმე თეორიები, რომლებიც ნამდვილ საერთაშორისო სამართალს ჰქადაგებდნენ. მაგალითისათვის შორს არ წავალთ. იტალია ისეთი ქვეყანა იყო ევროპაში, სადაც ერთ დროს აღმოცენდა უპირველი „საერთაშორისო სამართალი“ მის რესპუბლიკათა შორის. სწორედ ასეთი ქვეყანა იყო უცხო ქვეყნის უღელ ქვეშ მაშინ, როცა ყველა უმთავრესს ერებს ევროპაში პოლიტიკური თავისუფლება, სახელმწიფო ჰქონდათ. ამიტომაც იტალიაში დაიბადა სწორედ ისეთი წარმომადგენელი საერთაშორისო სამართლისა, რომელმაც საერთაშორისო სამართალი განსაზღვრა არა მარტო როგორც არსებულ სახელმწიფოთა შორის განწყობილებათა მოწესრიგება, არამედ როგორც ერთა, კონკრეტულ სოციალურ ორგანიზმთა შორის ნამდვილი საურთი-ერთო მოწესრიგება. ასეთი მწერალი იყო მანჩინი. შემდეგ მოვილაპარაკოთ მის თეორიაზედ, როდესაც ერის უფლებას შევეხებით, იგი ჰქადაგებდა სწორედ მომავალ იდეალურ-საერთაშორისო სამართალსა.

მაგრამ ამ შემთხვევაშიაც საერთაშორისო სამართალი, არც აწმყო და არც მომავალი, არა ჰქმნის მთელ კაცობრიობას ერთ დიდ საზოგადოებად. პირიქით, სხვა არგუმენტებსაც რომ თავი დავანებოთ, საერთაშორისო სამართალი განსაზღვრითა თვისითა ეწინააღმდეგება საკაცობრიო საზოგადოებას.

თანამედროვე კაცობრიობა სუმმაა სრულიად სხვა და სხვა საზოგადოებათა, რომელთაგან ზოგი მაღალ საფეხურზედა სდგას, ზოგი მდაბალზედ, ზოგი დიდია, ზოგი პატარა, ზოგს თავისი საკუთარი სახელმწიფო აქვს, ზოგი სხვის სახელმწიფოსაგან არის ძალით პყრობილი და მოკლებული საერთაშორისო უფლებას. ეს საზოგადოებანი განირჩევიან ერთმანეთისაგან ენითა, სარწმუნოებითა, რასითა, ისტორიითა, ზნე-ჩვეულებითა, ერთობ კულტურითა და შინაგან სოციალურ სტრუქტურითა, და ვინ იცის, რამდენი ხანი გაივლის, სანამ იგინი ყველანი დაუახლოვდებოდნენ ერთმანეთს კულტურის მსგავსებით მაინცა. ამისათვის საჭიროა მთელი კაცობრიობის ფონდის, ამ ულეველი „სოციალური მასალის“ ამოწურვა და გადამუშავება. მაგრამ ამაზედაც ცალკე მოვილაპარაკოთ.

ეხლა ევროპიელები ბატონობენ ქვეყანაზედ. ევროპიელთა რიცხვი ევრო-

პაში იქმნება მარტო 390 მილონი. მათ ეკუთვნისთ 112 მილიონი ოთხ კუთხი კილომეტრი, ე. ი. 82% მთელი მიწისა. ევროპიელთა რიცხვი მთლად, ევროპაში და სხვაგან იქმნება 570 მილიონი. ყოველივე ესე მართალია, მაგრამ 570 მილიონი მილიარდ ნახევრამდის მაინც შორს არის. 112 მილიონ ოთხ-კუთხ კილომეტრ მიწაზედაც არ არის სულ მოსახლეობა, არამედ იგი კუთვნილებაა ევროპიელთა, ე. ი. სწორედ იმ ხალხთა საერთაშორისო უფლების უარ-ყოფა, რომელზედაც არის აშენებული თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, რომელიც თავის მხრით უარ-ყოფილ უნდა იქმნას მომავალ საერთაშორისო სამართლის მიერ. ასე რომ, ასეთი ბატონობა ევროპიელთა კიდევ არ მოასწავებს საკაცობრიო საზოგადოების არსებობას. ევროპა, ევროპიელები და მათი ბატონობა არ არის კაცობრიობა და მისი ერთობა. უკვე იძვრის 400 მილიონი ჩინელი, 200-ზე მეტი მილიონი ინდოელი, დაიძვრის შემდეგ აუარებელი აფრიკელი, და სანამ ეს ახალი პროცესსი ხალხთა მოძრაობისა, ახალ ეროვნებათა შექმნისა, ახალ სახელმწიფოთა დაარსებისა და განვითარებისა დამთავრდებოდეს, — დედა მიწის ზურგზედ სულ სხვა ისტორია, სულ სხვა საერთაშორისო სამართალი აღმოცენდება. როლი ბატონობისა, უპირატესობა მცხოვრებთა რაოდენობისა სხვა, ახალ რასისაკენ გადიხრება; საუკუნოებით გაგრძელდება ეს პროცესსი და კაცობრიობა კი მაინც ვერ იქმნება ერთი სოციალური ორგანიზმი. და ცხადია, რომ თუ ასეთი რთული და ხანგრძლივი სოციალური პროცესსიც ვერ შექმნის საკაცობრიო საზოგადოებას, მას ვერა ქმნის მით უმეტეს თანამედროვე სახელმწიფოთაშორისო სამართალი, რომელიც განქრება მაშინვე, როგორც განქრებიან თანამედროვე სახელმწიფოები, რომ ადგილი სხვა სახელმწიფოთა და სხვა სამართალს დაუთმონ.

მაგრამ არის სხვა მოვლენაც თანამედროვე ევროპის საზოგადოებაში, რომელიც ბევრს აძლევს იმედს მომავალ საკაცობრიო საზოგადოების შექმნისას. ეს მოვლენა არის სოციალისტური მოძრაობა. სოციალიზმმა უნდა გარდაქმნას შინაგანი ცხოვრება საზოგადოებისა და გარეგანი განსხვავებაც ერთა შორის უნდა მოსპოს ინტერნაციონალიზმით ან კოსმოპოლიტიზმით, — ეს იქმნება შექმნა, საერთო საკაცობრიო საზოგადოებისაო.

ვნახოთ, რაზეა დამყარებული ეს მოსაზრებაც, რამდენად შეუძლია სოციალიზმს ასეთი კაცობრიობის შექმნა, რამდენად არის ინტერნაციონალიზმი ამ მომავლის განხორციელება და რამდენად არის შესაძლებელი კოსმოპოლიტიზმი.

თავი მეცხრე

სოციალიზმი, ერი და კაცობრიობა

ხშირად სოციალისტები ერის პრობლემას სოციალიზმის პრობლემას უპირისპირებენ, თითქოს იგინი ურთი-ერთსა ჰრიცხავდნენ. — ამასთანავე სოციალისტებს თავიანთ იდეათა დაგვირგვინებად ინტერნაციონალიზმი მიაჩნიათ, ძლიერ ბუნდოვანი ინტერნაციონალიზმი, და სწამთ, რომ ოდესმე, როდესაც სოციალიზმი გამეფდება მთელს ქვეყანაზედ, კაცობრიობაც ერთ სოციალურ ორგანიზმს წარმოადგენსო. ამგვარად, თუ ერთის მხრით საერთაშორისო სამართლის მეცნიერთათვის კაცობრიობის ორგანიზაცია იქმნება **საზოგადოებათა საზოგადოების** სრული დამკვიდრება, — სოციალისტ-ინტერნაციონალისტთა-

თვის კაცობრიობის ორგანიზაცია ნიშნავს ერთ საზოგადოების არსებობას, რომელშიაც შევა მთელი კაცობრიობა, — ან ინტერნაციონალის, ან კოსმოპოლიტის სახით.

ჩვენ უკვე განვიხილეთ ზემოდ, რომ ვერც საერთაშორისო სამართალი, ვერც საზოგადოებათა საზოგადოება ვერა ჰქმნის ერთ საკაცობრიო საზოგადოებას, ამ თავში კი განვიხილოთ — რამდენად სამართლიანია სოციალისტთა თეორია ინტერნაციონალიზმისა და კოსმოპოლიტიზმისა, ან აქვს თუ არა რაიმე საფუძველი ერისა და სოციალიზმის პრობლემათა დაპირდაპირებას. ამ ორ საკითხს სოციალისტთა თეორიის თვალთსაზრისით მჭიდრო კავშირი აქვს ურთი-ერთ შორის.

უმთავრესი შეცდომა სოციალისტთა წმინდა სოციოლოგიურია. მათთვის ერის განვითარება, როგორც კონკრეტულ საზოგადოების ორგანიული განვითარება, არ არსებობს. მათთვის არსებობს მხოლოდ განვითარება საზოგადოებისა, რომელიც კლასსთაგან შესდგება, — განვითარება, რომლის მამოძრავებელი ძალა კლასსთა ბრძოლაა; — ხოლო თუ რა არის თვით საზოგადოება, ან როგორნი ყოფილან ისტორიაში კონკრეტულნი საზოგადოებანი და დღესაც არიან, — ასეთ პრობლემებს სოციალისტები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. ისინი განიხილავენ ძლიერ აბსტრაქტულად საზოგადოების განვითარებას პირველ-ყოფილ კომმუნიდან კაპიტალიზმამდე, შემდეგ მომავალ აუცილებელ სოციალიზმამდე, ხოლო თვით შემომქმედნი საზოგადოებანი, ის სოციალურ-ისტორიული ინდივიდები, რომელნიც ჰქმნიდნენ კონკრეტულად სხვა და სხვა ფორმის საზოგადოებას, — მათ ნაკლებათ აინტერესებსთ. — ამიტომაც მათთვის მონობა, ფეოდალიზმი, კაპიტალიზმი და სოციალიზმი ერთმანეთს მისდევენ რალაც აუცილებლობით, ხოლო რომის მონობას, საფრანგეთის ფეოდალიზმს, ინგლისის კაპიტალიზმსა და სხვ., — მას, რომ ეს ფორმები საზოგადოებრივობისა სწორედ ამა თუ იმ ერს განუხორციელებია, — მათ მსჯელობაში რალაც უცნაური ადგილი უჭირავს და ისე ლაპარაკობენ, თითქოს მთელი ერის ცხოვრებაში გარდა იურიდიულ ეკონომიურ მოვლენათა არაფერი იყოს, თითქოს კონკრეტული საზოგადოებანი მხოლოდ ამ მოვლენათა შექმნაში იჩენდნენ თავიანთ ორიგინალობასა და ყოველივე სხვა ზერელი შემოქმედება იყოს, ზედ-ნაშენი. ნამდვილად კი ყოველი ერის ცხოვრება რთულია, მისი საერთო შემოქმედებაც რთულია და მრავალ-ფეროვანი, ღრმა და ორიგინალური. არც რომის სოციალური ცხოვრება ამოიწურება მონობითა, არც სხვა ერთა ცხოვრება — ფეოდალიზმითა და კაპიტალიზმითა, არც მომავალ საზოგადოებათა ცხოვრება სოციალიზმითა.

ამგვარად, მარტო იმის აღნიშვნა კი არ არის საკმარისი, რომ მონობის შემდეგ ფეოდალიზმი დაიწყო, არამედ იმისიც, თუ სად და ვინ დაიწყო ფეოდალიზმი, ან კაპიტალიზმი? მარტო იმის თქმა კი არ არის საკმარისი, რომ კაპიტალიზმი მთელს ქვეყანას ედება და მთელს ქვეყანაზედაც მისი შინაგანი წინააღმდეგობანი მიგვიყვანებენ სოციალიზმამდე, არამედ იმისიც, თუ სად და ვინ შესდგა ფეხი კაპიტალიზმის ხანაში, სად და ვინ განახორციელებს სოციალიზმს, რა ემართება თვითოეულ კონკრეტულ საზოგადოებას, ამ მომქმედ პირს, როდესაც იგი საზოგადოებრივობის ერთ იურიდიულ-ეკონომიურ ფორმებიდან მეორეში გადადის.

უამისოდ პირდაპირ ცალიერ განყენების სფეროში ვიქმნებით, და ისეთის შეცდომების მსხვერპლიც გავხდებით, როგორისაც გახდნენ სოციალისტები. მათ არ მიაქციეს ყურადღება თვით მომქმედ საზოგადოებათა შემოქმედებას

ლა ინდივიდუალობას, რომლის ნაყოფიც არის ესე თუ ის ფორმა იურიდიულ-ეკონომიურ მოწესრიგებისა. მათ განიხილეს კლასთა ბრძოლა და თვით ეს იურიდიულ-ეკონომიური მოწესრიგება განყენებულად, გარეშე კონკრეტულ სოციალურ ინდივიდთა, და იმ დასკვნამდის მივიდნენ ბუნებრივად, რომ დამოუკიდებლად ერთა, ამ კონკრეტულ სოციალურ ინდივიდუალობათა, არსებობს ეს კლასთა ბრძოლა და კლასსიური სოლიდარობაც, რომელიც განყენებულ ეკონომიურ განწყობილებათა ნიადაგზედ არის აღმოცენებული და რომელმაც, აგრეთვე დამოუკიდებლად კონკრეტულ სოციალურ ინდივიდთა, დამოუკიდებლად ერთა, უნდა განახორციელოს **საზოგადოდ კაცთა შორის** სოციალიზმი. აქედან წარმოსდგება მათი ყალბი და შემცდარი ინტერნაციონალიზმი, რომელიც იგივე კოსმოპოლიტიზმია, თუმცა ამ ბოლოს დროს სოციალისტ-ინტერნაციონალისტებმა ძლიერ შეიცვალეს აზრი ამ საგნის შესახებ ისეთ მოვლენათა დაკვირვებით, რომელთაც პირდაპირ უარ-ჰყვეს მათი თეორია. ერთა მოძრაობა, მათ შორის სწორედ კაპიტალიზმის განვითარების შემდეგ, პირდაპირი უარყოფა იყო სოციალისტთა ინტერნაციონალიზმისა და კოსმოპოლიტიზმისა.

ყოველი ბიოლოგის დიდი ნაკლი იქმნება, თუ იგი სიცოცხლის განვითარების ისტორიას ისე მოგითხრობსთ, რომ ცოცხალ ორგანიზმზედ არას იტყვის და მარტო განყენებული მსჯელობით შეგაჯერებსთ. სწორედ ასე ირჯება სოციალისტ-თეორეტიკოსი, რომელიც ერის, ამ ცოცხალ სოციალურ ორგანიზმის გარეშე მოგვითხრობს კაპიტალიზმის ისტორიას და **თან იმ დასკვნამდის** მიდის, რომ უნდა მოისპოს მრავალფეროვანება არსებულ საზოგადოებათა და უნდა შეიქმნას ერთად-ერთი საზოგადოება. საკვირველი იქმნებოდა სწორედ ისეთი ბიოლოგი, რომელიც თავის კვლევაში ისეთს დასკვნამდის მივიდოდა, რომ ერთად-ერთი ცოცხალი სახე გაჩნდებოდა და მოისპობოდა მრავალ-ფეროვანება სახეთა, გვართა და ინდივიდთა.

ერი, როგორც ჩვენი განსაზღვრიდანა სჩანს, არის კონკრეტული საზოგადოება, რომელსაც, მართალია, თავისი ისტორია ჰქონია, რომელიც მართალია, ერთად-ერთი კონკრეტული საზოგადოება არ არის, არამედ ერთი მრავალთაგანი, მაგრამ იგი მაინც უმთავრესი ჭურჭელი ყოფილა საზოგადოებრივობისა საზოგადოებათა ისტორიაში, და დღესაც იგი ასეთივე უმაღლესი საზოგადოებრივი ჭურჭელია, მსგავსად იმისა, როგორც ადამიანი ყოფილა და დღეს მით უმეტეს არის უმაღლესი ჭურჭელი სიცოცხლისა.

ერის სიცოცხლე კი, როგორც სიცოცხლე საზოგადოებრივ რთულ ორგანიზმისა, არ არის მარტო ეკონომიური სიცოცხლე, არამედ — ეკონომიური, იურიდიული, ზნეობრივი, ხელოვნური, მეცნიერული და სხვა, — სრული, რთული-სოციალური, ერთი სიტყვით, ყველა ეს მოვლენანი ცვალებადობას განიცდიდნენ ერის შინაგან ორგანიულ ცხოვრებაში, განიცდიან დღესაც, მაგრამ ამით ერი მაინც ერად რჩება, — იგი მხოლოდ პროგრესსისაკენ ან რეგრესსისაკენ მიდის, მისი ორგანიული ცხოვრება ან რთულდება და უმჯობესდება, ან მარტივდება და სიცხოველე აკლდება, — მაგრამ განვიმეორებთ, ერი მაინც ერია, სიკვდილამდის იგი ერად რჩება. მსგავსადვე, ცოცხალი ორგანიზმის შინაგან ცხოვრებაში შეიძლება ათასნაირი ცვლილება მოხდეს, გაუმჯობესება ან დაავადება, მაგრამ ორგანიზმის ინდივიდუალობა იგივეა, და სიკვდილითაც იგი კვდება, როგორც ესა თუ ის ინდივიდი.

ამიტომაც პრობლემა თვით ამ ცვალებადობისა ორგანიზმთა შინაგან ცხოვრებაში და პრობლემა თვით ორგანიზმის არსებობისა, რასაკვირველია,

სხვა და სხვა არის, როგორც პრობლემა ადამიანის ინდივიდუალობისა ერთის მხრით, და პრობლემანი ანატომიისა და ფიზიოლოგიისა, პათოლოგიისა და თერაპიისა, რასაკვირველია სხვა და სხვანი არიან.

სოციალიზმი სწორედ ერთი ასეთი შინაგან გარდაქმნის პრობლემათაგანია, ერის პრობლემა კი ერთა კონკრეტულ საზოგადოებრივ ინდივიდუალობის პრობლემაა. რასაკვირველია ეგენი ერთმანეთში არ აირევიან, მაგრამ ამ შეცდომას ძლიერ ბევრჯერ სჩადიან, როგორც არა ვსთქვეთ.

სოციალიზმი შეეხება უმთავრესად ერის ეკონომიურ წყობილებას, რომლის გარდაქმნაზედაც, მართალია, ბევრ სოციალურ მოვლენათა შეცვლაა დამოკიდებული. ერებსა ჰქონიათ ფეოდალური განწყობილებანი, ეხლა აქვსთ კაპიტალისტური განწყობილებანი, მაგრამ ერთნიცა და მეორენიც საზოგადოების მდაბალ-ხარისხოვან მოწესრიგებად ითვლება მშრომელთათვის მათ იდეალთან შედარებით. ამ ნიადაგზედ არის აღმოცენებული კლასსთა ბრძოლა, რომელიც ერის შინაგან ეკონომიურ ცხოვრებაში სწარმოებს. მშრომელ კლასს იდეალად აქვს დასახული სულ სხვა გვარი მოწესრიგება ეკონომიურ ცხოვრებისა. სულ სხვა გვარი აღსრულება ეკონომიურ ფუნქციათა საზოგადოების მიერ, — ე. ი. კომუნიზმი ან კოლლექტივიზმი. ამ იდეალის მისაღწევად იმუშავებს ეგი განსაზღვრულ ტაქტიკას ბრძოლისას, განსაზღვრულ პოლიტიკას, — ერთგვარ დამოკიდებულებას იმ ელემენტებთან, რომელნიც წინააღმდეგნი არიან სოციალიზმისა, — განსაზღვრულ განწყობილებას კანონმდებლობასთან და სხვ. — ამ ნიადაგზედ სდგებიან პარტიები; ამ ნიადაგზედ სწარმოებს ბრძოლა პარტიათა პარლამენტებში; ამ ნიადაგზედ ქუჩაში ხელ-ჩართული ბრძოლანი და რევოლიუციანი სწარმოებენ. — **მაგრამ ყოველი ესე ახასიათებს ერის შინაგან ცხოვრებას, თვით ერის არსებობის პრობლემას კი ეგი არ შეეხება.** — ეს ბრძოლაა საზოგადოების მკურნალთა შორის, რომელთაგანაც ზოგს ნორმალურად მიაჩნია თანამედროვე მდგომარეობა საზოგადოებრივ ცხოვრებისა, ზოგს პათოლოგიურად — და ძალა-უნებურად თავის წამალს აწვდის მთელს საზოგადოებას სრულ განსაკურნავად, ან გასაღონიერებლად, ზოგსაც სულ არა სურს წამალი და სასიკვდილოდ მიაჩნია ეგი საზოგადოებისათვის. — მაგრამ ერი მაინც ინდივიდუალობად რჩება, ერთ კონკრეტულ სოციალურ ორგანიზმად. განხორციელდება სოციალიზმი, — ეგი მაინც ერად რჩება, — მხოლოდ მისი რადიკალური მკურნალნი გაიმარჯვებენ; არ განხორციელდება, — ეგი მაინც ეგივე იქმნება. მხოლოდ სხვა მკურნალთა წამლის მიღებით შესაფერს ჯან-მრთელობას მოიპოვებს; მოკვდება, — მაინც განსაზღვრულ სოციალურ ინდივიდუალობად, ერად მოკვდება.

და განა მთელი სოციალური ცხოვრება მარტო ეკონომიური ცხოვრებაა? თვით ისეთი „მარქსისტი", როგორიც ვერნერ ზომბარტია, — ისიც კი აღიარებს, რომ ეკონომიური ცხოვრება მხოლოდ ერთი ნაწილია საზოგადოებრივ ცხოვრებისაო (Современный Капитализм, т. I). — ბევრ მოვლენათა შეცვლის პროცესსი სრულდება ერის შინაგან სოციალურ ცხოვრებაში. ბევრი მოვლენა იცვლება დამოუკიდებლად ეკონომიურ ცხოვრებისა, ბევრიც მისი ცვალებადობით არის გამოწვეული. ერთობ სოციალური ცხოვრება მუდმივ ცვალებადობაშია, და თვითოეულ მოვლენის შეცვლისათვის ბრძოლა, თვითოეული ცალკე იდეალის განხორციელება ერის მიერ მისი ორგანიული სიცოცხლის ისეთივე გამოჩენაა, როგორც ეკონომიური ბრძოლა, ეკონომიური იდეალის განხორციელება.

აქვს ხოლმე საზოგადოებას იდეალი ხელოვნებისა, იდეალი სარწმუნოებრივი, ზნეობრივი და სხვანი, — და ბრძოლაც ამ იდეალთათვის სწარმოებს საზოგადოებაში. მართალია ხშირად ნაკლების სიმკაცრით, ვიდრე ეკონომიური, ხშირად კიდეე მსგავსად. ბრძოლა ხელოვნების იდეალთათვის რასაკვირველია განსხვავდება ეკონომიურ ბრძოლისაგან, შაგრამ ბრძოლა რელიგიურ ნიადაგზედ ხშირად ემსგავსება მას, — ორივე შემთხვევაში ქუჩაზედ სისხლის ღვარი სდგას ხოლმე. მებრძოლთა მიერ დათხეულისა.

თანამედროვე ცხოვრებაში სოციალიზმი ერის ერთადერთი იდეალი არ არის, — მას ბევრი სხვა იდეალი აქვს. რამდენსა აქვს იდეალად დასახული. მაგალითად, თუ გინდ ის უბრალო რამ, რაც დიდ ღირსეულ ერებს აქვსთ, — პოლიტიკური თავისუფლება, დამოუკიდებლობა. რამდენს აქვს უფრო მაღალი იდეალები, — იდეალები სულიერ და ნივთიერ შემოქმედების ყველა დარგში, — ერთობ რთული სოციალური იდეალები.

შაგრამ, აგრეთვე, დამოუკიდებლად იმისა, მიალწევს თუ არა ერი ამ იდეალს, — იგი მაინც ინდივიდუალობად რჩება, ერთად და განუყოფელად. შინაგანი ბრძოლა ამ იდეალთათვის ერს არა ჰყოფს ისეთ შეურიგებელ ნაწილებად, რომ იგი დაიშალოს და გაიბნეს, მისი ცხოვრება მაინც ერთია და ორგანიული. ვერავითარი კლასსთა ბრძოლა ვერასოდეს ვერა ჰყოფს ერსა, — ვერავითარი სისხლის ღვრა ურთი-ერთ შორის ვერა სპობს მის ერთობას, ვერავითარი სოლიდარობა სხვა და სხვა ერის მსგავს კლასსთა შორის ვერა სპობს იმ ორგანიულ კავშირს, რომელიც არსებობს ერთი ერის სხვა და სხვა ნაწილთა, თვით ურთი-ერთის მოსისხლე მტერთა შორისაც. პირიქით, თვით ამ ბრძოლის უზენაესი მიზანი ყოველთვის შერიგებაა, — იდეალის მიღწევა. განა საფრანგეთის სოციალიზმისათვის ბრძოლა მით არ უნდა გათავდეს, რომ საფრანგეთის ერში აღარ იქმნება კაპიტალისტი და პროლეტარი, არამედ მთელი ერი თავის სიმდიდრეს ამხანაგობისა და თანასწორობის წესით მოუელის, აწარმოებს და გაანაწილებს?

ესევე ითქმის სხვაგვარ ბრძოლაზედაც. იგი ვერა ჰყოფს ერს, პირიქით, — იგი ის „ლოდიკური" დუელია, რომელიც, ტარდის სიტყვით, ყოველთვის რაიმე დასკვნით თავდება და ეს დასკვნა ხდება წამპაძველობის ძალით საზოგადოების ახალ კუთვნილებად.

ერი ერთია და განუყოფელი, მიუხედავად შინაგან ბრძოლისა, რომელიც მის სოციალურ ცხოვრებაში სწარმოებს. იგი მაინც მთლიანად რჩება, — ან აღწევს იდეალსა და გარდაქმნის თავის შინაგან ცხოვრებას. ან მცირე რეფორმას ახორციელებს, ან და კვდება და იშლება ცოცხალ ერთა სიიდან, თუმცა უმეტეს შემთხვევაში მისი ხსოვნა კაცთა შორის საუკუნოდ რჩება მის საქმეთა მიხედვით.

— სოციალიზმი თუ ერთის მხრით საზოგადოების შინაგან იურიდიულ-ეკონომიურ წყობილების გარდაქმნაა, მეორეს მხრით იგი საქვეყნოა, იგი უნდა განხორციელდეს მთელს კაცობრიობაში, ყველა საზოგადოებაში, რომელიც კი არსებობს, ან და საზოგადოებათა უუკულტურესნეს ნაწილთა შორის. ყველა საზოგადოებათა პროლეტარიატი, მთელი ქვეყნის პროლეტარიატი უნდა შეერთდეს საზოგადოებათა სოციალისტურ გარდაქმნისათვის, — ამიტომაც სოციალისტური მოძრაობა საერთაშორისო მოძრაობაა და არა ეროვნული. სოციალიზმის განხორციელება მარტო ერთი ერის შინაგან სფეროში არ შეიძლება, იგი ყველგან უნდა განხორციელდეს, რადგანაც სოციალიზმი ნაყოფი უნდა იყოს კაპიტალისტურ წყობილებისაგან შექმნილ წინააღმდეგობათა, კლასსთა

ბრძოლისა, რომელიც საყოველთაო სოციალური რევოლუციით უნდა გათავდეს. კაპიტალიზმი კი თანდათან მთელს კაცობრიობას ედება, ჰბადებს ყველგან სოციალური რევოლუციის შთანაჩენებს, აერთებს ერთა მშრომელ კლასებს და ამტკიცებს მათ შორის სოლიდარობას. ამ სოლიდარობამ უნდა მოახდინოს სოციალური რევოლუცია, გარდაქმნას მთელი კაცობრიობა სოციალისტურად და განამტკიცოს საუკუნო მშვიდობიანობა, ძმობა და კაცთა შორის სათნოება.

ეს არის სოციალისტური ინტერნაციონალიზმი. ინტერნაციონალიზმი ამგვარად დამატებაა სოციალიზმისა, და მისი განხორციელების ერთი პირობათაგანიც, რადგანაც მსოფლიო კაპიტალიზმის გამომხატველი მსოფლიო ბაზარია, თანდათან მას ემორჩილება მთელი კაცობრიობა, და ამ უკანასკნელის ორგანიზაციაც ერთ საზოგადოებად შესაძლებელი იქმნება, როდესაც მსოფლიო პროლეტარიატი მოსპობს ბატონობას მსოფლიო ბაზრისას და მთელის მსოფლიოს ამხანაგობას შეადგენს სიმდიდრის საწარმოოდ და გასანაწილებლად.

ამ წერტილამდის მწყობრად მიდის სოციალისტური თეორია, თუმცა მას შეიძლება ბევრში არ დაეთანხმოს სოციოლოგი. ხოლო როცა იგი ეხება თვით ორგანიზაციას კაცობრიობისას, აღარავითარი მეცნიერული მოსაზრება, აღარავითარი ლოგიკა და ერთობა აღარ არის სოციალიზმში. სოციალიზმმა ვერ შექმნა თეორია „საერთაშორისოსი", თეორია „კაცობრიობისა", თუმცა დიდი პრეტენზიები ჰქონდა, თითქოს ერთად-ერთი გამშვერეტი მომავალ კაცობრიობის ერთობისა და მისი მქადაგებელი მარტო იგი ყოფილიყოს. ამ მხრით თეორიები საერთაშორისო სამართლის მეცნიერებისა ბევრად უფრო შემუშავებულნი არიან, ვიდრე სოციალისტური ინტერნაციონალიზმის მოძღვრება. — მაშინ როდესაც საერთაშორისო სამართლის მეცნიერებისათვის ნათელსა და გამორკვეულ მუხლს შეადგენს შემდეგი: სახელმწიფოებრივ, ანუ ეროვნულ ცხოვრების ზევით სდგას ცხოვრება სახელმწიფოთა, ანუ ერთა კავშირისა, — ცხოვრება სახელმწიფოთა საზოგადოებისა, ანუ საზოგადოებათა საზოგადოებისა, რომლის სამართალიც არის საერთაშორისო სამართალი, — სოციალისტურ ინტერნაციონალიზმს არა აქვს გამორკვეული არავითარი საერთაშორისო სამართალი, მომავალ კაცობრიობაში მომქმედი, — არც კი აქვს აღნიშნული **ხუბიექტი სამართლისა.** მან ისიც არ იცის, — მთელი კაცობრიობა შეადგენს ერთს საზოგადოებრივ ორგანიზმს, თუ კაცობრიობის ორგანიზაცია ერთა კავშირით გამოიხატება. ამიტომაც დღესაც ბევრია სოციალისტი, რომელთაც სწამსთ ერთი საზოგადოებრივი ორგანიზმი, მთელი კაცობრიობისაგან შემდგარი (კოსმოპოლიტიზმი), და არიან ისეთებიც, რომელთაც სწამსთ ერთა შორის კავშირი, განმტკიცებული სოციალისტურ ნიადაგზედ (ინტერნაციონალიზმი).

ამ ორი ცნებას შორის კი დიდი განსხვავებაა. პირველი და უმთავრესი განსხვავება ის არის, რომ კოსმოპოლიტიზმის დროს სრულიად ჰქრება ცნება საერთაშორისო სამართლისა, რადგანაც სამართალი ორსა და მეტს სუბიექტს შორის შეიძლება, ხოლო ერთ მსოფლიო საზოგადოებას შეუძლია შინაგანი სამართალი ჰქონდეს, ინდივიდთა შორის განწყობილებათა მომწესრიგებელი, — უმაღლესი, საზოგადოებათა შორის განწყობილებათა მომწესრიგებელი სამართალი კი მას არ ექმნება, რადგანაც იგი ერთია და თავის თავთან ვერ დასდებს სამართლის ნორმებსა. ინტერნაციონალიზმის დროს კი შესაძლებელი და აუცილებელია საერთაშორისო სამართალი, რადგანაც თვით ცნება „ინ-

ტერნაციონალური“ ნიშნავს „საერთაშორისოს“, იგი იგულისხმებს წინდაწინ-ვე მრავალ საზოგადოების, მრავალ ერის არსებობას, რომელთა შორისაც უნ-და დადებულ იყოს უმაღლესი სამართლის ნორმები, და ჰრიცხავს ერთ საკა-ცობრიო საზოგადოების არსებობას. კოსმოპოლიტიზმი არ აღიარებს, მაშასა-დამე, ერს, საზოგადოებას, როგორც სამართლის საგანს, არამედ უარ-ჰყოფს მას, როგორც სამართლის საგანსა, ინტერნაციონალიზმი კი, განსაზღვრითა თვისითა, პირდაპირ, წინდაწინვე გულისხმობს ერს, როგორც სამართლის საგანსა.

ჩვენის აზრით კოსმოპოლიტიზმი არც შესაძლებელია და არც სასურვე-ლი, ინტერნაციონალიზმი კი სასურველიც არის და შესაძლებელიცა. სოცია-ლისტების სიმპატიაც ამ ბოლო დროს უფრო ინტერნაციონალიზმისაკენ არის გადახრილი, და ბოლოს და ბოლოს ისინიც დასთანხმდებიან, რომ კაცობრი-ობა არამც თუ დღეს არ არსებობს, როგორც ერთი საზოგადოება, არამედ მომავალშიაც შეუძლებელია მისი არსებობა კოსმოპოლისის ფორმით; და თუ შეგვიძლია მომავალში კაცობრიობის ორგანიზაციაზედ ვიფიქროთ, — ეს ორ-განიზაცია კოსმოპოლისი კი არ იქმნება, არამედ ცალკე „პოლისთა“ კავშირი, თავისუფალი კავშირი სრულის ინდივიდუალობის მქონე საზოგადოებათა, ინ-ტერნაციონალი. მაგრამ უბედურებაც ის არის, რომ ბევრ სოციალისტს ვერც კი გამოურკვეია, რა არის ცნება კოსმოპოლიტიზმისა და ინტერნაციონალიზ-მისა, და ხშირად ერთმანეთში აღრევენ ამ ორ სრულიად ურთი-ერთის მოწი-ნააღმდეგე ცნებასა.

ჩვენ წინად, ერთ პატარა წერილში განვსაზღვრეთ ეს ორი ცნებაც. შო-ვინიზმთან და ნაციონალიზმთან ერთად. მოვაგონოთ მკითხველს იგივე, რაც იმ პატარა წერილში * ვსთქვით.

თვით სიტყვა კოსმოპოლიტიზმი უაზროა და შეუძლებელი. იგი წარმოს-დგება ბერძნულ „კოსმოს“-იდან, რაიცა ნიშნავს, განსაკუთრებით თანამედ-როვე მსოფლ-მხედველობის თვალთ-საზრისით, მსოფლიოს, სამყაროს, — და „პოლიტეს“-იდან, რაიცა ნიშნავს მოქალაქეს. მაშასადამე კოსმოპოლიტიზმი ნიშნავს მსოფლიოს მოქალაქეობას. ეს კი შეუძლებელია, რადგანაც მოქალა-ქეობა შეიძლება რომელიმე განსაზღვრულ საზოგადოებისა, ერთისა და იმა-ვე გონიერ არსთაგან შემდგარ საზოგადოებისა; ასეთი საზოგადოებანი კი ჩვენ მხოლოდ ჩვენ პატარა დედა-მიწაზედ ვიცით. ჩვენი დედა-მიწა და თვით ჩვენი მზის სისტემაც ერთი უმცირესი მტვერია ეგრედ წოდებული „რძის ფე-რი გზისა“, ეს უკანასკნელი კი აგრეთვე უმცირესი ნაწილია სამყაროისა, კოს-მოსისა. მაშ როგორ შეგვიძლია რომ ვიყოთ „კოსმოპოლიტები“, ანუ მსოფ-ლიოს მოქალაქენი, როდესაც არც დაუსრულებელი და განუზომელი მსოფ-ლიო ვიცით, დანამდვილებით არ ვიცით ისიც — ჩვენი მზის სისტემის სხვა პლანეტებზეც არსებობენ თუ არა გონიერნი არსნი, საზოგადოების მქონენი, და კიდევაც რომ ვიცოდეთ, მათთან არა გვაქვს და არც შეეძლია გვქონდეს არავითარი სოციალური კავშირი? — ცხადია, როცა კოსმოპოლიტიზმზედ ლა-პარაკობდნენ, „კოსმოსი“ ესმოდათ როგორც დედა-მიწა, ეს უმცირესი მტვერი კოსმოსისა, და მის მოქალაქეობას ეძახდნენ კოსმოპოლიტიზმსა. უმჯობესი იქმნებოდა, ტერმინი **გეოპოლიტიზმი** ეხმარათ. მაგრამ, როგორც არა ვსთქვით, დღესაც რომ არ არსებობს სოციალური კავშირი ყველა ადამიანთა შორის,

---

* ხ. „დროება“, 1909 წ., №№ 167, 168, 169, 170, 171; „ოთხი ცნება“, ალაროდიელის ფსევდონიმით.

დღესაც რომ არ არსებობს ერთი საზოგადოება, მთელი კაცობრიობისაგან შემდგარი, — ბერძენთა დროს როგორ შეიძლებოდა არსებულიყო? მაშინ ხომ დედა-მიწისა და კაცობრიობის სიდიდე გაცილებით უფრო მცირე ეგონათ, რადგანაც არ იცოდნენ არც ერთი და არც მეორე ისე, როგორც დღეს იციან. მხოლოდ თანამედროვე ეპოქაში გაიცნეს კაცობრიობა და აღნუსხეს დაახლოებით მისი რაოდენობა, მაგრამ ჯერ კიდევ შორს არის ყველა ადამიანს შორის, მილიარდ-ნახევარ ადამიანს შორის ისეთი სოციალური კავშირის შეკვრა, რომ „გეოპოლიტები" გავხადეთ ეს მილიარდნახევარი ადამიანი.

მაგრამ იქნებ დღეს თუ არ არსებობს, შემდეგ, ბოლოს და ბოლოს მაინც უნდა განხორციელდეს გეოპოლიტიზმი? — შევხედოთ ამ საკითხს ამ მხრითაც. სოციალისტების თეორიაც მსოფლიო კაპიტალიზმისა და მსოფლიო ბაზრისა, მსოფლიო რევოლუციისა და მსოფლიო სოციალიზმისა დავიხმაროთ და განვიხილოთ, — თვით ამ თეორიის ძალითაც არის თუ არა განსახორციელებელი გეოპოლიტიზმი?

გეოპოლიტიზმი ნიშნავს ერთ სოციალურ ორგანიზმის წარმოშობას: როდესაც მთელი კაცობრიობა ილაპარაკებს ერთი ენით, როდესაც ყველას ერთი ტიპის სჯული ექმნება, ერთი სამართალი, ერთი ხელოვნება, ერთი და იგივე პოლიტიკური ორგანოები, — მაშინ გეოპოლიტიზმი იდეალური ერთობის განხორციელება იქმნება. მაგრამ ყოველივე ეს ნიშნავს ისეთსავე აბსურდს, როგორსაც ყველა ცხოველთაგან ერთი სახის წარმოშობა, ან ყველა მცენარეთაგან ერთი მცენარის სახის წარმოშობა. სიცოცხლე მრავალფეროვან არსთა ჰქმნის თავის შემოქმედების პროცესსში, და მიუხედავად იმ დიდ მსგავსებათა, რომელნიც არსებობენ სხვა და სხვა სახეთა და ინდივიდთა შორის, არსებობს თვითეული სახე და ინდივიდი და იგინიც მრავალფეროვანდებიან. საზოგადოებრივ სიცოცხლესაც მრავალი სოციალური ორგანიზმი წარმოუშვია ჟამთა ვითარებაში, და დასაბამიდან აქამდის ჩვენ უფრო და უფრო დიდს მრავალ-ფეროვანებასა ვხედავთ ამ სოციალურ შემოქმედების პროცესსში. უნდა ვიგულისხმოთ, რომ თავდაპირველად არსებობდა ძლიერ ცოტა ადამიანი, მაშასადამე კიდევ უფრო ნაკლები რიცხვი ადამიანთა საზოგადოებათა, ეხლა კი ათასგვარ დიფფერენციაციის შედეგი ის ათასნაირი საზოგადოებაა კაცობრიობაში, რომელსაც ჩვენა ვხედავთ და რომლისაგანაც ბევრს შესაძლებელი ჰგონია ერთი საზოგადოების შექმნა. — მართალია, ბევრი იდენტიური თვისებანი ჰქონიათ და აქვსთ ამ სოციალურ ორგანიზმებს, ბევრი იდენტიური თვისებანი ემატებათ კიდევ, მაგრამ ბევრი განსხვავებაც ვითარდება მათ შორის, ერთობ ინდივიდუალობა თვითოეულისა უფრო და უფრო მტკიცდება. რასაკვირველია არსებობისათვის ბრძოლაში შეიძლება ზოგი სოციალური ინდივიდი მოკვდეს, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს საზოგადოებათა მრავალფეროვანების მოსპობასა და განა იდენტიური ორგანოები ცოცხალ არსთა შორის ყველა არსს იდენტიურადა ჰქმნის? თვალები, ფეხები, ხელები, ყურები, ორგანონი ყველა გრძნობათა, მრავალი ანატომიური და ფიზიოლოგიური, მრავალი ფსიხიური იდენტიური თვისება აქვსთ განსაკუთრებით განვითარებულ ცხოველებს ურთი-ერთ შორის, მაგრამ განსხვავებაც დიდია მათ შორის, და ეს განსხვავება გვაძლევს შეძლებას ვიგულოთ სრულიად განსხვავებულ სახედ Homo Sapiens, რომელიც განსხვავდება მაიმუნთა სხვა და სხვა სახეთაგან, — მიუხედავად იმისა, რომ იგინი ერთმანეთსა ჰგვანან. — აგრეთვე ადამიანთა ჯგუფები, — ზანგი განსხვავებული თეთრი რასის კაცისაგან, არიელი, განსხვავებული მონგოლისაგან, გერმანელი, განსხვავებული სლავიანისაგან, ინგლი-

სელი, განსხვავებული რუსისაგან, და მებრვე, — ცალკე მრავალფეროვანებანი არიან ადამიანის სახისა, რასისა, ხალხისა, ერისა და სხვ. სანამ არ მივალწევთ რომელიმე ჯონ ტომსონს, რომელიც განსხვავდება ტომ ჯონსონისაგან, — თუმცა მათ შორის ათასი რამ საერთოა, — ჩვენ ასევე შეგვიძლია „ინდივიდებად" დაყოფა სხვა და სხვა გვარ არსთა. არც ერთი ამ ზემოხსენებულ ინდივიდუალურ არსთაგანი არა ჰკარგავს დამოუკიდებლობას, ყველა გამოჰხატავს ინდივიდუალობას, დაწყებული ადამიანის სახიდან რომელიმე ცალკე პირამდე, — თუმცა, განვიმეორებთ, მსგავსება მათ და მათ გვერდში მდგომ ინდივიდთა შორის აუარებელია და შეიძლება კიდეც გადიდდეს. როგორიც უნდა იყოს აღრევა და ურთი-ერთის მიერ ზედმოქმედება ამ ინდივიდთა შორის, — საერთო შედეგი მაინც ახალი ინდივიდები იქმნება. ნეგრისაგან და თეთრ-კანიანისაგან მულატი გამოდის. ფრანგულ და ანგლო-საქსონელთა საზოგადოების აღრევამ თანამედროვე ინგლისელი წარმოშვა, რომელიც ფრანგისაგანაც განირჩევა და გერმანელისაგანაც, და მებრვე. ბუნება მრავალ-ფეროვანია, თვით დედა-მიწა მრავალფეროვანია, მისი ქერქიც ერთფეროვანი არ არის, არც მისი ზედა-პირია ერთსა და იმავე პირობებში. მით უფრო მრავალ-ფეროვანია სიცოცხლე. მისი შემოქმედების ერთი მხარე — მრავალფეროვანებაა. თვითოეულ „ფერს", თვითოეულ ინდივიდს აქვს შინაგანი მისწრაფება თავის დაცვისა და შენახვისა. უსიკვდილოდ არავის ნებდება, დამორჩილებულიც კი მორჩილებში ეწევა შემოქმედებას, დამმონებელთან ერთად ახალ ინდივიდსა ჰქმნის. საზოგადოებაც ერთი ფორმათაგანია სიცოცხლისა. კონკრეტული საზოგადოებანიც მრავალ-ფეროვანნი არიან, მათაც აქვსთ თავიანთი ინდივიდუალობა და გრძნობა, მისწრაფება თავის დაცვისადმი. იგინიც სიკვდილამდის არავის ნებდებიან. სხვებთან შერევით ისინიც ახალ ტიპებსა, ახალ ინდივიდებსა ჰქმნიან, ან ბატონთაგან თავისუფლდებიან.

როგორიც უნდა იყოს მოქმედება ურთი-ერთზედ, როგორიც უნდა იყოს ძალა ურთი-ერთის წაბაძვისა, როგორის სისწორითაც უნდა გაიაროს წამბაძველობის ტალღამ განსხვავებულ ხალხთა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და შექმნას იდენტიური თვისებანი მათ შორის, როგორც ამას ამბობს ტარდი, — მაინც ერთობ საზოგადოებათა ინდივიდუალობა არა ჰქრება; საზღვარიც საზოგადოების ასსიმილაციისა, საზღვარი მისი სხვად გადაქცევისა ყოველთვის მოსპობაა მისი ინდივიდუალობისა, მისი სიკვდილი. მაგრამ სიკვდილის შემდეგაც იგი სხვა საზოგადოებას ისეთ თვისებებს უტოვებს, რომელიც ამ ცოცხლად შთენილ საზოგადოებას სხვათაგან განარჩევს. მთელი ისტორია, მსოფლიო ისტორია პირდაპირ დამამტკიცებელი საბუთია ამისი.

მსოფლიო კაპიტალიზმი მხოლოდ იმას ამტკიცებს, რომ ამ „ტალღამ წამბაძველობისამ" ყველა საზოგადოებას გადაუარა, რომ იდენტიური ეკონომიური მოვლენა გაჩნდა ყველა საზოგადოებაში, მაგრამ იმას კი სრულიად არ ამტკიცებს, რომ თვითოეულმა საზოგადოებამ დაჰკარგა ინდივიდუალობა, თუ გინდ ეკონომიური ინდივიდუალობაცა. შესანიშნავი სოციალისტი პეტრე კროპოტკინი, პირიქით, თავის წიგნში Fields, Factories ond Workshops ამტკიცებს, რომ ერთა შორის შრომის განაწილება თანდათან ჰქრება, ერთი ერი უკვე აღარ არის მხოლოდ მრეწველი, მწარმოებელი, მეორე კი მიწის მუშა, არამედ თვითოეული ერის ტენდენცია, პატარაებისაც კი, იქითკენ არის მიმართული, რომ თავისი სამყოფი სიმდიდრე თვითონვე დამოუკიდებლად აწარმოოსო. ამიტომაც კლებულობს თანდათან ყველგან სხვა ქვეყნებიდან შემოტანილი საქონელიო. — მსოფლიო კაპიტალიზმი ბოლოს და ბოლოს ყველ-

გან ეროვნულ კაპიტალიზმს ჰქმნის, და ეს ფაქტიც იმის დამამტკიცებელია, რომ იდენტიური მოვლენა აღჩენილა სხვა და სხვა ერთა ცხოვრებაში, მაგრამ განსაზღვრულ, ეროვნულ სოციალურ სფეროში განვითარებულა და კიდევ უფრო განუმტკიცებია ერის ინდივიდუალობა, გაუნთავისუფლებია რა იგი სხვა ერთა ეკონომიურ მონობისაგან. თვით ერის შინაგან ცხოვრებაში კაპიტალიზმი უმეტესს სიმჭიდროვესა და კოჰეზიას ჰბადებს.

გარდა ამისა, ეკონომიური მოვლენა წარმოუდგენელია გარეშე ეროვნულ მოწესრიგებისა. ყოველი კაპიტალიზმი ამ მხრით ეროვნულია, და მსოფლიო კაპიტალიზმი, მსოფლიო ბაზარიც ამ მხრით არ არსებობს, რადგანაც არ არის მსოფლიო მოწესრიგება კაპიტალიზმისა, — არც მსოფლიო წარმოებისა. არც ბრუნვისა და არც ხმარებისა. არიან საერთაშორისო ხელ-შეკრულებანი. მაგრამ ეს სულ სხვაა, ვიდრე მსოფლიო მოწესრიგება. თვითოეული ერი თავის ეკონომიურ მოწესრიგების სფეროში სცხოვრობს. რასაკვირველია ერთი ერი ხვდება მეორეს ეკონომიურ ნიადაგზედ, ერთს მეორესთან კონკურენცია უხდება, ერთი მეორესთან მეგობრულ კავშირს სდებს, მაგრამ არ არის არავითარი საკაცობრიო სამეურნეო მოწესრიგება, რომელიც ახასიათებდეს მთელი მილიარდ ნახევარი ადამიანის მოწესრიგებულ საერთო ეკონომიურ მოქმედებასა. კარლ ბიუხერის სიტყვით ახალმა პოლიტიკურმა განვითარებამ ბევრით უკან დაგვაბრუნა და მოგვაგონებინა ძველი მერკანტილიზმი და საქალაქო მეურნეობაც კი. ამას გარდა ისევ განახლდა ახალის ძალით პროტექციონიზმი, დარჩა ხმარებაში ეროვნული ფული. აგრეთვე ეროვნულია და არა საერთაშორისო მუშათა კანონმდებლობა, დაზღვევა მუშათა, საბანკო პოლიტიკა და სხვ. — ეს სულ ეროვნული მეურნეობის დამახასიათებელია, და არა საკაცობრიო მეურნეობისა.

მართალია, ამბობს ბიუხერი, რომ ერთა მეურნეობა სხვა და სხვანაირია, — ზოგი ერი მრეწველია, ზოგი მიწის მეურნე, ზოგი მეტს ჰყიდის, ზოგი მეტს ჰყიდულობს უცხოსაგან, მაგრამ ეს მხოლოდ „საერთაშორისო შრომის განაწილებაა“ და სრულიადაც არ ამტკიცებს იმას, რომ საკაცობრიო მეურნეობამ უნდა დაიპიროს ადგილი ეროვნული მეურნეობისა.—ეგრედწოდებულ მსოფლიო მეურნეობას ჯერ-ჯერობით არავითარი საკუთარი თვისება არ გამოუჩენია, რომელიც განირჩეოდეს ეროვნულ მეურნეობისაგან და ძლიერ საეჭვოა არის, რომ ახლო მომავალში გამოიჩინოსო,—პირდაპირ ამბობს კარლ ბიუხერი. (Происхождение Народного Хозяйства, ტ. I, თავი III, § 3).

იაპონია პირველი მაჩვენებელია იმისი, თუ როგორ მოქმედებს ერზედ წამბაძველობა. არას დროს იაპონიას არ განუმტკიცებია თავისი ინდივიდუალობა ისე ძლიერად, როგორც განცდილ წამბაძველობის შემდეგ. მან მთელი ევროპული კულტურა შეითვისა წამბაძველობით, მაგრამ თანაც ძლიერ ერად გადიქცა, ძლიერ იაპონიის ერად, და რუსეთიც კი დაამარცხა, რომ შორეულ აღმოსავლეთში თავისი გავლენა განემტკიცებინა. იგი დიდ ერად გარდიქცა, რომელსაც არა თუ თავისი კულტურა აქვს, არამედ მთელს აზიაში სცდილობს გაბატონოს თავისი ეროვნული კულტურა.

მართალია, იაპონიამ ევროპიული მეცნიერება, ხელოვნება. სამხედრო ტეხნიკა და სხვ. ევროპისაგან შეიძინა, ევროპის ერთაგან, მაგრამ იგი, „იაპო-

ნურად“ აქცია. ეს კულტურა ეხლა იაპონურ ენაზედ შეითვისების, იაპონელ მეცნიერთაგან ისწავლების და იაპონურ სოციალურ მოწესრიგების სფეროშია. იაპონია არას დროს არა ყოფილა ისე ძლიერი ეროვნულად, როგორც ასეთის წამბაძველობის შემდეგ. — ესევე ხდება სხვა ერთა ცხოვრებაშიაც, თუ, რასაკვირველია, ცოტაოდენი შემოქმედებითი ენერგია მაინც აქვს ერსა და წამბაძველობით შეძენილი მასალით არ მოიწამლება და არ გაქრება, არამედ თავის ეროვნულ ორგანიზმის სასარგებლო ასსიმილაციას მოახდენს და უფრო ძლიერად იქცევა სხვისაგან შეძენილითა.

კაპიტალიზმს ასეთი გავლენა აქვს ერებზედ. მისი განვითარება უმეტეს შემთხვევაში ეროვნულ ინდივიდუალობას ანვითარებს. მეურნეობას, ენას, სახელმწიფოებრივ ფორმებს, სამართალს, — ყოველისფერს გარდაქმნის ხოლმე ახალი ცხოვრება, ხოლო ერს კი არ სპობს, არამედ, განვიმეორებთ, მის ინდივიდუალობას კიდევ უფრო ანვითარებს, და თუ დამონებულია, საბრძოლველად ხმალს ააღებინებს როგორც გაძლიერებულსა და თავის უფლების შემგნებ სოციალურ ინდივიდუალობასა.

არის ისეთი შემთხვევებიც, როცა შემოსეულ რასას შემოაქვს ახალი ცხოვრების წესები ძლიერ ჩამორჩენილ საზოგადოებრივ ჯგუფთა შორის. ეს უკანასკნელები ვერ ეგუება ახალ ცხოვრებასა, შემოსეულ რასას ვერ უწევს კონკურენციას და კვდება, მაგრამ ეს კაპიტალიზმის ბრალი არ არის. ამის მიზეზი ის არის, რომ ძლიერ დიდი განსხვავებაა შემოსეულ ერისა და ადგილობრივ ჩამორჩენილთა შორის. ძლიერი სუსტსა ჰკლავს ხელ-აღუპყრობელად, — ან თავის კულტურით ჰსრესავს მას, ხან და ხან კიდეც ამოჟლეტავს ხოლმე! — მაგრამ ეს ძლიერ ხშირი მოვლენა არ არის. შეუძლებელია ერის აღმოფხვრა, თუ მას ოდნავ მაინცა აქვს ეროვნული კულტურა და მრავალრიცხოვანია. შეუძლებელია ჩინელთა ეროვნების ასსიმილაცია, ან გაჟლეტა. რაც თუ გინდ ღრმად შეითვისონ ჩინელებმა ევროპიული კულტურა, ჩინელი მაინც ჩინელად დარჩება, იგი ჩინურად გარდაქმნის უცხო მაღალ კულტურასა და კიდევ უფრო განამტკიცებს თავის ჩინელობასა.

საერთოდ, ორი რამ არის შესაძლებელი კაპიტალიზმის შემოსვლის დროს, — ან სიკვდილი სოციალური ორგანიზმისა, ან ასსიმილაცია, შეთვისება კაპიტალისტური კულტურისა. პირველი შემთხვევა უფრო იშვიათია მეორეზედ. პირველი მაშინ ხდება, როდესაც ველურთა ან ძლიერ პატარა ერთა ცხოვრებაში შედის კაპიტალიზმი რომელიმე სახელმწიფოს ხელმძღვანელობით და ამ უკანასკნელს საკუთარი ინტერესით სურს მოსპოს დამონებული ხალხი, მეორე შემთხვევა კი რთული სოციალური პროცესსია, წამბაძველობის რთული პროცესსი, — როდესაც ერთი ერი სხვის კულტურას თავის სოციალურ წრეში გადმონერგავს ხოლმე და ამით უფრო განაძლიერებს და განამტკიცებს თავის ინდივიდუალობასა. ეს უკანასკნელი მოვლენა უფრო საგულისხმიერია და იმისი მაჩვენებელი, რომ წამბაძველობა და კერძოდ კაპიტალიზმის გავრცელება მთელს კაცობრიობაში კიდევ არ ნიშნავს ერთა მოსპობასა და ერთი საზოგადოების შექმნას, მთელის კაცობრიობისაგან შემდგარ ერთ საზოგადოების შექმნას.

ამომავალ კოსმოპოლიტიზმს, მაშასადამე, საერთო ეკონომიურ მოწესრიგების მხრითაც არავითარი საფუძველი არა აქვს, — დღეს ვერა ვხედავთ ამ

წაფუძველის შთანაჩენებსა. ეკონომიური განვითარება კაცობრიობის ნაწილთა ერთა, თვითოეულ ერის ინდივიდუალობის განვითარებისაკენ ~~ან ~~ თიმართული და არა ერთი საკაცობრიო ერის შექმნისაკენ.

ისევე ითქმის ყველა სხვა სოციალურ მოვლენაზედაც. შეუძლებელია სარწმუნოების გერთიანება. შეუძლებელია ერთი ენის შექმნა, რადგანაც თვითოეულ სარწმუნოებასა და თვითოეულ ენასაც აქვს მისწრაფება გავრცელებისადმი და თავის შენახვისადმი. ამით ენანი და სარწმუნოებანი ურთი-ერთს საზღვარს უდებენ. დღეს, მაგალითად, ქვეყნიერებაზედ ქრისტიანეთა რიცხვი არის 500.000.000,. მათ შორის პროტესტანტი 200.000.000, კათოლიკე 145.000.000, მართლმადიდებელი 105.000.000, არა ქრისტიანი არის 1.000.000.000, მათ შორის ურია 8.000.000, მაჰმადიანი 180.000.000, ბუდისტი 500.000.000, ბრაჰმანი 200.000.000, წარმართი 112,000,000. როგორ შეიძლება მათი ერთ რჯულზედ დაყენება. როგორ შეიძლება 180.000.000 მაჰმადიანი, ან კიდევ ერთი მილიარდი არა ქრისტიანი გააქრისტიანო, ან 500.000.000 ქრისტიანი გაამაჰმადიანო, — თუ გინდ იმ 8.000.000 ურიასაც გამოაცვლევინო რჯული! რჯულთან ერთად კი ერს, ხალხს რჩება უდიდესი ნაწილი თავის ინდივიდუალობისა. — ეს კიდევ არაფერი, — რაც უფრო ვითარდება კულტურულად ერი, — მით უფრო იღვიძებს მასში შეგნება ინდივიდუალობისა და კერძოდ რელიგიური ინდივიდუალობისა. მაჰმადიანთა კულტურული თავისებურება ეპეს გარეშეა და იგი მით უფრო შეუდრეკელი იქმნება, რაც უფრო მეტად განვითარდება. შეიძლება მაჰმადიანობა შეიცვალოს, გაუმჯობესდეს, — მაგრამ ამით კიდევ უფრო გააძლიერებს თავის ინდივიდუალობას, და არასოდეს არ დაჰკარგავს მას. — ეს კიდევ რა, — თვითოეულ რჯულში არის შინაური განსხვავება და პროტესტანტობის ინდივიდუალობაც შეუდრეკელია, — იგი არასოდეს არ დაუბრუნდება კათოლიკეზმს.

აგრეთვე ერთი ენის შექმნა უტოპიაა. ენათა რიცხვი კაცობრიობაში უთვალავია, და ვინ იცის, კიდევ განმრავლდებიან ენები თუ შემცირდება მათი რიცხვი. არ ვიცი, რაზედ ამყარებენ თავიანთ არგუმენტს ზოგიერთები ენათა შემცირების შესახებ. როდის იანგარიშეს წინად არსებულ ენათა რიცხვი და როდის შეადარეს აწ არსებულ ენათა რიცხვს, ან როგორი არის კანონი ენათა შემცირებისა, რა რეგულიარულ გზას მისდევს იგი დროთა ვითარებაში? — არავის არ მოუხდენია ასეთი გამოკვლევა და ორიოდე პატარა ენის მოსპობის გამო კანონად დასახვა საზოგადოდ ენათა შემცირებისა და ერთი ენის მომავალში გაჩენისა, — არა მეცნიერული და ბავშური მსჯელობაა. — პირიქით მთელი ლინგვისტიური მეცნიერება იმას გვიმტკიცებს, რომ დასაბამიდან აქამდის ენათა რიცხვი განმრავლებულა დიფერენციაციით, როგორც სახეთა განვითარებას შეუქმნია უთვალავი მრავალფეროვანება მცენარეთა და ცხოველთა. არსებობს დღეს მთელი ჯგუფები სემიურ ენათა, არიულ ენათა, მონღოლურ ენათა, თურანულ ენათა, ათასნაირი სხვა ჯგუფები, რომელნიც ცოცხალ არიან, და შესაძლებელიც არის ამ ჯგუფთა საერთო ძირის გამონახვა. ეს საერთო ძირი კი გვაჩვენებს, რომ ოდესმე ერთი ენა არსებულა ენათა მთელი ჯგუფის მაგივრად და მისგან წარმომდგარან მრავალფეროვნებანი ენათა. სხვას რომ თავი დავანებოთ, თვით ევროპა გვაძლევს ასეთს მაგალითსა. წინანდელ ერთ ლათინურ ენისაგან წარმოსდგა და დღეს არსებობს ხუთი ლათინური ენა, თავისი დიალექტებითა და კილოებით. წინანდელ ერთ გერმანულ ენისაგან დღეს წარმოსდგა ხუთამდე გერმანული ენა ლიტერატურითა და თავისი დია-

ლექტებითა. სლავიანურ ენისაგან წარმოსდგა ექვსზედ მეტი სლავიანური ენა. ეაალა ეს ენები თავის მხრით წარმოსდგებიან ერთ არიულ ენისაგან, რომელსაც ეკუთვნის ევროპიულ ენათა ჯგუფი. სხვა და სხვა გვარია მრავალი აზიური ჯგუფი ენათა თავიანთ მრავლის უმრავლეს დიალექტებიანად. მართალია ტარდის აზრიც, რომ განსაზღვრულ კონტინენტზედ კულტურის დამკვიდრების შემდეგ მუშავდება განსაზღვრული რაოდენობა ლიტერატურის მქონე ენათა, რომელნიც ჰკლავენ პატარ-პატარა ჯგუფთა ენებსა, მაგრამ ეს ენათა განქრობა კი არ არის, არამედ კონსოლიდაცია და შემუშავება ენათა, ეროვნულ ენათა. ამასთანავე ლიტერატურული ეროვნული ენა ვერა ჰკლავს ყოველთვის დიალექტებსა. დიალექტები სცოცხლობენ ძლიერ ხშირად და ბოლოს და ბოლოს ლიტერატურის განვითარების სურვილიც ებადებათ. სულ სხვაა, როდესაც ერთი ეროვნული ენა მეორესა ჰკლავს, — ეს მოვლენაც იშვიათად არსებობს, მაგრამ საერთოდ ენათა შემცირების მოვლენას არც იგი ნიშნავს, როგორც არსებობის ბრძოლაში ერთი სახისაგან მეორეს მოსპობა არ ნიშნავს საერთოდ სახეთა რიცხვის შემცირებას. სამაგიეროდ, დამკვიდრებული ერთი ლიტერატურული ენა ისეთის ძალისა და სიძლიერის არის, რომ მას განუსაზღვრელი სურვილი აქვს თავის შენახვისა, რაიცა არ მოეპოვება პატარა ჯგუფთა ენას ეროვნულ ლიტერატურულ ენის კონსოლიდაციამდის. კაცობრიობა განმრავლების გზაზედ იდგა ქამთა ვითარებაში და როგორც სხვა და სხვა რასები წარმოიშვა, ისე სხვა და სხვა ენები, და მსგავსად რასათა მრავალფეროვანებისა ენათა მრავალფეროვანებაც წარმოიშვა. შეიძლება სთქვან, რომ საზღვარი აქვს ამ მრავალფეროვანებასაო, მაგრამ ჯერ ამ საზღვარს ვერა ვხედავთ სრულიად. ჯერ ერთი იმიტომ, რომ ხალხთა შორის მეტის ერთობის გამო ესე თუ ის ხალხი არა ჰქრება, არამედ კიდევ მეტად ეღვიძება წყურვილი თავის შენახვისა, მაშასადამე უწინარეს ყოვლისა ენის შენახვისა. მეორე,—თვით ოდესღაც მკვდარი ენები იღვიძებენ ახალ სიცოცხლისათვის, მწერლობასა ჰქმნიან, როგორც მაგალითად კელტური. აგრეთვე თვით ცოცხალ, ლიტერატურულ ენათა დიალექტებიც კი არსებობის უფლებას ეძებენ და მოიხვეჭეს კიდეც, როგორც პროვანსალურმა და მრავალმა სხვამ.—ან იქნებ იმის იმედი აქვთ, რომ ძალით გაამეფებენ ერთს რომელიმე ენას ქვეყანაზედ?—ეს პირდაპირ აბსურდია.—დღეს ჩინურ ენაზედ და მის დიალექტებზედ ლაპარაკობს — 386.000.000-ზედ მეტი ადამიანი. ინდოეთის ენაზედ და მის დიალექტებზედ ლაპარაკობს 200.000.000-ზედ გაცილებით მეტი — მარტო ეს არის საკმარისი, დაუსრულებელ მომავალშიაც რომ ვერ წარმოვიდგინოთ მათი გაინგლისელება, ან გარუსება! — რამდენია ასეთი რასა, ენა: ელიტონ, სანამ შეეძლებათ, მაინც ვერ გარდაქმნიან, — პირიქით, — მათგან უფრო უნდა მოელოდნენ წალეკვას ევროპიელები. თვით ევროპაში 357.380.000 ადამიანია სხვა და სხვა ენაზედ მოლაპარაკე, რომელთაგანაც არც ერთი არ დასთმობს თავის ენას უკანასკნელ სისხლის წვეთამდე, ისე აქვს განვითარებული ენის სიყვარული თვითოეულს ერსა. — ისიც წარმოვიდგინოთ, რომ ერთმანეთში აირიენენ აზიელები და ევროპიელები. მაგრამ განა ერთი ენა გამოვა მათი აღრევისაგან? სრულიადაც არა. — ვინ იცის, როგორ შეიცვლება მაშინ კაცობრიობა; რამდენი ახალი ერი წარმოიშვება, რომელსაც თავიდან დასჭირდება ისტორიის დაწყება; რამდენი ახალი კულტურა, რამდენი ახალი ენა, — შეიძლება მეტიც, ეიდრე დღეს არის — წარმოიშვება, — მაგრამ ჩვენ სულ სხვა საგნის შე-

სახებ დავიწყეთ ლაპარაკი. ამაზედ უფრო დაწვრილებით შემდეგ ვილაპარაკოთ.

ეგრედ წოდებულ ესპერანტოზედაც ამყარებენ დიდ იმედებს, — საქვეყნო ენად შეიქმნებაო. მაგრამ ჯერ ერთი ესპერანტოს შესწავლა ერთს მეტს ენას ჰქმნის ქვეყანაზედ. — თუ დღეს n ენაა, ხვალ n+1 იქმნება. — ეს უეჭველია. მეორე, ესპერანტო საერთაშორისო განწყობილებათა გასაადვილებელი ენაა, და ერთია საერთაშორისო განწყობილების გაადვილება და სულ სხვაა ენის ორიგინალური შესისხლხორცება. საერთაშორისო განწყობილებაში სახმარი ენა და მთელს ხალხში, შინ სახმარი, ერთი და იგივე არ შეიძლება იყოს. წინად ფრანგული ენა იხმარებოდა საერთაშორისოდ საპოლიტიკო ურთიერთობაში, მაგრამ მას თავის დღეში არ მოუპოვებია ისეთი გავლენა, რომ მთელი უცხო ერის ენის ადგილი დაეჭიროს. თუ ცოცხალმა ენამ ეს ვერ მოახერხა, — ვინ შესცვლის მოგონებულ ესპერანტოზედ თავის სამშობლო ენასა? ან ინგლისურის გავრცელება განა ფრანგულისა, გერმანულისა, ან თუ კიდ ინდოეთის ენათა, ან ჩინურ ენის მოსპობას ნიშნავს? — სრულიადაც არა. მხოლოდ იმას ნიშნავს, — რომ ინგლისურსაც სწავლობს თავის ენის გარდა, ვისაც სჭირდება. მაგრამ მოვა დრო და შეიძლება თვით ინგლისელმა ან მისმა შთამომავალმა ისწავლოს ჩინური ან ინდოს ენა, ან მათგან წარმოშობილი ენა. ვინ იცის, ყოველისფერი მოსალოდნელია, ისე დიდია „ფონდი კაცობრიობისა“ და მრავლად არის შესაძლებელი მისგან წარმოსაშობი ათასგვარი ცივილიზაცია, კულტურულ-ისტორიული ეპოქა...

როგორც რჯულსა და ენას, ისე ერთობ ეროვნულს, სოციალურ ინდივიდუალობას არ დაჰკარგავენ სხვა და სხვა კონკრეტული საზოგადოებანი კაცობრიობისა. პირიქით, კიდევაც მეტი მრავალფეროვანება წარმოიშვის. და ამ მხრით კოსმოპოლიტიზმი, ე. ი. ერთი საკაცობრიო საზოგადოება — აბსურდია და შეუძლებელი.

იგი სასურველიც არ არის.

მრავალფეროვანება სიცოცხლეა და ერთფეროვანება სიკვდილი, ამბობენ ხოლმე სიცოცხლის ღრმა მცოდნენი, და ეს ათასჯერ განმეორებული სიტყვა კვლავ ჭეშმარიტებად რჩება. შეადგინეთ ერთი საზოგადოება აწ არსებულ მილიარდ ნახევარ ადამიანთაგან. და თქვენ გექნებათ ერთფეროვანი სოციალური ცხოვრება, მოსაწყენი და შემოქმედებას მოკლებული. როგორც ძლიერ მსგავსნი ინდივიდნი უფერულებას წარმოადგენენ, როგორც ერთად ერთს ინდივიდს არ შეუძლია შემოქმედება, ისე ძლიერ მსგავსნი საზოგადოებანიც უფერულ საზოგადოებრივ ცხოვრებას წარმოშობდნენ, ისე ერთადერთს საზოგადოებას ნაკლები შემოქმედების ნიჭი ექმნებოდა. მრავალი საზოგადოება, — მრავალი ინდივიდუალობაა; მათი განსხვავებანი განსხვავებულ შემოქმედების წყარონი არიან, მაშასადამე უფრო მდიდარისა და საინტერესო სოციალურ ცხოვრებისა. ერთფეროვანი ბუნება — უდაბნოა, ერთფეროვანი ინდივიდები — არარაობაა. მსგავსადვე ერთფეროვანი კაცობრიობა — სოციალური უდაბნო. მაგრამ, საბედნიეროდ, ის არც განსახორციელებელია და არც სასურველი, ვინაიდან იგი ნამდვილად არავის არა სურს. — არც ერთ სოციალურ ინდივიდსა. — ყველას აქვს შინაგანი ღრმა მისწრაფება თავის ინდივიდუალობის შენახვისა და განვითარებისა და ეს არის, სხვა ძალათა შორის,

ერთი უდიდესი ძალა, ერთფეროვანების წინააღმდეგ მიმართული და განმამტკიცებელი მრავალფეროვანობისა.

ამგვარად, თავი უნდა ვანებოთ გეოპოლიტიზმსა (კოსმოპოლიტიზმსა), როგორც მომავალ იდეალს ერთად-ერთი საკაცობრიო საზოგადოების შექმნისას. ამ მხრით კაცობრიობა არა თუ ეხლა არ არსებობს, არამედ მომავალშიაც შეუძლებელია.

სოციალისტები ხშირად ინტერნაციონალიზმს ვერ არჩევენ ხოლმე კოსმოპოლიტიზმისაგან, მაგრამ ეს, როგორც არა ვსთქვით, დიდი შეცდომაა.

ინტერნაციონალიზმი პირდაპირი წინააღმდეგობაა კოსმოპოლიტიზმისა. უკანასკნელი ერთფეროვანებაა, პირველი მრავალფეროვანებას წინასწარ იგულისხმებს. ინტერნაციონალიზმი ნიშნავს „საერთაშორისოს", მაშასადამე პირდაპირ იგულისხმებს ერთა არსებობას. მომავალი სოციალისტური ინტერნაციონალიზმი ნიშნავს სოციალისტურ ერთა თავისუფალ კავშირს. მაშასადამე ერის ინდივიდუალობა არა ჰქრება, არამედ ამ ინდივიდუალობათა კავშირი ჰქმნის ახალ, უმაღლესს სოციალურ ცხოვრებას, ცხოვრებას საზოგადოებათა საზოგადოებისას.

ვერავითარი სოციალიზმი, ვერავითარი კლასსთა ბრძოლა ვერ სცვლის ასეთს მომავალს კაცობრიობისას. კლასსთა ბრძოლა თვით ერის შინაგან ცხოვრებაში ხდება, სოციალიზმი ერის შინაგან ცხოვრების ძირითადი გარდაქმნაა, ერი კი, როგორც ინდივიდი, არა კვდება, — იგი რჩება მხოლოდ გარდაქმნილის სახით; ამ გარდაქმნილ საზოგადოებათა შეერთებაა მხოლოდ შესაძლებელი, და არა სხვა და სხვა ერების ცალკე კლასსთა შეერთება და რაღაც უცნაური აღრევა მთელი კაცობრიობისა. კლასსთა შორის მხოლოდ სოლიდარობა შეიძლება, ხოლო სოციალური ერთობა ერთისა და იმავე ერის მოწინააღმდეგე კლასსთა შორის უფროა, რასაკვირველია, ვიდრე სხვა და სხვა ერის მსგავსს კლასსთა შორის, ვინაიდან მარტო მეურნეობა კი არ აერთებს საზოგადოებრივ ჯგუფთა, არამედ მთელი ორგანიული სოციალური ცხოვრება, — ენა, რჯული, ზნე-ჩვეულება, ესთეტიური კულტურა, ისტორიული ტრადიციები, პოლიტიკა, საერთო რთული მიზანი და სხვა.

საერთაშორისო ცხოვრება — უმაღლესი სოციალური ცხოვრებაა, განვითარებული საზოგადოებათა საზოგადოების კავშირისა და ურთი ერთობის სფეროში. ამას მოწმობს თანამედროვე მომქმედი საერთაშორისო სამართალი. მომავალი საერთაშორისო სამართალი კიდევ უფრო განვითარებულ, თუ გნებავთ, სუპრა-სოციალურ ცხოვრებას გამოჰხატავს, ხოლო „კაცობრიობას" ვერასოდეს ვერ შეადგენს, სანამ ერები სოციალურ ინდივიდებად დარჩებიან. ამ უკანასკნელთა გაქრობა კი არაფრით არ მტკიცდება ჯერ-ჯერობით.

მაგრამ ხშირად სოციალისტების შეცდომა, — მათი შემცდარი იდეალი მთელის კაცობრიობის ერთ სოციალისტურ საზოგადოებად გარდაქმნისა — მათს მეორე უდიდეს შეცდომას იწვევს: იგინი თანამედროვე, ცოცხალ ერის უფლებას უარჰყოფენ, უსამართლო, კაცის-ჭამია შოვინიზმად ნათლავენ ეროვნულ თავის დაცვასა და ამით თვით იმ „საერთაშორისო" სამართალს უარჰყოფენ, რომლის პატივის-მცემელნიც თითქოს ისინი პირველნი არიან.

ერის უფლება კი, პირიქით, პირველი საგანია საერთაშორისო სამართლისა, უიმისოდ ინტერნაციონალიზმი ეხლაც და მით უმეტეს შემდეგ პირდაპირი ფიქციაა, სიცრუეა, და ამაზედაც მოვილაპარაკოთ შემდეგ თავში.

თავი მეათე

ერის უფლება*

I

ერის უფლება დღესაც არ არის აღიარებული ისე, როგორც არის აღიარებული უფლება „ადამიანისა და მოქალაქისა" ევროპისა და ამერიკის დაწინაურებულ ქვეყნებში. ეს კიდეე რა, თვით ერის არსებობის უფლებაც კი არ არის ნამდვილად აღიარებული, მიუხედავად დღევანდელ საერთაშორისო სამართლისა, მაშინ როდესაც არსად, თვით დესპოტიურ სახელმწიფოებშიაც არ არის უარ-ყოფილი ინდივიდის არსებობის უფლება. აქედან სჩანს, თუ როგორ დაბლა სდგას საერთა-შორისო სამართალი საზოგადოებრივზე, საერთაშორისო საზოგადოება უბრალო ეროვნულ საზოგადოებაზედ. მაშინ როდესაც დღეს უბრალო ეროვნულ საზოგადოებაში არსებობს სამართალი, დამცველი ინდივიდისა, რაც თუ გინდ ცუდად ასრულებდეს სამართალი ამ ელემენტარულ ფუნქციას, საზოგადოებათა საზოგადოებაში, რომლის მომწესრიგებელიც არის საერთაშორისო სამართალი, დღეს საერთო პრინციპად არ არის აღიარებული საზოგადოებათა დაცვა, ერის დაცვა, პირიქით, მისი უფლება ფეხქვეშ ითელება ყოველ ფეხის გადადგმაზე, თუმცა ყოველთვის ყოფილა საზოგადოებაში ისეთი ელემენტები, რომელსაც თეორიულადაც და საქმითაც სწამდა ერის უფლება და აღიარებდა მასა.

მაშინ როდესაც უბრალო სამართალი, თეორიულად მაინც, სუსტს იცავს ძლიერისაგან, საერთაშორისო სამართალი იცავს ძლიერს და მას ათურგუნებს სუსტსა. ამას გარდა თანამედროვე საერთა-შორისო სამართალი აღიარებს მხოლოდ სახელმწიფოთა უფლებას, და არა ერის უფლებას, რომელიც დათრგუნვილია სწორედ ამ სახელმწიფოთა მიერ. როგორც ვიცით, არ არის **საერთა-შორისო** სამართალი, არამედ სახელმწიფოთა შორისო სამართალი.

ეს უკანასკნელი ერებს არ იღებს თავის მფარველობის ქვეშ. თვით ფაქტი ერის არსებობისა ერს არა ხდის თანამედროვე საერთაშორისო სამართლისათვის უფლება-მოსილ სოციალურ ინდივიდად, როგორც უბრალო სამართალი უბრალო ინდივიდსა, არამედ ძალა, ომი, განთავისუფლება და დამარცხება ყოფილ პატრონისა. მხოლოდ ასეთის ძალის გამოჩენის შემდეგ იღებს საერთა-შორისო სამართალი ერს თავის სფეროში, — მხოლოდ მაშინ, როცა იგი გახდება სახელმწიფოდ.

ისიც ვიცით, რომ თვით ინტერნაციონალიზმი ისე აქვთ შეგნებული საუკეთესო მოაზრეებსა და მოწინავე სოციალისტ-ინტერნაციონალისტებსაც, რომ ყოვლად შეუძლებელია ერის დაცვა მათის პრინციპებითა.

ისინი განიხილავენ ერს არა როგორც სოციალურ ორგანიზმსა, არამედ მხოლოდ როგორც კლასსთაგან შემდგარ საზოგადოებრივ ქსოვილსა და ხედავენ მეტს კავშირს სხვა და სხვა ქვეყნის პროლეტართა შორის, ვიდრე ერთი ერის ყველა წევრთა-შორის. ისინი ამით უარ-ჰყოფენ ერს, როგორც ერთ ორგანიულ სინამდვილეს, და ამიტომაც მათ ჰგონიათ შესაძლებელი ან ერთი საკაცობრიო საზოგადოება, ან და კავშირი თანამედროვე დიდ სახელმწიფოთა-შორის, რომელნიც შინაგან-სოციალურად გარდაიქმნებიან. თუ ამ გარდაქმნამდის ამ არსებულ სახელმწიფოებში მომწყვდეულ ერთა არსებობის დაცვა

---

* ეს თავი დაბეჭდილი იყო უფრო ადრე „ერში" და „საქართველოს მოამბეში", 1909 წ.

საერთაშორისო სამართლის უპირველესი საკითხია, — ეს მათ ან არა სწამთ, ან ძლიერ ცოტა ყურადღებას აქცევენ, ან და მხოლოდ იქ აქცევენ ყურადღებას, სადაც ერთა შორის ბრძოლა ძლიერ მწვავეა.

დღეს, მიუხედავად საერთაშორისო სამართლის უსრულობისა, მხოლოდ „პირებენ" ერის უფლების აღიარებასა და რამდენი ტანჯვა განიცადეს ერებმა, რამდენი ბრძოლა, რამდენი დამცირება და დევნა, სანამ ამ უბრალო პრინციპს აღიარებდნენ, — პრინციპს, რომელიც ისეთივე მარტივია და აუცილებელი უმაღლესი ზნეობის მხრით, როგორც პრინციპი ადამიანის პიროვნების თავისუფლებისა. განსაკუთრებით მთელი მეცხრამეტე საუკუნე იყო მოწამე ერთა საშინელისა და თავგანწირულის ბრძოლისა. მთელი აზროვნება ევროპისა თავის ერთ საგნად იხდიდა ეროვნულ საკითხს მეცხრამეტე საუკუნეში. მეცხრამეტე საუკუნის ისტორია განა მარტო დიდ სახელმწიფოთა შორის ბრძოლის ისტორია იყო, ან მარტო სოციალურ ბრძოლისა საზოგადოებრივ კლასსთა შორის, საზოგადოებათა შიგნით, — მეცხრამეტე საუკუნე შერყეული იყო ეროვნული ბრძოლითაც. ეს ერთი დიდი მხარე იყო ამ საკვირველი საუკუნისა, როდესაც ევროპიელმა მართლაც უდიდესი და ყოველ მხრივი გენიოსობა გამოიჩინა.

როგორც ცნობილია, შინაგან საზოგადოებრივ გარდაქმნის მხრით ორი უდიდესი რეფორმა განამტკიცეს საუკუნოდ მეცხრამეტე საუკუნეში და მეოცეს დასაწყისში. ერთი იყო ბატონ-ყმობის მოსპობა და მეორე პარლამენტარიზმის, სახალხო წარმომადგენლობის დამკვიდრება. მართალია, ევროპის მთელი ისტორიის განმავლობაში, მსგავსად ყველა ისტორიულ ეპოქათა, იყო საშინელი და თავგანწირული ბრძოლა ამ წმინდა სოციალურ ნიადაგზედ, ხანდახან უფრო მეტსაც თხოულობდნენ და სცდილობდნენ განეხორციელებინათ; მაგრამ მხოლოდ XIX საუკუნეში იყო სავსებით მოპოვებული ეს ორი აუცილებელი რეფორმა, სოციალურ სრულ სამართლიანობის განხორციელება კი ვინ იცის როდის ეღირსება ევროპიელებსა და მით უმეტეს მთელს კაცობრიობას. რომ არ ჩავსთვალოთ ის საშინელი ბრძოლა, რომელიც საშუალო საუკუნეთა ქალაქებმა გასწიეს თავისუფლების მოპოვებისათვის, ძველ ბერძენთა „პოლისის" მსგავს საზოგადოების შესაქმნელად, გლეხთა მოძრაობის მაგალითებითაც სავსეა ისტორია. ამ მოძრაობათ ნამდვილ ხალხურ რევოლიუციათა ხასიათი ჰქონდათ. მეთოთხმეტე საუკუნის ბოლოში ბოჰემია აღსდგა ბატონ-ყმობის წინააღმდეგ. 1567—1580 წლ. ჰოლლანდიაში იყო საშინელი რევოლუცია როგორც გარეგან თავისუფლებისათვის, ისე შინაგან რეფორმათათვის, ისე ბატონ-ყმობის წინააღმდეგ და კომმუნიზმისათვის. ანაბაპტისტები იყვნენ მქადაგებელნი ამ მოძღვრებისა. 1648—1688 წლ. ინგლისია შერყეული ასეთი მოძრაობით, იქაც საბოლოოდ ისპობა ბატონყმობა და მყარდება წარმომადგენლობითი წყობილება. ბოლოს საფრანგეთში იწყება დიდი რევოლუცია 1789-93 წ., ისპობა ბატონ-ყმობა, ისპობა თვითმპყრობელობა მეფისა და ბიუროკრატიისა. ამ მოძრაობამ, როგორც ყველაზედ უფრო ძლიერმა, მეცხრამეტე საუკუნეს გადმოსცა მთელი თავისი ტრადიციები და მთელი ასის წლის განმავლობაში ყველა სცდილობდა მოეშორებინა თავიდან ეს ორი უუმდაბლესი მონობა, — ბატონ ყმობა და თვითმპყრობელობა.

ნაპოლეონის ჯარი თუმცა ქუსლით სთელავდა მთელი ევროპის მიწა-წყალსა, ბევრ ერს უთრგუნავდა თავისუფლებას, მაგრამ ეს ჯარი მაინც რევოლუციის ცეცხლიდან იყო გამოსული და იდეა თავისუფლებისა, ძმობისა და თანასწორობისა მთელს ქვეყანას მოეფინა. ესპანიაში და იტალიაში მოისპო

ბატონ-ყმობა ერთის მხრით სწორედ საფრანგეთთან დაახლოვებით და მის აზრთა ღელვის გავლენითა. გერმანიაში ბატონ-ყმობა შეირყა 1811 წელსა და სოფლიად მოისპო 1848 რევოლუციის წყალობითა. რუსეთმაც კი განთავისუფლა ყმები 1861—1863 წ., რადგანაც იძულებული იყო, — გლეხთა მუდმივი აჯანყება შეიძლება დიდ რევოლუციონურ ცეცხლად ქცეულიყო. 1878 წელს ბალკანეთშიაც კი მოისპო ბატონყმობა რუს-ოსმალოს ომის შემდეგ.

აგრეთვე ყველა სახელმწიფოებში ვხედავთ მეცხრამეტე საუკუნის ბოლოს წარძმადგენლობით მთავრობასა. ინგლისის რევოლუციამ იგი საუკუნოდ დაამკვიდრა, საფრანგეთის რევოლუციამ შექმნა საუკუნო ტრადიცია რესპუბლიკისა. მათა ბაძავდნენ ყველანი თავიანთ მოძრაობაში და შემოქმედებით მუშაობაშიც.

მეოცე საუკუნეში რუსეთმა მოიპოვა რაღაც მსგავსი კონსტიტუციისა, როდესაც რევოლუციით შეშინებულმა მთავრობამ გამოსცა აქტი 17 ოქტომბრისა 1905 წლისა. ოსმალეთმა დაიწყო რევოლუცია 1908 წელსა და 1909 წელს ბრწყინვალედ დაამარცხა რეაქცია და დაამკვიდრა კონსტიტუცია.

ასეთივე მოძრაობა იწყება აზიის სახელმწიფოთა შორის. იაპონიამ ამ ოცდაათის წლის წინად მისცა ყველას მაგალითი, სპარსეთმა კი, ამ დესპოტიის სამაგალითო მხარემ, — მანაც სძლია რეაქციას და დაამკვიდრა კონსტიტუცია ჩვენ თვალის წინ. იღვიძებს და ახლდება ჩინეთის უზარმაზარი იმპერიაც.

ეს იყო საზოგადო და უმთავრესი შედეგი მთელ საუკუნეთა, განსაკუთრებით მეცხრამეტე საუკუნის სოციალურ ბრძოლისა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში ათასგვარ წვრილს სოციალურსა და პოლიტიკურს რეფორმებს, რომელიც განახორციელეს ევროპის სახელმწიფოებმა. მაგრამ მესამე მხარე ამ საერთო დიადი ბრძოლისა არის ერთა გარეგანი ბრძოლა, როგორც არა ვსთქვით, და ეს უკანასკნელი მოვლენა შეიძლება კიდევ უფრო საყურადღებოც იყოს, ვიდრე პირველნი, მით უმეტეს, რომ უეჭველ ფაქტად შეგვიძლია აღვიაროთ, რომ ერს არავითარი სერიოზული შინაგანი სოციალური პროგრესის განხორციელება არ შეუძლია, თუ გარეგნულად არ არის განთავისუფლებული.

ერი, როგორც არა ერთხელ გვითქვამს, — ბუნებრივი, ცოცხალი სოციალური ორგანიზმია, და თუ ეს ორგანიზმი სხვა ორგანიზმისაგან არის დამონებული, შებოჭილი, მას ინიციატივისა და შემოქმედების გამოჩენა არ შეუძლია. თავისუფალი ერი კი ყოველთვის უფრო შემომქმედია, ისე როგორც მონაზედ მეტად თავისუფალი პიროვნება იჩენს ინიციატივასა და შემოქმედებას.

II

მაგრამ როგორც პიროვნებასა აქვს გრძნობა და ინსტინქტი, სურვილი და შეუჩერებელი მისწრაფება თავის დაცვისა, ისე მთელს ერს აქვს ესეეე ინსტინქტი და სურვილი, და ამით აიხსნება, რომ მიუხედავად მოპირდაპირე კლასთა ნივთიერ ინტერესთა წინააღმდეგობისა, მთელი ერი, განურჩეველად წოდებისა და კლასისა, იბრძვის გარეგან თავისუფლების მოსაპოებლად. რომ უფრო მტკიცედ დასდგეს პროგრესსის გზაზედ. მეცხრამეტე საუკუნეშიაც ამიტომ ეროვნული საკითხი პირველ ალაგს იჭერს ხალხთა ცხოვრებაში, ამიტომაც არის შერყეული მთელი ევროპა ერთა მოძრაობითა, რომელიც ჯერაც არ დამთავრებულა და ვინ იცის როდის დამთავრდება. ევროპა კიდევ რა, — იღვიძებენ როგორც პატარა, ისე მრავალ მილიონიანი აზიის ერები.

არას ვიტყვით იმ ძველ დროზედ, როდესაც ხალხთა შორის ერთობა ან დავა უფრო სჯულისა და სხვა მოვლენის ნიადაგზედ ვითარდებოდა, ვიდრე წმინდა ეროვნულ შეგნების ნიადაგზედ. თუმცა კი ჰეშმარიტებაა, რომ ყოველ ისტორიულ ეპოქაში, როცა რომელიმე ერი მიაღწევდა ხოლმე განვითარებულ ინდივიდუალობასა და თვით შეგნებას, ყოველთვის სცდილობდა ან უფრო განემტკიცებინა თავისი ეროვნული შეგნება, მოქმედება და ძლიერება, ან და გაენთავისუფლებინა თავი სხვა ერის ბატონობისაგან, თუ იგი დაპყრობილი იყო და უცხო სთელავდა ფეხით მისს სამშობლო მიწა-წყალსა. ჰოლლანდია საუკეთესო მაგალითია ასეთის განთავისუფლებისა; მან დააღწია თავი ესპანიის იმპერიის ბატონობას და ისე გაძლიერდა, რომ თვითონ დააარსა ძლიერი სავაჭრო იმპერია მეთექვსმეტე საუკუნეში, — ისეთი ძლიერი, რომ მხოლოდ ინგლისს შეეძლო მისი მეტოქეობა და დამარცხება. მაგრამ მიუხედავად ამისა იგი მაინც თავისუფალი, ძლიერი, კულტურული და თავ-მოყვარე ერად დარჩა და დღესაც არის. მივუბრუნდეთ მეცხრამეტე საუკუნეს.

ნაპოლეონის ომებმა ისე არივ-დარია ევროპის პოლიტიკური რუკა, ნაპოლეონის წადილი მთელი ქვეყნის დამორჩილებისა ისეთი ძლიერი იყო და თითქოს ადვილად აღსასრულებელი მისი სამხედრო გენიოსობის წყალობით, რომ ერთა თავისუფლებას კი არა, სახელმწიფოებსაც ბოლო ეღებოდათ. ევროპა დაემორჩილა ნაპოლეონს, რომელსაც არა სწამდა არც ერების თავისუფლება და არც სახელმწიფოთა უფლებანი. — მას მხოლოდ თავისი საკუთარი და საფრანგეთის ჰეგემონია სწყუროდა, და არ იცოდა, რომ ეს მეცხრამეტე საუკუნეში შეუძლებელი იყო. ვერავითარი გენიოსობა ერთი ადამიანისა, ვერავითარი სიძლიერე ერთი სახელმწიფოსი ვერ ათქმევინებდა უარს ვერც სახელმწიფოებსა და ვერც ერებს თავიანთ თავისუფლებაზედ და უფლებებზედ.

ყოველისფერს საზღვარი აქვს და ნაპოლეონის ბატონობასაც დაედვა საზღვარი. მთელი ევროპა შეერთდა მასთან საბრძოლველად, რომ ბოლო მოეღო ამ საშინელი ძალის თარეშისათვის, რომ მშვიდობიანობა დაემკვიდრებინა არეულ-დარეულ ევროპაში, აღედგინა უფლებანი გალახულ სახელმწიფოთა. ხოლო, რასაკვირველია, მოკავშირე სახელმწიფოებს ფიქრადაც არ მოსვლიათ საზოგადოდ ერის უფლებათა წამოყენება. პირიქით, — ნაპოლეონის ბატონობის მოსპობის შემდეგ თვითონვე უარ-ჰყვეს ერთა უფლებანი და აღიარეს თავიანთი სახელმწიფოებრივნი, სდევნიდნენ კიდეც თავისუფლებისათვის მებრძოლ ერებსა. ამ უკანასკნელმა თვითონვე წამოაყენეს თავიანთი უფლებანი. — მაგრამ ერთის ბატონობის მოსპობის სურვილი სახელმწიფოთა მხრივ მაინც გამოჩენა იყო სხვა და სხვა დიდ ერთა უფლებისა, რომელიც შელახეს ფრანგებმა და ნაპოლეონმა.

შომონის ხელ-შეკრულობაში, 1814 წ. 1 მარტს, როდესაც ავსტრიამ, ინგლისმა, პრუსსიამ და რუსეთმა გადასწყვიტეს საერთო ძალით ეომნათ საფრანგეთთან, — პირდაპირ სწერია: „სახელმწიფონი ურთი-ერთს პირობას უდებენ, თუ საფრანგეთმა არ მიიღო პირობანი მშვიდობიანობისა, იხმარონ ყოველივე საშუალება საერთო ძალით და თანხმობით ომის განსაგრძობად, რომ როგორც თავიანთთვის, ისე მთელი ევროპისათვის მოიპოვონ საყოველთაო მშვიდობიანობა, რომელმაც მფარველობა უნდა გაუწიოს ყველა ერის თავისუფლებასა“.

ამგვარად დაიბადა ევროპის თანხმობა, „კონცერტი“, რომელიც შემდეგ მეტტერნიხმა განამტკიცა ვენის კონგრესზედ 1815 წ., მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ ამ კონცერტმა პირველადვე აღიარა „თავისუფლება ყველა ერისა“ საერთო მშვიდობიანობის მფარველობის ქვეშ მას არა სწამდა ნამდვილად ერის

თავისუფლება, არამედ თავისუფლება და ხელ-უხლებლობა სახელმწიფოთა. ისიც დიდ სახელმწიფოთა. მალე ეს ბატონობა კონცერტისა ისეთ რეაქციონურ ძალად გადაიქცა, ისეთ უარ-მყოფელად ერთა უფლებისა და დამოუკიდებლობისა, აგრეთვე ისეთ მტრად ყოველ შინაგან რევოლუციისა, რომ მთელი ევროპა გრძნობდა მის სუსხს ნაპოლეონის ბატონობაზედ უფრო მწკავედ.

ირლანდია ისევ იხუთებოდა ინგლისის კლანჭებში, ჰოლონეთი განაწილებული იყო და ეს დიდი კულტურული ერი, ერთად-ერთი მთელ სლავიანებში, სამ ბატონობას განიცდიდა ერთის მაგიერ. ოსმალეთი ძლიერი იყო, იგი არც საერთაშორისო სამართლის სფეროში შედიოდა, და ბატონობდა განუსაზღვრელად, მხეცურად ბალკანეთის სლავიანებზედ, ბერძნებზედ, რუმინელებზედ, ეგვიპტეზედ და სხვებზედ. ესპანიის მონარხია ამერიკის კოლონიებს, უკვე დაზრდილ და დამთავრებულ ერებს, ჰხუთავდა. მონობაც არ მოსპობილიყო ჯერ, — ამერიკაში შავ-კანიანების ყიდვა-გაყიდვა მონებად ძვალსა და რბილში გამჯდარი ჩვეულება იყო. უნგრეთი ავსტრიის ბატონობას განიცდიდა, განაწილებული და დაქსაქსული იტალია აგრეთვე უცხოელთა ქუსლით ითელებოდა, გერმანია არ იყო შეერთებული, და სხვა.

აი, ამ ერთა ბრძოლის მაგალითებით არის სავსე მთელი მეცხრამეტე საუკუნე, ეს ბრძოლაა ერთი დიდი მხარე მისი ისტორიისა. ეს არის ბრძოლა ერთა, ერის უფლებისა დიდ სახელმწიფოთა და მათ უფლებათა წინააღმდეგ.

უპირველეს ყოვლისა ესპანიის კოლონიების ემანსიპაცია დაიწყო. ჩრდილო-ამერიკელებმა უკვე გაინთავისუფლეს თავი ინგლისის ბატონობისაგან და დაიარსეს თავიანთი რესპუბლიკა, — ჯერი ეხლა სამხრეთ ამერიკელებზედ იყო მიმდგარი.

ესპანიის მონარხია ისედაც დასუსტებული იყო განსაკუთრებით ინგლისის მეტოქეობით ვაჭრობაში და კოლონიზაციაში. ნაპოლეონის შესევამ კიდევ უფრო დაასუსტა იგი და მთელი ენერგია ამ შემოსეულ მტრისაგან განთავისუფლებას უნდებოდა.

ამერიკის კოლონიებიც უკვე გაიზარდნენ. ადგილობრივ მცხოვრებლებთან შერევით. მათ თითქმის ახალი ტიპის ერები შექმნეს. დრომაც მათმა განთავისუფლებისამ მოაღწია და პირველად 1810 წელში ბუენოს-აირესში, კარაკასში და მექსიკაში დაიწყო ნამდვილი აჯანყება. აქედან იწყება აჯანყება მთელ სამხრეთ ამერიკისა, სადაც ვინ იცის რა დევიზითა და რა იდეალის სახელით არ იწყებოდა რევოლუცია, მაგრამ ბოლოს დროს ყველას გაიტაცებდა ხოლმე ერთი დიდი აზრი, — სრული ჩამოშორება ესპანიის მონარხიისაგან და დაარსება საკუთარ სახელმწიფოთა. ამ მოძრაობიდან გამოვიდა თანამედროვე რესპუბლიკები სამხრეთ ამერიკისა.

აჯანყდა მექსიკა, კვიტო, კარაკასი. არგენტინის რევოლუციონერებს უკვე რამოდენიმე წლის შემდეგ მთელი არგენტინის ტერრიტორია ხელში ეჭირათ და ესპანელების ბატონობა მოსპეს. ამ რევოლუციათა გმირი იყო ბოლივარი, რომელმაც რამოდენიმეჯერ დაამარცხა ესპანელები, შეეიდა კარაკასში 1813 წელს. მან ბევრ ბრძოლაში მიიღო მონაწილეობა, ბევრჯერ დამარცხდა ბოლმე, მაგრამ გულს არ იტეხდა. ბოლოს, 1816 წელს, ვენესუელაში მონებიც კი ააჯანყა, დაჰპირდა რა მონობის მოსპობასა. აქედან იღებს ეს მოძრაობა ნამდვილ რევოლუციონურ ხასიათს; რევოლუცია უკვე მოსდებოდა სამხრეთ ამერიკის ყველა ქვეყნებს, — ჩილის, გრენადის მთებსა, ეკვადორსა, პერუს და სხვა მხარეებს, სადაც ბოლივარი თავისებურ გმირობას იჩენდა.

1824 წელს, სამხრეთი ამერიკა უკვე თავისუფალი იყო. პანამაში კონგრესსიც კი გაიმართა ბოლივართა ახალ რესპუბლიკათა შესაერთებლად, მაგრამ შეერთება შეუძლებელი შეიქმნა. დარჩნენ დამოუკიდებელი რესპუბლიკები, რომლებიც შემდეგ მიიღო საერთაშორისო სამართალმა თავის მფარველობის ქვეშ, როგორც დამოუკიდებელნი სახელმწიფონი.

ამავე დროს პორტუგალელებისგან განთავისუფლდა ბრაზილია, რომელმაც რეგენტი დონ-პედრო ბგრანცელი იმპერატორად აირჩია 1822 წელს. შემდეგ ბრაზილიაშიაც გაუქმდა მონარხია და მიიღო რესპუბლიკის ფორმა მზგავსად დანარჩენ ამერიკელ რესპუბლიკათა.

ვენის კონგრესსზედ 1815 წელს ბერძნებმა თხოვნით მიმართეს დიპლომატებს, მიეღოთ საბერძნეთი სახელმწიფოთა მფარველობის ქვეშ, მაგრამ ყურადღება არ მიაქციეს. თავის-თავის იმედიღა დარჩათ ბერძნებს. ოსმალელ ფაშებისაგან განადგურებული იყო მთელი საბერძნეთი. მთელი საბერძნეთის მიწებით სულ ოსმალები სარგებლობდნენ. ბერძენი ნამდვილი მონა იყო ოსმალოსი. — 1821 წელს პირველი ცდა იყო ბერძენთა აჯანყებისა რუმინიაში ალექსანდრე იპსილანტის მეთაურობით. მაგრამ რუმინიაში ეს აჯანყება დამარცხდა. მორეიაში დაიწყო აჯანყება. ბერძნებმა მოსპეს ოსმალეთის ფლოტი. აიღეს ათინა 1821 წელს. მიოლისი, მავროკორდატო და სხვა გმირები თავგანწირულად იბრძოდნენ. 1825 წ. იბრაჰიმ ფაშამ მთელი მორეია გაანადგურა, მაგრამ ბერძენთა გმირობამ და თავგანწირულობამ, აგრეთვე ოსმალეთის სიძულვილმა აიძულა ევროპა მიშველებოდა პატარა ერსა. მათ მოაშორეს ბერძნებს თავიდან ოსმალები, გაანადგურეს რა იბრაჰიმ ფაშის ფლოტი ფრანგებმა, ინგლისელებმა და რუსებმა 1827 წელს. ოსმალეთმა 1829 წელს უკვე აღიარა საბერძნეთის დამოუკიდებლობა.

ამავე დროს, 1830 წელს პოლონეთში იწყება აჯანყება, იმარჯვებენ რუსებზედ, მაგრამ 1831 წელს პოლონეთი სრულიად მარცხდება და ხდება მსხვერპლად გამარჯვებულთა საშინელ შურის ძიებისა. აქ გამოჩნდა, თუ როგორ აღიარებდა „ყველა ერის უფლებას“ ერთი იმ დიდ სახელმწიფოთაგანი, რომელთაც „კონცერტი“ დააარსეს 1814-15 წლ.

ეს თითქოს ნიშანი იყო ევროპის ერთა აჯანყებისა სწორედ იმ დიდ სახელმწიფოთა წინააღმდეგ, რომელნიც ქაღალდზედ აღიარებდნენ ყველა ერის თანასწორობასა და თავისუფლებას, ნამდვილად კი ტერრიტორიებს და ხალხებს უბრალო საჩუქრებსავით ანაწილებდნენ და საზოგადოებათა შიგნით ამტკიცებდნენ იმ რეაქციონურ ტახტს, რომლის დამფუძნებელიც მეტტერნიხი იქო.

იტალიამ მახვილი აიღო. დაიწყო აჯანყება მილანში, ბოლონიაში და სხვა ქალაქებში 1831 წელს. თვით პარიზშიაც რევოლუცია იყო.

ამავე დროს ეგვიპტელები სცდილობდნენ განთავისუფლებას. მეჰმედ ალი ამარცხებს ოსმალებს 1832 წელს და 1839 წ., ეგვიპტეც ბოლოს თავისუფლდება. შემდეგ საერთაშორისო სამართალი მხოლოდ სულთანის სუვერენიტეტს აღიარებს ეგვიპტეზედ.

იტალიაში ისევ გრძელდება ბრძოლა. მაძინი საუკეთესო გმირია ამ ეროვნულ რევოლუციისა. 1843—45 წელს მთელი იტალია აჯანყების ცეცხლშია გახვეული. 1848 წ. მილანის აჯანყებაა. ნეაპოლელები და ტოსკანელები კონსტიტუციას პოულობენ ბრძოლით.

1848 წლის რევოლუციამ მთელი ევროპა შეანძრია. საფრანგეთში მას რესპუბლიკანური და ბოლოს სოციალისტური ხასიათი ჰქონდა, გერმანიაში

დემოკრატიული და ეროვნული. აქედან იწყება გერმანიის ეროვნული გაერთიანება. თვით პრუსიაში დემოკრატია იმარჯვებს. იმპერატორი ძველი იმპერიისა შეშინებული გარბის. შესდგა ფრანკფურტის პარლამენტი, სცდილობენ მთელი გერმანიის ერი შეაერთონ, ერი, რომელსაც ჰქონდა ერთობა ტერიტორიალურ-გეოგრაფიული, კულტურული, სულიერი, მხოლოდ პოლიტიკური ერთობა აკლდა. 1849 წელს პრუსიის მეფეს გერმანიის იმპერატორად ირჩევენ, მაგრამ უარს ამბობს.

ამავე დროს სლავიანებიც იღვიძებენ. 1848 წელს პრაგაში ჩეხები სდგებიან, პრუსიაში პოლონელები სხვა. სლავიანები უნგრელების წინააღმდეგ იბრძვიან. ამით სარგებლობს ავსტრია უნგრელების დასამარცხებლად და ამარცხებს მათ კიდეც. 1849 წელს რუსეთი ეხმარება ავსტრიელებს უნგრეთის წინააღმდეგ და შეერთებული ძალით ამარცხებენ მას. აქ მეორედ გამოიჩინეს რუსეთმა და ავსტრიამ, კონცერტის წევრებმა, თუ როგორ ესმოდათ მათ „ერთა თავისუფლება". — უნგრეთი ბოლოს და ბოლოს მაინც დამოუკიდებლად რჩება, ავსტრიასთან სწორი უფლებით მოსილი.

იტალიაში ისევ ბრძოლაა; მილანი ამარცხებს ავსტრიელებს, მაგრამ ავსტრიელი ღენერალი რადეცკი ისევ იპერს მილანს. სხვაგან იფეთქებს სამაგიეროდ რევოლუცია, — ფლორენციაში. 1849 წელს თვით რომში აცხადებენ რესპუბლიკას, მაგრამ ფრანგები ეხმარებიან პაპს და იპერენ რომსა.

მთელი ევროპა ამგვარად ბრძოლის ცეცხლშია გახვეული.

საფრანგეთი იბრძვის რესპუბლიკისათვის და სოციალიზმისათვის, გერმანია ეროვნულ გაერთიანებისათვის და დემოკრატიისათვის, იტალია, უნგრეთი, პოლონეთი და სხვანი ეროვნულ დამოუკიდებლობისათვის და ერთობისათვის. განსაკუთრებით ეს ეროვნული ბრძოლა ასულდგმულებს ევროპის ხალხებს. ევროპის კონცერტიც უღონოა ამ საერთო მოძრაობის წინაშე. თუ წინად ამ კონცერტის სულის ჩამდგმელი რეაქციონერები განთავისუფლებულ ამერიკის რესპუბლიკების კვლავ დამონებას სცდილობდნენ, ესპანიის მონარქიის ფერხთა ქვეშე მათ ხელახლა გათელვასა, ეხლა თვით ევროპაშიაც ველარ იმორჩილებენ აჯანყებულ ხალხებს. გაბათილდა მათი პრინციპი — როგორც ეხლა არიან სახელმწიფონი და მათი ტერიტორიები, ისე უნდა დარჩნენ უკუნითი უკუნისამდე, — ეს არის ჩვენი მიზანი! ნაცვლად ამისა ევროპის პოლიტიკური რუკა მთლად ერთიანად იცვლებოდა.

მაგრამ ერთი რამ ნაკლი ემჩნეოდა ყველა ერს, რომელიც ეტრფოდა თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას: მხოლოდ თავისთვის სწადდათ თავისუფლება, მათთვის კი, ვინც ამ განთავისუფლებულ ერთა საზღვრებში რჩებოდნენ, — სხვა ერთათვის, — ეს თავისუფლება არა სწამდათ. პოლონეთი რუსინებს მონებსავით უყურებდა და ეხლაც უყურებს, გერმანელი დანელის და პოლონელის უფლებას პატივს არა სცემდა, უნგრელი სლავიანებს ვერ ეპყრობოდა სიმპატიურად. ეს იმას ამტკიცებს, რომ თუმცა ეროვნულმა იდეამ გაიღვიძა, თუმცა ერის უფლება აღიარებული იყო, მაგრამ სავსებით ჯერ კიდევ არა, ჯერ კიდევ ვერ მიეღწიათ ერთა ნამდვილ სწორუფლებიანობის იდეამდის. თვით ინტერნაციონალის დაარსების დროსაც კი ვერ აღიარეს სავსებით ეს ნამდვილი უფლება ერისა და ვერც შეიგნეს ეროვნული იდეა სინამდვილითა და სისწორითა.

1850—60 წლები ისე გავიდნენ, რომ ეს დაწყებული დიდი ბრძოლა არ დამთავრებულა, რეაქციის სუსხი ძლიერი იყო. არც გერმანია და არც იტალია არ იყო ჯერ გაერთიანებული. საფრანგეთში ნაპოლეონ მესამემ რესპუბ-

ლიკა დათრგუნა და იმპერია გამოაცხადა 1853 წელს. 1854-55 წლ. ინგლისი და საფრანგეთი რუსეთს ამარცხებენ და 1856 წელს კი ინგლისი ჩინეთს ეომება, რომ თავისი ეკონომიური ბატონობა განამტკიცოს უცხო ერის ნიადაგზედ.

1859 წელს ისევ იწყება ბრძოლა თავისუფლებისათვის, — ბრძოლა მონა ზანგების განსათავისუფლებლად. 1860 წლიდან ევროპაშიაც ახალის ძალით იფეთქებს ბრძოლა ერთა თავისუფლებისათვის.

საფრანგეთის ცდა მონების განთავისუფლებისათვის მოხდა 1792 წელს. დანელებისა — 1803 წელს. შემდეგ ინგლისმა განათავისუფლა მონები 1808 წელს. მთავრობამ აკრძალა ამერიკის პლანტაციებისათვის ზანგების გაყიდვა. 1833 წელს გამოსცა საყოველთაო აქტი მონათა განთავისუფლებისა. ამ მაგალითს სხვა ევროპიელმა სახელმწიფოებმაც მიჰბაძეს, ამერიკის სამხრეთ შტატებში კი რჩებოდა ისევ მონობა.

1848 წელს აფრიკაში განთავისუფლებული ზანგების რესპუბლიკა ლიბერიაც კი დაარსდა, რომელიც დამოუკიდებლად აღიარეს ყველა სახელმწიფოებმა ამერიკის გარდა, ისეთი ზიზღი ჰქონდა ამ უკანასკნელს მონებისადმი, და აბა საკუთარ მონებს როგორ გაანთავისუფლებდა.

მაგრამ მთელი ქვეყანა აჯანყდა ზანგების მონობის წინააღმდეგ. აღელდა ევროპიელთა აზრი, ჩრდილო შტატების აზრიც, — იქ გადასახლებულ ევროპიელთა, რომელთაც თავისუფალი მუშაობა უნდოდათ, და არა მონური შრომა და მასთან კონკურენცია. 1859 წელს თავისუფალი ამერიკელი ჯონ ბრაუნი თავისი შვილებითა და მეგობრებით აჯანყდა, მაგრამ ზანგებმა მას დიდი დახმარება ვერ გაუწიეს, იგი დამარცხდა და ჩამოხრჩობილ იქმნა გამარჯვებულთაგან.

1861 წელს უკვე მომწიფებული იყო საზოგადოებრივი აზრი ომისათვის, მტრობამ ჩრდილო და სამხრეთ შტატთა შორის იმატა, და მათ პირდაპირ ომი გამოუცხადეს ერთმანეთსა. ჯერ სამხრეთელები სჯობნიდნენ, მაგრამ ბრძოლამ ოთხ წელიწადს გასტანა, 1865 წლამდის, და ჩრდილოეთელები გამოვიდნენ გამარჯვებულნი ამ ბრძოლიდან: ზანგები განათავისუფლეს. თვით შეერთებული შტატები გაერთიანდნენ ამ ბრძოლის შემდეგ. მთელი ამერიკაც დამოუკიდებელი შეიქმნა ევროპისაგან. პრეზიდენტ მონროეს 1823 წლის განცხადება, — ამიერიდან ამერიკა დამოუკიდებელია ევროპისაგანაო, გამართლდა.

ამავე დროს იტალია განაგრძობს ბრძოლასა. გარიბალდი პირველი ეროვნული გმირია. 1860 წელს იგი იპყრობს ორივე სიცილიას.

1863 წელს კვლავ სდგება პოლონეთი, მაგრამ მალე საშინლად მარცხდება რუსეთისაგან და კვლავ ხდება შეუბრალებელი შურის-ძიების მსხვერპლი.

გერმანია და იტალია თითქმის ერთსა და იმავე მდგომარეობაში იყვნენ გაერთიანების სურვილის მხრით. ამისათვის მათ მოაწყვეს კავშირი, რომ ორი სახელმწიფო, რომელიც მათ ხელს უშლიდა, დაემარცხებინათ. ეს ორი სახელმწიფო იყო ავსტრია და საფრანგეთი. ავსტრიას მათ ომი გამოუცხადეს 1860 წელს. პრუსსიამ ავსტრია საშინლად დაამარცხა. ამის შემდეგ თავის თავად ხდება გაერთიანება გერმანიისა. შემდეგ პრუსსია ამარცხებს საფრანგეთს 1870 წელს, ამით სარგებლობს იტალია და შედის სატახტო ქალაქ რომში. საიდანაც მალე გადის საფრანგეთის ჯარი. ამის შემდეგ იტალიის გაერთიანებაც ბუნებრივად მოხდა და დაარსდა ევროპაში ორი დიდი სახელმწიფო, თანამედროვე გერმანიის იმპერია და იტალიის სამეფო, რომელიც შემდეგ დიდ სახელმწიფოთა რიცხვებში შევიდა. — სრული გაერთიანება მაინც არ რგებიათ წილად იტალიელებსა და გერმანელებს: უკანასკნელებს აკლიათ ავსტრიელი გერმანე-

ლები, პირველებსაც ავსტრიის იტალიელები. დროთა ვითარებაში ალბად ესენიც თავიანთ ბუნებრივ სახელმწიფოებს დაუბრუნდებიან.

ამასთან ერთად ვითარდება ევროპაში მისწრაფება შინაგან საზოგადოებრივ გარდაქმნისადმი. 1864 წელს არსდება ინტერნაციონალი, ანუ საერთაშორისო კავშირი მუშათა, რომ სოციალიზმის წესზედ გარდაქმნან მთელი წარმოება და განაწილება სიმდიდრისა ყველა ერებმა. როდესაც პარიზს ალყა შემოარტყეს პრუსიელებმა, პარიზელები თვითონ იცავდნენ სატახტო ქალაქსა და სამშობლოს, დამარცხებული მთავრობა კი გაიქცა. 1871 წ. 18 მარტს ცხადდება პარიზის კომმუნა, მაგრამ ფრანგებივე იბრძვიან მის წინააღმდეგ. ტიერის მთავრობა ამარცხებს კომმუნას. ისპანიაში 1873 წელს ფედერალისტური მოძრაობაა. რესპუბლიკას აცხადებენ, მაგრამ მარცხდებიან. საფრანგეთში კი, მიუხედავად კომმუნის საშინელი დამარცხებისა და პარიზში 30,000 ადამიანის გაჟლეტისა, ცხადდება მესამე რესპუბლიკა 1875 წელს.

როგორც ინტერნაციონალი, ისე მთელი მოძრაობა, რომელიც შეკავშირებულია მასთან, პრინციპიალურად მაინც ორი სახისაა: თუ ერთის მხრით ხალხები იბრძვიან შინაგან თავისუფლების მოსაპოვებლად, მეორეს მხრით ერთა უფლება, როგორც სწორ-უფლებიან ინდივიდთა, თუმცა აღიარებული არ არის, — მაგრამ მაინც ყურადღებას აქცევენ დაჩაგრულ ერებს, როგორც მაგალითად იტალიელებსა, პოლონელებსა და სხვათა. ბაკუნინის მოქმედება გამომხატველია ამ ორჭოფი მდგომარეობისა. პირველი მიზანი ინტერნაციონალისა მაინც სოციალიზმია და არა ეროვნება.

დასასრულ, არც ბალკანეთის სლავიანებსა და რუმინებს ეძინათ. ისინი მუდამ ებრძოდნენ ოსმალებსა. 1875 წელს სერბები აჯანყდნენ ჰერცეგოვინაში. 1876 წელს ნამდვილი ომია სერბებსა და ოსმალებს შორის. რუსეთი ომს უცხადებს ოსმალებს 1877 წელს. ამით სარგებლობენ სერბები, ბოლგარები, რუმინები. რუსეთი ამარცხებს ოსმალებს და 1878 წ. სანსტეფანოში ზავი ჩამოვარდება. იმავე წელს შეიკრიბება ბერლინის კონგრესი, რომელიც ძლიერ ასხვაფერებს ზავის პირობას, მაგრამ მაინც ანთავისუფლებს სერბიასა, ბოლგარიასა, რუმინიასა, აგრეთვე სომხებს აძლევს გარანტიას ოსმალებისაგან ჟლეტის წინააღმდეგ, თუმცა ეს დაპირება არასოდეს არ ყოფილა ოსმალთაგან აღსრულებული.

აზიის ერებიც იღვიძებენ ამ ბოლო დროს. ჯერ ინდოეთის ხალხებმა აიმაღლა ხმა თავის უფლებათა დასაცველად ინგლისის წინააღმდეგ. 1857 წელს აღსდგენენ სიპაები. თუმცა ინგლისელებმა სისხლში ჩაახრჩვეს ეს აჯანყება, მაგრამ ინდოეთში, ამ ინგლისელ ვაჭართაგან დაპყრობილ ქვეყანაში, რომელიც შემდეგ იმპერიის საუკეთესო კუთვნილებად შეიქმნა, დაიბადა ეროვნული პატრიოტიზმი, შემაერთებელი ინდოეთის ყველა ხალხისა საერთო მტრის —ინგლისისა და ერთობ ევროპის წინააღმდეგ. მას შემდეგ ეს პატრიოტიზმი იზრდება. ინდოეთის ინტელიგენცია მთელს თავის ძალ-ღონეს ახმარებს პატრიოტულ გრძნობის გაღვიძებას 220 მილიონ ინდოს ხალხში, და ასეთ მრავალ რიცხოვან ერს რასაკვირველია იმედი უნდა ჰქონდეს მომავალი თავისუფლებისა. მისი განთავისუფლება მხოლოდ დროის საკითხია და დამოკიდებული ხალხის მეტ შეგნებისაგან და მის პატრიოტულ გრძნობის განვითარებისაგან. კერძონის სიკვდილი ულვე კეთილი მახარობელია ამ მოვლენისა ინდოელებისათვის.

ჩინეთი ისე აღარ ემორჩილება ევროპასა, როგორც ეს მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში იყო და განსაკუთრებით ამ უკანასკნელ ათი წლის

განმავლობაში; განახლებულ იაპონიასთან ერთად და მისი ხელ-მძღვანელობით იგი ემზადება საშინელი ბრძოლისათვის, რომელმაც უნდა გადასწყვიტოს მისი ნამდვილი დამოუკიდებლობა და შეიძლება მთელი აზიისაც. იაპონიამ უკვე პირველი ნაბიჯი გადაადგმევინა აზიას ასეთის დამოუკიდებლობისაკენ რუსეთის დამარცხებით, მალე გამოჩნდება აზიაშიც აზიელი მონროე, რომელიც განაცხადებს — აზია ევროპის სახელმწიფოთა საომარი და საყვლეფი ქვეყანა აღარ არისო, და ევროპაც იძულებული იქმნება დაემორჩილოს ამ „განცხადებას". — სპარსეთის განახლებული ცხოვრებაც ვინ იცის სად ნახავს მოკავშირე ძალას რომ უცხოთა თარეშს ბოლო მოუღოს თავის ტერრიტორიაზედ. განახლებული ოსმალეთი სპობს სხვა სახელმწიფოთა უფლებებს თავის ქვეყანაში, მეორე მხრით კი ყოველი ერი, ოსმალეთში მცხოვრები, აფრიალებს დროშას ეროვნულ ავტონომიისას, და ოსმალეთიც იძულებულია დაუთმოს მას.

აფრიკაშიაც კი იჩენს ხოლმე თავს ხან და ხან მისწრაფება დამოუკიდებლობისადმი. იქაური ერებიც რაღაც ჩოჩქოლში არიან, თუმცა ჯერ ცალ-ცალკე; მაგრამ საუბედუროდ შორს არის ის დრო, როდესაც ისინი ამერიკელებსავით მოესწრებიან მთელი კონტინენტის დამოუკიდებლობის უფლების აღიარებას მთელი ქვეყნის მხრითა, ან ეროვნულ თვით-შეგნებასა და ერთობის გრძნობას, როგორც ეს აზიაში იწყება.

ავსტრალია თითქმის დამოუკიდებელია. იგი ფლოტსაც კი იჩენს ვითომც მეტროპოლიის დაცვის მიზნითაც, მაგრამ ჯერ ერთი სამხრეთ ამერიკაშიაც კი დაიწყო მოძრაობა „ეკლესიისათვის" და „მეფე ფერდინანდისათვის", რომელიც ამერიკის კოლონიების ჩამოშორებით გათავდა, — მეორე, ავსტრალიისათვის და ინგლისის სხვა კოლონიებისათვის მხოლოდ ერთი ნაბიჯია საჭირო, რომ საერთაშორისო სამართალმა იგინი თავის სფეროში მიიღოს. თუ ამ ნაბიჯს არა სდგამენ, — ეს მათი შიშითა და სისუსტით არ აიხსნება, — არ ესაჭიროებათ დღევანდელ პირობებში. ხოლო მდიდარნი და ძლიერნი იმდენად არიან, რომ ყოველთვის შეუძლიანთ წარმოადგინონ ცალკე დამოუკიდებელნი სახელმწიფონი. მონროეს პრინციპიც იქ ჯერ თუ სავსებით არ ბატონობს, მათი ავტონომია თითქმის იმავე პრინციპს აღიარებს და ფორმალურადაც მისი აღიარება, როგორც არა ვსთქვით, მათთვის საძნელო არ არის.

აზიის ერთა შორის ჩვენა ვართ, შეიძლება, ყველაზედ უძლურნი — კავკასიელები და კერძოდ ქართველები. ჩვენ, ქართველებმა გადავეცით ჩვენი თავი რუსეთს ხელშეკრულებით 1783 წელს და ამით მთელი კავკასია მივეცით მას ხელში. აქედან განავითარა რუსეთმა თავისი გავლენა სპარსეთზედა და აქედან დაამარცხა ოსმალეთი. მაგრამ შემდეგ არც ჩვენ გამოვმდგარვართ სრულიად ლაჩრები. ქართველობა მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ღელავდა. აჯანყება მთიულეთისა, კახეთისა, იმერეთისა, გურიისა, აფხაზეთისა, ქიზიყისა, მთელი სამოცი წლის განმავლობაში ბრძოლა კავკასიის მთის მცხოვრებთა, რომელსაც ერთი ერი — ჩერქეზებისა — მთლად შეეწირა მსხვერპლად, — იმასა მოწმობს, რომ ჩვენცა გვქონია გრძნობა ჩვენ უფლებათა დაცვისა. განსაკუთრებით ქართველებსა გვაქვს კანონიერი უფლებაც ავტონომიური ცხოვრებისა, რომლის გარანტიაც ჩვენმა რუსეთთან ხელ-შეკრულებამ მოგვცა. საერთაშორისო სამართალი ჩვენ სასარგებლოდ უნდა ლაპარაკობდეს, თუ მას რაიმე მნიშვნელობა აქვს პატარა ერთათვის.

როგორც ამბობენ გამოჩენილნი მკვლევარნი საერთაშორისო სამართლისა, უმთავრესად ევროპის გენიოსობამ დაბადა დიადი იდეა საერთაშორისო სამართლისა მეცამეტე საუკუნეში, როდესაც ევროპაში ვაჭრობა და მრეწველობა უკვე საკმაოდ იყო გაძლიერებული, საჭირო შეიქმნა ათასნაირი ხელშეკრულება სხვა და სხვა დიდსა და პატარა საზოგადოებათა შორის. მაგრამ ამ დროს თანამედროვე სახელმწიფო არ არსებობდა და არც ერები იყვნენ შეერთებულნი. მთელი ევროპა საუკუნეთა განმავლობაში ომებში ხარჯავდა აუარებელ ძალას. პაპისა და იმპერიის ორი უდიდესი ძალა იყო უმთავრესი მმართველი მთელი ევროპისა. შემდეგ, როცა განვითარდნენ ხალხთა შორის დამოკიდებულებანი უცხო ქვეყანათა აღმოჩენისა და მრავალ-გვარ მეცნიერულ აღმოჩენათა და გამოგონებათა წყალობით, საერთაშორისო სამართალმა უფრო რთული ხასიათი მიიღო, მაგრამ მაინც ძლიერ შეზღუდული იყო რაოდენობა იმ სახელმწიფოთა, რომელნიც შეადგენდნენ სახელმწიფოთა საზოგადოებას, აგრეთვე ერებს არა ჰქონდათ იურიდიული პიროვნება, არამედ დიდ მონარქიებსა და ერთა იმ პატარა ნაწილებს, რომლებსაც განსაკუთრებულ სავაჭრო ან სამრეწველო ძლიერების წყალობით რგებოდათ დამოუკიდებლობა. მიუხედავად ამისა, ევროპის საზოგადოებათა წარმომადგენელნი მაინც იკრებებოდნენ ხოლმე, რომ საერთო მშვიდობიანობის წესები შეემუშავებინათ, უკვე იბადებოდა აზრი ერთი ევროპისა საერთაშორისო სამართლის მხრით. მაგალითად, ნიმეგის კონგრესსზედ 1675 წელს მონაწილეობას იღებდნენ საფრანგეთი, იმპერია, ესპანია, შვეცია, შეერთებული პროვინციები, დანია, და რამოდენიმე სხვა. ბრაუნშვეიგის კონგრესსზედ 1697 წელს იყვნენ: შვეცია, შეერთებული პროვინციები, იმპერია, დანია. უტრეხტის კონგრესსზედ 1717 წელს, იყვნენ საფრანგეთი, ინგლისი, შეერთებული პროვინციები, პორტუგალია, პრუსსია, პოლონეთი და სხვანი. ახენის კონგრესსზედ 1784 წ. იყვნენ: ინგლისი, იმპერია, ესპანია, სარდინია, შეერთებული პროვინციები, ვენუის რესპუბლიკა და მოდენის სამთავრო. აქედანა სჩანს, თვით მეთვრამეტე საუკუნეში რა შეზღუდული ყოფილა რიცხვი საერთაშორისო სამართლის ქვეშევრდომთა. ამას გარდა ასეთი კრებები სრულიად შემთხვევით ხდებოდნენ ხოლმე, ამასთანავე დიდ სახელმწიფოებში, როგორც ესპანიაში და „იმპერიაში", ათასი სხვა ერი იყო ძალით პყრობილი. ისინი ეროვნულ უფლებას მოკლებულნი იყვნენ.

საერთაშორისო სამართლის განვითარება სხვათა შორის ერთა უფლებისათვის ბრძოლამ გამოიწვია, მისცა მას დაახლოვებით თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ხასიათი, გააფართოვა მისი გავლენის სფერო, გაამრავლა რიცხვი მის საგანთა, აგრეთვე, სავსებით რასაკვირველია არა, მაგრამ ცოტად მაინც აღიარებია მას უფლება ერისა, და არა მარტო სახელმწიფოსი, რომელშიაც შესაძლებელია მრავალი ერი შედიოდეს. ეს პროცესსი ერთა უფლების აღიარებისა სახელმწიფოთა უფლების ნაცვლად ჯერ არა თუ არ დამთავრებულა, ოდნავ არის მხოლოდ დაწყებული, მაგრამ იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ბოლოს და ბოლოს იგიც განვითარდება და დამთავრდება ბუნებრიეის წესითა. ერთა ბრძოლისა და სახელმწიფოთაგან ძალით განთავისუფლების შემდეგ, საერთაშორისო სამართლის მიერ მათი მიღება და მათი თავისუფლების დაკანონება — პირველი მაჩვენებელია ამისა.

უმთავრესი პირობა, რომ საერთაშორისო სამართალმა მიიღოს თავის

სფეროში რომელიმე ერი, რომელიმე სახელმწიფო, რასაკვირველია თვით ამ ერის მიერ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის მოპოვებაა. მხოლოდ ამ შემთხვევაში სცემს პატივს იგი ერსა და სახელმწიფოთა საზოგადოების სწორ-უფლებიან წევრად აღიარებას.

1776 წლიდან ამერიკის შეერთებული შტატები აცხადებენ თავიანთ დამოუკიდებლობას ინგლისის მეფისაგან, და აღიარებენ თავიანთ თავისუფლებას იქონიონ საკუთარ ხელ-შეკრულებანი ვისთანაც სურსთ. 1778 წელს ისინი საფრანგეთთან სდებენ ასეთ ხელ-შეკრულებასა. 1782 წელს იგინი სდებენ ხელ-შეკრულებებს შეერთებულ პროვინციებთან, 1783 წ. შვეციასთან. ამავე წელს შეერთებული შტატები მშვიდობიანობის ხელ-შეკრულებასა სდებენ ინგლისთან. ერთი წლის შემდეგ თვით ინგლისი უკვე სრულიად აღიარებს შტატებს დამოუკიდებელ სახელმწიფოებად. აქედან იწყება მათი მონაწილეობა საერთაშორისო ცხოვრებაში. მარტო მათი განთავისუფლება და ხელ-შეკრულებანი რამდენად ართულებენ თვით საერთაშორისო სამართალსა და წინა სწევენ მისი მოქმედების სფეროსა, — ეს ცხადია, მაგრამ ეს წმინდა იურიდიული საკითხია და აქ არ გვაინტერესებს. სამხრეთ ამერიკის კოლონიები რაც განთავისუფლდნენ, მაშინვე დაიწყო აღიარება სახელმწიფოთა მიერ მათის დამოუკიდებლობისა. 1823 წელს შეერთებულ შტატების პრეზიდენტმა ჯემს მონროემ პირდაპირ განაცხადა, რომ სამხრეთ ამერიკის კოლონიები უკვე დამოუკიდებელნი სახელმწიფონი არიან და თუ ევროპის რომელიმე სახელმწიფომ ხელი შეახო მათ უფლებას, ეს პირდაპირ თვით შეერთებულ შტატებისათვის ომის გამოცხადებას ნიშნავსო. 1824 წლიდან იწყება ხელ შეკრულებანი ამ ახალ სახელმწიფოთა შეერთებულ შტატებთანა. პირველი ხელ-შეკრულება დაიდვა 13 ოქტომბერს 1824 წელს კოლომბიასა და შეერთებულ შტატებს შორის, შემდეგ ყველა დანარჩენ რესპუბლიკებთან. 1823 წელს ინგლისის მთავრობამ აღიარა ამერიკის რესპუბლიკები დამოუკიდებელ სახელმწიფოებად. 1824 წ. კი პირდაპირ აღიარა, — გართულდნენ დამოკიდებულებანი ჩვენსა და მათ შორის და საჭიროა კონსულთა დანიშვნაო. მალე სხვა სახელმწიფოებმაც აღიარეს მათი დამოუკიდებლობა და დასწერეს ხელ-შეკრულებანი. ისპანიამ 1829 წელს აღიარა მათი დამოუკიდებლობა. პრეზიდენტ მონროემ ამასთანავე პირდაპირ განაცხადა 1823 წელს, რომ ამიერიდან მთელი ამერიკა დამოუკიდებელი უნდა იყოს ევროპისაგან, იგი ევროპის საკოლონიზაციო ადგილი აღარ იქმნება, არამედ კრებული დამოუკიდებელ სახელმწიფოთაო. ამას ეწოდება მონროეს დოქტრინა. ამგვარად მოპოვებულ იქმნა უფლება მთელი კონტინენტისა, გართულდნენ საერთაშორისო დამოკიდებულებანი ახალ სახელმწიფოთა შორის, გადიდდა რიცხვი სწორ-უფლებიან ერთა დიდ საერთაშორისო საზოგადოებათა საზოგადოებაში.

რომ ძლიერ არ გაგრძელდეს ჩვენი მოთხრობა, ჩამოვთვალოთ სახელმწიფოები, რომელნიც შეეიდნენ განთავისუფლების შემდეგ საერთაშორისო ურთი ერთ დამოკიდებულებაში. საბერძნეთი 1830 წელს აღიარეს სახელმწიფოებმა სრულიად დამოუკიდებლად ლონდონის კონფერენციაზედ. 1831 წელს გაიყო სრულიად ბელგია ჰოლლანდიისაგან და აღიარებულ იქმნა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ; უკვე 1830 წელს ბელგიის დროებითმა მთავრობამ გამოაცხადა ბრიუსელში დამოუკიდებელი ბელგიის არსებობა. სახელმწიფოებმა იგი აღიარეს სრულ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ და საერთაშორისო საზოგადოების წევრად — სენ-დომინგომ თავი გაინთავისუფლა საფრანგეთისაგან 1804 წელს, მაგრამ მხოლოდ 1825 წელს იყო იგი აღიარებული დამოუ-

კიდებელ სახელმწიფოდ. — „ლიბერიის“ რესპუბლიკა აღიარა დამოუკიდებლად ყველამ 1848 წელს, გარდა შეერთებულ შტატებისა, მაგრამ მათაც მოილბეს ბოლოს გული და 1862 წელს მათ შორისაც პირველი ხელ-შეკრულება დაიდვა.

ოსმალეთთან კერძო ხელ-შეკრულებანი წინადაც ჰქონდათ ხოლმე ევროპის სახელმწიფოებს, თუმცა ძველი საერთაშორისო სამართალი მარტო ქრისტიანებს განიხილავდა თავის საგნად, და არა „უსჯულოებს“. მისი მიზანი — „საქრისტიანოს“ მოწესრიგება იყო. 1853 წლიდან ასეთი ხელ შეკრულებანი მრავლდებიან, — ოსმალეთს თითქმის ყველასთან აქვს რაიმე პირობა და ხელ-შეკრულება. 1856 წელს კი, პარიზის კონგრესსზედ, ოსმალეთი ოფიციალურად პირდაპირ შედის საერთაშორისო სამართლის სფეროში, და ისიც იმიტომ, რომ ბალკანეთის დაჩაგრულ ერთა მუდმივი მოძრაობა, საბერძნეთის განთავისუფლება და განუწყვეტელი ომი რუსეთთან, რომელიც საერთაშორისო სამართლის სფეროში თვითონ მხოლოდ მეთვრამეტე საუკუნეში შეეიდა, აიძულებდა ევროპას მუდმივ ჩარეოდნენ ხოლმე ოსმალეთის საქმეებში და ბოლოს და ბოლოს ისიც დაემორჩილებინათ საერთაშორისო სამართლის საზოგადო წესებისათვის.

ოსმალეთის მიღებამ საერთაშორისო სამართლის სფეროში კიდევ უფრო გაართულა საერთაშორისო დამოკიდებულებანი და ეს გართულებანი მაშინ გამოჩნდა, როდესაც ოტტომანის იმპერიაში არსებულ ერთა უფლების საკითხი დაყენებულ იქმნა ბერლინის კონგრესზედ 1878 წელს.

1861 წელს სარდინიის მეფე იტალიის მეფედ ხდება, სარდინიას უერთდებიან ყველა იტალიის პროვინციები ვენეციასა და რომს გარდა. ევროპის სახელმწიფოებმა და ამერიკამ აღიარეს ახალი სახელმწიფო იტალიისა. როდესაც კი იგი გაერთიანდა სრულიად 1870 წელს, იტალია დიდ სახელმწიფოდ იქცა. შემდეგ იგი შეეიდა ევროპის ხუთ დიდ სახელმწიფოთა კონცერტში, როგორც მეექვსე დიდი სახელმწიფო. ახალმა სახელმწიფომ ახალი ხელ-შეკრულებანი დასდვა სახელმწიფოებთან, ამასთანავე სარდინიის ხელ-შეკრულებანი ძალაში რჩებოდნენ და მთელი სამეფოსათვის საგალდებულონი იყვნენ. სამართლისა და მთელი ევროპის პოლიტიკის მხრით იტალიის ერის განთავისუფლება, გაერთიანება და საერთაშორისო სამართლის სფეროში მთლიანად შესვლა ერთი უდიდესი ფაქტია მეცხრამეტე საუკუნის ისტორიისა.

ბერლინის კონგრესსზედ მიიღეს საერთაშორისო სამართლის სფეროში სერბია, ჩერნოგორია, რუმინია და ბოლგარია, თუმცა ძლიერ შეზღუდული უფლებებით. მაგრამ მათ უფლებათა აღიარება, როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა, მაინც დიდი ნაბიჯი იყო საზოგადოდ ერის უფლების აღიარებისაკენ. მხოლოდ მას შემდეგ გაძლიერდნენ ეს დამონებული და გაველურებული ხალხები; რუმინიამ, სერბიამ და ჩერნოგორიამაც კი დამოუკიდებელ სამეფოთა უფლება მოიპოვეს, ხოლო ბოლგარია ჩვენ თვალ-წინ ძლიერ და დამოუკიდებელ სამეფოდ იქცა 1908 წელს.

აზიის ერებსაც, როგორც მაგალითად ჩინეთსა და იაპონიას, ძველ დროიდანვე ჰქონდათ მრავალი ხელ-შეკრულებანი სხვა და სხვა სახელმწიფოებთან, ხოლო მეცხრამეტე საუკუნის ბოლოში ისინიც შეეიდნენ სრულიად საერთაშორისო სამართლის სფეროში და შემდეგ შეიძლება უდიდესი როლიც ითამაშონ საერთაშორისო პოლიტიკაში.

ეს კიდევ რა, — საერთაშორისო სამართალს მიზანი აქვს მთელი კაცობრიობა შეიყვანოს თავის სფეროში; 1885 წელს, ბერლინის კონფერენციაზედ,

სადაც კონგოს დამოუკიდებლობა აღიარეს, პირდაპირ იყო წამოყენებული ამერიკელ ჯონ კასსონისაგან პრინციპი ველურთა ტერრიტორიის დაპერის წინააღმდეგ, თუ თვით ადგილობრივნი მცხოვრებნი წინდაწინვე არ განაცხადებდნენ ამაზედ თანხმობას.

არ ჩამოვთვლით იმ აუარებელ მაგალითს, რომლითაც სავსეა მეცხრამეტე საუკუნის საერთაშორისო სამართლის ისტორია, თუ როგორ იღებდა იგი თავის სფეროში განთავისუფლებულ სახელმწიფოებს, ერებს, როგორა სცდილობდა ცოტათი მაინც დაეცვა ერის უფლება. ეს მაგალითები მხოლოდ იმიტომ მოვიყვანეთ, რომ გვეჩვენებინა, თუ რამდენი ვაება გამოუვლიათ ერებს, რამდენი დრო გასულა, სანამ ბოლოს და ბოლოს მათი არსებობის უფლებას აღიარებდა საერთაშორისო სამართალი. აგრეთვე როგორი პროგრესსი განუხორციელებია საერთაშორისო სამართალს კაცობრიობის ორგანიზაციაში, რომლის მისწრაფებაც სწორედ ის არის, რომ თვითოეულ რასას, ერს მიენიჭოს დამოუკიდებლობა. მართალია, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი არ არის საერთაშორისო, არამედ სახელმწიფოთა შორისო, მაგრამ იმასთან შედარებით, რაც წინად იყო, — შედარებით ძველ იმპერიასთან, ძველ ესპანიის მონარქიასთან, ძველ ინგლისთან და საფრანგეთთან, ძველ ოსმალეთთან და ავსტრიასთან, — თანამედროვე საერთაშორისო სამართალი გაცილებით უფრო ბუნებრივად დანაწილებულ კაცობრიობას განაგებს. ეს პროცესსი საერთაშორისო სამართლის ნამდვილ სა-ერთა-შორისო სამართლად გადაქცევისა არ დამთავრებულა, იგი ჯერ ახალია, მეცხრამეტე საუკუნის საქმე, და მომავალში თუ დამთავრდება მხოლოდ ეს დიადი საქმე კაცობრიობის ბუნებრივი ორგანიზაციისა. ნამდვილ საერთაშორისო სამართლის მეფობის პირობა — ერთა თავისუფლებაა, მაშასადამე დიდ იმპერიათა დაშლა. უნდა განთავისუფლდნენ, ევროპაში მაგალითად, პოლონეთი, ავსტრიის სლავიანები, ირლანდია, — ესენი უკვე ადგანან ამ აუცილებელ გზას, — და როდესაც საერთაშორისო სამართალი მათ მიიღებს თავის სფეროში, საზოგადოებათა საზოგადოებას ახალი წევრები მიემატება. — რასაკვირველია, ზოგი ერი განთავისუფლების გზაზეა, ზოგის ზრდა ჯერ არ დამთავრებულა კაცობრიობის სხვა და სხვა კუთხეებში; ვინაიცის რომელი რასა როგორ გამოვა ისტორიის ასპარეზზედ და რამდენს ერს შექმნის, მაგრამ რაც უნდა მოხდეს და როგორიც უნდა იყოს ცვლილება რასათა და მთელი კაცობრიობისა, სახელმწიფოთა-შორისო სამართალმა მაინც უნდა მიიღოს ფორმა ნამდვილ საერთაშორისო სამართლისა, და ეს იქმნება პირველი მაჩვენებელი როგორც საზოგადოდ წმინდა და მართალ სამართლის გამეფებისა, ისე მთელი კაცობრიობის ორგანიზაციისა. მეცხრამეტე საუკუნემ ამ მხრით დიდი ნაბიჯი წარსდგა წინ ბევრი ერის განთავისუფლებით, და თუ უწინ, მეჩვიდმეტე და მეთვრამეტე საუკუნოებში, საერთაშორისო კონგრესსებზედ რამოდენიმე ევროპის სახელმწიფო ესწრებოდა, — ისიც ისეთი სახელმწიფოები, რომელთაც მრავალი ერი ძალით ჰყავდათ დამონებული, უუფლებოდ, — დღეს საერთაშორისო კონგრესსებზედ მონაწილეობას იღებს ევროპის 22 სახელმწიფო, 21 სახელმწიფო ამერიკისა, ხუთიოდე აზიისა, რამოდენიმე აფრიკისა. მართალია, დღეს კიდევ უარყოფაა სახელმწიფოთა-შორისო სამართალი საერთაშორისო სამართლისა მით, რომ ერის უფლებას არ აღიარებს, როგორც აუცილებელ პრინციპს, მაგრამ თანამედროვე სახელმწიფოთა შორის არიან ისეთებიც, სადაც ერი და სახელმწიფო თითქმის ერთი და იგივეა; ეს ერები განთავისუფლებულან და ისე მიუღია იგინი საერთაშორისო

სამართალსა, და მომავალში, იმედი უნდა გვქონდეს, რომ ერის უფლებას აღიარებს საერთაშორისო სამართალი უფრო ძლიერად, უფრო მკაფიოდ, უფრო ნათლად. საერთაშორისო სამართლის განხორციელებამდის ჯერ, რასაკვირველია, შორს არის, მაგრამ მის ნამდვილ პრინციპთა აღიარებამდის მგონი შორს არ უნდა იყოს საზოგადოებრივი აზრი მაინც.

უკვე ზემოხსენებული პროგრესსი ერთა განთავისუფლებისა ჰბადებს — თუ ერთა შორის არა, სახელმწიფოთა შორის მაინც სრული თანასწორობის იდეას, და ვნახოთ რას ამბობენ თანამედროვე მეცნიერნი საერთაშორისო სამართლისა ამ თანასწორობის შესახებ.

IV

საერთა-შორისო სამართალმა უპირველეს ყოვლისა თავის ნამდვილ საგანს, — სახელმწიფოს მიაქცია ყურადღება და არა ერს, რომელიც პრინციპიალურად არცა ყოფილა მისი საგანი, ჯერ არ არის და მხოლოდ შემდეგ უნდა მოველოდეთ საერთაშორისო სამართლის მიერ მისს ნამდვილ და ბუნებრივ საგნად აღიარებას. მაგრამ საერთაშორისო სამართლის იდეამ მაინც დიდი ნაბიჯი წარსდგა წინ სახელმწიფოთა თანასწორობის აღიარებით. წავიდა ის დრო, როდესაც ეს თანასწორობა წარმოუდგენელი იყო. ეხლა, თუ ნამდვილად არა, პრინციპიალურად მაინც აღიარებულია ეს თანასწორობა საზოგადოებათა საზოგადოების ყველა წევრისა, საერთაშორისო სამართლის მეცნიერების მიერ. მაგრამ წინად და ეხლაც ბევრს ურთი-ერთისაგან ვერ გაურჩევია სახელმწიფო და ერი და სახელმწიფოთა თანასწორობის მაგივრად ერთა თანასწორობაზედ ლაპარაკობენ მეცნიერები. ეს დიდი შეცდომაა, როგორც არა ერთხელ ვსთქვით. ამ არევ-დარევას ხელი შეუწყო ჯერ ერთი იმ გარემოებამ, რომ თეორიულად არ იყო კარგად გარჩეული ცნება ერისა სახელმწიფოს ცნებისაგან, მეორე იმან, რომ განთავისუფლებული ერები ჯერ სახელმწიფოს ფორმას ღებულობდნენ და მხოლოდ მერე იღებდა ხოლმე მათ საერთაშორისო სამართალი თავის სფეროში. საერთაშორისო სამართალი მხოლოდ სახელმწიფოს სცნობდა იურიდიულ პირად, და არა ერს, და რადგანაც ყოველ სახელმწიფოში რომელიმე ერთ გაბატონებულ ერს ეძლევა უპირატესობა და მთელს სახელმწიფოსაც მისი სახელი ჰქვია, ამიტომაც, მაგალითად, რუსეთის ან ინგლისის ერის უფლებებზედა ლაპარაკობს საერთაშორისო სამართალი, და არა ინგლისისა და რუსეთის სახელმწიფოებისაზედ, თუმცა გულისხმობს ყოველთვის რუსეთსა ან ინგლისის სახელმწიფოს. თითქოს რუსეთის ან ინგლისის სახელმწიფო ერთი ერისაგან შესდგებოდეს, და არა მრავალ ერისაგან, რომელთა უფლება შემდეგ უნდა დაიცვას საერთაშორისო სამართალმა სწორედ რუსეთისა და ინგლისის **სახელმწიფოთა წინააღმდეგ.**

ჩვენ შემდეგ დავინახავთ, რომ ლიტერატურაში ასეთი აღრევა სახელმწიფოსა და ერის ცნებისა არ გამოჰპარვიათ და პირდაპირ იყო დაყენებული საკითხი, — რა უნდა გაეხადა საერთაშორისო სამართალს თავის საგნად, — ერი თუ სახელმწიფო. მაშინ, რასაკვირველია, იმ მეცნიერებმა, რომელნიც მომქმედ სამართლის ნიადაგზედ იდგნენ, სახელმწიფო აღიარეს საერთაშორისო სამართლის საგნად, და პირდაპირ სთქვეს, — ერი უსახელმწიფოდ ვერც კი წარმოგვიდგენიაო, — იმ მეცნიერებმა კი, რომელნიც იდგნენ წმინდა სამართლიანობისა და თანასწორობის ნიადაგზედ, ერი აღიარეს საერთაშორისო სამართლის საგნად; საერთაშორისო სამართალი მათთვის არა მარტო არსებულ

საზოგადოებათა საზოგადოების (სახელმწიფოთა საზოგადოების) მომწესრიგებელი უნდა ყოფილიყო, არამედ გაფართოვებულ იდეალთა მქონე უზენაესი სამართალი, რომელსაც პრინციპიალურად უნდა აღეარებინა ერთა თავისუფლება და თანასწორობა, რადგანაც ერის იდეა იყო ელემენტარული და ბუნებრივი, სახელმწიფოს იდეა კი — იდეა წარმომდგარი ამ ელემენტარულ იდეისაგან. ეს უკვე ნამდვილი ნაბიჯი იყო ერის უფლების აღიარებისაკენ.

ახლა კი ვნახოთ, როგორ მოისპო მეცხრამეტეთა იდეაში მაინც დესპოტიზმი დიდ სახელმწიფოთა და იურიდიული მხრით მაინც როგორ იქმნა აღიარებული ყველა სახელმწიფოს თანასწორობა; ეს მით უფრო საინტერესოა, რომ მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში განთავისუფლებულ ერთა შორის ბევრი ისეთი იყო, რომელთაც მართალია სახელმწიფო დააარსეს და მხოლოდ ამით მიეცათ უფლება საერთაშორისო სამართლისაგან დამოუკიდებლად აღიარებისა, მაგრამ მათი სახელმწიფო სხვა ერებს არა სჩაგრავდა და თითქმის ერთი და იგივე გამოვიდა მათი ერი და სახელმწიფო. ხან და ხან კიდეც აკლდა სხვის ხელში დარჩენილი ეროვნული ელემენტი ახლად დაარსებულ ეროვნულ სახელმწიფოსა, როგორც მაგალითად იტალიასა, სერბიასა და სხვ. — ამ მხრით რამოდენიმედ ერთა თანასწორობის აღიარებას უდრის სახელმწიფოთა თანასწორობის აღიარება.

ჩამოვთვალოთ უმთავრესი "ავტორები". დავინახსოვროთ მხოლოდ, რომ სადაც ისინი სიტყვა ერსა ხმარობენ, იქ სახელმწიფო უნდა ვიგულისხმოთ. ეს იმიტომ არის საჭირო, რომ, განვიმეორებთ, ერი და სახელმწიფო ერთი და იგივე არ არის, და, მაშასადამე, სახელმწიფოთა თანასწორობის აღიარება კიდევ არ ნიშნავს ერთა თანასწორობის აღიარებას.

ძველ ავტორთა შორისაც იყო აზრი სახელმწიფოთა თანასწორობისა.

ქრისტიან დე ვოლფი 1749 წელს თავის Jus gentium scientifica pertractatum-ში ამბობდა: „ბუნებით ყველა ერი თანასწორია. ერები თავისუფალ პიროვნებათა ჰგვანან, ბუნებითი წესით მცხოვრებთ. ბუნებამ ყველა ადამიანი თანასწორად გაჩინა, ამ გვარადვე ყველა ერი თანასწორია". — 1758 წელს, ვოლფის მოწაფე ემერ დე ვატტელი სწერდა თავის Droit des gens-ში: „რადგანაც ადამიანები ბუნებით თანასწორნი არიან, და რადგანაც მათი უფლებანი და ვალდებულებანიც თანასწორნი არიან, როგორც აგრეთვე ბუნებითნი,— ერებიც, რომლებიც შესდგებიან ადამიანთაგან და რომელნიც უნდა განვიხილოთ, როგორც თავისუფალნი პიროვნებანი, ერთად მცხოვრებნი ბუნებითის წესით, ბუნებითად თანასწორნი არიან. აგრეთვე და ბუნებისაგან აქვსთ მინიჭებული ერთი და იგივე უფლებანი და ვალდებულებანი. ძლიერება ან სიხუტე, ამ თვალთ-საზრისით, არავითარ განსხვავებას არა ბადებს მათ შორის (კურსივი ჩვენია). კაცუნაც ისეთივე ადამიანია, როგორც ბუმბერაზი; პატარა რესპუბლიკაც ისეთივე სუვერენული სახელმწიფოა, როგორც უძლიერესი სამეფო.

მეცხრამეტე საუკუნის ინტერნაციონალისტებმა კიდევ უფრო ნათლად აღიარეს ეს თანასწორობა. თავის წიგნში: Précis du droit des gens moderne de L'Europe ჟორჟ ფრედერიკ მარტენსი სწერს: ერთა შორის, როგორც პი-

---

* აქ უნდა შევნიშნოთ, რომ საერთოდ ზემო-მოყვანილი ისტორიული ფაქტები და სხვა და სხვა ავტორთა აზრებიც ჩვენ მოგვყავს E. Nys-ის წიგნიდან: Le Droit International, t. I, II. მისავე წიგნიდან: Le Concert Enropéen et la notion du Droit International. ასევე-გებლობდით აგრეთვე: E. Reclus-ს წიგნთ: L'Homme et la Terre, v. V; René Pinon, L'Europe et L'Empire Ottoman, და სხვა წყაროებთ.

როვნებათა შორის. არსებობს სრული თანასწორობა ბუნებრივ და აბსოლუტურ უფლებათა. ე. ი. დამოუკიდებლად ტერიტორიისა, ხალხისა, ძალისა, სულისა და კონსტიტუციის სხვა და სხვაობისა და მთავრობის მეტი თუ ნაკლების სიძველისა: ყველას აქვს უფლება ის მოიმოქმედოს, რაიცა სხვის დამოუკიდებლობას არას დაუშლის, და არავის სრულიად არავითარი უფლება არა აქვს რაიმე პოზიტიური აქტი ჩაადენინოს მას ძალით, თავის სასარგებლოდ".

„ყველა სახელმწიფო, ამბობს კლიუბერი, არის თანასწორი ზნეობრივი და თავისუფალი პიროვნება, და ყველას აქვს უფლება ისარგებლოს ყველა იმ უფლებით, რომელიც გამომდინარეობს ამ მისი პიროვნებიდან. მაშასადამე მათი უფლებანი თანასწორნი არიან". სერ რობერტ ფილლიმორს გამოაყავს სწორ-უფლებიანობა იქიდან, „რომ ყოველი სახელმწიფო წევრია მსოფლიო საზოგადოებისა". სერ ტრეველს ტვაისი ამტკიცებს, რომ ერთა დამოუკიდებლობა აბსოლუტურია: „არც ძლიერებასა და არც სისუსტეს არ შეუძლიანთ წარმოშობონ ამ მხრით რაიმე განსხვავება; ჩერნოგორიის სამთავრო ისეთივე დამოუკიდებელი სახელმწიფოა, როგორც რუსეთის იმპერია".

ბლუნჩლი ამბობს: „ყველა სახელმწიფო თანასწორია, რადგანაც იგინი პიროვნებანი არიან. ისინი ყველანი ღებულობენ მონაწილეობას საერთაშორისო სამართალში და უფლება აქვსთ, რომ მათ არსებობას პატივი სცენ. სახელმწიფოთა შორის თანასწორობა იგივეა, რაც მოქალაქეთა შორის თანასწორობა. განსხვავება სიდიდისა, სიძლიერისა და ხარისხისა ვერ შესცვლის ამ თანასწორობას, რადგანაც ეს თანასწორობა სწორედ მით გამოიხატება, რომ აღიარებულია სახელმწიფოთათვის ნიჭი იურიდიულ პირთა, და მითაც, რომ საერთაშორისო სამართლის პრინციპები გამოუკლისად ყველას შეეხება". ბლუნჩლი ამასთანავე ემყარება ჩარლს-სომნერის განცხადებას შეერთებულ შტატების სენატში 23 მარტს 1871 წელს: „ხალხთა თანასწორობა არის საერთაშორისო სამართლის პრინციპი ისევე, როგორც ჩვენი დამოუკიდებლობის გამოცხადების აქსიომა მოქალაქეთა თანასწორობაა. რასაც დიდსა და ძლიერ ხალხს ვერ უზამ, იგი პატარასა და სუსტს არ უნდა უქმნა, — არც ის, რასაც ვერ მოვითმენდით, ჩვენთვის რომ ექმნათ".

„საფუძველი სახელმწიფოთა საურთი-ერთო უფლებათა, ამბობს ლეოპოლდ ნეიმანნი, არის მათი თანასწორობა. ყველა დამოუკიდებელი სახელმწიფო. დიდი თუ პატარა, ლიხტენშტეინი თუ რუსეთი, პრინციპიალურად თანასწორნი არიან. მიუხედავად მათი მეტ-ნაკლები სიძლიერისა, — თუმცა სიძლიერის უთანასწორობა ჰბადებს ხშირად ფაქტიურ უთანასწორობას და ნამდვილ პრაქტიკაში ევროპის დიდ სახელმწიფოებს ეძლევათ უპირატესობა პირველობისა ან ხარისხისა (ოღონდაც! B.). „ისე, როგორც მოქალაქენი თანასწორნი არიან კანონის წინაშე, ამბობს ფრ. მარტენსი თავის Traité du droit International-ში, დამოუკიდებელნი სახელმწიფონი თანასწორნი არიან საერთაშორისო სამართლის წინაშე. მათ აქვსთ ყველაზე ეს... გვარი უფლებანი, რომელთაც საურთიერთოდ პატივი უნდა სცენ. მათი თანასწორობა სამართლის წინაშე გამომდინარეობს თვით საერთაშორისო საზოგადოების იდეიდან. **ამ თვალთ-საზრისით იგი თეორიის საგანია** (ყურსივი ჩვენია); მაგრამ ტყუილად წაართმეედნენ მას ყოველ პრაქტიკულ მნიშვნელობას და უარჰყოფდნენ მის ნამდვილ არსებობას... **თუ ამ თანასწორობას პრაკტიკაში ყოველთვის პატივს არა სცემენ, პრინციპი ამით ხრულიადაც არ ირუღვა.** (ყურსივი ჩვენია). ფუნკ-ბრენტანოსა და სორელის აზრი, რომ „სახელმწიფოთა თანასწორობა ცარიელი სიტყვაა გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც იგი პრაქტი-

ულად ხორციელდება ხოლმე"-ო, თვით საერთაშორისო საზოგადოების არსებობის ფაქტით ირღვევა. შეუძლებელია საერთაშორისო საზოგადოების არსებობა, თუ მისი წევრნი თანასწორნი არ არიან სამართლის წინაშე... თვით პრინციპი საერთაშორისო საზოგადოების წევრთა თანასწორობისა სრულიად არ ეწინააღმდეგება მათ ნამდვილ უთანასწორობას, მათ სიძლიერისა, მცხოვრებთა რიცხვისა და სიმდიდრის მეტ-ნაკლებობას. კერძო პირების შესახებაც ესევე ითქმის. ისინი კანონის წინაშე არიან თანასწორნი და მოქალაქობრივი თანასწორობა არის დიდი „თეორიული" პრინციპი, მოპოვებული ევროპის ცივილიზაციის მიერ. მართალია, ყველას თანასწორად არ შეუძლია თავის უფლებით ისარგებლოს. ამგვარადვე დიდ სახელმწიფოებს ყოველთვის მეტი შეძლება აქვსთ ისარგებლონ თავიანთი უფლებებით და გაიყვანონ იგინი, ვიდრე პატარა და სუსტ სახელმწიფოებს; მაგრამ აქედან მაინც ის არ გამოდის, რომ პირველთ შეუძლიანთ უკანასკნელთ კანონი დაუწერონ".

პასკვალე ფიორე დიდ მნიშვნელობას აწერს სახელმწიფოთა იურიდიულ თანასწორობას და ამბობს: „თავისუფალი და დამოუკიდებელი ხალხი არ შეიძლება აიძულო რომელიმე უფროსი აღიაროს და მის ნებას დაემორჩილოს. ამ თვალთ-საზრისით არ არსებობს დიდი და პატარა სახელმწიფოები, და ვიქტორ ჰიუგოს თქმისა არ იყოს, „ხალხის სიდიდე ისე არ განიზომება მცხოვრებთა რიცხვით, როგორც კერძო ადამიანის სიდიდე ტანის სიმაღლითა" (Trattato di dritto Internazionale pubblico).

ჰოლცენდორფი პირდაპირ და გადაჭრით ამბობს: „ის ვინც უარ-ჰყოფს დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანასწორობას საერთო საერთაშორისო ორგანიზაციაში, ამით უარ-ჰყოფს თვით საერთაშორის სამართლის არსებობას" (Handbuch des Volkerrechts).

პრადიე ფოდერესათვის თანასწორობა სახელმწიფოთა აბსოლუტური უფლებაა. იგი ამბობს თავის Traité de droit International public européen et americain: „ეს უფლება არის თან-შობილი, როგორც უფლება დამოუკიდებლობისა. ეს არის უფლება პირველ-ყოფილი, აუცილებელი". პრადიე ამბობს, რომ სხვა და სხვა ავტორთაგან ეს თანასწორობა განხილული იყო — ზოგისაგან როგორც წესი არსებობისა, ზოგისაგან როგორც პრინციპი, ზოგისაგანაც როგორც უფლება. მისი აზრით აი რა არის ეს თანასწორობა: „უნდა აღვიაროთ, ამბობს იგი, რომ თვითოეული სახელმწიფოს უფლებანი ისეთნაირადვე უნდა იყვნენ პატივცემულნი, როგორც სხვა რომელიმე სახელმწიფოსი, მიუხედავად იმ განსხვავებისა, რომელიც არსებობს ძლიერსა და მეორე ხარისხოვან სახელმწიფოთა შორის ხალხთა რუკაზედ, თუმცა სახელმწიფოთა შორის, ისე როგორც კერძო პირთა შორის, ბუნებრივი თანასწორობა ან იურიდიული თანასწორობა არ ეთანხმება აუცილებლად ნამდვილსა ანუ სოციალურ თანასწორობას. მიუხედავად იმისა, რომ თვითოეულ ხალხს აქვს ყველა უფლება, იგი ვერ ახორციელებს ამ უფლებებს ისეთნაირად, როგორც სხვა ხალხები. მართალია, ყველა სახელმწიფო თანასწორია ბუნებრივად და იურიდიულად აბსოლიუტური სამართლის თვალთ-საზრისით, მაგრამ ყველა არ არის ძლიერი, გავლენიანი თავისი იდეებითა, უპირატესობის მქონე თავის ცივილიზაციითა, საშიშარი თვისი ნივთიერი ძალებითა"-ო.

რივიეს ფორმულა სახელმწიფოთა თანასწორობისა ასეთია: „დამოუკიდებელი სახელმწიფონი, ამბობს იგი, თანასწორნი არიან. დიდი თუ პატარა, სუსტი თუ ძლიერი, — თვითეული მათგანი არის იმავე სახელით, როგორც სხვა, პირი საერთაშორისო სამართლისა, — სახელმწიფო. თვითოეული დამოუ-

კიდებელი სახელმწიფო სარგებლობს სხვებთან თანასწორად იმ უფლებით, რომელიც გამომდინარეობს მისი დამოუკიდებლობიდან და მისი საერთაშორისო საზოგადოების წევრობიდან, — სავსებითა, — და თანახმად იმ ხელშეკრულებათა, რომელიც მას აქვს სახელმწიფოებთან დადებული". „უფლებრივი თანასწორობა, ამბობს იგი აგრეთვე, არ არის წინააღმდეგი სხვა და სხვა ნამდვილ უთანასწორობისა. სახელმწიფოთა შორის, ისე როგორც კერძო ადამიანთა შორის, არსებობენ ნამდვილად და აუცილებლად უთანასწორობანი მდგომარეობისა, გავლენისა, ძალისა და სიმდიდრისა. ერთა ჩუმი თუ შეგნებული შეთანხმება მათ იგულისხმებს და აკანონებს"... რივიესათვის აგრეთვე სახელმწიფოთა თანასწორობა არის აუცილებელი შედეგი სახელმწიფოთა დამოუკიდებლობისა:

„დამოუკიდებელი სახელმწიფოები ყველანი თანასწორად სუვერენები არიანო, — ამბობს იგი; არავითარი ძალა არ არის მათ ზეგით; არც ერთი არა სდგას სხვაზე უფრო მაღლა".

ბევრნი არიან ისეთი მეცნიერებიც, რომელნიც უარს ჰყოფენ სახელმწიფოთა შორის არსებულ თანასწორობას, და სამართლიანადაც. ასეთია მაგალითად ლორიმერი, რომლისთვისაც სახელმწიფოთა შორის თანასწორობა ისეთივე ფიქციაა, როგორც პიროვნებათა შორის თანასწორობა. ეს სრული ჭეშმარიტებაა იმ მხრით, რომ თანამედროვე ცხოვრებაში არ არსებობს არავითარი თანასწორობა დადსა თუ პატარასა, ძლიერსა და სუსტს სახელმწიფოთა შორის, მაგრამ, როგორც შენიშნეს, აქ თეორიულ თანასწორობაზედ არის ლაპარაკი, პრინციპზედ, უფლებრივ თანასწორობაზედ, და ასეთი თანასწორობა რომ არსებობს ინტერნაციონალისტთა იდეაში, საერთაშორისო სამართლის მეცნიერებაში მაინც, — ეს უეჭველი ფაქტია. ხოლო რამდენადაც ვითარდება თვით საერთაშორისო სამართალი და აწესრიგებს საზოგადოებათა შორის განწყობილებათა, რაც უფრო ხშირად ერევა საერთაშორისო საქმეებში, მით უფრო ხორციელდება კონკრეტულად იდეალი თანასწორობისა.

მართალია ამ პრინციპის წინააღმდეგი ყოველთვის იყო პოლიტიკა, ყოველთვის დიდი სახელმწიფო სცდილობდა პატარები ჩაეყლაპა და მათ უფლებათა არა თუ თანასწორობა აღეარებინა, არამედ კიდევაც ჩამოერთმია იგინი სრულიად, მაგრამ არც ამ პატარა საზოგადოებათ ეძინათ ხოლმე, და ყოველთვის დიდი დესპოტების იერიშს წინ-უხვდებოდა მცირეთა და სუსტთა კავშირი. ეს კავშირი დაახევინებდა ხოლმე უკან დიდ დესპოტსა და ყოველ ასეთ აქტს მოჰყვებოდა ხოლმე აღიარება დიდისა და პატარის თანასწორობისა.

ხან სუსტები შეერთებული ძალით უსწორდებოდნენ ძლიერსა, ხან ერთმანეთის ძალებს გაასწორებდნენ ხოლმე სახელმწიფოები, რომ მეტ-ნაკლებობას და ერთის სიძლიერეს არ დაერღვია საერთო მშვიდობიანობა. ასეთნაირად იბადებოდა ცნება ექვილიბრიუმისა, რომელიც ერთის დესპოტიზმთან შედარებით ნაბიჯი იყო ყველას თანასწორობისაკენ. ასე მოხდა, მაგალითად, იტალიაში, როცა ხუთმა სახელმწიფომ — ფლორენციამ, ნეაპოლმა, მილანმა, რომმა და ვენეციამ მოაწყვეს ექვილიბრიუმი მე-XVI საუკუნის დასაწყისში. ასე იყო, როდესაც ნაპოლეონმა მოინდომა მთელი ქვეყნის დაყოფა პატარ-პატარა ნაწილებად და მათზედ ყველაზედ ბატონობა, და შეერთებული ევროპა ამიტომ გამოვიდა მის წინააღმდეგ თანასწორობისა და ექვილიბრიუმის სახელით. ასევე იყო, როდესაც თვით ეს ტეტრარხია, ე. ი. რუსეთი, ინგლისი, პრუსია და ავსტრია, შემდეგ პენტარხია — საფრანგეთის მიმატებით, — და კერძოდ

ოსმალეთი — გახდნენ საშინელ რეაქციონურ ძალად მთელი ევროპისათვის და მისი ერებისათვის, — და ამიტომაც მთელი ევროპის ერები აღსდგნენ თანასწორობისათვის და იბრძოდნენ მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში. ამ ბრძოლიდან ერთი დიდი სახელმწიფოც კი გამოვიდა, — იტალია, — რომელიც დიდ სახელმწიფოთა რიცხვში შეეიდა და პენტარხია ექსარხიად გადააქცია. ასეა დღესაც, — მიუხედავად თანასწორობის პრინციპიალურად აღიარებისა, — როცა დანარჩენი ერები იბრძვიან სწორედ საერთაშორისო სამართლის წინაშე სწორ-უფლებიანობის მოპოვებისათვის.

მაგრამ სწორედ აქ იჩენს თავს ერთი სუსტი მხარე თეორიულად აღიარებული თანასწორობისა სახელმწიფოთა შორის: თვით პრინციპი „ერთა" თანასწორობისა, სახელმწიფოთა თანასწორობისა საერთაშორისო სამართლის წინაშე — დიდებული რამ პრინციპია, მაგრამ უბედურება ის არის, რომ არასოდეს საერთაშორისო სამართალი სწორ-უფლებიან წევრად არ იღებს ისეთს ერს, რომელიც ფაქტიურად არ არსებობს, როგორც სუვერენი სახელმწიფო. ისტორია გვიჩვენებს, რომ ერები სწორედ სახელმწიფოების მონობისაგან განთავისუფლებულან, შეუქმნიათ თავიანთი სახელმწიფონი და ისე მიუღია იგინი საერთაშორისო სამართალსა. დღესაც დანარჩენი ერები განთავისუფლების გზაზედ არიან, და მაშასადამე, ხვალ შესაძლებელია სუვერენი სახელმწიფოები დააარსონ და საერთაშორისო სამართალიც იძულებული იქმნება მიიღოს იგინი. პრინციპად კი აღიარებს ეს საერთაშორისო სამართალი თანასწორობას სახელმწიფოთა და მათ უფლებათა ხელუხლებლობას. განსაკუთრებით მათ ტერრიტორიათა ხელუხლებლობას. მაშასადამე, რაც დღეს ხელუხლებელი იყო ერთისათვის, იგი ხვალ მისივე მოწინააღმდეგისათვის დაკანონებულ უფლებად ხდება საერთაშორისო სამართლის მიერ. გუშინდელი პოლონეთი, რომელიც რუსეთის უფლების ხელუხლებელ სფეროში შედის, ხვალ აღიარებული იქმნება რუსეთთან სწორ-უფლებიან სახელმწიფოდ იმავე საერთაშორისო სამართლის მიერ! — ცხადია აქ დიდი წინააღმდეგობაა.

და ეს წინააღმდეგობა მკითხველმა იცის, რაშიაც არის. მართალია არსებობს საზოგადოებათა საზოგადოება, სახელმწიფოთა საზოგადოება, რომლის მომწესრიგებელი თანამედროვე სახელმწიფოთა-შორისო სამართალია, მაგრამ თანამედროვე სახელმწიფო არ არის ბუნებრივი საზოგადოება, და მაშასადამე არც ბუნებრივი წევრი საზოგადოებათა საზოგადოებისა. ასეთ საზოგადოებად და ასეთ წევრად საერთაშორისო საზოგადოებისა შეიძლება იყოს მხოლოდ ერი, — და აკი ყოველი დაშლა დიდ იმპერიათა, ყოველი შემთხვევა ზემოხსენებულ წინააღმდეგობისა საერთაშორისო სამართლის მოქმედებაში, ერის უფლების მოპოვებისა და მისი საერთაშორისო საზოგადოების სწორ-უფლებიან წევრად შესვლის პროცესი არის.

ერია ბუნებრივი სოციალური ორგანიზმი, და არა სახელმწიფო, სადაც შეიძლება მრავალი ერი შედიოდეს, და მანაც უნდა დაშალოს დიდი სახელმწიფოები. მაშასადამე იგი უნდა შედიოდეს საერთაშორისო საზოგადოებაში, როგორც სწორ-უფლებიანი წევრი, და მაშინ აღარ იქმნება ზემოხსენებული წინააღმდეგობა უფლებრივ პრინციპის თვით შინაგან არსებაში. ერი, და არა სახელმწიფო უნდა იყოს საგანი საერთაშორისო სამართლისა, რომელმაც უნდა დაიჭიროს ადგილი თანამედროვე სახელმწიფოთა-შორისო სამართლისა. ერთა და არა სახელმწიფოთა შორის უნდა იყოს გამოცხადებული თანასწორობა, თეორიული მაინც, რომ ზემოხსენებულ წინააღმდეგობას ადგილი აღარა ჰქონ-

დეს. მაშინ საერთაშორისო სამართალი მართლა საერთაშორისო იქმნება და არა სახელმწიფოთაშორისო. დღეს კი სახელმწიფოა, საუბედუროდ, საგანი საერთაშორისო სამართლისა. მაგრამ როგორც წინად ყოველ სოციალურ ჯგუფებს, დღესაც სახელმწიფოებს, ერზედ გაცილებით უფრო ნაკლებად ბუნებრივ სოციალურ ჯგუფებს, აკავშირებს საერთაშორისო სამართალი და იცავდებს პრინციპს მათ შორის თანასწორობისას. შემდეგ კი მათ ადგილს უფრო ბუნებრივი სოციალური ორგანიზმები, — ერები დაიჭერენ. მანამ კი ის ზემოხსენებული წინააღმდეგობა საერთაშორისო სამართლისა რაც უფრო ხშირად განმეორდება, მით უფრო მოსპობს თანამედროვე ხასიათს საერთაშორისო სამართლისას, სანამ ამ სამართლის საგანს მარტო ერები არ შეადგენენ გამოუკლისად. მაშინ აქვსთ სრული უფლება ილაპარაკონ ერთა სწორ-უფლებიანობაზედ საზოგადოებათა საზოგადოებაში. მაშინ თვით სამართალიც განწმენდილი და იდეალს დაახლოებული იქმნება, აღარ იქმნება მარტო თეორიული თანასწორობა, არამედ პრაქტიკულიც სამართლის წინაშე.

ყოველ შემთხვევაში, დღესაც თვით სამართალი არაფერ შუაშია. იგი აწესრიგებს იმ საგანთა შორის განწყობილებას, რომლებიც აქვს. მიეცით მას სხვა საგანნი, — სხვებს მოაწესრიგებს თანამედროვე სახელმწიფოთა ნაცვლად. საგანნი თვით აძლევენ თავიანთ თავს საერთაშორისო სამართალს მოსაწესრიგებლად, და სამართალიც ყოველთვის ასრულებს თავის მოვალეობას.

ამას გარდა თვით მეცნიერებმაც მიაქციეს ყურადღება საერთაშორისო სამართლის დღევანდელ საგანს და დავაც აქვსთ, — ერი უნდა იყოს ეს საგანი თუ სახელმწიფო. აქ უკვე ერის ცნება იჭერს სახელმწიფოს ცნების ალაგს საერთაშორისო სამართალში.

V

საუბედუროდ საერთაშორისო სამართლის ლიტერატურაში და საზოგადოდ სოციალურ მეცნიერების ლიტერატურაში ერისა და მის უფლებათა შესახებ ისეთი ვრცელი და ღრმა გამოკვლევანი არ მოიპოვებიან, როგორნიც სახელმწიფოსა და მის უფლებათა შესახებ. ამ უკანასკნელ საგანზედ უფრო მეტიც ულაპარაკნიათ და უფრო მეცნიერულადაც, მაშინ როდესაც ერის ნამდვილი მეცნიერული განსაზღვრაც კი ძვირად მოიპოვება, არა თუ მისი უფლებანი სისწორით არ არიან განსაზღვრულნი. არა მარტო საერთაშორისო სამართლის მეცნიერება არის ცოდვილი ამ მხრით, არამედ მეტად კიდევ ის სოციალისტური ლიტერატურა, რომელიც აღმოცენდა ინტერნაციონალიზმის ნიადაგზედ, — სოციალისტურ ინტერნაციონალიზმისა, რომელსაც თავს უნდა ედვა ერის ცნების განსაზღვრა და გარკვევა მის უფლებათა, რადგანაც მისი პრეტენზიაა ადგილი დაიჭიროს თანამედროვე, არსებულ, ბურჟუაზიულ განწყობილებათა, როგორც საზოგადოებათა შიგნით, ისე საზოგადოებათა შორის.

გაეცნეთ ავტორებს, რას ამბობენ იგინი ერისა და მის უფლების შესახებ.

ლიტტრე ამბობს: „ერი არის კრებული ადამიანთა, რომელნიც ერთს ტერიტორიაზედ სცხოვრობენ, რომელთაც **შეიძლება ბუკდეხთ და არა ბუკდეხთ საკუთარი მთავრობა** (კურ. ჩვ.), რომელთაც იმდენად საერთო ინტერესები აქვსთ, რომ შეიძლება იგინი ერთს რომელიმე რასას მივაკუთვნოთ“. „ეროვნებათა პრინციპი ის არის, რომ ერთი რასის ნაწილი მიისწრაფის შეადგინოს **პოლიტიკური ორგანიზმი**“ (კურსივი ჩვენია).

აქ უკვე შთანაბეჭდია ერის უფლებისა, თუმცა მკრთალად თვალ-საჩინო. განსაზღვრა ერისა კი სრულიად უვარგისია.

ესმენისა და თვით პრ. ნისის აზრით, სახელმწიფო ერის (კურსივი ჩვენია) იურიდიული გაპიროვნებაა (A. Esmein, Eléments de droit Constitutionnel)

ნისის აზრით (Le droit International, t. I) ერი თემისაგან, კლანისაგან წარმოსდგა: თემთა და კლანთა კავშირი იჭერს განსაზღვრულ ტერრიტორიას, რომელზედაც ვითარდება ეროვნული საზოგადოება, საერთო მიზნის განხორციელებისაკენ მიმსწრაფი.

აი, აქ იბადება ევროპისათვის პრობლემაო, ამბობს ნისი, აქვს თუ არა ყოველ ერს უფლება დააარსოს სახელმწიფო, ე. ი. აქვს თუ არა მას ერთი უპირველესი უფლებათაგანი, ვიტყვით ჩვენ, ურომლისოდაც იგი ყოველთვის სხვა სახელმწიფოს მონობაში ეარდება.

ბევრი აღიარებს ასეთს უფლებას ერისას. ამერიკელ ბრინტონისათვის ერი უპირველესი ელემენტია კაცობრიობისა, რომლის შემდეგი განვითარება იწვევს **საერთაშორისო განვითარებას.** (The „nation" as an element in Anthropology). ყოველ პირველ-ყოფილ ხალხს უფლება აქვს შეადგინოს სახელმწიფო, შემოიზომოს ტერრიტორია, და ამ სახელმწიფოს საშუალებით აღასრულოს თავისი ისტორიული მისსიაო, — ამბობს ნისი სხვებთან ერთად. ეროვნული პრობლემა ერთი ერისაგან შემდგარ სახელმწიფოს უფრო მაღლა აყენებს, ვიდრე მრავალ ერისაგან შემდგარ სახელმწიფოს. ამ პრობლემის მიხედვით ერი უნდა იყოს საერთაშორისო სამართლის საგანი და სახელმწიფოს ადგილი უნდა დაიჭიროსო.

როლენ ქაკმენმა დააყენა შემდეგი პრობლემა: საჭიროა ვიცოდეთ, განსახილველია თუ არა ერი, როგორც უფლებათა და ვალდებულებათა მქონე იურიდიული არსი, ისე, როგორც ინდივიდი და სახელმწიფოო. (Les principes philosophiques du droit International).

ძველად თვით საზოგადოებაში არ იყო ეროვნული მოძრაობა ისეთი ძლიერი, როგორც მეცხრამეტე საუკუნეში, რადგანაც ერთა შინაგანი კოჰეზია ისეთი მტიცდრო არ იყო მაშინ, როგორც შემდეგ.

უკვე საფრანგეთის რევოლუციას სრულიად თანამედროვე ეროვნული ხასიათი დაეტყო. საფრანგეთის აზრმაც წამოაყენა პრინციპი ერთა უფლებისა, თავისუფლებისა და თანასწორობისა, მით უმეტეს რომ მთელი ევროპის ერთა რეაქციონური ძალა საფრანგეთის ერს ემუქრებოდა. რევოლუციამ განაცხადა, რომ „კაცობრიობა წარმოადგენს ერთს დიდს საზოგადოებას, რომლის მიზანიც უნდა იყოს მშვიდობიანობა და ბედნიერება მისი ყველა წევრისა". „ამ დიდ საზოგადოებაში, განაგრძობდნენ რევოლუციონერები, **ხალხებნი** (ე. ი. ერებს, B.) (კურს. ჩვენ.) და სახელმწიფოებს აქვსთ თანასწორნი ბუნებრივნი უფლებანი და იმავე სამართალს ექვემდებარებიან, როგორსაც ინდივიდები, **მაშასადამე არც ერთს ხალხს არა აქვს უფლება შეეხიოს სხვის საკუთრებასა და წაართვას თავისუფლებაო".** (კურს. ჩვ.).

პოლ ლეზერი ამბობს (Introduction à un cours de droit International): „საზოგადოებრივ ჯგუფებს ჰქონდათ უფლება თავიანთ ბედის განხორციელება ისეთ პოლიტიკურ წყობილებაში ენახათ, რომელნიც განირჩეოდა იმ საზოგადოებრივ ორგანიზმებისაგან, რომელთანაც ისინი შეკავშირებულნი იყვნენ. მათ ჰქონდათ უფლება შეერთებოდნენ ან იმ სახელმწიფოს, რომლისადმი ბუნებრივ სიმპატიასა ჰგრძნობდნენ, ან როდესაც ასეთს სახელმწიფოს ვერა პოუ-

ლობდნენ თანახმად თავიანთ მისწრაფებისა, **განთავისუფლებულიყვნენ და თავისთვის შეექმნათ საკუთარი პოლიტიკური ორგანიზმი**". (კურს. ჩვ.).

ნისის სიტყვით, ვენის კონგრესსზედ გამარჯვებულმა რეაქციამ პირდაპირ ფეხით გასთელა ერის უფლება, უარ-ჰყო ერთა მისწრაფებანი, პირველად თანამედროვე ხანაში პირდაპირ დაურიგეს გამარჯვებულთ 33 მილიონი ხალხი. ამან ისეთი ძლიერი ეროვნული იდეა დაჰბადაო, მოჰყავს ნისს ლაველეს სიტყვები, რომელიც სიძლიერით მე-XVI საუკუნის რელიგიურ აღფრთოვანებას უდრიდაო. ამან გაანთავისუფლა საბერძნეთი, სერბია, რუმინია. ბოლგარია, შეაერთა გერმანია და იტალია, აამხედრა ავსტრიისა და ოსმალეთის ხალხები, დაჰბადა პანგერმანიზმი და პანსლავიზმიო.

პირველი მეცნიერი, რომელმაც მეცნიერულად განიხილა ეროვნული უფლების პრობლემა, უკვე ხსენებული იტალიელი მანჩინია, რომელიც ნეაპოლიდან განაძევეს და რომელიც სარდინიის მთავრობამ ტურინის უნივერსიტეტის კათედრაზედ მიიწვია 1850 წელს სამართლის მასწავლებლად. ეს ისეთი დრო იყო, როცა იტალიას მახვილი ჰქონდა აღებული, თავგანწირულად იბრძოდა, მთელი ევროპა კი ამხედრებული იყო მეტტერნიხის პრინციპის წინააღმდეგ — რაც სახელმწიფოებს აქვსთ, იგი ხელ-უხლებელია და სიტყვა „იტალიას" არავითარი პოლიტიკური აზრი არა აქვსო. პროგრესსისტი აზრითა და მოყვარე თავის დიადი სამშობლოსი, რომელსაც შეიძლება ყველაზედ მეტი უფლებაც ჰქონდა საკუთარ სახელმწიფოს დაარსებისა და ეროვნული თავისუფლებისა, მანჩინი გამოესარჩლა საზოგადოდ ერის უფლებასა და აღიარა იგი მიუხედავად იმისა, რომ რომელიმე ერს შეიძლება არა ჰქონოდა სახელმწიფო; მისი აზრით სწორედ ისეთ ერს, რომელსაც არა ჰქონდა სახელმწიფო და სხვა სთელავდა მის მიწა-წყალსა, უფლება ჰქონდა სახელმწიფოს დაარსებისა, რომ ეს უფლება დაცულ ყოფილიყო. მისთვის საერთაშორისო სამართალი უნივერსალური სამართალი იყო, ერის იდეა იყო ელემენტარული, სახელმწიფოს იდეა კი მისგან უბრალო წარმომდგარი იდეა. ამიტომაც ერი უნდა ყოფილიყო საგანი საერთაშორისო სამართლისა და არა სახელმწიფო.

ამ მიზნით იკვლევდა იგი თეორიულად ერის არსებასა. ტერრიტორია, რასა, ენა, ზნე-ჩვეულება, სჯული, ისტორია — აი რა ჰქმნიდა ერის სხეულსა, რომელსაც ასულდგმულებდა შეგნება საკუთარი ეროვნებისა, **ეროვნული თვითშეგნება**, — გრძნობა, რომელიც ერს შიგნით აწესრიგებს და გარედ ამოქმედებს, როგორც ერთს მთელს პიროვნებასა. საჭიროა ეს ზნეობრივი ერთობა, საერთო აზრი, უმაღლესი იდეა ეროვნებისა. ერი მისთვის არის ამგვარად: „ადამიანთა ბუნებრივი საზოგადოება, რომელთაც აქვსთ ერთობა ტერრიტორიისა, შთამომავლობისა, ზნე ჩვეულებათა, ენისა, თანახმად მათი საერთო ცხოვრებისა და საზოგადოებრივ შეგნებისა". მისთვის დაცვა და განვითარება ერისა არ იყო მხოლოდ უფლება, არამედ იურიდიული მოვალეობა. იგი პირდაპირ ამბობს: **„არსებობს მხოლოდ ერთი საგანი, ერთი პირი საერთაშორისო სამართლისა, — ერი"**-ო (კურს. ჩვ.). **„რაციონალური საზღვარი ყოველი ერის უფლებისა არის სხვა ერები; გარანტია საერთაშორისო სამართლისა ყოველი ერის დამოუკიდებლობის პატივისცემაში და აღიარებაშია"**-ო. მისთვის უმაღლესი მიზანია ჯანბატისტა ვიკოს **„ერთა კაცობრიობის შექმნა"** *) (კურს. ჩვ.). **(Professore Pasquale Stanislao Mancini: Della nazionalitá come fondamento del dritto delleagenti ect).**

---

* E. Nys. Le droit International, p. 343 et seq.

ბლუნჩლი თითქმის ეთანხმება მანჩინის ერის განსაზღვრაში, მაგრამ რაც ერია მანჩინისათვის, ის ბლუნჩლისათვის ხალხია. ხოლო ერი მას უსახელმწიფოდ ვერ წარმოუდგენია. მაგრამ განა საქმე სიტყვაა. მაშინ, როდესაც მანჩინისათვის ერის დაცვა და განვითარება **არა თუ უფლებაა, არამედ მოვალეობაც კი უნივერსალურ სამართლისა**, ბლუნჩლი ამბობს: **„არა არს ერი უსახელმწიფოდო“**. „ერი გვიჩვენებს, რასაკვირველია, — ამბობს ბლუნჩლი, — სულიერ ერთობასა, ხასიათისა, ენისა და ზნე-ჩვეულებათა ერთობასა, **როდესაც იგი ერთობით დამყარებულია ერთ ხალხზედ**, (ყურს. ჩვ.). მაგრამ იმ ერს, რომელიც შესდგება სხვა და სხვა ხალხისაგან, ან ხალხთა ნაფლეთებისაგან, ნაკლები ერთობა აქვს, ვიდრე თვით ხალხსა. ერს ყველაზედ უფრო ახასიათებს სრული ერთობა სამართლისა, მონაწილეობა მმართველობაში, ნიჭი თავის ერთიანობის, ნების გამოხატვისა და მისი საქმედ ქცევისა, ის ორგანოები წეს-წყობილებისა, რომელიც მას აქვს, ერთი სიტყვით საზოგადოებრივი და იურიდიული პიროვნება“ (Théorie générale de L'Etat). აქ ცხადია, რომ ბლუნჩლი ერსა და სახელმწიფოს ერთმანეთში აღრევს. მისთვის ერი და სახელმწიფო ერთი და იგივეა, ხოლო ხალხი ის არის, რაც ჩვენთვის ერი. მაგრამ უბედურება ეს კი არ არის, უბედურება ის არის, რომ მას არა სწამს პირველის უფლება, არამედ მეორესი. რაღაი ერთხელ ოდესმე სხვადასხვა ხალხები (ერები) ერთი სამართლის ქვეშ შოქცეულან, ამიტომ მათ ერი (სახელმწიფო) შეუდგენიათ, ე. ი. იურიდიული პიროვნება, და არ არის საგანი საერთაშორისო სამართლისა გარეშე ასეთის პიროვნებისაო. ის კი აეიწყდება პატივცემულ ავტორს, რომ არსად არა ხდება, რომ ერთი სახელმწიფოს ხალხები თანასწორად იღებდნენ მონაწილეობას მართვა-გამგეობაში, თანასწორად იჩენდნენ ნებასა და საქმედ აქცევდნენ მას. ისიც ავიწყდება, რომ სხვა ერის იურიდიული ნორმებით დაჭერილი „ხალხი“ თვით არის პიროვნება რომელსაც უფლება აქვს ახდილი „ერის“ მიერ, და ამ პიროვნებას უნდა მოიპოვოს იურიდიული პიროვნებაც. რომ სწორ-უფლებიანი წევრი გახდეს საზოგადოებათა საზოგადოებისა. ამიტომაც არის, რომ „ხალხები“ არასოდეს არ კმაყოფილდებიან „ერის“ ნაწილად ყოფასა და „ერობას“ სცდილობენ, — ამაში გამოიხატება მათი ნების გამოჩენაცა და საქმედ ქცევაც უპირველეს ყოვლისა.

ყოველ შემთხვევაში ბლუნჩლი არსებულ სახელმწიფოებს აღიარებს საერთაშორისო სამართლის საგნად. საერთაშორისო სამართალიც მისთვის მომქმედი სამართალია, რომელიც მარტო სახელმწიფოთა, **უკვე ხუვერენ** სახელმწიფოთა შორის განწყობილებათ აწესრიგებს, და არა მანჩინის იდეალური, უნივერსალური სამართალი, რომელმაც **მოვალეობად** უნდა გაიხადოს ერთა (ხალხთა) დაცვა და განვითარება, ამ ბუნებრივ სოციალურ ორგანიზმთა საერთაშორისო სამართლის სფეროში შეყვანა თანასწორობის პრინციპის სახელითა. ბლუნჩლი პირდაპირ ამბობს: „ჩვენც (მანჩინისთან ერთად) აღვიარებთ ერებს, როგორც რასიულად და კულტურულად ისტორიულ საზოგადოებათა, რომელთაც უნდა განაცხოველონ სახელმწიფონი ეროვნული სულითა, და ჩვენ ვიცით, რომ თანამედროვე სახელმწიფოთა არსება უპირველეს ყოვლისა ეროვნულია; მაგრამ სანამ ერები ხალხებად არ იქცევიან და **სანამ ხალხელმწიფოს ხასით კანონიერ სხეულებად არ გარდაიქმნებიან, იხინი ვერ წარმოადგენენ იურიდიულ ძალასა.** მათ აკლიათ ერთობა ნებისა და ის ორგანოები, რომელთაც **ნება უნდა გამოიჩინონ. ეს ორგანოები კი მხოლოდ სახელმწიფოშია.** საერთაშორისო სამართალი რომ ეროვნების ელასტიურ საფუძველზედ იყოს ნამდვილად დამკვიდრებული, და არა სახელმწიფოს მაგარ საფუძველზედ, იგი ყოვე-

ლიევ ძალას დაჰკარგავდა: მას ადარც აღიარებდნენ და ადარც პატივსა სცემდნენ" (Le droit International codifié). აქ უკვე უკეღმა ესმის ბლუნჩლის „ერი" და „ხალხი", ვიდრე ზემოდ. — აქ პირდაპირ არის აღიარებული — ძალა აძლევს ერს უფლებას საერთაშორისო სამართლის სფეროში შესვლისას, და არა თვით სამართალი იღებს საზოგადოდ ერს თავის სფეროშიო. აქ პირდაპირ ძალაზეა დამყარებული საერთაშორისო სამართალი, და . არა საერთაშორისო სამართალია შემზღუდველი ძალისა, რომელიც შეიძლება უსამართლობას სჩადიოდეს. და რამდენს სჩადის ხახელმწიფოთა ძალა ასეთს უსამართლობას! ამას თვით ბლუნჩლიცა გრძნობს და ერთ ადგილას ამბობს — ჩვენ ვაღვიარებთ სახელმწიფოთა საქმეებში ჩარევის საჭიროებას, საერთაშორისო სამართლის სახელით, როდესაც ადამიანის უფლებაა შელახული რომელიმე ეროვნების სახითაო!.. ერთგან კიდევ ბლუნჩლი პირდაპირ ეთანხმება მანჩინის, — იდეალური საერთაშორისო სამართალი ერთა კაცობრიობის მომწესრიგებელი უნდა იყოსო. — ყოველ შემთხვევაში ბლუნჩლის საერთაშორისო სამართალი დიამეტრალულად წინააღმდეგია მანჩინის სამართლისა იმ მხრით, რომ პირველი იხილავს მომქმედ სამართალსა, მეორე კი იდეალურსა. ამ მხრით როგორ მაღლა სდგას მანჩინი ბლუნჩლიზედ, თუ გინდ იმითიც, რომ მისი სამართალი იდეალურია, ერთის მხრით უახლოვდება ნამდვილ სამართალს, საზოგადოების შიგნით რომ მოქმედობს და რომ სცდილობს თან-და-თან გამოჰყოს და თითქმის ერთმანეთს დაუპირდაპიროს ძალა და სამართალი, დამცველი სუსტთა, დამცველი თავისუფლებისა ძალის წინააღმდეგ. ბლუნჩლის სამართალი კი თანამედროვეა, მომქმედი, რომელიც მხოლოდ ძალიდან გამომდინარეობს. ეს არც საკვირველია. უბრალო სამართალი უხსოვართ დროთაგან არსებულ საზოგადოებათა მიერ შექმნილია, საერთაშორისო კი შედარებით გუშინდელი, და როგორც ინდივიდი უფრო ზნეობრივია მთელ საზოგადოებაზედ, ისე ცალკე საზოგადოების სამართალი უფრო სამართლიანია საზოგადოებათა საზოგადოების სამართალზედ. — აღიღე მახვილი, განთავისუფლდი, დააარსე სახელმწიფო, — სამართალიც მაშინ შენს მხარეზე იქმნებაო, გვეუბნება ბლუნჩლი ჩაგრულ ერთ. მაგრამ სანამ ამას თვითოეული ერი თავის ძალით არ განახორციელებს, მანამ სამართლისაგან დაცვას ნუ მოელით. რომ გაგწყვიტონ მაინც, ჩვენ უფლება არა გვაქვს შეეესიოთ სხვა სახელმწიფოს შინაგან საქმეებში, რადგანაც ეს მისი უფლების შელახვა იქმნებაო; თუმცა ოდნავ, ხან და ხან, სუსტ სახელმწიფოთა ვერაგობის დროს, ამოვიღებთ ხმას „ადამიანის უფლების" დასაცველად, ისიც მაშინ, როცა დიდ სახელმწიფოებს რაიმე სახრავი ეგულებათ ამ სხვის სახელმწიფოშიო!.. — რა იქმნებოდა, რომ უბრალო სამართალი ამასავე გვეუბნებოდეს! — თვით საზოგადოება შეუძლებელი იქმნებოდა, ისე აირეოდა ყოველივე; ეს იქმნებოდა მკლავაძეთა საზოგადოება, პირველყოფილი, ველური, კიდევ უარესი, — რადგანაც იქაც არ აღიარებს ჩვეულებითი სამართალი ასეთ პრინციპებსა.

მანჩინის გარდა სხვაც ბევრი იყო რომ აღიარა ერის უფლებანი მსგავსად ადამიანის უფლებისა უზენაესი სამართლის სახელითა. დარღვევა ამ უფლებათა უფლებას აძლევს ერებს აჯანყებისას და წინააღმდეგობისასო. მაგრამ ეს ხომ საერთაშორისო სამართალი არ არის, და აჯანყებისა და წინააღმდეგობის უფლება რა უფლებაა, თუ იგი გამარჯვებით არ დაგვირგვინდა. დამარცხებისას ხომ ბატონს უფლება აქვს მთელი ერის ძირიან ფესვიანად ამოგდებისა, და საერთაშორისო სამართალიც უკანონებს მას ამ უფლებას.

ერის უფლებათა თეორიამ ბლუნჩლის წინადაც და შემდეგაც დააფრთხო იურისტები და სახელმწიფო კაცები. საკანონმდებლო კრების 14 მარტის 1867 წლის სეანსზედ ტიერმა ეს თეორია ევროპის დამღუპველად გამოაცხადა და სთქვა: „თუ ეროვნების დოქტრინა რასმეს ნიშნავს, მხოლოდ შემდეგს: საჭირო იქმნება, რომ მთელი ევროპა, ან უმეტესი ნაწილი ევროპისა შესდგებოდეს ამიერიდან ერთი რასისაგან, ერთისა და იმავე ენით მოლაპარაკეთაგან... ასეთ პირობებში არც ერთს სახელმწიფოს არ ექმნებოდა უფლება არსებობისა“.

შვეინფურტი ამბობს: „გეოგრაფიულის თვალთ-საზრისით, ადამიანი თავის იდეებითა და ენებით, თავის მიდრეკილებით და ზნე-ჩვეულებით არის მხოლოდ „აკცესსუარი“ დედამიწისა; იგი ბუნების შემოქმედებითმა ძალამ განაცხოველა და განასულიერა, როგორც მცენარე, რომელიც მიწამ აღმოაცენა... იდეა ეროვნებისა უნდა დაემორჩილოს იდეას გონებისას, გონება კი კაცობრიობის საერთო საუნჯეა“-ო. — პირველი ნაწილი ამ ამოწერილისა, ჩვენი აზრით, სრული სიცრუეა, — ადამიანი დედამიწის ისეთი „აკცესსუარი“ არ არის, როგორიც მცენარე. მეორე ნაწილი კი არაფერ შუაშია — აქ სამართალზედ, უფლებაზეა საგანი და არა იმაზე, თუ რომელი იდეა რომელს უნდა დაემორჩილოს. ამავე ფორმულით რატომ სახელმწიფოც არ უნდა დაემორჩილოს იმავე იდეას გონებისას? — და მერმე რა მნიშვნელობა აქვს ამას საერთაშორისო სამართლისათვის და მის საგანთა გამორკვევისათვის?

რასაკვირველია, მანჩინისა და სხვათა იდეამ პრაქტიკაში ვერ გაიმარჯვა. ბლუნჩლის თეორია მომქმედ სამართლისა არის დღეს განხორციელებული. მაგრამ თვით საკითხი რომ იყო წამოყენებული მეცნიერებაში ერისა და სახელმწიფოს შესახებ საერთაშორისო სამართლის თვალთ-საზრისით, — ესეც დიდი პროგრესსია. დიდი პროგრესსია იმიტომ, რომ დღეს სახელმწიფოებრივ საერთაშორისო სამართლის მხრითაც კაცობრიობა არ არის მოწესრიგებული ჯერ კიდევ სრულიადა და სავსებით და მხოლოდ დიდთა და ძლიერთა სახელმწიფოთა ორგანიზაცია, მათი საერთო-ერთო სამართალი და ვალდებულებანი, მათი ბატონობა მიაჩნიათ მთელი კაცობრიობის ორგანიზაციად. მომავალში კი, როდესაც კაცობრიობის ორგანიზაცია წინ წაიწევს, არა თუ ერის, — უმცირესს სოციალურ ინდივიდთა უფლებაც კი უნდა იყოს აღიარებული. ამისი შთანაჩენი უკვე სჩანს ჯონ კასსონის განცხადებაში 1885 წელს. — ყოველ შემთხვევაში: 1) თვით არსებობა თანამედროვე სახელმწიფოთა-შორისო სამართლისა ძველ დიდთა და პატარა სახელმწიფოთა უწესრიგობისა და უსამართლობის ნაცვლად, 2) აღიარება ამ სახელმწიფოთა თანასწორობისა მიუხედავად იმისა — დიდი იქმნება სახელმწიფო თუ პატარა, სუსტი თუ ძლიერი, — თუმცა კი უფრო თეორიულად, 3) მიღება საერთაშორისო სამართლის მიერ ყველა ერისა, რომელიც თავს გაინთავისუფლებს მჩაგვრელ სახელმწიფოსაგან, თუმცა ეს უფლება ერისა არ გამომდინარეობს თვით მისი არსებობის უფლებისაგან, არამედ მისი ძალისაგან და ძალით ნაშოვნ დამოუკიდებლობისაგან, 4) აღიარება რამოდენიმე მეცნიერისაგან შაინც იმ ჭეშმარიტებისა, რომ ერი და არა **სახელმწიფო** უნდა იყოს ერთად ერთი საგანი საერთაშორისო სამართლისა, ერთად ერთი იურიდიული პიროვნება უნივერსალურ სამართლის წინაშე, — ყოველივე ესე დიდი პროგრესსია ერის უფლების აღიარების მხრით, მიუხედავად იმისა, რომ, როგორც არა ვსთქვით, თანამედროვე საერთაშორისო სამართალი აღსავსეა შინაგანი წინააღმდეგობით, პრაქტიკული უძლურები-

თა და ამიტომაც უმეტეს შემთხვევაში უარ-მყოფელი ხასიათისა, იდეალურ საერთაშორისო სამართლისა.

კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა წინ მეცხრამეტე საუკუნეში ერის უფლებამ. ეს ნაბიჯი სოციალისტური ინტერნაციონალიზმის სფეროში იყო გადადგმული და, საკვირველია, რომ იგი გაცილებით უფრო ბუნდოვანად არის ახსნილი სამართლის თვალთ-საზრისით, ვიდრე მომქმედ სამართლისაგან გადადგმული ესევე ნაბიჯი. შეიძლება თვით ერებსაც მეტი იდეიური წინააღმდეგობა ხედებოდათ სოციალისტურ ინტერნაციონალიზმის მხრით, ვიდრე საერთაშორისო მეცნიერების მხრით. და ვინ იცის, რომ შესაძლებელი ყოფილიყო განხორციელება ასეთის სოციალისტურის ინტერნაციონალიზმისა, იქნებ ერებს მეტი ბრძოლაც დასჭირვებოდათ ამ საშინელი დესპოტიის წინააღმდეგ, ვიდრე მათ დასჭირდათ მთელი საუკუნის განმავლობაში თანამედროვე სახელმწიფოთა წინააღმდეგ!

VI

უპირველეს ყოვლისა სოციალისტ ინტერნაციონალისტთა შეცდომა მით გამოიხატა, რომ სრულიად ყალბად გაიგეს თვით იდეა ინტერნაციონალიზმისა. მათ ესმოდათ ინტერნაციონალიზმი, როგორც კაცობრიობის ერთ დიდ სოციალურ სხეულად გადადუღება. მათი რწმენით კაპიტალიზმი მთელს კაცობრიობას მოედებოდა, მოსპობდა ერთა შორის განსხვავებას, ეკონომიურად ჰომოგენურ მასასად გადააქცევდა მასა და შემდეგ, როცა ეს მსოფლიო კაპიტალიზმი დაილუპებოდა თავის შინაგან წინააღმდეგობის ძალით, მის ნანგრევებზედ აღმოცენდებოდა ახალი მსოფლიო საზოგადოება, სოციალისტური, საკაცობრიო საზოგადოება. ეს იქმნებოდა განხორციელება ინტერნაციონალისა, თანამედროვე ცხოვრებაში კი მომავალი სოციალიზმის მატარებელი კლასსი, პროლეტარიატი, ეროვნებათა განურჩევლად უნდა შეკავშირებულიყო და შეექმნა საერთაშორისო, „ინტერნაციონალური“ მოძრაობა მომავალ ინტერნაციონალის განსახორციელებლად.

ეს აზრი თავიდან ბოლომდის ყალბია, დიდი სოციოლოგიური შეცდომაა, რომელიც კრიტიკას ვერ უძლებს. ამაზედ ჩვენ უკვე ვილაპარაკეთ.

მეორე დიდი შეცდომა ინტერნაციონალისტებისა ის იყო, რომ მათ უმთავრესი შემაკავშირებელი ძალა საზოგადოებაში ეკონომიური ინტერესი ეგონათ. ამაზედაც უკვე გვქონდა მსჯელობა.

მართალია, ინტერნაციონალისტებმა თავიდანვე აღიარეს, რომ თვითოეული პროლეტარიატი უნდა ეცადოს სოციალური რევოლუციის მოხდენას თავის საკუთარ სახელმწიფოში, მართალია, ერის ორგანიულ ცხოვრების ბევრ დარგში, — კანონმდებლობაში და ათას გვარ დაწესებულებაში, — ისინი აქტიურ მონაწილეობის საჭიროებას აღიარებდნენ და კიდეც იღებენ დღეს ასეთს მონაწილეობას, მაგრამ ზემოხსენებული ყალბი იდეები მათ ნებას არ აძლევდა შეემუშავებინათ ნათლად და გარკვევით თეორია ინტერნაციონალიზმისა, განესაზღვრათ ერი, ეღიარებიათ ერის უფლება და ამით თავიანთ მოქმედებაში საშინელ წინააღმდეგობას არ შეჩეხებოდნენ ხოლმე თითქმის ყველა ქვეყანაში, ყველგან, — მჩაგვრელ ერთა ცხოვრებაშიაც და მეტადრე ჩაგრულ ერთა ცხოვრებაში. რამდენჯერმე დამართნიათ ყოვლად გულ-წრფელ სოციალისტ-ინტერნაციონალისტებსაც კი, რომ „ნაციონალისტურად“ მოუნათლავთ სრულიად კანონიერი მისწრაფება ერის **უფლების მოპოვებისადმი**, თვითონ კი ამით ნამ-

დვილ შოვინისტებად გამოსულან, რადგანაც დაუცავსთ ინტერესი დიდი ერისა და ამით დიდ ერთა „ნაციონალისტებად“ გამხდარან ძალა-უნებურად! ასე მოხდება ხოლმე ყოველთვის, როცა არ არის კარგად განსაზღვრული არც ის ცნება, რომლისთვისაც იბრძვი და არც ის, რომელსაც ებრძვი. ინტერნაციონალისტებს კი არასოდეს არ განუსაზღვრავსთ არც ერი, არც უფლება ერისა და არც მომავალი საერთაშორისო სამართალი ისე, როგორც ეს საერთაშორისო სამართლის მეცნიერებმა შეასრულეს სახელმწიფოს შესახებ.

მხოლოდ შემდეგ მიაქციეს ამ საგანს ყურადღება და ახლა რამოდენიმე უკიდურეს ინტერნაციონალისტთა გარდა, ჰერვეს მსგავს სოციალისტთა გარდა, თითქმის ყველა დამოუკიდებელი მოაზრე სოციალისტი აღიარებს ერის უფლებას; რაც შეეხება პარტიებს, ჯერ იგინი შორს არიან ნამდვილი მეცნიერული ანგარიში გაუწიონ ამ საკითხს. აქა-იქ თუ შეგხვდებათ ლიტერატურაში ორიოდე გამოკვლევა „ეროვნული საკითხის“ შესახებ, როგორც მაგალითად შპრინგერის და ოტტო ბაუერის, მაგრამ იქაც ძველი შიში „შოვინიზმისა“ და „ნაციონალიზმისა“ თავს დასტრიალებს მკვლევარს, იქაც ვერ არის სწორად სამართლით განსაზღვრული ყველა ის ცნება, რომელიც შეეხება ერსა, საერთაშორისოსა და სამართალსა.

ადვილი გასაგებია ამიტომ, თუ რად იყვნენ ხოლმე თვით დიდ ინტერნაციონალისტთა მოქმედებანი და ნალაპარაკევი ალსავსენი წინააღმდეგობითა და ორპოფობითა.

1847 წელს ენგელსი და მარქსი ლონდონში იყვნენ და დაესწრნენ იმ მიტინგს, რომელზედაც ლაპარაკობდნენ პოლონეთის შესახებ. იგონებდნენ პოლონეთის 1830 წლის რევოლუციას. თვით მარქსი, ენგელსი და ყველა ქვეყნის სოციალისტები ამ მიტინგზედ ერთმანეთს სოლიდარობას უცხადებდნენ და ყველა აღიარებდა პოლონეთის თავისუფლებას. მარქსის აზრით პოლონეთი ინგლისის დემოკრატიამ უნდა გაანთავისუფლოს, როდესაც ჩარტისტთა გამარჯვება იქმნება გამარჯვება მთელი ქვეყნის დემოკრატიისა და ამით პოლონეთიც თავისუფალი გახდებაო. ენგელსის აზრით პოლონეთის განთავისუფლებაში მთელი გერმანიის ხალხიც დაინტერესებულია, ამასვე ამბობდა მთელი მაშინდელი „ინტერნაციონალი“, რომელიც არ არსებობდა ამ სახელით, მაგრამ რომელიც უკვე ფაქტიურად იბადებოდა. (K. Marx et F. Engels: Le Manifeste Communiste, traduction par Charles Andler, Appendice).

ეხლა მოიგონეთ, რამდენი დავა და კამათი გამოუვლიათ გერმანიის, ავსტრიის და რუსეთის სოციალდემოკრატებს არა თუ პოლონეთის თავისუფლების შესახებ, არამედ პოლონეთის ავტონომიის შესახებაც. აქ ჩვენ ყველა ამ დავას ლიტერატურაში თუ კონგრესსებზედ ვერ ჩამოვთვლით, ამას მთელი ცალკე წიგნი დასჭირდებოდა. მხოლოდ ფაქტია, რომ **არც ერთი სოციალისტური პარტია არ აღიარებს დღეს პოლონეთის თავისუფლებას, მაშასადამე პოლონეთის ერის სრულ უფლებას.** თვით ავტონომიაც კი ბევრის მიერ ორპოფადა და იეზუიტურად არის აღიარებული. ყოველი მისი ეროვნული მოძრაობა, ყოველი ეროვნული სულის კვეთება, ლაპარაკი და სხვ. ბურჟუაზიულად ინათლება სოციალისტთა მიერ და ის კი არ იციან, რომ ამით ხელს უწყობენ გერმანიისა და რუსეთის კაცი-ჭამია ნაციონალისტებსა და იმპერიალისტებს. სად არის აქ აღიარება ერის უფლებისა ისე, როგორც ეს შეეთხოვება ნამდვილ **ინტერნაციონალისტებს?!**

მოიგონეთ ბაკუნინის მოქმედება სლავიანთა განთავისუფლებისათვის 1848 წელს, და მარქსის აღელვება ამავე სლავიანთა წინააღმდეგ 1848—1849

წლებში, მისი დაცინვა, მისი მათდამი ზიზღი, არა თუ მათი უფლების აღიარება. მოიგონეთ ბაკუნინის გალაშქრება მაძინის წინააღმდეგ, როცა მაზინი იტალიის თავისუფლებისათვის იბრძოდა, აგრეთვე იმავე მარქსის დამსასიათება ებრაელებისა, რომელთა ეროვნება მარქსისათვის მხოლოდ ეკონომიური ეგოიზმია და სხვა არაფერი. მაგრამ იგივე მარქსი აღიარებდა პოლონეთის თავისუფლებას და ბაკუნინი სლავიანებისას!... ანტისემიტიზმი, სლავიანოფილობა, სლავიანოფობობა, — არც ერთის ამისაგან არ იყვნენ უცოდველნი დიდი ინტერნაციონალისტები.

მაგრამ დრონი იცვალნენ. ეროვნულმა იდეამ მათ შორისაც ნახა ნიადაგი. სინამდვილემ და მართალმა სამართალმა თავისი გაიტანა. სოციალისტთა შორისაც ასტყდა დავა ერის უფლების შესახებ, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც ეროვნებანი უფრო ჩაგრულნი იყვნენ — ავსტრიაში, რუსეთში, გერმანიაში.

1897 წელს ავსტრიის სოციალ-დემოკრატიის მეექვსე კონგრესზედ ადლერმა პირდაპირ განაცხადა: „უკანასკნელ წლებში მუშებმა ძლიერ შეიცვალეს აზრი ინტერნაციონალიზმის შესახებ. მესამოცე წლებში ინტერნაციონალიზმი ნიშნავდა ეროვნების უარყოფას, — **თითქოს ადამიანს შეუძლია უარყოს თავისი ისტორია, თავისი ეროვნული ინდივიდუალობა, თითქოს შესაძლებელი იყოს კაცობრიობის განყენებულ ცნებაში ჩაფვლა! ეს იყო მხოლოდ ძველი ბურჟუაზიული ჰუმანიზმი და კოსმოპოლიტიზმი** (კურსივი ჩვენია). ახლა ავსტრიაში საკითხი ასეა დაყენებული: როგორ შეიძლება შეერთებული თანამშრომლობა და ბრძოლა, რომ **ერთმა ერმა მეორე არ დასჩაგროს?**“ (კურს. ჩვენია). ეს პრობლემა სოციალდემოკრატიამ უნდა გადასწყვიტოსო, ამბობს ადლერი. „როდესაც ჩვენმა ამხანაგმა დაშინსკიმ პარლამენტში დაიძახა, — „მე პოლონელი ვარ და სოციალ-დემოკრატიცო“, ყველას გაუკვირდაო“! — რა იყო აქ გასაკვირალი?!

1896 წელს „Arbeiter Zeitung“-ში პირდაპირ იყო აღიარებული ერი როგორც ბუნებრივი ფაქტი და ს.-დ—ები ანიჭებდნენ მას უფლებას თავისუფალი განვითარებისას. — მაგრამ ეს, რასაკვირველია, არ არის კიდევ ერის უფლების განსაზღვრა და აღიარება.

ავსტრიის სოციალ-დემოკრატმა პერნერსტორფერმა პირდაპირ განაცხადა, — მე გერმანელი ნაციონალისტი ვარ. მაგრამ სხვა ერთა უფლებასაც აღვიარებო, ჩვენი გზა ნაციონალიზმიდან მხეცობისაკენ კი არ მიდის, არამედ მხეცობიდან ნაციონალიზმისაკენო.

1894 წელს ნორვეგიელმა მუშებმა თავის პოლიტიკურ პროგრამმაში ნორვეგიის დამოუკიდებლობა შეიტანეს.

ფლამანდელმა დეპუტატმა დესვარტმა 1898 წელს მოითხოვა ფლამანდურისა და ფრანგულ ენათა სწორ-უფლებიანობა.

ჰამბურგის კონგრესზედ 1897 წელს ფვანკუხი სოციალისტ-ინტერნაციონალისტი კი არა, ნამდვილი გერმანელი შოვინისტი აღმოჩნდა: მან განაცხადა, რომ იგი ვერ იცნობს ვერავითარ პოლონელ ამხანაგებს გერმანიის სოციალ-დემოკრატიაში. ლიბკნეხტმა „შეასწორა“ მისი განცხადება; ალბად ფვანკუხის განცხადებას მისი აზრითაც არავითარი „საერთაშორისო“ არა ჰქონდა რა.

ბებელმა ენერგიულად აღიარა დანელების ენის თავისუფლება ჩრდილოეთ შლეზვიგში.

კაუცკი, რომელიც წინად ეროვნულ იდეას აღიარებდა წმინდა ბურჟუაზიულად, რომლისთვისაც ერი მხოლოდ ეკონომიური განვითარების ნაყოფი იყო, უკვე ოავის სტატიებში ავსტრიელ ერთა შესახებ (1897) აღიარებს ავსტრიის ერთა არა ოდენ ადმინისტრატიულს, არამედ ეროვნულ ავტონომიასაც. წინად კი იგი პატარა ერებს გაჭრობასაც კი უწინასწარმეტყველებდა. (Масарик, философския и социологическия основы Марксизма).

ძლიერ შორს წაგვიყვანდა ყველა ასეთი ფაქტების ჩამოთვლა. საშინელი იყო იდეიური რყევა ეროვნების შესახებ სოციალისტთა შორის ზემოხსენებულ მიზეზთა გამო. მათი მთელი ყურადღება მიქცეული იყო სოციალურ ცხოვრების შინაგან გარდაქმნაზედ, განსაკუთრებით ეკონომიურ ცხოვრების გარდაქმნაზედ, და ამიტომაც სოციალისტებმა თვით მეცნიერებაშიაც ვერა შეიტანეს რა ერის, რასისა და ენის წარმოშობისა და განვითარების შესახებ. ვერ შეიგნეს და ვერ დააფასეს ეროვნული იდეა. ეს უკანასკნელი საკითხები უფრო კარგად გამოიკვლიეს სწორედ იმ ნაციონალისტებმა, რომელთაც სოციალისტები ბურჟუებად ნათლავდნენ, როგორც მაგალითად ჩეხებმა გავლიჩეკმა და პალაცკიმ, შემდეგ მასარიკმა და სხვებმა. ამ მხრით რუსეთის სოციალისტებისთანა ყოვლად უვიცნი და აზრით საპყარნი მთელს დედამიწის ზურგზედ არავინ მოიპოვება. რუსის სოციალ-დემოკრატების ეროვნული პროგრამმაც კი კრიტიკას ვერ უძლებს, არამც თუ მეცნიერულად არ უკვლევიათ არც საგანი ერისა, არც მისი იდეა, არც მისი უფლება, — არც საზოგადოდ და არც კერძოდ რუსეთში. რუსეთის ს. დ. პარტიის ეროვნული პროგრამმა ისეთ კაცთაგან არის შედგენილი, რომელთაც არაფერი გაეგებათ რა რუსეთის არც ერთის უცხო ერისა, და რა გასაკვირველია, რომ თავიანთ კონგრესსებზედ რუსის სოციალ-დემოკრატებსა და სხვებსაც ისეთი რამეები ელაპარაკნათ და ეწერათ, რაიცა სერიოზულ ადამიანს სიცილსა და თანაც ბრაზს მოჰგვრის. — თუმცა კი რუსეთის ერთა მიერ თავიანთ უფლებებზედ ყვირილმა ცოტათი მოსდრიკა ს.-დ.—ების გული და მცირე ნაბიჯი გადაადგმევინა ერის უფლების აღიარებისაკენ.

ყოველ შემთხვევაში, მესამოცე წლებთან შედარებით სოციალისტურმა ინტერნაციონალიზმმა დიდი ნაბიჯი გადასდგა ერის უფლების აღიარების მხრით. თუ წინად მარქსი ჩეხებს ლანძღავდა და მომაკვდავ ხალხად ჰრაცხდა, ეხლა კაუცკი მათ კულტურულ ხალხად აღიარებს და ადმინისტრატიულს და ეროვნულ ავტონომიას ანიჭებს. ერთობ ავსტრიის სოციალ-დემოკრატია აღიარებს ეროვნულ უფლებათა. მან იბრძოლა და იბრძვის კიდეც მათ მოსაპოვებლად. კროპოტკინი თითქმის პირდაპირ აღიარებს ერის უფლებასა და ამბობს: „ეროვნული საკითხი შეიძლება დასავლეთ ევროპის მუშებს სისულელედ მოეჩვენოს, რადგანაც არ იციან უცხოელის ბატონობის სუსხი. არ იციან რა არის დევნა ეროვნულ ზნე-ჩვეულებათა, არ განიცდიან ბატონის ამაყობას, მისი ეროვნული ხასიათის განსხვავებას, მის ზიზღს დაპყრობილთადმი. მაგრამ მათთვის, ვინც განიცადა ეს მონობა, **ეროვნული დამოუკიდებლობა ყველა სხვა საკითხზე წინა ადგას** (კურს. ჩვენ.). გლეხი უერთდება მებატონეს საერთო სიძულვილში, ავიწყდება რა, რომ მისი თანამემამულე ისეთივე სასტიკი იქმნება ბატონობის დროს, როგორც უცხოელი. მას სძაგს უცხოელი, რადგანაც მისი ყოველისფერი ეზიზღება, მისი ლაპარაკი, მისი მიხვრა-მოხვრა, მისი მოპყრობა დაპყრობილთადმი. დაპყრობილ ერში პროგრესსი, წინმსვლელობა თვით შთანაჩენში ისპობა. უყურეთ სერბიას: იქ არ იყო სოციალური საკითხი, სანამ ოსმალო ბატონობდა. ოსმალოს განძევების შემდეგ კი სოციალუ-

რი საკითხი მუისვე აღმოცენდა. ელაპარაკეთ სოციალიზმზედ ირლანდიელს, მაშინვე გიპასუხებსთ: „ჯერ ინგლისელი გავაგდოთთ“. **იგი სცდება, რასაკვირველია სცდება, მაგრამ ეროვნული ხიბლეული უბნელებს გონებას** (კურსიები ჩვენია). ამასთანავე ისტორია მეცხრამეტე საუკუნისა ერთი ვრცელი მოწამეობაა პატრიოტებისა, უცხოთა ხელიდან განთავისუფლებისათვის განცდილი. ჩვენ დღეს აღტაცებაში მოეყავართ რუსეთის ახალგაზრდობას, მის თავგანწირულებას განცვიფრებით ეუყურებთ, ვგლოვთ მის ტანჯვათა, მაგრამ ვიცოდეთ, რომ მათი ტანჯვა არაფერია იმ ტანჯვასთან შედარებით, რომელიც განიცადეს საიდუმლო საზოგადოებებმა „ახალგაზრდა უნგრეთისა“, „ახალგაზრდა პოლონეთისა“, „ახალგაზრდა იტალიისა“ განსაკუთრებით, — სადაც ბურჟუა და მუშა ერთად მოქმედებდნენ, ერთი იდეით გატაცებულნი, სამშობლოს განსათავისუფლებლად“ (Un siècle d'attente). — მაგრამ არა, ათასჯერ არა! **ირლანდიელი არა სცდება!** ეს კროპოტკინმაც კარგად იცის, მაგრამ რა უნდა უყოს იმ ყალბ იდეას ინტერნაციონალიზმისას, რომელსაც ასე მისჩვეევია ევროპის სოციალიზმი! მაგრამ თვით კროპოტკინმაც დიდი ნაბიჯი გადასდგა ამ სტრიქონთა დაწერის შემდეგ. ამ ორი წლის წინად, როცა ჰერვე გაიძახოდა — სულ ერთია საფრანგეთში რესპუბლიკანურ ფრანგული მთავრობა იქმნება თუ მონარხიულ გერმანულია, — კროპოტკინმა განაცხადა, — სამოცდა ორი წელი მაწევს ზურგზედ, მაგრამ თოფს ავიღებ და საფრანგეთის რესპუბლიკას დავიცავ უცხო მტრისაგანო! ამისათვის მას ყალბი ინტერნაციონალისტები აუყაყანდნენ, მაგრამ კროპოტკინი ერთობ გულ-წრფელი, გონიერი და ნამდვილი ინტერნაციონალისტია, რომ მისთვის დაეკლოთ რამე ჰერვესთანა მყვირალა ინტერნაციონალისტებს. დღეს არსად აღარ ბატონობს ისეთი იდეა ინტერნაციონალიზმისა, როგორც მესამოცე წლებში იყო, შეიძლება გარდა რუსეთისა. დღეს საერთაშორისო სოციალისტურ კონგრესსებზედ სწორ-უფლებიანობით არის მოსილი ყოველი ერის პარტიის წარმომადგენელი, თუ კი რომელიმე ერის მუშათა კლასს ეროვნული თავმოყვარეობა აქვს და საკუთარ სოციალისტურ პარტიას შეადგენს, და არ მიეტმასნება დამმონებელ ერის პარტიას, როგორც ეს ქართველებმა ჩაიდინეს. დღეს სოციალისტთა მიერ ვრცელი მეცნიერული გამოკვლევები იწერება ერისა და მის უფლებათა შესახებ. — როგორც მაგალითად შპრინგერისა (Национальная проблема) და ოტტო ბაუერისა (Национальный вопрос и Социал-демократия)

მაგრამ არც ერთს სოციალისტურ პარტიას, არც ერთს მკვლევარს არ დაუხახავს ეროვნული იდეის განვითარება, როგორც სახელმწიფო იდეის წინააღმდეგო განვითარება, — ერის სუვერენიტეტი, როგორც სამაგიერო სახელმწიფოს სუვერენიტეტისა და მომავალში კანონიერად მისი ადგილის დამჭერი. მხოლოდ ამ თვალთ-საზრისით კი შეიძლება აღიარება ერის უფლებისა, — ნამდვილი აღიარება და არა პლატონიური და ორპოფი. მხოლოდ ამ თვალთ-საზრისით შეიძლება აგრეთვე აღიარება ერთა შორის თანასწორობისა, განურჩევლად დიდთა და პატარა ერთა, როგორც საერთაშორისო სამართალმა აღიარა თანასწორობა სახელმწიფოთა, დიდთა და პატარათა განურჩევლად. სოციალისტებმა ვერ შექმნეს სწავლა ინტერნაციონალიზმისა სრულიად, და მხოლოდ სახელი აქვსთ ინტერნაციონალისტებისა. და ან კი როგორ შეეძლოთ ამ სწავლის შექმნა, როცა ინტერნაციონალიზმი გულისხმობს ერსა, ამ უკანასკნელის არსება და უფლება, ერის სუვერენიტეტზედ და თანასწორობაზედ დამყარებული საერთაშორისო სამართალი კი მათი კვლევის სერიოზულ და

უპირველეს საგნად არასოდეს არ ყოფილა. მარტო „სოლიდარობაზედ“ ლაპარაკი, მთელი ქვეყნის პროლეტართა შეერთებისათვის მოწოდება და კაპიტალიზმის საქვეყნოდ გადაქცევის აღნიშვნა კი სრულიადაც არ მოასწავებს „ინტერნაციონალიზმის“ სწავლა-მოძღვრების შექმნას. ამ მხრით თანამედროვე სახელმწიფოთაშორისო სამართლის მეცნიერება მიუწდომლად მაღლა სდგას სოციალისტთა საერთაშორისო სწავლა-მოძღვრებაზედ. მიუხედავად ამისა, განვიმეორებთ, სოციალისტებმაც წარსდგეს წინ დიდი ნაბიჯი. თუ წინად კანტი-კუნტად იკვლევდნენ მეცნიერები ერსა და მის უფლების, აქცევდნენ რა ყურადღებას საზოგადოებრივ აზრსა და თვით ერთა განთავისუფლების ფაქტს, დღეს სოციალისტებიც იძულებულნი არიან მშრალი „კოსმოპოლიტიზმით აღარ გამოულაყონ თავი აღარც დიდ ერთა პროლეტარებს და განსაკუთრებით აღარც ჩაგრულ ერთა მშრომელ კლასებს, იძულებულნი არიან ანგარიში გაუწიონ ერთა მოძრაობას, საზოგადოებრივ აზრს. და სერიოზულად იკვლიონ ერი, მისი არსება და მისი უფლება, ურომლისოდაც შეუძლებელია შექმნა ინტერნაციონალიზმის სწავლა-მოძღვრებისა. ახლო მომავალში სოციალისტები, ჩვენის ფიქრით, კიდეე უფრო იქმნებიან იძულებულნი მთლად ერთიანად გადასინჯონ „ეროვნული“ და „საერთაშორისო“ თეორიები.

VII

სხვათა შორის, ორ უბრალო მოვლენას ვამჩნევთ, როდესაც განვიხილავთ საზოგადოებათა და მათი ურთი-ერთ-შორის დამოკიდებულებათა ისტორიას. ერთია მისწრაფება თავის დაცვისადმი ყოველი სოციალური ჯგუფისა, მეორეა განვითარება საზოგადოებათა შორის განწყობილებათა მოწესრიგებისა. როგორც ყოველი ცოცხალი ინდივიდი მიისწრაფის თავის დაცვისადმი, ისე ყოველი საზოგადოებრივი ჯგუფი. პირველის ისტორია არის — ისტორია მისი არსებობისათვის ბრძოლისა — მეორეს ისტორია არის — მისი საზოგადოებრივი და პოლიტიკური ისტორია. აგრეთვე როგორც ინდივიდთა შორის თანდათან იზრდება საზოგადოებრივობა, წესრიგდებიან განწყობილებანი და ამ ნიადაგზედ იზრდებიან რთულნი მოვლენანი სოციალურ ცხოვრებისა, საზოგადოებათა შორისაც საერთაშორისო სამართლის დღიდან დასაბამისა იზრდება საზოგადოებრივობა, წესრიგდება მრავალი განწყობილება მათ შორის, ჩნდება რთული და ფართო საერთაშორისო ცხოვრება.

ერი და სახელმწიფო უდიდესნი არიან ყველა სოციალურ ჯგუფთა შორის. სახელმწიფოთა თავის დაცვისათვის ბრძოლამ დაჰბადა უფლება მისი ხელ-უხლებლობისა. საერთაშორისო სამართლისა და ზნეობის განვითარებამ — იდეა სახელმწიფოთა თანასწორობისა.

მაგრამ, როგორც არა ვსთქვით, ხშირად სახელმწიფო ერთა წინააღმდეგია და მათი უფლების უარ-მყოფელი, რადგანაც ერთ სახელმწიფოში შეიძლება რამდენიმე ერი იჩაგრებოდეს. ამიტომაც ერები, როგორც სახელმწიფოსაგან განსხვავებული სოციალური ინდივიდები, სწორედ მჩაგვრელ სახელმწიფოთა წინააღმდეგ იბრძოდნენ და საკუთარ სახელმწიფოებს იარსებდნენ. საერთაშორისო სამართალი და ზნეობა მათაც აღიარებდა სწორუფლებიან სახელმწიფოებად, — და ეს იყო დიდი ნაბიჯი საზოგადოებათა-საზოგადოების უმაღლესი ზნეობის განვითარებისაკენ.

ფაქტმა ერთა ბრძოლისამ დაჰბადა საერთაშორისო სამართლის მეცნიერებაში თეორია ერისა, რომელიც არა თუ ივივე არ არის, რაიცა სახელმწიფო,

არამედ ხშირად წინააღმდეგი ცნებაცა. უდიდეს მეცნიერებს ჰქონდათ კამათი — რომელი უნდა ყოფილიყო საგანი საერთაშორისო სამართლისა. — ერი თუ სახელმწიფო. რასაკვირველია ჯერ-ჯერობით უმეტესი ნაწილი სახელმწიფოს მომხრეა, მაგრამ პრინციპი ერის ინდივიდუალობისა, მისი უფლებისა და დაცვის აუცილებლობისა მაინც არსებობს და ბევრისაგან ერის აღიარებული.

საზოგადოების მოწინავე ელემენტები ყოველთვის აღიარებდნენ ხოლმე ერის უფლებას განთავისუფლებისას და განცალკევებისას, ტაშს უკრავდნენ აჯანყებულ ერებს. მეცნიერებაც იძულებული იყო ერის თეორიული საკითხი დაეყენებინა.

ეხლა კი ისეთი დრო დგება, როცა პირდაპირ უნდა აღიაროს საზოგადოებრივმა აზრმა **ერის უფლება მხოლოდ და მარტო მისი ინდივიდუალური არსებობის მიხედვითაც**, როგორც აღიარებულია უფლება ადამიანისა. ეხლა საერთაშორისო სამართალი **თეორიულად** მაინც უნდა მიუახლოვდეს უბრალო სამართალსა. თუ მან აღიარა **თეორიულად** თანასწორობა სახელმწიფოთა, მან შემდეგ, საზოგადოებრივ აზრის გალამქრების ზედგაელენით, თეორიულადვე, ზნეობრივადვე მაინც უნდა აღიაროს ერთა თანასწორობა. მართალია, ეს დიდი წინააღმდეგობა იქმნება სახელმწიფოთა, მაგრამ წინად დიდ მონარქიათა წინააღმდეგი არ იყო პრინციპი ლიხტენშტეინისა და რუსეთის თანასწორობისა, მაგრამ მაინც აღიარა საერთაშორისო სამართალმა? წინად განა ძლიერთა ამა ქვეყნისათა წინააღმდეგი არ იყო თანასწორობა გლეხისა და ფეოდალისა, მაგრამ მაინც აღიარა დემოკრატიულმა სამართალმა. მათი თანასწორობა კანონის წინაშე? — მეცნიერება უნდა მიჰყვეს საზოგადოებრივ აზრს, თვითონაც უნდა იქონიოს გავლენა მაზედ, რომ ერის ინდივიდუალობა, არსებობა, უფლება და თანასწორობა აღიაროს უმაღლესი საერთაშორისო ზნეობისა და სამართლის სახელით. რაც შეეხება სახელმწიფოების პრეტენზიებს, მათი კბილის მომჭრელი უპირველეს ყოვლისა თვით ერთა თავის დაცვა, ბრძოლა და თავისუფლების მოპოვებაა. ნუ დაავიწყდებათ სახელმწიფოთა პრინციპის მატარებელ ინტერნაციონალისტებს, ვინც უნდა იყვნენ იგინი, — მიმდევარნი მომჭმედ საერთაშორისო სამართლისა თუ სოციალიზმის სხვა-და-სხვა სკოლის წარმომადგენელნი, — რომ თვით თანამედროვე სახელმწიფონი ბლუნჩლის სიტყვითვე ეროვნული სულის მატარებელნი არიან, რომ იქ **ერთი ერი** ბატონობს, ერთ ერს აქვს თავის ხელში სახელმწიფო მექანიზმი და ბოროტად ხმარობს მას სხვა ერთა დასაჩაგრავად, და რომ ამ ჩაგრულ ერებსაც აქვსთ ისეთივე **უფლება სახელმწიფოს შედგენისა.**

დღეს სახელმწიფო — ფორმაა ერის ორგანიზაციისა, იგი ამასთანავე მისი იარაღია შინაგან და გარეგან საჭირო სოციალურ ფუნქციათა აღსასრულებლად, და თუ ერთ ერს აქვს უფლება ასეთი იარაღით სარგებლობისა, მეორესაც აქვს, — ყველას აქვს თანასწორად, — მიუხედავად იმისა, დიდი იქმნება ერი თუ პატარა, მდიდარი თუ ღარიბი, თეთრი კანისა თუ შავი კანისა, აზიელი თუ ევროპიელი.

ერი სოციალური ინდივიდია, მაშასადამე, მას უნდა ჰქონდეს ყველა უფლება და ვალდებულება, რომელიც კი მას შეეფერება უმაღლესი საერთაშორისო პრინციპის ძალითა. თუ ის უფლებანი და ვალდებულებანი თანასწორობისა და თავისუფლების ნიადაგზედ არ იქმნებიან დამყარებულნი, ინტერნაციონალიზმი ფუჭი სიტყვაა, უაზრო, ტყუილი და განუხორციელებელი.

უფლება არსებობისა და ხელ-უხლებლობისა, თანასწორობა სრული და სამართლიანი, უფლება რომელიმე ფორმის სახელმწიფოს დაარსებისა, უფლება საზოგადოებათა საზოგადოების წინაშე სამართლის პოვნისა და თანასწორი, სამართლიანი ვალდებულება მის წინაშე, — აი ერის უფლება.

ვინც ამას უარ-ჰყოფს, — იგი ინტერნაციონალისტი არ არის, იგი ნებით თუ უნებლიეთ სახელმწიფოთა-შორისო სამართლის თაყვანისმცემელია, ხელის შემწყობი უსამართლობისა და შოვინისტი დიდ სახელმწიფოთა, უარ-მყოფელი საერთაშორისო სამართლისა. ის ადამიანები კი, რომელნიც ამ პრინციპებით დაიცავენ ერის უფლებას, ნამდვილ ინტერნაციონალიზმს ემსახურებიან. ღვაწლი მათი დიდი იქმნება მომავალ საერთაშორისო ძმობის განმტკიცებისათვის. საჭიროა მთელს მოაზრე საზოგადოებაში მოეფინოს მტკიცე და ნათელი აზრი ერის ზნეობრივ არსებობისა და ხელ-უხლებელ უფლებათა შესახებ, როგორც საფრანგეთის რევოლუციამ მოჰფინა მთელს კაცობრიობას აზრი ადამიანისა და მოქალაქის უფლებისა, და მაშინ დიადი აზრიც დიად ნაყოფს გამოიღებს. საკვირველია, „ინტერნაციონალის" ერთი უდიდეს მისსიათაგანი ეს იყო სწორედ, თვით მისი სახელწოდებიდან ლოლიკურად გამომდინარეობს დიადი აზრი ერის უფლებისა, და მან კი ამ მხრით ვერავითარი ნაყოფი ვერ მოიტანა. პირიქით, — სულ არია ცნებანი ერისა და საერთაშორისო სოლიდარობისა, რაღაც მკვდარი, უტოპიური კოსმოპოლიტიზმი ან უკიდურესი შოვინიზმი შექმნა ინტერნაციონალიზმის მაგივრად და ისე შეისისხლხორცა მრავლის უმრავლესმა სოციალისტმა ერთიცა და მეორეცა, რომ ძნელია ეხლა მათი მორჯულება და მტკიცე და ნამდვილ ინტერნაციონალიზმის ნიადაგზედ დაყენება. დიახ, სწორედ ეს ორი სრულიად ურთი-ერთის მოწინააღმდეგე ცნება გამოვიდა „ინტერნაციონალის" ინტერნაციონალიზმიდან (სხვა დიდ და მართალ იდეათა შორის, რასაკვირველია), — კოსმოპოლიტიზმი და შოვინიზმი, და ეს ნათლად ამტკიცებს, რომ წინადაც სათავეში ნათელი წარმოდგენა სრულიად არ ჰქონიათ „საერთაშორისოზედ".

შეიძლება გვითხრან, — როგორ, თქვენ ერის უპირველეს უფლებად აღიარებთ სახელმწიფო ორგანიზაციის მოწყობას, მაშასადამე ყველა ერი სუვერენი უნდა იყოსო? — დიახ, **იდეალურ საერთაშორისო სამართლის თვალთ-საზრისით ყველა ერს აქვს უფლება სუვერენობისა. თუ თანასწორობა საფუძველია სამართლისა და საერთაშორისო სოლიდარობისა,** — ყველას სუვერენობა! — ამას გვეუბნება უმაღლესი ზნეობა და სამართალი საზოგადოებათა საზოგადოებისა, როგორც სამართალი და ზნეობა უბრალო სამართლისა გვეუბნება ინდივიდის თანასწორობასა და სუვერენობას უბრალო საზოგადოებაში. — რაც შეეხება კონკრეტულ ერებს, თანამედროვე სახელმწიფოებში არსებულთ, არავინ არ ამბობს — აიღეთ და ყველას დაურიგეთ სუვერენობაო. სუვერენობა მხოლოდ იდეალია, იგი აღიარებული უნდა იყოს სამართლისაგან და ზნეობისაგან, მოწინავე აზრისაგან, და როდესაც ერი მიისწრაფის ამ იდეალისადმი, — სამართალმა მას დახმარება უნდა გაუწიოს, მოწინავე აზრმა ტაში უნდა დაუკრას, სოციალიზმმა უნდა გაიხაროს, რომ ერთი ნაბიჯი კიდევ წარვსდგით წინ ინტერნაციონალისაკენ. დღეს კი წინააღმდეგს ვხედავთ: ნახევრად ველური საერთაშორისო სამართალი, მოუმწიფებელი საერთაშორისო ზნეობა და ნახევრად ბარბაროსული სოციალიზმი ამაზედ ხშირად ლაპარაკსაც გვიშლიან. — თორემ, მართლაც, კონკრეტულად რამდენია ისეთი ერი, ისეთი ხალხი, რო-

მელთა სუვერენობა შეუძლებელია, თუ გინდ იმიტომაც რომ ტერრიტორია არა აქვსთ. გარდა ამისა, თანამედროვე სახელმწიფოთა ფორმა მარტო სუვერენული არ არის. არიან სახელმწიფონი სუვერენნი. სახელმწიფონი ვასსალნი, სახელმწიფონი პროტექტორატის ქვეშე მყოფნი. თანამედროვე მომქმედი საერთაშორისო სამართალი აწესრიგებს ყველა მათ უფლებათა და ვალდებულებათა. აგრეთვე თანამედროვე დიდი სახელმწიფოები თითქმის ერთ პატარა საერთაშორისო საზოგადოებას წარმოადგენენ და იქ ავტონომიები და მფლობელობანი ან სარგებლობენ განსაკუთრებული უფლებებით, ან შეუძლიანთ რომ ისარგებლონ, მსგავსად დამოუკიდებელ სახელმწიფოთა, საზოგადოებრივობის ბეჭეს სფეროში. და რომ მართალი სამართალი მართლაც სადმე იყოს, არა თუ ტერრიტორიის მქონე ერთა, არამედ გაბნეულ ერთა უფლებათა სრული დაცვაც კი შეიძლებოდა. — მაგრამ, განვიმეორებთ, იდეალი ერის უფლებისა საზოგადოდ არის მისი სუვერენობა და შემდეგ მის სურვილზედ და მისი თანაასწორის სურვილზედაც არის დამოკიდებული იმ საერთაშორისო კავშირის განმტკიცება, რომელიც მათთვის ხელსაყრელი ან აუცილებელი იქმნება.

საერთოდ, ცოტაა სერიოზული არგუმენტი ერის უფლების წინააღმდეგ. ვერავითარი უმაღლესი მოსაზრებით ვერ დასთრგუნავ ამ უფლებასა, თუ არ ძალითა, მაგრამ იდეა მისი რჩება, და მას ვერარა ხძლევს. სუსტია და უაზრო მის წინააღმდეგ უტოპიური იდეალი კოსმოპოლიტიზმისა. სუსტი და უძლურია აგრეთვე იდეა სახელმწიფოსი, თუმცა ძლიერი იარაღი მის წინააღმდეგ. — ერი ინდივიდია, და მაშასადამე ვერც მისი სიპატარავის მიხედვით წაართმევენ მას უფლებასა, რადგანაც ინდივიდი ერთისა და იგივე უფლების მქონეა, დიდი თუ პატარა. არც ის არის სამართალი, — კაცობრიობის სახელით პატარა ერებს რომ ზიზღით იხსენიებენ, — კაცობრიობის წინაშე რა მიგიძღვისთო. ჯერ ერთი კაცობრიობა არ არსებობს, ერებს რომ ასაჩუქრებდეს და სჯიდეს ღვაწლთა და ცოდვათა მიხედვით, როგორც პატრიარქი თავის შვილებს. პირიქით, იგი ერთაგან შესდგება, ანუ, უკეთ ვსთქვათ, მომავალში უნდა შესდგეს. მეორე — პატარა ერებს მიუძღვისთ დიადი ღვაწლი ამ „პატრიარქის“ წინაშეც. ელლადა პატარა იყო, აღმოსავლეთის დესპოტიები კი დიდი — და რომლის ღვაწლი უფრო დიდია? იაპონია პატარაა და ჩინეთი დიდი, რომლის ღვაწლი უფრო დიდია ეხლა? რუსეთი დიდია, იტალია კი მასთან შედარებით პატარაა? — რომლის ღვაწლი უფრო დიდი ყოფილა და არის? — ჩვენ ამითი ის არ გვინდა ვსთქვათ, რომ პატარა ხჯობია დიდსაო, მაგრამ ისიც ტყუილია, თითქოს სიდიდით რამე განიზომებოდეს. ვიქტორ ჰიუგოს სიტყვები მართალია, — ერის ღირსება ისე არ განიზომება სიდიდით, როგორც ადამიანისა მისი სიმაღლითაო. მართლაც. მაშინ ყველა აყლაყუდა ხომ დიდი ვინმე იქმნებოდა! — მაგრამ — კიდევ ვიტყვით — განა ეს არის უფლების განმსაზღვრელი? განა პატარა კაცს საზოგადოებაში უფლება არა აქვს? თუ აქვს უფლება? — სამართალი იმას კი არ დასდევს — გენიოსია, ტალანტია, თუ სხვა რამ ესე თუ ის კაცი. — სამართალი ყველასათვის ერთნაირად მოქმედებს! — პატარა კაცსაც აქვს ამასთანავე თავისი სიამაყე, თავისი სიხარული, თავისი კმაყოფილება, თავისი სულიერი და გონებრივი ცხოვრება. ხელი არავის აქვს მის სიპატარავესთან, — იგი სცხოვრობს თავისი ინდივიდუალური სიცოცხლით. საზოგადოების სამართალი მას აღიარებს, როგორც ინდივიდს, და არა ზომავს მისი სიცოცხლის სიპატარავესა და სიდიდეს. ხელი არავისა აქვს არც მის სიკვდილთან, მალე მოკვდება იგი თუ გვიან. სამართალს არ შეეხება მისი სიცოცხლის ხანგრძლი-

ვობა. მსგავსადვე ვის რა საქმე აქვს — პატარაა ერი, ღარიბია იგი გადაგვარების გზაზედ დამდგარი. მომაკვდავი თუ სხვა რამ. იგი სოციალური ინდივიდია, — საერთაშორისო სამართალმა მისი სიცოცხლე, მისი არსებობა, მისი თავისუფლება უნდა დაიცვას. თუ სამართალი იდეალურია, — კიდეევაც უნდა იზრუნოს მის ხანგრძლივობაზედ, — ჩვენ კი სწორედ მის სისუსტესა და ნაკლს გვიყენებენ არგუმენტებად მის უფლებათა წინააღმდეგ!

ერი ათასგვარ და რთულ ისტორიულ პროცესსისაგან შობილა, გაზრდილა საუკუნოებით. ვინ იცის რამდენი ვაივაგლახი გამოუვლია, სანამ შეიმუშავებდა ორიგინალურ სოციალურ ცხოვრებას, გახდებოდა თვითშემგნებ სოციალურ ინდივიდად — მასაც აქვს თავისი სიხარული და სულის კვეთება, თავისი იდეალები, თავისი მიზნები, მასაც აქვს იმედი ხანგრძლივი ცხოვრებისა და იბრძვის ამ ხანგრძლივ ცხოვრებისათვის, — და თუ იგი მეორეზედ ნაკლებია, უღარიბესი, უფრო სუსტი და დაავადებული, ეს არავის უფლებას არ აძლევს გამორიცხოს იგი სამართლის სფეროდან და პრინციპიალურადაც კი უარ-ჰყოს მისი არსებობის უფლება რაღაც კაცობრიობის სახელითა და მის საკეთილდღეოდ.

დიახ, როგორც საზოგადოებაში არსებობს დღეს უსრული სამართალი და მთელი სოციალური მოძრაობა იქითკენ არის მიმართული, რომ ეს უსრული სამართალი სრულ-ჰყოს, ათასჯერ მეტად თანამედროვე სამართალი საზოგადოებათა საზოგადოებისა უსრულია და ჩვენც მის სრულ-საყოფელად მეტი ბრძოლაც გვმართებს. — თუ დღეს უბრალო საზოგადოებაში ადამიანის უფლების დათრგუნვა აღელვებს ჩვენს სინიდისსა, ათასჯერ მეტად უნდა აგვაღელვოს ერის უფლების დარღვევამ, რომელიც მილიონ ხალხისაგან შესდგება. თუ დღეს ინდივიდის სუვერენიტეტი და თანასწორობა გაგვიხდია იდეალად, მსგავსადვე ერის სუვერენიტეტი და თანასწორობა უნდა იყოს საზოგადოებათა საზოგადოების ზნეობისა და სამართლის იდეალი. მხოლოდ შეუგნებელნი და სამართლის ფილისტერები, რომელნიც არ აღმაღლებულან საერთაშორისო ზნეობისა და სამართლის იდეამდე, უარ-ჰყოფენ ამასა და ბევრნი არიან ასეთნი როგორც სოციალისტ ისე „ბურჟუაზიულ“ მოაზრეთა შორისაც!

„ერი ჩვენთვის სულია, სულიერი ოჯახი, სულიერი პრინციპი, იგი ისტორიული ინდივიდუალობააო“, სთქვა რენანმა. — მაშ თუ სულია, სულიერი ოჯახი, სულიერი პრინციპი, ისტორიული ინდივიდუალობა, როგორც ამბობდა ეს კეთილშობილი ფილოსოფოსი, — ასეთს ოჯახს, ასეთს სულსა, ასეთს ინდივიდუალობას უფლება არა სჭირდება, — უფლება უზენაესი, რომელიც სუვერენობით უნდა გამოიხატოს, ან უნდა მიისწრაფოდეს სუვერენობისადმი? და რაღაი ამ აუცილებელსა და სამართლიან პრინციპს აღვიარებთ, რასაკვირველია ყოველი მისი უარმყოფელი, ყოველი დამრღვეველი საერთაშორისო პირობათა და მომატყუებელი ერთა, ან ყოველი განმამართლებელი ასეთ მოტყუებათა დასაგმობი არ უნდა იყოს ჩვენ მიერ აღიარებულ უზენაეს საერთაშორისო ზნეობისა და სამართლის თვალთახედვით? —

„ქმნა მართლისა სამართლისა ხესა შეიქმნს ხმელსა ნედლადო“, სთქვა ქართველმა გენიოსმა, და მართლაც ყოველი აღდგენა უფლებისა დაჩაგრულ ერის მიერ მართალი სამართლის ქმნა არ არის, განმანადლებელი გამხმარ ეროვნულ ორგანიზმისა?... ვინც უარმყოფელია ყოველივე ამისა, იგი მართალი სამართლის პატივის მცემელი არ არის, არამედ მართლაც ნამდვილი პირველყოფილი ზნეობის მქონე.

თავი მეთერთმეტე

ერის ღირსება და უპირატესობა.

ერის უფლებათა აღიარება, როგორც უკვე ვსთქვით, არ უნდა იყოს დამყარებული არაფერზედ, გარდა სამართლისა.

ღირსება, სიდიდე, სიმდიდრე და სხვა — სამართლის თვალში ერთს ერს არ უნდა აძლევდეს უპირატესობას მეორეს წინაშე.

ერთად-ერთი მართალი სამართალი უნდა იყოს დამცველი და აღმსარებელი ერის სიცოცხლისა, უფლებისა, პიროვნებისა და ღირსებისაც.

თვით ღირსების, უპირატესობის გამოკვლევა ბევრ შემთხვევაში ძნელია. ერი, როგორც კერძო ადამიანი, ვითარებათა კრებულია. ვითარებათა შედარება კი არ შეიძლება ისე, როგორც უბრალო რაოდენობით სიდიდეთა. როდესაც მაგალითად საგნის სიგრძესა, სივრცესა ან სიმძიმეს ვზომავთ, — უტყუარი რაოდენობითი საზომი გვიჭირავს და არა ვსცდებით. როდესაც ამავე საგანთა ღირსებაზედ, ან სარგებლიანობაზედ ვმსჯელობთ, შეუძლებელია ორი საგნის შედარება, — თუ სპეციალური თვალთახედვით, სპეციალური მიზნის მიხედვით არ განვიხილეთ იგინი.

ადამიანი რთული ვითარებაა, და ამიტომაც ძნელია პიროვნებათა შედარება, თუ იგინი ღირსებათა სრულ წინააღმდეგობას არ წარმოადგენენ ურთიერთის პირის-პირ. როგორ გინდათ შეადაროთ ერთმანეთს მაგალითად ნაპოლეონი და შექსპირი? მათ ნიჭს არავითარი საერთო საზომი არა აქვს. ცხადია განსაზღვრული თვალთახედვით შეიძლება მხოლოდ მათი შედარება და დაფასება.

ერი კიდევ უფრო რთული კომპლექსია ვითარებათა. ადვილია ინგლისელის უპირატესობის აღნიშვნა რომელიმე ბარბაროს ხალხის წინაშე, თუმცა შეიძლება განსაზღვრული თვალთახედვით ამ უკანასკნელსაც აღმოაჩნდეს ერთი უპირატესობა მაინც დიდებულ ერთან შედარების დროსა. ადვილია იმიტომ, რომ ერთის მხრით ჰხედავთ ყოველ-მხრივ შემოქმედებას, პროგრესს, მეორეს მხრით ბარბაროსობას, სიბეჩავეს, ჩამორჩენილობასა. მაგრამ როგორ გინდათ შეადაროთ ინგლისელი და ფრანგი, ან ფრანგი და გერმანელი, თუ განსაზღვრული თვალთახედვით არ განიხილეთ მათი სიდიადე? რამდენს მისცემდა ინგლისელი გერმანელთა მუსიკაში, ან გერმანელი ფრანგს თავის გენიოსს სარდლებში, წმინდა მეცნიერებში, ხელოვნების ბევრ დარგში? ან იტალია რომ ხელოვნების დიდებული ტაძარი იყო მაშინ, როდესაც რუსეთი ველური იყო, — ეხლა რამდენს მისცემდა უკანასკნელი პირველს კულტურულ ისტორიაში?

დაახლოვებით ერთ განსაზღვრულ კულტურულ სფეროში ერები თანასწორ ინდივიდუალობათ წარმოადგენენ, მაგრამ მით უმძიმესია მათი შედარება. იგინი ბევრ ვითარებათა კრებულნი არიან; ერთს ერთი დარგი აქვს განვითარებული, მეორეს — მეორე. ამ ცალკე ვითარებათ საერთო საზომი არა აქვსთ, — ამიტომაც ერთობ მათ ინდივიდუალობათა ურთი-ერთზედ მაღლა ან დაბლა დაყენება — შეუძლებელია.

ეს ადვილი ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც ურთი-ერთისაგან ძლიერ დაშორებულია კულტურით ორი ხალხი.

იგივე ითქმის მთელს კულტურულ სფეროებზედაც. ძნელია შედარება აზიისა და ევროპის კულტურულ სფეროთა, რადგანაც დიადი კულტურა ორთავეს

შეუქმნია, მაგრამ რაც აზიას უქმნია, ის ევროპას არ განუხორციელებია, და წინააღმდეგ.

ერთი სიტყვით უკიდურესობათა შედარება ადვილია, მაგრამ დაახლოვებით ერთისა და იმავე სირთულის ვითარებათა კომპლექსებისა, — ძნელზედ უძნელესი, — მხოლოდ რომელიმე განსაზღვრული თვალთახედვით და არა ისეთის სისწორით, როგორითაც ვადარებთ ერთმანეთს ორს რაოდენობით სიდიდესა.

ასეთი სიძნელე გვეღობება წინ ერთა შედარების დროსა, რადგანაც ერნი ვითარებანი არიან. ხოლო მათი განზომვა ან მარტო ტერიტორიის სივრცითა და ან მცხოვრებთა რიცხვით, ე. ი. როგორც უბრალო სიდიდეთა, თავის დღეში ვერ აღმოგვაჩენინებს ერთა ნამდვილ ღირებულებასა. მთელი ისტორია ერთა წინააღმდეგია ასეთის განზომვისა. პატარა ათინას შეედრებოდა რომელიმე დიდი დესპოტია ფილოსოფიაში, ხელოვნებაში, მეცნიერებაში? — სამაგიეროდ ასსურელთა სამხედრო გენიოსობას, ან რომისას, საბერძნეთის იგივე ნიჭი შეედრებოდა?

ერი აგრეთვე ხანგრძლივი არსია. შეიძლება მისი ისტორიის რომელიმე ეპოქა ბრწყინვალე იყოს, სხვა ეპოქები კი — ეპოქები დაცემისა. ორი ერის შედარება მარტო განსაზღვრულ მომენტში არ შეიძლება. მაშინ ბევრი ერი სრულიად უსამართლოდ უნდა დაგვეყენებინა შეუფერებელ ხარისხზედ. როგორ შეედრება აღორძინების ხანის იტალიას რომელიმე სხვა ერი, მაგრამ განა შეოცე საუკუნეში იტალია ინგლისზედ დაბლა უნდა დავაყენოთ.

დრო კიდეე ერთ სიძნელეს გვიყენებს წინ, როცა ერთა შედარება გვწადია. არის ერთი დრო, როგორც ამბობს ბერგსონი, — დრო, რომელსაც ჩვენ სივრცეში გავშლით ხოლმე და ეზომავთ სივრცის განზომის ჩვეულებითა და წესითა. მაგრამ არის აგრეთვე დრო კონკრეტული, ნამდვილი, დრო შემოქმედების პროცესსისა, რომელშიაც თვითონ ჩვენნა ვართ, თვით ერია. ამ დროში ეწევა ყოველი ერი თავის შემოქმედებასა. მისი სულიერი გარდაქმნა, მისი პროცესსი თვალსაჩინო ხდება, როდესაც განვლილ მთელს პერიოდს გავშლით ხოლმე სივრცეში, გადავავლებთ გონების თვალსა და განვზომავთ ხოლმე შემონაქმედსა. ამგვარად კონკრეტული დრო ჰქმნის მომავალსა, ამას ჩვენ ვერ ვიღებთ ანგარიშში და არც შეგვიძლია მივიღოთ, რადგანაც თვით ჩვენნა ვართ ამ ნამდვილ დროში, ყოველი ჩვენი წარმოდგენაც მომავლისა უკვე დასრულებული პროცესსის წარმოდგენაა, მაშასადამე წარსულისა, დროის სივრცეში გაშლისა. თვით პროცესსი კი გამოგვრჩება ხოლმე, მას ან უკან ვრჩებით გონებითა, ან წინ ვუსწრებთ და გონებითვე ვამთავრებთ, — შეცდომებით, რასაკვირველია.

ერის სიცოცხლე მარტო გარეშე პირობებისაგან არ არის დამოკიდებული. იგი ამ კონკრეტულ დროში არსებობს და საკუთარ შემოქმედებას ეწევა. ვინ იცის, წარსულში თუ ერთმა აღიმართა დიადი ძეგლი შემოქმედებისა, უპირატესობა მოიხვეჭა, იქნებ მომავალში მეორეს ეწვიოს ეს ბედი.

სამართალი, ეს უზენაესი თვალთახედვა ადამიანთა და საზოგადოებათა, სამართლიანად იცილებს თავიდან იდეალურად მაინც ერთა ვითარებათა შეუძლებელ შედარებას და ღირსება-უღირსობის მინიჭებას. მისთვის ერთის ღირსების უნდა იყოს ყველა ერი, სიცოცხლის ერთისა და იგივე უფლებით მოსილი, და ლაპარაკიც არ შეიძლება უმაღლესი სამართლისა და ზნეობის თვალთახედვით ერთა „ღირსების“ თანახმად მათ უფლებათა აღიარებაზედ და მინიჭებაზედ. რამდენადაც სამართალი ამ დანიშნულებას ვერ ასრულებს, იმ-

დენად, იგი არ არის მართალი სამართალი. მისი საქმე ღირსებისა და ვითარების კვლევა კი არ არის, არამედ მოწესრიგება ადამიანთა და საზოგადოებათა საერთო ცხოვრებისა. რა ღირსებისაც უნდა იყვნენ ეს უკანასკნელნი.

მაგრამ დრო, მომავალი ვინ იცის, რას გვიქადის. იქნებ სულ შეიცვალონ თანამედროვე ერთა ღირსებანიცა და ნაკლნიც. მაგრამ სამართალმა მაინც არასოდეს თავისი თვალთახედვა არ უნდა დაკარგოს და უნდა მიუახლოვდეს იდეალსა. ერთია იდეალური საერთაშორისო სამართლის განვითარება ისე, როგორც ჩვენა გვსურს, სულ სხვაა მომავალი შესაძლებელი ახალი აღრევა და ბრძოლა ხალხთა შორის ადამიანთა სტიქიონის წიაღთა შინა, სამართლის განვითარების თავიდან დაწყება.

ამაზედ შემდეგ თავში ვილაპარაკოთ.

თავი მეთორმეტე

„ფონდი კაცობრიობისა", შესაძლებელი მომავალი

კაცობრიობის განვითარების კონკრეტულ ისტორიას რომ დავუკვირდეთ, ვერა ვნახავთ მის მთლიანსა და ორგანიულ განვითარებას, რადგანაც, როგორც წინადა ვსთქვით, იგი არ წარმოადგენს ეხლაც კი ერთს საზოგადოებასა, არამედ იგი მრავალი საზოგადოების კრებულია, სხვა და სხვა განვითარების საფეხურზედ მდგომთა. კაცობრიობის ერთობა დღესაც კი მხოლოდ ზოოლოგიურია და არა სოციალური.

რასაკვირველია, კიდევ უფრო ნაკლები კავშირი იყო კაცობრიობის ნაწილთა შორის უძველეს დროში, აგრეთვე ისტორიულ დროში, რომელიც ისტორიის დასაბამიდან ჩვენ დრომდე გრძელდება. საუბედუროდ ამ დროისაც მხოლოდ ნაწყვეტები ვიცით. არ ვიცით აგრეთვე სრული ისტორია ყველა ხალხისა, რომელიც გამოდიოდა ქამთა ვითარებაში ისტორიის ასპარეზზედ.

როდესაც საერთოდ გავითვალისწინებთ ხოლმე მთელს ისტორიასა, როდესაც გავითვალისწინებთ და შევადარებთ სხვა და სხვა ისტორიულ ეპოქებს, ერთი ხალხი რომ მეორეს ადგილს იპერდა სივრცის განსაზღვრულ ნაწილზედ, ან ერთი სივრცის ნაკვეთიდან მეორეზედ რომ გადადიოდა ცენტრი ცივილიზაციისა, რომელიმე სხვა ხალხის მიერ გაჩაღებული, — მაშინ ნათლად წარმოგვიდგება ხოლმე ის ცვლილება, რომელსაც განიცდიდა კაცობრიობა ქამთა ვითარებაში. მხოლოდ მაშინ გაიგებთ ხოლმე ნათლად, რომ არც თანამედროვე კაცობრიობის ნაწილები არიან შეჩერებულნი ერთ ადგილზედ საუკუნოდ, არამედ შესაძლებელია მათ მიერ ადგილის შეცვლა, ურთი-ერთისაგან გაცამტვერება, ან მთელ კულტურათა შეცვლა. ერთი რასის ან ერის ბატონობას მთელს ქვეყანაზედ თანა სდევდა მეორეს ბატონობა. დღეს, მაგალითად, ევროპის რასა ბატონობს მთელს ქვეყანაზედ, მაგრამ ამ ბატონობას დასაბამიც ჰქონია და დასასრულიც ექმნება, როგორც ჰქონდა დასაბამი და დასასრული ბაბილონელთა და ასსურელთა ბატონობას, სპარსთა, ბერძენთა, რომაელთა და სხვათა ბატონობას. მართალია ამ უკანასკნელთა „ქვეყანა", მათი გეოგრაფიული გავრცელება და ცოდნა ათასჯერ უმცირესია, ვიდრე თანამედროვე ევროპიელთა ბატონობა და გეოგრაფიული ცოდნა, რომელიც მთელს დედა-მიწის სფეროს მოეკრა, მაგრამ ისიც ჭეშმარიტებაა, რომ ევროპიელთა გარდა ქვეყანაზედ სხვა ხალხებიც არიან, უფრო მრავალ რიცხოვანნი, რომელთაც თუმცა დიდი მონაწილეობა მიუღიათ უძველეს ისტორიაში, მაგრამ ჯერ არც დაღლი-

ლან და არც გადაშენებულან; ისინი ჯერ კიდევ ხელ-მეორედ, საკუთარი არ გამოსულან თანამედროვე ისტორიის ასპარეზზედ, ჯერ არ გაუშლიათ მოქმედებაში თავიანთი პოტენციალური ენერგია. ჩინელები, იაპონელები, ინდოელები და მრავალნი სხვანი — რომელთა რაოდენობა ნახევარ კაცობრიობაზედ მეტს შეადგენს და რომლებმაც უნდა შექმნან მთელი დიადი და გრძელი ხანა კაცობრიობის ახალი ისტორიისა, როცა გამოვლენ საქვეყნო ასპარეზზედ, — აი ეს ხალხნი, ესენი შეადგენენ უმთავრესს „ფონდს კაცობრიობისას". თუ შეგვიძლია ასე ვსთქვათ. ამ ფონდს ემატება აგრეთვე ის ნაწილი კაცობრიობისა, — ზანგები და მალაელები, რომელთაც არასოდეს არ უთამაშნიათ როლი ძველი კაცობრიობის ისტორიაში, მაგრამ რომელნიც შეიძლება იძულებულნი გახდნენ მიიღონ მონაწილეობა მომავალ დიდ მოძრაობაში, რადგანაც მათაც გაეხსნათ გზა პროგრესისა წინამორბედ ცივილიზაციათა მიერ. როცა ეს აურაცხელი ფონდი კაცობრიობისა ამოქმედდება და იწყებს ქვეყნის დაპყრობას, მაშინ დადგება ახალი ხანა საქვეყნო ცივილიზაციისა, და როდესაც ეს ახალი ცივილიზაცია დამკვიდრდება, მაშინდელი მეცნიერებიც შეადარებენ მას წარსულს, ე. ი. ჩვენი დროის ევროპიულ ცივილიზაციას და ნათლად წარმოუდგებათ თვალ-წინ ის დიადი განსხვავება, რომელიც იქმნება ამ ძველს ევროპიულსა და მომავალ თავისებურ ცივილიზაციათა შორის. ამ მომავლის თავისებურობის ნათლად გათვალისწინება ეხლა ისევე არ შეგვიძლია, როგორც რომს არ შეეძლო გაეთვალისწინებინა ჩვენი ცივილიზაცია, რომელიც ამერიკის აღმოჩენიდან დაწყებული უკვე საქვეყნო შეიქმნა.

მომავალ ცვალებადობას — გარეშე, გეოგრაფიული პირობებიც განსაზღვრავს ერთის მხრით. მართალია, ადამიანის გენიოსობა და მოქმედების ნიჭი სცვლის გარეშე ბუნებრივ წრესა და აიძულებს მას თვით შეეგუოს ადამიანსა. მაგრამ ადამიანიც იძულებულია, — თვით ევროპიელიც კი, — შეეგუოს ამ წრესა და ეს უკანასკნელიც თავის ღრმა გავლენას ამჩნევს მასა. მაგალითები ბევრია. ამერიკაში გადასახლებული ევროპიელი, თუმცა იგი განმგრძობია ევროპისა და განსაკუთრებით ინგლისურ ეროვნულ ტიპისა და კულტურისა, მაგრამ მაინც შეიცვალა ამ რამოდენიმე საუკუნის განმავლობაში. პროფესორი კარლ ვეილე ამბობს (L'Univers et L'Humanité, vol III), რომ თანამედროვე იანკი თანდათან ემსგავსება ძველს ამერიკელს, — გრძელი ტანით, სხეულის მოქნილობით, თმისა და კანის ფერითა და სხვითა. **იგი უკვე განირჩევა ევროპიელისაგან.** აგრეთვე ავსტრალიაში, ახალ ზელანდიაში, კაპის კოლონიაში ევროპიელი იცვლება ფიზიკურად და **გონებრივადაც.** მას აღარ შეუძლია ძველი წინააღმდეგობა გაუწიოს გონებრივად და ფიზიკურად გარეშე პირობებსა. ჯერ ეს ცვლილება და განსხვავება ევროპიელისაგან დიდი არ არის, მაგრამ ეამთა ვითარებაში იგი საგრძნობელი იქმნება და აქაური ევროპიელებიც ძველებურად აღარ ემსგავსებიან თავიანთ წინაპართა. — ევროპიელი ამ ქვეყნებში გადაშენების გზაზეაო, ამბობს ვეილე — და განა მარტო ამ ქვეყნებში, — ყველგან, სადაც კი გადასახლდება ვინმე და ახალ პირობებში მოხვდება, ეს პირობები თავის გავლენას იქონიებს ხოლმე მოსულ ელემენტზედ; და თუ უძლიერესი ევროპიელი განიცდის ამ მოვლენის აუცილებლობას დღეს, რაღა უნდა ყოფილიყო წინად, პრეისტორიულ ან შორეულ ისტორიულ ხანებში, როცა ადამიანს უმცირესი საშუალება ჰქონდა გარეშე პირობებთან საბრძოლველად.

მაშასადამე, იმ აუარებელ ფონდსაც რომ თავი დავანებოთ და მარტო ევროპიელ რასას მივაქციოთ ყურადღება, — ეს ევროპიელის ბატონობაც

ქვეყანაზედ არ არის მჯრტო კაცობრიობის გაერთიანების მომასწავებელი. მას მეორე მხარეცა აქვს. ეს არის დიფერენციაცია თვით ევროპიელისა თავის პირველდელ შოდელისაგან, რომელიც სხვა გარემოებაში მოხდა და ამოქმედდა. — სრული ერთობა კაცობრიობისა, ერთი რასა, ერთი ენა და სხვა მაშინ არის შესაძლებელი, როცა ერთი და იგივე პირობები იქმნება ყველგან, თუმცა სიცოცხლე არც ამ კანონს ემორჩილება მათემატიკურის სისწორითა.

როგორც არა ვსთქვით, ზემოხსენებული „ფონდის" უყურადღებოდ დატოვება შეუძლებელია, რადგანაც იგი ნახევარ კაცობრიობაზედ მეტია და უკვე დაიწყო საქვეყნო ასპარეზზედ გამოსვლა მისმა რამოდენიმე ნაწილმა. როდესაც სოციალურის მოქმედებით, ე. ი. ახალ ცივილიზაციათა და ახალ ერთა შექმნით ეს ფონდი ამოიწურება, მაშინ სრულიად შეიცვლება თანამედროვე ეროვნული და საქვეყნო ცივილიზაცია. მაგრამ ამ შემთხვევაშიაც შეუძლებელია ერთი კაცობრიობის არსებობა, როგორც ერთად-ერთის ერისა, ორგანიულ განვითარების ნიჭის მქონისა, რადგანაც ვინ იცის, რამდენი თავისებური მრავალფეროვანება წარმოიშვის ამ აურაცხელ ფონდის სოციალურ მოქმედებისაგან.

ყოვლად შეუძლებელია სისწორით გამოიკვლიოს მეცნიერმა, თუ რამდენი რასა არსებობდა დასაბამიდან. მხოლოდ აპრიორულად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ თავდაპირველად იმდენი რასა არ იქმნებოდა, რამდენიც დღეს არის, როგორც თავდაპირველად არ იქმნებოდა იმდენი სახე ცხოველთა, რამდენიც დღეს არისო. ადამიანთა რიცხვიც თავდაპირველად იმდენი არ იქმნებოდა, რამდენიც დღეს არის. იგი თავიდანვე განაწილებული არ იქმნებოდა ათასგვარ გარემოში, როგორც ესა ხდებოდა ისტორიის ვითარებაში და დღესაც ხდება. აგრეთვე ისეთი რთული იყო პროცესსი რასათა არევ-დარევისა და **მაშასადამე ახალ ტიპთა შექმნისა**, რომ დღეს წმინდა, თავდაპირველ რასას ველარსად შეხვდებით; ყოველი რასა, ყოველი ტომი, ხალხი, ერიც ნარევია, და ისეთი ნარევი, რომ ხან და ხან შეუძლებელიც არის ამ ნარევის ნაწილთა გარკვევა. მაგრამ, კიდევ და კიდევ განვიმეორებთ, ყოველი ასეთი ნარევი — **ახალი ტიპია**, — ახალი ტომი, ხალხი, ერი, რასა, და ამიტომაც რასათა აღრევა სრულიადაც არ ნიშნავს კაცობრიობის გაერთიანებას, არამედ, პირიქით, მის განმრავალფეროვანებას, როგორც ცხოველების სახეთა შერევა არ ნიშნავს ერთი საერთო სახის გაჩენას, არამედ პირიქით, სახეთა ცვალებადობასა.

არ შეგვიძლია დავეთანხმოთ იმ ავტორებს, რომელთაც ჰგონიათ, რომ ხალხთა ტიპები მცირდებიან რიცხვითა. არავითარ მოსაზრებაზედა და ტენდენციაზედ არ არის დამყარებული ეს მათი აზრი. ვეილე ამბობს, — დღეს ისეა არეული ერთმანეთში რასები, თვითოეულ ერში იმდენი სხვა და სხვა სისხლია, რომ ანთროპოლოგებმა არ იციან, რამდენი რასა აღნიშნონო: ზოგი მთელს კაცობრიობას ორ რასადა ჰყოფს, ზოგი სამად, ზოგი თორმეტად და ერთი კიდევ სამოცდა სამ რასას ანგარიშობსო. — ეს ფაქტი ჩვენთვის უფრო იმისი დამამტკიცებელია, რომ რასათა აღრევა ტიპთა რიცხვს უმატებს და არაფერს აკლებს. — ბოლოს და ბოლოს ის რასებიო, ამბობს ვეილე, რომელთაც იციან შეგუება და გავრცელება, თავის განსაკუთრებულ ბეჭედს დაასმენ საერთო რასათა და ეხლანდელ რასათა მრავალ-ფეროვანების ადგილს სხვა რასები დაიჭერენ, ან შეიძლება **ერთმა რასამ** დაიჭიროსო. — სხვა რასები რომ დაიჭერენ, ამაში ეჭვი არ არის, მაგრამ ერთმა რასამ რომ დაიჭიროს, ეს კი შეუძლებელია. თვით ვეილე არ ამბობს, რომ ამერიკაში, ავსტრალიაში და ახალ ზელანდიაში ევროპიელი იცვლებაო, თანდათან ემსგავსება ძველ, ადგილობრივ ტიპ-

საო, გადაშენების გზაზედაც კი ადგიაო? მაშ გარეშე პირობებს დიდი გავლენა ჰქონია რასაზედ, და რადგანაც შეუძლებელია დროთა ვითარებაში მთელს დედა-მიწის ზურგზედ ერთი და იგივე პირობები იყვნენ, — შეუძლებელია ერთი ტიპი რასისა, იმ შემთხვევაშიაც კი, თუ დღეს არსებული გარეშე პირობები დედა-მიწის სხვა და სხვა ადგილას იგივენი იქმნებიან. მაგრამ დედა-მიწის ზედა-პირს, ჰავას, გარეშე პირობებს, თვით კოსმოსს თავისი ისტორია, თავისი ევოლუცია აქვს და დროში მიწის ზედა-პირის გარემონიც ცვალებადნი არიან. ამ ცვალებადობის გავლენითაც შეცვლილა ადამიანთა ტიპები და მომავალში რა გარანტია გვაქვს ან იმისი, რომ გარემოთა ცვალებადობა არ განგრძელდება დედა-მიწაზედ, ან იმისი, რომ ამ ევოლუციის თანახმად ადამიანთა რასები არ შეიცვლება? — ერთი სიტყვით, რა საბუთი გვაქვს მისი, რომ ადამიანის სახე, როგორც Homo Sapiens, არ შეიცვლება თანდათან ჟამთა ვითარებაში და არ გარდიქმნება სრულიად ახალ სახედ, რომელთა ნაწილნი იმავე მრავალფეროვანებას წარმოადგენენ სხვა და სხვა ადგილას, როგორსაც დღეს წარმოადგენს კაცობრიობა სხვა და სხვა კონტინენტებზედ, სხვა და სხვა კუნძულებზედ? — სიცოცხლის ცვალებადობა, ანუ როგორც ბერგსონი ამბობს, შემოქმედებითი ევოლუცია კონკრეტულ დროშია, იგი რთულია და თვითოეული ინდივიდუუმი, თვითოეული სახე გარდიქმნება თავისებურად და განმრავალფეროვანდება, და შეუძლებელია იმის წინასწარმეტყველება რომ ერთი რასა იქმნება კაცისა და არა მრავალი, როგორც შეუძლებელია იმისი წინასწარმეტყველება, რომ ერთი სახე იქმნება ცხოველისა და არა მრავალი, — საუკუნეთა შემდეგ.

ჩემის ფიქრით, არა თუ რასათა თავისებურება, არამედ ერთა თავისებურებაც არ განქრება. ერის გაქრობა უსათუოდ სხვა ერისა, ან სხვა ერთა შექმნას გამოიწვევს, — ახალი რაიმე შეიქმნის ძველის ნაცვლადა. შორეულ წარსულიდან აქამდე რომ სწორი ანგარიში შეიძლებოდეს რასათა, ერთა, სხვა და სხვა თავისებურ სოციალურ ჯგუფთა რაოდენობის გაზრდისა თუ დაკლებისა, — ვეეჭვობ რომ დაკლება აღმოვაჩინოთ. საკვირველიც იქმნებოდა ასეთი მოვლენა, წინააღმდეგი იმ საერთო მოვლენისა, რომ თვითოეული ინდივიდუალობა ვითარდება, იცვლება, მრავლდება, თავის ადგილას მრავალ სხვასა სტოვებს, მრავალფეროვანდება. სიცოცხლის შემოქმედების ერთი უმთავრესი გამოჩენათაგანი სწორედ ეს ზრდაა მრავალფეროვანებისა.

ეს კიდევ რა. ერთ ერში სხვა და სხვა თავისებურების მქონე ნაწილები არა ჰქრებიან, არამედ ვითარდებიან. თუ ჰქრებიან, — მათ ადგილს სხვა რამ ინდუვიდუალობა იქერს. საკოიელი ტიპი არ განქრება, ან თუ განქრა პარიზელთან შერევით, — სხვა რამ ტიპი დაიბადება საკოიის ტერრიტორიაზედ, გასკონისაზედ, პროვანსში, ყველგან. ბრიტანელთა და ანგლო-საქსონელთაგან შემუშავდა ინგლისელი მეათე საუკუნისა, — ახალი ტიპი გერმანელ-კელტური. ინგლისელისა და ფრანგ-ნორმანისაგან — თანამედროვე ინგლისელი და არა ფრანგი, — ახალი ტიპი, ახალი **ეორიგინალური ენითა**; შოტლანდიელი კი ვინ იცის რამდენი ტიპის ნარევია, — ნორვეგიელისა, კელტის ტომის სკოტისა, პიქტისა, და სხვ. საკვირველი მოვლენაა აგრთვეე შენახვა პირველ-ყოფილი ტიპისა თვით უხანგრძლივესს ცვალებადობაში და მრავალ ტიპთა შერევის პროცესსის მიუხედავადაც. მასპეროს გამოკვლევით ძველი ეგვიპტელი ტიპი კიდევ დარჩა თანამედროვე ფელლახთა შორის. რომ ნახოთ სურათი ძველი ეგვიპტელი კაცისა და თანამედროვე ცოცხალ ფელლახთა, — ქალისა და კაცისა, — პირდაპირ გასაკვირველია მათი მსგავსება (Histoire ancienne des

peuples de L'Orient, t. I.). მაგრამ ფელლახი მაინც ახალი ტიპია, ახალი მოვლენა. ელიზე რეკლიუ (L'Homme et la Terre, t. III.) ამბობს, რომ ახალი ბერძნები, რომელთა სისხლშიაც სერბ-სლავიანთა სისხლი მეტია. ვიდრე ელლინთა, თანდათან უახლოვდება ძველ ბერძნის ტიპსა, ძველი ბერძნის ტიპი კიდევ შენახულა ახალ, შერეულ ბერძენთა შორის, თუმცა ახალი ბერძენი — ახალი ტიპია, თანამედროვე ბერძნის ხალხი — ახალი ხალხი, რომელიც ღირსიც არ არის ელლინთა სახელის ხსენებისა.

მაშასადამე, თვით სიცოცხლის კანონები ინდივიდუალობის შენახვისა, შემოქმედებითი ევოლუციისა, დიფერენციაციისა, ასსიმილაციისა და ახალი ტიპის შექმნისა, არ არის წინააღმდეგი მრავალფეროვანებისა, არ არის წარმომშობი ერთფეროვანებისა. მრავალფეროვანება დედამიწის სხვა და სხვა ადგილისა და ამ მრავალფეროვანების გავლენა სიცოცხლეზედ, ეგრეთვე თვით ამ გარემოთა მრავალფეროვანების ცვალებადობა დროთა ვითარებაში, — შეუძლებელ ჰყოფს კაცობრიობის რასიულად გაერთიანებასა, და თუ ზოგიერთი ავტორი წინააღმდეგი აზრისაა, — ეს მათ პირველი შეხედვით ეჩვენებათ. განსაკუთრებით იმ მოვლენას შეჰყავთ შეცდომაში, რომ სოციალურ ცხოვრების გაფართოვება ისტორიულად ფაქტია, ფაქტია განვითარება საყოველთაო წამბაძველობისა სხვა და სხვა ერთა შორის, თითქოს მაჩვენებელი კაცობრიობის ორგანიულ გაერთიანებისა. მაგრამ, როგორცა ვსთქვით, წამბაძველობა ვერა სპობს ინდივიდუალობასა.

თუ განვიხილავთ საერთოდ ეგრედ წოდებულ დიდ რასათა განვითარებას, არა მგონია რომ მონღოლთა, შავ-კანიანთა და თეთრ-კანიანთა ინდივიდუალობა მოსპობილიყოს, — პირიქით მათი ინდივიდუალობა უფრო და უფრო მტკიცდება მიუხედავად იმისა, რომ ზოგნი მათგანნი ბევრჯერ არეულან ერთმანეთში. შემდეგ, არიელ ტომისაგან არა მგონია ერთობა წარმოშობილიყოს, არამედ ისეთი მრავალფეროვანება, რომელიც თვალს გვიჭრელებს. მომავალშიაც, სწორედ იმავე ამერიკაში და აფრიკაში, არიელთაგან შექმნილ სრულიად ახალ მრავალფეროვანებას ვიხილავთ. — აგრეთვე მონღოლთა, სემიელთა და სხვა ტომთა მრავალფეროვანების განვითარება ეჭვს გარეშეა ისტორიის ვითარებაში. აპრიორულად შესაძლებელია, რომ თვითოეულ ამ ტომს ერთ დროს მცირე სიერცე სჭეროდეს და ცალკე სოციალური ერთეული ყოფილიყოს, დღეს კი ამგვარ ერთობასთან შედარებით თვითოეული მათგანი უაღრესი მრავალფეროვანებაა. მომავალშიაც არავითარი საბუთი არ არის, რომ ერთფეროვანებას მიაღწიოს მთელმა ტომმა.

ხანდახან ის მოჰყავთ არგუმენტად, რომ ერთი რომელიმე ერიც მრავალ ნაწილთაგან შესდგება, ერის ერთობა კი მაჩვენებელია ამ მრავალფეროვანებათა გაერთფეროვანებისაო, მაგრამ ის კი ავიწყდებათ, რომ ეს ერი ან ბუნებრივ, მონათესავე მრავალფეროვანებათაგან შესდგება, მათ ერთი სოციალური ორგანიზაცია აერთებს, ეს ერთობა კი ერის ინდივიდუალობის განმტკიცებაა და ამით რასათა საერთო რიცხვს არაფერი აკლდება. ან და, თუ ერი განსხვავებულ, უნათესავო მრავალფეროვანებათაგან შესდგება, და მიუხედავად ამისა მაინც ერობს, სამაგიეროდ ახალი ტიპი გაჩენილა, აგრეთვე უცხო ელემენტები მას საესებით ვერა ჰყლაპავს: იგი ოდნავ მაინც რჩება. ამ შემთხვევაშიაც არა აკლდებარა რასათა რიცხვს. — ხან და ხან ისიც მოჰყავთ ხოლმე არგუმენტად, რომ დღეს ერები ერთდებიან სოლიდარობითა, შეიძლება ევროპამ შეერთებული შტატებიც კი დაარსოსო, მაშასადამე ერთი ერიო, — მაგრამ

თვით ერის განსაზღვრა გვაჩვენებს, რომ ვერავითარი შეერთებული შტატები ვერ მოსპობენ ერსა, როგორც უბრალო საზოგადოების წევრობა ვერა სპობს ადამიანის ინდივიდუალობასა. — თვით მომავალი საერთაშორისო სოციალისტური საზოგადოებაც რომ განხორციელდეს, საეჭვოა, ერთ წერტილზედ შეჩერდეს საუკუნოდ ეს ინტეგრაცია. შესაძლებელია დიფერენციაცია ისევ დაიწყოს და თვითოეულ ერში თვითოეულმა კომუნამაც კი თავისი ინდივიდუალობა განიმტკიცოს და სოციალური მრავალფეროვანება ამით უფრო გაფართოვოს. — სოლიდარობა, ორგანიზაცია, საზოგადოებრივობა, უმაღლესი სოციალური ინტეგრაცია კაცობრიობისა, — ვერა სპობს ვერც ინდივიდუალობას, ვერც მრავალფეროვანებას, ვერც აგრეთვე ერთა რასათა და სხვა ინდივიდუალობათა რიცხვს ამცირებს. — კიდევ ერთი არგუმენტი აქვთ, — ერთა ერთი-ერთის მიერ მოსპობა და უფრო მარჯვე ერთა ცოცხლად დარჩენა არსებობისათვის ბრძოლაში. მაგრამ არსებობისათვის ბრძოლა რომ მარტო ჩახაჩუხი იყოს, რომ ამ საშინელი ბრძოლით ინდივიდუალობათა რიცხვი მცირდებოდეს, აქამდის ცხოველთა სამეფოშიაც სახეთა რიცხვი საშინლად შეზღუდული იქმნებოდა. ნამდვილად არც ასეთი ხასიათის არსებობისათვის ბრძოლაა სინამდვილე, არც სახეთა რიცხვი მცირდება. არც მთელი რასისა და ერის გაქრობა შეიძლება სრულიად. ომებით კი სწორედ რასათა ისეთი არევ-დარევა ხდება, რომელიც ახალ ტიპებსა ჰქმნის, ადიდებს და არ აკლებს ადამიანთა ჯგუფთა მრავალფეროვანებასა. მცირე აზიაში რომ გამუდმებული ომები არა ყოფილიყვნენ უძველეს დროიდან, შეიძლება ეხლა იქ ერთი ერი ყოფილიყო, მაგრამ მცირე აზია ათას ხალხთა ცივილიზაციის ბინა იყო, იქ ათასი რასა და ერი სტოვებდა თავის კვალსა, და დღეს ამიტომაც იმდენი ტიპი რასათა და კულტურათა არსად არ მოიპოვება, როგორც ამ პატარა სივრცეზე.

განვიმეორებთ მრავალფეროვანება კანონია ბუნებისა. ჰერბერტ სპენსერმა ერთფეროვანის შეცვლა მრავალფეროვანად საყოველთაო კანონად აღიარა, თუმცა საეჭვოა, რომ როდისმე არსებულიყო ეს „ერთფეროვანი", — დაწყებული მკვდარ ნივთიერებიდან სიცოცხლემდე, — ყოველისფერი ემორჩილება ამ კანონსა. ორგანიზაცია, ინტეგრაცია — არ არის წინააღმდეგობა მრავალფეროვანებისა.

ჩვენ არ ვიცით ის ერთი რამ, რომლისაგანაც მრავალი წარმოსდგა. არ ვიცით ერთი ქიმიური ელემენტი, რომლისაგანაც უნდა წარმომდგარიყოს ყველა ელემენტი. არ ვიცით ერთად-ერთი ცოცხალი ნივთიერება, რომლისაგანაც უნდა წარმომდგარიყოს ყველა ცოცხალი არსი, არ ვიცით აგრეთვე ერთი უღელი ადამიანთა, რომლისაგანაც უნდა წარმომდგარიყოს ყველა რასა და ხალხი. ბევრი თეორია, ბევრი ჰიპოტეზაა ამ საკითხთა შესახებ, მაგრამ მეცნიერული ჭეშმარიტების ხარისხი არც ერთს არ მოუპოვებია. თეორიები სოკოსავით ამოდიან, ურთი-ერთის წინააღმდეგნი. — პოლიგენისტები და მონოგენისტებიც ერთმანეთს ეცილებიან, — ორივეს ჭეშმარიტებაც ბევრი აქვსთ თავის მხარეზედ, შეცდომანიც, მაგრამ დანამდვილებითი ჭეშმარიტება — არც ერთ მხარეს.

აპრიორულად კი შეგვიძლია წარმოვიდგინოთ ერთი, ან რამოდენიმე რასა, რომლისაგანაც განვითარდა დღევანდელი მრავალფეროვანება კაცობრიობისა, როგორც რამოდენიმე სახე წარმოიდგინა დარვინმა ცოცხალ არსთა, რომელთაგანაც განვითარდა მთელი მრავალფეროვანება სიცოცხლისა. ვეილუ ამბობს: „როდესაც განვიხილავთ დედამიწაზედ არსებულ დღევანდელ პირობათა, მხოლოდ ერთის თქმა შეიძლება: იმ ხანგრძლივი განკერძოების გამო, რომლითაც

სცხოვრობდა მცენარე, ცხოველი, ადამიანი, განვითარდა დროთა ვითარებაში მათი თავისებური ხასიათი; ამან წარმოშვა ადამიანთა რასები. როდესაც კარჩაკეტილობა ისპობა, როდესაც, გეოგრაფიულად რომ ვსთქვათ, ცოცხალნი არსნი მეისწრაფვიან აღმოჩენათაკენ, წინანდელი ნიშნები ხასიათისა ჰკრეებ და იწყება ცვალებადობა". დიახ, — ცვალებადობა, რომელიც ჰქმნის ათასგვარ მრავალფეროვანებას და რომელსაც მომავალშიაც ვერ შეაჩერებს ვერაფერი, როგორც წარსულში ვერ შეაჩერა.

ამ ცვალებადობის უპირველეს მომენტიდან დაწყებული დღევანდლამდე არაფერი არ ამტკიცებს არც ადამიანთა ჯგუფთა მრავალფეროვანების მოსპობას, არც მის განსხვავებულ ტიპთა რიცხვის შემცირებას. ის ზემოხსენებული აურაცხელი ფონდი კაცობრიობისა მისი ერთობის კი არა, მისი მრავალფეროვანების მაჩვენებელია, და დღეს თუ ბევრ მაღალ გონების პატრონსაც ევროპა და მისი ბატონობა ჰგონია კაცობრიობა, ჩვენის ფიქრით ეს დიდი შეცდომაა.

მივმართოთ ჯერ წარსულსა, როდესაც არა თუ კაცობრიობა ერთ ორგანიზმს არ წარმოადგენდა, არამედ მისი ნაწილნი ვერც კი იცნობდნენ ერთმანეთსა. პროგრესსი ამ შორეული წარსულიდან დღემდე ერთის მხრით მათი ერთმანეთის გაცნობითაც გამოიხატება; პროგრესსი აგრეთვე მათ ერთგვარ სოციალურ კავშირითაც გამოიხატება, — თანამედროვე საერთაშორისო სამართლითა, — მაგრამ ერთ სოციალურ ორგანიზმს რომ დაახლოვებოდეს კაცობრიობა — ეს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჯერ არ არის სინამდვილე.

კაცობრიობის ნაწილთა ურთი-ერთის გაცნობა უძველეს დროიდან დღევანდლამდე იმით შეგვიძლია გავზომოთ, თუ როდის რა გეოგრაფიული ცოდნა ჰქონდათ ეგრედ წოდებულ ცივილიზაციის ცენტრებს ქვეყნისა და ხალხთა, და როგორ ფართოვდებოდა ეს ცოდნა დროთა ვითარებაში.

ცივილიზაციის ცენტრებსა მეთქი, ვამბობთ, — და ეს ტერმინნი პირდაპირ გვასწავლიან, რომ **არასოდეს არ არსებულა ორგანიული განვითარება კაცობრიობისა**, არამედ მისი ნაწილნი ვითარდებოდნენ ისეთის მეტ-ნაკლებობით, ისე დამოუკიდებლად ურთი-ერთისაგან, რომ მაგალითად დღევანდელი აღწერა შავ-კანიანთა ინგლისელების მიერ და მათივე აღწერა კართაგენელთა მიერ თითქმის ერთი და იგივეა. აქედან სჩანს, თუ რამდენად დამოუკიდებელი ყოფილა შავ-კანიანთა ცხოვრება იმ ცივილიზაციათაგან, რომელნიც ვითარდებოდნენ და ჰქრებოდნენ, ურთიერთს ადგილს უთმობდნენ, „ისტორიასა" ჰქმნიდნენ მთელი სამოცი საუკუნის განმავლობაში, აუარებელი ნაწილი კაცობრიობისა კი იმავე დონეზედ დარჩა დღესაც, როგორც უძველეს დროს იყო.

ბაბილონელთა ტერრიტორია, ამ უძველეს ცივილიზაციის მქონე ხალხისა, შუამდინარის მიწაზედ იყო მოთავსებული, მაგრამ მათმა მსვლელობამ და ახალ ქვეყანათა დაპყრობამ ძლიერ გააფართოვა გეოგრაფიული ცოდნა. ცნობა მაშინდელი ქვეყნისა. ბაბილონელები ნარევი ხალხი იყო ათასგვარ სემიურ და სხვა ჯგუფთა, რომელნიც სხვა და სხვა კუთხეებიდან გადასახლდნენ ტიგრისა და ევფრატის მიდამოებში და იქ შექმნეს ერთი სოციალური ორგანიზაცია, რომელსაც ჰქონდა ერთი საერთო ენა. ამ ენაზედ დარჩენილან დღეს ლურსმულნი წარწერანი, ქრ. დაბ-დის თითქმის 4,000 წლისა. აქედან ვტყობილობთ, რომ ბაბილონელთა ერის იმპერია გასცილებოდა ტიგრისა და ევფრატის მიდამოებს. ეგვიპტესა, წინა აზიასა, ელამსა, ლიბიასა და სომხეთს შუა არსებობდა ერთი დიდი ცივილიზაცია, სადაც გამეფებული იყო ბაბილონური

ლურსმული წერის ენა. ეს ადგილი იყო უმთავრესი ნაწილი ქვეყნისა ბაბილონელთათვის. აგრეთვე მთელ კაცობრიობას მათთვის რამოდენიმე მეზობელი ერი და თვით ისინი შეადგენდნენ. ამავე ადგილს მრავალ საუკუნის განმავლობაში ჰყვაოდა ეს უპირველესი ცივილიზაცია, ბაბილონელთაგან შექმნილი და დატოვებული.

ასსურელებმა დაიპირეს მათი ადგილი, მაგრამ თითქმის არაფერი მოუმატებიათ ბაბილონელთა კაცობრიობის ცოდნისათვის, გარდა ალაროდიელებთან და უმთავრესად ქართველ ტომებთან ბრძოლისა და მათი გაცნობისა, აგრეთვე მერვე საუკუნის ბოლოში პირველად კიპროსელ ბერძენთა გაცნობისა.

სპარსელებმა ხანგრძლივი ომები გამართეს ბერძნებთან, ეგვიპტელებთან, ინდოელებთან და ამით გააფართოვეს გეოგრაფიული ცოდნა მაშინდელი ქვეყნისა. ისინი კავკასიამდის და სკვითიამდისაც კი მივიდნენ. ერთმა მეზღვაურმა სატასპმა კი მთელი ხმელთა შუა ზღვაც გადასცურა, შევიდა ატლანტიის ოკეანეში, მაგრამ უკანვე დაბრუნდა.

ისრაელს მთელი თავისი კულტურა ბაბილონელებისაგან ჰქონდა ნასესხები, აგრეთვე მთელი გეოგრაფიული ცოდნა მისი ნასესხები იყო იმ დიდ ხალხთაგან, რომელთაც დიდი იმპერიები შეექმნათ. ყოველ შემთხვევაში, მათ მეტი არა უნახავთ რა, რაც ასსურელებმა, სპარსელებმა და ეგვიპტელებმა ნახეს, და არა გაუფართოვებიათ მათი ცნობა კაცობრიობისა.

ეგვიპტელებისათვის დიდ-ხანს ნილოსის მიდამო იყო მთელი დედამიწის უმთავრესი ადგილი. მხოლოდ თანდათან გაიცნეს მცირე აზიის ნაწილები ხეთელებთან ბრძოლის დროს, გაიცნეს აგრეთვე სპარსელები, ბერძნები, ხმელთაშუა ზღვის ნაწილი, აფრიკის ზოგი შავკანიანი ხალხი, ზოგიერთი ნაპირი აფრიკისა. ამბობენ ფარაონ ნეხაოს დროს ეგვიპტელმა მეზღვაურებმა მთელს აფრიკას შემოუარეს გარსაო, მაგრამ მეზღვაურები ფინიკიელები იყვნენ და არა ეგვიპტელები, როგორც ამბობს ჰეროდოტე.

ფინიკიელების მოგზაურობა — პირველი ხანაა ხმელთაშუა ზღვის ცივილიზაციის შექმნისა. ფინიკიელებმა აფრიკისა და აზიის „კაცობრიობის" ერთ ნაწილს ევროპის „კაცობრიობის" ერთი დიდი ნაწილიც მიუმატეს. მას შემდეგ დღევანდელ დღემდე არ გამქრალა ცივილიზაციის ცეცხლი ხმელთაშუა ზღვაზედ.

მათ იცოდნენ ხმელთაშუა ზღვის აღმოსავლეთი ნაპირები, ეგვიპტე, საბერძნეთი, იტალია, გიბრალტარის სრუტე, მოგზაურობდნენ ატლანტიის ოკეანეში, სამხრეთით და ჩრდილოეთით, მიაღწიეს ბრიტანიის კუნძულებსა. ნეხაოს ბრძანებით რომ აფრიკას შემოუარეს, ჰეროდოტეს სიტყვით, ფინიკიელები იყვნენ. თვით ჰეროდოტეს თუმცა არა სჯერა ეს მოგზაურობა, მაგრამ ფინიკიელთათვის ეს შეუძლებელი არ იყო. ამგვარად მთელი ხმელთაშუა ზღვა, ჩრდილოეთის ზღვა და ატლანტიის ოკეანე, ნაწილად ინდოეთის ოკეანე გაცნობილი ჰქონდათ ფინიკიელებს. აგრეთვე აღმოსავლეთის ხალხთა და დასავლეთ ბარბაროსთა შორის მათ ვაჭრობასა და ერთობ კულტურის კავშირი შეჰქმნეს.

მათ საქმეთა გამგრძლობნი კართაგენელები იყვნენ. კართაგენი ფინიკიელების კოლონია იყო. მეტროპოლიიდან მემკვიდრეობით მიიღეს ვაჭრობისა და მოგზაურობის ნიჭი. რაც ფინიკიელებმა იცოდნენ, ის კართაგენელებმაც იცოდნენ, მაგრამ მათი შესანიშნავი მოგზაურობა აფრიკის დასავლეთ ნაპირებისაკენ, მოგზაურობა ჰანნონისა 470 წელს ქრისტ. წინედ ზედა-გვინეის ნაპი-

რამდე, სადაც მან ისეთნაირად აღწერა ზანგები, რომ დღევანდელ მათ აღწერილობას მოგვაგონებს. — დიდი შემატება იყო გეოგრაფიის და კაცობრიობის ცოდნისათვის. ღამე ზანგების ყვირილი და ღრიალი მოესმა ჰანნონს მიწის ნაპირიდან და შიშმა უკანვე გამოაბრუნა, მხოლოდ ეს ღრიანცელი კი აღწერა. შორს აღარ განუგრძია მოგზაურობა. მოვიგონოთ მეორე შესანიშნავი მოგზაურობა ჰანნიბალისა, ყველასაგან ცნობილი, როდესაც მან მთელი ესპანია და გალლია განვლო, ალპები გადაიარა, იტალიაში ჩავიდა და რომს მიუახლოვდა.

ამგვარად თანდათან ფინიკიელთა და კართაგენელთა წყალობით თითქმის მთელი ევროპის ხალხები შევიდა ხმელთაშუა-ზღვის თუ საერთო ცივილიზაციისა არა, ურთი ერთ ცნობის სფეროში მაინც. წინა აზიის „კაცობრიობას“ ახალი კაცობრიობა მიემატა. ამ ორ კაცობრიობის შორისაც განმტკიცდა უფრო ახლო ცნობა ურთი-ერთისა, და ეს დიდი საქმე უმთავრესად ალექსანდრე მაკედონელის ომებმა შეასრულეს.

ალექსანდრე მაკედონელამდის ბერძნებმა უკვე გაიცნეს მცირე აზიის ნაწილები, შავი ზღვის ნაპირები, მთელი ხმელთა შუა ზღვა, ეგვიპტე, აფრიკის ნაპირები, ბრავალგან დააარსეს კოლონიები, განსაკუთრებით შავი ზღვის ნაპირებზედ და იტალიაში. ამ კოლონიების დაარსებით მათ შექმნეს მთელი ბერძნული ცივილიზაცია, მოჰფინეს ელლინიზმი მთელს ხმელთა-შუა ზღვაზედა და შავ-ზღვაზედა.

ალექსანდრე მაკედონელმა კი დიადი იმპერია დააარსა, დაიპყრო მთელი აღმოსავლეთი, ინდოეთშიაც შევიდა, ძველი ბაბილონი სატახტო ქალაქად გაიხადა. ბერძნებმა ალექსანდრეს დროს სპარსეთის ზღვაც კი გაიცნეს, გაიცნეს ინდოეთის ოკეანე ინდის ბოლომდის, აგრეთვე მეწამული ზღვა. ადმირალი ნეარხი იყო ამ საქმეთა ჩამდენი. ჩრდილოეთში პითეასმა ალექსანდრეს დროსვე ბრიტანია ნახა, შემოუარა გარს, ჩამოვიდა ჩრდილოეთის ზღვაში ელბის ბოლომდე.

ერთი სიტყვით ალექსანდრეს ხანაში ბერძნებმა უკვე იცოდნენ თითქმის მთელი ევროპა ირგვლივ ბალტიის ზღვამდე, აზია თითქმის ინდოეთამდე და მთელი ჩრდილოეთი აფრიკა მეწამულ ზღვის გაყოლებამდე. ეს კი დიდი გაფართოვება იყო გეოგრაფიულ ცნობათა და თვით კაცობრიობის ცნებისა.

რომის ცივილიზაცია განგრძობა იყო საბერძნეთის ცივილიზაციისა. პირველი ხანები რომის ცივილიზაციისა იყო აგრეთვე ხმელთა-შუა ზღვის ცივილიზაცია. მაგრამ საბერძნეთის ცოდნა ქვეყნისა და კაცობრიობისა მთელს კულტურულ მემკვიდრეობასთან ერთად რომსაც გადაეცა. ეს კიდევ არაფერი, — რომის იმპერიაში როცა საბერძნეთიც შევიდა, ბერძნები იყვნენ უმთავრესნი მოგზაურნი, რომელნიც მთელს ქვეყნებს იკვლევდნენ, როგორც მაგალითად პოლიბიოსი. რომის იმპერიის ხელში ქვეყნის ცოდნისათვის უმთავრესი იარაღი იყო დაპყრობა ქვეყანათა, და მართლაც ალექსანდრე მაკედონელზედ კიდევ უფრო დიდი იმპერია შექმნეს რომაელებმა. იტალია, საბერძნეთი, მთელი წინა-აზია, აფრიკის ჩრდილო ნაპირები, გალლია, ესპანეთი, ბრიტანია და სხვა ქვეყნები — რომის იმპერიის კუთვნილება იყო. ცოდნა რომის გეოგრაფოსთა, რასაკვირველია, კიდევ უფრო გაფართოვდა. მათ მემკვიდრეობით გადაეცათ გეოგრაფიული ცოდნა მთელ წინასწარ ცივილიზაციათა. მათ იცოდნენ ეგვიპტის სამხრეთით მდებარე ქვეყნები, სხვა ნაწილები აფრიკისა, იცოდნენ შავ-კანიანთა ქვეყნები. იცოდნენ გერმანია, რომელსაც ისინი

ებრძოდნენ, ოდნავ სკანდინავიაც კი, ი

ჩინელებმა ზღვაზედ მოგზაურობის უნარი მხოლოდ ჩვენი საშუალო საუკუნოებიდან გამოიჩინეს. მათ ოდნავ გამოიკვლიეს დიდი ოკეანე. მეოთხე საუკუნეში ნახეს მალაკკა და ცეილანი. მეხუთე საუკუნეში სპარსეთის ზღვა ნახეს, ზღვა მეწამული და შემდეგ კი, მონღოლების ბატონობის დროს, მადაგასკარიც კი აღმოაჩინეს, ევროპიელებზედ წინად. არსებობს ჩინელთა საუცხოვო აღწერილობა მათ მიერ ნახულ ქვეყანათა.

აი ეს ხალხებია, რომელთაგან ძველად ზოგს მეტად და ზოგს ნაკლებად მიუძღვის ღვაწლი „საქვეყნო“ ცივილიზაციის შექმნაში და კაცობრიობის ცნების გაფართოვებაში. მაგრამ აბა დაუკვირდით, — მთელი ორმოცი საუკუნის განმავლობაში ეცადნენ მთელი ცივილიზაციები, რომ დედამიწის მხოლოდ ნაწილი, კაცობრიობის აგრეთვე მხოლოდ ნაწილი გაეცნოთ, ხოლო კაცობრიობის ამ ნაწილისაგანაც ვერ შესძლეს ვერასოდეს ერთი საზოგადოებრივი ორგანიზმის შექმნა, მიუხედავად იმისა, რომ მაგალითად, ალექსანდრე მაკედონელმა და რომის სარდლებმა უდიდესი იმპერიები დააარსეს და ამ იმპერიებში შეჰყარეს აუარებელი ხალხი და ერი. — მართალია, ხალხთა ურთიერთის გაცნობისა და დიდ იმპერიათა დაარსების გამო ჩნდებოდა ხოლმე დაახლოვებით საერთო კულტურული სფერო; მართალია ერთი ხალხის ცივილიზაცია მემკვიდრეობით გადადიოდა მეორეზედ, რომელიც საკუთარ ახალ შემოქმედებას უმატებდა ძველსა, — მაგრამ საერთო, მაშინდელი ვიწრო საკაცობრიო საზოგადოება, ორგანიული განვითარების ნიჭის მქონე, მაინც ვერ შეიქმნა, არამედ ყოველთვის ინგრეოდა ხელოვნურად შეკოწიწებული დიდი იმპერიები. იშლებოდა ეს კულტურული სფეროებიც ან მის ნანგრევებზედ, ან მის პირის-პირ ახალი ცივილიზაციები ჩნდებოდა. ბაბილონმა 40 საუკუნით ქრ. წინად შეიქმნა ცივილიზაცია, — აღრია ერნი და ხალხნი, შექმნა საერთო კულტურული სფერო, მაგრამ მისი საზოგადოება დაირღვა და მისი ადგილი ასსურეთმა დაიჭირა. ფინიკიამ მთელი ხმელთა შუა-ზღვის ცივილიზაციის ხანა დაიწყო მით, რომ ხმელთა-შუა-ზღვის ხალხები გაიცნო და გააცნო ურთიერთს, მაგრამ იგიც განქრა და ბერძენთ დაუთმო ადგილი. ალექსანდრე მაკედონელმა მთელი აღმოსავლეთის გაელლინება მოინდომა, მაგრამ ვერ შესძლო, — ელლინიზაცია აღმოსავლეთისა და ელლინიზმის გაელენა ერთი და იგივე არ გამოდგა. რომმა დაიჭირა საბერძნეთის ადგილი მაშინდელ მსოფლიო ისტორიაში. მაგრამ იგიც იძულებული იყო თავისი კულტურის განგრძობა ბარბაროსთათვის ჩაებარებინა, და სხვ.

ცივილიზაციები დამოუკიდებლად გამოდიოდნენ, ურთიერთსა ჰბაძავდნენ; ურთი ერთისაგან მემკვიდრეობით იღებდნენ კულტურასა, ურთიერთსა სცვლიდნენ, ამით დედამიწის განსაზღვრულ სივრცეზედ უდიდესი ფონდი ადამიანთა სოციალურად შემოქმედ ელემენტად ხდებოდა, — მაგრამ არავითარი ორგანიული ერთობა 40 საუკუნის განმავლობაში, არავითარი მსგავსი ერთი საკაცობრიო საზოგადოებისა არ შეუქმნიათ. არც ერთ ცივილიზაციას არ შემოუკრებია მთელი კულტურული კაცობრიობა და არ შეუკავშირებია ისეთი სიმტკიცით, რომ დღეანდლამდე ორგანიულ განვითარების პროცესსში ყოფილიყოს.

ქრისტეს დაბადების შემდეგაც გრძელდება იგივე პროცესსი ცივილიზაციათა დამოუკიდებელ გამოსვლისა, ცილობისა; იგი დღესაც ახასიათებს კაცობრიობის ფონდსა და მომავალშიაც ეს ფონდი არ დაჰკარგავს მოძრაობის ნიჭსა, ჩინეთი და ინდოეთი, რომელთაც წინად ვერ მოასწრეს საქვეყნო ას-

პარეზზედ გამოსვლა და რომთან დამოკიდებულებაც კი ვერ მოახერხეს, მომავალში შეიძლება გამოვიდნენ ამ ასპარეზზედ, იქნებ იაპონიის თაოსნობითაც და შესცვალონ სრულიად თვით ევროპის „კაცობრიობა".

საშუალო საუკუნოების ხანას არაბთა ცივილიზაციის აღორძინებამდის თითქმის არაფერი შეუძენია რა კაცობრიობის ცნების გაფართოებისათვის, თუმცა ევროპაში მან საკუთარი ახალი ცივილიზაცია შექმნა. ღარიბი იყო აგრეთვე ეს ეპოქა გეოგრაფიული აღმოჩენებითა. დიდი ენება მოიტანა ამ მხრით ქრისტიანობამ. ქრისტიანობასთან ერთად რომის იმპერიაში და ევროპაში შემოვიდა ებრაელების მეცნიერება, დაბადება გახდა მეცნიერებისა და კერძოდ გეოგრაფიის ცოდნის წყაროდ. ეს „მეცნიერება" კი თავიდან ბოლომდის ბაბილონური იყო. ებრაელებს საკუთარი შემოქმედებით ბევრი არა შეუქმნიათრა; რაცა ჰქონდათ, თვით რელიგიური მითებიც კი სამოთხისა, შემოქმედებისა და სხვ. — ბაბილონური იყო. ბაბილონური იყო აგრეთვე მათი უცნაური კოსმოგონია. ამ მხრით ევროპამ დაბადების შემოტანით საშუალო საუკუნოებში ორმოცი საუკუნით უკან დაიხია და თითქმის სრულიად დაივიწყა ბერძენთა დიდი მეცნიერება და ერთობ კულტურა. მხოლოდ არაბების დროს ისევ დაიწყო აღორძინება ძველმა კულტურამ ელლინთა.

მაგრამ საშუალო საუკუნოებმა მიუხედავად საშინელი საერთო რეგრესისა ერთი რამ განახორციელეს. ეს იყო კულტურულ ასპარეზზედ გამოსვლა გერმანელ, კელტ და სლავიან ბარბაროსთა: შეიქმნა მთელი ახალი ქვეყანა, მთელი ახალი ცივილიზაცია, რომელიც პირდაპირ მიემატა ძველს ქვეყანას, თუმცა ახალმა ძველისაგან პირდაპირ ვერ ისარგებლა ძველის პროგრესსითა. გაჩნდნენ ახალი ქვეყნები ხალხთა დიდ გადასახლების ჩანელების შემდეგ, — გერმანიისა, საფრანგეთისა, იტალიისა, ირლანდიისა, ანგლო-საქსონელთა, სკანდინავიისა და სხვათა, რომელნიც გამოვიდნენ მოქმედების ასპარეზზედ და თავში დაუდგნენ ევროპასა, დაიწყეს მისი **ახალი ისტორია**. როდესაც შესწყდა ძველი ისტორია რომისა — სწორედ მაშინ დაიწყეს ახალმა ხალხებმა ეს ახალი ისტორია, რომელიც დღევანდლამდე დიდებულად გრძელდება. შორეული კუნძულები ევროპის ჩრდილო მხარისა, გერმანია, რუსეთის ჩრდილო ნაწილები, სკანდინავია, ინგლისი აღარ იყვნენ ბარბაროსთა ქვეყნები, ზღაპრად გაგონილნი კულტურულ და ისტორიულ ბერძენ-რომაელთაგან, არამედ შემომქმედნი ისტორიისა, უმთავრესნი ხალხნი ევროპისა, რომელთაც თვითვე უნდა განეხილათ სხვა ხალხნი თავიანთ თვალთ-საზრისით და თვითონვე უნდა ედვათ თავს ქვეყნის დაპყრობა და გაცნობა.

და მართლაც სკანდინაველებმა რაც ქვეყნები აღმოაჩინეს და გაიცნეს, რამდენგან შესცვალეს თვით საფუძველი ცივილიზაციისა, რამდენი ღვაწლიც მათ დასდვეს ურთი-ერთზედ დიდის მანძილით დაცილებულ ხალხთა შორის კავშირის გაბმისათვის, — დაუფასებელია ისტორიაში. მეხუთე საუკუნიდან მეთორმეტემდე ირლანდიელების და განსაკუთრებით ჩრდილოეთ ვიკინგების მოგზაურობა არ შეწყვეტილა. ვიკინგებმა დასავლეთისაკენ მოგზაურობის დროს ამერიკაც კი აღმოაჩინეს მეათე საუკუნის ბოლოში, მაგრამ ეს აღმოჩენა ნაადრევი იყო და შესაფერი ნაყოფი ვერ გამოიღო. მხოლოდ გრენლანდია დარჩა ცნობილი ქრისტეფორე კოლუმბამდე. ამ უკანასკნელმა შესძინა მხოლოდ კაცობრიობას ამერიკა. ამავე სკანდინაველებმა აღმოსავლეთისაკენ მოგზაურობის დროს რუსეთი გაიცნეს, ჩამოვიდნენ შავ ზღვაზედ და კონსტანტინეპოლსაც კი მიადგნენ 907 წელსა.

თუ ევროპაში გერმანელები და სკანდინაველები გამოვიდნენ საქვეყნო

ასპარეზზედ და იწყეს ისტორიის შექმნა, — მთელი ევროპა და მისი ჩრდილოეთი მხარე ისლანდიამდის შემოუერთეს ქრისტიანულ კულტურასა და ამერიკამდისაც კი მიაღწიეს, — არა ნაკლები ღვაწლი მიუძღვისთ არაბებს აღმოსავლეთის ქვეყანათა გაცნობაში და კაცობრიობის ცნების გაფართოებაში. არაბებს არავითარი ისტორიული როლი არ უთამაშნიათ მაჰმადის დაბადებამდის. მაჰმადიანობამ მათ ისეთი სიძლიერე შთაბერა, მაჰმადის სჯულის აქტივურმა თვისებამ ისეთი ენტუზიაზმი დაბადა მათ შორის, აგრეთვე უკვე დაღლილ მეზობელ სახელმწიფოთა დაპყრობა ისეთი ადვილი საქმე იყო, რომ არაბებმა სულ ას წელიწადში დააარსეს უდიდესი იმპერია ქვეყანაზედ. ბევრი ავტორი და მათ შორის ელიზე რეკლიუ ამბობს, რომ მაჰმადიანთა გავრცელებას ხელი შეუწყო ფრიად მაჰმადის კომმუნისტურმა მოძღვრებამ, რომელსაც დიდის აღტაცებით ეგებებოდა ყველა ხალხი დესპოტიზმისაგან დაჩაგრული და განადგურებული, ისე როგორც წინად ქრისტიანობას ეგებებოდა ყოველი დამაშვრალი, მონა და „კაცთა შორის კაცად არ მიჩნეული“-ო.

მართლაც, მაჰმადის სიკვდილის (632 წ.) ოთხი წლის შემდეგ სპარსეთი დაიპყრო ომარმა, წინასწარმეტყველის მემკვიდრემ. ერთი წლის შემდეგ არაბები ინდოეთში გაჩნდნენ. 638 წელს ეგვიპტე და სირია დაიპყრეს. 647 წელს ისლამის მახვილი ბატონობდა მთელს ჩრდილოეთ აფრიკასა. 649 წ. კიპროსისა და როდოსის კუნძულები დაიპირეს. მერვე საუკუნეში ესპანია დაიპყრეს და საფრანგეთსაც შეესივნენ. ამავე დროს გვეწვიენ საქართველოშიაც. მისწვდნენ ჩინეთსა და ცეილანსა და სავაჭრო ქარვასლები გამართეს. ინახულეს და აღწერეს მალაის კუნძულები, გაავრცელეს მაჰმადის სჯული, და ამბობენ თვით იაპონია და მოლუკის კუნძულებიც ინახულესო, თუმცა ეს ფაქტი ნამდვილად არ არის დამტკიცებული მეცნიერებაში. ზღვაზედაც გამოიჩინეს დიდი უნარი მოგზაურობისა. გაიცნეს მთელი ხმელთა შუა ზღვა, ინდოეთის ოკეანე, მიაღწიეს მადაგასკარის კუნძულს და საბოლოო ფაქტად ჰყვეს მისი აღმოჩენა. აფრიკის აღმოსავლეთ ნაპირებზედ განამტკიცეს თავიანთი სჯული და პოლიტიკური საზოგადოებანი, რომელთაგანაც უკანასკნელი, ზანზიბარის სასულთანო, სულ უკანასკნელად დააქცია ევროპამ.

მეცამეტე საუკუნემდის და შემდეგაც არაბებმა შექმნეს და განავითარეს მრავალი მეცნიერება, აზიარეს თვით ევროპა კლასსიკურ კულტურასა, გაიცნეს კაცობრიობის დიდი ნაწილი, მრავალი შესძინეს გეოგრაფიასა. მასუდი, იბნ-ბათუთა, სოლიმანი, ედრიზი და სხვანი, — დიდი გეოგრაფოსები და მოგზაურნი იყვნენ, რომელთაც მრავალი ქვეყანა აღმოაჩინეს და აღწერეს. არაბებმა აღმოსავლეთი ევროპაც კი გაიცნეს, ვოლგის ნაპირები და სამხრეთი ნაწილი თანამედროვე რუსეთისა.

არაბთა შორის დიდად იყო გავრცელებული ცოდნა გეოგრაფიისა და ხალხთა აღწერისა, — როგორც აბასსიდების დროს, ისე ომმიადებისა და სხვა დინასტიების დროსა, — როგორც აღმოსავლეთში, ისე დასავლეთში. მაგრამ არაბთა იმპერია მალე დაეცა; როგორც მალე აღენთო მათი ცივილიზაციის ცეცხლი, ისე მალე ჩაქრა. ისევ ევროპიელებსა ხვდათ წილად ნამდვილი საქვეყნო ცივილიზაცია შეექმნათ, თუმცა მერვე საუკუნეში არაბებმა კიდევ სცადეს მუდმივი კავშირი განემტკიცებინათ აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, ე. ი. ჩინეთსა და არაბთა იმპერიის შორის; ეს ცდაც ისე უბედურად გათავდა, როგორც წინად რომისა და ჩინეთისა.

მეცამეტე საუკუნეში მონღოლებმაც მოინდომეს საქვეყნო და საკაცობრიო საზოგადოების შექმნა. ჩინგის-ხანი ამბობდა: „როდესაც ამოდენა ხალხი

შევაერთე, ჩემი პირველი ცდა იყო ძათ შორის წესიერების და სამართლის დამყარებაო". მონღოლებმა მთელი აზია დაიპყრეს, შემოესიენ რუსეთს, გადალახეს პოლონეთი, ვენგრია, სპალატროსაც კი უწიეს, მაგრამ შემდეგ ისევ დაიხიეს აღმოსავლეთისაკენ და ნელ ნელა განელდა მათი აღტყინების ცეცხლიცა.

ამავე დროს თურქები ნაცარ-ტუტას ადენდნენ მთელს წინა აზიასა. ბიზანტიის იმპერიას მათ საშინელი ომი გამოუცხადეს, და არაბებსავით მაჰმადიანობით გატაცებულნი, ეკვეთნენ ბიზანტიასა და არაბებს და მალე შეიძლეს მათ ნანგრევებზე თავიანთ იმპერიის დაარსება. ოტტომანები ევროპასაც კი თავ-ზარსა სცემდნენ. ხმელთა-შუა-ზღვაზედაც გაბატონდნენ. მალე მათმა ბატონობამ დაიპირა ადგილი არაბთა და ბიზანტიელთა ბატონობისა.

ამგვარად, რომის იმპერიის დაცემის შემდეგ ზედი-ზედ აწყდებოდა წინა-აზიასა და ევროპას სულ სხვა და სხვა ხალხი, ზედი-ზედ სცდილობდნენ ყველანი საქვეყნო იმპერიები დაეარსებინათ, მაგრამ საბოლოოდ ვერც ერთმა ვერ შექმნა იგი მკვიდრად. შედეგი მხოლოდ ცივილიზაციათა, რჯულთა, ხალხთა აღრევა იყო, რადგანაც ყველანი იცავდნენ თავიანთ ინდივიდუალობასა. მართალია, ამ აღრევიდან მეორე მხრით ერთობაც იბადებოდა, დამყარდნენ საერთაშორისო დამოკიდებულებანი სრულიად სხვა და სხვა ურთიერთისაგან დაშორებულ ხალხთა შორის, მაგრამ ნამდვილი ერთობა არასოდეს არ დამყარებულა, როგორც იგი არც დღეს არის მიუხედავად საერთაშორისო სამართლისა.

თუ რამდენად იცავდა ყოველი კულტურა თავის ინდივიდუალობასა, ამას სხვათა შორის ჯვაროსანთა ომებიც ამტკიცებს. როდესაც ევროპაში ქრისტიანობა ჩამოყალიბდა და დასავლეთ აზიაში და აფრიკის ჩრდილოეთში მაჰმადიანობა, როდესაც ეს ორი კულტურა ერთმანეთს პირისპირ შეხვდნენ და დაუწყეს ცილობა არა თუ იმ ადგილებში, სადაც პირველი ბუდე იყო მათის რჯულისა, არამედ საკუთარ სამფლობელოებშიაც, მაშინ ეს ცილობა ორი დიდი კულტურისა უზარმაზარ დუელად გადაიქცა და არც ერთი მხარე არა ზოგავდა არც სიცოცხლესა და არც შეძლებას, რომ ბატონობა დარჩენოდა. ბოლოს და ბოლოს ევროპას დარჩა გამარჯვება როგორც ხმელეთზედ, ისე ზღვაზედ. ხმელთა-შუა ზღვიდან გამოძევებულ იქმნა ისლამის ბატონობა და გაძლიერდა ქრისტიანული ევროპა. შემდეგ ამ ბატონობის პრივილეგია რამოდენიმე დიდ სახელმწიფოს ერგო. მაგრამ ისიც არ უნდა დავივიწყოთ, რომ ამ დიად ბრძოლას ერთი დიდი საქრისტიანო იმპერია, — ბიზანტია მსხვერპლად შეეწირა და თურქთა საკბილოდ გახდა.

მიზეზი ისლამის დამარცხებისა იყო ევროპის გაძლიერება სრულიად სხვა მხრით ჯერ კიდევ იტალიის რესპუბლიკებმა განავითარეს ვაჭრობა-მრეწველობა, და რასაკვირველია ამას შედეგად დიდი მოგზაურობანი უნდა მოჰყოლოდნენ. ვენეციელი მარკო პოლო მეცამეტე საუკუნეში ერთი უდიდესი მოგზაურთაგანი იყო ამ ხანისა. მან უცხოეთში 1271 — 1295 წლები დაჰყო. მან მთელი აზია შემოიარა და პეკინშიაც იყო, რომელიც ამ დროს მონღოლთა იმპერიის აღმოსავლეთის სატახტო ქალაქი იყო. იქიდან იგი დაბრუნდა ინდოეთზედ, სპარსეთზედ, მცირე აზიაზედ, ტრაპიზონით გამოიარა და კონსტანტინეპოლში ჩამოვიდა მან აღწერა ჩინეთი, მონღოლია, ინდოეთი, კოხინხინა და სიამი, სპარსეთი, ყველა ქვეყნები, რომლებზედაც გაიარა, აგრეთვე ინახულა და აღწერა ზანზიბარი და აბაშეთი აფრიკაში, ციმბირი, ჩრდილო ყინულოვანი

ქვეყნები. ამგვარად მან დაახლოვებით ნამდვილი წარმოდგენა მისცა თავის თანამედროვეთ გეოგრაფიასა და ეთნოგრაფიაზედ, რომლებსაც მაშინდელ ევროპაში არავითარი მეცნიერული საფუძველი არა ჰქონდა, განსაკუთრებით დაბადების მითოლოგიის გავლენის წყალობითა. შემდეგ ჯოვანნი მონტეკორვინომ მეთოთხმეტე საუკუნეში ჩინეთი ინახულა, ფრიულელმა ბერმა ოდერიკმა იმავე საუკუნეში მალაის კუნძულები და ჩინეთი ნახა, ფლორენციელმა ჯოვანნი მარინიოლიმ აგრეთვე ჩინეთი და სხვ.

1346 წელს ჩინეთის იმპერია ისევ დაიკეტა ევროპიელთათვის და აღმოსავლეთი ისევ მოსწყდა დასავლეთსა. ევროპიელებმაც სხვა მხრივ მიაპყრეს თვალი. 1404 წელს ესპანელი რუი გონზალეც დე-კლავიხო სამარყანდში მიდის, თურანელებს ეცნობა. ვენეციელი იოსაფატ ბარბარო სპარსეთში მოგზაურობს მეთოთხმეტე საუკუნეში. ნიკოლო კონტი, აგრეთვე ვენეციელი, ინდოეთსა და მალაის კუნძულებს ნახულობს. კონტი პირდაპირ ბრუნდება შინ ადენითა და მეწამული ზღვითა, და არა სპარსეთის ზღვითა და სირიით, როგორც ეს წინად ჩვეულება იყო. მამელუკების გაბატონების შემდეგ ეგვიპტეში, — ეს გზაც დაიკეტა.

მაშინ კი უფრო დიდის ენერგიით მიაქციეს ევროპიელებმა ყურადღება ქვეყნიერებისა. ინდოეთისაკენ პირდაპირი გზის ძებნაში გაიჯიბრნენ მაშინდელნი მეზღვაურნი სახელმწიფონი, სადაც ვაჭრობა და მრეწველობა იყო განვითარებული. იტალიის რესპუბლიკები, ესპანელები და პორტუგალელები იყვნენ განსაკუთრებით მუდმივ დაინტერესებულნი, რომ ეს გზა აღმოეჩინათ, ამისათვის იგინი არც ძალასა და არც შეძლებას არა ზოგავდნენ, რომ შორეულ ქვეყნებში მოგზაურობა გაებედნათ.

ისლამმა განაშორა მთელი აზია ევროპასა, ხმელთა-შუა ზღვის ცივილიზაციასა; აქაც კიდევ არაბებისაგან და თურქებისაგან არ იყო მოსვენება. ევროპა კი ველარ კმაყოფილდებოდა ჩრდილოეთითა და ბალტიის ზღვითა, სადამდისაც მიდიოდა მისი ვაჭრობა. ამიტომაც უკვე პორტუგალელებმა აფრიკას შემოუარეს მეთხუთმეტე საუკუნეში, რომ ამ გზით მაინც დაეპირათ კავშირი აღმოსავლეთთან. ამავე მეთხუთმეტე საუკუნეში მოგზაურობდა ქრისტეფორე კოლუმბი, რომლის უდიდეს შრომისა და მოგზაურობის შედეგი იყო ამერიკის აღმოჩენა 1492 წელსა.

1498 წელს პორტუგალელმა ვასკო-დე-გამამ კეთილ-იმედის კონცხს შემოუარა სამხრეთ აფრიკაში და საუკუნოდ განსაზღვრა გზა, დასავლეთისა და აღმოსავლეთის შემაერთებელი. 1521 წელს მაგელლანმა დიდი ოკეანე განვლო, ბოლოს ჯემს კუკმა თავისი უდიდესი სამი მოგზაურობით (1768—1775 წ.) სრულიად შესცვალა გეოგრაფია ძველი დროისა და საშუალო საუკუნოთა. ამით პირდაპირ დაიწყო ეპოქა საქვეყნო ცივილიზაციისა და ევროპიელთაგან მთელი ქვეყნის გაცნობისა და მასზედ ბატონობისა.

ცნობილია, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა ამერიკის აღმოჩენას მსოფლიო ისტორიაში. მთელი ახალი კონტინენტი და ახალი კაცობრიობა აღუჩნდა თვალ-წინ ევროპასა. ევროპიელებმა იწყეს შეუწყვეტელი დენა ამ ახალ ქვეყანაში. მალე მთელ სამხრეთ ამერიკაში ახალი ესპანია და პორტუგალია გაჩნდა. ჩრდილოეთში კი ინგლისელებმა იწყეს გადასახლება და ინგლისისა და ირლანდიის საუკეთესო მშრომელი და ენერგიით აღსავსე ხალხი სულ იქ გადასახლდა, რომ ეს თვალ-უწვდენელი ქვეყანა გაენაყოფიერებია თავისი შრომითა და მუყაითობითა. მთელი ევროპიდანაც მრავლის უმრავლესი ხალხი გა-

დასახლდა ჩრდილო ამერიკაში. ჰოლლანდიელებმა უმთავრესად აზიის შორეულ ქვეყნებს მიაქციეს ყურადღება და იქ დააარსეს თავიანთი კოლონიალური იმპერია. პორტუგალელები, ფრანგები, ესპანელები, ჰოლლანდიელები, ინგლისელები, — ყველანი ატლანტიის ზღვით მიეშურებოდნენ ზოგი შორეულ დასავლეთს, ახალ ქვეყანაში, ზოგიც შორეულ აღმოსავლეთს. ცივილიზაციის ცენტრი ხმელთა-შუა ზღვიდან. ეზლა ატლანტის ოკეანეზედ გადავიდა, საიდანაც გაშლილი გზით მიეშურებოდა ევროპა მთელის ქვეყნის დასაპყრობად. რასაკვირველია ამის შემდეგ შეიცვალა სრულიად როგორც გეოგრაფია, ისე ეთნოგრაფია ევროპიელის წარმოდგენაში, რადგანაც მრავალი გამოკვლევა და მრავალი აღწერა ახლად ნახულ ხალხთა გამოქვეყნდა იმ დიად საშუალებით, რომელიც უკვე კაი ხნის მოგონილი იყო, — ბეჭდვის საშუალებითა .

ამერიკაში და სხვაგან ნახეს ახალი კაცობრიობა, მაგრამ თვით ევროპიელებმაც ახალი კაცობრიობა შექმნეს ამ ახალ ადგილებში, — კაცობრიობა, რომელიც შესცვალა ჟამთა ვითარებამ და ევროპას პოლიტიკურად დააშორა, დამოუკიდებლად გაჰხადა. ადგილობრივი „კაცობრიობა", მართალია, გაანადგურეს, მაგრამ ნაცვლად ახალი აღორძინდა, და დღევანდელი იანკი ან ჩილიელი აღარ არის ინგლისელი ან ესპანელი.

ამერიკის აღმოჩენიდან დაწყებული თანდათან ვრცელდებოდა ეს ბატონობა ევროპიელთა და ევროპის რასისა მთელს ქვეყანაზედ და დღეს მან უმწვერვალესს ხარისხს მიაღწია, მაგრამ ერთი კაცობრიობა ვერც ამან შექმნა, ევროპის გენიოსობამ შექმნა უდიდესი ტეხნიკა, უდიდესი ცოდნა, უდიდესი მეურნეობა, უფართოესი ცნობა დედა მიწისა, შექმნა საერთაშორისო სამართალი, მაგრამ კაცობრიობის ერთობა მაინც ვერ შექმნა. ატლანტის ოკეანედან გაძლიერებულებმა, ხმელთაშუა ზღვაზედაც მოიპოვეს ბატონობა, ინდოეთზედაც გაიყვანეს უმოკლესი გზა სუეცის არხის საშუალებით, მთელი დიდი ოკეანის კუნძულებზედ და ავსტრალიაზედ გაბატონდნენ, დიდ-ოკეანეზედაც ისეთივე დიდი ცივილიზაცია გააჩაღეს, როგორც ატლანტის ოკეანეზედ, მაგრამ ყოველისფერს საზღვარი აქვს, და დღეს შეიძლება სწორედ ამ დიდი ოკეანის ხალხთაგან, ჩინელთაგან და იაპონელთაგან არის მოსალოდნელი საქვეყნო ბატონობა. ევროპამ დაკეტილ აღმოსავლეთის გზას შორიდან მოუარა და ამით საქვეყნო ბატონობა მოიპოვა. მან გაძლიერების შემდეგ დაკეტილი გზაც გაარღვია, მაგრამ საუკუნოებით დატოვებული ფონდი ჩინელთა, ინდოელთა, იაპონელთა და სხვათა, რომელთა რიცხვი აუარებელია, დღეს სწორედ დიდი ოკეანიდან და ინდოეთის ოკეანიდან ემუქრება მას. თუ უწინ უმთავრესად ჯერ აღმოსავლეთიდან დასავლეთს მიდიოდა ცივილიზაცია, ხალხთა მოძრაობა და ურთი-ერთის გაცნობა, ურთი ერთის წამბაძველობა სოციალურ შემოქმედების ყოველ დარგში, აგრეთვე შემდეგ, პირიქით, თუ ყოველი გაძლიერებული დასავლეთის ერის მისწრაფება აღმოსავლეთისაკენ იყო მიმართული, დღეს შეიძლება ისევ აღიმართოს უზარმაზარი ტალღა აზიის მრავალ-მილიონიან ერთა, ისევ დასავლეთისაკენ გამოეშუროს და კიდევ მრავალი საუკუნე შეიქმნეს საჭირო, სანამ მთელი კულტურული კაცობრიობა საუკუნოდ დაამკვიდრებდეს დაახლოებით ერთს კულტურულ სფეროს მაინც *.

---

[1] იხ. ზემოხსენებული ცნობათა შესახებ: Prof: Ch. Weule- La Surface Terrestre (L'Univers et L'Humanité, vol. III); Elisée Reclus: L'Homme et la Terre, 6ol. I, II, III, IV, V, VI E., Nys, Etudes de droit international et de droit politique; და სხვ.

ერთს საზოგადოებას, ერთს ორგანიულ კაცობრიობას რომ ვერავითარი ძალა ვერ დაამყარებს, ამაზედ წინადა გვქონდა ლაპარაკი, — მაგრამ უდიდესმა აღრევამ ევროპისა და აზიის კულტურულ სფეროთა რომ ერთი კულტურული სფერო წარმოშვას, — ესეც დიადი ნაბიჯი იქმნება კაცობრიობის გაერთიანებისაკენ, წარმოსადგენი მაინც არის იგი, თუ შესაძლებელი და განსახორციელებელი არა.

ევროპის ბატონობამ წარმოშვა დღევანდელი რწმენა „კაცობრიობისა". მაგრამ აბა ერთი გადავხედოთ ევროპიელთა და სხვათა რიცხვს, თუ მართლა საუკუნოდ უზრუნველ-ყოფილია ევროპიელთა ბატონობა მთელს ქვეყანაზედ. თუ მართლა ევროპიელებმა ამოსწურეს მთელი სოციალური შემოქმედებითი ენერგია კაცობრიობისა და თუ მთელს ქვეყანაზედ სხვა არავინ არის, ვისაც შეეძლოს სრულიად ახალ საქვეყნო კულტურათა შექმნა.

მართალია, საშუალო საუკუნოთა ბოლოში მთელი ევროპის მცხოვრებთა რიცხვი მარტო 50 მილიონი, 1787 წ. 144 მილიონი, 1815 წ. 180 მილიონი, ეხლა კი 390 მილიონია, — მართალია, ეს დიადი პროგრესსია ევროპის ხალხთა განმრავლებისა. ისიც მართალია, რომ რასა ევროპისა, რომელსაც უპყვრია მთელი ევროპა, ამერიკა და ოკეანია ძლიერ დიდია, აგრეთვე მისი გავლენა დიდია აზიაზედ და აფრიკაზეც, მთელს ქვეყანაზედ. მართალია, ისიც, რომ მისი პოლიტიკური მფლობელობა და საერთაშორისო გავლენა ერცელდება 112 მილიონ ოთხკუთხ კილომეტრზედ, ე. ი. დედა-მიწის ხმელეთის 82%-ზედ; — ყოველისფერი ეს მართალია, მაგრამ ჯერ ერთი გავლენასა და საერთაშორისო სფეროში ძალით ხალხთა შეკრებას, აგრეთვე დიდ ტერრიტორიათა მფლობელობას გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვსთ, როდესაც მოწინააღმდეგეთა შორის უფრო მრავალ-რიცხოვანი ხალხებია, რომელნიც თანდათან ითვისებენ ევროპის კულტურასა და თავის ინდივიდუალობასაც არა ჰკარგავენ, და რომელთაც აუცილებლად უნდა გადალახონ თავიანთი საზღვრები, შეიძლება ქვეყნის ბატონობა მოინდომონ და მოიპოვონ კიდეც. მართალია ისიც, რომ დღეს ევროპის ცივილიზაცია, მეცნიერება, ხელოვნება, სამხედრო ძლიერება დიდია, მაგრამ სხვა დიდი ხალხები, რომელთაც არა-ისტორიულადაც კი სთელიდნენ, დღეს ამავე სიძლიერის მოხვეჭის გზაზედ დაადგნენ და სამხედრო ძლიერებაში ერთმა მათგანმა, იაპონიამ, ჩვენ თვალ წინ საშინლად დაჰკრა ერთს უდიდესს ევროპიულ სახელმწიფოს — რუსეთს.

რომ ევროპიელთა გავლენა, საერთაშორისო სამართალი, სიდიადე და ბატონობა ევროპიელთა არა ჰქმნის არც კაცობრიობასა და არც მთელს ქვეყანას აევროპიელებს, რომ აგრეთვე კაცობრიობის ფონდი ეხლაც აუარებელია მიუხედავად 60 საუკუნის სხვა და სხვა ხალხთა კულტურულ მოქმედებისა და ურთი-ერთში აღრევისა, — ამას ამტკიცებს პირდაპირი სტატისტიკა. ვსარგებლობთ სხვა და სხვა დროის სტატისტიკით: ერთი არის 1897 წელს ა. კ. ჯონსტონისაგან გამოცემული ინგლისურად: **The: Multum in Parvo. Atlas lof the World,** მეორე არის პროფ. ჰიკმანსის გამოცემული 1907 წ. **Geographisch Statistischer Universal-Taschen-Atlas.** ვსარგებლობდით აგრეთვე: **E. Nys-ითe droit International, t. I.**

ავიღოთ ჯერ ჯონსტონის შედარებითი სტატისტიკა ერთის მხრით ამერიკისა და ევროპისა, სადაც დიდი უმრავლესობა ევროპელია, და მეორეს მხრით აზიისა და აფრიკისა, სადაც დიდი უმრავლესობა აზიელ-აფრიკელნი არიან, არა ევროპიელნი. — ჩვენის აზრით უმთავრესი ფონდი კაცობრიობისა, მომავალ საქვეყნო კულტურათა შემქნელი:

	სივრცე (კვ. მილ.)	მცხოვრებთა რიც.	სისქე მოსახლ.
ევროპა	3,760,000	357,380,000	96
ამერიკა	14,800,000	121,710,000	11 ჩრდ. 5 სამხრ.
აზია	17,040,000	825,950,000	49
აფრიკა	11,280,000	163,950,000	13

თუ პირველ ორ ქვეყანაში ერთად მხოლოდ 479,090,000 მცხოვრებია, — მეორე ორ ქვეყანაში ერთად 989,900,000 მცხოვრებია, ე. ი. ორჯერ მეტი ვიდრე პირველებში. მაგრამ შეიძლება ისა სთქვან, რომ მეორე რიგის კონტინენტებში ევროპიელებიც ბევრნი არიანო. მართალი არის, მაგრამ ადგილობრივ მცხოვრებლებთან შედარებით ძლიერ ცოტა. სისწორისათვის მეორე ანგარიშიც მოვიყვანოთ: ჯერ ერთი მთელი რასა ინდო-ევროპიელთა დღეს უდრის ჯონსტონის ანგარიშით მხოლოდ 570 მილიონს, მაშინ როდესაც მარტო მონღოლთა რასა არის 625,000,000. — მეორე, — ქრისტიან სარწმუნოების მმოსავი არის ევროპაშიაც, აზიაშიაც და ამერიკაშიაც, — ყველგან — მხოლოდ 500,000,000, მაშინ როდესაც არა ქრისტიანეთა რიცხვი არის ერთი მილიარდი, ორჯერ მეტი. მათ შორის მაჰმადიანია 180,000,000. ბუდდისტი 500,000,000, ბრაჰმანი 200,000,000, წარმართნი 112,000,000, ებრაელები 8,000,000. ჩვენ კი ვიცით, რომ ბრაჰმანი, ბუდდისტი და მაჰმადიანი განსაკუთრებით აზიაში სცხოვრობს, აგრეთვე წარმართნი განსაკუთრებით აფრიკაში. სწორედ ეს არის ის ფონდი კაცობრიობისა, რომლის რაოდენობაც გაცილებით აჭარბებს ევროპიელთა რიცხვსა. ასე რომ ევროპიელთა რიცხვი, როგორც რიცხვი, აფრიკაში და აზიაში, ანგარიშში ჩასაგდები არ არის შედარებით ადგილობრივ აურაცხელ მოსახლეობასთან. — მაშასადამე ოთხი უმთავრესი კონტინენტი თუ შეკადარეთ, დაახლოვებით მართალი იქმნება, თუ ვიტყვით, რომ ფონდი კაცობრიობისა ორჯერ მეტია, ვიდრე თანამედროვე კაცობრიობის დამჩემებელ ევროპიელთა.

შეიძლება მოსახლეობის სისქეზედ სთქვან რამე, — რომ მაგალითად ევროპის მოსახლეობის სისქე საშუალოდ 96-ია. მაგრამ ჯერ ერთი, სამაგიეროდ, ამერიკაში 11 და 5-ა ეს სისქე მოსახლეობისა, აქ კი უმთავრესად ევროპიელები სცხოვრობენ, მეორე — სისქე მოსახლეობისა აზიაშიც საშუალოდ არის გამოყვანილი, თორემ მარტო ჩინეთში, რომელიც ევროპაზედ სივრცითაც მეტია და მცხოვრებთა რიცხვითაც (იმპერიის სივრცე — 4,218,401 კვადრატი მილ., მცხოვრებთა რიცხვი 402,680,000), თითქმის იგივე რიცხვი მოდის საშუალოდ — 95. ინდოეთში კიდევ მეტია სისქე მოსახლეობისა ბევრ ადგილას. ამასთანავე არც ის უნდა დავავიწყდეს, რომ ჩინეთში სწორი სტატისტიკა არ არის, როგორც ევროპაშია, და ზოგიერთ ნაწილებში, მაგალითად ზღვის პირად, დიდ ქალაქებში მოსახლეობის სისქე უმწვერვალეს ხარისხამდის არის მიღწეული — ხალხი ზღვაზედა სცხოვრობს დამდგარ გემებზედ და იქ მრავლდება.

ამას გარდა ევროპიელთა რიცხვი (ამერიკის გარდა) დანარჩენ ქვეყნებში არც ისე დიდია. მათი მხოლოდ ბატონობაა დიდი, და არა რიცხვი. ინგლისელები ყველაზედ მეტნი არიან სხვა ქვეყნებში გადასახლებულნი და მათი რი-

ცხვიც ავსტრალიაში მხოლოდ 4,000,000 იყო 1905 წელს, შედარებით ადგილობრივ მცხოვრებლებთან ძლიერ მცირე აფრიკის ექვს კოლონიაში, და სხვაგან კიდევ უფრო ცოტა, კანადის გარდა.

საერთოდ აი როგორ არის განაწილებული მთელს ქვეყანაზედ რასები ჯონსტონის ატლასით:

ინდო-ევროპიელნი	570,000,000
მონღოლნი	625,000,000
მალაელები და პოლინეზიელები	35,000,000
ამერიკელი ინდიელები	15,000,000
აფრიკის ნეგრები	215,000,000
სჯულის განაწილებაც შემდეგნაირად არის:	
ქრისტიანები	500,000,000
მათ შორის პროტესტანტი	200,000,000
მართლმადიდებელი	105,000,000
კათოლიკე	195,000,000
არა ქრისტიანები	1,000,000,000
ებრაელები	8,000,000
მაჰმადიანები	180,000,000
ბუდდისტები	500,000,000
ბრაჰმანები	200,000,000
წარმართნი	112,000,000

აქედან ცხადათა სჩანს, რომ ინდო-ევროპიელთა რასა თითქმის ორჯერ ნაკლებია სხვა რასებზედ, სახელდობრ ევროპიელები კი ცაცილებით ნაკლები. აგრეთვე რჯული ევროპიელთა, ქრისტიანობა ორჯერ ნაკლებია სხვა რჯულთან შედარებით. — ამას გარდა არც ამერიკისა და ოკეანიისა, მეტადრე მალაის და ნეგრთა რასა გამქრალა, თუმცა ევროპიელები უწყალოდა ჟლეტავდნენ მათა.

მაგრამ ჯონსტონის სტატისტიკა ძლიერ არეულია. მივმართოთ ჰიკმანსს, რომლის ანგარიშით:

1) არიელთა რასა უდრის	780 მილიონს
აქედან უმთავრესნი:	
გერმანელები	222 მილ.
სლავიანები	132 მილ.
ბერძენ-ლათინნი	165 მილ.
ინდოელნი	230 მილ.
ირანელები	25 მილ.
2) სემიელთა რასა	30 მილ.
3) ქამიელთა რასა	20 მილ.
4) მონღოლთა რასა	503 მილ.
5) მალაელთა რასა	25 მილ.
6) ამერიკელთა რასა	8—10 მილ.
7) შავი რასა: მარტო ჩრდილო და ცენტრალური აფრიკ.	60 მილ.
დანარჩენები სამხ. აფრიკაში და სხვ. —	

აქედანაც ცხადადა სჩანს რიცხვითი უპირატესობა კაცობრიობის ფონდისა ევროპიელებზედ. არიელთაგანაც ევროპიელები, კელტებსა და ალბანელებს

თუ მივუმატებთ, არიან მხოლოდ 530 მილიონი. დანარჩენი არიელი კი აზიაში სცხოვრობს და ევროპის ბატონობას განიცდის და არა გაევროპიელებას.

მისივე ანგარიშით ქრისტიანები არიან	560 მილ.
მაჰმადიანები	220 მილ.
ებრაელები	11 მილ.
დანარჩენ სხვა სარწმუნოებისანი	777 მილ.

ენის მხრითაც ასეთია ადამიანთა განაწილება:

გერმანულ ენებზედ მოლაპარაკე	530 მილ.
ბერძნულ-რომაულზედ	
სლავიანურზედ	
ირანის ენებზედ	25 მილ.
ინდოეთის ენებზედ	236 მილ.
მონღოლურ ენებზედ	468 მილ.
ქამიურ ენებზედ	20 მილ.
სემიურ ენებზედ	30 მილ.
ნეგრების ენებზედ	89 მილ. და სხ.

მაშასადამე ყოველთვის თითქმის ორჯერ მეტი გამოდის ფონდი კაცობრიობისა ევროპიელებზედ, — რასით, ენით, რჯულით ეს ამ მეორე ანგარიშიდანაც სჩანს.

სად არის აქ ერთობა კაცობრიობისა, რით გამოიხატება იგი? — ევროპიელებს რომ 82% უპყრიათ მიწისა? — მაგრამ ამ 82%-ზედ სულ ევროპიელები ხომ არ არიან დასახლებულნი. მათ მხოლოდ უპყვრიათ ეს ქვეყნები, მათი მოსახლეობა კი აფრიკაში და აზიაში გაცილებით ნაკლებია ადგილობრივზედ. ეს კონტინენტები შეიცავენ უმთავრესად კაცობრიობის ფონდს. აგრეთვე მალაის კუნძულებზედ მთელი ცივილიზაციაა მალაელებისა და ევროპიელები იქ მხოლოდ ბატონობენ, და არა მოსახლეობის უმეტესობას შეადგენენ ასე რომიცა და სხვა დიდი დესპოტიებიც ბატონობდნენ ოდესმე მაშინდელ კაცობრიობაზედ. გარდა ამისა ამ 82%-დან ბევრი ადგილი სრულიად დაუსახლებელია და ანგარიშში არ არის ჩასაგდები კაცობრიობის ერთობის მხრით. — კიდევ მეტი, როგორც არა ესთქვით, — ავსტრალიაში, ამერიკაში, ოკეანიაში — თვით ევროპის რასა ნელ-ნელა იცელება, ჩნდებიან ახალი რასები და ახალი ენებიც კი — მოსულთა და ადგილობრივთა შერევით. ერთი სიტყვით სიცოცხლე თავის ბუნებრივ კანონის ძალით ახალ მრავალფეროვანებათა ჰქმნის. თვით ინგლისის კოლონიებმაც შეიძლება მალე ცალკე ეროვნული ცხოვრება დაიწყონ. როგორც ესა ჰქმნეს შეერთებულმა შტატებმა. იგინი შეიძლება ჟამთა ვითარებაში ევროპიელთა სხვა მრავალფეროვანებად გარდიქმნენ.

მაშ რა ჰქმნის კაცობრიობის ერთობას ევროპიელთა ბატონობის თვალთსაზრისით? — ერთად-ერთი საერთაშორისო სამართალი. ეს არის ერთი სუსტი ჯაჭვი, რომელიც თითქოს აერთებს კაცობრიობას, მაგრამ როგორც ერთ წინა თავში ეთქვით, — ეს ერთობაც უფრო მოჩვენებულია, ვიდრე ნამდვილი ერთობა. — მართალია საერთაშორისო სამართალი გაფართოვდა და მთელს ქვეყანას მოედო. მაგრამ ორი რამ არა ჰქმნის მას კაცობრიობის ერთობის შემქმნელად. — ერთი ისა, რომ კაცობრიობის ერთობას მხოლოდ სოციალური ერთობა ჰქმნის, საერთაშორისო სამართალი კი მხოლოდ ერთიდარგია ყერძოდ

სამართლისა, და თვით სამართალი მხოლოდ ერთი დარგია ერთობ სოციალურ-ორგანიულ ცხოვრებისა. — მეორე ეს სუსტი ჯაჭვი საერთაშორისო სამართლისა მაშინვე გასწყდება, როგორც კი დაიძვრის რომელიმე დიდი ნაწილი კაცობრიობის ფონდისა და მოინდომებს ახალ ურთა შექმნას, ახალ საქვეყნო ცივილიზაციის შექმნას და ქვეყანაზედ ბატონობას.

ყველა ამ მოსაზრებით უარ ვყოფთ „კაცობრიობასა", როგორც ერთს სოციალურ ორგანიზმსა, უარ-ვყოფთ მის ერთობას წარსულში და აწმყოში და მომავალშიაც იგი შეუძლებლად მიგვაჩნია.

ერთბაშად რომ ფადავავლოთ თვალი მთელს კაცობრიობას, შეუძლებელია წარმოვიდგინოთ მისი განვითარება, როგორც ერთისა და განუყოფელის ორგანიულის არსისა, მით უმეტეს როგორც ერთის თვით-შემგნების სოციალურის არსისა. მთელი ისტორია კაცობრიობისა, და არა მარტო ისტორია, არამედ მეცნიერება ადამიანის წარმოშობისა და მისი განსაზღვრულ პირობებში ცხოვრებისა ამტკიცებს ამას.

ჯერ დამტკიცებული არ არის, — ადამიანი ერთი წყვილისაგან წარმოიშვა ერთ ადგილზედ, თუ სხვა და სხვა წყვილთაგან სხვა და სხვა კაცის მსგავს ცხოველთაგან, სხვა და სხვა ადგილზედ.

მონოგენისტთა და პოლიგენისტთა შორის კამათი ამ ფრიად საყურადღებო საგნის შესახებ ჯერაც არაფრით დამთავრებულა, თუმცა ვერც ერთს მხარეს ვერ შევსწამებთ ულოღიკობასა და მეცნიერულ საბუთების მხრით სიკოტრესა.

რასათა თავდა-პირველი წარმოშობაც არ იცის მეცნიერებამ. იგი პირდაპირ ამბობს, გულ-წრფელად: პირველიდან იყო ალბად რამოდენიმე რასა, განკერძოებულად მცხოვრები. თვით პროცესსი ისტორიისა არის მათი ურთიერთთან დაახლოვებისა, ბრძოლისა, აღრევისა და საერთოდ მათი მოძრაობის პროცესსიო.

პრეჰისტორია ბნელით არის მოცული და ცოტა-ოდენ ცნობას გვაძლევს საზოგადოდ პირველ-ყოფილ ადამიანთა ცხოვრების შესახებ, მან სრულიადაც არ იცის დანამდვილებით უპირველესნი მოძრაობანი რასათა და მათი დაახლოვების და აღრევის პროცესსი.

ისტორიაშიც ბევრი რამ არის ბნელით მოცული, ბევრი რამაც ვიცით, მაგრამ საერთოდ კი იგი პროცესსია ხალხთა მოძრაობისა და დაახლოვებისა, მათი სოციალური შემოქმედებისა და მხოლოდ ქრისტეს წინად 40 საუკუნის დროის განმავლობას შეიცავს, ქრისტეს შემდეგ კი ახალ ხანასა. და აქაც თვალწინ გვეშლება არა ორგანიული განვითარება კაცობრიობისა, არა ორგანიული განვითარება თვით ერთი რომელიმე მთელი რასისა, ან მისი ნაწილისა, არამედ ზედი-ზედ მოყოლებული გამოსვლა სხვა და სხვა ხალხთა, ერთი ცივილიზაციისაგან მეორეს დათრგუნვა, ერთის მიერ მეორეს ადგილის დაპერა, საურთიერთო ცილობა ქვეყნის ბატონობისა. ეს კიდევ არაფერი, — თვით ისტორიის განმავლობაში, მრავალი ხალხი ისე ვითარდებოდა, ისე ეწეოდა ბრძოლას მეზობელ ხალხებთან, ისე ჰქმნიდა თავის კულტურულ სფეროს, რომ შორეულმა ხალხებმა და მათმა კულტურულმა სფერომ არც კი იცოდა მათი არსებობა. მთელი რასები ამერიკისა, ავსტრალიისა, თვით აფრიკისაც ისე არსებობდნენ, ისე განვლეს მრავალ-საუკუნოვანი ისტორია, რომ არც კი იცოდნენ არაფერი ევროპაზედა და აზიაზედ, არც ამ უკანასკნელებმა იცოდნენ არაფერი მათ შესახებ დიდი ხნის განმავლობაში. აქედან დაიბადა ყოველ აზრს მოკლებული სიტყვა, ევროპიელთაგან შეთხზული, — „არა ისტორიული ხალ-

ხები", — თითქოს მარტო ევროპასა და მის მიერ კარგად ცნობილ ხალხებსა ჰქონდეს ისტორია, თითქოს მარტო იგინი შეადგენდნენ მთელს კაცობრიობას, თითქოს მთელი ისტორია მარტო მათი არსებობის თვალთახედვით განიხილებოდეს.

რაც ისტორია ვიცით, მას შემდეგ ეგრედ წოდებულ ისტორიულ ტერიტორიებზედ, რომელიც ერთი უმცირესი ნაწილი იყო ადამიანთაგან დასახლებულ სივრცისა, --- შუამდინარის მიდამოებში, ირანში, კავკასიაში, მცირე აზიაში, ეგვიპტეში და აფრიკის ჩრდილო ნაპირებზედ, ხმელთა-შუა ზღვაზედ და სამხრეთ ევროპაში და სხვ. რიგ-რიგად და დამოუკიდებლად, სხვა და სხვა დროსა და ერთსა და იმავე დროსაც გამოდიოდნენ ხოლმე — ბაბილონელები, ასსურელები, სპარსელები, ეგვიპტელები, ფინიკიელები, ბერძნები, რომაელები, არაბები, — რომელნიც ჯერ თვითა ქმნიდნენ ეროვნულ კულტურათა, შემდეგ ერთმანეთს ებრძოდნენ, იცნობდნენ, იპყრობდნენ, აარსებდნენ მსოფლიო იმპერიებსა, ჰქმნიდნენ ფართო კულტურულ სფეროებს, — აფართოებდნენ ადამიანთა დაახლოვების ფარგალსა, აფართოებდნენ კაცობრიობის ცნებასა. მაგრამ არასოდეს მათ ამ სხვა და სხვა ხალხთაგან ერთი კაცობრიობა არ შეუქმნიათ. პირიქით, ყოველი აღრეეაც კი ამ სხვა და სხვა ხალხთა შორის ახალ კულტურულსა და ეროვნულ ტიპსა ჰბადებდა, რომელსაც ებადებოდა იგივე პრეტენზია ქვეყნის ბატონობისა, მაგრამ რომლის ცდაც აგრეთვე უნაყოფოდ ჩაიელიდა ხოლმე.

მაგრამ რამდენი იყო ალბად სხვაგან ასეთივე მოედანი ხალხთა ისტორიისა, — შორეულ აღმოსავლეთში, ამერიკაში, აფრიკაში, სადაც საუკუნოები განვლილა და იგივე შეტაკება, ბრძოლა და დაახლოვება ყოფილა ხალხთა შორის ისე, რომ პირველს დიდს სფეროს ცივილიზაციისას მისი არა სცოდნიარა. ამერიკის კაცობრიობა მხოლოდ მე-XV საუკუნეში აღმოაჩინა ევროპის კაცობრიობამ!

მართალია, დროთა ვითარებაში ბოლოს და ბოლოს კაცობრიობის ნაწილებმა გაიცნო ერთმანეთი, უძველეს დროიდან აზია, აფრიკა და ევროპა სცდილობდნენ ურთი ერთის დაახლოვებასა. ომი, ვაჭრობა, მოგზაურობა, მეკობრეობა, რელიგიური პროპაგანდა ქრისტიანეთა, განსაკუთრებით ნესტორიელთა, მაჰმადიანთა, ბუდდისტთა, — აი რა საშუალებით იცნობდნენ ხოლმე ერთმანეთს სხვა და სხვა ხალხები და კულტურული სფეროები. ბოლოს ამერიკაც აღმოაჩინეს, ყველა დასახლებული ადგილები დედამიწისა, მთელი კაცობრიობა, მაგრამ ეს აღმოჩენა არ უნდა განვიხილოთ მარტო აღმომჩენელთა აქტიური თვალთა ხედვით, არამედ პასსიური თვალთახედვითაც, — მათი თვალთახედვითაც, ვინც აღმოჩენილ იყო. აღმოჩენაც არ არის კაცობრიობის გაერთიანება, განსაკუთრებით იმიტომ, რომ ევროპიელებს აღმოჩენილნი ადამიანებად არ მიაჩნდათ და სცდილობდნენ ან თავისი კაცობრიობის მსგავსად ექციათ იგინი, ან მთლად გაექლიტათ, რადგანაც კაცობრიობის ღირსებას მარტო თავის თავს ანიჭებდნენ. ასეთი აღმომჩენლები ხომ მონღოლებიც იყვნენ, რომელთაც მთელი აზია და ნახევარი ევროპა „აღმოაჩინეს", დაიპყრეს და კინაღამ მთლად ერთიანად არ წალეკეს, — აგრეთვე თურქები და სხვა ტულნი ხალხნი.

უძველეს დროიდან და ისტორიულად 60 საუკუნის განმავლობაში არსებობს ასეთი მოძრაობა და აღრეეა ხალხთა და არავითარი მსგავსება კაცობრიობის ორგანიულ ერთობისა არ ეტყობა ამ პროცესსა. — პირიქით, — თვი-

თოეული ახალი რასა, ახალი ხალხი, ახალი ერი სცდილობს თვისი ინდივიდუალობა განამტკიცოს და სხვები დაიპყრას. სამაგიეროდ დაჩაგრულნი წინააღმდეგობას უწევდნენ შემოსეულთა. იწყებოდა ისევ ბრძოლა, განთავისუფლება პყრობილთა, მერმე ისევ ბრძოლა, პყრობა და აღრევა, ~~ისევ ახალ~~ ინდივიდუალობათა შექმნა ამ ბრძოლაში და ასე დაუსრულებლივ. ფონდი კაცობრიობისა არ მცირდებოდა, — არამედ — იზრდებოდა და მრავალფეროვანდებოდა.

მართალია განვითარდა საერთა-შორისო სამართალი. უძველესი დროიდან სჩანდა მისი ნიშნები, თუმცა მკრთალი. ჯერ კიდევ, როცა დასავლეთი მსოფლიო იმპერია რომისა და აღმოსავლეთი მსოფლიო იმპერია ჩინეთისა ურთიერთს შეეხენ, მაშინ მოინდომეს რეგულიარულ კავშირის განმტკიცება აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის, — მაგრამ ამაოდ. შემდეგ არაბთა დასავლეთი იმპერია და იგივე ჩინეთის აღმოსავლეთი იმპერია შეეცადნენ ამავე კავშირის განმტკიცებას, მაგრამ ამ ცდამაც ამაოდ ჩაიარა, — მონღოლები გაეჩხირნენ შუაში და დაუშალეს. შემდეგ მაჰმადიანთაგან შეშინებული ქრისტიანობა სცდილობდა აღმოსავლეთის მონღოლთა იმპერიასთან კავშირის დაპერას მუსულმანთა წინააღმდეგ, მაგრამ ამ ცდამაც ვერ გამოიღო ნაყოფი. მონღოლთა იმპერია, ეულ ხალხთაგან შემდგარი, არ იყო ისეთ მტკიცე საფუძველზედ დამყარებული, რომ საერთაშორისო სიმართლის შემომქმედად გამხდარიყო. — ესე ყოველი იყო ძველად ცდა კაცობრიობის უდიდეს ნაწილთა შორის კავშირისა.

უძველეს დროიდან აგრეთვე თვით მეზობელ ხალხთა შორისაც იკვროდნენ ხელ-შეკრულებანი, მაგრამ იმ დროს ომი იყო უმთავრესი მოქმედება ხალხთა და ამ ხელშეკრულებებსაც დიდი ფასი და სიმტკიცე არა ჰქონდათ. მხოლოდ ევროპამ განავითარა საერთაშორისო სამართალი ჯერ ვიწრო სოციალურ ჯგუფთა შორის, მერმე სახელმწიფოთა შორის. და როდესაც გაძლიერდა მისი მხედრობა, მეცნიერება, ვაჭრობა-მრეწველობა, დაარსდა თანამედროვე დიდი სახელმწიფოები, — მთელი ქვეყანა შეიყვანა ევროპამ ამ საერთაშორისო სამართლის სფეროში. მაგრამ, როგორც არა ერთხელა ვსთქვეთ, მარტო საერთაშორისო სამართალი ვერა ჰქმნის კაცობრიობის ერთობასა, იგი არ არის ნამდვილი პატივისმცემელი სხვა და სხვა სოციალურ ჯგუფთა, არამედ პატივისმცემელი არსებულ სახელმწიფოთა უკანონო უფლებათა. სწორედ ამავე საერთაშორისო სამართლის და ზნეობის სახელით მრავალი ერი განთავისუფლდა და საერთაშორისო სამართალმა მიიღო იგი თავის სფეროში, მრავალი ერი ეხლაც სცდილობს განთავისუფლებასა. ამით საერთაშორისო სამართლის მოძრაობა წინააღმდეგია დღევანდელ დიდ სახელმწიფოთა. ეს წინააღმდეგობა ღრღნის თვით თანამედროვე საერთაშორისო სამართალსა. ინდოეთი მაგალითად, ეს უდიდესი, 200 მილიონზედ მეტი ფონდი ადამიანთა, დამოუკიდებლობას თხოულობს საერთაშორისო იდეალურ სამართლის ძალით, მომქმედი საერთაშორისო სამართალი კი ინგლისის უფლებას იცავს, რომლითაც ინდოეთი ხელუხლებელი მფლობელობაა ინგლისისა. მაგრამ თუ ინდოეთი განთავისუფლდა, ამავე საერთაშორისო სამართალმა უნდა მიიღოს იგი თავის სფეროში, ინგლისთან თანასწორად უნდა აღიაროს. შემდეგ შეიძლება ინდოეთმა მთელი ევროპაც წალეკოს და ახალი „საერთაშორისო სამართალი გააჩინოს!.. — აი როგორა ქმნის თანამედროვე საერთაშორისო სამართალი კაცობრიობის ერთობასა!

ვაჭრობა-მრეწველობა, ცოდნა, ტეხნიკა, — ვერც ყოველივე ესე აერთებს კაცობრიობას ერთ ორგანიულ სხეულად. — პირიქით, — სწორედ იგია გამღვიძებელი და ამმოძრავებელი კაცობრიობის ფონდისა. ევროპის კაპიტალიზმი, კულტურა, მეცნიერება, — მთელი წამბაძველობა ევროპისა — აზიის, აფრიკის და სხვა ხალხთა მიერ, ამ უკანასკნელთა ინდივიდუალობის ძალას ასკეცებს, სურვილს უღვიძებს ბრძოლისას, თავის დაცვისას, შემდეგ კი ბატონობისასაც. აბაშეთმა იტალია დაამარცხა. იაპონიამ, ამ „არა-ისტორიულმა ერმა“, რუსეთი დაამარცხა. ეხლა მისი ბატონობა უზრუნველ-ყოფილია შორეულ აღმოსავლეთში. იგი ხელად შეიქმნა ახალ-ისტორიულ ინდივიდუალობად და სხვებს მიემატა. ჩინეთი ევროპის კულტურის შეთვისების გზაზეა, — იგიც ამოძრავდება და დაიძერის დასავლეთისაკენ. ინდოეთმა გაიღვიძა, — მან ინგლისი ინგლისისავე კულტურული ძალით უნდა დაამარცხოს და შექმნას მომავალი. თითქმის ორი მესამედი კაცობრიობისა ამ გზაზეა და როდესაც იგი მთელს ცოდნას, მეცნიერებასა, ტეხნიკას და ეკონომიურ ძალას შეიძენს, — იგი ბრძოლას გამოუცხადებს დასავლეთსა „ახალი კაცობრიობის“ შესაქმნელად. ეჭვს გარეშეა, რომ გამარჯვება მათია, როგორც უფრო მრავალ-რიცხოვანთა. ეს ბრძოლა უკვე დაიწყო და მათი გამარჯვებით გათავდა ჯერ-ჯერობით. ამგვარად, თვით ტეხნიკა და მეცნიერება, მთელს ქვეყანაზედ რომ გავრცელდა, შემაერთებელი კი არ არის კაცობრიობისა, არამედ მიზეზი ახალ ბრძოლათა, წყარო ჩვენთვის წარმოუდგენელ მომავალ **ისტორიისა.**

თითქმის მილიარდი ადამიანია დღეს კაცობრიობის ფონდი, იგი ძალას იკრებს, ინდივიდუალობა უღვიძებათ ათასის წლობით მძინარე ხალხებსა, — ნიჭიერთა, კულტურის შემთვისებელთა და პროგრესსის ნიჭის მქონეთა. მომავალში მათ უნდა დაიწყონ ახალი სერია ისტორიულ ეპოქათა, რომელთათვისაც ევროპის ისტორია. ისეთივე წარსული იქმნება, როგორც ჩვენთვის რომის ისტორიაა მილიარდ ხალხის დაძერა, ბრძოლა, ქვეყნის წალეკვა, ერთი სიტყვით ხანგრძლივი მომავალი ისტორია და სოციალური შემოქმედება ჟამთა ვითარებაში ათასნაირ სოციალურ ინდივიდუალობას, ათასნაირ ერს შექმნის. ხელახლავ განმეორდება წარსული, — ერთა ბატონობა, მონობა, მათი სულის კვეთება, ბრძოლა თავისუფლებისათვის, გაჭრობა ან წარმატება, ახალ ნარევ ერთა შექმნა და სხვა და სხვა, — დაუსრულებლივ, სანამ სულ მთლად არ ამოიწურება ფონდი კაცობრიობისა და მთელი მილიარდ-ნახევარი კაცობრიობა დაახლოვებით ერთ კულტურულ სფეროს არ წარმოადგენს. მაგრამ, ვინ იცის, იქნებ ამ საერთო კულტურულ სფეროში უფრო მწვავეც იქმნეს ბრძოლა სხვა და სხვა სოციალურ ინდივიდუალობათა შორის. მართალია, დღეს უფრო ადვილია მოძრაობა ერთა, უფრო მალე თავდება საშინელი დუელები ერთა და კულტურათა შორის, მაგრამ რა არის ძველი კაცობრიობა შედარებით ახალთან, — ან სიმრავლითა და ან სოციალურის ცხოვრების სირთულითა. თუ აქამომდე მარტო ისტორიას დასჭირდა 60 საუკუნე და ოდნავ მაინც ვერ განვახორციელეთ ერთობა კაცობრიობისა, — რამდენი დრო დასჭირდება თანამედროვე კაცობრიობის ფონდის- ამოწურვასა და ერთ კულტურულ სფეროს შექმნას?

მერმე, — განა ასეთ პროცესსის დროს მთელი კულტურანი არ იღუპებიან? — ვინ იცის, ეს ახალი ისტორია რამდენს კარგს ძველს დათრგუნავს, რომლის შექმნასაც თვითონვე შემდეგ საუკუნოებს მოანდომებს? — თუმცა, რასაკვირველია, დღეს უფრო იციან ჩინელებმა და იაპონელებმა ფასი ევროპის კულტურისა, ვიდრე ვანდალებმა იცოდნენ ფასი რომის კულტურისა!..

მაგრამ, განვიმეორებთ, კიდევაც რომ შესაძლებელი იყოს ერთი კულტურული სფეროს შექმნა მთელი კაცობრიობისათვის, მაინც შეუძლებელია ერთი ორგანიული სხეული კაცობრიობისა, როგორც ერთი საზოგადოებრივი ორგანიზმი. მრავალფეროვანება ბუნებისა და სიცოცხლისა მრავალფეროვანებას წარმოშობს ყოველთვის სოციალურ ცხოვრებაში, და სხვა და სხვა ერნიც და სოციალური ჯგუფებიც, — განსაკუთრებული ენით, რელიგიით, კულტურითა და ტიპით — ყოველთვის იქმნებიან, — კიდევ უფრო გაიზრდება მათი რიცხვი, კიდევ უფრო ეცდება ყველა განავითაროს თავისი ორიგინალობა. კულტურული სფეროს ერთობა კი წარმოსადგენია. ევროპაში ძლიერ ინდივიდუალობის მქონე ერები არიან, მაგრამ კულტურული სფერო ერთი აქვთ, თუმცა ასეთ მკიდრო საერთო კულტურულ სფეროს შექმნაც მხოლოდ პატარა სივრცეზედ შეიძლება, როგორიც ევროპაა. უკვე კულტურული სფერო ამერიკისა თანდათან ოდნავ განსხვავდება ევროპისაგანა და კაცობრიობაშიაც შეუძლებელია დამყარდეს ისეთი საერთო კულტურული სფერო, როგორიც ევროპაში, ხოლო ინგლისელი და ჩინელი რომ არ წარმოადგენდეს ორს ურთიერთისაგან ძლიერ დაშორებულ ნიმუშს კაცობრიობისას, — ეს კი წარმოსადგენია.

ასეთია კაცობრიობა. იგი მოძრავია, და ამ მოძრაობაში სრულდება მისი სოციალური შემოქმედება. შექმნა და შეცვლა ერთა, კულტურათა. განახლება ისტორიისა.

ბევრი ხომ არა გგონიათ მაინცა და მაინც კაცობრიობა. იგი ძალიერად ნახევარია. ელიზე რეკლიუს ანგარიშით, თანასწორად რომ გავანაწილოთ ხმელეთზედ ყველა ადამიანები, ურთი-ერთისაგან თანასწორ მანძილზედ, თვითოს მოუწევს 9 ჰექტარი, ანუ 900,00 ოთხ-კუთხი მეტრი. თავის ირგვლივ 300 მეტრზედ იგი ვერ დაინახავდა თავის მეზობელსაც. ყველას კი ერთად რომ მოუყარო თავი და იმდენი ადგილი დაუთმო, რაც რომელიმე კრების დროს უჭირავს ხოლმე საზოგადოების თვითოეულ წევრს, — დაახლოვებით ერთი ოთხ-კუთხი მეტრი, — მაშინ მთელი კაცობრიობა დაეტეოდა 1600 ოთხკუთხ კილომეტრზედ, ანუ ხმელეთის ზედა-პირის $^1/_{9000}$-ზედ. ლონდონი თავისი მიდამოებით დაიტევდა მაშინ მთელს კაცობრიობას. — მაგრამ მოძრავია კაცობრიობა და ერთ ადგილზედ გაჩერება მას საუკუნოდ არ შეუძლია. ისტორია რომელიმე ხალხისა კაცობრიობის სიცოცხლის დროსთან შედარებით ერთი წამია, მაგრამ ამ წამშიაც მოძრაობს ეს ხალხი და სწორედ ამიტომაცა ჰქმნის ისტორიასა. ხანდახან ჰგონიათ ხოლმე, რომ მარტო რამოდენიმე ერის მოძრაობაა ისტორია, მარტო მათი ბატონობაა კაცობრიობის მხსნელი და შემაერთებელი, როგორც ეს ეგონა რომსა, ჩინგის ხანსა, როგორც ესა ჰგონია ევროპასა. მაგრამ მის ნანგრევებზედ ამასვე იფიქრებს ახალი ბუმბერაზი. საკვირველი მხოლოდ ის არის, თუ რად ფიქრობს ასეთნაირად კაცობრიობაზედ ბევრი თანამედროვე დიდი გონების ევროპიელიცა, რადა ჰგონია მას თავისი ბატონობა ან ცოდნა კაცობრიობის ერთობის განმამტკიცებელი? რათა აქვს მას დამალული გრძნობა, რომლითაც იგი კაცობრიობასა და ევროპას ერთსა და იმავე მოვლენადა სთვლის? — თავმოყვარეობით თუ გონების სიეიწროეით? რასაკვირველია თავმოყვარეობითა. მისი რწმენა ევროპის მარადისობისა ისეთივე მტკიცეა, როგორიც რომაელსა ჰქონდა რომის მარადისობისა. რომაელისთვის რომ ეწინასწარმეტყველა ვისმე და დაეხატა საშუალო საუკუნოები, — გიჟად ჩასთვლიდა...

დაუსრულებელი მრავალფეროვანება კაცობრიობის სოციალური შემოქმედებისა, — აი რა არის მისი სიცოცხლის კანონი. ერთფეროვანება არც შესაძლებელია და არც სასურველი. იგი სიკვდილი იქმნებოდა. როგორც ისეთი საზოგადოება არ ვარგა, სადაც ორიგინალური ინდივიდუალობა არ არის, ისე კაცობრიობა არ ვარგა, სადაც საზოგადოებრივი ორიგინალური ინდივიდუალობა არ არის. ასეთი კაცობრიობა ჩლუნგი და მკვდარი იქმნებოდა. იგი ცოცხალ შემოქმედების ისტორიას ვერ შექმნიდა...

მხოლოდ ერთი რამ გაუადვილებდა საქმეს სოციოლოგიის მეცნიერებასა: არ არის არც ერთი მოვლენა ქვეყანაზედ, რომელსაც იმდენი შემთხვევითი ელემენტი ქმნიდეს, რამდენიც ერევა ისტორიულ მოვლენის შექმნაში. თუ კაცობრიობის ფონდი ამოიწურა, თუ დაახლოვებით მაინც მთელი კაცობრიობა ერთ კულტურულ სფეროში შეიდა, თუ მთელმა კაცობრიობამ მართლაც განავითარა საერთაშორისო სამართალი ისე, რომ საზოგადოებანი არ შეიქმნენ ხოლმე წამდაუწუმ მსხვერპლნი დაცემისა და განადგურებისა, თუ ყველამ იცხოვრა თავის უფლებათა და ვალდებულებათა შეგნებით, თუ წამბაძველობის ტალღამ რეგულიარული სრბოლით იწყო ღელვა თანაბრად მთელს კაცობრიობაში, — მაშინ კონკრეტულ საზოგადოებათა განვითარება უფრო რეგულიარულის წესით მოხდება და განყენებულ სოციოლოგიასაც ნაკლებად გადაეღობებიან წინ შემთხვევით მოვლენათა სიძნელენი, რომელნიც ხელს უშლიან სოციალურ კანონთა კვლევას. იგი მაშინ უფრო წმინდა სოციალურ შემოქმედებისა და უფრო რეგულიარულ წამბაძველობის სფეროში აღმოაჩენს საზოგადოების განვითარების განყენებულ კანონთა.

თავი მეცამეტე

ერის თეორიები

მრავალია ლიტერატურაში ერის შესახებ ნალაპარაკევი, თუმცა, საკვირველია, ამ ფრიად საყურადღებო საგნის სპეციალურნი კვლევანი შედარებით ფრიად ცოტანი მოიპოვებიან.

რამოდენიმე კიდეც დავასახელეთ წინად, რამოდენიმე ამ თავში განვიხილოთ.

მაგრამ ზემოდ-ნახსენებ თეორიათაგან ზოგიერთი ისეთი ღრმა იყო, რომ არ შეგვიძლია ჯერ მათ არ დავუბრუნდეთ.

ბევრია ისეთი მწერალი, რომელიც ერთმანეთში ურევს ერისა და რასის ცნებათა. მაგრამ ეს, რასაკვირველია, შემცდარი აზრია. მართალია, ოდესმე რასაც სოციალური შინაარსისა უნდა ყოფილიყოს, მაგრამ დღეს აღარსად აღარ არის წმინდა რასა. ყოველი რასა ნარევია. ენის ნათესაობაც არაფერს არ ამტკიცებს, მაგალითად არიულ ენათა ნათესაობა ურთი-ერთისა. შესაძლებელია ჟამთა ვითარებაში ერთი შტოის ენა სრულიად სხვა ეთნიურ ჯგუფის კუთვნილებად გადიქცეს წამბაძველობისა, დაპყრობისა და სხვა მიზეზთა გამო. ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ დღეს არც არიული, არც სემიური, არც მონღოლთა რასა ერთ ერს, ერთ სოციალურ ორგანიზმს არ წარმოადგენს, არამედ სხვა და სხვა ერთა და სხვა და სხვა კონკრეტულ სოციალურ ორგანიზმთა, რომელთაგანაც თვითოეულს აქვს თავისი საკუთარი ინდივიდუალობა და შეგნება ამ ინდივიდუალობისა მეტისა თუ ნაკლების სიძლიე-

რით. სოლომონ რეინაკი მართალია, როდესაც ამბობს თავის „L'origine des nationalités"-ში, რომ ცნება „რასა" თავის დღეში არ მიგვითითებს ისტორიულ ტრადიციებზედ, არამედ ლინგვისტურ ფაქტებზეო. — ისტორიული ტრადიციები კი მართლაც დამახასიათებელია ერისა, იგი პირდაპირ იგულისხმებს პიროვნება განვითარებულ სოციალურ ინდივიდს, რომელსაც შეუძლია ჰქონდეს ისტორიული ტრადიცია. ერის ცოცხალი და თვით-შემგნები ინდივიდუალობა თავისივე ხელით საკუთარის ისტორიის წერაში უზენაესად გამოიხატება.

მაგრამ ჩვენ აქ უფრო ერის წმინდა განსაზღვრა გვაინტერესებს.

ამ მხრით კი ვერ გვაკმაყოფილებენ ვერც თვით დიდი მეცნიერები საერთაშორისო სამართლისა. ერნესტ ნისი ამბობს, — „განხორციელება საერთო მიზნისა", — აი რა არის ერიო". (Le droit International, I p. 338). მაგრამ მარტო ამის თქმა არ არის საკმარისი. თუ ერი რეალიზაციაა საერთო მიზანთა, — მაშასადამე იგი ცოცხალი, მიზნის დასახვის ნიჭის მქონე არსი ყოფილა. საჭიროა მაშასადამე გარკვევა და ყოველ-მხრივი ანალიზი ამ ქმნილების არსებისა. ამას კი ვერსად ვერა ვხედავთ მის მრავალ თხზულებაში. იქ ბევრია ნალაპარაკევი სახელმწიფოზედ, სახელმწიფოთა საზოგადოებაზედ და სხვა, — მაგრამ ვრცლად და სპეციალურად ერზედ, არსად.

დიდი მნიშვნელობა არა აქვსთ არც ძველ თეორიებს, — ვიკოსას, ფიხტესას, ჰეგელისას და მრავალთა სხვათა, რომელნიც სცდილობდნენ სოციოლოგიის შექმნას, მაგრამ ვერ შეჰქმნეს, და ამიტომაც მათი განსაზღვრანი ერისა სრულიად ვერ გვაკმაყოფილებენ. უმეტეს ნაწილად ისინი ერსა და სახელმწიფოს ერთმანეთში აღრევენ; ხშირად თვით სახელმწიფოს განსაზღვრასაც არა აქვს არავითარი საფუძველი წმინდა სოციოლოგიური მხრით. პირველი შეხედვით, მაგალითად ჰეგელის განსაზღვრა სახელმწიფოსი სწორად მოჩვენება კაცს. მისი აზრით „სახელმწიფო არის სოციალური სუბსტანცია, რომელმაც თვით-შეგნებას მიაღწია". ეს განსაზღვრა თითქოს სწორია, თუმცა არასოდეს საკმარისი. მაგრამ თუ მის მთელს თეორიას გავითვალისწინებთ, მყისვე დაეწმუნდებით, რომ ეს განსაზღვრა სრულიად შემთხვევითია, და ნამდვილად ჰეგელს არავითარი ნამდვილი სოციალური წარმოდგენა არა ჰქონია არც საზოგადოებაზედა და არც სახელმწიფოზედ, არამედ წმინდა მეტაფიზიკური და თანამედროვე სოციოლოგიის მხრით ფრიად უცნაური. აგრეთვე ფიხტეს განსაზღვრანი სახელმწიფოსი და ერისა, თუმცა ნისი მათ იხსენიებს, ეხლა არავითარი ღირებულებისანი არ არიან. ამ ფილოსოფოსის განსაზღვრანი მხოლოდ თავიანთი რადიკალიზმით თუ მოისყიდიან მკვლევარს, თორემ სოციოლოგიური მნიშვნელობა არავითარი არა აქვსთ.

მივმართოთ ისევ ახლებს.

როგორც წინადა ვსთქვით, იტალიელი პასკვალე სტანისლაო მანჩინი პირველი მეცნიერი-თეორეთიკოსი იყო ერისა. ჩვენ ვიცით ერთი ამისი მიზეზი. იგი მუშაობდა მეცხრამეტე საუკუნის შუა-გულში, როცა გამწვავებული იყო ეროვნული საკითხი, როცა იტალია განთავისუფლებას ლამობდა. სწორედ მაშინ იყო იდეიური ნიადაგი ერის თეორიის შექმნისა, რომ მისი უფლების აღიარებაც მკვიდრ საფუძველზედ ყოფილიყო დამყარებული.

მანჩინიმ უკვე მოხსენებულ თხზულებაში „Della nazionalità come fondamento de dritto delle genti" etc. ორ კონკრეტულ სოციალურ არსად აღიარა ოჯახი და ერი. ეს არის ორი ფორმა, რომელშიაც იხატება ბუნებრივი საზოგა-

დოებრივობა ადამიანთა. ერს ახასიათებს ტერრიტორია, რასა, ენა, ზნე-ჩვეულება, ისტორია, რელიგია, რაიცა ერთად ჰქმნის ერის ბუნებასა. მაგრამ ამას ემატება ერთი უმთავრესი, მომქმედი ელემენტი, — თვით სული, რომელიც აცხოველებს ერის არსებასა; ეს არის ეროვნული შეგნება, გრძნობა, რომელიც ერს ამოქმედებს ცხოვრების შინაგან და გარეგან სფეროებში. ზნეობრივი ერთობა, იდეა ეროვნებისა, თვით-შეგნება — აი რა არის სულიერი არსება ერისა, და ამგვარად ერი არის: „ადამიანთა ბუნებრივი საზოგადოება, რომელსაც აქვს ერთობა ტერრიტორიისა, სისხლისა, ზნე-ჩვეულებათა, ენისა, — თანახმად მისი სიცოცხლისა და საზოგადოებრივ შეგნებისა". ასეთი განსაზღვრა ერისა დაახლოებით სრული და სწორია. მაგრამ შეცდომანი აქაც მოიპოვებიან. ჯერ ერთი, — შემცდარი აზრია, თითქოს მარტო ოჯახი და ერი იყოს ფორმა საზოგადოებრივობისა. — ფორმანი საზოგადოებრივობისა მრავალნი არიან. ოჯახი არ არის დასაწყისი ფორმა მისი, არამედ, როგორც თანამედროვე მკვლევარნი ამტკიცებენ, — უფრო პირველყოფილი კომმუნა. ოჯახი შემდეგი განვითარების ნაყოფია — იგი არც საზოგადოება შეიძლება რომ იყოს არამედ ერთი მისი ორგანოა. იქ, სადაც მარტო ოჯახი წარმოადგენს მთელს საზოგადოებრივ ორგანიზმს, — საზოგადოება არ არსებობს, ანუ სრულიად ცხოველურია, პირველ ყოფილი, შემთხვევითი და უბრალო განმრავლების მიზნით შემდგარი. როგორ არსებობდა ადამიანთა შორის ასეთი ოჯახი, ან არსებობდა თუ არა, — ამაზედ არაფერი არა ვიცით რა, რადგანაც ეს იმ დროინდელი ამბავი შეიძლება იყოს, როდესაც ადამიანი ჯერ კიდევ უბრალო ცხოველობას არ გასცილებოდა. — მეორე, — მანჩინის არა აქვს განსაზღვრული საზოგადოდ თვით არსება საზოგადოებისა, სოციალური ფაქტი, არც საზოგადოება, როგორც მთელი რამ, უამისოდ კი ძნელია კონკრეტულ საზოგადოებებზედ საფუძვლიანი ლაპარაკი. შემდეგ, მანჩინის კლასსიფიკაცია სოციალურ მოვლენათა და მათი აღმოჩენა ერის ცხოვრებაში არ არის განხილული საერთო სოციოლოგიურის მხრით. ამიტომაც მათ მარტო აღნიშნავს ავტორი და არა მეთოდიურად ალაგებს, როგორც კონკრეტულ საზოგადოების ელემენტებს. როგორ შეიძლება, მაგალითად, თუ ერის წარმოდგენა არა გვაქვს, როგორც განსაზღვრულ კონკრეტულ სოციალურ ორგანიზმისა. რელიგია მის დამახასიათებლად ჩავთვალოთ, როდესაც ერთი რელიგია შეიძლება მრავალი ერის კუთვნილება იყოს? — სულ სხვაა, როდესაც ერი გვაქვს წარმოდგენილი, როგორც კონკრეტული სოციალური ორგანიზმი, რომელიც თავის ეროვნულ-სოციალურ სფეროში გაატარებს განსაზღვრულ რელიგიასა და ამით შესაფერად გარდაქმნის მას, შეისისხლხორცებს და აქცევს თავის სპეციალურ საზოგადოებრივ ფუნქციად. ან სად არის წმინდა რასა, რომელი ერი შესდგება წმინდა რასისაგან? — ჩამომავლობა ერისა მრავალი შტოიდან მომდინარეობს. მხოლოდ როდესაც ხდება სოციალურ ორგანიზმად, მას შეუძლია შეისვას სხვა და სხვა შთამომავლობის ელემენტი, და მიუხედავად ამისა მაინც დარჩეს სოციალურ ინდივიდუალობად. — ერთის სიტყვით, თუ ერის თეორიას სოციოლოგიური ანალიზი არ უძღვის წინ, არც მისი არსებობის დამტკიცება შეიძლება, როგორც განსაკუთრებული არსისა, და არც მისი ნამდვილი და სწორი განსაზღვრა. ხოლო როცა მანჩინიმ ერი გამოაცხადა ერთად ერთ საგნად საერთაშორისო სამართლისა, — ამას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და აქვს. ამისათვის ერის არსებობის თვალსაჩინო ფაქტიც საკმარისია ნამდვილ საერთაშორისო ზნეობის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. — საერთოდ

კი მანჩინის ანალიზი ერისა, მიუხედავად შეცდომათა, მაინც იმ დროის საუკეთესო ცდაა ერის თეორიის შემუშავებისა.

მეორე შესანიშნავი მწერალი და საერთაშორისო სამართლის მეცნიერი ბლუნჩლი აღწერს ერის წარმოშობასა და აღნიშნავს იმ ძალებს, რომლებმაც შექმნეს ერი. ეს ძალები ჰქმნიდნენ ადამიანთა ბრბოებში საერთო სულსა, საერთო ინტერესთა, საერთო ზნე-ჩვეულებათა. ამ ძალათა შორის მოსახსენებელნი არიან რჯული, რომლის გავლენა ხან მეტი ყოფილა და ხან ნაკლები, ენა, ტერიტორია, ზნე-ჩვეულება, პოლიტიკა. როგორც წინად შევნიშნეთ, რაც ჩვენთვის ერია, იმას ავტორი ხალხს უწოდებს. ხალხია საერთო სულისა და საერთო შთამომავლობის შეგნების მქონე არსი, ხოლო ერი არის სახელმწიფოსაგან შეკავშირებული და მოწესრიგებული ხალხი. უსახელმწიფოდ არ არსებობს ერიო (Théorie générale de l'Etat), — ამბობს ბლუნჩლი.

მაგრამ რა არის თვით ეს სული, ერის შემქმნელი, რა არის რჯული, ზნე-ჩვეულება, პოლიტიკა და სხვა, რომელი არსის კუთვნილებანი არიან იგინი ბუნებაში, რა არის ის არსი, რომელსაც საზოგადოებას ეძახიან, როგორია მისი განყენებული ვითარება და რა დამოკიდებულებაშია კონკრეტული ერი მასთან, — ეს ბლუნჩლის არა აქვს გარკვეული. ამიტომაც იგი ვერ არჩევს ერს, კონკრეტულ საზოგადოებრივ ორგანიზმსა და სახელმწიფოს, რომელიც ერთი ფორმაა საზოგადოებრივობისა, რომელიც შეიძლება ერთ ერსაც ჰქონდეს და მრავალსაც საერთოდ. მართალია, იგი ხალხს აღიარებს იმ არსად, რომელსაც ჩვენ ერს ვუწოდებთ, მაგრამ მაშინ რაღა არის მაგალითად პოლონეთის „ხალხი", ან საზოგადოდ ის ხალხები, რომელთაც უკვე წართმეულიათ სახელმწიფოებრივობა? — ნუ თუ მათ ერებს ვეღარ ვუწოდებთ? — მართალია ხალხი ერის შემადგენელი მასალაა, იგი შთაბერავს სულს ეროვნულ სახელმწიფოს, მაგრამ მარტო პოლიტიკური ორგანო კი ვერა ჰქმნის ხალხს ერად, არამედ საერთოდ კოჰეზია მის ნაწილთა, მის ორგანოთა და ფუნქციათა ჰარმონია. ამასთანავე ხალხი და ერი ორი ცნებაა ერთი და იგივე არსის გამომხატველი, — მხოლოდ სხვა და სხვა მხრით უნდა შეეხედოთ ამ არსსა: როდესაც მისი კოჰეზიისა და ორგანიულ სოციალურ სიცოცხლის მხრით შეეხედავთ — იგი ერია, როდესაც მისი შემადგენლობის მხრით, — იგი ხალხია. — შემდეგ, თუ ფორმულა: „ერი არის ერთობა ადამიანთა, სახელმწიფოს მიერ შეერთებულთა", — მართალია, მაშინ გერმანიის ან ინგლისის იმპერია — ერი ყოფილა, და არა თუ პოლონელები გერმანელებად გამოდიან, არამედ აფრიკის ნეგრები ინგლისელებად! — ეს არევდარევა ცნებათა იქიდან წარმოსდგება, რომ საერთო, განსაზღვრული საზომი, განყენებული ცნება სოციალურისა არა ჰქონია არც ბლუნჩლის, როდესაც ზომავდა სახელმწიფოსა, ერსა, ხალხსა და სხვ.

ბლუნჩლი თვითონვე ებმება წინააღმდეგობაში, როდესაც ამბობს: „ერი იგულისხმებს, რასაკვირველია, სულის ერთობასა ხასიათისა, ენისა და ზნე-ჩვეულობათა ერთობასა, **როდესაც იგი დამყარებულია საერთოდ ხალხზედ.** პირიქით, იქ კი, სადაც იგი დამყარებულია მრავალ ხალხზედ. ან ხალხთა ნაწილებზედ, ერთობა ნაკლებია, ვიდრე ერთ ხალხში. — ერს უმთავრესად დაახასიათებენ: **უფრო სრული ერთობა სამართლისა, მონაწილეობა მართვა გამგეობაში, შეიძლება საერთო ნების გამოჩენისა და საქმით განმტკიცებისა, არსებული კონსტიტუციონალური ორგანოები, ერთი სიტყვით საზოგადოებრივი და იურიდიული პიროვნება**"-ო.

მიაქციეთ ყურადღება ორიეე ნახევარს ამ აზრისას. პირველში ავტორი აღიარებს სახელმწიფოს ორგანიულ ერთობას, როდესაც იგი დამყარებულია ხალხზედ, ხოლო თუ სახელმწიფო სხვა და სხვა ხალხზედ არის დამყარებული, იგი არ წარმოადგენს ასეთს ორგანიულ ერთობასა. — რას ნიშნავს ეს, თუ არა იმის აღიარებას, რომ ერი არის ნამდვილი, ბუნებრივი სოციალური ორგანიზმი, და არა სახელმწიფო, რომელიც ფორმაა ერის ორგანიზაციისა და რომელსაც შეუძლია სხვა და სხვა სოციალურ ორგანიზმთა ძალით შეერთება, რაც აუცილებლად წინააღმდეგობას იწვევს მჩაგვრელთა და ჩაგრულთა შორის? — ერი და სახელმწიფო რომ ერთი და იგივე იყოს, იქნებოდა-ღა განა ასეთი წინააღმდეგობა, იქმნებოდა ღა განა თვითოეულ ერის. ანუ როგორც იგი ამბობს, — ხალხის მისწრაფება საკუთარ სახელმწიფოს დაარსებისადმი?

მეორე ნახევარი ზემოდ მოყვანილი აზრისა ვერ შველის პირველსა, რადგანაც მონაწილეობა მართვა-გამგეობაში, საერთო სამართალი და სხვა ვერა ჰქმნიან ერისა ანუ სახელმწიფოს ორგანიულ ერთობასა. ამას უარ ჰყოფს იგივე ფაქტი, რომ სხვა და სხვა ხალხი, ანუ ჩვენებურად ერი, მთელს რევოლუციებს ახდენს სახელმწიფოს საერთო სამართლისაგან გამოყოფისათვის, სწორედ მის მართვა გამგეობაში არ უნდა მონაწილეობა მიიღოს, არამედ მისი სურვილია საკუთარი სამართალი ჰქონდეს, საკუთრადვე გამოიჩინოს საქმით თავისი ნება და არა საერთო სახელმწიფოსთან ერთად.

ბლუნჩლი თვითონვე გრძნობს ამ წინააღმდეგობასა და თითქმის ასწორებს თავის შეხედულებას ერზედ და სახელმწიფოზედ. აი რას ამბობს იგი: „ჩვენ აღვიარებთ მანჩინისთან ერთად, რომ **ერები, როგორც ისტორიულნი საზოგადოებანი რასისა და კულტურისა, ასულდგმულებენ სახელმწიფოებს ეროვნული ხულითა და ჩვენ ვიცით, რომ თანამედროვე სახელმწიფონი უმთავრესად ეროვნულნი არიან.** მაგრამ ერები, სანამ ისინი ხალხებად არ გადიქცევიან და არ ჩამოისხმიან სახელმწიფოების კანონიერ სხეულებად, — არ არიან იურიდიულნი ძალანი მათ აკლიათ ნების ერთობა და საჭირო ორგანოები ამ ნების გამოსაჩენად; ეს ორგანოები მარტო სახელმწიფოს აქვსო". როგორცა ჰხედავთ ეს პირდაპირ ეწინააღმდეგება ზემოდ ნათქვამსა. იქ ერი და სახელმწიფო ერთი და იგივე იყო, აქ კი ერები, როგორც „ისტორიულნი საზოგადოებანი რასისა და კულტურისა". სახელმწიფოებს ასულდგმულებენ, თანამედროვე სახელმწიფონი ეროვნულნი არიან. მაშასადამე ცნება ერისა სულ სხვაა, ვიდრე ცნება სახელმწიფოსი! — ერებს არა აქვს იურიდიული ძალა საერთაშორისო სამართლის სფეროში, სანამ იგინი „ხალხებად" არ გარდიქცევიან, არ ჩამოისხმიან კანონიერ სახელმწიფო სხეულებადო, — მაშასადამე აქ უკვე ცხადადა სჩანს, რომ ბლუნჩლისაეე აზრით ერი ყოფილა ისეთი არსი, რომელსაც შეუძლია სახელმწიფოს დაარსება, — ისეთი შემომქმედი სოციალური ორგანიზმი, რომელსაც შეუძლია სახელმწიფოს ფორმა მიიღოს. ამას უწოდებს იგი ხალხად გადაქცევას, მაგრამ იგი წინად ამასვე ხალხის ერად გადაქცევას უწოდებდა.

მაგრამ ყველაზედ უფრო საყურადღებო ის არის, რომ ბლუნჩლი შეიძლება უმაღლესი კეთილშობილური გრძნობით, უზენაესი სამართლიანობით გატაცებული, პირდაპირ ამბობს: „**თვითოეული ერის მისსია არის ცალკე სახელმწიფოს დაარსება, და მას უფლებაც აქვს ამისა. ქვეყანა უნდა განიყოს იმდენ სახელმწიფოდ, რამდენ ერადაც კაცობრიობა განიყოფება. დაე, თვითოეული ერი გახდეს სახელმწიფოდ, თვითოეული სახელმწიფო ეროვნულ ორგანიზმად**". — აქ პირდაპირ სჩანს, რომ ავტორისათვის ერი და სახელ-

მწიფო ერთი და იგივე არ არის. თუ ზემოხსენებულ ამონაწერებში სახელმწიფო უპირველესი პირობა იყო ერის არსებობისა, აქ ერია შემოქმედი სოციალური ორგანიზმი, რომელმაც სახელმწიფო უნდა შექმნას. — ყველა ერმა, რამდენიც კი ეროვნება კაცობრიობაში, აქ სახელმწიფოს იდეა ემორჩილება ერის ძირითად იდეასა. — მისი იდეალია აგრეთვე სახელმწიფოთა ეროვნულ ორგანიზმად ქცევა და ერთა მიერ სახელმწიფოთა შექმნა. — სრულიად განსხვავდება ეს აზრი ზემოხსენებულისაგან. აქ ბლუნჩლი სავსებით აღიარებს მანჩინის აზრსა, აქ იგი ნამდვილი მანჩინია. საერთოდ კი ბლუნჩლისაც არა აქვს გარკვეული, თუ როგორ სოციალურ ორგანიზმს წარმოადგენენ ერი და სახელმწიფო, ვერა აქვს განსაზღვრული ნათლად ცნებანი ხალხისა, ერისა, სახელმწიფოსი ურთი-ერთისაგან, არა აქვს განზომილი იგინი საერთო სოციალური საზომითა. ჩშირად ურთი-ერთის წინააღმდეგი განსაზღვრანი აქვს ამ ცნებათა. როგორც ზემოთ დავინახეთ. მაგრამ მასაც მიუძღვის ღვაწლი ერის თეორიის შეძეშავებაში, თუმცა შეიძლება მანჩინიზე ნაკლები.

ერნესტ რენანის თეორია ერისა აგრეთვე ერთი უმნიშვნელოვანესთაგანია (რენანის სიტყვა სორბონნაში 11 მარტს 1882 წელს: Qu'est-ce qu'une nation). 1887 წელს გამოცემულ „Discours et conférences"-ის წინასიტყვაობაში რენანი ამბობს თავის პატარა წიგნაკის შესახებ, სადაც განვითარებულია ერის თეორია: „მე აქ ყოველი სიტყვა ავსწონე; ეს არის ჩემი აღსარება კაცთა საქმეთა შესახებ. და როდესაც თანამედროვე ცივილიზაცია დაიღუპება ერისა, ეროვნებისა და მსგავს სიტყვათა გაურკვეველობის წყალობით, — მე მსურს რომ ეს ჩემი ოცგვერდიანი წიგნაკი მოიგონონ. მე იგი სრულიად მართებულად შ�აჩნიაო"-ო.

„ადამიანიო, ამბობს რენანი, არ ეკუთვნის არც თავის ენას, არც თავის რასას, — იგი ეკუთვნის მხოლოდ თავის თავსა, რადგანაც იგი თავისუფალი არსებაა, მორალური არსება. ხალხთა უფლება თვითონვე გადასწყვეტონ თავიანთი ბედ-იღბალი — ერის ერთად-ერთი საშუალება თანამედროვე გაჭირვებულ მდგომარეობიდან გამოსვლისა, — ერთად-ერთი საშუალება, რომელიც ბრძენს ადამიანს შეუძლია აღიაროს... უზენაეს ენისა, რასისა. ბუნებრივ საზღვართა, გეოგრაფიისა, ჩვენ ვაყენებთ ხალხთა ურთიერ-შორის მორიგებასა, როგორიც უნდა იყოს მათი ენა, მათი რასა, მათი სარწმუნოება. შეიცარია, შეიძლება, მთელს ევროპაში ყველაზედ უფრო კანონიერად შედგენილი ერი იყოს, და იქ კი სწორედ სამი თუ ოთხი ენაა, ორი თუ სამი სარწმუნოება და ვინ იცის რამდენი რასა. ერი ჩვენთვის არის სული, — სულიერი ოჯახი, რომელიც წარსულში ნაყოფია მოგონებათა მსხვერპლთა, სახელოვან საქმეთა, ხშირად საერთო გლოვათა და საერთო სინანულთა; აწმყოში კი იგი ნაყოფია საერთო ცხოვრების განგრძობის სურვილისა, ერთისა და იმავე ეთნოგრაფიულ ჯგუფისადმი კუთვნილებისა; იგი მოგონებაა წარსულში დიდთა საქმეთა აღსრულებისა და სურვილი მომავალში კვლავ დიდთავე საქმეთა ჩადენისა".

შემცდარია ჩვენის ფიქრით, რენანის თეორიაც. ვსთქვათ რომ ადამიანი არ ეკუთვნის არც თავის ენას და არც თავის რასას, რადგანაც იგი თავისუფალი და მორალური არსებაა, მაგრამ წარმოუდგენელია ადამიანი და მისი ზნეობრივი არსება უენოდ, ენა კი ბევრია და ყოველი ადამიანიც უსათუოდ რომელიმე ენით უნდა მეტყველებდეს. ადამიანის კუთვნილება რომელიმე ენისადმი მოასწავებს მის კუთვნილებას რომელიმე სოციალურ წრისადმი, რომელიმე სოციალურ ორგანიზმისადმი. ადამიანი აგრეთვე უეჭველად უნდა ეკუ-

თვნოდეს რომელიმე რასას, ან რასათა ნარევს, რომელიც ბოლოს და ბოლოს უსათუოდ იმუშავებს განსაზღვრულ ტიპსა გარეშე ამ ტიპისა, გარეშე ამ ენისა არ არის კონკრეტული ადამიანი, არ არის მისი ინდივიდუალობა, თავისუფლება. გარეშე განსაზღვრული სოციალური წრისა არ არის აგრეთვე განსაზღვრული ბნეობრივი არსი, მორალური ადამიანი. ისტორიულად განსაზღვრულ სოციალურ წრეში იბადებოდა ეროვნული შეგნება; განსაზღვრული სოციალური ორგანიზმი ხდებოდა თვითშემგნებ ისტორიულ პიროვნებად. — რენანის აზრიც, თითქოს ერი ახალი ცნება იყოს, თითქოს იგი ცნობილი არ იყო ძველ დროს, შემცდარია, რადგანაც, მაგალითად, საბერძნეთი თავისი ენით, რასით, რელიგიით, ერთობ კულტურით — განსაკუთრებულ სოციალურ პიროვნებას წარმოადგენდა, „ისტორიულ ინდივიდუალობასა". საბერძნეთიც ერთი „სულიერი ოჯახი" იყო, თუმცა პოლიტიკური არა, და თუ იქ ხშირად ცალკე პოლისთა" შორის ბრძოლა იყო, — შინაური ბრძოლა ხომ „სულიერ ოჯახშიაც" შესაძლებელია? მაგრამ ეს ბრძოლა განა სპობს ოჯახის ერთობასა? შვეიცარიის მაგალითი სწორედ იმას გვეუბნება, რომ ეროვნული ელემენტების თანხმობა მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუ სოციალური ინდივიდუალობა მათ შორის დაცულია და ერთმანეთისაგან პატივცემული. უამისოდ ყოველი ეროვნული ელემენტი სცდილობს გამოეყოს მჩაგვრელს და დაიარსოს სახელმწიფო ორგანოები, რომ სრულ ინდივიდუალობად გაჰხდეს.

რასათა სხვადასხვაობა რომ ვერა ჰქმნის ერის ერთობასა — ეს ცხადია, რადგანაც ერი არა რასიული ინდივიდუალობაა, არამედ სოციალური. შვეიცარია კი ერი არ არის, არამედ ერთა ნაწილთა პოლიტიკური და რამოდენიმედ სოციალური კავშირი. სრული ჭეშმარიტება არ არის აგრეთვე რენანის აზრი, თითქოს ერი, ისტორიული ინდივიდუალობა, ნაყოფი იყოს წარსულ დიდ საერთო საქმეთა მოგონებისა და მომავალში მათი განგრძობის სურვილისა. ეს მხოლოდ იმ შემთხვევაშია მართალი, თუ ერი საკუთარი შემოქმედების საქმეთ იგონებს, — საკუთარ ენაზედ, საკუთარ რწმენათა თანახმად, თორემ რამდენია მოსაგონელი საერთო საქმე წარსულში მჩაგვრელთა და ჩაგრულთათვის ერთად, — სპარსთა და ქართველთათვის, რუსთა და ქართველთათვის, — მაგალითად, — მაგრამ ამ უკანასკნელთათვის ყოველი ასეთი მოგონება მწარეა, სურვილი კი მომავალში მათი განგრძობისა არ არსებობს, არამედ არსებობს ძლიერი სურვილი მჩაგვრელთან „საერთო მოქმედების" შეწყვეტისა და საკუთარი შემოქმედების დაწყებისა.

მართალია, ერი ისტორიული ინდივიდუალობაა, მაგრამ იგი ამასთანავე სოციალური ინდივიდუალობაა და სწორედ ამიტომ არის იგი ისტორიული ინდივიდუალობა. მართალია იგი „სულიერი ოჯახია", სულიერი პრინციპი, მართალია ბევრი ერი სხვა და სხვა რასიულ და ეროვნულ ელემენტთაგან არის შემდგარი, სხვა და სხვა რჯულის მქონე ელემენტთაგან, მაგრამ იგი ამასთანავე განსაზღვრული, კონკრეტული სოციალური ორგანიზმია, — უწინარეს ყოველისა სოციალური პრინციპი, ყოველი ცალკე სოციალური ორგანიზმი განსაზღვრულ პირობებში გაზრდილა და განვითარებულა, მიუღია განსაკუთრებული ელ-ფერი ეს სოციალური არსება ერისა, მისი სოციალური ინდივიდუალობა არის საფუძველი მისის სულიერის, მისის ისტორიულის ინდივიდუალობისა. და სწორედ ამ მხარეს არ მიაქცია რენანმა ჯეროვანი ყურადღება.

მიუხედავად ამისა რენანის პროტესტი ერთა მიერ სხვა ერთა ძალით შეერთებისა და დაჩაგვრის წინააღმდეგ — უკეთილშობილესი პროტესტია, და საერთაშორისო სამართალი რომ ოდესმე რენანისაგან წამოყენებულ პრინციპს

ერთა ნებაყოფლობით თანხმობისას ნამდვილად აღიარებდეს და განახორციელებდეს, — ეროვნული პრობლემის პრაქტიკული გადაწყვეტა ათასჯერ გაადვილდებოდა. რამდენ სისხლის ღვრას აიცდენდა მაშინ ადამიანი თავიდან! — საუბედურო ჯერ არ მოვესწრებივართ ამ ბედნიერებასა და ვინ იცის, როდის მოვესწრებით?..

საერთოდ რენანის თეორიას ფრიად აკლია წმინდა სოციოლოგიური ანალიზი, რომელიც წინ უნდა უძღოდეს ერის ანალიზსა, რადგანაც ერი განხორციელებაა სოციალური პრინციპისა.

როგორც უკვე ვსთქვით, ერის შესახებ ლიტერატურა ძლიერ მცირეა სხვა საკითხთა ლიტერატურასთან შედარებით, მაგრამ მაინც გვარიანად მოიპოვება იგი. განსაკუთრებით საერთაშორისო სამართლის მეცნიერებს ულაპარაკნიათ ბევრი ამ საგნის შესახებ *, აგრეთვე გაკერით სოციოლოგებსა.

მაგრამ უბედურება ის არის, რომ სოციოლოგებს სპეციალურად ერზედ ძლიერ ცოტა აქვსთ ნათქვამი, საერთაშორისო სამართლის მეცნიერთა და სხვათა კი აკლიათ სოციოლოგიური განმარტებანი და აგრეთვე ბევრი ურთი-ერთში აღრევს ხალხისა, სახელმწიფოსა და ერის ცნებათა.

აქამდის ჩვენ მოვიხსენიეთ ის მწერლები, რომელნიც წმინდა სოციოლოგები არ არიან. ეხლა ორიოდე მაგალითი სოციოლოგებისაც მოვიყვანოთ. მოვიხსენიოთ, მაგალითად, რენე ვორმსი, რომელმაც განავითარა ორგანიული თეორია საზოგადოებისა, და ტარდი, — შეიძლება ყველაზედ უფრო ორიგინალური ფილოსოფოსი სოციოლოგთა შორის. საუბედუროდ არც ამათ დაუწერიათ რა სპეციალურად ერის შესახებ. ამიტომაც მცირე შენიშვნებით დავკმაყოფილდებით.

რენე ვორმსის მთავარ თხზულებებში (Organisme et Société და La philosophie des sciences sociales) მხოლოდ ერთი რამ არის შესანიშნავი ერის შესახებ. იგი განარჩევს ცნებათა: ერისას, სახელმწიფოსას, ხალხისას, საზოგადოებისას. ერი მისთვის მთელი რამ სოციალური არსებაა. ხალხი — შემადგენელი ელემენტებია მისი. სახელმწიფო — მისი ფუნქციონალური მხარეა. ამგვარად ზრდა-დამთავრებული კონკრეტული საზოგადოება რომ ავიღოთ, როგორც განსაკუთრებული არსი, ჩვენ შეგვიძლია მას შევხედოთ ამ სხვა და სხვა თვალთახედვით და მაშინ იგი წარმოგვიდგება ერად, როგორც მთლიანი საზოგადოებრივი არსი, ხალხად, როგორც მთლიანობა, შემდგარი ადამიანთა განსაზღვრულ ელემენტთაგან, სახელმწიფოდ, როგორც მომქმედი საზოგადოებრივი ერთობა. ავტორს რომ განევითარებინა ეს სხემა, შეიძლება ცალკე რთული თეორია შეექმნა ერისა, მაგრამ იგი საუბედუროდ მცირე ანალიზით კმაყოფილდება, საერთოდ კი მისი თეორია განყენებულ საზოგადოებას შეეხება და არა კონკრეტულ საზოგადოებასა, — ერსა.

ტარდისათვისაც ერი და სხვა სოციალური ჯგუფები არიან კონკრეტული სოციალური ორგანიზმები, თუმცა საზოგადოება, მისი აზრით, უფრო ცოცხალი ორგანიზმის ერთ ორგანოს — ტვინსა ჰგავს, ვიდრე მთელს ორგანიზმსა. შესაძლებელია კიდევ ცხოველთა საზოგადოება, ან ძველი საზოგადოებანი, მაგალითად „პოლისი მივამსგავსოთ ორგანიზმსა, მაგრამ თანამედროვე საზოგადოება, სადაც მრავალ ფუნქციებს არა-ცოცხალნი უჯრედნი, არამედ ავტო-

---

* იხ. ზემოხსენებულ თეორიათა შესახებ: E. Nys, Le droit International, t. I, განყ. II, თავი II.

მატები ასრულებენ, უფრო ტვინსა ჰგავს, რადგანაც ხელმძღვანელობა ამ ფუნქციათა ეკუთვნის საზოგადოების გონებრივ ძალებსა" (La Logique Sociale). — არსება საზოგადოებისა ტარდის აზრით არის წამბაძველობა. „რა არის საზოგადოებაო?" — ჰკითხულობს ტარდი, — „წამბაძველობაო". პირდაპირ უპასუხებს (Les lois de l'imitation, p. 80). ამ რიგად განარჩევა იგი კონკრეტულ საზოგადოებისაგან, კერძოდ ერისაგან, როგორც პრინციპი მისი კონკრეტულ განხორციელებისაგან. მოქმედება და ფუნქციათა აღსრულება ცოცხალ არსთათვის აუცილებელი პირობაა მათი შენახვისა და იმ დედა აზრის გავრცელებისა, რომელსაც იგინი ატარებენ. ამისათვის პირველად საკმარისი იყო ერთგვარ მაგალითთა განმრავლება რამდენიმე ხნის განმავლობაში განსავითარებლად. მაგრამ უპირველეს ყოელისა სიცოცხლესა და საზოგადოებრივობას სურს გავრცელება და არა ორგანიზაცია. „ორგანიზაცია მხოლოდ საშუალებაა, მიზანი კი შთამომავლობის განკრძობა ან წამბაძველობაა" (ibid, p. 80) — აქ ტარდი გეაგონებს ბერგსონს. მისთვისაც სიცოცხლე აგრეთვე პრინციპია, რომელიც კონკრეტულად ხორცს ისხამს ცხოველთა და მცენარეთა ფორმებში, ასულდგმულებს მკვდარ ნივთიერებასა.

ეს „ორგანიზაციაა" კონკრეტული საზოგადოება. ერიც ერთი კონკრეტული საზოგადოებათაგანია. „...სხეული არის შეთანხმება გამრავალფეროვანებულ და იერარქიულად დაწყობილ ვიბრაციათა, რომელნიც ცალ-ცალკე მეორდებიან სხვა და სხვა სერიებად, მაგრამ ერთმანეთზედ გადახლართულ სერიებად; ორგანიზმი არის ელემენტარულ შინაგან ზრდათა შეთანხმება, სხვა და სხვათა და ორგანიულთა, შეთანხმება სხვა და სხვა და ერთმანეთზედ გადახლართულ ჰისტოლოგიურ ელემენტების შტოთა. მსგავსადვე ერი არის, შეთანხმება ტრადიციათა, ზნე-ჩვეულებათა, აღზრდათა, მისწრაფებათა, იდეათა, რომელნიც წამბაძველობით ვრცელდებიან სხვა და სხვა გზითა, მაგრამ ურთიერთს ემორჩილებიან იერარქიულად და ძმურად ეხმარებიან ერთმანეთსა". (ibid, p. 76). — ამიტომაც ტარდის აზრით „სულ სხვაა ერი, მსგავსი ჰიპერ-ორგანიულ ორგანიზმისა, რომელიც შესდგება კასტათაგან, კლასთაგან და ურთი ერთის დამხმარე პროფესიათაგან, — სულ სხვაა საზოგადოება" (ibid. p. 70), რომელიც წამბაძველობაა თვით პრინციპია წამბაძველობის გავრცელებისა საზოგადოდ ადამიანთა შორის. „ამას იმ წამსვე ვხედავთო, ამბობს ტარდი, როდესაც ასობით მილიონი ხალხი დენაციონალიზაციას განიცდის და სოციალიზაციის პროცესში გადადის თანდათანაო" (ibid.) — ამით ტარდს არ უნდა სთქვას, რომ ერები აღარ იქმნებიან მომავალშიო, მაგრამ ამაზედ შემდეგ. — საერთოდ ტარდისათვის ყოველი სოციალური ჯგუფი არის „კრებული ადამიანთა, რომელნიც ურთი-ერთს ჰბაძავენ, ან და წაუბაძველად **ერთმანეთსა მგვანან** და მათი მსგავსება წარმოსდგება ძველი რომელიმე საერთო მოდელის წაბაძვისაგან" (ibid, p. 73). აი ეს მსგავსება ჰბადებს კონკრეტულ სოციალურ ორგანიზმსა, რომელსაც განსაკუთრებული პსიხიკა აქვს, და ისეთი, რომ „ყოველ ბუნებრივ მოვლენას განვიხილავთ სამშობლო ენისა, ეროვნული სარწმუნოებისა, რომელიმე გავრცელებული მოქმედებისა, ან გაბატონებულ სამეცნიერო თეორიისაგან განსაკუთრებულ ფერით შეღებილ სათვალეებითა. თუ ეს გამოვაკლეთ ჩვენს დაკვირვებასა, რაც თუ გინდ დამოუკიდებელი იყოს ეს დაკვირვება, — მაინც განჭრება იგი" (p. 47).

თავის მეორე შესანიშნავ თხზულებაში ტარდი ამბობს: „საზოგადოებრივ ორგანიზმის მეტაფორულ შეხედულებაში არის რაღაც ღრმა ჭეშმარიტება, თუმცა დღეს მოდაში აღარ არის ეს შეხედულება. საზოგადოება, თუ ორგა-

ნიზმს არ შეედრების, სამაგიეროდ იგი შეედრება ორგანიზმის უმნიშვნელოვანეს ორგანოს, — ტვინს. სოციალური ცხოვრება არის ეჯერესი ალტეინება ტვინის ცხოვრებისა. მაგრამ სოციალური არსი განირჩევა ცოცხალი არსისაგან ბევრით, უპირველეს ყოველისა მით, რომ იგი ნაკლებად არის განსაზღვრული დროში და სივრცეში. სხვა და სხვა ცოცხალი ინდივიდები, ცხოველები და მცენარეები განირჩევიან და განისაზღვრებიან ცალ-ცალკე ერთი ერთისაგან, იბადებიან და კვდებიან თვითოეულნი განსაზღვრულ დროსა. მაგრამ რა არის სოციალური არსი? — იგი რომ მარტო პოლიტიკური ჯგუფი იყოს. მაშინ შეიძლებოდა იმის თქმა, რომ სოციალურნი არსნი ერთმანეთისაგან განირჩევიან, რადგანაც მათი საზღვრები ნათლად არის გარკვეული. მაგრამ ერნი და სახელმწიფონი ყოველთვის ერთნი და იგივენი არ არიან. ლინგვისტიური ჯგუფი შესდგება სხვა და სხვა სახელმწიფოთა, სხვა და სხვა ხალხთა ნაფლეთთაგან. იგივე ითქმის იურიდიულ ჯგუფებზედ, რელიგიურზედ და **მაშასადამე ეროვნულ ჯგუფებზედ, რომელიც — თუმცა ძნელად განისაზღვრება და განირკვევა, — მაგრამ იგულისხმება ორიგინალურ კომბინაციას ხელოვნისას, ენისას, სამართლისას, ზნე-ჩვეულებათა საერთოდ, — თუ შესაძლებელია ერთ ადგილზედ, ბუნებრივ საზღვართა შორის.** ეს იმასა ჰგავს, სხვა და სხვა ინდივიდები რომ მიკრულნი იყვნენ ერთმანეთზედ ყველა თავიანთი ასოებითა, — როგორც ამაზედ ორი ერთმანეთზედ მიწეპებული მახინჯი გვაძლევს დღეს მკრთალ წარმოდგენასა, — სისხლის ბრუნვა, სულთქმა, საჭმლის გადახარშვა და სხვა რომ ერთსა და იმავე დროს ყველა მათგანის ფუნქცია იყოს, ხოლო თავები რომ ცალ-ცალკე მოქმედებდნენ". (La Logique Sociale, Préface, pp. X—XI). თუმცა ტარდი არჩევს საზოგადოებასა და ორგანიზმსა, თუმცა იგი შემდეგ ამტკიცებს, რომ წინაალმდეგ ორგანიზმისა, საზოგადოებაში სხვა და სხვა მოელენანი სხვა და სხვა დროს იბადებიან და კვდებიან, მაგრამ ორგანიზმშიაც არა ხდება ერთდროული სიკვდილი ყველა ორგანოთა და ფუნქციათა. ტარდისავე აზრით ეს სიკვდილი ორგანიზმში ხდება — presque simultanément, — თითქმის ერთდროულად. რიბო კი ამტკიცებს, რომ სიკვდილი პირველად ეწვევა ურთულეს ორგანოებს, მერმე უმარტივესთა. დე-გრეფი ამ ფაქტზედ აშენებს თავის ანალოგიასა და იკვლევს, რომ რთული სოციალური ორგანოები უფრო მალე გადაშენდებიან ხოლმე, ვიდრე მარტივნიო.

ყოველ შემთხვევაში ტარდის ამ განსაზღვრიდან პირდაპირა სჩანს, რომ მისთვის ერი კონკრეტული სოციალური ორგანიზმია, — მსგავსი თუ მთელის ორგანიზმისა არა, მისი უმთავრესი ორგანოსი — ტვინისა მაინც.

სოციალური ლოღიკისა და ინდივიდუალურ ლოღიკის შორის შეიძლება ანალოგიის გაყვანა. ინდივიდუალური ლოღიკა არის წესი რწმენისა და სურვილის გარდაქმნათა (Log. Sociale). სოციალური ლოღიკა არის წესი მთელი საზოგადოების სურვილთა და რწმენათა გარდაქმნათა. სილლოგიზმები ლოღიკური და ტელეოლოგიური დაახასიათებენ აგრეთვე საზოგადოების სულიერ ცხოვრებასა. მხოლოდ საზოგადოება მოქმედობს მსგავსად სონნამბულისა, რომელსაც შთააგონებენ რამე აქტის შესრულებასა, მას კი ჰგონია რომ თავისუფლად მოქმედებს „წარმოიდგინეთო, ამბობს ტარდი, რომ შთამგონებელი, იმის მაგივრად რომ სანნამბულს გარკვეულად აგონებდეს ყოველ აზრსა და ყოველ აქტს, რომელიც მას უნდა ჰქონდეს და ასრულებდეს, უტოვებს მას არა სრულ თავისუფლებას, არამედ მხოლოდ თავისუფლებას თანამშრომლობის შესაძლებლობისას საკუთარ მიზანთა და აზრებთან. ასეთმა შთამგონებელმა **დოგმები, კანონები** უნდა გაქოსცეს უმაღლესად, გამოაცხადოს

საზოგადო პრინციპები და საზოგადო წესები, რომელსაც იგი ამცნობს თავის მედიუმს, და დაუტოვებს ეგრედწოდებულ თავისუფალ ინიციატივას, ანუ ასე ვსთქვათ დამორჩილებულ თავისუფლებას, ან უნარსა და წესთან მხოლოდ გამოყენებაზედ ზრუნვასა. ასეთი რამ ხდება ყოველთვის, ეხლაც, ამას სჩადიან უმეტესად ნამდვილნი ხალხის წინამძღოლნი, უმეტეს ნაწილად უკვე მკვდარნი, რელიგიათა და იმპერიათა დამაარსებელნი, პოეტნი — ენის კანონმდებელნი, ფილოსოფოსნი და სკულის მდებელნი, დიდი მეცნიერნი და დიდი გამომგონებელნი, კანონმდებელნი და სახელმწიფო „კაცნი". (Logique Sociale, p. 63). საზოგადოებას წამბაძველობა ხდის სონნამბულის მსგავსს. არსად, ლოლიკაც მისი მსგავსია სონნამბულის ლოლიკისა: სილლოგიზმი, რომლითაც საზოგადოება მსჯელობს, სონნამბულის სილლოგიზმის მსგავსია და კონკრეტული „სონნამბული", — ერი ასეთის სილლოგიზმისაგან შესდგება. — მაგვარადო, ამბობს ტარდი, ერი არის რთული სილლოგიზმი, ლოლიკური და ტელეოლოგიური, რომლის უფროსი წინასწარ სჯა არის კრებული მოძღვრებათა და ბრძანებათა ჯერ ღვთისაგან მოვლენილად ცნობილთა, შემდეგ ბეჭდვრიტებათა და უმაღლესად მიჩნეულ ნებათა, — ერთი სიტყვით დოგმათა და „ანონთა; — უნცროსი კი წარმოსდგება ყოველ წამს, ყოველი პიროვნებისათვის, ყოველი მოქალაქისათვის მისი ცხოვრების რომელიმე შემთხვევისაგან, რომელიც მას უჩვენებს დოგმის ახალ გამოყენებას, ან კანონის ახალ აღსრულებას; — ხოლო დასკვნა არის ყოველივე, რაც განისჯების და გადაწყდების, რაც ითქმის და რაც კეთდება ხალხის უმაღლეს პრინციპთა და წესთა თანახმად, ე. ი. დიდი უმეტესობა მოქმედებათა და აზრთა, რომელნიც სწარმოებენ და მუშავდებიან ერის წიაღთა შინა" (ibid).

ერთის სიტყვით, — ტარდის აზრით, ერი — ერთი სოციალური ორგანიზაციაა, საშუალება საზოგადოებრივობის გავრცელებისა, ერთი რთული სილლოგიზმი, მაგალითი სოციალურ ლოლიკურ მსჯელობისა.

საუბედუროდ ტარდს სპეციალურად არ განუვითარებია ერის თეორია, არამედ იგი ერზედ ლაპარაკობს ხოლმე გაკვრით, საზოგადოდ, წმინდა სოციოლოგიურ მსჯელობათა დროს, მაგრამ მისი ზემოხსენებული განსაზღვრანი ფრიად საგულისხმიერონი არიან, რომლებზედაც შეიძლება ერის თეორიის აშენება, და ჩვენ თუ ტარდის სოციოლოგიური თეორია თავიდანვე ხელმძღვანელად არ ავიღეთ, ეს იმიტომ რომ იგი ძლიერ რთულია და ჩვენ საგანს ძნელად გახდიდა. აგრეთვე შეიძლება ბევრში არ დავეთანხმოთ ტარდს, თუ გინდ თვით საზოგადოების განსაზღვრაში. მისთვის ელემენტარული ფაქტი საზოგადოებრივობისა არის წამბაძველობა, — ჩვენ კი ალფრედ ფულლიე მიგვაჩნია უფრო მართლად, რომელიც შენიშნავს, რომ წამბაძველობა არ არის ელემენტარული სოციალური ფაქტი, არამედ მისი დეტერმინანტი: სოციალური ფაქტი კი სულ სხვაა, — კონტრაქტია.

ტარდი აღიარებს კონკრეტულ სოციალურ ორგანიზმთა, ერთა არსებობას, განსაზღვრაც აქვს მათი, მაგრამ მისთვის პრინციპი საზოგადოებრივობისა, წამბაძველობა ისეთის სიძლიერისაა, რომ მას თითქმის შესაძლებლად მიაჩნია ერის მოსპობა წამბაძველობის დაუსრულებელ გავრცელებითა მთელს კაცობრიობაში. მასა სწამს თითქმის ერთი საზოგადოების არსებობის შესაძლებლობა, თუმცა მას ეს სწორედ თითქმისა სწამს და არა სრულად. — საზოგადოება კიდევ მით განირჩევა ორგანიზმისაგანაო, ამბობს ტარდი, რომ „რაც უფრო ზევით ავდივართ ორგანიზმთა განვითარების კიბეზედ, ინდივიდუალობა ორ-

განიზმისა მით უფრო გარკვეულია, ავტონომია მისი უფრო თვალსაჩინოა. პირიქით, რაც უფრო მაღალ საფეხურზედ სდგანან საზოგადოებანი, მათი პიროვნება **არა თუ ნაკლებად რეალური ხდება** (კურსივი ჩვენია). არამედ ნაკლებად განცალკევებული, უფრო და უფრო ხაერთაშორისო. მამამ ანუ ნათლიამ) სოციოლოგიისამ (იგულისხმებს ოგიუსტ კონტს) შესძლო წარმოედგინა კაცობრიობა, როგორც ერთი დიადი არსი; თავის დღეში მას აზრადაც არ მოუვიდოდა გაეპიროვნებინა ყველა ცოცხალ არსთა კრებული" (Logique Sociale, Préface,, p. XI.). მართალია, აზრადაც არავის მოუვა ცოცხალ არსთა ევოლუციის ვითარებაში წარმოიდგინოს ერთად ერთი ცოცხალი ორგანიზმი, ან გააპიროვნოს მათი კრებული, მაგრამ ისიც მართალია, რომ როგორც მხოლოდ ერთი სახის არსებობისათვის ბრძოლაში გადარჩენა ან შექმნაა შეუძლებელი ცხოველთა ევოლუციის ვითარებაში, ისე ერთი საზოგადოებისა, რადგანაც, როგორც ზემოდ ვილაპარაკეთ, ერთფეროვანება ბუნებაში და საზოგადოებაშიაც შეუძლებელია. როგორც აგრეთვე წინადა ესთქვით, არც არის არავითარი საბუთი დღეს ვიფიქროთ, რომ ოდესმე ერთ ორგანიულ საზოგადოებას წარმოადგენს მთელი კაცობრიობა. ეს არც ტარდსა სწამს სრულად და ამიტომაც ამბობს — საზოგადოებათა რეალობა არ ისპობა, არამედ საზოგადოებანი ურთი-ერთის ემსგავსებიან. საერთაშორისო ელფერი ედებათო. მაგრამ ერთა მოსპობა არ არის საერთაშორისოდ გარდაქცეული აგრეთვე. წინააღმდეგ ტარდის აზრისა, ჩვენა გვგონია, რომ განვითარებასთან ერთად საზოგადოებას სწორედ პიროვნება უვითარდება მსგავსად კერძო ადამიანისა. კერძო ადამიანი შეიძლება ბევრ რამეში სხვებსა ჰგავდეს, მაგრამ ბევრი მხრით ანვითარებდეს საკუთარ პიროვნებასა. ორ-მხრივი განვითარება ორგანიულ არსთა: — 1) განვითარება მათ იდენტიურ თვისებათა და ორგანოთა. — 2) განვითარება მათ ინდივიდუალობათა — ურთი-ერთს არ ეწინააღმდეგება. ურთი ერთის დამატებაა იგი, და არა ურთი-ერთის უარყოფა. აგრეთვე საზოგადოებამ შეიძლება ბევრი მსგავსი რამ მოიპოვოს სხვა საზოგადოებათა წაბაძვითა. შეიძლება ყველა საზოგადოება გარეგნულად და შინაგან მხრითაც ურთი ერთს დაემსგავსოს, მაგრამ ინდივიდუალობა მათი კიდევ უფრო განვითარდეს—კერძოდ ენა, სარწმუნოება, სამართალი, ლიტერატურა, ხელოვნება და სხვა. მაგალითად, რაც ვითარდება გერმანია, მისი ინდივიდუალობაც ვითარდება. ლირსშესანიშნავი მოვლენაა ამ მხრით, რომ გერმანული მეცნიერება სცდილობს საერთაშორისო ლათინური ტერმინები ეროვნულ გერმანულ ენაზედ შეჰქმნას.—ავიღოთ აგრეთვე ენათა შესწავლის განვითარება თანამედროვე კულტურულ ერთა შორის პოლიგლოტიზმი ისეთი საზოგადო მოვლენაა ეხლა, როგორიც წინად არასოდეს არ ყოფილა, და პოლიგლოტი არასოდეს არ ივიწყებს საკუთარ ენასა. — წიგნების თარგმნა ერთი უმნიშვნელოვანეს მოვლენათაგანია ეხლანდელ დროში, უფრო ფართოდ დაყენებული საქმე, ვიდრე წინად, და თუ ერთის მხრით თვით ფაქტი წიგნის გადათარგმნისა მაჩვენებელია წამბაძველობისა, მეორეს მხრით იგი **ეროვნულ ენაზედ** გადმოტანაა სხვის ნაწარმოებისა, მაშასადამე შემატება ერის ინდივიდუალურ კულტურისა. ამასთანავე თარგმნა არა თუ არ უშლის ორიგინალურ შემოქმედებას, არამედ ახალ გზაზედ აყენებს მასა, ახალ აღმოჩენათა, ახალ შემოქმედების წყაროა. — ესეევე ითქმის სოციალურ მოვლენათა ყველა დარგის წამბაძველობით გავრცელებაზედ. წამბაძველობა არა თუ არა სპობს ინდივიდუალობას განვითარებულ ერებში, არამედ უფრო ამავე ინდივიდუალობის განმავითარებელია, — ყოველ შემთხვევაში არა მისი წინააღმდეგი, როგორც პოლიგლოტობა არ არის წინააღმდეგი ეროვნული ენის ცოდ-

ნისა, გავრცელებისა და განწმენდისა, და უცხო ლიტერატურის თარგმნა— ეროვნულ ლიტერატურის განვითარებისა, ტარდიც სავსებით არ უარ-ყოფს ამასა.

თავის წიგნის Les lois de l'Imitation-ის ბოლოში ტარდი წამბაძველობის კანონებს ასახელებს. პირველი კანონი არის — გავრცელება წამბაძველობისა უსაზღვროდ. მეორე კანონი არის ის, რომ წამბაძველობის ფორმებს ინახავს ტრადიცია და ჩვეულება, მესამეც ის არის, რომ თესლი წამბაძველობისა, რომელიც წამბაძველის თავში ჩნდება რომელიმე მისწრაფებისა, რწმენისა ან იდეის სახით, ვითარდება თანდათანობით და გარეგნულად ხორციელდება, — იხატება ენითა და მოქმედებითა, გადადის და ერევა ნერვების სისტემასა და მთელს სხეულს, თანახმად შიგნიდან გარეთისაკენ მისწრაფების კანონისა და სხვ. — აი ამ კანონთა წყალობით წამბაძველობა მარტო ცალ-მხრივი კი არ არის, არამედ საურთიერთოდ ხდება, იგი მთელს კრებულს ადამიანთა განწყობილებისას ედება. ამიტომაც მოვისწრაფით ერთფეროვანებისაკენ, და თვით საერთაშორისო დამოკიდებულებაში ასპარეზი თავისუფალ წამბაძველობისა იზრდება განუწყვეტლივ. — ეს არის მიზეზი კასტათა, კლასთა, ეროვნებათა შორის საზღვართა მოსპობისაო. მაგრამ ამავე დროს ტარდი არ ამბობს, თითქოს მსოფლიო განმეორება, რომლის სოციალური გამოჩენაც წამბაძველობაა, მსოფლიოს ძირითადი არსება იყოს. იგი ამბობს: „მისი არსება არის შინაგან განსხვავებათა რომელიმე რაოდენობა; ეს განსხვავებანი მოუსპობელნი, მარადისნი არიან; უამისოდ ქვეყანა ისეთივე ერთფეროვანი იქმნებოდა, როგორც იგი უსაზღვროაო“ (p. 413). ამიტომაც საქვეყნო ტენდენცია ერთი დიდი საზოგადოებისადმი თუმცა არსებობს, მაგრამ სამაგიეროდ კონსოლიდაცია ზნე-ჩვეულებათა, ის კანონი, რომ „მოდის“ (la mode) წინააღმდეგი მოვლენა, — ჩვეულება ყოველთვის არსებობს, შეუძლებელ ჰყოფს ერთის მსოფლიო საზოგადოების შექმნას.

„ბუნებრივი გადიდება სახელმწიფოსიო, ამბობს ტარდი, ვერასოდეს ვერ გადასცილდება ერთს საზღვარსო“ (p. 126). ამასთანავე პატრიოტული გრძნობა, ისტორიულნი მოგონებანი და სხვანი, თანდათან ძლიერდებიან, და ეს დაუშლის ერთი საზოგადოების შექმნასაო.

ამას ისიც შეუშლის ხელს, რომ წამბაძველობის წინააღმდეგი მოვლენაც არსებობს საზოგადოებებში, — უარ-ყოფა სხვის ზნე-ჩვეულებათა და კულტურისა, და ხშირად სწორედ მაშინ, როდესაც ხალხები ერთმანეთს გაიცნობენ ხოლმე. ტარდსა სწამს, რომ სწორედ ამ გაცნობის შემდეგ დაბრუნება ეროვნულ თავისებურობისაკენ შესაძლებელია და ამის ნიშნები ეხლაც არისო.

ტარდის აზრი, ვითომც შესაძლებელი იყოს ევროპისაგან მთელი ქვეყნის დაპყრობა და pax romana-ს რაღაც მსგავსის შექმნა ჩვენ პირდაპირ უსაფუძვლოდ მიგვაჩნია. ამაზედ ჩვენ წინა თავში ვილაპარაკეთ. მართლაც, სწორედ წამბაძველობის კანონის ძალით დღეს ევროპის კულტურას აზიის აუარებელი ხალხი იძენს, **მაგრამ თავის ინდივიდუალობას არა მკარგავს,** — პირიქით, ანვითარებს მას, და ევროპის ბატონობასაც საზღვარი დაედება. ვინ იცის, შემდეგ ვის დარჩება ქვეყნის ბატონობა. მართალია, ცივილიზაცია არის სოციალური გაერთიანებისა და გართულების პროცესსი, მაგრამ მასაც თავისი საზღვარი აქვს ტარდისავე აზრით, და თუ განსაზღვრული მასალა ხალხისა შეუძლია შეაერთოს, მთელის კაცობრიობის მრავალფეროვანებას ვერასოდეს ვერ შეაერთებს ვერავითარი ცივილიზაცია. ტარდისავე აზრით არსებობს რა-

ღაც შინაგანი სუმმა სხვადასხვაობისა ბუნებაში, დაუშრეტელი და უკუნი, და იგი საზოგადოებათა ცხოვრებაშიაც ჩნდება. წამბაძველობა შეიძლება განსაზღვრულ წერტილამდის მივიდეს, მაგრამ იდენტურად რომ ჰყოს მან მთელი კაცობრიობა, — ეს შეუძლებელია. ჩვენ აქ ადამიანის პიროვნებათა იგივეობაზედ არ ვლაპარაკობთ, — რადგანაც თვით ტარდის აზრით წარსულში, აწმყოში და მომავალში შეიძლება დათრგუნვილ განსხვავებათა მაგიერ ჩნდებოდნენ უფრო და უფრო ღრმა ინდივიდუალურნი განსხვავებანი და ცივილიზაციისაგან შექმნილი მსგავსება მცირე რამ იყოს ამ ინდივიდუალურ განსხვავებასთან შედარებით. არა, ჩვენ კონკრეტულ სოციალურ ორგანიზმებზედ ვლაპარაკობთ: მიმოსვლაც შეიძლება გაძლიერდეს, ხალხთა შორის აღრევაცა, ან ერთი ძლიერი ხალხისაგან მეორეს დაპყრობაც, — დაუსრულებელი, ფართო წამბაძველობაცა, მაგრამ კონკრეტული სოციალური ორგანიზმი ყოველთვის ეცდება შეინახოს თავისი ინდივიდუალური სახე, — განავითაროს იგი და ნასესხებიც თავისებურად გარდაქმნას. რაც უფრო იზრდება თვით-შეგნება კონკრეტულ სოციალურ ორგანიზმთა, მით უფრო დიდია ასეთი ტენდენცია, და თუ ერთი მხრით ისტორიაში ვამჩნევთ წამბაძველობის მოვლენასა, ერთა მიერ ურთი-ერთის კულტურით სარგებლობასა, — მეორე მხრით ვამჩნევთ მათი ინდივიდუალობის განვითარების ფაქტსაც, — ვამჩნევთ, სხვა არა იყოს-რა, ტენდენციასა და ფაქტს დაპყრობილ ერთა განთავისუფლებისას. ამის უარყოფა შეუძლებელია. ვამჩნევთ აგრეთვე წამბაძველობასთან ერთად ინიციატივას. ორიგინალურ შემოქმედებას ყოველი ერის შინაგან ცხოვრებაში — მრავალფეროვანება ტარდისაევ აზრით შინაგანი კანონია ბუნებისა და კაცთა საზოგადოებათა ცხოვრებისა, — ამიტომაც ეროვითარი უნივერსალური იმპერია ვერ შექმნის ერთ სოციალურ ორგანიზმსა. კიდევ ვიტყვით, — წამბაძველობა არ არის წინააღმდეგი ინდივიდუალობისა; ეს ჰეშმარიტებაა კონკრეტულ სოციალურ ორგანიზმთა ცხოვრებაშიაც; ხანდახან შეიძლება და უმეტეს ნაწილადაც. რომ იგინი პარალელურად იზრდებოდნენ. ამიტომაც კონკრეტულ სოციალურ ორგანიზმთა, ერთა მოსპობა და ნაცვლად ერთი საკაცობრიო საზოგადოების შექმნა შორეულ მომავალშიაც შეუძლებლად მიგვაჩნია. მაგალითები რომის იმპერიისა, ევროპის „ერთობისა" (?) და სხვანი არაფერს არ ამტკიცებენ. არც ერთსა და არც მეორეს არ შეუქმნია ერთფეროვანება. პირიქით, ამ ნაძალადევ ან მოჩვენებულ ერთფეროვანების შემდეგ საშინელი მრავალფეროვანება იბადებოდა, ეხლაც თავს იჩენს ხოლმე იგი, და მომავალში როგორი ერთფეროვანებაც შეუძლია შექმნას „კაცობრიობის ფონდს", ამაზედ ჩვენ ზემოდ საკმაოდ ვილაპარაკეთ.

ბევრი სოციოლოგი ეხება იმავე საკითხებს, რომლებსაც ტარდი შეეხო, ბევრი იკვლევს გაკვრითვე ერის არსებასა, როგორც მაგალითად ესპანელი სოციოლოგი სალეს ი ფერრე. მისი აზრითაც ერი სოციალური ორგანიზმია, წარმოშობილი ქალაქებისაგან, ეს უკანასკნელები — თემებისაგან, თემები პატრიარქატისაგან და სხვ. ასე მოდის ერის წარმოშობა ისტორიულად (Tratado de Sociologia). — ჩვენ აქ ყველას გარჩევა ძლიერ შორს წაგვიყვანდა.

ეხლა სოციალისტებს მივმართოთ. ვერც მათ ჩამოუთვლით ყველასა. უმეტეს ნაწილად მათ ბროშიურებს „ეროვნულ საკითხის" შესახებ, მათ „განცხადებებს" და სიტყვებს არავითარი მეცნიერული ღირებულება არა აქვს. ზოგი უარ ჰყოფს ერსა, ზოგი სოციალიზმის შემდეგ ჰპირდება თავისუფლებას დაჩაგრულ ერებსა, ზოგი პატრიოტი და შოვინისტიც არის თავისთვის, მაგრამ სხვისთვის ვერას იმეტებს, ზოგი აღიარებს ერთა უფლებას არსებულ სახელმ-

წიფოთა საზღვრებში, ზოგი რას ამბობს, ზოგი რას, მაგრამ რისთვის და რა საბუთით, — ამას უმეტესი ნაწილი არ დაგიდეეს. იგინი უმეტეს ნაწილად არასოდეს არ ლაპარაკობენ საზოგადოდ ერზედა და მის უფლებაზედ. საერთოდ არა აქვთ გამორკვეული არც ინტერნაციონალიზმი და არც ერი აუცილებელი ელემენტი ინტერნაციონალიზმზედ მსჯელობის დროსა. რასაკვირველია მათ შორის ბევრი ისეთიც არის, რომელსაც სადი და სამართლიანი მსჯელობა აქვს, მაგრამ აქ მხოლოდ ორ ავტორს მივაქცევთ ყურადღებას, რადგანაც იგინი დაინტერესებულნი იყვნენ ძლიერ ეროვნული საკითხითა და ამიტომ მიაქციეს ყურადღება ერის პრობლემასა და შეიმუშავეს იგი. ესენი არიან ოტტო ბაუერი და რუდოლფ შპრინგერი, — ავსტრიელები.

ოტტო ბაუერი (Национальный вопрос и социал-демократия) აღნიშნავს ფაქტს ერთა არსებობისას, ფაქტს მათის ურთიერთისაგან გარჩევისას, მოგვითხრობს ერთა წარმოშობის ისტორიასა და მის მიზეზებს, განსაზღვრავს ერსა, ეროვნულ იდეასა, შეგნებასა და გრძნობასა და ამაზედ ამყარებს ერის უფლების აღიარების სამართლიანობასა და კანონიერებას.

მაგრამ ჩვენის ფიქრით, ბევრი მისი საზოგადო დებულება არ არის ჭეშმარიტი, თუმცა საერთოდ წიგნს ბევრი ღირსება აქვს და ბევრგან ავტორი ჭეშმარიტებას ლაპარაკობს. ბევრგან სწორედ იმიტომ ვეთანხმებით ავტორს, რომ იგი ისეთ ჭეშმარიტებას ლაპარაკობს, რომელიც თვალ-საჩინოა, ხოლო სრული განსაზღვრა და გარკვევა ცნებათა არ მოეპოვება.

ერი არის, ოტტო ბაუერის აზრით, უპირველეს ყოვლისა შედარებითი ერთობა ხასიათისა. — შაგრამ ხასიათის ერთობა ისეთი ფართო ცნებაა, რომ ამ განსაზღვრით შეგვიძლია ათასგვარი სხვა არსი დავახასიათოთ. — ეროვნული ხასიათი არის კრებული იმ ფიზიკურ და სულიერ ნიშანთა, რომელნიც ყოველ ერს აქვს, აერთებს მას და რომლითაც იგი განირჩევა სხვა ერთაგანო, — არც ეს განსაზღვრაა კარგი, რადგანაც აქ ეროვნული ხასიათი ეროვნულ კუთვნილებად არის აღიარებული, თვით ერი კი განუსაზღვრელი რჩება. — შემდეგ ავტორს განსაკუთრებული წყობილება ნებისა შეაქვს ეროვნულ ხასიათის განსასაზღვრელად. ამგვარად უფრო სწორი განსაზღვრა ეროვნული ხასიათისა არის შემდეგი: ეროვნული ხასიათი არ არის მარტო კრებული ყველა ფიზიკურ და სულიერ თვისებათა, რომელიც ერსა აქვს, არამედ ნების მიმართულების თავისებურებაც, ის ფაქტი, რომ სხვა და სხვა ერში ერთი და იგივე საგანი სხვა და სხვა რეაქციას იწვევს, ერთი და იგივე მდგომარეობა იწვევს ნების სხვა და სხვა მიმართულებასა. ერი ასეთ თვისებას არსებობისათვის ბრძოლაში იძენს. — აქაც ნასახი არ არის ერის განსაზღვრისა, — არამედ აღნიშნულია ფაქტი ერთი ერის მეორისაგან გარჩევისა და სხვა არაფერი. აქ მტკიცდება, თუ გნებავთ, ერის არსებობა, მაგრამ მისი განსაზღვრა არ არის.

შემდეგ ავტორი ამტკიცებს, რომ ასეთი თვისება იბადება ერში მხოლოდ საერთო ბედ-იღბლის გამო. ერი არის ამიტომ ერთობა ბედ-იღბლისა. — ესეც ისეთი განსაზღვრაა, რომ ერის გარდა სხვა ცნებებსაც ეხება, — შეიძლება ბევრ სხვა სოციალურ არსებას ჰქონდეს საერთო ბედ-იღბალი, მაგრამ ერნი არ იყვნენ.

შემდეგ ავტორი იღებს საერთო ტერიტორიას, შთამომავლობას, ენას, ზნე ჩვეულებას, საერთო ისტორიულ-წარსულს, საერთო კანონებსა და სარწმუნოებას და, თუმცა აღიარებს მათ ერის განმსაზღვრელ ელემენტებად, მაგრამ არა ცალ-ცალკე, ჯრამედ როგორც მთელს სისტემასა. — ცალ ცალკე ეგი-

ნი ვერ ადგენენ ერის, ხოლო როგორც სისტემა, — განსაზღვრავენ, — იგენი, შეადგენენ კულტურულ ერთობასა, რაიცა ერს მთლიან არსად ხდის. ეროვნული ისტორია, ჭვნის ეროვნულ ხასიათს, სარგებლობს რა ამ საერთო კულტურითა, როგორც იარაღით. — მაგრამ ავტორი აქაც სცდება, — რადგანაც, არ შეიძლება გაყოფა ისტორიისა და ზემოხსენებულ მოვლენათა, როგორც აქტიურ და პასიურ ელემენტთა, როგორც იარაღის მხმარებელისა და იარაღისა. არ არის რთული, ნამდვილი ისტორია გარეშე ზემოხსენებულ მოვლენთა, არ არის მათ გარეშე თვით ერიც; ჯერ ერი უნდა განისაზღვროს, როგორც ზემოხსენებულ მოვლენათა მატარებელი კონკრეტული არსი, მერმე აქედან უნდა გამომდინარეობდეს მისი უნარი ისტორიული მოქმედებისა.

ბაუერის საკუთარი განსაზღვრა ერისა ასეთია: „ერი არის კრებული ადამიანთა, რომელნიც შეკავშირებულნი არიან ხასიათის ერთობით ბედ-იღბლის ერთობის ნიადაგზედ". (Национальный вопрос и социал-демократия, p. 139). არა ვფიქრობთ, რომ ეს განსაზღვრა ზემოხსენებულთაგან განირჩეოდეს ბევრით. ესეც, რომელსაც გინდათ, იმ სოციალურ ჯგუფს შეეფერება, — სოფლის კომუნას, ქალაქს, აგრეთვე კლასს, წოდებას, რელიგიურ სექტას, თუ გინდ უბრალო საზოგადოებასაც. ვერავითარ ნამდვილ წარმოდგენას ერზედ იგი ვერ ჩვაძლევს.

ხოლო როცა ავტორი ჩამოსთვლის მთავარ სოციალურ მოვლენებსა და ერის განმსაზღვრელ ელემენტად შეაქვს მათი სისტემა, — იგი ახლოა ჭეშმარიტებასთან. — იგი ხშირად იმეორებს, რომ ერი არის სოციალური მოვლენაო, მაგრამ ბაუერს სწორედ აქედან უნდა დაეწყო თავისი ანალიზი. თუ კი ერი სოციალური „მოვლენაა", რასაკვირველია იგი ერთი სოციალურ მოვლენათაგანია და არა ერთად-ერთი სოციალური მოვლენა. მაშასადამე, საჭირო იყო ჯერ სოციალური მოვლენის დახასიათება საზოგადოდ და მერმე ერისა, როგორც კერძო სოციალური მოვლენისა. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლებოდა ერის ცნების საკუთარი განსაზღვრა. ოტტო ბაუერმა ეს არ აღასრულა, — დაიწყო ერის ცნების ანალიზი და ნაცვლად ერის წარმოშობის ისტორია გვიამბო, რაიცა სულ სხვა პრობლემაა, თუმცა ძლიერ საჭირო და აუცილებელი ერის ცნების განსაზღვრისათვის. აგრეთვე არ არის საკმარისი რომ სთქვა, — ერთი ერის ხასიათი, ნება, აპპერცეპცია მეორისაგან განირჩევაო, — ეს უბრალო ფაქტია, რომელსაც ღრმა ანალიზი ეჭირვება, მაგრამ მაინც თვალსაჩინოა, — არამედ საჭიროა აღნიშნო, რა არის თვით ეს ერი, რომლის ხასიათიც, ნებაც, აპპერცეპციაც იმდენადვე მრავალფეროვანია, რამდენიც კონკრეტული ერი არსებობს. არც ის არის აგრეთვე საკმარისი, რომ სთქვა, — ერი სოციალური მოვლენაო, — ესეც თვალსაჩინოა, — არამედ იმის გარკვევაა საჭირო, თუ რა ვითარებისა არის ეს სოციალური მოვლენა და რა ადგილი უჭირავს კერძოდ მას სხვა სოციალურ არსთა შორის.

ამიტომაც ბაუერი თუმცა ბევრს იღწვის, მაგრამ ერს მაინც სწორად და სავსებით ვერა საზღვრავს.

არ ვეთანხმებით ავტორს არც ერის წარმოშობის თეორიაში. იგი, როგორც მარქსისტი, ეკონომიური მოვლენებით ხსნის ერის წარმოშობასა და განვითარებას. მაგრამ ყოველად შეუძლებელია ასეთი ახსნა, ამიტომაც ეს ადგილები იმის წიგნში ძლიერ სუსტია და გარჩევად არა ღირს. შორსაც წაგვიყვანდა. — ერის ცხოვრება, როგორც კონკრეტულ სოციალურ ორგანიზმისა, ორგანიულია, მაშასადამე იგი დახასიათდება ყველა იმ ორგანოთა ფუნქციე-

ბით, რომელიც მასა აქვს, — როგორც ეკონომიურით, ისე იურიდიულით, პოლიტიკურით, რელიგიურით და სხვ. საჭიროა ყველა სოციალურ მოვლენათა განვითარების თვალთახედვით განხილვა ერის წარმოშობისა, და არა მარტო ეკონომიურ მოვლენის თვალთახედვითა. აგრეთვე შეუძლებელია ეგრედ წოდებულნი შემთხვევითნი მოვლენანი, როგორც მაგალითად მოვლენანი, გამოწვეულნი ადამიანთა მუდმივ მოძრაობის მიერ, და ხან დროებით, ხან ხანგრძლივად შემშლელნი ერის ორგანიულ განვითარებისა, არ მიიღო მხედველობაში, რადგანაც არ არსებობს ერთი საკაცობრიო საზოგადოება, რომლის ორგანოები რეგულიარულად ასრულებდეს თავის ფუნქციებს.

არ ვეთანხმებით ავტორს, ვითომც ფეოდალობის დროს ერი იყო მხოლოდ თავად-აზნაურობა და გაბატონებული კლასსები. როგორიც უნდა იყოს კულტურული განსხვავება კლასსთა შორის, როგორიც უნდა იყოს კულტურული როლი გაბატონებულთა, ამ კლასსთა და დაჩაგრულთა შორის მაინც არსებობს მრავალი სოციალური ჯაჭვი ერთობისა, არსებობს მათ შორის საერთო სოციალური მოწესრიგება, ორგანიული ცხოვრება,—და მხოლოდ ამ პირობით არის შესაძლებელი ერის ორგანიული განვითარება, სოციალური ცხოვრების ერთი ფორმიდან მეორეში გადასვლა. რასაც ორგანიული ხასიათი შთანაჩენიც არა აქვს, იგი ერთ ორგანიზმადაც ვერ განვითარდება. რაც თუ გინდ დაყოფილი ყოფილიყოს ფეოდალური საზოგადოებრივობა ყოველი ერის ცხოვრებაში, ერი მაინც შესდგებოდა ერთგვარ, სოციალურად მონათესავე ელემენტთაგან, რომელთა კოჰეზიამაც შექმნა თანამედროვე ერი. სადაც მონათესავე ელემენტები არ არის, ან უცხო ელემენტები არ ენათესავებიან ერთმანეთს დროთა ვითარებაში, იქ არც კოჰეზია შეიძლება. სადაც არ არის ელემენტები ერთობისა, იქ არც ერთობა შეიძლება, და რაც თუ გინდ განსხვავდებოდნენ მაგალითად ენანი გერმანელ ფეოდალისა და გლეხისა, — იგინი მაინც ერთი ენის ელემენტნი არიან, რომელნიც ვითარდებიან და წარმოშობენ ერთ ენას. ენამაც, რაც თუ გინდ მაღალი კლასსების იყოს იგი, ხალხურ ენაში უნდა ეძებოს თავისი სიცოცხლის და განვითარების წყარო. — დღესაც, როდესაც ერი ნამდვილი ორგანიზმია, ხალხი არ ლაპარაკობს ლიტერატურული ენით, არამედ ამ ენით ლაპარაკობენ მხოლოდ განათლებული კლასსები, ინტელლიგენცია. ესევე ითქმის ბევრ სხვა კულტურულ მოვლენაზედ, მაგრამ ამით თანამედროვე ერი არ შესდგება გაბატონებულ კლასსთაგან და ინტელლიგენციისაგან. — არას დროს არ ყოფილა კლასსიური ერი, — ერი ყოველთვის კონკრეეტული სოციალური ორგანიზმი იყო, ამა თუ იმ სახისა, მეტის თუ ნაკლების ცოჰეზიისა.

არ ვეთანხმებით ავტორს არც ეროვნულ პროგრამმაში. საერთოდ აღვნიშნოთ, რომ იგი ერის უფლებას არ აღიარებს საესებით, არამედ თანამედროვე სახელმწიფოთა საზღვრებში; მისი პროგრამმა არ არის სახელმწიფოს წინააღმდეგი, არამედ იგი იცავს თანამედროვე სახელმწიფოთა საზღვრებსა, — პოლონეთის ავტონომიაც აუცილებლად რუსეთის სახელმწიფოს საზღვრებში უნდა განხორციელდეს მისი აზრით. მართალია, ყველა სახელმწიფოებშიაც უნდა მოეწყოს ეროვნული ავტონომიები და პროლეტარიატმაც ასეთი ინტერნაციონალიზმი უნდა აღიაროს და არა გულ-უბრყვილო კოსმოპოლიტიზმი, მაგრამ ერთა სუვერენიტეტი ავტორს პრინციპიალურადაც არა სწამს — თუმცა ერთა ავტონომიებიც დიდი წყალობაა სოციალ-დემოკრატისაგან, ესეც დიდი ნაბიჯია ჰეშმარიტ ინტერნაციონალიზმისაკენ წარდგმული.

ბევრში არ ვეთანხმებით ავტორს, ბევრ კერძო თეორიულ საკითხში, მაგ-

რამ ამაზედ აქ ვერ ვილაპარაკებთ, თუმცა ავტორს ბევრი საინტერესო ადგილები აქვს. ისტორიული მხარე მისი წიგნისა „შვენიერია: ჩვენთა ისტორია, მაგალითად, აგრეთვე საუცხოოა თვით თეორია „ეროვნულ ხასიათისა", რომელიც ისტორიული კრისტალიზაციაა ერისა. ორიგინალურია თეორია ისტორიული აპპერცეპციისა, რომლის ძალითაც ყოველი უცხო კულტურა შეითვისების უკვე არსებულ ეროვნულ კულტურასთან შეგუებით მსგავსად ინდივიდუალურ აპპერცეპციისა. თუმცა ავტორს ახალი არა უთქვამს რა. კაი ხანია იგივე აზრი გამოსთქვა ტარდმა თავის Les lois de l'imitation-ში, სადაც იგი ამტკიცებს, რომ ყოველი წამბაძველობა გარდიტეხების განსაზღვრულ სოციალურ სფეროში, მსგავსად სხივისა, რომელიც გარდატეხას განიცდის განსაზღვრულ ფიზიკურ სფეროში. საინტერესოა აგრეთვე მისი ანალიზი ერთა ხასიათის ურთი-ერთისაგან განსხვავებისა და სხვ.

მაგრამ როცა ავტორი შტამლერის კრიტიკას ეწევა, როცა აგრეთვე მისთვის ერთის მხრით ერი გამოჩნდების ცალკე ინდივიდუუმის ეროვნებაში (p. 142), მეორეს მხრით კი მისთვის საზოგადოება არ არის მარტო სუმმა ინდივიდებისა არამედ ყოველი ინდივიდი არის ნაყოფი საზოგადოებისა, — და სხვა, — აქ ჩვენ მას ვერ ვეთანხმებით, აქ იგი წინააღმდეგობათა ქსელში ებმება.

კარგი კრიტიკა აქვს წინ-წამძღვარებული ოტტო ბაუერის წიგნს ხ. ჟიტლოვსკის მიერ. იგი ბევრ სამართლიან შენიშვნას აძლევს ავტორს, მხოლოდ აკლია შენიშვნები ერის უფლებისა და ერის სოციოლოგიურ ანალიზის შესახებ. მაგრამ როდესაც თვით ლაპარაკობს ბ-ნი ხ. ჟიტლოვსკი, — იგი ძლიერ სუსტია. შევნიშნავთ მხოლოდ ერთს ასეთს სისუსტეს. ჟიტლოვსკის აზრით, — რადგანაც ჩვენ ერის არსების გაგება შეგვიძლია მხოლოდ არსებულ ერთა ურთი-ერთის შედარებით, ამიტომ რომელიმე ჯგუფის ეროვნული ხასიათის გამორკვევისათვის და განსაზღვრისათვის საჭიროა შემდეგი საკითხის დაყენება: „რომელ სხვა ეროვნულ ჯგუფთან შედარებით იჩენს (ან არ იჩენს) ეს ჯგუფი თავის ეროვნებასა"? ტულის გუბერნიის რუსები რუსინებთან შედარებით ნაკლებად არიან ერნი ვიდრე კანადელებთან, — სხვა ველიკოროსსებთან კი ისინი სრულიად აღარ წარმოადგენენ ერსაო! აქედან პირდაპირა სჩანს არა მარტო ის, რომ ორგანიული ხასიათი ერისა სრულიად არ ესმის ავტორს, — ეს კიდევ არაფერი, ბევრი არ არის ორგანიცისტი, — არამედ ისიც, რომ მას შედარებითი მეთოდის ხმარებაც არა სცოდნია: როგორ შეიძლება ადამიანმა მეტი თუ ნაკლები ეროვნება აღიაროს, თუ ეროვნება ვითარებაა და არა რაოდენობა? და ვინ იტყვის, რომ ეროვნების განზომვა რაოდენობითად შეიძლებოდეს? — ვინ განზომა ინდივიდუალობა რაოდენობითად? სად არის მისი ერთეული? — აბსურდია ეროვნების მეტ-ნაკლებობა, როგორც მეტ-ნაკლებობა ინდივიდუალობისა. შეიძლება მსგავსება იყოს ერთა შორის, მაგრამ ერთი ერის მეორესთან შედარებით მეტი თუ ნაკლები ეროვნება, — შეუძლებელია. შესაძლებელია მსგავსება და დიდი მსგავსებაც ორ ძმას შორის, მაგრამ ერთის მეორესთან ან მესამესთან შედარებით მეტი თუ ნაკლები ინდივიდუალობა — აბსურდია.

ასეა ყოველთვის, როდესაც შესაფერი მეთოდით არ იკვლევენ მოვლენათა. ერის გამოკვლევას თავისი მეთოდი უნდა ჰქონდეს. იგი სოციალური არსია, — მაშასადამე მისი ანალიზის დროს საერთო სოციოლოგიური მეთოდები უნდა ვიხმაროთ. საჭიროა მისი განზომვა საერთო სოციალური საზომითა, რო-

გორც კერძო კონკრეტულ სოციალურ არსისა. ეს მეთოდი არ უხმარია არამც თუ ჟიტლოვსკის, აგრეთვე არც ოტტო ბაუერს და ეს უკანასკნელიც ამიტომ შესცდა, ვერ გადასწყვიტა დაყენებული პრობლემა. ეკონომიური მატერიალიზმის მეთოდი, — კერძო მეთოდია და არა საერთო სოციოლოგიური, და რასაკვირველია ერს, მთელს ერთ კომპლექსს ყველა სოციალურ მოვლენათა, ვერ გამოიკვლევდა ამ მეთოდითა.

მაგრამ, განვიმეორებთ, მისი წიგნი მაინც ჩინებული რამ არის, საინტერესო, ბევრის მომცემი, მრავალი კერძო ჰეშმარიტების მთქმელი, და განსაკუთრებით საგულისხმიერო ჩვენ სოციალისტთათვის იმ მხრით, რომ ერის უფლების უსრული აღიარება მაინც სოციალიზმს უკვე სამარცხვინოდ კი არ მიაჩნია, არამედ თავის უზენაეს მოვალეობად.

რუდოლფ შპრინგერი მეორე ავსტრიელი სოციალისტია, ამავე საგანზედ რომ დასწერა თავისი კიდეე მეტად საინტერესო „Национальная проблема" (Борьба национальностей в Австрии). ეს წიგნი მართლაც არა ჩვეულებრივი სოციალისტისაგან არის დაწერილი. მართალია, ბევრი სოციალისტი აღიარებს ერის უფლებასა და ერის საკითხსაც ირკვევს, მაგრამ ასე ნათლად და მკაფიოდ რომ ელაპარაკოს, — ძვირად მოიპოვება სხვა ასეთი სოციალისტი. რუდოლფ შპრინგერი განსაკუთრებით პრობლემის იურიდიულ მხარეს აქცევს ყურადღებას, მისი წიგნი სწორედ „ერის უფლებათა" ტრაქტატია. მთავარი პრობლემა მისი არის, — გამორკვევა ერის სახელმწიფოსთან დამოკიდებულებისა. მაგრამ, საუბედურად, შპრინგერი სწორედ მიტომ აყენებს ასეთს პრობლემას, რომ მას სახელმწიფოთა დაშლა, ან კერძოდ ავსტრიის სახელმწიფოს დაშლა არც სურს და არც სასარგებლოდ მიაჩნია ერთა განთავისუფლებისათვის. პირიქით — იგი სწერს და ამბობს, რომ ავსტრიის სახელმწიფო იშლება ერთა ბრძოლის გამო, და საჭიროა განსაზღვრა ყველა ერის უფლებისა, რომ ერი ბოლოს და ბოლოს გარკვეულ დამოკიდებულებაში იყოს საერთოდ სახელმწიფოსთანაო. ამისათვისაც იგი საჭიროდ აღიარებს ეგრედ წოდებულ პერსონალურ კავშირთა, დამოუკიდებლად ტერრიტორიისა, სადაც თვითოეული ერი იურიდიული პიროვნებაა, უფლება-მოსილი ერთეული. მას არამც თუ თავის ტერრიტორიაზედ უნდა ჰქონდეს განსაზღვრული უფლებანი, არამედ სხვის ტერრიტორიაზედაც. ამ საერთო-ერთო უფლებათა და ვალდებულებათა აღსარებაზედ უნდა იყოს დამყარებული ავსტრიაში ერთა კავშირი და სოლიდარობა შპრინგერის აზრით. — შპრინგერი დაწერილებით არკვევს ერის უფლებასა და ამ პერსონალურ კავშირთა მოწყობის შესაძლებლობასაც, აგრეთვე მათ დამოკიდებულებას მთელ სახელმწიფოსთან. იგი ნიჭიერი იურისტია და მისი ანალიზიც უმთავრესად კერძო იურიდიულია. და არა საზოგადოდ სოციოლოგიური. ამიტომაც დაწვრილებით არ გამოეუდგებით არც მისი წიგნის შინაარსის გადმოცემასა.

პოსტულატნი ეროვნულ იდეისა შპრინგერისათვის არიან შემდეგნი: 1) საფუძველი ერის გარჩევისა სხვა ერისაგან და სახელმწიფოსაგან არის პერსონალური პრინციპი. ტერრიტორიალური პრინციპი გამოსადეგია მხოლოდ ერთ დიდ ეროვნულ სახელმწიფოსათვის, მაგრამ არა ეროვნებათა სახელმწიფოსათვის. — ასეთი პრინციპი შპრინგერმა სწორედ იმიტომ წამოაყენა, რომ ერთმა ერმა მეორე ერი არ შეაიწროვოს თავის ტერრიტორიის საზღვრებში, თუმცა შპრინგერი არ უარ-ჰყოფს ერის საკუთრებას ტერრიტორიაზე, თუ რასაკვირველია ერს აქვს ეს ტერრიტორია, უმეტეს ნაწილად ეროვნული ელე-

შენტით დასახლებული. 2) ერი არის სოციალურად განსაზღვრული ჯგუფი და ამიტომაც საჭიროა მისი იურიდიული მდგომარეობის განსაზღვრა. ამისათვის უპირველეს ყოვლისა ყოველმა კაცმა უნდა შეიტანოს დაბადების ქაღალდებში თვითონვე თავისი ეროვნული ვინაობა. — კაცს აქვს ვალდებულება თავის ერის წინაშე, სახელმწიფოს წინაშე და სხვა ერთა წინაშე. ეროვნული ერთეული უნდა გახდეს იურიდიულ პიროვნებად, კერძო და საზოგადო უფლება-მოსილ პიროვნებად. 3) ამ განსაზღვრული ფორმით ერი არის თავისუფალი სახელმწიფოსაგან, იგი ავტონომიურია, არ ემორჩილება არც უმრავლესობის გადაწყვეტილებას, არც სახელმწიფოს. ყოველ სხვა სფეროში ერი ეკუთვნის სახელმწიფოს, როგორც კრებული მოქალაქეთა, და ემორჩილება მის კანონებს. 4) ერს, როგორც სუბიექტს სამართლისას, უფლება აქვს უმაღლეს წარმომადგენლობით ორგანოს დაარსებისა და სულიერ-კულტურულ თვით-გამორკვევისა. მას რამოდენიმედ თავის ფინანსიურ საქმეთა გაძღოლის უფლებაც აქვს საკუთარ მიზანთა მისაღწევად, აგრეთვე უფლება სხვა ორგანოთა მოწყობისა და სხვ. — (pp. 111—112). — აი შპრინგერის აზრი ერზედ და მის უფლებაზედ.

იმ ადგილებს, სადაც შპრინგერი ეხება კონკრეტულ განხორციელებას ამ უფლებათა, — არ შეეხებით. ჩვენი წიგნის მიზანი ერის არსებისა და უფლების გამოკვლევაა და არა მის ავტონომიის მოწყობის პროექტი. ამ უკანასკნელი მხრით შპრინგერის წიგნი დაუფასებელია, თუმცა, რასაკვირველია, ბევრში შეიძლება არ დავეთანხმოთ, — მაგალითად როდესაც იგი ეკონომიურ მდგომარეობის მიხედვით ჰყოფს ოლქებად სახელმწიფოს მთელი სახელმწიფოს საერთო ადმინისტრაციისათვის. ეს იმიტომ რომ ავტორი გერმანელი პატრიოტიც არის. ავსტრია მისთვის მაინც გერმანული სახელმწიფოა.

მიუხედავად ავტორის მშვენიერი პერსონალური პრინციპისა, არ შეიძლება ერის უფლების სავსებით აღსარება, თუ სახელმწიფოთა დამლის აზრს არ შევურიგდით, ეს კი შეუძლებელია პატრიოტ ავსტრიელისათვის. ამიტომაც შპრინგერი ბლუნჩლის აზრს, — სასურველი იქმნებოდა მთელი კაცობრიობა ერთა სახელმწიფოთაგან შესდგებოდესო, — უტოპიას უწოდებს, მაგრამ, ჯერ ერთი ბლუნჩლის აზრითაც ასეთი მომავალი აწმყოში არსებულ საერთა-შორისო სამართალს დამლიდა და შესცვლიდა ქვეყნის რუკას, — ამიტომაც არც ბლუნჩლი სცნობდა მას შესაძლებლად, — მეორე — შეუძლებელია ერის პრობლემის გადაწყვეტა სახელმწიფოთა დაუშლელად. ეს პროცესსი სახელმწიფოთა დაშლისა. მართლაც ხდება ერის უფლების ზრდის მიზეზით, და ამიტომაც ავტორი არ უნდა გამოსულიყო ავსტრიის სახელმწიფოს თანამედროვე არსებობის ფაქტიდან და არ უნდა მოეხმარებინა მთელი თავისი ნიჭი თვით ამ ფაქტის წიაღში ეროვნულ პრობლემის გადაწყვეტისათვის.

სოციოლოგიური ანალიზი ისე არა აქვს განვითარებული ავტორს, როგორც ოტტო ბაუერს, თუმცა მისი შენიშვნები ძლიერ საინტერესოა.

ერი, მისი აზრით, არ არის სახელმწიფოში მარტო კრებული უფლებამოსილ ინდივიდთა. ერი ორგანიულად უნდა იქმნას განხილული. მისი განსაზღვრა ერისა დაახლოვებით ნამდვილია: „ერებია, ამბობს შპრინგერი, არიან ეთნოლოგიური მხრით სუმმანი ინდივიდთა, ხშირად გამოურკვეველ რასიულ ტიპისა, სოციალური მხრით კი, — კრებული ინდივიდთა, რომელთაც აქვსთ ჩვეულებრივად საერთო ენის წყალობით გრძნობისა და აზროვნების მსგავსება. იგინი განვითარების განსაზღვრულ საფეხურზედ გარდიქცევიან ხოლმე ერთის ნების მქონე საზოგადოებად და მიისწრაფიან ეროვნულ კულ-

ტურის დასაცველად შეჰქმნან პოლიტიკურად განკერძოებულნი და დამოუკიდებელნი ძალანი". (p. 36—37). შპრინგერი ხშირად უწოდებს ერს ორგანიზმსა, მაგრამ ისეთ ორგანიზმს, რომელსაც აქვს მხოლოდ საერთო გრძნობა და აზროვნება, ხოლო ნება კი არა (p. 67). ამ უკანასკნელს იგი მარტო სახელმწიფოს აწერს. მაგრამ სახელმწიფოც ხომ შექმნილია ერისაგან და მისი ნების გამოხატვაა. აგრეთვე დამონებული ერის სწორედ ნება მოქმედებს, რომ განთავისუფლდეს და საკუთარი სახელმწიფო შექმნას.

კიდევ ბევრი რამ არის შპრინგერის წიგნში ისეთი, რასაც შეიძლება არ დაეთანხმოთ, მაგრამ საერთოდ ეს წიგნი დაუფასებელია სოციალისტურ ლიტერატურაში, ავტორმა სოციოლოგიური ანალიზი არ განავითარა, მაგრამ ეს არც იყო მისი მიზანი. ხან და ხან ნიჭიერი მწერლისათვის არც კია საჭირო გრძელი ანალიზი, როდესაც იგი ერთის კალმის მოსმით გაგაგებინებს, თუ როგორ წარმოუდგენია მას ესა თუ ის საგანი. შპრინგერისათვისაც „ერი ნაწყვეტად აზროვნებს, სუსტად გრძნობს, ზანტად მოქმედებს, თუ მას არა აქვს საერთოდ, სახელმწიფო ორგანოები აზროვნებისა და ნებისა, საჭიროა სულიერი მუშაობა მრავალ ათას თავისა, გულისა და სულისა, რომ გამონახულ იქმნას ახალი ორგანოები, რომ გაჩნდნენ სიტყვისა და საქმის ადამიანები. ამ დრომდის ხალხი აზროვნობს ფანტაზიებით, გრძნობს სიმღერებითა, მოქმედებს და ირჯება როგორც მძინარე; პირიდან პირზედ, როგორც დაუდგრომელი ქარი ხის ფოთლიდან ფოთოლზედ, გადადის ჩურჩული: ჩვენ გვინდა ვიყოთ ერთი ხალხი, ერთი სახელმწიფო! ეს ღრმა შინაგანი მისწრაფება ჰქმნის გერმანელთა პანგერმანიზმს, შესაძლებელ ჰყოფს, მიუხედავად ყოველ დაბრკოლებისა, ეროვნულ პარტიათა არსებობას, სცოცხლობს დაფლეთილ პოლონეთის ნაწილებში; იგი უკვდავი სულია იტალიის სხეულისა, იგი მუდმივ ცეცხლს აღვივებს ფიცხ საფრანგეთის გულში!" (p. 24). ეს ორიოდე სიტყვა ბევრ გრძელ და მშრალ ანალიზზედ უკეთესია.

მოვიხსენიოთ აგრეთვე კიდევ ერთი საინტერესო წიგნი ერის შესახებ, წიგნი Louis Legrand-ისა — L'idée de la Patrie, — და დავამთავროთ ეს თავი, თორემ ყველას ჩამოთვლა, ვისაც კი რამ უწერია ამ საკითხის შესახებ, თვით საინტერესო ავტორებისაც, ძლიერ შორს წაგვიყვანდა.

ავტორს არა აქვს სპეციალურ მიზნად დასახული ერისა, ან სახელმწიფოს განსაზღვრა. იგი სამშობლოს იდეასა და ცნებას აქცევს უმთავრესს ყურადღებას. სამშობლო მისთვის განირჩევა სახელმწიფოსაგან, ერისაგან, ხალხისაგან, თუმცა ხანდახან თვითონვე აღრევს ხოლმე ერთმანეთში ამ ცნებათა. — კაცობრიობის კონცეპცია ძლიერ გადამეტებულია და მისი დაყოფაც დამოუკიდებელ ერებად არამც თუ უნდა მოისპოს, არამედ თავდებია მშვიდობიანობისა და პროგრესისა.

ავტორი იკვლევს სამშობლოს იდეის ევოლუციას უძველეს დროიდან თანამედროვე ეპოქამდე და ამტკიცებს, რომ სხვა და სხვა ფორმით, თანახმად სხვა და სხვა სოციალურ ორგანიზაციისა, იდეა და სიყვარული სამშობლოსი ყოველთვის არსებობდა. იგი აღნიშნავს ყველა პირობას სამშობლოს არსებობისას. იგი შემდეგ განსაზღვრავს სამშობლოს ცნებასა. კრიტიკის ქარ-ცეცხლში ატარებს კოსმოპოლიტიზმსა და გადამეტებულ, ყალბ ინტერნაციონალიზმსა. შემდეგ არჩევს პატრიოტიზმს რელიგიური სულის თვალთახედვით. აღნიშნავს აგრეთვე პატრიოტიზმის ნაკლსა, მაგრამ ამასთანავე მის კარგ მხარეებსა, მის სიდიადესა და სარგებლობას. აღნიშნავს მოვალეობას სამშობლოსადმი,

აღნიშნავს საერთაშორისო საერთიერთო ვალდებულებათა, კონფლიქტს ადამიანთა სხვა და სხვა მოვალეობათა შორის — სამშობლოსადმი, ოჯახისადმი და კაცობრიობისადმი. ვრცლად ლაპარაკობს ეროვნულ აზრდის შესახებ. შემდეგ კი მომავალზედ ლაპარაკობს, — ამტკიცებს რომ სამშობლოს ადგილს ვერც კომმუნა დაიჭერს, ვერც ერთი საკაცობრიო სახელმწიფოო. ბოლოს საფრანგეთის სამშობლოს ნაკლზედა და ღირსებაზედ ლაპარაკობს, აგრეთვე ყოველი ფრანგის მოვალეობაზედ საფრანგეთისადმი და ამით ათავებს თავის ძლიერ საინტერესო წიგნსა.

როგორც მკითხველი ჰხედავს, ამ წიგნში დაყენებული პრობლემები თითქმის იგივენი არიან, როგორნიც ჩვენ დავაყენეთ ჩვენს წიგნში, მაგრამ ჩვენი მსჯელობა და ავტორისა დიდად განსხვავდება ურთი-ერთისაგან. მაინც უმეტეს ნაწილად მისი აზრები ჩვენ ჭეშმარიტად გვეჩვენება.

ბევრში არ ვეთანხმებით ავტორს, მაგრამ თვით სამშობლოს განსაზღვრაში ავტორს არ შეიძლება არ დავეთანხმოთ. იგი ამბობს, რომ „სამშობლო გულისხმობს განსაზღვრულ კუთხეს, რომელზედაც ერს მოუწყვია სახელმწიფო თავის არჩევითა. — ამ აზრით ცნებანი კუთხისა, ერისა და სახელმწიფოსი შედიან ელემენტებად იმ რთული არსის განსასაზღვრავად, რომელსაც ეწოდება სამშობლო“ (p. 77) — სწორია ეს განსაზღვრა, მაგრამ ისიც შესაძლებელია. რომ ადამიანს სამშობლო ჰქონდეს, და სახელმწიფო კი არა. ისიც მართალია, რომ ხანდახან რომელიმე ერსაც ეკუთვნის ადამიანი, სამშობლო კი დაჰკარგვია. პირველის მაგალითები — ყველა დამონებული ერები თავიანთი სამშობლოებით, მეორეს მაგალითი — ებრაელები.

„ერი არის კრებული ინდივიდთა და ოჯახთა, რომელნიც შეაერთა ნათესაობამა და სიმპატიამაო“ (p. 75), ამბობს ავტორი, მაგრამ ეს სრულიად ვერ არის მეცნიერული განსაზღვრა ერის ცნებისა. „სახელმწიფო არის იურიდიული არსი, კოლლექტივური ორგანიზმი, რომელსაც წინად არსებული ზნეობრივი პიროვნება, ერი ჰქმნის, თავის დამოუკიდებლობის დასაცველადა და მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად“. (იქვე). — ეს კი, როგორც მკითხველი ჰხედავს, გაცილებით უკეთესი განსაზღვრაა, თუმცა სახელმწიფოსი და არი ერისა.

ავტორი ხშირად უწოდებს ერსა და სამშობლოს სოციალურ არსთა, — თუმცა არა სცდილობს დაამტკიცოს, როგორ და რად არიან იგინი ასეთნი არსნი. იგი აგრეთვე დიდ როლს აწერს ტერრიტორიას, ენას, სჯულს, ზნე-ჩვეულებასა და სხვას ერისა და სამშობლოს შექმნაში, მაგრამ მისი აზრით თვით იგინი არ შეადგენენ სამშობლოს სუბსტანციასა, — იგინი მხოლოდ პირობანი არიან, რომლებშიაც სცოცხლობს სამშობლო, და არა წყარო, საიდანაც იგი გამომდინარეობს. სამშობლო არის ავტორისათვის კუთხე, ერი, სახელმწიფო, **გამოყოფილი მკაფიოდ სხვათაგან**, და ყოველი მოქალაქისათვის გრძნობათა და ვალდებულებათა წყაროდ ქცეული. იგი იგივეა საერთაშორისო ცხოვრებაში, რაც ოჯახი უბრალო ცხოვრებაში, — ადგილი, „სადაც ადამიანს სურს თავის ნებაზედ, თავის სიმპატიის და ნათესაობის მიხედვით იქონიოს საკუთარი საზოგადოებრივი ცხოვრება, ორიგინალური ცენტრი მოქმედებისა, საკანე თავის უწმინდეს გრძნობათა“.

„**იგი სოციალური პსიხოლოგიით** აიხსნებაო“ (pp. 80—81), და სხვ. და სხვ...

ჩვენ არ გამოვუდგებით ავტორის სრულ კრიტიკასა. ბევრი ჭეშმარიტება აქვს მას გამოთქმული, ბევრიც შეცდომა. მხოლოდ ერის უფლება მას არა აქვს კარგად განსაზღვრული. სწორედ აქ აღრეეს იგი ცნებათა — და ერი, სამ-

შობლო და სახელმწიფო მისთვის აღარ ირჩევა ერთმანეთისაგან. თუმცა ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ავტორი ყოველ ერს ანიჭებს თავისუფლების უფლებას, **როგორც კი ამ ერს დაებადება გრძნობა და შეგნება თავისუფლებისა.** ისეთი ერის ნაწილებსაც კი ანიჭებს იგი ასეთ უფლებას, რომლებიც შოსციალიებიან მეტროპოლიას, ახალ ქვეყანაში ახალი სამშობლოს გრძნობა და სიყვარული შეუძენიათ.

მიუხედავად ბევრი ნაკლისა, ამ წიგნს, ერთი სიტყვით, ისეთი ღირსებანი აქვს, რომ იგი ერთი საუკეთესო ნაწარმოებთაგანია ეროვნულ პრობლემის ლიტერატურაში. მისი წაკითხვა დიდ სიამოვნებას აგრძნობინებს ყველას, ვისაც კი ამ საგანზედ უფიქრნია.

თავი მეთოთხმეტე

ქართველი ერი

ქართველი ერი მარტო ჩვენთვის კი არ არის საინტერესო, არამედ იგი ერთი იმ უძველეს და უორიგინალეს ერთაგანია, რომლის ძირიც უძველეს ისტორიაშია ჩამარხული. დღეს მისი ნათესაობაც ვერ დაუდგენიათ საბოლოოდ წარსულ და აწ არსებულ, ცოცხლად დარჩენილ ერებთან. ქართველი ერი ისტორიული ერია. უძველეს დროიდან მას მონაწილეობა მიუღია საერთო კულტურულ და ისტორიულ ცხოვრებაში, ხანგრძლივი დამოკიდებულება ჰქონია უძველეს ხალხებთან; იგი ისტორიული და კულტურული ერია განსაკუთრებით იმიტომ, რომ კავკასიის განსაზღვრულ ტერრიტორიაზედ მან შექმნა უკვე საუკუნოდ დამკვიდრებული თავისებური სოციალური ორგანიზმი, შექმნა განსაზღვრული სამშობლო, რომელსაც საუკუნეთა განმავლობაში ვეტრფოდით და დღესაც გვიყვარს იგი. ქართველმა ხალხმა შექმნა თვით სახელი „საქართველო", შექმნა პოლიტიკური ცხოვრება, საერთო კულტურული ენა, მდიდარი და განვითარებული და შედარებით სხვებთან წმინდად დაიცვა იგი. საკუთარი ანბანით სწერდა იგი უძველეს დროიდან საუცხოო საღმრთოთა და საერო თხზულებათა; ჰქონდა საკუთარი, შშვენიერი მუსიკა, მრავალი სხვა დარგი ხელოვნებისა. ქართველი ერი, „საქართველო" დღესაც არსებობს, იგი მოკლებულია ზოგიერთ უპირველეს სოციალურ ორგანოებს, მაგრამ მაინც ცოცხალი სოციალური ორგანიზმია, მოიმედე შორეულ წარსულის განგრძობისა, ძველ დამოუკიდებელ ცხოვრების აღდგენისა. მას დღესაც აქვს ზნეობრივნი და კანონიერნი უფლებანი თავისუფალი არსებობისა, და თუ ნიჭი თავის დაცვისა განუვითარდა, თუ აგრეთვე საერთაშორისო სამართალი ოდნავ მაინც დაიცავს ერის კანონიერ უფლებასა, — იგი არ მოკვდება, კიდეე მიიჩნევენ კაცობრიობის შემადგენელ ერთა შორის. — მრავალ თვალთა-ხედვით არის საინტერესო ქართველი ერი, საზოგადოდ ისტორიისათვის და ერთობ მეცნიერებისათვის, საერთაშორისო სამართლისათვის, — განსაკუთრებით კი ჩვენთვის, მაგრამ ამ პატარა თავში ჩვენ ვერ განვიხილავთ ვრცლად საქართველოს ყოველ-მხრივად. საქართველოს ისტორიას ხომ არა ვსწერთ, — არც შეგვიძლია, — იგი სპეციალისტების საქმეა.

ჩვენ მხოლოდ გვინდა მოვაგონოთ მკითხველს, რომ ზემოხსენებულ თეორიის თვალთახედვით ქართველი ერიც ერია, და ღირსეული ისტორიული ერიცა, ღირსი სიცოცხლისა და უსამართლოდ მოკლებული ამ ელემენტარულ უფლებასა.

საუბედურო ჯერ-ჯერობით ორიოდე მეცნიერი გვყავს ქართველთა შორის, რომელიც ირკვევს ქართველი ერის ნამდვილს ვინაობასა. ბევრი უცხო მეცნიერიც იკვლევს ამავე საგანსა, მაგრამ იგინი, მიუხედავად იმ დიდი ღვაწლისა, რომელიც მათ მიუძღვისთ საქართველოს ისტორიის კვლევა-ძიებაში, გადაჭრილსა და მტკიცე მეცნიერულ ცნობებს ვერ გვაძლევენ. უმთავრესი მიზეზი ამისა ის არის, რომ მათ ქართული და მისი დიალექტები ან სულ არ იციან, ან ძლიერ სუსტად იციან. არ იციან, აგრეთვე ძველი ქართული მწერლობა, როგორც ამას შენიშნავს სამართლიანად ჩვენი ისტორიკოსი ივ. ჯავახიშვილი.

ხალხის წარმოშობა რომელიმე რასისაგან ან მისი ნათესაობა სხვა ხალხებთან ორი რამით შეიძლება იყოს გამორკვეული, — ენის ნათესაობითა და ანთროპოლოგიური ნიშნებითა. ხშირად ენის ნათესაობა არაფერს არ ამტკიცებს, რადგანაც შეიძლება ენა წამბაძველობის კანონის ძალით ერთმა ეთნიურმა ჯგუფმა მეორეს გადასცეს, სრულიად სხვა ანთროპოლოგიურ ტიპსა. — აგრეთვე შეიძლება ერთისა და იგივე ანთროპოლოგიურის ტიპის ხალხი სხვა და სხვა ენაზედ ლაპარაკობდეს, — იმავე წამბაძველობის კანონის ძალით: შეიძლება შემოსევა მომხდარიყოს რომელიმე ქვეყნის ნაწილებში და მოსულ ტიპს თავისი ანთროპოლოგიური ნიშნები შედარებით წმინდად დაეცვას, ენა კი შასპინძლის შეეთვისებინოს. ან შეიძლება აღრევა მომხდარიყოს ენისაც და ტიპისაც. — ბევრი ამგვარი შემთხვევაა შესაძლებელი. წმინდად დარჩენილ ტიპთა და ენათა შემწეობით კი შესაძლებელია ფარკვევა ნარევ ენისა და ტიპისა, — აგრეთვე შესაძლებელია სხვა და სხვა საბუთებით დაახლოვებით იმის გამოკვლევა, თუ სად უცხოვრიათ ამა თუ იმ ხალხებს უძველეს დროსა.

ქართველი ერი, რასაკვირველია, როგორც ყოველი ერი ქვეყანაზედ, სხვა და სხვა დროის ნარევია, სხვა და სხვა ხალხთა. აგრეთვე მის ენაში ბევრი უცხო სიტყვაა, მაგრამ ამ მხრით შეიძლება შედარებით სხვებთან ქართველები ძლიერ წმინდად ვიყოთ დაცულნი. ამას თუ გინდ ისიც ამტკიცებს, რომ მრავალმა მეცნიერმა, ხანგრძლივი კვლევის შემდეგ, მხოლოდ ის აღიარა, რომ ქართველთა ენა და ჯგუფი განსაკუთრებულია. ყოველ შემთხვევაში, ნარევია იგი თუ არა, ქართველ ხალხს ერი შეუქმნია და დღესაც არსებობს ეს ერი, როგორც განსაკუთრებული სოციალური ორგანიზმი, თავისი ისტორიის მქონე და თვითარსებობის შემგნები.

ვინა ვართ ჩვენ ენის მხრითა? — რომელ საერთო ენათა ჯგუფს ვეკუთვნით?

წინად ქართულ ერს ინდო-გერმანულ ენათა ჯგუფს აკუთვნებდნენ; თვით ბროსსეც ამ აზრის იყო. მაგრამ ფრანგმა მეცნიერმა ბიურნუფმა დაარღვია ეს აზრი. — ზოგი ჰფიქრობდა, — ქართული თურანულ ენათა ჯგუფს ეკუთვნისო. მაქს მიულლერი და დე-მორგანი იყვნენ ამ აზრისა. არც ეს აზრი გამოდგა სწორი. — არიან ისეთნი მეცნიერნიც, რომელნიც „კავკასიურ“ ენებს აღრევენ ერთმანეთში და სთვლიან მათ განსაკუთრებულ ჯგუფად. ეს აზრი გამოსთქვა კლაპროტმა, ფრ. მიულლერმა, შპიგელმა და სხვებმა. მას ემხრობა აგრეთვე ალ. ცაგარელიც, აგრეთვე უსლარი და ერკერტი. ფრიც ჰომმელმა უფრო ჭეშმარიტი აზრი გამოსთქვა, — ქართულს ძველ ელამიურ, კათბადუკიურ, ხეთურ, თანამედროვე ბასკურ და სხვა ენებთან აქვს ნათესაობაო. იგი ფრ. ლენორმანსავით ამ ენებს განსაკუთრებულ „ალაროდიულ“ ენათა ჯგუფადა სთვლის. მისი აზრით უძველეს დროს მთელი მცირე აზიის, მიდიის, სომხეთის და ჩრდი-

ლო ასსურეთის მიწები ამ ალაროდიელებს ეჭირათ. — ლენორმანი, სეისი და სხვანი უძველეს ქართულ ენად სთელიდნენ იმ ალაროდიელთა ენას, რომლითაც არის დაწერილი ვანის ლურსმული. — პროფესორმა შუხარდტმა, რომელმაც იცის ქართული ენა, ის აზრი გამოსთქვა, რომ ქართული ქამიურ ენათა ჯგუფს ეკუთვნისო. მას მხარი დაუჭირა იტალიელმა პროფ. ა. ტრომპეტტიმ. მისი აზრით კავკასიურ ენებს კავშირი და ნათესაობა აქვთ ქამიურ-სემიურ ენებთან, განსაკუთრებით აფრიკის ენებთან, და ბასკური ენაც ამ კავკასიურ ენათა ჯგუფს ეკუთვნისო. საუბედუროდ არც ტრომპეტტიმ იცის ქართული ენა, იგი აგრეთვე „კავკასიურ" ენებს აღრევს ერთმანეთში; ამას გარდა არც „ქიმიური" ენებია კარგად შესწავლილი. ჩვენი მეცნიერი ნ. მარრიც ამას სამართლიანად შენიშნავს ტრომპეტტის. — თვით ნ. მარრის აზრი უფრო საინტერესოა. მისი აზრით ქართული სემიურ ენათა მონათესავეა, მაგრამ არა სემიურის, არამედ იაფეტურის შტოისა: ქართულ ენის ზოგიერთი კანონები, ბოლოსართებისა და თავსართების ერთად ხმარება, ერთის და იმავე ნაცვალსახელების ხმარება ზმნებში, ორგვარი მიმღეობა, ერთობ აგებულება ზმნისა და სიტყვათა წარმოება, — აი რა აქვსთ საერთო ქართულ და სემიურ ენებსა. მაგრამ თუ ქართულს ეს ერთობა აქვს სემიურ ენებთან, ამასთანავე მას განსაკუთრებულნი თვისებანი აქვს, რომელნიც სრულიად ანსხვავებენ მას სემიურ ენათგან და აქიტომაც მარრის აზრით ქართული სემიური ენა კი არ არის, არამედ სემიურ ენათა მონათესავე ენა. ქართული (ქართლური, მეგრული, სვანური), სუზის ენა, ვანის ლურსმულ წარწერის ენა, ანუ ურარტუს ენა, პირველ-ყოფილი სომხური — ესენი ერთ დროს ერთს ენათა ჯგუფს შეადგენდნენო. (იხ. ამის შესახებ ნ. მარრის ძველ ქართულ გრამმატიკის ტაბულათა წინასიტყვაობა (რუსულად) და ივ. ჯავახიშვილის „ქართველ ერის ისტორია", თავი პირველი, pp. 11—19).

ქართული ენა სამი შტოსაგან შესდგება: ქართლურისაგან, რომლითაც ლაპარაკობენ ქართლ-კახელები, იმერლები, გურულები, მესხები, მთიულნი და სხვანი, — მეგრულისაგან, რომლითაც ლაპარაკობენ მეგრელები და ჭანები, და სვანურისაგან — რომლითაც სვანები ლაპარაკობენ. მიუხედავად ამისა, — ქართული ენა ერთია, ერთისა და იმავე აგებულებისა, ერთისა და იმავე ძირისა. უძველეს დროს, ივ. ჯავახიშვილის აზრით, ალბად მწერლობაც იქმნებოდა ქართულ ენის რომელიმე შტოზედ, მაგრამ ჩვენ დრომდე მხოლოდ ქართლურ ენაზედ განვითარებულ მწერლობას მოუღწევია და დღესაც ეს ენა არის ჩვენი საერთო სამწერლო, კულტურული ენა. ყოველ შემთხვევაში უკვე ქრისტეს წინად არსებობდა ჩვენი ენის ან-ბანი და მთელი საქრისტიანო ეპოქის განმავლობაში ეს ენა იყო ჩვენი ეროვნული საუნჯე, ერთად-ერთი ლიტერატურული ენა.

ქართველი ერი ერთია ლინგვისტიურად, მას აქვს სამი ერთისა და იმავე ენიდან წარმომდგარი დიალექტი, ხოლო სამწერლო ენად შეიძლება უძველეს დროიდან მეგრული ან სვანურიც ყოფილიყოს, — ოც საუკუნეზედ მეტი და ეხლა კი ქართლური დიალექტი იყო და არის ჩვენი საერთო, ეროვნული, კულტურული და სალიტერატურო ენა. ამ ენით ელოცულობდით, ამ ენით ვსთარგმნეთ საეკლესიო წიგნები, ამ ენით სწერდნენ და მღეროდნენ ჩვენი მგოსნები; მითი ვმსჯელობდით დიდ საქვეყნო საქმეებზედ, ვსწერდით ისტორიასა; — ეს იყო და არის ჩვენი ხამშობლო ენა, უძვირფასესი განძი, დამცველი ჩვენი ეროვნული სულისა.

ქართველებს საერთოდ ყველას „ქართველები" არ ერქვათ თავდაპირ-

ველადვე. როგორც ყოველი სხვა ერი, რომლის სოციალური ცხოვრება თავდაპირველად არ არის ძლიერის კოჰეზიისა, იგი დაყოფილი იყო სხვა და სხვა ჯგუფებად, რომელთაც სხვა და სხვა სახელები ჰქონდათ მიუხედავად ერთის ენისა და ერთის სისხლისა.

მაგრამ ეს სახელ-წოდებანი მხოლოდ რამოდენიმე ქართულ ძირისაგან არიან წარმომდგარნი. მაგალითად, სიტყვა „ტაბალისაგან" და „თუბალისაგან რომელიც მოხსენებულია ასსურეთის მეფის სალმანასსარ მეორის წარწერაში (860—825 წ. ქრ. წ.), როგორც ქართველი ტომი, მტკიცე ენათ-მეცნიერების კანონთა ძალით წარმომდგარან: ჰიბერი, ივერი, „იბერეს" (ლათინურად), ვირქ (სომხურად), იბერი, იმერეთი, იმერელი, ეგერი, ეგრისი, მეგრელი, გურია. — როგორც მკითხველი ჰხედავს, ეს მთელი ნახევარი საქართველოს ტომების სახელებია. — აგრეთვე ასსურულ წყაროებში ტაბალი და მუსკი, ანუ მესხი, ყოველთვის ერთად არიან მოხსენებულნი. მათ ერთად იხსენიებს აგრეთვე ჰეროდოტე. მესხის სახელი კი ეხლაც არის დარჩენილი და ქართველთა ერთ საუკეთესო ტომს აღნიშნავს. თაბალისა და თუბალისაგან წარმომდგარი ხალხი მეგრულ ჭანურ-ქართული შტოის ხალხი იყო. აგრეთვე ბერძნულ მწერლობაში მოხსენებული მოსსინიკები იმავე ჭანებსა ნიშნავდნენ და ეკუთვნოდნენ ამავე შტოს.

ქართლურ შტოს ეკუთვნოდნენ მუსკები, ანუ მესხნი, ტაოსნი, ჯავახნი, კახნი და სხვანი. დაბოლოვება „ხი" — ლინგვისტიურად ქართველობისადმი კუთვნილების აღმნიშვნელია. და სწორედ ეს გარემოება გვაძლევს შეძლებას დავამტკიცოთ, რომ ზემოხსენებული დიდი შტოც ქართველობის ნაწილი იყო: იყო ერთი ტომი, მეგრულ-ლაზური, რომელსაც ერქვა „კარდუხი", — რაც „ქართუ-ხი"-ს უდრის. ამ „ქართუ"-დან (მეგრულად — ქორთუ) წარმოსდგა სიტყვა ქართველი, რომელიც შემდეგ სახელწოდება შეიქმნა ყველა ქართველთა. ამგვარად მტკიცდება ერთობა ჭან-მეგრელთა და ქართლელთა შორისაც.

სვანური შტოის წარმომადგენელი ეხლაც არის საქართველოში — თვით სვანეთის ხალხი. — „ზან" და „ლაზან" სვანური სიტყვებია, რომლებიც ნიშნავენ ჭანს ანუ მეგრელს და სამეგრელოს. ეხლაც სვანები მეგრელებს „ზან"-ებს ეძახიან.

უძველეს დროს საქართველოში მოსახლეობა და ენა ამ სამი შტოისა ისე არ ყოფილა განაწილებული, როგორც დღეს არის. ბ-ნ ივ. ჯავახიშვილის გამოკვლევიდანა სჩანს, რომ იქ, სადაც დღეს იმერლები და გურულები არიან — წინად მეგრელები ყოფილან. ამას ამტკიცებს გეოგრაფიული სახელები და თვით სახელი „იმერეთი", „გურია", — იბერეთი, ეგერი — გვერ, რაიცა ნიშნავდა მეგრელს. იქ, სადაც ეხლა სცხოვრობენ მეგრელები, ალბად წინად სვანებს უნდა ეცხოვრათ, რაიცა აგრეთვე მტკიცდება დარჩენილ გეოგრაფიულ სახელებითა. ალბად თვით საქართველოს შიგნით ყოფილა ხშირი შეტაკება ტომთა შორის. ურთი-ერთისაგან ადგილის წართმევა და დღეს ამიტომაც იმერლები და გურულები ნარევნი არიან ქართლელთა და მეგრელთა, — ანუ გაქართლელებული მეგრელები, ხოლო მეგრელები — სვან-მეგრელნი.

თუ სად იყო უძველესი ჩვენი სამშობლო, ამის გამორკვევა შეიძლება რამოდენიმე საბუთით.

თვით სიტყვა ქართველი, „ქართუ"-ელი ნიშნავს სადაურობას. „ქართუ"-კი ნიშნავს ქალდეას. დღესაც არის შენახული სვანეთში, სახელი — ქალდე, — სახელწოდება ერთის სოფლის საზოგადოებისა. ჩვენი წინანდელი სამშობლო ალბად ქალდეა ყოფილა. ასსურეთის მეფე ტუგლატ-პილესსარ II 1275 წლის

(ქრ წ.) წარწერაში ამ ქვეყანას პირდაპირ „კარდუ"დ უწოდებს. თუ როდის აღ-ყარნენ იქიდან ქართველები, — ამის გამორკვევა ძნელია, მაგრამ ზოგიერთი ძვირფასი ცნობა მაინც მოიპოვება ასსურულ წყაროებში ქართველ სხვა და სხვა ტომთა ბინადრობაზედ. ამ ცნობათა მიხედვით ტაბალები უძველეს დროს, მეცხრე საუკუნეში ქრისტეს წინად, სცხოვრობდნენ სწორედ იმ ადგილას, სადაც შემდეგ დიდი კათბადუკია იყო, კილიკიელების მეზობლად. მესხების ქვეყანაც მეთერთმეტე საუკუნეში ტაბალის ჩრდილოეთით მდებარეობდა, ფრიგიის აღ-მოსავლეთით. კოლხების ქვეყანა (ესეც ერთი მეგრულ-ჭანური ტომი იყო) მერ-ვე საუკუნეში ქრ. წ. მდებარეობდა მესხების ჩრდილოეთ აღმოსავლეთისაკენ, რომლის აღმოსავლეთითაც იქმნებოდა ურარტუს ქვეყანა, სამხრეთით კი ნაი-რის ქვეყანა (ეს სულ ასსურული წყაროებით). ჰეროდოტეს დროს (V საუკ. ქრისტეს წინ.) კოლხებს უკვე შავი ზღვის ნაპირას უცხოვრიათ, იქ, სადაც შავ ზღვას მდინარე ფაზისი შეერთვის. იქვე უცხოვრიათ მაკრონებს, ანუ მეგრე-ლებს, მათ მეზობლად მესხებს, ტიბარენებსა და მოსსინიკებს. მაშასადამე ჩრდი-ლოეთით და შავის ზღვის პირას ამოუწევიათ ქართველებს. ამ XI-V საუკ. გან-მავლობაში. ქსენოფონტეს ცნობით (მეხუთე საუკუნის ბოლო) ყველაზედ სამ-ხრეთით კარდუხები სცხოვრობდნენ, სხვანი კი შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავ-ლეთის ნაპირებზედ სცხოვრობდნენ. ყველაზედ დასავლეთით სცხოვრობდნენ ტიბარენები, შემდეგ აღმოსავლეთით ხალიბები, შემდეგ მოსსინიკები, შემდეგ კოლხები. კოლხების სამხრეთით იყვნენ დრილები, სამხრეთ აღმოსავლეთით მაკრონები, მაკრონების აღმოსავლეთით სკვითინები. ამგვარად მეოთხე საუკუ-ნეში ქართველებს ისევ უცვლიათ ბინა და ჩრდილოეთისაკენ ამოუწევიათ. მი-ზეზი ამ გადასახლებისა იყო კიმმერიელების შემოსევა მცირე აზიაში მეშვიდე საუკუნიდან ქრ. წინ. ამ კიმმერიელებმა აიძულეს ქართველები დაეტოვებინათ ძველი სამშობლო და ამოწეულიყვნენ ჩრდილოეთისაკენ. მათაც შეამცირეს ქართველთა ძლიერება და რაოდენობა. ძლიერნი მესხნი, რომელთაც ერთ დროს პონტოს ადგილები ეჭირათ, მეოთხე საუკუნეში უკვე იქ იყვნენ, სადაც შემდეგ სამცხე-საათაბაგო იყო და პატარა უმნიშვნელო ტომად ითვლებოდნენ. რომ წი-ნად ქართველების ბინადრობა მცირე აზიაში ყოფილა და მათი ძლიერებაცა და ენაც გავრცელებული ყოფილა, ამას ისიც ამტკიცებს, რომ დღესაც კი არის დარჩენილი ქართული ენის კვალი მცირე აზიაში: სახელწოდებანი გეოგრაფიულ-ნი, აგრეთვე საკუთარნი სახელნი. ქსენოფონტეს შემდეგ სამი საუკუნის გან-მავლობაში აღარავის აუწერია საქართველო. მხოლოდ სტრაბონმა აღწერა იგი პირველ საუკუნეში ქრისტეს შემდეგ. ბინადრობა ქართველთა თითქმის აღარ შეცვლილა, მაგრამ პოლიტიკური და ეროვნული მდგომარეობა კი შეცვლილა საქართველოს შინაგან ცხოვრებაში. კოლხებისა და მოსსინიკების ადგილები უკ-ვე ხალდებს დაეჭირათ. კოლხები აღმოსავლეთისაკენ გაერეკათ, მოსსინიკები სამხრეთისაკენ.

ბინადრობა ქართველთა ძლიერ შემცირებულა სომეხთა და ბიზანტიელთა შემოსევითა და ბატონობით. მაგრამ ამ მოვლენაზედ უფრო საინტერესო კიდევ შინაგანი ცვლილებაა ქართველ ტომთა ბინადრობისა და ენისა. იქ, სადაც ეხ-ლა იმერეთი და გურია არის, როგორც არა ესთქვით, წინად მეგრელები ყოფი-ლან; ეს კიდევ პლინიუსისა, პტოლემესა და სტრაბონის ცნობებით, ე. ი. პირ-ველ ორ საუკუნეში ქრისტეს შემდეგ. სწორად არ შეიძლება დროის განსაზღვ-რა, თუ როდის შეიჭრა ქართლურად მოლაპარაკე ტომი სამეგრელოს შუა-გულ-ში და გააქართლელა თანამედროვე იმერეთი და გურია, შუაზედ გასჭრა მათი

მოსახლეობა და ენაც მათი შავი ზღვის აღმოსავლეთისა და სამხრეთ აღმოსავლეთის ნაპირებზედ დასტოვა, შუაში კი ქართული გაამეფა.

ქართველები, როგორც ვხედავთ, უკვე უძველეს დროიდან შემოსულან ამიერკავკასიაში და დასახლებულან. ხოლო ის ტერრიტორია, რომელიც ცნობილია ჩვენ ისტორიულ ტერრიტორიად, თან და თან დაუპერიათ, ჩრდილოეთისაკენ თან და თან ამოწევით. თუ როდის მოხდა ქართველთა შემოსვლა კავკასიაში, ძლიერ ძნელია ამისი ნამდვილი და სწორი გამორკვევა ყოველ შემთხვევაში უძველესი კვალი ქართველთა კავკასიაში არ უნდა ვეძიოთ. ქართველებზედ წინად აქ სხვა რასა სცხოვრობდა, — გრძელ-თავიანთა, რომელსაც განვლილი ჰქონია ქვის ორივე ხანა და ბრინჯაოსიც.

ქართველებს ბევრი ამსგავსებს ურარტელებსა და ხეთელებს. ურარტელები სცხოვრობდნენ კოლხების აღმოსავლეთით, ეფრატისა და ტიგრის სათავეებში, ვანის ტბისა, მდ. არაქსისა და არარატის მთის მიდამოებში. აქ იყო ნაირიისა და ურარტუს სამეფოები; ისინი ერთად მოქმედებდნენ ხოლმე საერთო მტრის წინააღმდეგ და დიდ მეტოქეობას უწევდნენ ასსურეთსა. როლი მათი დიდი იყო ისტორიაში. ბევრი ანათესავებს მათ ქართველებსა განსაკუთრებით მათ წარწერათა ქართულთან შედარებით, — მაგ. ლენორმანი, სეისი, ნიკოლსკი და სხვანი, — მაგრამ ივ. ჯავახიშვილის აზრით ჯერ არ შეიძლება დანამდვილებით ამ აზრის გამოთქმა, რადგანაც არც ვანის წარწერებია კარგად წაკითხული და შესწავლილი, არც თანამედროვე ქართული ენის შედარება შეიძლება ურარტუს ენასთან, რადგანაც ქართულ ენას მრავალი საუკუნის ისტორია ჰქონია და განვითარებულა, ხანგრძლივი ცვალებადობის პროცესსი განუცდია. აგრეთვე ქართული ენა სამი შტოისაგან შესდგება და ყველანი უნდა შევადაროთ ურარტუს ენასა და არა მარტო ქართული. საჭიროა ჯერ ვანის წარწერათა საფუძვლიანი შესწავლა, შემდეგ ძველის ქართულისა, აგრეთვე მეგრულისა და სვანურის ცოდნა, რომ შედარებას გადაჭრილი ნაყოფი მოჰყვეს და საბოლოოდ დამტკიცდეს ქართულისა და ურარტუს იგივეობა.

ხეთელთა მსგავსება ქართველებთან შესაძლებელია ანთროპოლოგიურად, რადგანაც ანთროპოლოგიურ ნიშნების მიხედვით იგინი ერთმანეთსა ჰგვანან. ერთნიც მოკლე-თავიანები არიან და მეორენიც. ლინგვისტიურად მათი მსგავსება ჯერ არ შეიძლება: მეცნიერულს, გადაჭრილ აზრს ვერც გამოვსთქვამთ, რადგანაც არც ხეთელთა იეროგლიფები არიან წაკითხულნი და შესწავლილნი. (იხ. ყოველივე ამაზედ ივ. ჯავახიშვილი: „ქართველ ერის ისტორია", თავი I; ქართულ გრამატიკის ტაბულათა წინასიტყვაობა ნ. მარრისა).

ვინა ვართ ჩვენ ანთროპოლოგიურად? — ჯერ ანთროპოლოგიურად სავსებით არ არის შესწავლილი საქართველო. გარდა უცხოელთა, ჩვენი მეცნიერებიც მუშაობენ ამ საგნის გამოსარკვევად, — სხვათა შორის ორი ჯავახიშვილი: გიორგი ჯავახიშვილი და ალექსანდრე ჯავახიშვილი. პირველი ახალგაზრდა ნიჭიერი მეცნიერია და მისგან უსათუოდ ფრიად საინტერესო შრომებს მოველით ჩვენი ქვეყნის ანთროპოლოგიის შესახებ. მას უკვე დაუწერია შრომა „К вопросу об этнологии Малой Азии и Закавказья". რომელიც ჩვენ საუბედუროდ არ გვინახავს. იგი ამტკიცებს, რომ თავ-მოკლე რასა ქართველი მოდგმისა და ნათესავისა დიდი რასა იყო და ეპირა 2000 წლის წინად მთელი შუა მდინარე, ირანი და მთელი მცირე აზია. შემდეგ სემიელთა და არიელთა შემოსევამ გამოდევნა იგი ამ ადგილებიდან და შემოხიზნა კავკასიაში. (იხ. ივ. ჯავახიშვილი, ib. p. 61).— მეორემ, ალექსანდრე ჯავახიშვილმა უკვე გამოსცა თავისი წიგნი: აღმოსავლეთ საქართველოს ანთროპოლოგია — Антропология Грузии, I. ამ წიგნში. გარდა

იმისა, რომ იგი ამტკიცებს ჩვენს თავ-მოკლიანობას, — სხვა ხალხებთან შედარებით, სხვა და სხვა მეცნიერთა ცნობებით, ჩვენ ანთროპოლოგიურ თავისებურებასაც აღნიშნავს. ეს ჩვენი ანთროპოლოგიური თავისებურება შემდეგნაირად გამოიხატება: ქართველებს ტვერის გუბერნიის რუსებთან შედარებით (200 კაცის გაზომვის მიხედვით) 27 შესადარებელი ანთროპოლოგიური ნიშანი აქვსთ: საერთო — 17, განსხვავებული — 10. პოლონელებთან (226 კაცის გაზომვით) — 20: საერთო — 11, განსხვავებული — 9. ყუბანის ყაზახებთან (41 — 61 კაცის გაზომვით) — 22: საერთო 10, განსხვ. — 12. აღმოსავლეთელ ქართველ სომხებთან (105 კაც. გაზომვ.) — 22: საერთო — 15, განსხვ. — 7. პოლონელ ებრაელებთან (100—200 კაც. განზ.) — 28: საერთო — 17, განსხვ. — 11. თერგის ოლქის ოსებთან (36—200 კაც. განს.) — 18: საერთო 9, განსხვ. — 9. სპარსელებთან (46 კაც. განზ.) — 25: საერთო — 10, განსხვ. — 15. თორღოუთის მონღოლებთან (43—138 კაც. განზ.) — 26: საერთო — 17, განსხვ. — 9. ყუმიყებთან (107 კაც. განზ.) — 18: საერთო — 15, განსხვ. — 3. ყაბარდოელებთან (40 კაც. განზ.) — 20: საერთო — 11, განსხვ. — 9. ყარაყირღიზებთან (46 — 66 კაც. განზ.) — 12: საერთო — 6, განსხვ. — 6. სართებთან (8 კაც. განზ) — 12: საერთო — 8, განსხვ. — 4. ადერბეიჯანელ თათრებთან — 13: საერთო — 4. განსხვ. — 9. (იხ. Антропология Грузии, I, გვ 237—240). საერთოდ, ვინ იცის რამდენ რასას შეერევიეართ დროთა ვითარებაში, რამდენად შერეულა ჩვენი ენა, ჩვენი სისხლი და ანთროპოლოგიური ტიპი. შერევა ჩვენი სისხლისა და ენისა ჭეშმარიტებაა მიუხედავად იმისა, ხეთელებისა და ურარტელების შთამომავალნი ვართ თუ არა. ეჭვს გარეშეა, რომ ჩვენ რომელიმე უძველესი დიდი ხალხის ნაშთნი ვართ. ამ ხალხს ნ. მარრი ხემიელთა ნათესავ ალფეტელებს უწოდებს. ათასი ბრძოლა, შემოსევა და აღრევა განუცდია მასა, მაგრამ მიუხედავად ყოველივე ამისა ჩვენ, მისი შთამომავალნი, მაინც თავისებურ ხალხად დავრჩენილვართ ლინგვისტიურად — და ანთროპოლოგიურად, და ეს პირველი მაჩვენებელია ჩვენი რასიული სიძლიერისა. თუ მართალია ის ჰიპოთეზა, რომ ხეთელთა შთამომავალნი ვართ, — მაშასადამე ჩვენი სოციალური სიცოცხლის ერთ პერიოდთაგანი ხეთელთა ცხოვრება ყოფილა. თუ ურარტელები ვყოფილვართ, — მაშინ ურარტუს ცხოვრება ყოფილა ჩვენი ცხოვრების ერთი უძველესი პერიოდი. შეიძლება თვით ხეთელთა და ურარტუს ტომის ნათესაობა დამტკიცდეს და ჩვენიც ორივესთან,—მაშინ ჩვენი ცხოვრების გზა ხანგრძლივი და კიდეე უფრო სწორი ყოფილა. მაგრამ თვით საკუთრივ ქართველ ტომთა ცხოვრების უძველესი პერიოდი გვიჩვენებს ჩვენს მთლიანს ეროვნულ ცხოვრებასა. შეთანხმებულად მოქმედებდნენ ჩვენი ტომები საერთო მტერთა წინააღმდეგ. ალბად მაშინ მწერლობაც ექმნებოდათ ამ ქართველ ტომებს ან სვანურად, ან მეგრულად. მრავალ ბრძოლისა და შემოსევის წყალობით კიდეც დაქვეითებულა მაშინდელი „საქართველო“ და მეოთხე საუკუნეში ქრისტეს წინად მდიდარი და ძლიერი ქვეყანა კი აღარ იყო, როგორც ასსურთა დროს, არამედ სუსტ, ურთიერთის მოქიშპე, პატარა და ღარიბ, თითქმის გაველურებულ ტომებად გადაქცეულა. მაგრამ — მიუხედავად ყოველივე ამისა ჩვენ მაინც არ შეგვიძლია ამ ძველ წინაპართა ისტორია მივითვისოთ, არავითარი ნასხოვრობა არ არსებობს, გარდმოცემული იმ სოციალურ ორგანიზმის მიერ ახალ საქართველოს სოციალურ ორგანიზმისადმი. ეს ახალი ორგანიზმი დაახლოვებით საცა ეხლა ვართ — იქ იწყებს ახალ ცხოვრებასა, საქრისტიანო კულტურასა, ქართლურ ენაზედ მდიდარ ლიტერატურას ჰქმნის, აღწევს ერთობასა და კოჰეზიას ჩვენს სხვა და სხვა ტომთა შორის; აქ იბადება საქართველოს

ხამშობლო და მას შემდეგ ძველსა და ახალ შორის არ გაწყვეტილა კავშირი და ხსოვნა. ეს საქართველო გვახსოვს და გვიყვარს ეხლა, მისი წარსული გმირნი და მოღვაწენი სცოცხლობენ დღეს ჩვენ შორის და ამიტომაც ჩვენ ამ საქართველოს ერის ორგანიზმს ვეკუთვნით და არა უძველესსა — ძველი მხოლოდ ჩვენი ვინაობის მხრით არის საინტერესო, აგრეთვე ობიექტიურ მეცნიერების მხრით, ხოლო ჩვენს ეროვნულ პსიხიკასა და იდეალს იგი არაფერს ეუბნება.

შავ ბნელი და უბედური იყო უმეტეს ნაწილად საქართველოს პოლიტიკური ისტორია. ერთხელ გვქონდა მხოლოდ ბრწყინვალე ხანა, ხანა სიძლიერისა და აღყვავებისა, შემდეგ მხოლოდ დრო გამოშვებით. უმეტეს ნაწილად კი „შავ დროთაგან" შესდგება ჩვენი ისტორია. მას შემდეგ რაც ჩვენი საქრისტიანო ისტორია იწყება, ერთობა ეროვნულ-სოციალური ყოველთვის იყო ჩვენში, მაგრამ პოლიტიკური ერთობა ყოველთვის არა გვქონია. ეს იყო უმთავრესი მიზეზი რომ მტერი ადვილად გვძლევდა და გვანადგურებდა ხოლმე. ხოლო დიდი დავითისა და თამარის დროს მტერს ირგვლივ უძლეველად ლეწდა გალალებული საქართველო.

ჩვენი კულტურა საქრისტიანო ისტორიულ ხანამდისაც ცნობილი იყო. განსაკუთრებით მადნეულობის ხელობით ვიყავით განთქმულნი. როგორც ბ-ნი ივ. ჯავახიშვილი ამტკიცებს, „კალის" მეტი არც ერთი მადნის სახელი არ გვისესხებია უცხო ენათაგან, — პირიქით ყველა ენაზედ ქართული სახელწოდება აქვს ბევრ ლითონს, ან სახელწოდება ქართველ ტომთა. მაგალითად — „ბრინჯაო" (bronze) და „ხალიბდიკოს" რომელთაგან ერთი წმინდა ქართული სიტყვაა და მეორე ქართველ ტომის, ხალიბთა სახელწოდებისა (ნიშნავს ხალიბურს) და სხვ. ჩვენ თვით ბერძნებსა და სხვა უფრო დაწინაურებულ ხალხთა მასწავლებელნიც ვიყავით ამ მხრითა.

საქრისტიანო ეპოქაში ჩვენ განვავითარეთ ქართლური ენა, შევქენით საკუთარი ორი ანბანი, ხუცური და მხედრული, შევქენით საკუთარი საერო და საეკლესიო მდიდარი ლიტერატურა, ვეწაფებოდით უცხო — ბერძნულ, სომხურ სპარსულ და არაბულ კულტურასაც, მეცნიერებასა და ფილოსოფიას განსაკუთრებით ბერძნულსა, ვრგავდით მათ სამშობლო ნიადაგზედ ეროვნულ ენითა. გვქონდა ჩვენი ხელოვნება, — მხატვრობა, არქიტექტურა, მუსიკა და სხვ., — რომელიც განირჩეოდა სხვა ერთა ხელოვნებისაგან, თუმცა, შეიძლება მუსიკის გარდა, უცხო გავლენა განეცადა, როგორც ეს საზოგადოდ ხდება ერთა ურთიერთ დამოკიდებულებათა მიზეზით. გვქონდა ჩვენი დამოუკიდებელი ეკლესია, ჩვენი მონასტრები და პრესტიჟიც წმინდა ადგილებში, ჩვენი უფლებანი, რომელნიც ჩვენის ძლიერების დროს ბევრ სხვა ერის უფლებას აღემატებოდა. — გვქონდა ჩვენი სამეფო, გვყავდა ჩვენი დინასტიები.

მაგრამ სწორედ აქ არის ჩვენი ისტორიის უკუღმართი მხარე. ჩვენ ერი ვიყავით, ერთი კონკრეტული სოციალური ორგანიზმი, ყველა ეროვნული ორგანოებით, მაგრამ არასოდეს არ დაგვცლია ხანგრძლივი სახელმწიფოებრივი ცხოვრება, რომ დაგვეცვა საკუთარი სოციალური ორგანიზმი, არასოდეს არა გვქონდა მოსვენება ბერძენთაგან, რომელთაც ბოლოს და ბოლოს ლაზისტანი მოგვწყვიტეს, სპარსთაგან, რომელთაც მუდამ თვალში ეჩხირებოდათ საქართველოს დამოუკიდებლობა, თურქთაგან, მონღოლთაგან, რომელთაც ქვეყანა წალეკეს და ჩვენი ძლიერებაც დაამხვეს, შემდეგ ისევ სპარსთაგან და განსაკუთრებით ოსმალთაგან, რომელნიც მუდამ სცემდნენ ჩვენს სამხრეთსა და სამხრეთ დასავლეთ ნაწილებსა და ბოლოს და ბოლოს წაგვართვეს და გაამაჰმადიანეს, სრულიადაც გააველურეს მესამედზედ უდიდესი ნაწილი საქართველოსი.

მთელი მეშვიდე, მერვე, მეცხრე, მეათე და მეთერთმეტე საუკუნეთა განმავლობაში არ დაგვკლებია შემოსევა ბერძენთა, სპარსთა, თურქთა, არაბთა. მიუხედავად ამ პოლიტიკურ და ეკონომიურ განადგურებათა მაინც ვითარდებოდა ჩვენი კულტურა, ჩვენი ეროვნული თვითშეგნება, და როდესაც დავით აღმაშენებელი ტახტზედ ავიდა მეთერთმეტე საუკუნეში, — უმცირესი დამოუკიდებელი ნაჭერი რამ ეპყრო საქართველოსი. ამ პატარა ნაჭრიდან შექმნა გენიოსმა მეფემ ძლიერი სამეფო, გააფართოვა მისი საზღვრები, ააყვავა იგი და ისე გადასცა თავის მემკვიდრეებს. თამარ მეფის დროს და შემდეგ, მონღოლების შემოსევამდის საქართველოს ოქროს ხანა დაუდგა. ქვეყანას აჩვენა მაშინ საქართველომ, თუ როგორი ნიჭის პატრონი იყო მისი ერი და რა შეეძლო კულტურულად, როცა ბატონი არა ჰყავდა და თავისუფალ განვითარებას ეძლეოდა. მაშინ გახვითარდა კოპეზია ქართველ ერისა. საქართველო პოლიტიკურად შეერთებული იყო, აგრეთვე კულტურულად იგი კიდევ უფრო ერთდებოდა, თუმცა მთელი მისი კულტურული განვითარება წინადაც ეროვნული იყო, და ყოველი მიმართულება მრავალ-მხრივი კულტურისა, წამბაძველობითი იყო იგი თუ ორიგინალური, ერთ ეროვნულ კალაპოტში მიდიოდა და საერთო ქართულ ეროვნულ საუნჯედ ჩამოისხმოდა. მონღოლთა შემოსევამ მეცამეტე საუკუნეში და მათმა ბატონობამ დასცა საუკუნოდ საქართველოს ძლიერება. დავნაწილდით პოლიტიკურად, დაქვეითდა ჩვენი კულტურა, შეირყენა ენა, დაქვეითდა ჩვენი ზნეობა და სამართალი. თუმცა მეთოთხმეტე საუკუნეში გიორგი ბრწყინვალემ ისევ შეაერთა საქართველო და ეცადა მისის ძველის დიდების აღდგენასა. მაგრამ შემდეგ იგი ისევ დაიყო. დაქსაქსული ერი მტრებმა დაგვიჯაბნეს. ირგვლივ გვეხვია მტერი და გაქრობას გვიქადდა. შიგნით ყოველ-მხრივი დაქვეითება დაგვეტყო. მეთექვსმეტე და განსაკუთრებით მეჩვიდმეტე საუკუნეში ისეთი გახრწნილება და დაცემა იყო ჩვენში, რომ ისტორიკოსებს გული უკვდებათ, როცა ამ ეპოქას აღწერენ. აგრეთვე მუდმივი ომები ოსმალებთან წელში სტეხდა და ანადგურებდა სამცხე-საათაბაგოსა და დასავლეთ-სამხრეთ საქართველოს, სადაც ისლამი ძლიერად იკიდებდა ფეხსა.

მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისში პირდაპირ მსხვერპლნი შევიქენით სპარსთა და ოსმალთა. შაჰ აბაზის შემოსევა აღმოსავლეთ საქართველოში და ოსმალთა თარეში სამცხე-საათაბაგოში და დასავლეთ საქართველოში მთელი საუკუნის განმავლობაში, რისხვად დაგვატყდა თავზედ. მან გასტეხა წელში კახეთი და ქართლი: კახეთის ნაწილი, ძველი მდიდარი ჰერეთი განადგურდა, 60,000 ქართველი სპარსეთში წაასხეს. უპატრონოდ დაგდებული განადგურებული ქვეყანა ლეკთა ბატონობის მსხვერპლადაც კი გახდა და გამაჰმადიანდა. სამცხე-საათაბაგომ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველომ ვეღარ გაუძლო ოსმალთა ბატონობასა, მუდმივ წამებასა და მთლად ჩაიფლო ისლამის მორევში, უარ-ჰყო მამა-პაპათა რჯული და კულტურა, გაველურდა და მოსწყდა სრულიად საქართველოს ეროვნულ ორგანიზმსა. რამდენიმე ადგილებში ენა თუ შერჩათ კიდევ, — სხვა ყოველისფერი ცეცხლსა და მახვილს, განადგურებასა და დავიწყებას მიეცა.

მეთვრამეტე საუკუნეში ისევა სდგება გამოღვიძებისა და განახლების ხანა. მეფეები ვახტანგ მეექვსე და ირაკლი მეორე ბრწყინვალე პიროვნებანი არიან ამ ხანისა. პირველი სცდილობს საქართველოს კულტურულად აყვავებას, მეორე პოლიტიკურად მის გამაგრებასა. ამ დროს იწერება და სწორდება სამართლის წიგნები, სწორდება ისტორია, სწორდება ენა და სხვ. ერეკლე მეფე სცდილობს ალაგმოს ლეკები, დამოუკიდებელ ჰყოს საქართველო სპარსთაგან და ოსმალ-

თაგან, აგრეთვე დასავლეთ საქართველოს მეფეები და მთავრები სცდილობენ დამოუკიდებლობას და საერთო მიმდინარეობაც-კი არსებობს საქართველოს პოლიტიკურ ერთობის აღდგენისა. სოლომონ ლიონიძე და სხვა მაშინდელი პოლიტიკური მოღვაწენი სცდილობენ განახორციელონ ეს მისწრაფება.* მაგრამ დიდი ხნიდან იყო საქართველოში ბევრ მოღვაწეთა სურვილი საქართველო რუსეთთან შეერთებინათ. სპარსეთი და ოსმალეთი რასაკვირველია ამის წინააღმდეგნი იყვნენ, მაგრამ მათმა მატყუარა დიპლომატიამ, მუდმივმა დაპირებამ საქართველო მშვიდობიანად დაეტოვებინად და მუდმივმა პირის გატეხამ, — ყოველივე ამან ძალა გამოუღია საქართველოს და პირი აბრუნებინა რუსეთისაკენ. თუმცა მეორე მიმდინარეობაც იყო მთელს საქართველოში, — მიმდინარეობა საქართველოს პოლიტიკური შეერთებისა, რომლის საუკეთესო წარმომადგენელიც იყო სოლომონ ლიონიძე, მაგრამ ბატონიშვილების ქიშპობამ, სამეფო ტახტის ძებნამ ათას პრეტენდენტის მიერ, შინაურმა გახრწნილებამ და ურთი-ერთის მტრობამ დაამარცხა ეს მიმდინარეობა და გადასწყვიტა საბოლოოდ საქართველოს რუსეთთან შეერთება. ამიტომაც წამოვიდა ალა-მაპმად ხანი რისხვითა და აიკლო საქართველო. ირაკლის შემდეგ კი კიდევ უფრო უხეიროდ წაიყვანეს საქმე საქართველოს მმართველებმა და საუკუნოდ „შეუერთეს“ საქართველო რუსეთსა...

მოხდა ეს „შეერთება“, მაგრამ კიდევ დიდება საქართველოს, რომ მეცხრამეტე საუკუნის კარამდის მოიტანა დამოუკიდებლობის დროშა, — როგორც ქართლმა და კახეთმა, ისე იმერეთმა, გურიამ, სამეგრელომ და სხვ.

საქართველო შეუერთდა რუსეთს, მაგრამ შეუერთდა როგორც სამეფო, განსაზღვრული პოლიტიკური და იურიდიული პირი საერთაშორისო თვალსაზრისით. — ასეთი ხელ-შეკრულება პირველად დაიდვა 1783 წელს ქართლ-კახეთის მეფის ირაკლი მეორისა და რუსეთის დედოფლის ეკატერინე მეორის შორის. იქ იყვნენ განმტკიცებულნი ჩვენი უფლებანი, როგორც საპროტექტორო სახელმწიფოისა, და აგრეთვე ნაწილად იმპერატორ პავლე პირველისა და იმპერატორ ალექსანდრე პირველის მანიფესტებში 18 იანვარს 1801 წელს (პავლე I-ისა) და 12 სექტემბერს იმავე 1801 წელსა (ალექსანდრე I-ისა).

მას შემდეგ ასზედ მეტი წელი გავიდა. ძლიერ შეგვბერტყა უცხოთა ბატონობამ. მაგრამ ერი მაინც ვართ, ერი ისტორიული, აგრეთვე უფლებათა მქონე ზემოდ მოხსენებულ ტრაქტატისა და მანიფესტების ძალით.

ჩვენ ერი ვართ, მიუხედავად იმისა, რომ მესამედი საქართველო მოწყვეტილია ჩვენ კულტურულ სფეროსა. შეგვრჩა ენა, თუმცა მას რუსთაველის ენის მშვენება აღარა აქვს; ამ ენაზედ გვქონდა ჩვენი მწერლობა მთელი ამ უკანასკნელი ასის წლის განმავლობაშიაც. შეგვრჩა ტერრიტორია, თუმცა თან და თან მას სხვა ელემენტები იპერდნენ და ეხლაც იპერენ. მალე გამოგვეცლება ხელიდან, თუ ყოველი ღონე არ ვიღონეთ მისი დაცვისათვის. შეგვრჩა ორ მილიონამდის ქართველი ხალხი, განსაზღვრული ანთროპოლოგიური ტიპისა, განსაზღვრული ეროვნული სახისა, თუმცა მრავალი შემოსევისა და უცხო ელემენტთა გადმოსახლების წყალობით ჩვენი ისტორიის ვითარებაში წმინდა ქართულ ტიპს მრავალი უცხო ტიპი შეურევია და გაუქართველებია. შეგვრჩა ოჯახი ქართული ტრადიციებით, თუმცა მას უცხო ზნე და უცხო ელფერი დაეტყო განსაკუთრებით

---

* იხ. ყოველივე ზემოხსენებულზედ: ივ. ჯავახიშვილი: ქართველ ერის ისტორია; ქართულ სამართლის ისტორია — ლექციები 1909 წ.; ქართული საისტორიო მწერლობა — ლექციები 1910 წ.; ქართველ ერის ეკონომიკური ისტორია და სხვ.—მ. მარრი: История Грузии—და სხვ.

დრო-მოჭმულ წოდების შორის. შეგვრჩა ჩვენი მიწა-წყალი და სიმდიდრე, ჩვენი მეურნეობაც არსებობს, თუმცა ჩვენსავე ქვეყანაში სხვები გვჯობნიან. სხვები სარგებლობენ ჩვენზედ მეტად ჩვენი სიმდიდრითა, და თუ სამეურნეო შემოქმედება არ გამოვიჩინეთ, სხვების მონები შევიქმნებით. შეგვრჩა ჩვენი ხელოვნება, — ლიტერატურა, რომელსაც შეძლებისადა გვარად ვანვითარებთ, არქიტექტურა, რომელიც ეკკლესიების სტილმა მაინც დაიცვა, მუსიკა — საუკეთესო მთელს აღმოსავლეთში, წმინდა ქართული, ორიგინალური და მდიდარი, რომლის მზგავსიც არ მოიპოვება მთელს აზიაში და რომლის განვითარებასაც ნელ-ნელა ვეწევით. შეგვრჩა ჩვენი სარწმუნოება, თუმცა ეკკლესია უცხოთაგან არის წარტყვენილი და მრავალი ქართველი ისლამის მმოსავად გადიქცა ჩვენ შავ-ბნელ ისტორიის ვითარებაში. — შეგვრჩა ზნე-ჩვეულება, თუმცა გარუსების ფერმა ძლიერ გადაგვკრა განსაკუთრებით მაღალ სფეროებში. შეგვრჩა სურვილი მეცნიერებისა და სწავლისა. ესცდილობთ კიდეც ვიქონიოთ ქართულად ჩვენი ისტორია და სხვა მეცნირებანი, თუმცა ბავშვობიდანვე სცდილობენ სკოლებში ჩვენს გადაგვარებასა და ნება არა გვაქვს ვიქონიოთ ჩვენი სკოლები, ჩვენი აკადემიები. შეგვრჩა ჩვენი სამართლის ნაშთები, რომელიც ხალხის იურიდიულ შეგნებაში სცოცხლობს, თუმცა მისი ადგილი უცხო სამართალმა დაიჭირა; უცხო ენაზედ სწარმოებს იგი, უცხო დაწესებულებებში. როცა კი ჩვენი ხალხი თავისუფლად იგრძნობს ხოლმე თავს, — იგი მყისვე აცოცხლებს თავის სამართალსა. შეგვრჩა შეგნება ჩვენი ეროვნებისა, თავმოყვარეობა, თუმცა იგი სუსტია და ძლიერი კულტურული კოჰეზიაა საჭირო, ძლიერი სულიერი ერთობა, რომ საქართველომ მძლავრად იგრძნოს საკუთარი არსებობა და თავმოყვარეობის შელახვა, კიდით-კიდემდე. დასასრულ, შეგვრჩა ნაცვლად პოლიტიკური არსებობისა, რომელიც ძალით წაგვართვეს, უფლება ავტონომიისა, განმტკიცებული ზემოხსენებულ ტრაქტატითა და მანიფესტებითა...

ჩვენ ვიცით, თუ როგორ აღასრულეს არა მარტო 1783 წლის ხელ-შეკრულება, არამედ ისიც კი, რაც აღთქმული იყო ორი იმპერატორის ფიცით განმტკიცებულ მანიფესტებში, ვიცით თუ როგორ გადააქციეს საქართველო რუსეთის გუბერნიებად და ამით შელახეს თანამედროვე საერთაშორისო სამართალი, რომლის წინაშეც ჩვენ შეგვიძლია მოვითხოვოთ ჩვენ კანონიერ უფლებათა დაცვა. ისიც ვიცით, თუ რა ბრძოლა გასწია მთელმა საქართველომ, — მთიულეთმა, კახეთმა, იმერეთმა, ქიზიყმა და სხვა კუთხეებმა თითქმის მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში (იხ. ა. ფრონელი: მთიულეთი 1804 წ., ამბოხება კახეთისა 1812 წ. და სხვ.) დარღვეულ უფლებათა დასაცველად. მაგრამ სამართალი მაინც სამართალია, იგი განირჩევა ძალისაგან, და როგორი ცეცხლი და მახვილიც უნდა დაატრიალონ სამართლის დამრღვეველებმა, საერთაშორისო სამართლის წინაშე ჩვენ მაინც შეურყეველი საბუთები გვიჭირავს მისი უარმყოფელი ძალის წინააღმდეგ.

აგრეთვე ყოველ ერს თავისი თავის იმედიც უნდა ჰქონდეს, რომ საერთაშორისო სამართლის განხორციელებას მტკიცე საფუძველი მისცეს: სურვილი თავის უფლებათა დაცვისა, სიცოცხლე, სოციალური გაუმჯობესების სურვილი, თვითმოქმედება. ამ ნიჭსაც ვიჩენდით მთელი მე-XIX საუკუნის განმავლობაში და უზენაესად გამოვიჩინეთ იგი 1904—5 წლებში, არა ნაკლებ თვით დიდი რუსის ხალხისა, ყოველ შემთხვევაში უფრო კულტურულად. (იხ. ივ. ჯავახიშვილის: Социальное и политическое движение в Грузии в XIX веке).

სამართალი და კულტურული ძალა კი არის სწორედ ის ცხოველ-მყოფელი, წმინდა წყარო, რომელმაც უნდა გაანედლოს და განაძლიეროს ჩვენი ერის დაა-

ვადებული ორგანიზმი, თუ მართლაც არსებობს საკაცობრიო სინიდისი და ჩვენც მისი სამართლის გადაჭრამდე შევინარჩუნეთ თვითარსებობა და სიცოცხლე, გამოვიჩინეთ ნიჭი კულტურული შემოქმედებისა.

განვიმეორებთ, — ჩვენ ერი ვყოფილვართ და ვართ დღესაც, — განსაზღვრული, კონკრეტული სოციალური ორგანიზმი, რომელსაც ისეთივე უფლება აქვს სიცოცხლისა, როგორც ყველას, დიდსა თუ პატარასა, ბრწყინვალესა თუ დაქვეითებულსა. თუ საბუთია საჭირო „კაცობრიობის" წინაშე თავისუფალ არსებობის უფლების მოსახვეჭად, აი ეს საბუთებიც: განსაზღვრული ეთნიური და ლინგვისტიური ტიპი, განსაზღვრული კოჰეზიის მქონე სოციალური ორგანიზმი, ისტორია, კულტურა ხანგრძლივი და თავისებური, ხან შავ-ბნელი და შფოთიანი, უფრო იშვიათად კი მშვიდობიანი, — განსაზღვრული უფლება, ნამდვილი და მართალი მომქმედ საერთაშორისო სამართლის თვალთსაზრისით.

თავი მეხუთმეტე

დასკვნა: იდეალი და პრაქტიკა.

პირველ თავში განმარტებულ „სოციალურის ცნების" საშუალებით ჩვენ გავარკვიეთ სოციალური შინაარსი ერისა და კაცობრიობისა და ვნახეთ, რომ პირველსა აქვს სოციალური შინაარსი, იგია საზოგადოებრივი სინამდვილე, მეორეს კი დღეს არავითარი სოციალური შინაარსი არა აქვს, — იგი ფიქციაა და არა საზოგადოებრივი სინამდვილე.

კაცობრიობა არ არის სოციალური ინდივიდუალობა, იგი ვერა ჰქმნის ვერც ადამიანის პიროვნებასა. ადამიანის პიროვნების კაცობრიობისადმი კუთვნილებას არავითარი სოციალური ხასიათი არა აქვს, არამედ წმინდა ბიოლოგიური, რადგანაც ადამიანი კაცობრიობის უჯრედი კი არ არის, როგორც განსაზღვრული სოციალური ორგანიზმისა, არამედ მისი უბრალო ერთეული, როგორც Homo Sapiens-ის სახის ერთი ნიმუში.

სოციალურ ინდივიდუალობას წარმოადგენენ კონკრეტული სოციალური ორგანიზმები, რომლებიც სხვა და სხვა ნაირია და სხვა და სხვა განვითარების საფეხურზე მდგომი კაცობრიობის წიაღთა შინა. კაცობრიობა უფრო იმ ბუნდოვან ნივთიერების მასას ემსგავსება, სადაც ჩნდებიან გარკვეულნი სხეულნი, ინდივიდუალობის მქონენი; სოციალურად ეს სხეულნი არიან კონკრეტული სოციალური ორგანიზმები და მათ შორის უსრულესი — ერი. ერი ჰქმნის (მსგავსად უმდაბლეს სოციალურ ორგანიზმთა, რომლებზედაც ჩვენ აქ არა ვლაპარაკობთ) ადამიანის განსაზღვრულ პიროვნებას; გარეშე ერისა ეს პიროვნება არ არსებობს. დღეს არსებულ ინდივიდთა შორის არ არსებობს არც ერთი ადამიანი, რომელიც არ ეკუთვნოდეს რომელიმე სოციალურ ორგანიზმს. ეგრედ წოდებული საერთაშორისო ტიპებიც უსათუოდ უნდა ეკუთვნოდნენ თავდაპირველად რომელიმე სოციალურ ჯგუფსა და თუ იგინი საერთაშორისოდ გახდნენ, — მათი საერთაშორისო ხასიათი ან ძლიერ არა-სიმპატიურ ხასიათის შემუშავებას მოასწავებს, და თითქმის მათ კანონს გარეშე აყენებს (აუარებელი მაგალითი საერთაშორისო გაიძვერათა!), ან და ბოლოს და ბოლოს იგინი მაინც ეკედლებიან ერთ რომელიმე სოციალურ ორგანიზმსა, ან კიდევ სულიერ კავშირს არ სწყვეტენ მშობელ ერთან, კონკრეტულად, თანამედროვე კულტურული სოციალური ადამიანი — ეროვნული პიროვნების მქონე ადამიანია.

კაცობრიობა საერთაშორისო სამართლის მხრითაც ფიქციაა. მომქმედ საერთაშორისო სამართლის თვალთახედვით არსებობს „სახელმწიფოთა საზოგადოება“ და არა კაცობრიობა; იდეალურმა საერთაშორისო სამართალმა კი უნდა მოაწყოს „ერთა საზოგადოება“ ორივე შემთხვევაში კაცობრიობა არ წარმოადგენს ერთს სოციალურს ორგანიზმს, არამედ იგი წარმოადგენს სახელმწიფოთა, ერთა, ე. ი. განსაზღვრულ ინდივიდუალობის მქონე საზოგადოებათა კავშირს. დღეს კი კაცობრიობა — ხაოსია სოციალურად, საერთო ორგანოებს მოკლებული. ამას სჩივიან დღეს თვით საერთაშორისო სამართლის მეცნიერნიც, როგორც მაგალითად ბლუნჩლი. — თუ მომავალში შესაძლებელია კაცობრიობის ორგანიზაცია, — არა კონკრეტულ სოციალურ ინდივიდუალობათა, ერთა მოსპობით არის იგი შესაძლებელი, არამედ მათი შეთანხმებითა და მორიგებით.

მაგრამ დღეს ერებს შეუქმნიათ სახელმწიფოები, გაუფართოებიათ მათი საზღვრები და დაპყრობილ ერთა უფლებას ფეხ ქვეშ სთელავენ, უარ-ჰყოფენ მათ ინდივიდუალობასა, მათი არსების უფლებასაც. საერთაშორისო სამართალიც, რომელიც უნდა იყოს სწორედ ერთა საურთიერთო განწყობილებათა მომწესრიგებელი, როგორც ამას მისი სახელწოდებაც პირდაპირ გვეუბნება, — „სახელმწიფოთა-შორისო“ სამართლად გამხდარა, სახელმწიფოთა საურთიერთო განწყობილებათ აწესრიგებს, მათ უფლებას იცავს, მაშასადამე უარ-ჰყოფს ერის უფლებასა ამით იგი საკუთარ განსაზღვრის დასაწყისშივე ატარებს შინაგან წინააღმდეგობას, რომელიც მყისვე იჩენს ხოლმე თავს, როდესაც დაჩაგრული ერი ძალით განთავისუფლდება სახელმწიფოს წინააღმდეგ აჯანყებით და საერთაშორისო სამართალიც იძულებულია მიიღოს იგი თავის სფეროში და მფარველობა გაუწიოს, ე. ი. უარ-ჰყოს გუშინდელი უფლება თავის ნამდვილ წევრისა, სახელმწიფოსი. წინააღმდეგობა ერისა და სახელმწიფოს შორის ჰბადებს საერთაშორისო სამართლის შინაგან წინააღმდეგობას და იდეალურმა საერთაშორისო სამართალმა უნდა მოსპოს ეს წინააღმდეგობა, — მისგან განთავისუფლებულმა უნდა აღიაროს **ერის უფლება და არა მჩაგვრელ სახელმწიფოსი.** ამ იდეალის განხორციელებას კი ხელს შეუწყობს ყველა ჩაგრულ ერთა სახელმწიფოთაგან ძალით განთავისუფლება. — ჩვენი იდეალიც — ერის უფლებათა სრული განხორციელება და საერთაშორისო სამართლის იდეალურად გარდაქმნა უნდა იყოს. ერის უფლება და ღირსება შესაბღალავი არ უნდა იყოს არავისაგან, განსაკუთრებით სამართლისაგან, რადგანაც სამართალმა მხედველობაში უნდა მიიღოს მხოლოდ სამართლის საგანნი, არსებობის უფლების მქონე სუბიექტები და არა მათი მეტი თუ ნაკლები„ღირსება“. ერთა ურთიერთის წინაშე უპირატესობა ძნელი დასამტკიცებელიც არის, განსაკუთრებით თუ ისინი ერთსა და იმავე კულტურულ სფეროში სცხოვრობენ; არც სამართალს შეეხება ამის დამტკიცება. როგორც გენიოსს და საშუალო ადამიანს ვერ გაარჩევს უბრალო სამართალი, ისე დიდსა და პატარა ერსა, ისე გენიოსსა და საშუალო ერს ვერ გაარჩევს მართალი საერთაშორისო სამართალი.

დღეს სოციალიზმი ერის წიაღთა შინა არსებულ შინაგან წინააღმდეგობას აქცევს უმთავრეს ყურადღებას, მას კლასსთა ბრძოლა მიაჩნია ისტორიის ისეთ მამოძრავებელ ძალად, რომ ყველა ქვეყნის პროლეტართა შეთანხმებული ბრძოლითა და ეკონომიურ კოლლექტივიზმით ან კომმუნიზმი შესაძლებელი და საჯურველი ჰგონია ერთა საზღვრების მოსპობა და ერთის საკაცობრიო საზოგადოების შექმნა. თითქმის არავითარ ყურადღებას არ აქცევს იგი ერის ორგანიულ-სოციალურ თვისებასა. მაგრამ ეს დიდი შეცდომაა. კლასსთა ბრძოლა, საზოგადოდ ეკონომიური ცხოვრება, თვით არის ერის შინაგანი ორგანიული

მოვლენა, ერთი ნაწილი მისს შინაგან ორგანიულ ცხოვრებისა. ერის მთელი ცხოვრებაა — ცხოვრება მთელი სოციალური ინდივიდუალობისა. სოციალიზმი კი — ერის შინაგანი გარდაქმნის საკითხია. ამიტომაც ეროვნული საკითხი და სოციალიზმი სხვა და სხვა სფეროებში არიან და ლოღიკურად ერთმანეთს არ ეწინააღმდეგებიან. ამიტომაც სოციალისტური ინტერნაციონალიზმი მხოლოდ მაშინ იქმნება ნამდვილი ინტერნაციონალიზმი, როდესაც ერის უფლებაზედ, ერის ინდივიდუალობის ხელ-შეუხებლობაზედ დაამყარებს ერთა თანხმობასა, — ე. ი. ინტერნაციონალსა, და არა მათ უარ-ყოფაზედ, — რაიცა ხშირად ემართებათ ხოლმე სოციალისტებს. ნამდვილი ინტერნაციონალიზმი დღეს ვერ ასცილდება სახელმწიფოთა დაშლის და ერთა განთავისუფლების აუცილებლობის აღსარებასა, და რამდენადაც დღევანდელი სოციალისტები თანამედროვე დიდ სახელმწიფოთა საზღვრებს იცავენ, — იმდენად იგინი შოვინისტები და იმპერიალისტებია არიან და არა ინტერნაციონალისტები. ჩვენი მოქმედებაც მაშასადამე მიმართული უნდა იყოს ასეთ ინტერნაციონალისტთა წინააღმდეგ, სწორედ ჭეშმარიტ ინტერნაციონალიზმის სახელითა.

კოსმოპოლიტიზმი — შეუძლებელი უაზრობაა და არა-სასურველი. ერთ-ფეროვანება საზოგადოებათა და ბოლოს ერთი საზოგადოების შექმნა, — შეუძლებელია, რადგანაც მრავალფეროვანება კანონია ბუნებისა და სოციალურ ორგანიზმთა ცხოვრებაც მას ემორჩილება. მრავალ-ფეროვანება არსებულ საზოგადოებათა და რასათა, აგრეთვე მრავალ-ფეროვანება გარემოთა დედამიწის ზურგზედ — შეუძლებელ-ჰყოფენ ერთად-ერთს საკაცობრიო საზოგადოებასა — ამ ერთფეროვანებას ვერა ჰქმნის ვერც სოციალისტთა საქვეყნო კაპიტალიზმი, ვერც ტარდის დაუსრულებელი მსელელობა წამბაძველობისა. პირველი უფრო აღვიძებს და აძლიერებს ჩაგრულ და ჩამორჩენილ სოციალურ ინდივიდუალობათა, მეორეს თავისი საზღვარი აქვს. აგრეთვე ზრდა წამბაძველობისა და ინდივიდუალურ შემოქმედებისა ორი პარალერული პროცესსია ერის ცხოვრებაში. — ამასთანავე ფონდი კაცობრიობისა უზარ-მაზარია, ორჯერ მეტი ვიდრე კაცობრიობის დაპყრობის იმედის მქონე ევროპის რასა, — და ვინ იცის რამდენი ხანი გაივლის, რამდენი ეპოქა ორიგინალურ ცივილიზაციათა შეიცვლება, რამდენჯერ იცვლიან ერნი ადგილსა, აღირევიან ერთმანეთში, შექმნიან ახალ ერთა, ახალ ეპოქათა, სანამ მთლად ამოიწურებოდეს ეს ფონდი, და მთელი კაცობრიობა, ერთფეროვანად აღრეული, ერთს ორგანოსან საზოგადოებას შეადგენდეს და ჩინეთის მსგავსად მიეცემოდეს კულტურულ თვლემასა. კიდევაც რომ შესაძლებელი იყოს ასეთი მოვლენა მომავალში, — ისიც ჭეშმარიტებაა, რომ სრულიად მიძინებულმა უზარმაზარმა ერთად-ერთმა სოციალურმა არსმაც უნდა გაიღვიძოს ბოლოს და ბოლოს, როგორც ეხლა ჩინეთი შეიშმუშნა ძლიერად. ძილისა და ღვიძლის მოძრაობაც რითმიულია. მოძრაობა ძილის შემდეგ ხალხთა ხალისია, და ეს მომავალი ჰიპოთეტიური ერთობაც შეიძლება დაიშალოს და მრავალფეროვანებას დაუთმოს ადგილი, — ისევ ძველი ისტორია დაიწყოს.

შეუძლებლობის გარდა ასეთი ერთობა არც სასურველია. იგი სიკვდილია ინდივიდუალობისა, ორიგინალობისა. იგი მოსაწყენია და მკელელი შემოქმედებისა.

მაგრამ ყოველივე ამას რომ თავი დავანებოთ, — თანამედროვე ერთა არსებობისა, დამოუკიდებლობისა და განვითარების უფლებას მაინც ვერ უარვყოფთ ვერავითარის მოსაზრებით. უპირველეს ყოვლისა ერი ცოცხალი არსია და მისი

სიცოცხლის უფლება ელემენტარულია, საფუძველი, რომელზედაც მისთვის ყოველივეა დამყარებული, — სოციალიზმიც, ანარქიზმიც, კაცობრიობის მომავალიც. განა ინდივიდი უარ-ჰყოფს უფლებას საკუთარ არსებობისას რომელიმე პრინციპის სახელითა? მაშინ ხომ მისთვის თვით ეს პრინციპიც ისპობა, როგორც ისპობა ყოველისფერი! იგივე ითქმის ერზედაც, როგორც ცოცხალ სოციალურ ინდივიდზედ. იგი უნდა სცდილობდეს მარადის სიცოცხლეს, — ეს იქმნება მისი უდიდესი, უპირველესი ნიჭი, სულიერი სიძლიერე. ამიტომაც უპირველეს ყოვლისა ერის დაცვა აუცილებელია სოციალიზმისთვისაც. უამისოდ ჰქრება სოციალისტისათვის თვით პრობლემა სოციალიზმისა, რადგანაც სოციალიზმი ერთა შინაგანი გარდაქმნის პრობლემაა. სიდიდე და სიპატარავე ერისა, მეტი თუ ნაკლები ღირსება აქ არაფერ შუაშია. რომელი საშუალო ადამიანი იკლავს თავს გენიოსის შემოქმედების ნაყოფით სარგებლობისათვის! სიკვდილის შემდეგ მისთვის ხომ აღარც გენიოსია და აღარც მისი შემოქმედება! — ან სად არის ერთეულები ეროვნული სიდიადისა და ღირსების განზომისა, რომ დაბეჯითებით შეგვეძლოს თქმა — ეს არის მინიმუმი ღირსებისა, რომელიც საჭიროა ერის არსებობის აღსარებისათვის, ეს არის მისი რაოდენობის მინიმუმი, რომლიდანაც იწყება ერის სიდიადეო! — არაფის არ აღმოუჩენია ჯერ ასეთი უცნაური „ერთეულები“!

დიდ ერთა ანარქისტები და სოციალისტები მხოლოდ მაშინ იქმნებიან დიდ იდეალთა მატარებელნი, თუ ყველა ერის უფლებას აღიარებენ; ჩაგრულ ერთა ანარქისტები და სოციალისტები კი უაზრობას სჩადიან, როდესაც საკუთარ ერთა თავისუფლებისადმი არ მიისწრაფიან უპირველეს ყოვლისა, რადგანაც მათი სოციალისტობისა და ანარქისტობის საგანი სწორედ ის არის, რომ ამ ერებს განახორციელებიონ დიადი მომავალი და შეუერთონ იგინი სხვა მოძმე განთავისუფლებულ ერებს. მონობა ერისა კი სიკვდილისაკენ მიმართვაა მისი. მკვდარი რას განახორციელებს!

ქართველი ერი — ერთი დამონებული ერთაგანია. მისთვის უმთავრესი პრობლემა — თავისუფლებაა გარეგანი. ხოლო შინაგანი პრობლემა — სოციალიზმი, რამდენადაც საერთოდ ეს პრობლემა არსებობს და შესაძალებელია მისი განხორციელება.

მე პირადად, შვილი ქართველის ერისა, აღვიარებ, რომ ჩემი რწმენა ანარქიისა არა თუ არ ეწინააღმდეგება ქართველ ერის გარეგან თავისუფლებას, არამედ უკანასკნელი აუცილებელია პირველის განხორციელებისათვის; უამისოდ ფუჭია ჩვენში ანარქიზმი, სოციალიზმი და სხვა სოციალური იდეალები, რადგანაც ძალით გვართმევენ ეროვნულ სულსა და ლამის-არის სრულიად ამოგვართვან. სოციალიზმი საამქვეყნო იდეალია, საქაოს კი მე ვარ ცოცხალი ეროვნული ინდივიდი, რომელმაც შიგნით უნდა გარდავქმნა საკუთარი სოციალური ცხოვრება და გარედ მოძმე ერებს ძმურად უნდა გავუწოდო ხელი, როგორც სწორმა სწორს წევრს კაცობრიობისას.

აი ჩემი გულწრფელი მსჯელობა და გულწრფელი დასკვნა.

უზენაესი საერთაშორისო მართალი სამართალი, უზენაესი საერთაშორისო ზნეობა, — აი რა უნდა იყოს ჩვენი გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი, რომელიც აწმყოში წარგვიტაცებს ეროვნულ თავისუფლებისათვის ბრძოლისაკენ, მომავალში კი მოაწესრიგებს თავისუფალ ერთა კავშირსა.

კომმუნიზმი და თავისუფლება ინდივიდისა ჩვენს საზოგადოებაში, — აი რა უნდა იყოს ჩვენი შინაგანი საზოგადოებრივი იდეალი, რომლის განხორციელებაც ღირს-ჰყოფს ჩვენს ერს მომავალ საერთაშორისო ძმობის წევრობისა.

მუშაობა და შრომა ამ ორი იდეალის განხორციელებისათვის,— აი რა უნდა იყოს ჩვენი პრაქტიკა.

უპირველეს ყოვლისა კი ერის დამოუკიდებლობა, რადგან უამისოდ არაფერთარ იდეალს ჩვენთვის აზრი არა აქვს, — აი რა უნდა იყოს ჩვენი უღრმესი სურვილი და მისწრაფება: სუვერენობა გაგვიასკეცებს საკუთარ სოციალურ შემოქმედების ნიჭსა. მონობას არასდროს არა შეუქმნია რა დიადი. ეროვნული მონობა — აი რა არის უარ-მყოფელი საერთაშორისო ძმობის იდეალისა, და არა ერთა დამოუკიდებლობა და სწორუფლებიანობა. ყოველი სახე მონობისა — მტერია „კაცობრიობისა". ეროვნული მონობა — უმძიმესია ყველაზედ, რადგანაც იგი მონობაა მთელი სოციალური პიროვნებისა.

თუ ეკონომიური მონობა — შავბნელი და აუტანელია, მით უმეტეს ეროვნული მონობაა ათასჯერ უარესი, რადგანაც ეკონომიური მონობა თავის თავად არსებობს დამოუკიდებლად ეროვნულ მონობისა, ხშირად კი კიდეე უფრო ძლიერდება ეროვნულ მონობისაგან, როცა ეს უკანასკნელი მისი საშინელი ზედ-ნართია. თუ ეკონომიური მონობა კუჭის ტკივილია, ეროვნული — მთელი ხორციელ-სულიერ ორგანიზმის, განსაკუთრებით სულის სნეულებაა კუჭთან ერთად. ჩვენ ორივე გვძაგს და ორივეს ვებრძვით. ამის სახელ-წოდება კი მგონი ვიცით, რომელიც არის.

იდეალი კაცობრიობისა — ყოველ-მხრივი თავისუფლება უნდა იყოს. თავისუფლება და თანასწორობა უნდა ჰქონდეს მინიჭებული როგორც ინდივიდს საზოგადოებაში, ისე სოციალურ ინდივიდს, — ერს საზოგადოებათა საზოგადოებაში, „კაცობრიობაში". შეიძლება ვერ მივაღწიოთ ამ იდეალსა, რადგანაც საზოგადოდ იდეალის მიახლოვება შეიძლება და არა განხორციელება. მაგრამ შეიძლება თუ მთელი კაცობრიობა არა, მისი რამოდენიმე ნაწილი დროებით მაინც დასტკბეს ამ დაახლოვებითი ბედნიერებითა". — შეიძლება აკრეთვე კაცობრიობა ვერ გახდეს სინამდვილედ, როგორც ერთი დიდი საზოგადოება, მაგრამ იქნებ **ადამიანობის იდეალს** მაინც მივუახლოვდეთ კაცთა შორის საზოგადოებაში და ერთა შორის საზოგადოებათა საზოგადოებაში.

საკვირველია, ზოგიერთ ხალხს, მაგალითად ფრანგებს, ერთი და იგივე სიტყვა „Humanité" აქვსთ ორი ცნების გამოსახატავად **კაცობრიობისა** და **ადამიანობისა**. მართლაც, თუმცა კაცობრიობა და ადამიანობა სრულიად სხვა და სხვა ცნებაა, მაგრამ მათ შორის მაინც არის ერთგვარი დამოკიდებულება: რაც უფრო ვრცელდება საზოგადოებრივობის სფერო, მით უფრო ვითარდება ადამიანობაც.

და **„ადამიანობის"** იდეალი რომ დაიჭერდეს ადგილს **„კაცობრიობის"** იდეალისას ადამიანის შეგნებაში, — ვგონებთ მისთვის ეს უფრო ჭეშმარიტი, კეთილშობილი და დიადი იდეალი იქმნებოდა.

დ ა ხ ა ხ რ უ ლ ი.

დ ა ნ ა რ თ ი

„მიმცემი“ და „მიმღები“

I

ბევრ ისტორიკოსს და კულტურათა მკვლევარს სხვა ძველ ხურჯინთა შორის ერთი ყველაზედ უფრო უშვერი დააქვს თან დასაბამითგან მათი მეცნიერებისა დღემდე: ესრიან უფრო ნიჭიერნი ერნი **მიმცემი** მათ კულტურულ ნამოქმედართა, და ნაკლებად ნიჭიერნი, **მიმღებნი** უცხოთა წყალობისა. პირველნი არიან უფრო მოქმედნი და შემოქმედნი, უკანასკნელნი უფრო პასიურნი და ორიგინალური შემოქმედების ნიჭს მოკლებულნი. გარეშე პირველთა **გავლენისა** უკანასკნელნი კულტურულ ერებად ვეროდეს გახდებოდენო, და სხვ...

რომ ერთი ერი უფროა დაჯილდოებული შემოქმედებითი ნიჭით, ვიდრე მეორე, ეს სიმართლე და სინამდვილეა, მაგრამ ამისი მაჩვენებელი სულ სხვა რამ არის, ვიდრე „მიცემა“ და „მიღება“, და გავლენაც ერთისა მეორეზედ და ერთის „გავლენის“ განცდა მეორეს მიერ მათი არც ნიჭის და არც უნიჭობის დამამტკიცებელია.

ზოგიერთ მეცნიერს, გარდა ამ ტყუილი რწმენისა, რომელიმე ერის ისტორიისა და კულტურის არა ნამდვილი ცოდნაც უბნელებს ხედვას. მახსოვს, როდესაც ბერლინში 1500 წლის თავი დაბადების სომხურად თარგმნისა იდღესასწაულეს სომხებმა, მთავარი მომხსენებელი იყო ერთი „გამოჩენილი“ გერმანელი მეცნიერი ორიენტალისტი. გადაშალა რა სურათი სომხური კულტურის განვითარებისა, გადმოგვხედა თვალების ბრიალით იქვე მჯდომ ქართველებს და თქვა: ქართული კულტურა სომხური კულტურის „განალეკიაო.“ გარდა ქართული კულტურის უცოდინარობისა და ზემოხსენებული „ძველი ხურჯინისა“, რაღაც სიძულვილი ქართველებისა, ვინ იცის ვისგან და რად მის გულში ჩანერგილი, ამეტყველებდა ამ მეცნიერს, მაგრამ დარწმუნებული იყო: რომ სომხურმა ქართულს მრავალი სიტყვა „მისცა“ და გახადა იგი „კულტურულ“ ენად; რომ სომხებმა ქართველებს ანბანი „მისცეს“ და ამით საფუძველი ჩაუყარეს მისს მწერლობას; რომ ქრისტიანობა საქართველოში სომხეთითგან შემოვიდა და საღმრთო წერილიც ქართული პირველად სომხურითგან იყო თარგმნილი; რომ ქართული საეკლესიო ხუროთმოძღვრება სომხეთში შექმნილი ხუროთმოძღვრების პირია; რომ ერთობ ქართული ქრისტიანული კულტურა სომხურის მიბაძვაა. მისი „გავლენით“ შექმნილი, და სხვ. და სხვ. — სპარსეთზედ რომ ყოფილიყო საუბარი, იგი აგრეთვე სპარსული კულტურის „გავლენას“ მიაწერდა მთელი ქართული ცივილიზაციის შექმნას, ასე აღნიშნავდა ბერძნულ „გავლენასაც“, და სხვ., ისე, რომ თითქოს ქართველებს საუკუნეთა განმავლობაში არც აზრით, არც გულით და არც ხელით არაფერი ჰქონდესთ შექმნილი. იმეო-

---

ბედი ქართლისა, 1952 წ. № II, 1953 წ № 15, 1954 წ. № 17, 1955 წ. № 19, 1955 № 20, 1956 № 21

რებდა ეს ყოყლოჩინა მეცნიერი შეცდომებს და ზღაპრებსაც, რაც წარსული საუკუნის ხსვისი ნაწერებიდან ამოეკითხა, ხოლო თვით არ იცოდა არც ქართული ენა, არც ქართული პალეოგრაფია (მართლაჩინოდ არც სომხური!), არც ქართული მწერლობა და მისი ისტორია, არც ქართული ხელოვნება და მისი ისტორია, — არც სხვა არაფერი ქართული! მაგრამ აქ ყურადსაღები ის არის, რომ, კიდეც რომ სცოდნოდა მას ყოველივე ესე, სხვათაგან „მიცემულისა" და ქართველთაგან „მიღებულის" მაგალითები მაინც საკმარისად ექმნებოდა, რომ სრულიად მცდარი წარმოდგენა ჰქონოდა ქართულ კულტურაზედ.

„საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის" მოამბეში (ტ. X. 1949 წ. თბილისი) დაბეჭდილია წერილი პროფ. გ. წერეთლისა პასუხად რუსი არქეოლოგის ბორის კუფტინისა, რომლის ბრძნული აზრითაც ქართველი ერის „თვითგამორკვევა"(?!) განსაზღვრა თურმე ირანმა და მისმა კულტურამ, აგრეთვე საბერძნეთისა და რომის კულტურამ. კუფტინი ქართველ ერს აცხადებს მხოლოდ კულტურის მატარებელთაგან გადმომღებლად, როგორც ჩამორჩენილი და მდაბალი კულტურის მქონე ერს. — გ. წერეთელი კარგად უპასუხებს: „ქართველი ხალხის ეროვნულ თვით-გამორკვევას განსაზღვრავდა არა ირანი ან რომი და ბერძნული სახელმწიფოებრივი ერთეულები, ან კიდეე მათთან კავშირი, არამედ ქართველი ხალხის ეროვნულ თვით-გამორკვევას განსაზღვრავდა ის ფაქტორები, რომელიც საფუძვლად უდევს ყოველგვარ ეროვნულ წარმონაქმს"-ო. *

ეს ერთი მაგალითი ქართველთა „მიმღებლობისა" და „გავლენის" განცდისა და მათ მეზობელთა „მიმცემლობისა" და „გავლენისა" ქართულ კულტურაზედ ჯერ ვიკმაროთ, ვითარცა საუკეთესო ზემოხსენებულ აზრთა სრული უაზროობის ნათელ-ყოფად.

არ არსებობს არც ერთი ენა კულტურულ ერთა, რომ მას უცხო, მეზობელთაგან ნასესხები სიტყვები არ ჰქონდეს მიღებული. ბერძნულ ენაში მრავალი სიტყვაა ეგრედ წოდებული „აზიანური" (დიდი ნაწილი ქართული ძირისა), აგრეთვე სპარსულში, მაგრამ ამით მათი ინდოევროპიული თვისება არ წარშლილა, და აგრეთვე რაც მათ მეზობელთაგან შეუთვისებიათ, მეტი თვით მიუციათ მეზობელთათვისვე. თუ სომხურს ქართულისათვის სიტყვები „მიუცია", მეტი ქართულითგან „მიუღია" უძველესი დროითგან, როდესაც სომხური ტომები, ქართველი ჭან-მეგრელთა ტომების მოსაზღვრენი იყვნენ, — მიახლოებით მერვე საუკ. ქრ. წ. — და საკვირველია, რომ ეს „მიმცემი" სომხური ენა ნარეკ ენად არის ცნობილი ენათმეცნიერთა მიერ (თვით ნ. მარის მიერაც), შერეული უცხო ელემენტი ქართულია (ჭანურ-მეგრული), ხოლო „მიმღები" ქართული ენა წმიდა („იაფეტურ") ენად არის აღსარებული, მიუხედავად მისი „მიმღებლობისა".

ვთქვათ რომ მართალია ლეგენდა მესროფ-მაშტოცის მიერ სომხური ანბანის „გამოგონებისა" და შემდეგ მის მიერვე ეროვნულ ანბანთა მიცემისა ქართველთათვის და ალბანელთათვის. დავანებოთ თავი ეჭვს, თუ რად შეიწუხა თავი მესროფმა ქართველთა და ალბანელთათვის ეროვნულ ანბანთა მიცემისათვის, რად არ გადასცა პირდაპირ სომხური, რომელიც აგრეთვე ქართულ ბგერებს გადმოგვცემს. ხოლო რა დამამცირებელი იქმნებოდა სომხური ანბანის მიღება ქართველთათვის ან რომელიმე სხვა ერისათვის? ლათინური ანბანი ევროპის ერთა დიდ უმეტესობას აქვს მიღებული, მაგრამ ამიტომ ისინი უნიჭო „გადმომღებლებად" უნდა გამოვაცხადოთ? ხოლო საქმის ვითარება სულ სხვაა: მესრო-

* ამ ცნობისათვის დიდ მადლობას ვუძღვნი ბ-ნ ეჭიმ გივი კობახიძეს (ნიუ-იორკიდან).

ფის ლეგენდა სომხის ისტორიკოსის კორიუნის თხზულებაში შემდგომად მისი დაწერისა არის ვიღაც ინტერპოლატორისაგან ჩამატებული (რაღაც მიზნით). თვით სომხური ანბანიც და ქართული ანბანიც მეხუთე საუკუნეზედ (ქრ. შ.) დიდად უფრო ადრეა „გამოგონილი", — ი. ჯავახიშვილის პალეოგრაფიული გამოკვლევით ქართული დაახლოებით მეექვსე საკუნეში ქრ. წინათ. ქართული ანბანი როგორც ბერძნული, სომხური და სხვა **დამოუკიდებელნი განშტოებანი** არიან ეგრეთ წოდებული ფინიკიური ანბანისა, რომელიც მისი თვისების გამო ბგერათა (და არა მარცვალთა) გარდმოცემისა მრავალ განშტოებათა სახით გაავრცელდა მთელ კულტურულ წინა-აზიაში და ევროპაში. მეხუთე საუკუნეში ქრ. შემდეგ უკვე განვითარებული. მაღალ ხარისხზედ მდგომი ქართული და სომხური მწერლობა არსებობდა, რომლის შექმნა წარმოუდგენელია ანბანთა „გამოგონების" მოკლე დროის შემდგომად. რომ სომხური და ქართული წარმართული მწერლობის ან დამწერლობის ნაშთი ჯერ არ აღმოჩენილა, ეს არაფერს ამტკიცებს. — და ყოველივე ეს ნებას გვაძლევს ვთქვათ, რომ ერებმა წინა-აზიისა და ევროპისა ფინიკიელებს უნდა დაუმადლონ მათი „კულტურული თვითგამორკვევა" (?!),—ფინიკიელებს, რომლებიც თვით აროდეს აულან არც ძველი ბერძნული და არც შემდეგი ქართული კულტურის სიმაღლემდე? ამას გარდა, დავუკვირდეთ ყოველ ეროვნულ ანბანს, ფინიკიურის განშტოებას, და ჩვენს თვალს წარმოუდგება წინ განსაკურთებული სახე, ინდივიდუალობა თვითეულის მათგანისა, ვითარცა **ეროვნული შემოქმედება**, და მივხვდებით, რომ აქ სხვა ძალას უმოქმედია.

ხუროთმოძღვრება ქართული სომხურის პირად ითვლებოდა და გერმანელმა ხელოვნებისმეცნიერმა შტრიგოვსკიმ სომხური ხუროთმოძღვრების „გავლენა" არა თუ საქართველოზედ, არამედ ბიზანტიაზედ გაავრცელა და იტალიამდისაც კი მიიყვანა იგი. რასაკვირველია ქართული სტილი ღმრთის სახლთა სომხურს ჰგავს, მაგრამ იგი მისგან საგრძნობლად განსხვავდება, როგორც მაგ. ლათინური ანბანი ბერძნულისაგან. ჩვეულებრივი დამკვირვებელის თვალისათვის ცხადია სინანზე, მარტივი კეთილშობილობა ხაზთა, აღმაფრენა აგებულობისა, რაიცა ქართულ ეკლესიათა ინდივიდუალური თვისებაა, — და სხვაც ბევრი რამ არის განმასხვავებელი ქართული და სომხური ხუროთმოძღვრებისა, რაის შესწავლა და ნათელყოფა სპეციალისტთა საქმეა. — ამიტომ ქართული ხუროთმოძღვრება ქართულ ხუროთმოძღვრებად რჩება, სომხურის წაბაძვითაც რომ იყოს იგი პირველად შექმნილი, სრულიად თავისებურად და ქართველის სარწმუნოებრივ განცდათა გამოხატულებად. მაგრამ ყურადსაღები იქ ის არის, რომ შტრიგოვსკიც და მისი წინამორბედი მეცნიერებიც სცდებოდენ, როდესაც ისინი ამ ხუროთმოძღვრების წარმოშობის ნიადაგად სომხეთს სთვლიდენ. ქართული ძეგლები „სომხური ხუროთმოძღვრებისა" უფრო ძველი აღმოჩნდა ვიდრე სომხური და უახლესმა კვლევა-ძიებამ (გ. ჩუბინაშვილისა, ამირანაშვილისა და სხვ.) ცხადჰყო, რომ ეს ხუროთმოძღვრება საქართველოში დაიბადა და არა სომხეთში. საქართველოთგან გავრცელდა მისი „გავლენა" არა მარტო სამხრეთისაკენ და სამხრეთ-დასავლეთისაკენ, არამედ ჩრდილოეთისაკენაც. ეს ძლიერ არ ეამა განსვენებულ შტრიგოვსკის და მის სკოლას, მტრული გრძნობებით და სიმართლის მძებნელი მეცნიერის არა შესაფერისი სიტყვებითაც კი დაეტაკენ ისინი ქართველ მეცნიერთ და მათ მსგავსად მოაზრეთ, მაგრამ სიმართლე სიმართლედ დარჩა, იგი რისხვით და წყრომით არ წარიშლება, ხოლო ამით არც სომხის ხელოვ-

ნებით ნიშს დაჰკლებია რამ და არც მისი ხუროთმოძღვრების ეროვნულობას და ორიგინალობას.

ქართული მწერლობა, რომლის დასაწყისი ჩვენ ვიცით მეხუთე საუკუნითგან ქრ. შ., აგრეთვე ქართული შემოქმედების ნაყოფია. თარგმანი საღმრთო წერილისა უცხო ენებითგან ამის წინააღმდეგ სრულიად არაფერს მოწმობს. ქრისტიანი ერები ურთი-ერთის ენათაგან სთარგმნიდენ რელიგიური შინაარსის თხზულებებს: ლათინები ბერძნულითგან ბერძნები სირიულითგან, სირიელები ბერძნულითგან, სომხები სირიულითგან და ბერძნულითგან, ქართველები სირიულითგან, სომხურითგან და ბერძნულითგან და სხვ.. ქართული თარგმანები უმთავრესად ბერძნულითგან არის ნაწარმოები. გიორგი მთაწმინდელი ამბობდა, — ჩვენ გვქონდა კეთილი თარგმანები საბა-წმიდური (ე. ი. წმ. საბას ქართულ მონასტერში თარგმნილი) და ხან-მეტიცაო. მხოლოდ რამოდენიმე წიგნი ითარგმნა სომხურითგანო. თავის დროზედ ნ. მარმა ძლიერ შეუტია გიორგი მთაწმინდელს, — ვნახავთ. თუ მარტო „რამოდენიმე წიგნი“ ითარგმნა ქართულად სომხურითგანო! მაგრამ მიუხედავად ბევრი ჩხრეკისა მან ვერ დაამტკიცა მთელი უძველესი ქართული საქრისტიანო მწერლობის სომხურითგან თარგმნა და დაჩუმდა. გიორგი მთაწმინდელის ცნობა კი მართალი გამოდგა: აღმოჩნდნენ პალიმფსესტები მეშვიდე საუკ. ხან-მეტი ტექსტებით, — უფრო ძველი, ვიდრე სომხური ძეგლები, ცხადი ნიშნებით ბერძნულითგან თარგმნილობისა. აქ საკვირველი არაფერია, რათგანაც ქართველები ქალკედონური მართლმადიდებლობის მიღებისა და სომეხთაგან სარწმუნოებრივად განყოფის შემდეგ სომხურითგან საღმრთო წერილის თარგმნას მიუღებლად ჩასთვლიდენ. ქართველთა მონასტრები აგრეთვე განსაკუთრებით ბერძნულ საქრისტიანო სფეროში მოღვაწეობდენ და შესანიშნავ ათონის იბერთა მონასტერში დამთავრდა თარგმნა საღმრთო წერილისა ბერძნულითგან დიდ ქართველ მწერალთა მიერ.—პალიმფსესტთა აღმოჩენამ დიდად აღაშფოთა „მიცემისა და მიღების“ მეცნიერები, განსაკუთრებით ნ. მარი და მისი მოწაფე დონდუა. ეს ფაქტი ცხადი მხილება იყო მათი თეორიის სიცრუვისა, და იგინიც არა მართებული სიტყვებით გაცოფებულნი შეებრძოლენ ივ. ჯავახიშვილს, — მეცხრე საუკ. უნდოდათ პალიმფსესტების გადმოტანა, — მაგრამ ივ. ჯავახიშვილის მაგარი და დასაბუთებული პასუხის შემდეგ „მიცემისა და მიღების“ თეორეტიკოსები კვლავ დადუმდენ.—

ჰაგიოგრაფიული მწერლობა ქართული (მოწამეთა და წმიდათა ცხოვრების აღწერა) ორიგინალურიც არის და ნათარგმნიც. აქაც ქართული საქრისტიანო მწერლობა იმავე გზას ადგა, რაგვარსაც იგივე მწერლობა სხვა ქრისტიან ერთა: აღწერდენ ეროვნულ მოწამეთა და წმიდათა ცხოვრებას და სთარგმნიდენ უცხოთა ცხოვრების აღწერას იმ ენებითგან, რომელითაც იგი იყო დაწერილი. ხოლო რაგვარადაც პალიმფსესტთა ქართული ჰმოწმობს, რომ იგი იყო შედეგი ქართული სამწერლობო ენის ხანგრძლივი განვითარებისა, ნაყოფი ქართული მეტყველებითი შემოქმედებისა, აგრევე ენა ქართული ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა, თარგმანთა და უფრო ორგინალურთა, გვაჩვენებს, თუ სიმაღლის რა საფეხურისათვის მიუღწევია სამწერლობო ქართულს მეხუთე საუკუნითგან მეათემდე: „წმ. შუშანიკის ცხოვრება“ იაკობ ხუცესისა (V ს.), „აბო თბილელის ცხოვრება“ იოანე საბანისძისა (VIII ს.), „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ გიორგი მერჩულისა (X ს.), „იოანეს და ეფთვიმეს ცხოვრება“ გიორგი მთაწმინდელისა (XI ს.), „გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება“ გიორგი ხუცეს-მონაზვნისა (იმავე დროისა) და მრავალი სხვა მაღალი ღირების სამწერლობო ძეგლე-

ია. ფრიად მხატვრული ენით დაწერილი, სანდო ისტორიული წყაროები საქართველოს ისტორიისათვის, უაღრესად ორიგინალური და არა უცხოთა წიგნებიდან შეთხზული. შინაარსით უფრო მდიდარი და საინტერესო. ვიდრე მრავალი ბერძნული, სირიული და სხვა ჰაგიოგრაფიული თხზულებანი. ეს იცოდა მათმა ღრმად შემსწავლელმა მამა პეტერსმა და ამიტომ სთარგმნიდა მათ საქრისტიანო ჰაგიოგრაფიული მწერლობის გამდიდრებისათვის. და ეს შესანიშნავი ძეგლები მით იყო შესანიშნავი, რომ იგი „გავლენას", „მიცემას", „წაბაძვას" კი არ შეუქმნია, არამედ ნიჭით აღსავსე ქართველ მწერალთა კალამმა „აღწერა" იგი. რომელთაც ეროვნული ტრადიცია ჰქონდათ მწერლობისა.

თვით „წმიდათა ცხოვრებებში" იყო შთანაჩენი ქართული საისტორიო მწერლობისა. ხოლო პოლიტიკურმა ცხოვრებამ ერისა დაბადა საჭიროება „ამბავთა", „საქმეთა", „მეფეთა ცხოვრების" აღწერისა, საქართველოშიც ისევე, როგორც ყველგან, სადაც ერს პოლიტიკური ცხოვრება ჰქონდა და მერვე საუკუნითგან უკვე ჩვენ ვეხედავთ დამოუკიდებელ დარგს ისტორიული შინაარსის ქართული საერო მწერლობისა. თუ პირველნი საისტორიო თხზულებანი ზოგნი ქრონიკანი არიან, ზოგნი ლეგენდარულ ამბავთა მომთხრობნი, ასეთ მოვლენას ყველა ერთა საისტორიო მწერლობაში ვეხედავთ. მაგრამ „ქართ. ცხოვრების" (ან „წმ. ნინოს" ცხოვრების) ლეგენდები ამავე დროს იმდენ მნიშვნელოვან და ნამდვილ ცნობათ შეიცავს, გარდამონაცემთ უშორეულესი წარსულითგან ჩვენი ერისა, რომ მათი გამოყენება მეცნიერულად დღესაც არ დამთავრებულა. ხოლო ქართული ისტორიული თხზულებანი თანამედროვეთა ისეთი განსაკუთრებული წესით. მეცნიერული მეთოდით, სიმართლის სიყვარულით და ღირსებით აღსავსე სტილით არიან დაწერილნი, რომ მათი მკვლევარი ამ თვისებებით ქართულ საისტორიო თხზულებათა განცვიფრებული და აღტაცებულიც რჩება. „ძატიანე ქართლისაჲ", „ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისი", თამარ მეფის ისტორიკოსთა თხზულებანი („ისტორიანი და აზმანი" და სხვ.), ეამთა-აღმწერელის თხზულება (მონღოლთა ხანისა, XI-XIV ს.) არა ჰგვანან არც სომხურს, არც არაბულს და არც ბერძნულს საისტორიო თხზულებებს (თუმცა ქართველმა ისტორიკოსებმა კარგად იცოდენ უცხოთა საისტორიო მწერლობა და განსაკუთრებით ბერძნულს აქცევდენ ყურადღებას). მათ აზის ბეჭედი უაღრესი ორიგინალობისა, მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ისტორიკოსები უცხო წყაროებითაც სარგებლობდენ, — სხვანაირად ისტორიის წერა არც შეიძლება, — და აქ არც „მოცემაზედ" უცხოთა მიერ და არც მათ „გავლენაზედ" და „წაბაძვაზედ" საუბარიც არ შეიძლება. ეს თხზულებანი, აღსავსენი ნამდვილი ცნობებით, დაკვირვებებით და მაღალი, უშიშარი და კეთილშობილი აზრებით უმთავრესნი წყარონი არიან ჩვენი ისტორიისათვის და სამართლიანადაც. მათი ნაკლი ის არის, რომ ისე ვრცელნი და იმდენ ცნობათა შემცველნი არ არიან, რაგვარადაც დღეს ჩვენთვის სასურველი იქმნებოდა, მაგრამ ერთობ მათი თვისებით და შინაარსით იგინი მათი დროის უცხო საუკეთესო ისტორიულ თხზულებათ არ ჩამოუვარდებიან.

ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობის წარმომშობი ქართველი ხალხის თხრობისა და მღერის მოთხოვნილება იყო, როგორც ყველგან, სადაც ასეთი მწერლობა შექმნილა. განსაზღვრულ პირობებში, განსაზღვრულ საფეხურზედ ერის კულტურული განვითარებისა ჩნდებიან დიდი ხელოვნებით შექმნილნი ძეგლნი სიტყვის დიდ ხელოვანთაგან, და რაც უნდა ჰქონდესთ მათ უცხოთაგან „მიღებული" და „შეთვისებული", ფესვები მათ ქმნილებათა ერის სულშია, და ნიჭი მათი აშენებისა. შემქმნელი მათი ღირებულებისა, შემოქმედის. მაშენე-

ბელის კუთვნილებაა, და არა გარეთგან ვისგანმე მოცემული. „სიბრძნე ბალავარისა“, ეს მშვენიერი თარგმანი თუ გადაკეთება (XI ს.) შეიძლება სირიული ვერსიისა, სასიამოვნო საკითხავ წიგნად დარჩა ქართველთათვის, ვითარცა სასულიერო რომანი, მაგრამ ჩვენი სიტყვა-კაზმული მწერლობისათვის მას მიმართულება არ მიუცია. ეფთვიმე მთაწმინდელმა იგი ბერძნულად თარგმნა ქართულითგან და შემდეგ იგი მთელს ევროპაში გავრცელდა, მაგრამ ევროპის ერთა სიტყვა-კაზმული მწერლობა ამით არ დამდგარა განვითარების განსაკუთრებულ გზაზედ. ერთობ არც სომხურს, არც სირიულს და არც ბერძნულს სიტყვა-კაზმულ მწერლობას ქართულ სიტყვა-კაზმულ მწერლობაზედ არავითარი ისეთი გავლენა არ მოუხდენია, რომ მისთვის გზა გაეჩინოს განვითარებისა, და ვერც მოახდენდა, რათგანაც მათი ღირებულება ძლიერ მდარე იყო. — საუბარიც კი ძნელია საშუალო საუკუნეთა სომხურ, სირიულ, თვით ბერძნულ სიტყვა-კაზმულ მწერლობაზედ!

„წასაბაძავი“ მაგალითი ჩვენი სიტყვა-კაზმული მწერლობისათვის არაბულ-სპარსული სიტყვა-კაზმული მწერლობა იყო, — უფრო სპარსული, — მაგრამ ძირი ჩვენი სიტყვა-კაზმული მწერლობისა არც ამ წაბაძვაშია. მის დასაწყისს ჩვენ ვხედავთ უკვე „წმ. შუშანიკის ცხოვრებაში“, „წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში“ და სხვ... რუსთველის ლექსით არის დაწერილი „ბეთლემის საგალობელი“ ფილიპესი (X ს?), ეს ლექსი კი „ხალხური“ იყო და დარჩა დღემდე საქართველოს ყველა კუთხეში.

ქართული ფეოდალური კულტურის წიაღში აღზრდილნი ხელოვანნი სიტყვისა დიაღ „განათლებულნი“ იყვნენ: მათ იცოდენ ბერძნული, სპარსული, არაბული მწერლობა. მრავალი სახე ამ მწერლობათა ქმნილებათაგან რასაკვირველია მათ თვალწინ უდგათ და მოსწონდათ კიდეც. მაგრამ მათი შემოქმედება აქეთგან კი არ მომდინარეობდა, არამედ იგი იყო წმიდა ეროვნული, ქართული პატრონ-ყმობის საზოგადოებრივობის და კულტურის ნიადაგზედ შესაძლებელი. ქართველ „შემსხმელთა“ ლექსები არც ბერძნულისა და არც სპარსულ-არაბულის წაბაძვით არ იყვნენ დაწერილნი, არამედ კარის პოეტთა, ქართული კარის კულტურის მქონეთა მიერ, თუმცა მათ ლექსებში ბერძნული სიტყვებიც არის და სხვა უცხოც. „ამირან-დარეჯანიანის“ სპარსულ ორგინალს, საითგანაც ის უნდა იყოს თითქოს „გადმოკეთებული“, ამაოდ ეძებენ მკვლევარნი, იგი არ არსებობს. „ამირან-დარეჯანიანი“ ქართული რაინდული ცხოვრების მოთხრობაა მაღალი ხელოვნებით, და მაშინდელი ნიღაბით, თითქოს უცხო ქვეყნებში იქმოდენ რაინდნი მათ დიდ „საქმეთ“. სპარსული გავლენა სომხეთში კიდე მეტი იყო ვიდრე საქართველოში, მაგრამ იქ „ვეფხის-ტყაოსანი“ არ დაწერილა და არც თვით სპარსეთში დაწერილა მსგავსი რამ. რუსთველის სიტყვები: „ესე ამბავი სპარსული, ქართულად ნათარგმანები, ვპოვე და ლექსად გარდავთქვიო“, — ესეც ნიღაბია, რათგანაც რუსთველს „შეფარვით“ უნდოდა „ექო“ თავის თხზულებაში საქართველოს ხელმწიფენი. ცხადად მან იგინი „აქო“ „ისტორიათა და აზმათა“ შინა. — რუსთველის „კარის პოეტობა“ ზღაპარია. იგი თავისუფალი, დიდი ხელოვანი იყო, მაგრამ რიდი მეფეთა, რომელთა ცხოვრება „სახედ და დარად“ არის „ვეფხისტყაოსანში“ თქმული, მაინც ჰქონდა მას, და ამიტომ მოიგონა მან სპარსული ამბავი, „ქართულად ნათარგმანები“. ვახტანგმა ეს იცოდა და ამბობს: „სპარსშიდ ეს ამბავი არსად იპოება, ამბავიც თვითონ გააკეთა

(რუსთველმა)"-ო და სხვა* რუსთველის „ვეფხვისტყაოსანში" სჩანს ელემენტები მისი დროის კულტურული გარემოცულობისა, მაგრამ იგი წმიდა ქართული ძეგლია სიტყვის ხელოვნებისა მაშინდელი ქართული პატრონ-ყმობისა და მისი კულტურული გარემოცულობის ნიადაგზედ შექმნილი, და ამიტომ არ შეიძლება იყოს იგი ნაყოფი ან სპარსულ-არაბული ან სხვა უცხო გავლენისა, რადგანაც ქართული პატრონ-ყმობა დიდად განსხვავდებოდა მაშინდელი სპარსულ, არაბულ ან ბიზანტიურ საზოგადოებრივ ანაგებთაგან. იგი დასავლეთ-ევროპიულს უფრო ჰგავდა ვიდრე ამ უკანასკნელთ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს დასავლეთ ევროპასთან ისეთი ახლო კავშირი არ ჰქონია, როგორიც აღმოსავლეთ რომთან და აღმოსავლეთთან. ამისი მიზეზი ღრმაა და განსაკუთრებული, რაიცა სპეციალური კვლევის საგანი უნდა იყოს, და აქ ამაზედ სიტყვას ვერ განვავრცობთ.. ხოლო მკითხველმა ყურად უნდა იღოს შ. ნუცუბიძის მიერ ღრმად გამოკვლევა რუსთველის მსოფლიოს-ხედვისა და სხვ., რომ დაინახოს, თუ ვინ იყო რუსთველი და რაგვარია მისი შემოქმედება (იხ. მისი „რუსთველის სოფლმხედველობისათვის", შრომები I, გვ. 1—54). აქ დაკვირვებული მკითხველი „სპარსული ამბავის" არ არსებობის სიცხადესაც განიცდის და მაშინ სავსებით წარმოიდგენს სიმრუდეს იმ გზისა, რომელსაც ადგენ რუსთველის მკვლევარნი, ეძებდენ რა ამაოდ „ვეფხისტყაოსნის" სპარსულ „ორიგინალს", აცხადებდენ რა თვით რუსთველს მუსულმანადაც კი და სხვ. და სხვ.. — რუსთველის მეფენი არაბთა შეიხები და სპარსეთის შაჰები არ არიან, არც მისი რაინდები სპარსთა „პილოტანები", არც თინათინი და ნესტანდარეჯანი ჰარამხანის ან გინეკიონის ქალები, არამედ ფეოდალური საქართველოს მეფენი, რაინდნი და დედოფალნი, მიუხედავად ბევრის რაისამე გარეგნულისა, რაიცა „ვ. ტ"-ში „სპარსულია", ან „არაბული", „ბერძნული" და სხვ..

უცხო გავლენა და უცხოს ბაძვა ჩვენი დაცემის დროს იყო, როდესაც მონღოლთა მიერ საქართველოს განადგურების შემდეგ ორმა მძლავრმა იმპერიამ საუკუნეთა განმავლობაში ძიძგნა ჩვენი ერის სხეული და შემოქმედებითმა ძალამ ერისა იკლო. მთელი სამხრეთ-დასავლეთი საქართველო დაიღუპა ეროვნულად და იქ სულ გაქრა ეს შემოქმედებითი ძალა, ხოლო დანარჩენ საქართველოში სხვა და სხვა — „იანთა" თარგმანებით და მიბაძვით იყვნენ კმაყოფილნი, რათგანაც მთელი ენერგია ერისა სიკვდილისაგან გადარჩენას ეწირებოდა და კულტურული შემოქმედებისათვის არც სიწყნარე, არც მოცალეობა, არც მყარი წეს-რიგი ცხოვრებისა აღარ იყო. აქ სხვა მოვლენათა შორის სულხან-საბა-ორბელიანს შეგვიძლია მივაპყროთ თვალი შემდგომად ამ დიდი დაცემის ხანისა და მის შემდეგ ბესიკს, ვითარცა სასწაულთ ქართული შემოქმედებითი სულის სრულიად არ გაქრობისა. მაგრამ განვლეს რა ამ „შავთა დროთა", მეცხრამეტე საუკუნეში, მიუხედავად პოლიტიკური დამონებისა და მიმძლავრებელთა წინააღმდგომ ბრძოლისა, ქართული შემოქმედებითი სული კვლავ გაცხოველდა: მოგვეევლინენ ნ. ბარათაშვილი, გრ. ორბელიანი, შემდეგ ილ. ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა და სხვანი, შემდეგ გრ. რობაქიძე და სხვანი. მწერლობის გარდა კულტურის სხვა დარგებშიც გამოჩნდა შემოქმედებითი ნი-

---

* დანარჩენი სიტყვები ეახტანგისა: „და ლექსადაც ამისთვის უბნობს, რომ სპარსის ლექსის ბაძზედ რომ სთქვა, სპარსული ამბავი ქართულად ესთარგმნეო", გაუგებარია: რუსთველს „სპარსის ლექსის ბაძზედ" არ „უთქვამს", არამედ ქართული მღერის ლექსით თქვა. და არც ის უთქვამს, „სპარსული ამბავი ესთარგმნეო", არამედ „სპარსული ამბავი, ქართულად ნათარგმანები", ვპოვე და გავლექსეო (იხ. ეახტანგისეული „ვ. ტ-ი" 1712 წლისა, აღდგენილი ა. შანიძის მიერ, ტფ. 1937, გვ. სქე).

ჭი ქართველისა, და წარმოიშვა **ახალი ქართული კულტურა** ახალგარემოცულობაში, რომელიც, მიუხედავად საქართველოს ახალი ურთიერთობისა სხვა კულტურულ ერებთან, ისევეა ქართული და არა რუსული ან წმიდა ევროპიული, რაგვარადაც ძველი ქართული კულტურა იყო ეროვნული და არა სპარსულ-არაბული ან ბერძნული, მიუხედავად ქართველთა მაშინდელი ურთიერთობისა მეზობელ კულტურულ ერებთან. ვაჟა-ფშაველას, აკაკი წერეთლის, გრ. რობაქიძის შემოქმედებაში ისევე არაფერია რუსული, ან ფრანგული, ან გერმანული, რაგვარადაც რუსთველის შემოქმედება არ იყო სპარსული ან ბერძნული.

რომელი „გავლენით" ან „წაბაძვით" იყო შექმნილი ქართული მუსიკა, ეს საკვირველი და უაღრესად შვენიერი სხვა ერთა მუსიკათა შორის? ძველი ქართული საეკლესიო მუსიკა უძველესი საწარმართოთგან მომდინარეობდა, რაც დღეს დაგვრჩენია მისგან, იგი უმაღლესი ღირებისაა და წმიდა ეროვნული. ასევე მდიდარია და მშვენიერი ქართული საერო მუსიკა, და უნდა მოველოდეთ, და ეს მოლოდინიც გამართლდება, რომ ქართველი მუსიკის შემოქმედნი კაცობრიობას უდიდეს მუსიკალურ ქმნილებათ მიუძღვნიან ფას-დაუდებელ ძღვნად, ვინაითგან ის ერი, რომელმაც ასეთი „ხალხური" მუსიკა შექმნა, მისგან უდიდეს ქმნილებათა შემთხზველთაც წარმოშობს.

ასევე შეგვიძლია განვიხილოთ ყოველი დარგი ქართული კულტურისა. ზოგან მეტი სჩანს ქართული შემოქმედებითი ძალა, ზოგან ნაკლები, მაგრამ ამ მოვლენას ყოველი ერის კულტურის ისტორიაში ვეჰხედავთ. მთავარი ის არის, რომ ყველგან სჩანს ნამოქმედარი ერის სულიერი ენერგიისა.

და ბოლოს, რომელი „გავლენით", ან ხელისშეწყობითაც კი შეიქმნა საქართველოს სახელმწიფო და შემდეგ კავკასიის იმპერია, საქართველოს სახელმწიფო საფუძველზედ დამყარებული? ირანისა, რომისა, საბერძნეთისა? არა, არამედ სწორედ მათ წინააღმდგომ ბრძოლით შექმნეს ქრ. წინათ ქართველთა ტომებმა უძნელეს პირობებში კავკასიის ნიადაგზედ საქართველოს სახელმწიფო, რისთვისაც კულტურაც დიდი იყო საჭირო, პოლიტიკური შემოქმედების ნიჭიც და ეროვნული შეგნებაც. — ქრ. შემდეგ, საშუალო საუკუნოებში, საქართველოს სახელმწიფომ შეუქმნა ქართველ ერს ყოველი პირობა ახალი კულტურული განვითარებისათვის და მე-XI-XII ს. ვხედავთ მდიდარს, ძლიერს და კულტუროსან ქრისტიანულ საქართველოს, რომელმაც შესძლო მთელი კავკასიისა და სომხეთის შემოერთებით მაშინდელი დროისათვის დიდი იმპერიის შექმნა, — არა შემოერთებულ ერთა შეწუხებით და მათი გადადგვარების პოლიტიკით, არამედ მათი ეროვნებისა და სარწმუნოების პატივისცემით და მათი დაცვით საერთო მტერთა წინააღმდეგ, თუ ეს დიდი პოლიტიკური სხეული მონღოლებმა დაამხვეს (ამის მიზეზებზედ აქ საუბარი არ გვმართებს), პოლიტიკურადაც დაშლილ ქართველ ერს კიდევ შესწევდა ძალა საუკუნეთა განმავლობაში ორ დიდ იმპერიას გამკლავებოდა ისე, რომ არ აღიგავა პირისაგან მიწისა. მან საუკუნე-ნახევრის რუსის ბატონობასაც გაუძლო. დღესაც განაგრძობს იგი არსებობას, ვითარცა კულტურული ერი, გამომჩენი შემოქმედებითი კულტურული ძალისა, მიუხედავად მის პოლიტიკურ ბორკილთა, და ერთხელ განთავისუფლებული ამ ბორკილთაგან ამ ძალას იგი უფრო მეტი რაოდენობით გამოიჩენს. და ყოველივე ამას იგი დიაღ არვის უნდა უმადლოდეს თვინიერ თავისი თავისა!

ასევე შეგვიძლია განვიხილოთ ყველა ერთა კულტურა: ზოგან ვიხილავთ მეტს ნიჭს ეროვნული შემოქმედებისა, ზოგან ნაკლებს, ზოგთა კულტურის ერ-

თი დარგის უფრო მაღალ განვითარებას, ვიდრე მეორისა, და სხვ.. მაგრამ ყოველი ერის კულტურა ერთობ ეროვნული შემოქმედებითი ძალის მიერ ქმნილად მოგვევლინება. მიუხედავად იმ გარემოცულობისა, სადაც ეროვნული ენერგია მოქმედებდა, უცხოსაც ითვისებდა, ხოლო ეროვნულად გარდაქმნიდა.

და ყოველი მტრული ისარი, გამოსროლილი რომელიმე ერის წინააღმდეგ მის დასამცირებლად თვით „მეცნიერთა" მიერაც, არის მხოლოდ „სიტყვა უმეცრული", რომელიც უფრო მსროლელთ ავნებს, ვიდრე მათი სროლის საგანს.

რა უნდა თქვას მაგ. კუფტინმა, თუ მისი სიბრძნით, რომლითაც მან ქართველ ერს მეზობელთა მიერ „გამოარკვევია თავი" და თვით იგი რაღაც ჩამორჩენილ ერად დასახა, მის მშობელ ერს მივუდექით? რუსებს ანბანი „მისცეს" კოპტებმა, ქრისტიანობა ბერძნებმა, პირველი სახელმწიფოებრივობა სკანდინაველებმა. აუარებელი სიტყვა მათი ენისა ფინებმა და მონღოლებმა ამ უკანასკნელებმა წესი ცხოვრების გარიგებისა, შემდეგ ევროპიელებმა ევროპიული განათლება და სახელმწიფოებრივობა, კერძოდ გერმანელებმა დინასტიაც კი, და სხვ.. ნუ თუ ამით მოხდა კულტურული და სახელმწიფოებრივი „თვითგამორკვევა" რუსის ერისა? კუფტინი რასაკვირველია სხვას გვეტყოდა და დიდი სიამაყით მოგვითხრობდა თვისი ერის შემოქმედებით ნიჭზედ, და საბერთლიანადაც, ხოლო იგი მისი საკუთარი დებულების წინააღმდეგ უნდა წასულიყო აუცილებლად, რომელიც მას საქართველოსთვის მიაჩნია მართლად, თვის ერისათვის კი არა: დიახ, მიუხედავად უცხოთაგან მრავლის „მიღებისა", რუსის ერმა თვით შეჰქმნა თვისი კულტურაც და თვისი სახელმწიფოებრივობაც. და ბოლო ხანაში თვისი ისტორიისა, შემოიგლიჯა რა უცხო, გამოჩნდა იგი თვისი წმიდა ბუნებით, და ეს მისი ბუნება ასვამს განსაკუთრებულ ბეჭედს დღევანდელ მის კულტურასაც და მის სახელმწიფოებრივობასაც!

შეუსაბამოა ხშირად ერისა და პიროვნების შემსგავსება. მაგრამ მიუხედავად ამისა აქ ერთი რამ უნდა მოვიგონო: ლ. ტოლსტოის თვისი რაგვარადაც უცნაური ისე მცდარი ფილოსოფიით და მართლ-საჩინოდ თვისი ბუნებითაც დიდი კაცები ეჩხირებოდა თვალში და მათ ჩამოგდებას ჰლამობდა მათ მაღალ კვარცხლბეკთაგან: ჯერ ნაპოლეონს მოუნდომა ჩამოგდება, მერმე დანტეს და შექსპირს, მერმე „მუსიკის შექსპირს" ბეთჰოვენს. ხოლო ვერც ერთი ვერ ჩამოაგდო განსვენებულმა, ის გიგანტები კვლავ დგანან შეურყეველად მათ მიუწდომელ სიმაღლეზედ და იქვე დარჩებიან მარად, ვიდრე კულტურული კაცობრიობა არსებობს, თვით ტოლსტოის სიდიდე კი რაც დრო გადის, მით უფრო კლებულობს. ასევე კულტურული ერის ჩამოგდება მისი სიმაღლითგან, როშელსაც მან შიაღწია საუკუნეთა განმავლობაში ღვაწლით და შემოქმედებით, მისი კულტურის გამოცხადება რომელიმე მეზობლის კულტურულ განალეკად, და სხვ., უაზრობაა და უმეცრება. საწყალი რომის კულტურაც „მიცემისა" და „მიღების" ფილოსოფოსთა სიბრძნით ბერძნულის წმიდა „განალეკად" ჩაითვლებოდა! ხოლო, მაღლობა უფალს, ეს „ბრძენნი" რომს ძვირად უბედავენ, რაიმე მსგავსი ჰკადრონ!..

II

სამხრეთ შუა-მდინარის ქვეყანა და ეგვიპტე ითვლება მეცნიერების მიერ ორ უძველეს ნიადაგად, სადაც შეიქმნა და განვითარდა ის კულტურა, რომლის მემკვიდრე თანამედროვე კულტურული კაცობრიობა არის. ამ ორ ადგილს შექმნილან თითქოს „დამოუკიდებლად" სუმერული და ეგვიპტური კულტურა-

ნი იქ მცხოვრებ ერთა მიერ, და გავლენა ამ კულტურათა საუკუნეთა განმავლობაში ძლიერი იყო შემდეგ ისტორიის ასპარეზზედ გამოსულ სხვა ერთა კულტურაზედ, და ელემენტები მათი დღემდე დარჩენილან. — დაახლოვებით 6.000 წლის ყოფილა კულტურა, რომელიც განსაზღვრული სახელ-წოდების ერთ შეუქმნიათ დღემდე და რომლის კვლევაც და ისტორიის დაწერაც შესაძლებელია იმ ნაშთთა მიხედვით, რომელნიც ამ ერთა შემოქმედებას დაუტოვებია. — ზოგიერთი მკვლევარი ჩინურ კულტურასაც ძველის-ძველად სთვლის და „დამოუკიდებლად", მაგრამ ეს საკითხი სპეციალურია და აქ ნათელსაყოფი აზრისათვის უმნიშვნელო.

მაგრამ რა არის 6.000 წელი იმ მრავალ ათიათას წელთან შედარებით, რომლის განმავლობაში ადამიანთა სხვა და სხვა მოდგმის ჯგუფებს ღვაწლი გაუღია ერთობ კულტურის პირველ საფეხურთა შესაქმნელად? ჩვენ კმაყოფილნი უნდა ვიყოთ, თუ ამ უძველესი დროის ადამიანთა ჯიში ვიცანით დაახლოვებით, რომელიც მრავალი და სხვა და სხვა ფიზიკური და სულიერი თვისებისა იყო და მოქმედებდა დედა-მიწის მრავალ ადგილს, ხოლო არც ერთ მოქმედ ჯგუფს სახელიც კი არ დაუტოვებია ჩვენთვის, რათგანაც მათ ჯერ საწერი ნიშნები არ ჰქონდათ, რომ მათნი საქმენი და სიტყვანი დაწერილნი გარდმოეცათ მათ მემკვიდრეთათვის.

ამიტომ ვიწყებთ „ისტორიას" კულტურული კაცობრიობისა სუმერთაგან და ეგვიპტელთაგან, — მათ პირველთ დაგვიტოვეს დაწერილი ძეგლები და მოგვცეს საშუალება მათი ცხოვრება და ბედი წარმოგვედგინა თვალის წინ გარდა მათ მიერ დატოვებულ ნივთიერ ნაშთთა მათგანვე ნათქვამითაც.

როდესაც ვადარებთ ეგვიპტელთა კულტურას სუმერთა კულტურას, განსხვავება მათ შორის ისე დიდია, რომ ორისავე ინდივიდუალობა ცხადი ხდება, ცხადი ხდება ორივე ერის დამოუკიდებელი შემოქმედება, კიდეც რომ ყოფილიყო მათ შორის რაიმე ურთიერთობა უძველესი დროისა, როგორც ამას ზოგიერთი მეცნიერი აზრობს. მთელი სახე სუმერული კულტურისა ისე განსხვავდება ეგვიპტის კულტურის სახისაგან, რომ პირველი ხილვისთანავე ამ ორი ქმნილებისა სჩანს ორი ერის ინდივიდუალური შემოქმედება.

და ეს **მიუხედავად იმისა, რომ სრულიად „დამოუკიდებელი"** არც სუმერული კულტურა ყოფილა და არც ეგვიპტური: სუმერნი სამხრეთ შუა-მდინარეში ჩრდილოეთითგან მოსრული არა-სემიტები და არა-ინდოგერმანელები იყვნენ, მათ თან მოიტანეს ლურსმული წერილი და მართლსაჩინოდ სარწმუნოება და კულტურის სხვა ელემენტები.. და რომელმა ჯგუფმა ადამიანთა რა „მისცა" მათ სამხრეთისაკენ წასვლამდე, ჯერ არ ვიცით, ხოლო უეჭველია, — საფუძვლები პირველყოფილი კულტურისა, რომელზედაც მათ მათი შემოქმედებით ააშენეს თვისი, **ეროვნული.** თვით ლურსმული წერილი მთის ხალხისაგან შექმნილი ხატოვანი წერილისაგან სჩანს წარმომდგარი, განვითარებული შემდეგ სუმერთაგან მათ ახალ სამშობლოში. — სარწმუნოებაც მათი არ სჩანს სამხრეთ შუა-მდინარეში შექმნილად, არამედ სარწმუნოებრივი წარმოდგენანი მათნი მთისაკენაც მიგვითითებენ. ხოლო სუმერულ ენაში უტყუარი ნიშნებია იმისა, რომ უცხო არა-სუმერულ ელემენტებს შეიცავს იგი, მაგ, მრავალ სიტყვას, რომელიც სუმერული არ არის, არამედ უძველეს მეზობელთაგან შეთვისებული უხსოვარი დროითგან. — ნილოსის მიდამოებში სხვა და სხვა მოდგმის ხალხები დასავლეთითგან, — ლიბიითგან, — აღმოსავლეთ-ჩრდილოეთითგან და სამხრეთითგან იყო შემოსული და მათგან შეიქმნა ერთი ერი ეგვიპტისა. მათ რა-

საკვირველია თან ჰქონდათ მოტანილი პირველყოფილი ელემენტები კულტურისა. თვით ენა ეგვიპტური ქამურ-სემური ნარევია, — ეს დამტკიცებული ფაქტია, — მაგრამ ეგვიპტური კულტურისათვის, რომელიც ჩვენ ვიცით, ამ პირველყოფილ კულტურის ელემენტებს კი არ მიუცია მისი სახე, არამედ ეგვიპტის კულტურას ნილოსის გარემოცულობაში საუკუნეთა, ათასეულ წელთა განმავლობაში შემოქმედებამ ეგვიპტის ერის სულისა მისცა მისი სახე, განსხვავებული სხვა დიდ კულტურათა სახეთაგან. გრანდიოზული პირამიდები, ტაძრები და ქანდაკებანი ცივნი, უმოძრაონი, მონუმენტალურნი, სარწმუნოებრივნი წარმოდგენანი, იეროგლიფური წერილი და მისგან წარმომდგარი კიდე ორი წერილი, — იერატიული და დემოტიური, მწერლობა თავისებური, არა მდიდარი, მაგრამ შვენიერი, კულტი მიცვალებულთა, რომლის მსგავსიც არსად სხვაგან ყოფილა და მასთან დაკავშირებული ხელოვნება მხატვრობა თავისებური და სხვ., სახელმწიფოს ორგანიზაცია და სოციალური წყობილება აგრეთვე თავისებური, რომლის მსგავსი სხვაგან აღმოსავლეთში არ ყოფილა, რომ აქ რაიმე „გავლენაზედ“ შეიძლებოდეს მსჯელობა, — ყოველივე ესე ეგვიპტის ერის შემოქმედების ნაყოფი იყო, შედეგი მისი ღვაწლისა, შესაბამისი მისი გონებისა, გრძნობისა და განცდათა. არც ერთ მეზობელ ერს ეგვიპტის ერისათვის ისეთი არაფერი მიუცია, რაც მას არ მოენელებიოს საკუთარით, ან რასაც შეეძლო ის სახე მიეცა მისი კულტურისათვის, რომელსაც იგი გამოაჩენს.

აღმოსავლეთის ისტორიაში საუკეთესო მაგალითი კულტურის „მიცემისა“, კულტურული „გავლენისა“, არის სემიტ ბაბილონელთა მიერ შეთვისება სუმერული კულტურისა. როდესაც აღმოსავლეთი არაბეთიდგან სემიტები შეესიენ შუა მდინარეს, იქ მათ დახვდათ განვითარებული კულტურა სუმერთა. სუმერთაგან შეითვისეს მათ ლურსმული წერილი. სარწმუნოების ელემენტები, ტექნიკა. საუკუნეთა განმავლობაში მათ შექმნეს სემურ-ბაბილონური კულტურა, სემიტთა სახელმწიფონი, — ბაბილონი, ასურეთი, — დიდი, მდიდარი ქალაქები, მწერლობა სემური, ხელოვნება სემური. მათ თვით სუმერნი გაასემიტეს, მაგრამ სუმერული ენა მათთვის წმიდა, სარწმუნოებრივ ენად დარჩა, ისე, ვითარცა ლათინური ევროპიელთათვის რომის დაცემის შემდეგ, — საგნად სწავლისა, ენად უძველეს ლოცვათა, და სხვ.. მაგრამ აქაც ეროვნულმა შემოქმედებითმა სულმა ბაბილონელთა და ასურთა არა თუ გარდაქმნა სუმერული კულტურა და გაასემიტა, არამედ ერთობ მათი კულტურა სრულიად „დამოუკიდებლად“ გვეჩვენება, თავისებური სახისა, რომელიც მკაფიოდ განსხვავდება სუმერულისაგან: ნაცვლად ნაზი სუმერული ხუროთმოძღვრებისა და სკულპტურისა, — მკაცრი და მონუმენტალური სემური; ნაცვლად სუმერული ღრმა სარწმუნოებრივი განცდისა, დაჰკარგა რა სუმერულმა სარწმუნოებამ უძველესი პრიმიტივობა და სიმკაცრე, — მუდამ და ყველგან მკაცრი სემური სარწმუნოება, მკაცრი, სასტიკი ღმერთებით; ნაცვლად უფრო ჰუმანური სუმერული საზოგადოებისა, — დესპოტური ორგანიზაცია სახელმწიფოსი, რომლის სისასტიკეს ეგვიპტური ოდნავ თუ აღემატებოდა; ნაცვლად სუმერული ეპოსის შთანაჩენისა, რომელსაც ვხედავთ გილგამეშის ამბავში, გრანდიოზული ეპოსი გილგამეშისა, სემური ლექსით უებრად ნათქვამი, და სხვ. და სხვ.. და როდესაც კაცი ადარებს სუმერულსა და ბაბილონურ-ასურულ მწერლობას, ან და მუზეუმებში განიხილავს ნაშთებს სუმერულისა და ბაბილონურ-ასურული ხელოვნებისა, და სხვა ნივთიერ ნაშთებს, მის თვალწინ აღიმართება ურთიერთისაგან თვალსაჩინოდ განსხვავებული ორი სახე კულტურისა, ორი სხვა და სხვა თვისების სულიერი ენერგიის ნამოქმედარი. — და ნუ ვის ჰგონია, რომ სემიტები ვერას შექმნიდენ, რომ

შუამდინარეში სუმერული კულტურა არ დახვედროდათ. მათი შემოქმედებითი ენერგია უსუმერებოდაც ორიგინალურ. თავისებურ კულტურას შეჰქმნიდა შუამდინარის გარემოცულობაში, როგორც ეგვიპტელებმა შეჰქმნეს ნილოსის გარემოცულობაში მათი კულტურა, მიუხედავად იმისა რომ იქ დამკვიდრებისას მათ განვითარებული ადგილობრივი კულტურა არ დახვედრიათ, სუმერთა მსგავსნი წინამორბედნი არ ჰყოლიათ.

ეგრეთ-წოდებული „ხეთელები" ინდოგერმანელები იყვნენ, შემოსული მცირე-აზიაში თრაკიითგან ბოსფორზედ გადმოვლით, მიახლოებით მესამე ათასეულის ბოლოს, — ჩრდილოეთის წარმოშობისა, ევროპიელები. რა მოტანეს თან, არ ვიცით, ხოლო ვიცით, რომ შემდეგ მათ შეითვისეს კულტურული ელემენტები ადგილობრივ ხალხთაგან, — „პროტო-ხატთაგან", ხურრთაგან და სხვათაგან. აგრეთვე ბაბილონთან ჰქონდათ მათ მჭიდრო კავშირი, რასაც გვაჩვენებს მათ მიერ ხმარება ბაბილონური ლურსმული წერილისა (არა ასურულისა). მაგრამ თვით ძლიერი და ხანგრძლივი წარსულის მქონე ხეთის ერის კულტურა, მცირე აზიაში შექმნილი, გვევლინება ნაყოფად მისი შემოქმედებისა, მიუხედავად მის მიერ მრავალფეროვან უცხო გავლენათა განცდისა, მისი მწერლობა, რაოდენადაც იგი შეგვინახა თიხის ტაბლეტებმა, არ არის მხოლოდ წაბაძვა ბაბილონურისა. ხეთურად ნათარგმნი ფრაგმენტებიც არის გილგამეშის ეპოსისა, მაგრამ მათი შინაარსი განსხვავდება ბაბილონურისაგან, — მათაც ბეჰედი აზის ხეთური ეროვნული შემოქმედებისა. — ხუროთმოძღვრების სტილი ხეთური ინდივიდუალური იყო, განსხვავებული ბაბილონურ-ასურულისაგან, და ასურეთის მეფეები ამაყობდენ მით, რომ ხეთური სტილის სასახლეები ააგეს („ბიტ-ხილანი", ე. ი. ხეთური სარკმლებით). — სახელმწიფო ორგანიზაცია ხეთური განსხვავდებოდა ბაბილონურისაგან და ეგვიპტურისაგან, აგრთვე კანონმდებლობას ხეთურს წმინდა ინდო-ევროპიული ხასიათი ჰქონდა, რაიცა ეგვიპტელთ ძლიერ ეუცხოებოდათ. სარწმუნოებრივი წარმოდგენანიც ხეთელთა სხვანი იყვნენ, ვიდრე იმ ერთა, რომელთა მეზობლად იგინი ცხოვრობდენ, და სხვ. და სხვ.. თვით ლურსმულ ნიშანთა სახეც კი განსხვავდება ხეთური ნასესხები ბაბილონურისაგან! და რაც უნდა ჰქონოდესთ მათ შეთვისებული მეზობელთაგან, ერთობ მათი კულტურა მათი ეროვნული ნამოქმედარი იყო, და რაც მათ სხვათაგან „აუღიათ", იმოდენივე საკუთარი სალაროთგან „მიუციათ" გარემო ერთათვის.

მეთოთხმეტე საუკუნეში ქრ. წინათ ჩვენ გვეშლება თვალწინ დიდი კულტურული სფერო ეგვიპტურ-ბაბილონურ-ხეთური: იყო რთული პოლიტიკური და ეკონომიური დამოკიდებულება ურთიერთობა ეგვიპტისა, ბაბილონისა და ხეთის იმპერიათა შორის, სადიპლომატიო ენა მათ შორის ბაბილონური იყო, არსებობდა დიდი გაცვლა-გამოცვლა არა მარტო საქონელთა, არამედ კულტურული ღვაწლის ნაყოფთა, მაგრამ ამავე დროს ამ ერთა კულტურათაგან ერთი არ წარმოშობილა, მათნი კულტურანი ერთმანეთში არ გაქნილან, არამედ თვითეული მათგანის ინდივიდუალობა მათ დაცემამდე და სრულ გაქრობამდე არსებობდა და თვალსაჩინო იყო.

სწორედ მეთოთხმეტე საუკუნეში შევიდა ჩრდილო არაბეთიდგან ერთ შტო სემიტთა ქანაანის ქვეყანაში, — ებრაელები. ქანაანის ქვეყანა სხვა, არა სემური, „გასემიტებული" ხალხის საკუთრება იყო, პოლიტიკურად ეგვიპტის ბატონობის სფეროში. ბაბილონის და ეგვიპტის კულტურათა გავრცელების ნიადაგიც იყო ეს ქვეყანა. და რასაკვირველია ებრაელებმა შეითვისეს იქ ყოველი

ელემენტი მათთვის უცხო კულტურისა. მაგრამ შეეხედავთ რა უკვე სრულყოფილ სახეს ებრაელთა კულტურისა, თვალწინ გვეელინება ებრაული შემოქმედება. მიუხედავად ამ ეული ხალხის მიერ უცხოთაგან მრავალის შეთვისებისა ჩვენ ვხედავთ ებრაულ სარწმუნოებას. რომელიც არც ეგვიპტურია და არც ბაბილონური, ებრაულ მწერლობას, რომელიც აგრეთვე არც ერთს უცხოს, დიდ მეზობელთა მწერლობას არ ჰგავს. ბაბილონური შექმნის ეპოსი და ბაბილონურ „გილგამეშიანში" მოთხრობილი ამბავი წარღვნისა, ისეა შეტანილი ებრაულ მწერლობაში, რომ უცხადესად სჩანს, თუ საითგან მიუღიათ ისინი ებრაელებს. მაგრამ ებრაულად ისეთ-ნაირად არიან ეს ბაბილონურნი ამბავნი მოთხრობილნი, ისეთი ბუნებრივი შეთანხმებით ებრაულ მონოთეიზმთან, რომელიც თავისებურია და განსაკუთრებული ძველი აღმოსავლეთის სარწმუნოებათა შორის, რომ „ბიბლიაში" იგინი ებრაული სულიერი შემოქმედების წმიდა ნაყოფად სჩანან. — ერთობ ებრაული კულტურა არ იყო ისეთი მრავალფეროვანი და ისეთი ღირებულების მქონე. როგორიც მაგ. ეგვიპტისა, ან ბაბილონისა, ებრაელებს არ დაუტოვებიათ ჩვენთვის არც პირამიდები, არც მრავალი უზარმაზარი ტაძარი, არც გოდოლნი, მსგავსნი ბაბილონის გოდოლთა, არც სასახლეები, არც ქანდაკებანი და მხატვრობა, მსგავსნი ეგვიპტისა და ბაბილონისანი,—იერუსალიმის ტაძარიც სოლომონისა თვით ებრაელთა გადმოცემით ტვირელი პირამის მიერ იყო აშენებული, — ანბანიც ებრაული ერთი შტოა ფინიკიურიდან წარმოშობილი არამეულისა; ებრაელებს არც ძლიერი სახელმწიფო შეუქმნიათ, მსგავსი ასურეთისა, არც კანონმდებლობა ჰქონიათ, მსგავსი ჰამურაბისა, და სხვ. და სხვ., მაგრამ ებრაელთა ხალხის მწერლობა უაღრესად ეროვნული შემოქმედების ნაყოფი იყო, ღარიბი პოეზიით, შვენიერებით, მაგრამ ბევრი სხვა თვისებით, რომელსაც ვერც ერთ მწერლობაში ძველი აღმოსავლეთის ერთა ვერ ვპოულობთ, და ამ ერთის, უდაბნოს ღმერთის მორწმუნე ერის მწერლობა შემდეგ ქრისტიანულმა ეკლესიამაც თვის „საღმრთო წერილად" სცნო და სცნობს დღესაც, მიუხედავად იმისა, რომ თვით ქრისტეს სარწმუნოებასთან, ქრისტეს წმიდა და ნამდვილ მოძღვრებასთან მას არაფერი საერთო აქვს, არამედ სრული წინააღმდგომია მისი, — თუ თვით ქრისტეს სარწმუნოება ამით ძლიერად ივნო, სამაგიეროდ ქრისტიანული ეკლესია „ძველი აღთქმის" მიღებით და მისი ხელოვნურად და მიზან-შეწონილად გადაბმით „ახალი აღთქმის" ოთხ სახარებასთან უძლიერესი სულიერი საჭურვლით აღიჭურვა.

იაჰვეს, ებრაელთა ღმერთს, განმკითხველს, დამსჯელს, მცნებათა მიმცემს მისგან ამორჩეული ხალხისათვის, მისი მორწმუნე კაცისათვის, რომელიც მისთვის მუდამ სათნოა, თუ იგი მის მცნებათ არ გადუხვევს. არაფერი საერთო არა აქვს სპარსთა ჰურა მაზდასთან, ან ინდოთა კრიშნასთან, არიელთა უზენაესი ღვთაება დასაბამია სიწმიდისა და კეთილისა, მარადის წინააღმდგომი ბოროტისა და ბოლოს მძლეველი მისი. და ადამიანის განწყობილება მასთან მისი შეურყეველი ნების-ყოფაა მასთან სიახლისა და შეერთებისა. ეს სული იყო შემქმნელი არიელთა საკვირველი სარწმუნოებისა და მათი უღრმესი აზროვნებისა, მიუხედავად მაგ. სპარსთაგან მრავალ უცხო სარწმუნოებრივ წარმოდგენათა შეთვისებისა, ერთობ მათი ისტორიულად ცნობილი სარწმუნოების „სიჭრელისა". — ამ განსაკუთრებულმა არიულმა სულმა შექმნა სპარსთა და ინდოთა დიდი კულტურანი, — მათი მწერლობა და ხელოვნება, რომელნიც ისე განსხვავდებიან სემურთაგან, და ამავე დროს თვითოეულ მათგანს წმიდა ეროვნული ბეჭედი აზის, რადგანაც სპარსელი არიელი და ინდოელი არიელი იდენტიურნი არ იყვნენ. და მათ კულტურათა ეროვნულობა სინამდვილეა, მიუხედავად იმისა,

რომ სპარსთაც მრავალი რამ აქვსთ შეთვისებული არა-არიელ მეზობელთაგან და ინდოთაც. პირველი სპარსთა „ანბანი“ ბაბილონური ან ელამური ლურსმულის მიხედვით იყო შექმნილი, შემდეგ იგინი ხმარობდენ არამეულ ანბანს, შემდეგ არაბულს, და სხვ., მაგრამ სპარსული კულტურის სემურად გარდაქცევა მაშინაც არ მომხდარა, როდესაც სპარსთ სემის მოდგმის არაბებმა ძალით აწამეს ისლამი, ეს სრულიად არა-არიული და სპარსის ბუნებასთან შეუსაბამო სარწმუნოება. სპარსთა არიულმა სულმა, საუკუნეთა განმავლობაში ცოცხალმა, მაინც დალეწა მისი შემკრავი უცხო ჯაჭვები და კიდე მოეევლინა კულტურულ კაცობრიობას განსაკუთრებით იმ მწერლობით საშუალო საუკუნეთა, რომელიც აღმოსავლეთის მწერლობათა შორის საკვირველი სიდიდისა, ბრწყინვალებისა და მშვენიერების მქონეა. — იგივე ითქმის მწერლობაზედ ინდოთა ერისა, რომლის კულტურის გაფურჩნას ხელს უშლიდა ჯერ ადგილობრივი შავი ჯიში ადამიანთა, რომელნიც ინდოთ, როდესაც პირველად ნახეს იგინი, მაიმუნებად ეჩვენებოდენ და მაიმუნებს უწოდებდენ მათ, და ძლიერ დიდი ხნის შემდეგ ისლამიც. — და იგივე ითქმის მთელ კულტურაზედ არიელ სპარსთა და ინდოთა. ვერავითარმა უცხო „გავლენამ“ ვერ შესცვალა მათ არსებაში ის, რაც მათი ეროვნული სულის შემოქმედებას უნდა გამოეღო ბუნებრივ ნაყოფად.

თვით არაბთა მაგალითი უაღრესად ყურადსაღებია ამ მხრით. მათი გამოსვლა ისტორიის ასპარეზზედ უკანასკნელი გამოსვლა იყო სემიტთა უდაბნოთაგან. ხოლო ის, რაც არაბთ ჰქმნეს და შეჰქმნეს მათი უდაბნოთგან გამოსვლის შემდეგ, ნაყოფია მათი ნიჭისა და ძლიერი სულის ენერგიის გაშლისა განსაზღვრულ გარემოცულობაში, სადაც იგინი გაბატონდენ, მიუხედავად უცხოთაგან შეთვისებული ყოველი კულტურისა, რომელიც „მიიღო“. თითქმის „უკულტურო“ უდაბნოს ერმა.—მუჰამედმა მის მიერ მოცემულ ახალ სარწმუნოებაში უხვად შეიტანა იუდაიზმის და ქრისტიანობის ელემენტები, მაგრამ მისი „კურანი“ არც თორაა და არც სახარება, არამედ უაღრესად ორიგინალური, „სემური“ ქმნილება, შექმნილი უდაბნოს არაბთათვის, შესაბამისი მათ სულიერ თვისებებთან და ცხოვრების გაგებასთან. მეშვიდე საუკუნიდგან დაწყებული ნახევარი ათასეულის განმავლობაში არ შეწყვეტილა მათი ბრძოლა წინა-აზიის და ხმელთაშუა-ზღვის კულტურულ მსოფლიოსთან და ბოლოს უზარმაზარი სივრცე მათი ბატონობისა კავკასიიდან და ინდოეთიდან დაწყებული სამხრეთ ესპანიამდე განიცადეს ხალხთა და ერთა. ეს ენერგია იმპერიათა შექმნისა, რელიგიური ფანატიზმი და ურყევი დისციპლინა, რომლითაც არაბები ბრძოლის ველზედ ნაკლები ღირსების საჭურველით უფრო მრავალრიცხოვან და კულტუროსან მტრებსაც კი სძლევდენ, მათთვის არავის „მიუცია“, არამედ ეს მათ სისხლში, მათ სულში იყო, რომელიც მათ მათი უდაბნოთგან გამოიტანეს. — და რამოდენი რამ არ ისწავლეს, „მიიღეს“ მათ სპარსთაგან, ბერძენთაგან და სხვა კულტურულ ერთაგან, მაგრამ მიუხედავად ამისა ყოველ მათ ნამოქმედარს ცხადად სახილველი ბეჭედი აზის ეროვნულ-ინდივიდუალური შემოქმედებისა: ჯერ ვთქვათ ანბანი მათი, ერთი შტო „ფინიკიურისა“, ხოლო ბოლოს არაბულად ქცეული, შემდეგ კი მიცემული მათგან სხვა გამუსულმანებულ ერებისათვის სარწმუნოებასთან ერთად. „ათას-ერთი“ ღამე უფრო სპარსულ ზღაპართთა კრებულია, მაგრამ შესანიშნავი არაბულით დაწერილი. თხზულებანი არაბთა ისტორიკოსთა უდიდესი განძია დღესაც ისტორიის მეცნიერებისათვის, თუმცა ამ დარგის მწერლობა არაბებმა ბერძენთა საისტორიო მწერლობის შესწავლით და „გავლენით“ დაიწყეს და განავითარეს. მთელი ანტიური მწერლობა, მეცნიერული, ფილოსოფიური და სხვ., არაბებმა ღრმად შეისწავლეს და რაც ევ-

როპისათვის მრავალი რამ დაკარგულად ითვლებოდა, მას შეუნახეს არაბულ ენაზედ და ევროპითგან „შეთვისებული“ ევროპასვე გადასცეს, მათ მიერ მრავალი ახალი ნააზრის და კვლევის მიმატებით (ვარსკვლავთმრიცხველობაში, მედიცინაში და სხვ.). აგრეთვე დაუფასებელია დღესაც არაბთა გეოგრაფების და მოგზაურობათა აღმწერლების თხ'ზულებები, და სხვ. და სხვ.. — ერთობ არაბული მწერლობა ერთი უდიდესი დარგია მსოფლიო მწერლობისა სწორედ მისი ორიგინალობით. — და რაოდენი რამ არ შეუთვისებია არაბთა ხელოვნებას, — ხელოვნებას სიტყვისა, ხუროთმოძღვრებისა და სხვ. უცხოთაგან, მაგრამ არაბთა პოეზიაც წმიდა არაბულია, თუმცა არა სპარსული სიდიდისა, და არაბული სტილიც ხუროთმოძღვრებაში ცნობილია როგორც არაბული ერთი უშვენიერესთაგანი, რომლის ეროვნულობასაც პროფანის თვალიც განარჩევს ყველგან, სადაც არსებობს ხუროთმოძღვრების ძეგლები უზარმაზარ სივრცეზედ მათი ბატონობისა. — კიდევ მეტი, — ერთობ არაბთა შემოქმედებითმა სულმა მთელი კულტურული სფერო შექმნა, რომელიც პირისპირ დაუდგა ქრისტიანულ კულტურულ სფეროს, ებრძოდა მას უპირატესობისათვის. და იყო დრო, როდესაც მას მართლაც თითქოს ჰქონდა ეს უპირატესობა.

ვკითხულობთ და ვსწავლობთ რა ბერძნული ენის ეტიმოლოგიურ ლექსიკონებს, შედგენილს უნიჭიერეს სპეციალისტთა ხანგრძლივი შრომით, ვხედავთ, თუ რაოდენი რამ მიუღია ბერძნულ ენას ბერძენთა მეზობელ ერთა ენათაგან იმ გარემოცულობაში, რომელშიც ბერძენთა ერი ცხოვრობდა რაოდენიმე ათასეულის განმავლობაში დღითგან მისი ჩრდილოეთითგან მოსვლისა, დამკვიდრებისა ბალკანეთის ნახევარკუნძულზედ და მისი მოსახლეობის გავრცელებისა ხმელთაშუა ზღვის კუნძულებზე, მცირე აზიის დასავლეთ ნაპირებზედ, აგრეთვე ნაპირებზედ სამხრეთი იტალიისა, სიცილიისა და სხვ.. აუარებელია ბერძნულში „ნასესხები სიტყვები“: თრაკიული, ე. წ. აზიანური: ანუ მცირე-აზიური, ხმელთაშუა ზღვის ენათაგან, სემურითგანაც კი, შემდეგ სპარსულითგან და სხვ.. მაგრამ განვიხილავთ რა ბერძნულ ენას მთლიანად, იგი გვევლინება ვითარცა წმიდა ინდო-ევროპიული ენა, და მისი განვითარება, რაიცა სჩანს ბერძნულ მწერლობაში, ისეთი ძლიერი იყო და თანაც არა განსაზღვრული რომელიმე უცხო გავლენისაგან, რომ არ არსებობს სხვა ძველი ენა, რომლის უმაღლესი ხელოვნება აზრთა გადმოცემისა სიტყვით და შვენიერება ბგერათა ბერძნულისას უდრიდეს. და რაც ბერძნულს უცხოთაგან მიუღია, მრავალჯერ მეტი უცხოთათვისვე მიუცია, როდესაც საბერძნეთის კულტურა მის ირგვლივ შორს განსხივოსნდა და დღესაც კულტურულ ერთა ენები ბერძნული სიტყვებით არის აღსავსე. ბერძნული ენა, ეს ერთი უმდიდრესთაგანი და უშვენიერესი ძველ და ახალ ენათა შორის, უდიდესი და უორიგინალესი ნაყოფი იყო ბერძენთა ერის სულიერი მოქმედებისა, და მეტიც რომ მიეღო მას უცხოთაგან, ეს ვერ შესცვლიდა მის „ბერძნულობას“, მის თვისებას ეროვნული ქმნილებისა.

თვით ანბანიც ბერძნული აგრეთვე სემური წარმოშობისაა. მაგრამ მხოლოდ სპეციალისტმა ხალეოგრაფმა იცის, რომ ძირი მისი და მაგ. არაბულისა ერთი და იგივეა, ხოლო უბრალო განმხილველი ამ ანბანთა უდიდეს განსხვავებას ჰპოვებს მათ შორის. მათს ნათესაობას არც კი დაიჯერებს! და გარდა იმისა რომ ბერძნულ ანბანს (როგორც ქართულს და სხვათ) ის მთავარი უპირატესობა აქვს სემურთა წინაშე, რომ მას მოეპოვება ხმოვანთა გადმომცემი ნიშნები, თვით ფორმამ ბერძნულ ასოთა მშვენიერების უაღრესს ხარისხს მიაღწია ხანგრძლივი

განვითარების შემდეგ. და ესე ყოველი არა მცირე, არამედ ერთი უდიდესი კულტურულ ქმნილებათაგანია ბერძენთა ერისა.

რა გინდ ბევრი ესწავლოთ ბერძენთ ხმელთაშუა-ზღვის ხალხთაგან, ეგვიპტელთაგან, ბაბილონელთაგან, ხეთელთაგან და სხვა მცირე-აზიის ხალხთაგან, ნაყოფი მათი გონებისა, აზროვნებისა, დაკვირვებისა, ფანტაზიისა, რომელიც მათ გადმოგვცეს მათ დიდ მწერლობაში, იმდენად დიდია, რომ ყოველი მათ მიერ უცხოთაგან შეთვისებული უკნინესად სჩანს, და იმდენად ეროვნულ ქმნილებად, რომ მხოლოდ ძირთა, დასაბამთა მკვლევარს შეუძლია იხილოს იქ „არა-ბერძნული" ელემენტები. ბერძნული ფილოსოფია, განვითარებული იონიის მოაზრეთა ნააზრთაგან პლატონის იდეათა მოძღვრებამდე და არისტოტელის ლოგიკამდე „ეგვიპტის სიბრძნე" არ არის. ბაბილონელთა „გილგამეშიანი" დიდი ქმნილება იყო, მას შეიძლება ძლიერ შორეული კავშირიც ჰქონდეს „ოდისეიასთან", მაგრამ ჰომეროსის „ილიადა" და „ოდისეია" სხვა არის, უფრო დიდი, სხვა სისხლის და სულის ერის შემოქმედების ნაყოფი, — ეპოსი, რომელიც დღემდე არც ერთი სხვა ერის ეპოსს არ გადაუჭარბებია. ეგვიპტური ლირიკა საყვარელია, მაგრამ საფოს და სხვა ბერძენ ლირიკოსთა ქმნილებანი სულ სხვანი არიან, — სიდიდითაც და ღირებითაც. ჰეროდოტეს, თუკიდიდეს და სხვა ბერძენ მრავალ ისტორიკოსთა თხზულებანი არ არიან ისტორიული შინაარსის წარწერანი ბაბილონელ-ასურთა ან ეგვიპტელთა, არამედ ნამდვილნი „ისტორიანი". მათ შემდეგ სწერდენ იმავე წესით სხვა ერთა ისტორიკოსები და დღესაც კი მაგ. თუკიდიდე „მეცნიერ" ისტორიკოსად უნდა ვსცნოთ. რა გინდ „გავლენა" ჰქონდეს ბერძნებზედ მცირეაზიურ „მისტერიებს", ბერძნული თეატრი, დრამა არა მცირე აზიელთა, არამედ „ბერძნული" შემოქმედებაა და სოფოკლესის ქმნილებათ ისევე არ უდევს საფუძვლად არავითარი მცირე-აზიური ქმნილება, როგორც თუკიდიდეს ისტორიას ასურული მატიანეები ისტორიული შინაარსისა. არც ბერძენთა გეომეტრია იყო ეგვიპტური ან ბაბილონური მიწის-მზომელობა, არამედ წმიდა მეცნიერება ხაზთა, კუთხეთა და მოცულობათა განწყობილებისა, ურყევ-კანონიერებითი. არც მთელი „მეცნიერება" ეგვიპტელთა და ბაბილონელთა, ამ უკანასკნელთა ვარსკვლავთმრიცხველობაც კი, სადაც უფრო სჩანს ბაბილონელთა შემოქმედებითი ნიჭი, არ ჰგავს ბერძნულ მეცნიერებას, რომელიც უკვე მძლავრი დასაწყისია კანონთა აღმოჩენისა: პითაგორას, არხიმედეს, ევკლიდეს, ჰიპარხოს და სხვანი სულ სხვა ხარისხზედ მდგომნი მეცნიერნი იყვნენ ვიდრე მაგ. თვით ბაბილონელი კიდინუ, რომელსაც დიდი ღვაწლი მიუძღვის ვარსკვლავთმრიცხველობის მეცნიერების წინაშე და სხვ. და სხვ. —

როდესაც ბერძენთა ტომები ჩრდილოეთითგან ბალკანეთის ნახევარ-კუნძულზედ ჩამოსახლდენ (მესამე ათასეულში ქრ. წ.), აქედან ზღვის ნაპირები დაიჭირეს, შემდეგ მათი სახელით წოდებული ჰელადისა და დასავლეთი მცირეაზიისა, აგრეთვე ეგეის ზღვის კუნძულები, მათ დახვდათ ადგილობრივ მკვიდრთა, მათთვის უცხო ტომთა დაწინაურებული, ძველი კულტურა, და მათ რასაკვირველია ამ უცხოთა კულტურის ელემენტები შეითვისეს, მათგან ბევრი რამ „ისწავლეს". ურთიერთობა მათი ეგვიპტელებთან და მცირე-აზიელებთანაც რთული და მუდმივი შეიქმნა საუკუნეთა განმავლობაში და მათგანაც შეითვისეს ბერძნებმა ბევრი რამ, რაიცა მკვლევართ მიერ ხილულია ბერძნულ ხუროთმოძღვრებაში და ერთობ ხელოვნებაში. მაგრამ ვხედავთ რა ბერძნულ ხუროთმოძღვრებას, ქანდაკებას, მხატვრობას და სხვ. ბერძნული კულტურის სრული აყვავების ხანაში (მეშვიდე საუკუნიდგან ქრ. წ. და შემდეგ), განა პარ-

თენონი, ერეხთეიონი და სხვ. ეგვიპტურ, ბაბილონურ, ან მცირე-აზიურ ხუროთმოძღვრების ქმნილებათა მსგავსნი არიან? ან განა ფიდიასის, პრაქსიტელესის და შემდეგ მრავალ ბერძენ მოქანდაკეთა ქმნილებანი ეგვიპტურ ან ასურულ ქანდაკებათ ჰგვანან? რომელ ეგვიპტელს ან ასურ-ბაბილონელს, ან აზიანელს შეუქმნია „ზეესი“ ან მილოსის „აფროდიტე“, ან როდის მოვლინებია ბაბილონს, ეგვიპტეს ან მცირე-აზიას ნახატვარი პოლიგნოტის სიდიდისა? სწორეთ ხუროთმოძღვრებისა და სხვა ხელოვნებათა დარგში გვეელინებიან ბერძნები როგორც უდიდესნი შემოქმედნი, თავისებურ წმიდა-ეროვნულ ქმნილებათა მომცენი კაცობრიობისათვის, ქანდაკებათა სიმშვენიერით სიცოცხლისა და მოძრაობის გადმოცემით დღესაც ვერ ნაჯობნნი, მიუხედავად იმისა, რომ მაგ. შეიძლება იონიის სვეტი „მცირეაზიური წარმოშობისა“ იყოს, ან და ეგვიპტის ქანდაკებებს, ციეს და უძრავს, მაგრამ დიდებულს, ბერძენ ხელოვანებზედ დიდი შთაბეჭდილება მოეხდინოს, და შეიძლება პირველად მათ ეგვიპტელთაგან ხელოვნებისაც ბევრი რამ ესწავლოსთ...

სარწმუნოებრივნი წარმოდგენანი ბერძენთა, მისტიკა, რწმენა „უცნობისა და უთქმელის“ ერთის ღმერთისა, — „ერთისა“ — და სხვ. ამსგავსებენ მათს და მათ უცხო მეზობელთა სარწმუნოებას, შეიძლება დიონისოს და აპოლონ მცირე აზიითგან იყვნენ შესულნი ბერძენთა პანთეონში, მაგრამ განვიხილავთ რა ერთობ ბერძენთა სარწმუნოებას, მითოლოგიას და მისტიკას, ჩვენ თვალ-წინ აღიმართება უზარ-მაზარი შემოქმედება ერისა, განსხვავებული სხვათაგან, ისევე, როგორც, სული ბერძენთა განსხვავდებოდა სხვათა სულისაგან და თავისებურად ჰხედავდა მსოფლიოს და ჰქმნიდა თვისს სარწმუნოებასაც. ამაო იქმნებოდა ძებნა ოლიმპისა სხვაგან თვინიერ საბერძნეთისა, სადაც „უკვდავნი“ და „ნეტარნი“ ცხოვრობდენ, მსგავსნი კაცთა, კაცთა ენებათა აღსავსენი და მათთან დაახლოვებულნი, ხოლო გამგენი მათი ბედისა, მზრუნავნი მათთვის, მაგრამ ზოგჯერ დამსჯელნიც მათნი, ღმერთნი, კაცთა შვენიერებათა და ზოგჯერ ნაკლთა მქონენიც, განმცდელნი კაცთა ლხინისა და ჭმუნვისაც, რომელთა ცხოვრებას ჰუმორიც არ აკლდა, და რომელ ერს შეუქმნია მითოლოგია აღსავსე ისეთი უკვდავი პოეზიით, როგორც ბერძენთ შექმნეს და რომელიც დღესაც ჩვენთვის უძვირფასესი გარდმონაცემია ამ საკვირველი ერისა. კავშირი ბერძნული მითოლოგიისა, ერთობ ბერძენთა სარწმუნოებისა ბერძნულ ხელოვნებასთან იგივეა, როგორიც კავშირი ყოველი ერის სარწმუნოებისა მის ხელოვნებასთან, და ბერძნული ხელოვნების მშვენიერებაც ბერძენთა რელიგიის სრული შესაბამი იყო...

ბერძენთა საზოგადოებრივი ცხოვრება სულ სხვა იყო, ვიდრე ეგვიპტელთა, ბაბილონელთა და სხვ., თუმცა შეიძლება მაგ. ჰამურაბის სამართლის ელემენტები ბერძენ ტომთა სხვა და სხვა კანონმდებლობაშიც ჰპოვოს მკვლევარმა; საბერძნეთში ჩნდება „პოლის“, მოქალაქეთა სახელმწიფო, — მუდმივ „თავისუფლებისათვის“ და „სამართლისათვის“ მებრძოლ „პიროვნებათა“; აქ ჩნდება „პოლიტიკური“ ცხოვრება, ჩნდებიან პოლიტიკური პარტიები, სახელმწიფო საქმეთა განგება და გარიგება პარტიათა მიერ, რომელთაგან ყველას აქვს პრეტენზია „ხალხის“, ან მისი „საუკეთესო“ ნაწილის სახელით სახელმწიფოს საქმეთა „საუკეთესოდ“ მართვისა და განგებისა. ამიტომ ვიცით საბერძნეთის ისტორიითგან სახელნი იმ პიროვნებათა, რომელნიც მაშინ „ისტორიას ჰქმნიდენ“, სახელნი საზოგადოების და სახელმწიფოს მოღვაწეთა, — მთავრობის უფროსთა, ხალხის ტრიბუნთა, რეფორმატორთა, ტირანთა და მათ მკვლელთაც, მხე-

დართ'ძთავართა და სხვ. და პიროვნების მოქმედების დამფასებელ საზოგადოებაში რასაკვირველია დიდ ხელოვანთა, ფილოსოფოსთა, პოეტთა და მეცნიერთა სახელნიც იყვნენ ცნობილნი და განდიდებულნი, რომელნიც დღესაც ვიცით და დაუვიწყარნი იქმნებიან კულტურული კაცობრიობისათვის. — ესე ყოველი სხვა ერთა ისტორიამ ძველი აღმოსავლეთისა არ იცის. — თვით სახელნიც აღმოსავლეთის კულტურულ ერთა წიაღში მოღვაწეთა, გარდა მეფეთა და რამოდენიმე მოხელისა ან სხვით რაითამე გამოჩენილი კაცისა, გადმოცემულნი არ არიან.

აი ეს კულტურა ბერძენთა იყო პირველი დიდი კულტურა ევროპისა, რომელმაც საბერძნეთიდან დასავლეთს და აღმოსავლეთს მოჰფინა თვისი სხივები, განსაკუთრებით ალექსანდრე მაკედონელის მიერ წინა-აზიის დაპყრობის შემდეგ. კიდევ შემდგომად ამისა ქრისტიანობის ხანაში, მან გამოიღო თვისგან ერთი შტო, — ბიზანტიური, ბევრი მიზეზის გამო არა სავსებით ღირსი ძირისა, მაგრამ მაინც საუკუნეთა განმავლობაში განმგრძობი ელენიზმისა, „მიმცემი" ბევრისა გარემო ერთათვის. ხოლო აქაც ვხედავთ, რომ მიუხედავად „მიცემისა" ელენიზმისა და ბიზანტიური კულტურის მიერ და „მიღებისა" გარემო ერთა მიერ, ამ უკანასკნელთ მაინც თავისებურნი კულტურანი შეჰქმნეს, რომელნიც არ იყვნენ ბერძნულნი, ან ბიზანტიურ-ბერძნულნი არამედ ეროვნულნი, — სირიული, სომხური, ქართული და სხვანი.

III

განვიხილავთ რა სხვა და სხვა ერთა ურთიერთობას ჟამთა სრბოლაში, ძვირად ვხედავთ ისეთს სიახლოვეს ორ ერთა, რაგვარიც იყო ბერძენთა და რომაელთა შორის. ის ინდოგერმანული ურთიერთის მონათესავე ჯგუფები, რომლებიც აგრეთვე საუკუნოებით უწინარეს მათი გამოსვლისა ისტორიის ასპარეზზედ ჩრდილოეთი და შუა ევროპიდან ჩამოესახლენ იტალიაში, მოდგმით და ენით ახლო იდგენ ბერძენ ტომებთან, რომლებმაც, იმავე ადგილთაგან წამოსულებმა, ბალკანეთის ნახევარკუნძული დაიპირეს და იქითგან დაიპყრეს ქვეყანანი მცირე-აზიის დასავლეთ ნაპირთა, ეგეოსის ზღვის კუნძულები, და სხვ.. გეოგრაფიული პირობებიც იტალიისა და საბერძნეთისა თითქმის ერთი და იგივე იყო. და წარმოშობა და ზრდა რომის კულტურისა მოხდა ერთი მხრით ბერძნულსა და მეორე მხრით ეტრუსკულ კულტურულ გარემოცულობაში. მოსალოდნელი იყო ამიტომ, თუ „მიცემას" და „მიღებას" გადამწყვეტ მნიშვნელობას მიეაწერდით, ნარევი ბერძნულ-რომაულ-ეტრუსკული კულტურა. ხოლო შევხედავთ რა ზრდა-დამთავრებულ ანაგებს რომის კულტურისა იმპერატორთა ხანის დასაწყისში, სულ სხვა ნამოქმედარი ადამიანის სულისა აღიმართება ჩვენ თვალთა წინ, ვიდრე იყო ბერძნული, ან ეტრუსკული.

ენა რომისა, ლათინური, რომელიც სამწერლობო ენად გახდა ლათინთა, უმბრთა და სამნიტთა დიალექტთაგან, ძლიერ მცირე ნასესხებ ელემენტს შეიცავს ბერძნულისაგან, მცირესვე ეტრუსკულისაგან, მიუხედავად იმისა, რომ ეს ტომები ბერძენთა და ეტრუსკთა მეზობლები იყვნენ ხანგრძლივად. და ამ საკვირველმა ენამ ისეთი თვისება მიიღო აზრთა მკაცრი სისწორით გადმოცემისა, რომ ძვირად თუ შეედრება მას ამ მხრით რომელიმე სხვა ენა. არავითარი მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ რომი მართლად ეტრუსკთაგან დაარსებული ქალაქი იყო (მეცხრე თუ მერვე ს. ქრ. წ.) და სახელიც მისი შეიძლება ეტრუსკული იყოს. ეტრუსკები თვით მალე მოისპენ რომაელთაგან სამხრეთის მხრით

და კელტთაგან ჩრდილოეთი იტალიის მბრძოლ და მათი ენისაგან დანაშთები კვალი ლათინურში ენათმეცნიერთა მიერ ძნელად საძებარი და აღმოსაჩენია მხოლოდ. ეტრუსკულ ენაზედ ნამდვილი წარმოდგენაც არ შეუძლია ქონდეს დღეს ენათმეცნიერებას საფლავთა და სხვა მცირე წარწერათა მიხედვით. რომელნიც დარჩენ ერთ დროს მართლაჩინოდ განვითარებული ეტრუსკული მწერლობითგან და ეკუთვნიან უმეტეს ნაწილად მეოთხე ს. ქრ. წ.. — დიდებული ენა რომაელთა, ლათინური ენა სამ ზემოხსენებულ ინდოგერმანულ ჯგუფთა ქმნილებაა და ძალამ ამ ენისა გაარღვია რკალი ბერძნულისა და ეტრუსკულისა, არ გახდა იგი ნარევი ლათინურ-ბერძნულ-ეტრუსკულად და განვითარდა მისი თავისებურობის სრული შენახვით. — ხოლო ბედი ამ ენისა ისეთი დიდი იყო, რაგვარიც არც ერთის სხვისა, — არც ბერძნულისა: მის ძირებზედ აღმოცენდენ შემდეგომად რომის მიერ გალიისა და იბერიის ნახევარკუნძულის დაბყრობისა ახალი „ლათინური“ ენები, ლათინური გახდა ენად მსოფლიო, კათოლიკე ეკლესიისა და ენად დასავლეთი ევროპის მეცნიერებისა საშუალო საუკუნეებში, და შემდეგაც დიდხანს დაშთა. ანბანი ლათინური ბერძენთაგან არის ნასესხები, მაგრამ მას ლათინთა ეროვნული შემოქმედების ბეჭედი აზის: სახით იგი განსხვავდება ბერძნულისაგან და მშვენიერიც არის. — არ: უშხო, უკუღმა დაწერილი ასოებით, ეტრუსკულივით. რომელიც აგრეთვე ბერძენთაგან იყო ნასესხები.. და ეს ლათინური ანბანი აგრეთვე შემდეგ დასავლეთი ევროპის ყველა ერთაგან იყო შეთვისებული და დღესაც მით სწერენ ისინი. ეს არის უპირველესი გამოჩენა რომაელთა. ლათინთა სულის შემოქმედებითი ეხერგიისა, და არა ისეთი უმნიშვნელო და „თავს-თავად გასაგები“ რაგვარადაც შეიძლება ბევრს ეგონოს და ეჩვენოს.

თუ რომაელთა მწერლობა, წარმოშობილი მართლაჩინოდ ექვე მეხუთე საუკუნეში ქრისტეს წინად, მეოთხე და მესამე საუკუნეში ამავე ქრისტეს წინა დროისა სუსტი და უფრო წაბაძვა იყო ბერძნულისა. თუ მეორე საუკუნეში, რადესაც საბერძნეთი რომის პროვინციად გადაქცა. რომაელები კიდე უფრო დაუახლოვდენ ბერძნებს და ისე შეითვისეს მათი კულტურა, რომ ყოველმა განათლებულმა რომაელმა იცოდა ბერძნული ენა და მაღალ საგნებზედ საუბარი ბერძნულად იყო რომის კულტურულ საზოგადოებაში, ყოველივე ესე მაინც ვერ შეიქმნა მიზეზი რომის მწერლობის მართლაც ბერძნულს განალეკად გახდომისა. შეძლებული, სწავლის მოყვარე რომაელი ათინაში ელებდა განათლებას და ამით ამაყობდა, მის წიგნთსაცავში ბერძნული მწერლობა ძველები იყო უმთავრესი განძი, კულტურულ რომის ჰელენოფილობა იქამდე იყო მისული, რომ თვით მის პოლიტიკაზედაც ბერძენთა მიმართ ჰქონდა გავლენა. მაშინ როდესაც რომის პოლიტიკა სხვა დაპყრობილ ერთა მიმართ მკაცრი იყო. მაგრამ ამან ყოველმან ვერ შესძლო შეეჩერებია ზრდა და გაფურჩნა რომაელი ეროვნული მწერლობისა, რომელსაც ეროვნული გენია აძლევდა ძალას და თავისებურობას რაოდენიმე საუკუნის განმავლობაში მიუხედავად ძლიერი ეცხო გავლენისა, რომის მწერლობამ ეს კულტურული რკალიც გატეხა, ისე მჭიდროდ შემორტყმული, და პირველ საუკუნეში ქრისტეს წინად იგი გეველინება დიდად, მშვენიერად, სიცოცხლით სავსედ, წმიდა ეროვნულად და იმ დროის ბერძნული მწერლობის მჯობადაც. იგი იზრდება და პირველ საუკუნეში ქრ. შემდეგ უმაღლეს საფეხურს აღწევს განვითარებისა და შემდეგ საუკუნეებშიც დიდი წარმომადგენელნი ჰყავს. ამ ეპოქას (პირ. ს. ქრ. წ. — პირ. ს. ქრ. შ.) ეკუთვნიან პოეტები კატულუსი, ლირიკოსი, ლუკრეციუსი. პოეტი ფილოსოფოსი და მეცნიერი, მეორე საუკუნის (ქრ. წ.) კომედიათა მწერლის პლაუტე-

სის შემდეგ სატირიკოსი ლუკილიუსი, იურისტი და ფილოსოფოსი ციცერონი, ისტორიკოსი იულიუს კეისარი, შემდეგ ლივიუსი და ტაციტუსი, კულტურის ისტორიკოსი ტერენტიუს ვარო, შემდეგ დიდი ვერგილიუს, ავტორი დიდი ეპოსის ენეიდისა, შეუდარებელი ავტორი მეტამორფოზთა ოვიდიუსი, დიდი პოეტი ჰორაციუსი; შემდეგ (მესამე ს. ქრ. შ.) შესანიშნავი იურისტები პაულუსი, ულპიანი, პაპინიანი, და სხვანი. აი ვინ იყვნენ უკვდავნი შემქმნელნი რომაელთა ეროვნული მწერლობისა, იტალიის სხვა და სხვა ადგილს დაბადებულნი, როდესაც ერი რომაელი, ლათინური ენით მეტყველი, უკვე იტალიის ერად იყო გაზრდილი, გადიდებული. ზოგიერთი ამ მწერალთაგანი ძველი საბერძნეთის უდიდეს სიტყვის შემოქმედსაც დაეტოლებოდა, რაგვარადაც მაგ. ვერგილიუსი, რომელიც იმავე ჰექსამეტრით სწერდა, რაგვარითაც ჰომეროსი, მაგრამ მისი ენეიდა სრულიად განსხვავდება ჰომეროსის ეპოსთაგან: ენეიდა უკვე თითქმის რომანია, რომელიც ჩვენ გულს სხვაგავრად ესაუბრება, ვიდრე ოდისეა და ილიადა, რომელთაც იგი სიდიდით სრულად თუ ვერ აღწევს, ძლიერ უახლოვდება. — იულიუს კეისრის და ტაციტუსის ისტორიულნი თხზულებანი მათი მკაფიო, ნათელი ენით, მოკლე გამოთქმით ბევრ ბერძნულ ისტორიულ თხზულებას აღემატებიან ლიტერატურულად, ხოლო ისეთნივე სანდონი არიან, რაგვარადაც ბერძნულნი. სამართლის მწერლობა რომაელთა კი შეუდარებელი იყო, მსგავსი რამ სხვა ძველ ერთ არ შეუქმნია, თუმცა რომაულ სამართალში უცხო ელემენტებიც მოიპოვება. და ეს იურიდიული მწერლობა, მთელი სამართალი რომისა, დღესაც ერთი უდიდესი საგანია სამართლის მეცნიერებისა. რაგვარადაც თვით რომის სამართალი, დიდი მომაწესრიგებელი საზოგადოებრივი ცხოვრებისა, მთელი კულტურული ევროპის მიერ იქმნა მიღებული და დღესაც ცოცხლობს მის ერთა სამართალში.

რომაელთა, ლათინთა სარწმუნოება, მსგავსი იყო სხვა ინდოგერმანულ ტომთა სარწმუნოებისა. მას ამიტომ ბერძენთა სარწმუნოებასთანაც ჰქონდა ნათესაობა. აგრეთვე მას ისევე ჰქონდა მეზობლობით განწყობილება ეტრუსკულ სარწმუნოებასთან, რაგვარადაც ბერძენთა სარწმუნოებას იგივე განწყობილება მათ მცირე-აზიელ მეზობელთა სარწმუნოებებთან. მაგრამ ვერც ეტრუსკულმა „გავლენამ" და ვერც ბერძენთა სარწმუნოებრივმა „ნათესაობამ" შეუძლებელჰყო რომის სარწმუნოების თავისებურება. რომის ღმერთები, ლათინთა ღმერთები და ქალ-ღმერთები იყვნენ ,დამცველნი ერისა და სახელმწიფოსი, კაცთა და მისი სახლისა, ან და საშიშარნი და მტრულად განწყობილნი მათ მიმართ, რაგვარადაც სხვა ერთა ღმრთაებანი, მაგრამ მაგ. ის საზიზღარნი ჩვეულებანი, რომელნიც თან სდევდენ ეტრუსკულ კულტს რომაელებს არა ჰქონდათ. და მიუხედავად იმისა რომ საბერძნეთთან მჭიდრო სიახლოვის გამო რომაელ ღმრთაებათა სახელნი ბერძენთ ღმრთაებათა სახელთ შეუთანასწორეს: იუპიტერ=ზევს, ნეპტუნ=პოსეიდონ, მარს=არეს, მინერვა=ათენე, ვენუს=აფროდიტე, იუნო=ჰერა, მერკურ=ჰერმეს, დიანა=არტემის, და სხვ. და სხვ., ეს სრულიადაც არ ნიშნავდა, რომ რომაელს და ბერძენს ერთი და იგივე წარმოდგენა ჰქონოდეს მათზედ, ან ერთი და იგივე განცდა მათ ღმრთაებათა. რომაელისთვის ეს ღმერთები უფრო განყენებულნი განსახიერებანი იყვნენ კეთილის ან ბოროტის-მყოფელ ძალთა და ნაკლებად მქონე ადამიანთა თვისებათა, ვიდრე ბერძენთა ღმერთები. ეს ცხადია ყოველი შემდარებლისათვის რომისა და საბერძნეთის სარწმუნოებათა. შემდეგაც, ყოველი გარეთგანაც შემოტანილი კულტი უცხო ღმრთაებათა რომაელის მიერ ისე იყო მიღებული, რაგვარნიც იყვნენ განსაზღვრულ დროს მისნი სულიერნი განცდანი.

რომაელთა ხელოვნება რესპუბლიკის დროისა უფრო ძველი ეტრუსკელის — და შემდეგ ბერძნულის მიბაძვა იყო ვიდრე რომაული. ხელოვანნი მოქმედნიც უმთავრესად ბერძენნი იყვნენ, მაგრამ რომის ეროვნული ხელოვნების შთახარჩენი უკვე ძველი დროიდან იყო. რესპუბლიკის ბოლო საუკუნეებში რომაელ ხელოვანთა მიერ შექმნილ ქანდაკება-პორტრეტებს ორიგინალობის ბეჭედი ემჩნევა. ხოლო იმპერატორთა დროის ხელოვნება რომისა უკვე ეროვნულ დიდ ხელოვნებად იშვა ძველი დროის შთანაჩენისაგან: რომში, და მთელ იტალიაში აღიმართენ ხუროთმოძღვრების დიდი ძეგლები: ტაძრები ღმრთაებათა, სასახლეები იმპერატორთა, ქანდაკებანი (მაგ. ავგუსტუსისა), და სვეტნი რელიეფებით (მაგ. ტრაიანისა), აბანოები (თერმები) მისი გუმბათებით, სვეტებით, მხატვრობით დიდი დარბაზებისა, წიგნთსაცავთა და გასართობთა განყოფილებებით, თეატრებით, ტრიუმფის თაღებით და სხვ.. რომი იმ დროისა, უზარმაზარი სატახტო ქალაქი მაშინდელი მსოფლიო იმპერიისა, მართლაჩინოდ წარმტაცი სახახავი იქნებოდა მისი მრავალ-სართულიანი სახლებით, მისი კაპიტოლით, სადაც ტაძრები აღიმართებოდენ, მის ქვეით ფორუმით, რომელსაც უშვენიერესნი ქანდაკებანი და სვეტნი განაშვენებდენ, მის გვერდით იმპერატორთა სასახლეებით და სხვ. და სხვ., და ყოველივე ესე უკვე არა ბერძნული, არამედ რომაული, ეროვნული სტილისა და იმპერიის სიდიდის შესაფერი დიდებულებისა იყო. აქაც ეროვნულმა გენიამ ის შექმნა, რაც მას უნდა შეექმნა, ვითარცა ეროვნულს, განსაკუთრებულს, და გამოაჩინა თვისი ძალა და სახე, გაარღვია რა კედელი უახლოესი მაგრამ უცხო კულტურის გარშემორტყმულობისა.

ხოლო სახელმწიფოებრივი ცხოვრების ნიჭი რომაელთა იმოდენად სჭარბობდა ბერძენთა ამავე ნიჭს რომ აქ ვხედავთ უმეტესად ყოველსა მათ შორის განსხვავებას. ცხოვრების ამ დარგში რომაელებს ბერძენთაგან არა თუ დიდი არაფერი „მიუღიათ“ და შეუთვისებიათ. მიუხედავად მათი ნათესაობისა და სიახლოვისა, არამედ აქ გვევლინებიან ერთი მხრით რომაელის სული, პოლიტიკურ სასწაულთა მოქმედი, და მეორე მხრით სული ბერძნისა, პოლიტიკურად ანარქიული, და თვით უკულტურესი და უნიჭიერესი ერისაგან ვერ შემქმნელი ერთი და ძლიერი პოლიტიკური ორგანიზმისა.

ძველმა ბერძნებმა განელეს დრო მათი პოლიტიკური არსებობისა მათ მონარქიულ, დემოკრატიულ, არისტოკრატიულ, ოლიგარქიულ, ტირანიულ მცირე სახელმწიფოთა ურთიერთს შორის ბრძოლით, ბერძენთა ომით ბერძენთა წინააღმდეგ, ურთიერთის ამოხოცვით. კავშირებიც მათ „სახელმწიფოთა“ მიმართული იყო არამარტო გარეშე მტრისა. არამედ აგრეთვე ურთიერთის წინააღმდგომ. ერთი ეროვნული სახელმწიფო ჰელადისა ვერ-ოდეს შეიქმნა. და თვით გაბერძნებული უცხოელის, დიდი მაკედონელის იმპერიაც, რომელიც ეგრეთვე შეიცავდა „გაერთიანებულ“ საბერძნეთს, მისი სიკვდილის შემდეგ დიადოხებმა დაანაწილეს და შემდეგ საბერძნეთი რომის პროვინციად გადიქცა.

ხოლო რომიდგან, რომელიც პირველად აგრეთვე ქალაქის სახელმწიფო იყო, მცირე, მცირე ზომის მიდამოებით, ისეთი უზარმაზარი ენერგია გამოვიდა, რომლის ოდენი ძლიერ ძვირად გამოუღია რომელიმე ერს კაცობრიობის მთელი ისტორიის განმავლობაში. იგი იყო გამაერთიანებელი იტალიის ტომთა და მომაწესრიგებელი მათი პოლიტიკური ცხოვრებისა. და იგი არ დაშრეტილა მთელი ერთი ათასეულის განმავლობაში და ამოიწურა მხოლოდ მაშინ, როდესაც ამ ენერგიის მქონე რომაელი აღარ არსებობდა და რომის იმპერიაში

ხანა ძოდგმისა და სისხლის და სულის ადამიანები სჭარბობდენ. რომმა თავით განვე ადრე მოიცილა შემოჭრილ ეტრუსკთა ბატონობა, განდევნა მათი მეფეები და გაარომაელა დაშთენილი არისტოკრატია; მან გადაიტანა ყოველნაირი ეკონომიური და სოციალური კრიზისი, სძლია იტალიის ტომთა მეტოქეობას და განდგომას, შექმნა იტალიის ერი, უზრუნველჰყო იგი სამხრეთითგან კართაგოს შემოსევათაგან, დაიპყრა საბერძნეთი იტალიისა და სიცილიისა, განდევნა კართაგო სიცილიითგან და შემდეგ დაიპყრა იგი, დაიპყრა საბერძნეთი და მაკედონია, დაიპყრა და აღავსო კოლონისტებით იტალიითგან ისპანია და გალლია, დაიპყრა ბრიტანეთი. განავრცელა თვისი ბატონობა ახლო აღმოსავლეთზედ სპარსეთამდე და აფრიკის ჩრდილოეთ ნაპირებზედ ჯერ კიდევ რესპუბლიკის დროს, ხოლო იმპერატორთა დროს, რომელიც ნახევარ ათასეულს გაგრძელდა, იგი იყო უდიდესი იმპერია მაშინდელი ევროპა-წინა-აზია-აფრიკისა მისი მაღალი კულტურით, მტკიცე ხელით მმართველობისა, მისი ძვირად ძლეული ლეგიონებით, გზებით და სხვ. და სხვ.. — ხოლო თუ რაგვარი იყო რომის ბატონობა ბევრგან, მიუხედავად მისი კულტურისა, ეს სხვა საკითხია, არც ისე საამოვნო განსახილველად...

რომის კულტურა მეორე დიდი კულტურა იყო ევროპისა. მონათესავე ბერძნულისა იგი ამასთან ერთად ტყუპს წარმოადგენს, და ამიტომ ვუწოდებთ ანტიკურ ცივილიზაციას ბერძნულ-რომაულს.

რომი თუ წინათ „მიმღები" იყო, იგი თვისი სიძლიერის დროს, თვით შემქმნელი დიდი კულტურისა, „მიმცემად" გახდა, და თვით ბერძენთაც მან მისცა უკეთესი რამ, — მისი სამართალი და წესები სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა, რომლის მსგავსი ძველ ბერძენთ არ ჰქონნიათ. და დასავლეთ ევროპაში თუ რა შედეგები მოჰყვა მის ბატონობას და კოლონიზაციას, ცნობილია, ხოლო ჩვენი თვალთახედვით შემდეგ განსახილველი.

ბერძენ-რომაელთაგან „გარდამოცემული" დღესაც მრავალი სჩანს ევროპის კულტურულ ცხოვრებაში, დღესაც ვსარგებლობთ მით, გვიყვარს იგი, ვსწავლობთ მას. ჰომეროსი და ვერგილიუსი, პლატონი და ციცერონი დღესაც დაუძველებელნი არიან ჩვენთვის. რომის სამართალი მარტო უნივერსიტეტთა მეცნიერება არ არის, არამედ იგი კიდე ცოცხალია და მოქმედი ევროპის საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ხოლო როდესაც რომელნიმე იტყვიან, — ჩვენ დღესაც ბერძნულ-რომაული კულტურით „ვსაზრდოობთო", ეს სრული სიმართლე არ არის: ძვირფასს გარდმონაცემს არ ვივიწყებთ ხოლო „ვსაზრდოობთ" უმთავრესად სხვა კულტურით, სხვა ადამიანთა შექმნილით, ვიდრე იყვნენ ბერძენი და რომაელი.

IV

რომის დაცემის შემდეგ დასავლეთ ევროპაში სხვა ეთნიური ჯგუფები გამოვიდა ისტორიის სარბიელზედ, — კელტურ-გერმანული, რომლისაგანაც წარმოიშვა ახალი ერები, ახალ პოლიტიკურ ორგანიზმთა და ახალ ეროვნულ სახელმწიფოთა შემქმნელი.

გარეგნულად ამ ჯგუფთა მიერ შეთვისებული კულტურა ანტიკური იყო, ხოლო მათ ჰქონდათ აგრეთვე საკუთარი, მაგრამ განუვითარებელი, და სწორედ აქ იყო საგონებელი, რომ კულტურა დასავლეთი ევროპის ახალ ერთა განგრძობა იქნებოდა ბერძნულ რომაული კულტურისა, მართლაც „განალეკი" მისი. მაგრამ განვიხილავთ რა ამ ერთ მათი ზრდის პროცესში, სწორედ აქ გვევ-

ლინება თვალ-წინ უკეთესი მაგალითი ეროვნული სულის შემოქმედებითი ძალისა, რომელიც ვანარღვევს უმტკიცეს გარემოცულობასაც. გარდაქმნის უცხოს შეთვისებულს და ჰქმნის ახალს, განსხვავებულს შეთვისებულისაგან, გარეთგან შემოტანილისაგან, „ნასწავლისაგან“.

რომის ბატონობა დაპყრობილ პროვინციებში დასავლეთ ევროპის უარესი იყო ვიდრე იგივე ბატონობა მათი აღმოსავლეთში. გარდა რომაელთათვის ჩვეულებრივი ძარცვა-გლეჯისა, რომელიც ყველგან თანსდევდა რომაელთა გაძარჯვებას და დამკვიდრებას, დასავლეთი ევროპის დაპყრობილ პროვინციებს კიდევ ის უბედურება დაატყდა თავს, რომ მათი ქვეყნები იესებოდენ იტალიითგან მისული კოლონისტებით, ეაპრებით, ჩარჩებით, ჯარისკაცებით, მოხელეებით. დასავლეთი ევროპის პროვინციები ახლოს იყო იტალიითგან და იქ გადასახლება და დამკვიდრება ზემოხსენებულ ელემენტთათვის ადვილ საქმეს წარმოადგენდა. ამიტომ საკვირველად მოკლე ხანში „რომანულად“ გარდიქცა კელტ-იბერთაგან უხსოვარი დროითგან დასახლებული პირენეის ნახევარკუნძული. მხოლოდ ბასკები გადურჩენ ამ გადაგვარებას. იგივე მოხდა გალიაში: კელტობა გარომანდა. ბრიტანეთის კუნძულზედ კელტების გარომანება არ მოხდა იმ ზომით, რა ზომითაც ესპანეთში და გალიაში, რათგანაც ბრიტები ზღაპრული ვაჟკაცობით ებრძოდენ რომაელებს, იტალიიდან მისული ელემენტებიც ცოტა იყო, და თვით რომის იმპერია დაიღუპა, სანამ იგი ბრიტანეთს დაიმონებდა სავსებით, რაგვარადაც დაიმონა ესპანეთი და გალია. რომმა იგრეთვე ვერ შესძლო გერმანიის დაპყრობილ დასავლეთ ნაწილთა სრული გარომანება, რადგანაც იგი სრულიად გერმანიას ვერ დაეპატრონა და გერმანიის შუაგულითგან და აღმოსავლეთითგან შეუწყვეტლად მოდიოდა დასავლეთისაკენ გერმანული ნაკადი.

უკუ-ვხედავთ რა მოვლენას კელტთა გარომანებისა, ჩვენ იგი უდიდეს ვნებად გვევლინება დასავლეთი ევროპისა: გადაგვარება კელტთა, ამ ისეთივე დიდი ნიჭით დაჯილდოვებული და შვენიერი მოდგმისა, რაგვარიც იყვნენ გერმანელნი, მათ წარხდენას მოასწავებდა, წართმევას მათთვის მომავლისა, მათ უნაწილოდ-ყოფას იმ როლისაგან, რომელიც მათ უნდა აღესრულებიათ დასავლეთი ევროპის ახალი კულტურის შექმნაში. მაშინ რომაელებმა არ იცოდენ რას ჩადიოდენ და, რასაკვირველია, არც შეიძლებოდა, რომ სცოდნოდათ. იულიუს კეისრისათვის გალიის დაპყრობა და კელტთა განადგურება დიდი სახელმწიფო საქმე იყო, სატრიუმფო, და მისი ტრიუმფის შემდეგ დამარცხებული გმირი გალიისა ვერცინგეტორიქსი მოაკლეენა, რომაელთა „კეთილშობილი და რაინდული“ წესისამებრ, ვერცინგეტორიქსი და სხვა გმირები კელტთა კი თავგანწირულად იბრძოდენ მათი ხალხოსნობის გადასარჩენად შემოსეულ მსუნაგთა წინააღმდეგ, ხოლო დამარცხდენ. მაგრამ ძეგლი გალიაში მხოლოდ ვერცინგეტორიქსს ეკუთვნის, რაც თუ გინდ გარომანებული იყოს გალია!

ბრიტანეთის კუნძულზედ კელტთა მომავალს გერმანელთა შესევამ მოუღო ბოლო, და ამით მათი ბედიც გადაწყდა დასავლეთ ევროპაში.

და რაოდენი რამ უდიდესი ღირების მქონე განქრა სამუდამოდ განადგურებით იმ დიდი მოდგმისა, რომელსაც ერთხელ უდიდესი ადგილი ეპირა ევროპაში, ბოჰემიიდგან დაწყებული დიდი ბრიტანიის კუნძულებამდე! რაოდენი თქმულება, რაოდენი პოეზია, რომელიც ითქმოდა მხოლოდ მათი ენით, რომლის ძირები ძველი იყო და ბუნებრივი, ცოცხალი, რაოდენი თავისებური ჰანგი, და სხ... რომ კელტური ენები განვითარებულიყო საუკუნეთა განმავლობაში დღეამდე, დარჩენილიყო კულტურულ ერთა ენებად ესპანეთში, გალიაში, ბრიტანეთ-

ში, შეიძლება ბგერათა სიმშვენიერით ისინი ვერ იქმნებოდენ სწორნი მაგ. ესპანურისა ან „ფრანგულისა“ (ამას გვაზრებს ნაშთები კულტურისა), მაგრამ პოეზია და ერთობ კაზმული მწერლობა კელტური რაოდენად უფრო დიდი და ძარღვიანი იქმნებოდა ვიდრე ის, რომელიც კელტთა მიწა-წყალზე წარმოიშვა უცხო ძირებისაგან. ვინაიდან, წინა-უკმო, წარმოვიდგინოთ, რა იქნებოდა მაგ. დღეს გერმანული მწერლობა, წარმოშობილი და განვითარებული არა გერმანული, არამედ ლათინური ძირებისაგან, — ან „ქართული“ სპარსული დიალექტისა!.. ყოველ ენას, უხსოვარი დროითგან საკუთრებას განსაზღვრულ მოდგმათა, თავისი უძველესი ცოცხალი ძირები აქვს, აქეთგან საზრდოობს იგი, აქეთგან იქმნება ყველაფერი დიდი, რაც ენით გამოითქმის, და როდესაც ეს ძირები მოეპრება ენას, უცხო დაიჭერს ადგილს ეროვნულისა, მაშინ ხდება რაღაც არა კეთილი, ძალადობა, რაის შემდეგაც ერი მრავალი ნაკლის მქონე მეტყველებით რჩება.

ბედი ერთა ხშირად ულმობელად არა კეთილია, ვითარცა ბუნება, პირველმა დანდობა ისე არ იცის, რაგვარადაც უკანასკნელმა. მაგრამ ხშირადვე ერთგვარი „რევანშიც“ ხდება: მიმძლავრებულ ერს შეუძლია კვლავ აღდგეს, თუმცა სხვა ფერით, ისე რაგვარადაც ბუნება წარმოშობს მოსპობილ სახეთა ნაცვლად ახალთ. — ესპანეთში და გალიაში შესეულმა მდაბალი ღირსების მქონე ელემენტებმა მათი საშინელი იტალიური დიალექტებით შერყვნეს კელტთა კეთილშობილი რასა და სიკვდილს მისცეს მათი ენები, მაგრამ კელტთა რასას ამით შემოქმედებითი ძალა მაინც არ დაუკარგავს. ამ ძალამ შექმნა ახალი ერები ესპანეთისა და გალიისა, ახალი ენები, რომანული ძირისა, მაგრამ განსხვავებული ლათინურისაგან, — ენები უაღრესად მშვენიერი, დახვეწილი, თავისებური, რომლებზედაც წარმოიშვენ და განვითარდენ უდიდესნი მწერლობანი დასავლეთი ევროპისა, სრულიადაც არა განგრძობანი ლათინურ-რომაულისა, — ენა კალდერონისა და სერვანტესისა, საშუალო საუკუნეთა ენა ტრუბადურებისა, და ენა „ფრანგული“, რომლის ბედი აგრეთვე დიდი იყო საუკუნეთა განმავლობაში, რაგვარაც თვით ლათინურისა. — ამ ენას სრულიად არა-მართებულად ეწოდება „ფრანგული.“ ენა გარომანებული გალებისაა, რომლებიც გერმანელ ფრანკთაგან იყვნენ დაპყრობილი. დამპყრობთაგან მათ სახელმწიფო შეექმნათ, თვით მათ ერსაც და სახელმწიფოსაც გერმანული სახელები ეწოდათ (ფრანსე, ფრანს), მაგრამ მათი ენა ისეთი მტკიცე გამოდგა, რომ ვერც გალო-რომაელთა შერევამ ფრანკ-გერმანელებთან იგი ვერ გააგერმანელა, როგორც თვით ერი ვერ გააგერმანელა, და თვით მათ ენაშიც შესული გერმანული სიტყვები მაგ. guerre. garder, boulevard, maréchal, და ათასი სხ. ისეა „გაფრანგულებული“, „გალათინებული“, რომ დღეს რომ საშუალო განათლების ფრანგს მათი „გერმანულობა“ უთხრათ, გაუკვირდება და შეიძლება ხუმრობად ან შეურაცყობადაც მიიღოს.

თვით იტალიაში იმ დიალექტთაგან, რომელნიც უეჭველად რომის დროსაც არსებობდენ, შეიქმნა სამწერლობო ენები, რომლებისაგან ერთი გახდა სამწერლობო ენად მთელი ერისა, — ტოსკანური დიალექტისაგან განვითარებული. ამ ენაზედ სწერდა დიდი დანტე, ხოლო ეს დიალექტები იტალიისა არ იყო გალიის პატუები, მათ სამშობლოში ჰქონდა ძველი, ცოცხალი ძირები. ჩრდილოეთითგან იქ ჩასახლებულ გერმანელთა ცნების ელემენტები მათაც შეითვისეს, მაგრამ ისეთივე სრული ასიმილაცია უყვეს მათ, რაგვარიც „ფრანგულმა“ იმავე გერმანულ ელემენტებს. და თუ იტალიური სამწერლობო ენა რომანულ

ენათა შორის უმდიდრესია და უკეთილშობილესი, ეს აიხსნება მით, რომ იგი ბუნებრივი შეცვლით განგრძობაა ადგილობრივი ლათინურისა და მის მონათესავე ენათა, მაშინ როდესაც სხვა რომანული ენები უცხო მიწაზედ არის წარმოშობილი უცხო და თანაც უშვერ იტალიურ დიალექტთაგან.

გერმანულ ენათა ბედი უკეთესი იყო ვიდრე კელტურ ენათა, ვითარცა ერთობ ბედი გერმანელთა უკეთესი იყო ვიდრე კელტთა. წარმოიშვა სამწერლობო ენა გერმანული ყველგან, სადაც მათ ეროვნულ-პოლიტიკური ცხოვრება ჰქონდათ. თვით ინგლისური, რომელსაც საშუალო საუკუნოებში ფრანგული შეეერა, გერმანულ ენად დარჩა. იგი ნარევია, რათგანაც ერთ მესამედზედ მეტი მასში არა გერმანული, განსაკუთრებით ფრანგული ელემენტია, ასიმილაცია ამ ელემენტთა მან ვერ შესძლო მსგავსად იტალიურისა და ფრანგულისა, რომელთაც გერმანულ ელემენტთა სრული ასიმილაცია მოახდინეს, მაგრამ ინგლისურმა უცხო არსებით სახელთა ბრუნება და უცხო ზმნათა ულვლილება გერმანულად ჰყო, გამოთქმაც მათი თავისებურად შესცვალა და ამით ამ ნარევმა ენამ შეირჩინა თვისი გერმანული ინდივიდუალობა ამას გვიჩვენებს არა თუ ჩოსერის ენა მე-14-ე საუკუნისა და შექსპირის ენა მე-16-ე საუკუნისა, არამედ ახალი ინგლისური ენაც, უფრო სავსე უცხო ელემენტებით.

ხოლო კელტურ ენათა ბედი, რაგვარადაც ზემოთ აღვნიშნეთ, უბედური იყო: მოხდა მათი სრული ასიმილაცია გერმანულისაგან სამხრეთ და დასავლეთ გერმანიაში, იტალიურმა დიალექტებმა მოსპო კელტური წინათ ჩრდილოეთ იტალიაში და შემდეგ ესპანეთში და გალიაში. დიდი ბრიტანეთის კუნძულებზედ დაშთენ ირლანდიური, საუკუნეთა განმავლობაში დევნილი ინგლისურისაგან, და მის აღდგენას დღეს სცდილობენ ირლანდიის პატრიოტები. შოტლანდიაში კელტური მხოლოდ მთებშია კიდევ შერჩენილი, ველსური ბრიტანეთის კუნძულის სამხრეთ-დასავლეთ კუთხეში გადარჩენილა, გალიაში ბრეტონული. ხოლო არც ერთს მათგანს არ არგუნა ბედმა გამხდარიყო დიდი კულტურული ერის ენად, რაგვარიც არის გერმანული, ფრანგული, ინგლისური და სხ., და ამით დასავლეთ ევროპის კულტურას უდიდესი რამ დაკლდა: ვერ გაშალა გენია კელტურისა, რომელიც განსხვავებული იქმნებოდა გერმანულისაგან და რომანულისაგან, მაგრამ მათებრ დიდი, — და წაერთვა დასავლეთ ევროპას ამით მესამე სახე, რომელიც ისეთივე თავისებური და დიდებული იქნებოდა, რაგვარიც არის მისი რომანული და გერმანული სახეები.

ზოგი მკვლევარი სარწმუნოებათა იმ აზრის არის, რომ მითრას კულტი რომში ქრისტიანობას ისეთს მეტოქეობას უწევდა, რომ საკითხი იყო, მითრას სარწმუნოებას უნდა გაემარჯვა თუ ქრისტიანობასაო.

ჩვენ ეს დიდ შეცდომად მიგვაჩნია. — მართალია, როდესაც რომის იმპერია უზარ-მაზარი გახდა და მრავალ ქვეყანათ შეიცავდა, როდესაც რომაელთა, სარწმუნოებამ, ისედაც მკრთალმა და ძალის არა მქონემ სარწმუნოების თვისება დაჰკარგა.

რომში მაშინ არსებობდა მრავალი სარწმუნოება, იდეებით ცოდვისა, ცოდვათა და მათგან ხსნისა, ახლად შობისა, მკვდრეთით აღდგომისა, საუკუნო ნეტარი ცხოვრებისა და სხვა, რომლებიც იტაცებდა სარწმუნოებას და სულის სიმშვიდეს მოწყურებულ ადამიანს. ამ უცხოეთითგან შემოსულ სარწმუნოებათაგან ყველაზედ უფრო გავრცელდა მითრას (სპარსული მზის ღმერთის) სარწმუნოება, კულტი, მისტერიები, განსაკუთრებით მხედრობაში. მაგრამ განა შეიძლება შედარება მითრაიზმის გავლენისა ქრისტიანობის მოქმედებასთან

ადამიანის სულზედ, მის ძალასთან? ქრისტიანობასაც ბევრი რამ ჰქონდა აღმოსავლური, — ებრაელთა ერთი-ღმერთის იდეა, იგივე იდეები ცოდვისა, ცოდვათაგან ხსნისა, აღდგომისა, კეთილის გამარჯვებისა ბოროტზედ განკითხვის დღისა, სამოთხისა კეთილთათვის და ჯოჯოხეთისა ბოროტთათვის, აგრეთვე მისტერიებიც აღმოსავლური არ იყო მისთვის უცხო, მაგრამ ქრისტიანობა წარმოიშვა ელენიზმის წიაღში, მის ელემენტთა შორის ბერძნული ფილოსოფია უმნიშვნელოვანესი იყო. იგი არ იყო წმიდა. აღმოსავლური სარწმუნოება. მიუხედავად მისი აღჩენისა პალესტინაში. ხოლო აქ უმთავრესი ის არის, რომ განმაცხადებელი ამ სარწმუნოებისა იყო ქრისტე, ისტორიული პიროვნება, რომელიც მისი სარწმუნოების ქადაგებისათვის გაასამართლეს და ჯვარს-აცვეს, — ჯვარს აცვა თვით აღმოსავლეთის ებრაელობამ, დასავლეთის, — პილატეს — არა გულწრფელი სურვილით და ნებით. იესო ქრისტე იყო კაცი, მაგრამ ღმერთი განკაცებული, გამოგზავნილი. მამისაგან კაცთ-მოყვარეობით კაცთა ხსნისათვის ცოდვათაგან, იგი იყო მესია, ცხებული, იგი იყო მაცხოვარი და დიდი პარაკლეტი წინაშე მამისა კაცთა მაცხოვარებისათვის. მქადაგებელი კეთილისა და სიყვარულისა ბოროტისა და სიძულვილის წინააღმდგომ, კაცთა სიყვარულისათვის შემწირველი თვისი სიცოცხლისა. სწავლა ქრისტესი ყურით ჰქონდა ხალხს მოსმენილი და მას მოწაფენი ჰყავდენ. ვნება მისი მათ თვალით იხილეს. აღდგომა მისი, ღმერთ-კაცისა. მათ ირწმუნეს. მისი ზეცადვე ასვლის შემდეგ მის გამომგზავნელ მამასთან მას დარჩა თავ-განწირული, კლდესავით შეურყეველი რწმენის მქონე მოციქულები, რომლებიც მთელს იმპერიას მოედვენ ქადაგებით... რომელნიც ქრისტეს სიყვარულისათვის არავითარი სახის სიკვდილს არ ერიდებოდენ! ქრისტიანობა აღიარეს ბერძენ და რომაელ უგანათლებულეს და უნიჭიერეს კაცთაც და მათ განსაცვიფრებელი გონებრივი ენერგია დახარჯეს მის ერთ დიდ სარწმუნოებრივ-ეთიკურ-ფილოსოფიურ სისტემად . ჩამოსხმისათვის. მარტო ღვაწლი ორიგენესის და ავგუსტინის არის განსაცვიფრებელი. შეიქმნა ეკლესია, რომელსაც მართლაც ვერ მოერეოდენ „ბრჭენი ჯოჯოხეთისანი“ და მან იდვა თავს დოგმათა დამყარება, რათა ერთი, საბოლოო სახე მისცემოდა ახალ სარწმუნოებას და ბოლო მოღებოდა არევ-დარევას, რომელსაც მრავალი სექტა იწვევს ყოველთვის ახალი სარწმუნოების დადგენის დროს. ეკლესიის მამებმა ეს შესძლეს, თუმცა ისინი მათ ყრილობებზედ ერთმანეთს წვერ-ულვაშს ჰგლეჯდენ და კვერთხებით თავს უტეხდენ მსჯელობათა დროს.

და რა მეტოქეობა უნდა გაეწია ასეთი ძალის მქონე სარწმუნოებრივ-სულიერი მოძრაობისათვის მითრას, ან ოზირისის ან სხვა რომელიმე აღმოსავლურ სარწმუნოებას, ანუ კულტს მისი ჰეკატომბებით და მისტერიებით ევხარისტიისათვის, „უსისხლო მსხვერპლისათვის“!

გაჩნდა უზარმაზარი მწერლობა ქრისტიანული, შექმნილი ხანგრძლივ მოძრაობაში, — გადმოტანილ იქმნა ქრისტიანულ მწერლობაში ებრაელთა ძველი აღთქმა, უკვე თარგმნილი ბერძნულად ებრაელ მეცნიერთაგან, დაიწერენ სამოციქულონი, სახარებანი, აუარებელი საღვთისმეტყველო და ფილოსოფიური თხზულება მეცნიერ ღვთის-მეტყველთა და ფილოსოფოსთა. შეიქმნა „წერილი“, რომელსაც საწარმართო მეცნიერება ვეღარ ერეოდა. ქრისტიანულმა მეცნიერებამ და ფილოსოფიამ თვით მათნი „ჭეშმარიტებანი“ შეითვისა და წარმართობას მისივე საჭურვლით ებრძოდა და ამარცხებდა.

ახალი სარწმუნოება ბოლოს ყოველ ქვეყანაში ხალხურ სარწმუნოებრივ წარმოდგენებზედ და ჩვეულებებზედაც დაემყნო და ამით განიმტკიცა საფუძველი ხალხთა შორის.

და იგი ძლევამოსილი გაბატონდა ბოლოს და ბოლოს ვითარცა ერთი სარწმუნოება რომში და მის პროვინციებში, საბერძნეთში და აღმოსავლეთის მრავალ ქვეყნებში.

ეკლესია ქრისტესი აღშენდა მართლაც „კლდესა ზედა“, რომის ეკლესიამ პირველობა მოიპოვა თითქოს იმ ფაქტის თუ ტრადიციის მიხედვით, რომ მთავარი მოციქული ქრისტესი პეტრე რომში მოღვაწეობდა და იქ ეწამა. ნამდვილად კი მან მიითვისა უნივერსალობა არა მარტო იმიტომ რომ ეკლესია ერთი უნდა იყოს, არამედ იმიტომ რომ მან თავს იდვა რომის იმპერიის უნივერსალობის განგრძობა, — სხვა სახით სასულიერო რომის შექმნით. და პავლეც, ეს უდიდესი მოციქულთა შორის, ნამდვილი შემქმნელი „ეკლესიისა“ ევროპაში ხომ აგრეთვე რომშიც მოღვაწეობდა და იქ ეწამა. და ესეც არგუმენტი იყო რომის ეკლესიის პირველობისა.

ეი ეს სარწმუნოება დაედვა სულიერ საფუძვლად რომის შემდეგ წარმოშობილ დასავლეთ ევროპას, — და ეს იყო საფუძველი, რომელიც ამ ახალ ევროპას სულიერად საესებით განასხვავებდა ძველისაგან, — საბერძნეთ-რომისაგან.

რა „მისცა“ აღმოსავლეთმა დასავლეთს ქრისტიანობით? უფრო მისივე დაუბრუნა. ვინაითგან რაც კარგი იყო ქრისტიანობაში, მიუწვდომელი იდეალი. უმაღლესი ზნეობა. სწავლა, აღმამაღლებელი ადამიანის სულისა და სხ., — ესე ყოველი „ევროპიულიც“ იყო. ერთი ღმერთი მარტო აღმოსავ. კაცთა. ებრაელთა მოგონილი არ იყო. მას თვით ბერძნულ „სარწმუნოებაშიც“ ვხედავთ, და ამასთანავე ქრისტიანულ ერთ ღმერთს ძლიერ ცოტა მსგავსება აქვს ებრაელთა იაჰვესთან. თვით ქრისტე იუდის ტომისა არ იყო, არამედ გალილეველი, აღზრდილი ებრაულ სარწმუნოებაში, რომელიც მან თვისი მოძღვრებით სავსებით უარჰყო. ხოლო პავლე მოციქულმა უკანასკნელი ძაფი გასწყვიტა, რომელიც ქრისტიანობას იუდაიზმთან აერთებდა. თუ ეკლესიამ ძველი აღთქმა, ეს კრებული ებრაულ სხვა და სხვა დროს დაწერილ და სხვა და სხვა შინაარსის თხზულებათა, საღმრთო წერილად მიიღო, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მას იგი თვისი მოძღვრების სისტემისათვის სჭირდებოდა და გამოიყენა კიდეც. გადაბა რა იგი ხელოვნურად, განგებ ახალ აღთქმას, ბერძნულად დაწერილს, რომელთანაც მას. ნამდვილად არავითარი კავშირი არ აქვს, არც ერთ დიდ ქრისტიანს არც ძველად და არც შემდეგ განმაცხოველებელი, ნამდვილი „სასუმელი“ მისი სულისა „ძველი“ აღთქმის წყაროთგან არ ამოუღია, არამედ ქრისტეს სახარებითგან, მოციქულთა წერილებითგან და სხვა „ახალი“ წყაროებითგან! თუ ქრისტიანობა პალესტინაში, აღმოსავლეთში აღმოცენდა, ესეც არ ამტკიცებს მის სრულს „აღმოსავლურობას“, ვინაითგან დიაღ პალესტინა იყო ადგილი, სადაც ხვდებოდენ ურთი-ერთს რელიგიურ-ფილოსოფიური იდეები დასავლეთისა და აღმოსავლეთისა, და უფრო დასავლეთის კულტურის სფეროში, ვიდრე აღმოსავლეთისა. თვით ასკეზი უცხო არ იყო ბერძნის სულისათვის!

და თვით ქრსტიანობამაც ყველგან, ყოველი ერის წიაღში მიიღო ე რ ო ვ ნ უ ლ ი ფერი, იგი გახდა ეროვნულ შემოქმედებად მიუხედავად ერთაგან მისი „მ ი ღ ე ბ ი ს ა“. ამას ამტკიცებს განსაკუთრებული საეკლესიო ცხოვრება ყოველი ერისა და კულტურა მისი, მისგან ახლად შექმნილი ქრისტიანობის ნიადაგზედ, და მუნ გაზრდილი. თვით დასავლეთის ანტიკური კულტურა კვდებოდა ქრისტიანობის წინაშე, და მიუხედავად მის მიერ ქრისტიანობისათვის მრავლის რაისამე გარდაქმნისა, იგი მას საბოლოოდ გამოეთხოვა, ვითარ-

ცა ახალ მოვლენას, ახალ შემოქმედებას დასავლეთისა, სრულიად განსხვავებულს ძველისაგან. და როდესაც ივლიანე „განდგომილმა“ მოინდომა ახლის სიკვდილი და ძველის გაცოცხლება, იგი დამარცხდა, რათგანაც უნდა დამარცხებულიყო: მკვდრის აღდგენა შეუძლებელი იყო. ეს ბოლოს მანაც იგრძნო და მას მიაწერენ სიტყვებს, რომელიც მას დამარცხებულს და მომაკვდავს უნდა ეთქვა: „გამარჯვება შენია, გალილეველო“.

რომის იმპერიის დაშლის შემდეგ წარმოშობილი დასავლეთი ევროპა გერმანელ ტომთა მიერ გალიისა, იტალიისა, ესპანეთისა და ბრიტანეთის კუნძულთა დაპყრობით და მათ მიერ იქ შექმნით ახალ პოლიტიკურ ორგანიზმია შეიქმნა. გერმანელთა შესევას ამ ქვეყნებში „ბარბაროსთა შემოსევას“ უწოდებენ, აძლევენ რა სიტყვა „ბარბაროსს“ მნიშვნელობას „არა კულტურული ველურისა“ და სხ.. და ესეც დიდი შეცდომაა. „ბარბაროს“ ბერძნულად ნიშნავს უპირველესად „გაუგებარი ენით მეტყველს“. „უცხოელს“, „არაბერძენს“ და სხ. ასე უწოდებდენ ბერძნები სპარსთაც ,რომელთაც სრულიად არ სთვლიდენ ისინი „არა-კულტურულად და ველურად“. ეს მნიშვნელობა სიტყვას შემდეგ მიეცა. ხოლო თვით სიტყვა არც ბერძნულია, არამედ უნდა იყოს სუმერული ბარ-ითგან გარდმონაცემი, რაიცა ნიშნავს „გარეგანს“. „უცხოს“ „მტერსაც“...

პატრონყმობა, რომელიც მეფითგან დაწყებული გლეხამდე ყველას ადებდა განსაზღვრულ მოვალეობას, უმცროსს უფროსისადმი და უფროსს უმცროსისადმი, ურთიერთის სამსახური და გაუტეხელი ერთგულება, რაინდობა, აგრეთვე ქალაქები, მუდამ მებრძოლი მათი რესპუბლიკანური თავისუფლებისათვის, ცენტრები ხელოსნობისა, ვაჭრობისა, მაშინდელი ხელოვნებისა და მეცნიერებისა, — სხვა თვისებისა ვიდრე ანტიკური „პოლის“ და სხვ., რაიცა კუთვნილებანი არიან ე. წ. „ფეოდალური“ წყობილებისა, ეს იყო საზოგადოებრივი საფუძველი, რომელიც დაედვა დასავლეთი ევროპას ახალ ცხოვრებას და შეიქმნა ახალი კულტურა, სულ სხვა ვიდრე მანამდე არსებობდა.

წარმოიშვა ქრისტიანულ-ფეოდალური ევროპა, რომელსაც სულიერად აერთებდა უმთავრესად უნიკერსალური ეკლესია რომისა. თუ წინათ იტალიაში ჰერული ოდოვაკარ, მის შემდეგ ოსტ-გოთი თეოდერიხ (დიტრიხ) და ამის შემდეგ ლანგობარდები აშენებდენ ახალ იტალიას, თუ იგივე ხდებოდა ესპანეთში ვესტ-გოთების ენერგიით. გალიაში ფრანკი ხლოდოვეხ (ხლოდვიგ-ლუდვიგ) ჰქმნიდა ფრანკულ მონარქიას. დიდ-ბრიტანეთში ანგლები და საქსები ახალ, გერმანულ ერსა და სახელმწიფოს ქმნიდენ, თვით გერმანიაში და სკანდინავიაში იგივე შემოქმედებითი ძალა მოქმედებდა, და სწორედ გერმანიაში იქმნებოდა ხერხემალი ევროპის კონტინენტისა და უკვე მეცხრე საუკუნეში კარლ დიდის იმპერია დასავლეთ ევროპის უდიდეს ნაწილს შეიცავდა. „იმპერატორები“ რომში პაპისგან იკურთხებოდენ და მისი ხელით იდგამდენ თავს საიმპერატორო გვირგვინს. პაპობას და იმპერიას, — ორივეს ჰქონდა უნივერსალობის პრეტენზია. ამ ნიადაგზედ მომხდარ ბრძოლათა შედეგები, ზოგჯერ დიდად მავნებელი ევროპისათვის, ცნობილია, — ეს არ არის საგანი ჩვენი მსჯელობისა, ვიტყვით მხოლოდ, რომ ორი უზარმაზარი პოლიტიკურ-სულიერი შენობისაგან ერთი დარჩა „წმიდა რომის იმპერიად გერმანელი ერისა“ დასავლეთი ფრანკეთის განშორების შემდეგაც მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისამდე.

წარმოიშვა ახალი სავსებით განსხვავებული ანტიკური ქვეყანისაგან: ახალი სახელმწიფოები, ახალი ერები, ახალი სოციალური წყობილება, ახალი

სარწმუნოება, ყოველივე შექმნილი ახალი ადამიანისაგან, რომელსაც არაფერი საერთო ჰქონდა რომაელთან და ბერძენთან, თვინიერ ამ კულტურათა ცოდნისა და შეთვისებისა, ვითარცა ნასწავლისა. ესე ყოველი არ იყო პირდაპირი განგრძობა ანტიკისა, არამედ სრულიად ახალი შემოქმედება სხვა სისხლისა და სხვა სულის მატარებელი ადამიანის მოდგმისა და რა „მისცა" ამ ახალ ქვეყანას რომმა? ბევრი რამ დაუტოვა მემკვიდრეობად, — ენა საეკლესიო, სამეცნიერო, სამართალი, რომელიც უფრო ს ა შ უ ა ლ ო საუკუნეთა შემდეგ აწესრიგებდა ევროპის კონტინენტის ცხოვრებას და სხვა, უმთავრესად კი ნანგრევები და ნაშთები ძველი კულტურისა, რომლის შესწავლას და შეთვისებას ახალი ქვეყანა საუკუნეთა შემდეგ თვისი წარმოშობისა შეუდგა. მაგრამ ეს „მინაცემი" არ იყო განმსაზღვრელი ახალი ქვეყნის მიერ ახლად შექმნილის არსებისა და მთავარი პირობა ახალი კულტურის განვითარებისა.

ეს ე. წ. „საშუალო საუკუნეთა" ეპოქა დასავლეთი ევროპის ისტორიისა ხშირად ყოფილა და არის დღესაც ცილწამებული: იგია წარმოდგენილი დროდ სიბნელისა, უვიცობისა, ცრუმორწმუნეობისა, სისასტიკისა, სირეგვნისა. მაგალითად ისეთი დიდი ფილოსოფოსიც. რაგვარიც იყო არტურ შოპენჰაუერი, „ქრისტიანულ-გერმანულ სისულელეს" უწოდებს, — ამ უკეთილშობილეს მოვლენას, რომელიც რაინდულ-ფეოდალური კულტურის ნიადაგზედ აღმოცენდა, დიაღ „ქრისტიანულ-გერმანულ" დასავლეთ ევროპაში, მაგრამ სხვაგანაც, მაგ. საქართველოში, სადაც იგი იყო „ქრისტიანულ-ქართული". — მონასტრებში სწარმოებდა დიდი სამწერლობო მოღვაწეობა ევროპაში ისეე როგორც სხვა საქრისტიანო ქვეყნებში (საქართველოში და სხვაგან). და ბერების ნაკრები ყოველთვის სიბნელე და სირეგვნე არ იყო, არამედ დასაწყისი შემდეგ განვითარებული მეცნიერებისა და ფილოსოფიისა. — ამ დროსვე ხდებოდა ლათინური ენის ბატონობის გარღვევა და იბადებოდა მწერლობა დასავლეთ ევროპის ახალ ერთა, — რომანულ და გერმანულ ენებზედ. — მეფეთა და დიდ ერისთავთა კარნი ყველგან დიდნი კერანი იყვნენ ეროვნულ კულტურათა და მათი გაზრდისა და გაფურჩქვნის შედეგად გვიდგება ნათლად თვალწინ დიადი სხივი კულტურის ამ ბუდეთა,—ამ ეპოქაში წარმოიშვა ე. წ. გოთური სტილი ხუროთმოძღვრებისა ჩრდილოეთ საფრანგეთში და გავრცელდა მთელ საშუალო და ჩრდილოეთ ევროპაში, — განსხვავებული რომანულისაგან. — ამ ეპოქაში გაჩნდენ ქალაქები, ნამდვილი რესპუბლიკები, სადაც განსაცვიფრებელი მხნეობით და მამაცობით იბრძოდა მოქალაქე მისი თავისუფლებისა და მის უფლებათა დასაცავად ყველას წინააღმდეგ, ვინც მათ შეგლალავდა, — იქმნებოდა ეს წინააღმდგომი მეფე, ფეოდალი თუ ეპისკოპოსი. ცნობილია მათი შესანიშნავი ორგანიზაცია ვაჭრობისა და ხელოსნობისა, მრეწველობისა, მათი კორპორაციები, მათი მეთოდები ხელოსანთა სწავლისა და აღზრდისა, მათი „შედევრები", გაწვრთნა ხელოსანთა ოსტატად და ხელოვანებად. ამათი მოგზაურობა და ხელობის სწავლა ყველგან, სადაც მათ ახალის რაისამე სწავლა შეეძლოთ, და სხვ.. ამ ქალაქებში კეთდებოდა, სხვათა შორის, ისეთი სისწორის ინსტრუმენტები, რომელიც დღესაც განცვიფრებას იწვევს. და ერთობ ეს ქალაქები იყო ის ძველი ბუდეები, სადაც გამოიჩეკა სწორი ცდის მეცნიერება, გაზრდილი და განვითარებული ჩვენ დღემდე. და სხვ. და სხვ., და თვით „აღორძინებაც" ხომ გარეშე ამ ქალაქთა არ მომხდარა!..—ხოლო ვინც სიბნელეს, სირეგვნეს და სისასტიკეს უწოდებს საშუალო საუკუნეებს, მათ კეთილ-ინებონ და აღორძინების ხანა მოიგონონ ინკვიზიციისა და სხვა საშინელებათა მძვინვარებით. მათ „ახალ" ეპოქას გაუსინ-

ჯონ სახე და ნახავენ, რომ იგი არც ერთი უკეთურობით არ ჩამორჩება საშუალო საუკუნეებს და ერთობ სისაძაგლით მათმა ეპოქამ ისევე გადააჭარბა მას, რაგვარადაც აღორძინების ეპოქამ, მიუხედავად ორივე ეპოქის წინსვლისა, „პროგრესისა“, რომელიც პარალელურად ხდებოდა. მან დაჰკარგა ყოველი კეთილშობილება, სინდისი, სამართლისა და ერთობ ადამიანობის გრძნობა, რაინდობა და სხვ., რაიცა საშუალო საუკუნოებში იყო მიუხედავად მისი სიბნელისა, სისასტიკისა, სირეგვნისა, ცრუ-მორწმუნეობისა, და დღეს აღარ არსებობს მიუხედავად ახალი დროის მეცნიერებისა, ტექნიკისა და სხვა „მონაპოვართა ცივილიზაციისა“! ერთობ საშუალო საუკუნეთა დასავლეთი ევროპა მისი ბრძოლებით მონარქთა და დინასტთა შორის, საეროსა და სასულიეროს შორის, მისი სასახლეებით, ციხე-დარბაზებით და კოშკებით, საითგანაც გამოდიოდა სისასტიკე, მტრობა და ინტრიგა, მაგრამ ამავე დროს დიდი კულტურა ცოცხლობდა და იზრდებოდა, მისი დიდებული ტაძრებით, რომელთა მსგავსის შექმნა დღევანდელ ადამიანს აღარ ძალუძს, მისი ქალაქებით, სადაც ცხოვრება არ იყო სამოთხე, მაგრამ რომელიც იყო მტკიცედ აგებული ბუდეები ხალხის შემოქმედებისა, შემდეგ მისი რაინდობით, ქალის კულტით და სხვ. და სხვ., შეიძლება ბევრად უფრო სიმპათიური იყო ვიდრე ჩვენი ქვეყანა. იმ ქვეყანას ეკლესია მაინც აერთებდა, სარწმუნოებრივი აღფრთოვანება, რომელმაც ჯვაროსანთა ომები შესაძლებელ-ჰყო, პირველად დიაღ იდეალიზმით ხელმძღვანელი, დღეს კი ამის ნაცვლად ერთა მიერ ურთიერთის მოსპობის მისწრაფებას ვხედავთ, ცრუ ერთობის ქადაგებით და მლიქვნელობით, და, რაიცა სავსებით უიმედოდ-ჰყოფს განმცდელს ამა ქვეყნისა...

ტერმინი rinascimento (რენესანს) გაუგებრობას ჰბადებს: რა მოხდა დასავლეთ ევროპაში მეხუთმეტე საუკუნეში და შემდეგ? „ახლად შობა“ კულტურისა? რომელი კულტურისა? თუ ვისმე ჰგონია რომ მაშინ ანტიკური კულტურა „დაიბადა ახლად“, ეს დიდი შეცდომაა: ანტიკური კულტურა მოკვდა და იგი აროდეს შობილა ახლად. მკვდრეთით მხოლოდ ქრისტე აღდგა ჩვენთვის, მაგრამ იგი ღმერთ-კაცი იყო, ხოლო არც კაცი, არც ერი და არც მისი კულტურა მკვდრეთით აროდეს აღმდგარა. შესწავლა და შეთვისება ანტიკური კულტურისა ამ ეპოქაში კი სრულიადაც არ არის ამ კულტურის ახლადშობა... მას სწორად ვუწოდებთ აღორძინ-ებ-ას. ეს იყო საუკუნეთა შემდეგ ნაშობი კულტურა ფეოდალური კულტურის მიერ. გაფურჩნილი, რომლის ყვავილოვნება დიდ-ხანს იყო და ჩვენ საუკუნის დამდეგს წარხდა. — მიუხედავად ანტიური კულტურის შეთვისებისა, იმ ნაშთების შესწავლით, რომელიც მას დარჩა რომითგან და საბერძნეთიდგან და უფრო ბიზანტიაში მოიპოვებოდა, აღორძინების არც ხელოვნება, არც მეცნიერება და არც ჰუმანიზმი ანტიკური არ იყო, არამედ ახალი დასავლეთ-ევროპული. ლეონარდო-და-ვინჩი, მიქელ-ანჯელო, რაფაელი, დიურერი და სხვა დიდნი ხელოვანნი ანტიკური ხელოვნების წამბაძველნი და უშუალო გამგრძობნი არ იყვნენ, არამედ მათი გენიოსურ-ორიგინალური ხელოვნება შეუძლებელია არსებულიყო გარეშე ქრისტიანობისა და ფეოდალური კულტურისა. დიდნი მოაზრენი და მეცნიერნი, რაგვარნიც იყვნენ გალილეი, ბრუნო, კოპერნიკი და მრავალნი სხვანი, სრულიად სხვა მოელენა იყო, ვიდრე ბერძენთა და რომაელთა მეცნიერნი და ფილოსოფოსნი. და მათი ნააზრის, მათ აღმოჩენათა საფუძვლებზედ შეიქმნა ახალი მეცნიერება და ფილოსოფია დასავლეთი ევროპისა, და სხვ. და სხვა.

ფეოდალური დასავლეთი ევროპა ერთი დიდი კულტურული სფერო იყო.

გახსხვავებული რაგვარადაც ძველი, მისი წინამორბედი ანტიკური კულტურული სფეროსაგან, ისე სხვა, მის თანამედროვე კულტურულ სფეროთაგან. ამ სფეროს თავისი ინდივიდუალობა ჰქონდა, და ეს ინდივიდუალობა მას შერჩა საუკუნეთა განმავლობაში მომხდარ მრავალი მიზეზით გამოწვეულ ცვლილებათა. ისე რაგვარადაც ადამიანი იბადება, იზრდება იცვლება და სიკვდილამდე ცხოველ ინდივიდად რჩება, ასე რაგვარადაც ერი წარმოიშვის, იზრდება, ვითარდება, იცვლება და მას წარხდომამდე საზოგადოებრივ ინდივიდად რჩება, ეგრეთვე პირველი კულტურული სფერო ამავე გზას განვლის არსებობისა და ბოლოს განსაზღვრულ მიზეზთა გამო შეიძლება წარხდეს და მისი ინდივიდუალობაც ჰქრება. ჩვენ ამ კულტურული სფეროს ჰაერით ვსუნთქავდით, მით ვცოცხლობდით...

ეს კულტურული სფერო წარხდა. ნგრევა ძველი კულტურისა დაიწყო 1914 წელს დაწყებული „მსოფლიო ომით". თვით ომის დროს გამოჩნდა მრავალი ახალი თვისება ევროპიელი კულტურული კაცისა, რომელიც აღარ ჰგავდა ძველს, რომელიც ჰქონდა მოპოვებული ძველი კულტურის კაცის სულს საუკუნეთა განმავლობაში ცდით და ღვაწლით თვისი გაკეთილშობილებისათვის. ომის შემდეგ მოხდა გარღვევა ძველ წარმოდგენათა სამართალზედ, სინდისზედ, ზნეობაზედ, რაინდობაზედ „ადამიანობაზედ", „ერთა შორის სოლიდარობაზედ" და პატივისცემაზედ და სხვ. ევროპის სულიერ-ზნეობრივი წესრიგი დაინგრა. მოხდა შემდეგ დიდი, გიგანტური ცდა ამ წესრიგის კვლავ დასამყარებლად, ევროპის კულტურის გადასარჩენად. მაგრამ თუ ამ ცდას შეიძლება უმკაცრესი კრიტიკა გაეწიოს მცდელთა შეცდომათა გამო, ეს შეცდომები არ იყო მიზეზი მეორე მსოფლიო ომით და მის შემდეგ მომხდარი საქმეებით ევროპის ძველი სულიერ-ზნეობრივი წესრიგის სრული დანგრევისა და ამით ძველი ეპოქის დასრულებისა, არამედ ის რომ რასაც ცხოვრების ვადა გაუვიდა, იგი გარდვიდა, წარხდა, და მას ახალს, რაც მოდის, შეიძლება სხვა, ჭიანჭველის უპიროვნებო ცხოვრების მსურველი, უცნაური ზნეობისა და „ადამიანობის" მქონე კაცი შეურიგდეს, ჩვენ კი ვერ, ვეროდეს. ვითარცა ძველ კულტურულ სფეროში დაბადებულნი და აღზრდილნი, რაც ძველმა ახალს უზარმაზარი მემკვიდრეობა დაუტოვა, მას ახალი გარდაქმნის, გამოიყენებს, რაგვარადაც ახლა ჩანს, ბევრს რასმე უფრო ბოროტად ვიდრე კეთილად, მაგრამ სული ახლისა ისე აღარ ეგვანება სულს ძველისა, რაგვარადაც ფეოდალური ევროპის სული საბერძნეთ-რომისას არ ჰგვანდა...

დასავლეთ ევროპის კულტურული სფერო მის ერთა კულტურულ შემოქმედებით იყო შექმნილი, ურთიერთისადმი გარდაცემით და მათ მიერ შეთვისებით გარდანაცემისა, მაგრამ გარდანაცემს შექმნა უნდა და შეთვისებულს გარდაქმნა და შემატება ღირებულებათა, რომ იგი შემდეგ გახდეს საერთო კუთვნილებად ერთა. და აქ გვეშლება თვალწინ სურათი დასავლეთ ევროპის ერთა ინდივიდუალური, ეროვნული შემოქმედებისა: მაგ. პროვანსალური საერაინდო სამეჯნურო პოეზია შექმნილი იყო პროვანსის ერის მიერ, რომელიც საშუალო საუკუნოებში ერი იყო, თვისი ეროვნული, პროვანსალური ენით. არაბული გავლენა აქ არაფერ შუაშია. არაბთა მწერლობამ, სამეჯნურომაც. თვით ესპანეთის მწერლობაზედ ვერ მოახდინა გავლენა. მიუხედავად იმისა რომ არაბები ესპანეთში იყვნენ, და ესპანური მწერლობა უაღრესად „ეროვნულად" განვითარდა. ესპანურ მწერლობაზედ თვით პროვანსალურსაც არ ჰქონდა ისეთი გავლენა, რომ მიმართულება მიეცა რომელიმე მისი დარგისათვის. ხოლო

პროვანსალურის მსგავსება დიდი იყო გერმანულ მწერლობასთან იმავე რიგისა; ვალტერ-ფონ-დერ-ფოგელვაიდე იყო გერმანელი მგოსანი, ეროვნული შემოქმედი, სულერთია, წარმოიშვა გერმანელთა მინეზენგერობა პროვანსალური სამეჯნურო მწერლობის გავლენით თუ ადგილობრივი რაინდობისა და ქალის კულტის ნიადაგზედ. — თქმულებანი „პარსივალისა" და „ტრისტან და იზოლდისა" კელტურნი არიან, საფრანგეთში პროზად შენახულნი. ხოლო იგივე თქმულებანი, ლექსად ნათქვამნი გერმანელ ვოლფრამ ეშენბახელისა და გოტფრიდ შტრასბურგელის მიერ წმიდა გერმანულნი შემონაქმედნი არიან საშუალო საუკუნეთა და ნიბელუნგების თქმულება ხომ წმიდა გერმანული შემოქმედებაა. — დანტემ წმიდა იტალიურ სულიერ სფეროში დასწერა თავისი უკვდავი „საღმრთო კომედია" განსაწმედელად ადამიანის სულისა. ხოლო აქაც „მიცემისა" და „მიღების" თეორეტიკოსები რაღაც უცხო „გავლენას" ეძებენ ამ დიდ განმაწმედელზედ, მაგ. ესპანელი მწერალი მიგუელ ანხინ პალასიოს „მუსულმანური ესხატოლოგიის" გავლენას. დანტეს კი ნამდვილად არაფერი არ „ამოუღია" არაბული მწერლობითგან, არამედ მისნი წარმოდგენანი, მისტიკა და სხვა ნამდვილნი ქრისტიანულნი არიან საშუალო საუკუნეთა. და შემდეგაც იტალიური მწერლობა თვისი ეროვნული გზით მიდიოდა.—დიალ— იგივე ითქმის ესპანურ მწერლობაზედ, რომლის უდიდესნი წარმომადგენელნი არიან სერვანტესი, ლოპე-დე-ვეგა, კალდერონი, დიდნი სწორედ მათი ეროვნული შემოქმედებითი ნიჭით. — საფრანგეთში ჩვენ ვხედავთ რაბლეს, მონტენს, უაღრესად ფრანგ ეროვნულ მწერლებს. შემდეგ დიდ რიგს დიდ მწერალთა მოლიერამდე და ვოლტერამდე და სხვ.. ერთობ დიდებულ ფრანგულ მწერლობას, რომელსაც თვით მოუხდენია უცხოზედ მეტი „გავლენა" ვიდრე უცხოსაგან განუცდია. — ინგლისელთაგან კმარა დასახელება ჯერ ჩოსერისა და შემდეგ შექსპირისა იმის წარმოსადგენად, თუ რა ხარისხს მიაღწია ინგლისელთა წმიდა ეროვნულმა შემოქმედებამ მწერლობაში. — გერმანული მწერლობა უფრო გვიან განვითარდა, მან „გავლენაც" დიდი განიცადა უცხო, მაგრამ ეროვნულმა გენიოსობამ ესეც გაარღვია და შილერი, ჰოლდერლინი და სხვანი, და ბოლოს ბუმბერაზი გოეთე. მაჩვენებელნი არიან გერმანიის ერის გენიალური შემოქმედებითი ნიჭისა, და არა უცხო გავლენის ქვეშ მწერალნი, — რასაკვირველია, სრულიად „უგავლენოდ" უცხოს მიერ არც ერთი თვით გენიოსიც არ აზროვნობს და არ ჰქმნის, მაგრამ მათ შემონაქმედთა დიდ ღირებულებას ეს გავლენა კი არ ჰქმნის, არამედ მათი გენია. „გავლენა" სწავლითგან, შეთვისებითგან მოდის, ხოლო მარტო სწავლული, შემთვისებელი, რაც უნდა ცოდნითა და განათლებით იყოს აღჭურვილი, დიდს რასმე ვეროდეს შეჰქმნის, თუ მისი სული არ არის შემოქმედი, თუ მის ერს, სისხლს არ მიუცია მისთვის ეს ღვთაებრივი ძალა. — აღორძინების ხანის იტალიელი მხატვრების **გენიოსური** შემოქმედება არაბიზანტიურ გავლენას შესაძლებელ-უყვია, არამედ ეს შემოქმედება იტალიელ გენიოსთაგან მოდიოდა, — იგი იტალიური იყო, სრულიად განსხვავებული ბიზანტიურისაგან, და რომელი კუთხითგან ევროპისა არ მოდიოდენ ხელოვანნი სწავლად ამ ღვთაებრივი ხელოვნებისა. და ერთობ იტალიური ხელოვნებისა? მაგრამ განვლო ჟამმა და ყველგან ევროპაში სხვა ხელოვნება შეიქმნა, — ესპანეთში ესპანური, საფრანგეთში ფრანგული, გერმანთა ქვეყნებში გერმანული, ყველგან ეროვნული. განსხვავებული იტალიურისაგან, მიუხედავად ამ უკანასკნელის გავლენისა. დიდმა მეცნიერმა ხელოვნებისა ვოლფლინმა მაგ. განსხვავება იტალიური მხატვრობისა გერმანულისაგან მით გამოთქვა, რომ თუ პირველის არსებითი თვისება ხაზთა სიდია-

დეა, მეორესი „მხატვრულობااო“, და სხვ.—და ყოველ დარგს კულტურისა ევროპაში ოდეს განვიხილავთ, ყველგან ვხედავთ დემონს ეროვნული შემოქმედებისა, რომელიც უცხოს ითვისებს, მაგრამ გარდაქმნის და თვითაც ახალს ჰქმნის, ეროვნულს, ინდივიდუალურს, რასაც ერის განცდათა სიღრმეში აქვს ძირი. რა ძალა ამოქმედებდა მაგ. მიქელანჯელოს, თუმცა სასწაულის და ბევრის უცხო მცოდნეს, როდესაც იგი ჰქმნიდა მას, რასაც აღნიშნულ დროს შემოქმედებად ვხედავთ?

ყოველი ერი თავისებურად მღერის და გალობს და სხვა ჰანგებსაც ხომ თავისებურად გარდაქმნის... — ევროპის ერთა წიაღში გაჩნდა ძალა უნივერსალური ეკლესიის და მის დოგმათა განმრღვევი და ინგლისში ვიკლეფმა და სხვებმა თავისუფალ ჰყვეს ერი მათგან, შემდეგ კალვინმა, ლუტერმა და სხვათა იგივე საქმე ჰქმნეს და შექმნეს ეკლესიები, დამოუკიდებელი რომისაგან. ქრისტიანობის სხვა გაგებით. და განთავისუფლებულმა სულმა ევროპის ერთა, კათოლიკურ თუ პროტესტანტულ ქვეყნებში, წარმოშვა დასავლეთი ევროპის ე. წ. „მოდერნული“ მეცნიერება და ფილოსოფია, კვლევისა და აზროვნების გიგანტთაგან შექმნილი, რომლითაც ახლა ვამაყობთ, და სხვ. და ამას ყოველს ეროვნული ბეჭედი აზის; ოდნავ მეცნიერებასაც კი!...

მეცნიერმა თვისი კვლევისა და დაფასების დროს სხვა და სხვა ერთა კულტურათა სწორი ანალიზი უნდა ჰქნას მათი. ნასწავლს და შეთვისებულს ის როლი უნდა მიანიჭოს, რაც მას ეკუთვნის, აროდეს მეტი. ხოლო ერის მიერ შექმნილს, ახალს (განსაზღვრულ გარემოცულობაში, სხვა ერებთან ურთიერთობის სფეროში) თვით ერის გენიაში უნდა უძებნოს წყარო. გაიგოს ეს გენიოსობა და დააფასოს იგი ეითარცა შემოქმედებითი ძალა. ბევრ მეცნიერს ეს არ ძალუძს, არც სურს (რაიმე მიზეზით): მაგ. ზოგიერთი ენათმეცნიერი ნახავს ერთ ენაში უცხო სიტყვებს და მაშინვე დაასკვნის: ამ ენით მეტყველ ერს მეორე „მისცემდა“ (მუდამაც!), იგი (ყოველთვისაც) „მიიღებდა“. მაშასადამე „მიმცემი“ დიდი შემოქმედების მქონე ერია, „მიმღები“ ნაკლებისა. და სხვ. — ნამდვილად კი არ არსებობს ენა, სადაც უცხო სიტყვები ან სხვა ელემენტები არ იყოს. განსაკუთრებით სიტყვები „მოგზაურობენ“, შედიან ერთი ენითგან მეორეში და „მიმცემის“ ენაც ისევეა საესე სხვა უცხო ელემენტებით, რაგვარადაც „მიმღებისა“. არაფერს ეს მოვლენა არ აშტკიცებს.

ეს თეორეტიკოსები „მიცემისა“ და „მიღებისა“ ზან და ხან უდიდეს აბსურდსაც კადნიერებით წამოისვრიან ხოლმე: ერთმა არა-ინდო-გერმანელმა „დიდებული დასკვნა“ გააკეთა თავის კვლევათაგან, — ინდო-გერმანელებს არსად და აროდეს „დამოუკიდებლად“ კულტურა არ შეუქმნიათ, რათგანაც ყველგან მათ კულტურაში არა-ინდო-გერმანული ელემენტებიაო! თითქოს „ინდო-გერმანული“, შექმნილი მათ მიერ ათასეულთა განმავლობაში, არ არსებობდეს! ჩვენ შეტს ვიტყოდით. — რომც არ ეხილათ ინდო-გერმანელთ აროდეს არც სემიელები და არც სხვანი, ინდოეთის, ირანის, საბერძნეთის და სხვა ინდო-გერმანელები „დამოუკიდებლად“ იაზროვნებდენ და შეჰქმნიდენ მათ განსაკვიფრებელ სარწმუნოებებს, ფილოსოფიას, მეცნიერებას, ხელოვნებას. ათასჯერ შეტი ღირებულების მქონეს, ვიდრე ამ არა-ინდოგერმანელთა შეშონაქმედი იყო!..

კულტურული შემოქმედება ადამიანმა მრავალ ათასეულთა წინათ დაიწყო, მართლაჩინოდ დედამიწის ზურგის სხვა და სხვა ადგილს. ყოველი შექმნილი ერთი საზოგადოებრივი ჯგუფისაგან რასაკვირველია გადაეცემოდა მეორეს, რაოდენადაც მათ შორის მიმოსლვა და ურთიერთობა იყო. მაგრამ

ყოველი ჯგუფი შენაჭმს და ნასწავლს თვის მიერ შექმნილს უმატებდა და ამით იზრდებოდა და რთულდებოდა ერთობ კულტურა ადამიანისა. ეს მოვლენა იმ უხსოვარ დროითაგან დაწყებული დღემდე მუდმივია, ხდებოდა რა კულტურულად თან და თან უმაღლეს ხარისხს მიღწეული ერთა შორის მიმოსვლა და ურთიერთობა უფრო და უფრო სწრაფად და განვითარებულად. და თუ „მიცემა“ და „მიღება“ დღეს უმოკლესი დროის განმავლობაში ხდება, ვიდრე ოდესმე ხდებოდა, „მიმცემიც“ თვით ჰქმნის, რომ სხვასაც, სხვა ერებსაც. მთელ კაცობრიობასაც „მისცეს“, და „მიმღებიც“ „მიცემულზედ“ თვისი ნაშოქმედარის დართვით აგრეთვე „მიმცემი“ ხდება. დღეს ყველა „მიმცემია“ და ყველა „მიმღები“, ზოგი მეტად, ზოგი ნაკლებად. ამით იზრდება კულტურა. ხოლო ძველის ზედ-ნართავს, ახალს, ერი ჰქმნის და მისი ნიჭიც მით დაფასდება, თუ რას ჰქმნის იგი და რაგვარს.

ნიადაგი და პირობანი, ბუნება და გარემოებულობა, რომელთა წიაღში ადამიანი კულტურას ჰქმნის, უდიდესი მნიშვნელობისანი არიან, მაგრამ მათ მხოლოდ ის გავლენა აქვსთ კულტურაზედ, რომელიც მათ შეუძლიათ ჰქონდესთ. ხოლო თვით კულტურა ადამიანის სულიერი და ფიზიკური ენერგიის შემოქმედებაა. ეს ენერგია არის ჩამსახველი და მზრდელი კულტურისა, ნიადაგი კი მიმღები ჩანასახისა და ხელის-შემწყობი მისი ზრდისა. რაოდენადაც კარგია ნიადაგი, იმოდენად კულტურის ზრდა და განვითარება წარემატება. თავისებურობაც ნიადაგისა მას თავის ბეჭედს ასვამს. ხოლო რამდენადაც დიდია ენერგია კულტურის შემქმნელისა, რამდენი და რაგვარი თვისებაც აქვს მოქმედ ადამიანს, იმოდენად დიდია, დიდი ღირების მქონე მისგან შექმნილი კულტურა.

გადავავლებთ რა თვალს ადამიანთაგან შექმნილ კულტურათ, ყოფილთ და მყოფთ, ვხედავთ მათს დაუსრულებელს მრავალ-ფეროვნებას. და ეს მათი მრავალ-ფეროვნება ეთანხმება მრავალ-ფეროვნებას ადამიანთა მოდგმათა, რომელთაც არა თუ სხვა და სხვა ნიადაგზედ და სხვა და სხვა პირობებში, არამედ მსგავს და ხშირად ერთსა და იმავე ნიადაგზედ და მსგავს და ერთსა და იმავე პირობებშიც შეუქმნიათ სხვა და სხვა თვისებისა და ღირებულების კულტურა.

ეს სინამდვილეა და აქეთგან აუცილებელი დასკვნა ის არის, რომ ყოველ კულტურას უპირველეს ყოვლისა ადამიანის ჯიშის თვისებანი აძლევენ მის განსაკუთრებულ ხასიათს და ჰქმნიან მის დიდს თუ მცირე ღირებულებას.

ყოველი ჯიში ადამიანისა განსაკუთრებული თვისების მქონეა, განსაკუთრებული ხასიათისა, უფრო დიდი ან უფრო მცირე შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოვებული. ჯიშნი ისეთნი ინდივიდუალობისანი არიან, რომ ერთს ერთნი ნიჭნი აქვსთ მიცემულნი ბუნებისაგან, მეორეს სხვანი. და ამისდა მიხედვით მათგან შექმნილნი კულტურანიც განსხვავდებიან: თუ ერთი კულტურა ერთ დარგში გვიჩვენებს უპირატესობას მეორეს წინაშე, მეორე სხვა დარგშია უფრო მაღალი ვიდრე პირველი. და როდესაც საკითხი დგება: რომელი ერია უფრო ნიჭიერი: ეს თუ ის? პასუხი არც ისე მარტივად შეიძლება მივცეთ ამ საკითხზედ, რაგვარადაც შეიძლება ბევრს ეგონოს: თუ ერთ ერში სჭარბობს უაღრესად ბუნებისაგან შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოვებული ჯიში, ხოლო მეორეში მდარე ნიჭი სჭარბობს, რასაკვირველია პირველი უფრო ნიჭიერია, ვიდრე მეორე, — აქ ადვილია პასუხი, ვინაითგან უკიდურესობათ ეადარებთ. ხოლო პასუხი ძნელდება, როდესაც დგება მაგ. საკითხი: რომელი ერი უფრო

ნიჭიერი ადამიანი: ბერძნისა თუ რომისა? აქ უკვე გამოწულილვით განხილვაა საკითხი ორივე ერის შემოქმედებისა და დაეინახავთ, რომ ერთი ერთ დარგში ყოფილა ნიჭიერი, მეორე ძალიერში, ერთის სულიერნი თვისებანი განსხვავდებიან ძალიერის სულიერ თვისებათაგან, და სხვ.. და ეს კი იმას შოასწავებს, რომ ორივე ერში არსებული და მოქმედი ჯიში ადამიანთა, მიუხედავად უახლოესი ნათესაობისა, ითქმის ერთსა და იმავე პირობებში მაინც განსხვავებულ კულტურათ ჰქმნიდა. არა მარტო იმიტომ, რომ ამ ორი ერის ადამიანთა ჯიშს ერთი ადგილითგან გადასახლების შემდეგ სხვა უცხო ჯიშები შერევიან, არაქედ იმიტომ რომ თვით ჩვენდრ ძმათა და ბიძაშვილთა შორისაც არის განსხვავება მათი ხასიათისა, თვისებათა და ნიჭთა.

ყოველი კულტურის შექმნელი ჯიში, რომელიც სჭარბობს ერში, რთული სოციალურ-აგებულების ორგანიზმში, ნარევია. ნარევია თვით ერი, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში შექმნილა და ერად ჩამოსხმულა ადამიანთა სხვა და სხვ. მოდგმათა შერევით და შეჯვარედინებით. ხოლო აგრეთვე დროთა მსვლელობაში იქმნება ეროვნული ტიპი, ესეც ერთგვარი ჯიში, თვისი განსაკუთრებული ფიზიკური და სულიერი თვისებებით, თვისი განსაკუთრებული ნიჭით კულტურის შემოქმედებისა. ამ ჯიშის მჭონენი არიან გვარნი ერის შემადგენელ ნაწილთა შორის, რომელნიც საუკუნოებით იცავენ მათი „სისხლის კეთილშობილობას", აქესო რა შეგნება „სისხლისა". ზოგან ეს შეგნება ხელს უშლიდა მიღწევას სისხლის შენახვის მიზნისა, ჰბადებდა რა ინცესტს და მთელი გვარი სრული გადაგვარებისაკენ მიჰყავდა ნაცვლად მისი სისხლის შენახვისა, რაგვარადაც ეს ხდებოდა ძაგ. ძველ სპარსეთში და სხვაგანაც.

ეს ეს ჯიში, ეს გვარები ჰქმნიდენ ეროვნულ კულტურათ. რაოდენადაც მეტნი და ძლიერნი იყვნენ ისინი ერის ორგანიზმში, იმდენად მეტი იყო შემოქმედება ერისა, რათგანაც ისინი მეტ და უძლიერეს პიროვნებათ აძლევდენ ერს.— ხელმძღვანელთ, ერის დამცველ მებრძოლთ გარეშეთა წინააღმდეგ, კულტურის შემოქმედთ. ამიტომ არის რომ ერი ინსტინკტით და შეგნებითაც ებრძვის უცხო თესლის დათესვას თვის წიაღში, — წინააღუდგება „განაბიტვრებას". ამიტომ არის აგრეთვე, რომ ხალხი, რომელიც დამპყრობელი ყოფილა სხვა, უფრო მდარე ჯიშის ხალხთა, და თვისი უკეთესი ჯიშით, მაგრამ ნაკლები რიცხვით ბატონობს მასზედ და ჰქმნის ეროვნულ კულტურას, ერთ დროს შეიძლება დაკნინდეს ან სრულიად დაიღუპოს, თუ მის წიაღში დამალულ მრავალრიცხოვანი ძალა ადგა და თითქოს მხოლოდ შეგნებით, — სოციალურ-ეკონომიური მიზეზით, — ნამდვილად კი ინსტინკტურად შეებრძოლა ე. წ. „მაღალ კლასებს" და დაამარცხა იგი, და სხვ..

ესე ყოველი დიდი ხანია რაც ნათელჰყო ადამიანთა ჯიშთა მეცნიერებამ, მაგრამ ბევრს, თითქოს კაცთმოყვარეობით აღსავსე სულით, დიდ ცოდვილად მიაჩნია ყველა, ვისაც არ სწამს მაგ ზანგი პლატონი, ან ზანგი-ნიუტონი, ან ზანგი-კანტი და სხვ. ადამიანის ჯიშთა უთანასწორობითგან სრულიადაც არ გამომდინარეობს „მაღალთა" უფლება „მდაბალთა" დამონებისა და მოსპობისა, მაგრამ „მაღალთა" „დამდაბლება" ჯიშთა აღრევით, განურჩეველად მათ თვისებათა, ყოველი მაღალი და კეთილშობილი კულტურის მოსპობას მოასწავებს. და ვინც მას ჰქადაგებს ან სრულ-ჰყოფს რაიმე ზომით. საერო თუ სამღვდელო, სამართლისა თუ ყოველის შემოქმედი ღმერთის სახელით, არ იცის რას იტყვის და რას იქმს. მაგალითები, მათი მოძღვრების მცდარობის და მავნებლობის მაჩვენებელი, ბევრია, ხოლო აქ ადგილი არ არის ამაზედ საუბრისათვის.

განსაზღვრულ კულტურულ სფეროში ერთა კულტურას ჰქმნიან შემოქმედებითი ნიჭის მქონე პიროვნებანი, გაბნეულნი და მოქმედნი მათ ყველა ნაწილში. განსაზღვრულ სულიერ თვისებათა პატრონი ჯიშნი ჰქმნიან ამ სფეროს თავისებურებას, განასხვავებენ მას სხვა კულტურულ სფეროთაგან, სადაც სხვა სულიერ თვისებათა მქონე ჯიშნი მოქმედებენ და ჰქმნიან. ამ ჯიშთ გასაზღვრული კულტურული სფეროისა აქვსთ ნათესაობა ურთიერთ შორის სულიერი და მეტი ან ნაკლები ფიზიკურიც. და ეს სულიერნი თვისებანი არსებითად უცვლელნი რჩებიან, სანამდე თვით ეს ჯიშნი არ გადაგვარდებიან, ან არ მოისპობიან. მათ აქვთ განსაკუთრებული მიდგომა მსოფლიოსადმი, ცხოვრებისადმი, ხედვა და განცდა, და აქედან გამომდინარეობს განსაკუთრებული ხასიათი ერთა კულტურისა, რომელთა წიაღში ისინი მოქმედებენ. „მიმცემ-მიმღებლობაც“ კულტურისა ამ სულიერ თვისებათა გარეშე არ ხდება, და ყოველი უბედური შემთხვევა, დაკნინებისა და დაუძლურების დროს მომხდარი, შეთვისება ერთი ერის მიერ მეორესაგან ისეთი რაისამე, რაც სრულიად უცხოა მისი სულისათვის, ყოველთვის განმანადგურებელ ენებას აყენებს მას.

მოხდება ხოლმე ისიც, რომ რომელიმე დიდი კრიზისის დროს ერი ვეღარ აზროვნობს, ვეღარ ჰხედავს და ვეღარ განიცდის თვის ბუნებრივ სულიერ თვისებათა მიხედვით. დგება დრო კეთილის ბოროტად და ბოროტის კეთილად ცნობისა, სარწმუნოების შერყვნისა, ან გაცრუებისა, მშვენიერის უშვერად და უშვერის მშვენიერად ხედვისა, აზროვნების გადარეულობისა და ყოველი სირეგვნის გონიერებად აღსარებისა, და სხვა. თუ რაგვარ სარგებლობს ამ მდგომარეობით გარეშე სატანა და შინაური დეგენერატი, ცნობილია: რომელიმე სულელი და ყოვლად გარყვნილი „მწერლის“ ნაჯღაბნი დიდ კულტურულ ძეგლად არის მიჩნეული, ყოველი მახინჯი ქანდაკება ან დაჯღაბნილი სურათი „შედევრად“ ითვლება, ყოველი კაკოფონია უშვენიერეს სიმფონიად, და სხვ.. სამშობლოს სიყვარული, მისთვის თავის დადება ბრძოლის ველზედ მტრის წინააღმდგომ „დანაშაულია“, გამცემლობა სამშობლოსი, ერთობ ყოველი შინაგამცემლობა, — „იდეურობა“, მოქალაქეობრივი სათნოებაა. მლიქვნელობა სარწმუნოების ადგილს იჭერს, და ასე დაუსრულებლად! — სადიზმი, ადამიანის წვალება, კვლა, დამონება, მოსპობა მისი პიროვნებისა, სახლისა, ქონებისა სახელმწიფო ფუნქციად იქცევა, და ასე დაუსრულებლად. ხოლო როდესაც განიცლის კრიზისი, თუ მას გადურჩა ერი ან კულტურული სფერო და შემპყრობმა სენმა ბოლო არ მოუღო თვით არსებობას მათსა, გამრთელებული ჯიში მათი კვლავ პოულობს მის ბუნებაში დასაბამითგან ჩანერგულ სულიერ თვისებათ და კვლავ მათ შესაბამად აზროვნებს, ხედავს და განიცდის და განცვიფრებით შესცქერის მისი სნეულობის დროს შექმნილ იმ საშინელებათ, რომელთაც „ახალ, მოდერნულ მიმართულებათა“ სახელი ეწოდებოდა. ბოროტი და უშვერი კვლავ ბოროტად და უშვერად იქცევა, კეთილი და მშვენიერი კვლავ კეთილად და მშვენიერად: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია,“ — მარად მებრძოლი და ბოლოს დამამარცხებელი ბოროტისა, სანამ ცოცხლობს თვით ის ჯიში ადამიანისა, რომელსაც აქვს თვისი შეგნება კეთილისა და ბოროტისა, ვითარცა უმაღლესსა და უკეთილშობილესსა.

თუ მრავალ მიზეზთა გამო ჯიში გადაგვარდა ან კნინ უმცირესობად გახდა ერის წიაღში, ან მოისპო, მაშინ ერის კულტურაც გადაგვარდება, კნინდება, ან მთლად ისპობა. რომის ისტორიის დასასრულს კეთილშობილი, მაგარი და შემოქმედი ჯიში რომაელთა გადაგვარებული და შემცირებული იყო. ერის მასა მრავალ სხვადასხვა, აზიიდან და აფრიკიდან შემოპრილ ჯიშთაგან შედ-

გებოდა ხოლო ევროპიდან შემოსული ელემენტები სხვა, უფრო კეთილშობილი ჯიშისა ოდნავ აცხოვრებდა სულიერად რომის ეროვნულ ორგანიზმს. ამიტომ რომის კულტურაც დაეცა, ხოლო თვით იმპერიაც დაინგრა. იტალიას დაეპატრონენ გერმანელები. და თუ დიდი ხნის შემდეგ კვლავ შეიქმნა იტალიის ნიადაგზედ ახალი კულტურა, უფრო დიდი ვიდრე ძველი რომაული იყო, ამისი შემოქმედი იყო საუკუნეთა განმავლობაში შექმნილი ახალი ჯიში, წარმოშობილი გერმანელთა სისხლის ეხვად შერევისაგან ადგილობრივ იტალიურთან. ამ ჯიშის ადამიანები იყვნენ შემქმნელნი ე. წ. აღორძინების კულტურისა შემდეგ ყველგან დასავლეთ ევროპაში, მონათესავე ჯიშთა მიერ შექმნილი კულტურის წინამორბედისა. დანტე და მის შემდეგ მოქმედნი გენიოსნი აღორძინებისა ამ ახალი იტალიური ჯიშის კაცები იყვნენ, რომელთაც ვერც მრთელი რომის „დიდნი“ შეედრებოდენ გენიოსობით. — და, ყურადსაღებია, რომ აღორძინების შემდგომი დროის იტალიის კულტურა დაკნინდა აღორძინების კულტურასთან შედარებით, — მართლსაჩინოდ იმიტომ რომ შემოქმედებითი ენერგია იტალიის ახალი ჯიშისა შემცირდა, რადგანაც თვით ჯიში კვლავ გაიქნა მდარე ჯიშთა მასაში და დაკნინდა, ან მდარესთან შეჯვარადინებით დაჰკარგა მან პირველყოფილნი თვისებანი.

გადაგვარების გზაზედ დამდგარ ბერძენთა ჯიშს არ ღირსებია ისეთი განახლება ახალი კეთილშობილი სისხლით, რაგვარც წილად ხვდა გადაგვარებული ჯიშს რომაელთა. შემოსეული უცხო ჯიშის ეთნიური ელემენტები თვით საბერძნეთში და არსებული, დიდი ღირებულების არა მქონე, მცირე აზიაში ვერ შექმნიდენ ახალს ჯიშს ბერძენთა, დიდი შემოქმედებითი ნიჭის მქონეს., და ამიტომ ბერძენთა კულტურა ბიზანტიური დროისა ვერც ანტიკურს ბერძნულს შეედრებოდა და მისი აღორძინებაც მე-12-ე ს.-ში ოდნავაც ვერ მოგვაგონებს იტალიის კულტურის აღორძინებას მე-15-ე ს.-ისა. საბერძნეთში თითქოს კიდევ „ბრწყინავდა“ ანტიკა, მაგრამ ეს უფრო ღეჭვა იყო ძველისა, და შედარებით ძველ წარმართულთან **საშუალო ღირებულების** მქონე იყო ახალი, ქრისტიანულ-ბიზანტიური კულტურა. ბიზანტიაში პლატონი აღარ სიბრძნისმეტყველებდა, არამედ მისნი წამბაძველნი, აქ ჰომეროსი, პინდარი, სოფოკლე და სხვ. ვეღარ გაჩნდებოდენ, არამედ მხატვრული მწერლობა ბიზანტიისა სრულ არარაობად იქცა. ვერც მისი ხუროთმოძღვრების ძეგლნი, თუმცა რაოდენიმე გამონაკლისი დიდი ღირებულებისაა, გვაგონებენ ძველ ბერძენთა გენიოსობას ამ დარგში კულტურული შემოქმედებისა, და სხვ.. არც მხატვრობა ბიზანტიისა არის შესადარებელი იტალიის მხატვრობასთან აღორძინების დროისა. ერთობ ბიზანტიის კულტურა დიად საშუალო ღირებულებისაა, მისი ისტორიული მეცნიერებისა და ღვთისმეტყველება — ფილოსოფიის მწერლობაც რომ „დიდად“ დავაფასოთ. აქ ვერ ვხედავთ ვერც ძველ გენიოსებს აზრისა და ხელოვნებისა და ვერც ახლებს, — დანტეს, ლეონარდოს, მიქელანჯელოს, რაფაელს, გალილეის და სხვათა. და ეს იმიტომ, რომ შემოქმედი აქ ის ბერძენი აღარ იყო, რომელიც ძველად ქმნიდა და არც ახალი ბერძენი წარმოშობილა, განახლებული, კეთილშობილი სისხლით, ახალი შემოქმედებითი ენერგიის მქონე. და სწორედ იმ დროს, როდესაც იტალიის კულტურა აღორძინების მწვერვალს აღწევდა, სრულიად დამპალი ბიზანტია დაეცა, დაინთქა, ჩაუვარდა მონად ხელში ისეთი ჯიშის ხალხს, რომელსაც აღორძინებ შეუქმნია ღირებულების მქონე. კულ-

ტურა, რომელსაც სხვისაგან „მიღებაც“ და მიღებულის ეროვნულად გარდაქმნაც არ შეეძლო, არა თუ განახლება დაპყრობილი ხალხის კულტურისა. ან მისი ჯიშისა, რომელიც შესძლებდა ახალი კულტურის შექმნას. — რაც დარჩა ბიზანტიისაგან, ახალი საბერძნეთი, პატივი და დიდება მას, მაგრამ მან აგრეთვე თვით იცის, რომ აღარც მის ნიადაგზედ ცხოვრობს და მოქმედებს ძველი ბერძენი, არამედ ახალი, ახალი ჯიშის, რომელსაც სახელი აქვს მხოლოდ ძველი, ხოლო საუბედურად არა ძველი შეუდარებელი შემოქმედებითი ნიჭი და ენერგია. — თვალსაჩინოა: ჯიშ-დაკარგული საბერძნეთის ქრისტიანულმა კულტურამ თვისი ღირებულებით ვეროდეს მიაღწია ძველი, წარმართ ბერძენთა კულტურის სიმაღლეს, ხოლო ჯიშ-განახლებული იტალიის ქრისტიანულიკე კულტურა — ძველი, წარმართ რომაელთა კულტურის უმაღლესი გახდა.

მდარე ჯიშთა მასაში გაქნილი „ეთილშობილი ჯიში არიელ სპარსთა დღეს შემოქმედების ნიჭის მქონე აღარ არის: სპარსეთის კულტურა შორითგანდა სხივოსნობს და მცირედ-ღა შერჩენია კიდეე იგივე ნიჭი ინდოეთის არიელთ, რომელნიც აგრეთვე გაქნილნი არიან ინდოეთის სხვა ჯიშთა მასაში, ძველად ფასდაუდებელ კულტურულ ღირებულებათა შემქმნელნი.

ყოველმა დიდმა რევოლუციამ, მომხდარმა ღრმა მიზეზთა გამო, აუცილებლობით, უნდა მისცეს ერს ახალი ძველის, დრომოქმულის ნაცვლად, რაც საჭიროა, მაგრამ როდესაც სიღრმითგან მის ზედაპირს ამოსრული მდარე ჯიშის მასები და მათი მეთაურები სპობენ შემოქმედ ჯიშს ერისა, „კლასთა ბრძოლაში“ შექმნილი შურის ძიებით და სხვ., ეს ჯიშთა ბრძოლაა, ინსტინქტური, და ამ ბრძოლაში მოკვლა იმ ჯიშისა, რომელსაც საუკუნეთა განმავლობაში ხელმძღვანელობა გაუწევია ერისათვის, პოლიტიკური და სხვაგვარიც, და შეუქმნია მისი კულტურული სიდიადე. იგივე ჯიში ახალ პირობებშიც გაუწევს ერს იმავე სამსახურს, რომელიც მას მუდამ გაუწევია, ხოლო მისი მოსპობით რევოლუცია ხშირად ათასჯერ შეტს აკლებს ერს, ვიდრე ანაჭებს.

ამის მაგალითები ბევრია. აქ არ არის საჭირო მათი ჩამოთვლა. ხოლო რა იქნება ამ მხრით თვით რუსეთში, სადაც ბოლშევიზმი ოცდათვრამეტი წლის განმავლობაში ანადგურებს რუსის ხალხის იმ ჯიშს, რომელმაც შექმნა საკვირველ მოკლე დროში რუსის ერის კულტურა, არ ვიცით. ყოველ შემთხვევაში გაჩნდება ახალი რუსეთი, რომელიც არ იქნება ძველი რამ, — გაჩნდება ახალი შემადგენლობა ჯიშთა, რომელთა რიცხვი და მრავალფეროვნება დიდია რუსეთის ნიადაგზედ და რომელთა სრული მოსპობა თვით ბოლშევიზმსაც არ ძალუძს.

დასავლეთი ევროპის ერთა ჯიშები ძლიერ ვნებულია მრავალ ომთა და რევოლუციათაგან. აქ დღეს საფრთხეშია მთელი შემოქმედებითი ნიჭის მქონე რეზერვი ადამიანთა. ევროპიელის სულიც დასნეულებულია. ტექნიკის გარდა აღარავითარი გენიოსურის შექმნა მას აღარ ძალუძს, არამედ მრავლად ყოველივე გადაგვარებულისა და გადარეულისა. ევროპის „კაცობრიობას“ წინ-უძს შექმნა ახალი კულტურისა, ნაცვლად ძველისა, რომელიც აღარ გაცოცხლდება, მაგრამ იგი თვისი დაუძლურებით „ევრაზიის“ მიერ შთანთქმის საფრთხის წინაშე დგას. შთაინთქმის იგი, მაშინ მის კულტურას სულ სხვა სახე მიეცემა. შექმნილი შერეულ ახალ ჯიშთაგან. ხოლო რა სახე მიეცემა ერთობ კულტურას ადამიანთა, როდესაც ეს ახალი პერიოდიც განივლის, ამისი თქმა არვის ძალუძს: სულ სხვა ჯიშები სულ...სხვა კულტურას შექმნიან,- განსხვავებულს ევროპიული ან ევროპა-ევრაზიულ კულტურისაგან. ევროპის ერებმა „მეზობლის წახ-

ფენია" პოლიტიკით ურთიერთი გაასაპყრეს. გერმანული სისხლის ხალხებმა ნათესავ ჯიშთა 15 მილიონზედ მეტი გერმანელობა ამოაწყვეტინეს და ააყრეინეს ოჯახებს და ქათ ძობათესავეთ და მისი მიწა-წყალი მის მეზობლებს მისცეს, ხოლო რუსი გერმანიის, ე. ი. ევროპის შუა-გულში დაამკვიდრეს. ამით თვითონ თავიც „წყაიდიანეს". ჰხედავენ საფრთხეს, მაგრამ ძნელად, ძლიერ ძნელად ჩანს ძალი თავითგან აცდენა: უკუაგდებენ „აღმოსავლეთს," — იგი ყველა მოვალეობა დაეკადება „დასავლეთს" შთანთქმით, ხოლო თუ ვერ შესძლებენ ამის უკუგდებას, კატასტროფა „დასავლეთისა" მით უფრო ადრეა მოსალოდნელი. ორივე შემთხვევაში „აღმოსავლეთი" სულიერად ხრწნის „დასავლეთის" ერთა სხეულებს, დაავადებულს, დასნეულებულს. და მას ვერ უშველის ვერც დემოკრატია, ვერც სოციალიზმი, ვერც „ევროპის ერთობის" ღაღადისი, ვერც პოლიტიკა და დიპლომატია, ვერც ქრისტიანობა და ვერც სხვა რამ, და ვერც ატომისა და წყალბადის ყუმბარები: ესე ყოველი „აღმოსავლეთსაც" აქვს, — საპუტრელები, ზოგი უკეთ ხმარებულიც მის მიერ, ვიდრე „დასავლეთის" მიერ. — ერთადერთ საშუალებად ევროპის ერთა და მათი კულტურის ხსნისა, — თუ ეს უკვე გვიან არ არის, — შეიძლება გახდეს გაღვიძება მათ ჯიშთა შორის სისხლის ერთობის, ნათესაობის გრძნობისა და აქეთგან სახის შენახვის საჭიროების შეგნება. ეს უნდა მოხდეს ევროპის ერთა ყველა ჯიშთა შორის, განსაკუთრებით გერმანული სისხლის ჯიშთა შორის, რაოდენადაც იგინი ჯერ არ გადაგვარებულან. ნურას ვიტყვით იმ სიბეცეზედ, რომლითაც მოსპო „რაიხი", საუკუნეთა განმავლობაში ევროპის დამცველი „აღმოსავლეთის" წინააღმდეგ და ამით შესაძლებელ-მყოფელი არა თუ გერმანიის ერის, არამედ ეთელი დასავლეთი ევროპის კულტურის არსებობისა და ზრდისა. თვით გერმანიის სხვა და სხვა ტომებს არ აქვსთ შეგნება ერთი სისხლისა, და დღეს სამხრეთ გერმანიაში მრავალი მოიპოვება, ფრიად განათლებულიც კი, რომელსაც „ღორ-პრუსიელთა" აღარ ყოფნა უხარის! — ხოლო ამ სისხლის ერთობისა და ნათესაობის გრძნობის გაღვიძება და მისი შეგნების დიდ იდეურ ძალად ქცევა დიდ წინასწარმეტყველთა საქმეა, რომელნიც უნდა აღდგენ ევროპის ერთა შორის. წინასწარმეტყველთა გამოჩენა კი იშვიათად ხდება, შეიძლება ღმერთმაც აღარ გამოგზავნოს ისინი, რათგანაც იცის ყოველად სახიერმა, რომ მრავალი მისგან მოვლენილი მისი კაცთმოყვარეობით კაცთ მოძულეთ ჯვარს აცვეს. — ამასობაში კი „ევრაზიის" ვეშაპს პირი აქვს გაღებული და ემზადება „დასავლეთის," მისთვის „დამპალი ლეშის" ჩასანთქმელად!..

„ქართული ჯიში", ზოგთაგან გადაჭარბებით ნაქები, ზოგთაგან უსინდისოდ ძაგებული, კულტურის შემოქმედ ჯიშთა შორის დაბალი ღირსებისა არ იყო. რაც მან შექმნა ძლიერ არახელისშემწყობ პირობებში, იმაზედ მეტს ბევრი სხვა ვერ შექმნიდა. — მონღოლთა შემოსევამ და ხანგრძლივმა მძლავრობამ იგი დააკნინა, შეამცირა, და წარსტაცა მას დრო და მოცალეობა კულტურული შემოქმედებისათვის. — მეხუთმეტე საუკუნითგან იწყება საქართველოს დიდ ნაწილთა სრული განადგურება, მოსპობა იქ ქართული მოსახლეობისა, ქართული ჯიშისა, განსაკუთრებით სამხრეთ საქართველოში, სადაც უმეტესად ყველა მის კუთხეთა იქმნებოდა და იზრდებოდა ქართული კულტურა. არ დასცალდა საქართველოს განეცადა ნათელი იტალიის, ერთობ დასავლეთ ევროპის „აღორძინებისა", რომ თვით იგი მსგავსადვე აღორძინებულიყო. კლასიკური საქართველოს კულტურამ ისეთი სახე მიიღო, რომ იგი ბიზანტიის სფეროთგან უნდა გამოსულიყო და აუცილებლად უნდა შესული-

ყო დასავლეთი ევროპის სფეროში. „აღმოსავლეთმა“ ეს მისთვის შეუძლებელ ჰყო და რასაც ჩვენ ქართულ „აღორძინებას“ ვუწოდებთ, ის არ იყო ნამდვილი აღორძინება, არამედ **კიდევ ერთი გვიანდელი ცდა** დაკნინებული ქართული ჯიშისა რაიმე „ქართული“ შეექმნა. ხოლო რა გვაქვს ვითარცა ნაყოფი ამ ცდისა გარდა სულხან-საბა-ორბელიანის, დავით გურამიშვილის და ბესიკის შემოქმედებისა და სხვათა ნაღვაწისა, რაიცა დიაღ ფრიად მცირე იქნებოდა იმასთან შედარებით, რასაც ქართული ჯიში შექმნიდა მეთორმეტე საუკუნის შემდეგ, რომ „აღმოსავლეთის“ რისხვა არ დატყდომოდა თავს უბედო საქართველოს! — მეცხრამეტე საუკუნეში რუსეთმა მოსპო საქართველოს სახელმწიფო და ყველა ეროვნული დაწესებულება მისი. მაგრამ ქართველმა ერმა მოისვენა აღმოსავლეთის შემოსევათაგან და ხალხის ფიზიკურ განადგურებათაგან. და მოხდა სრულიად ბუნებრივი რამ; ქართული ჯიში კვლავ გამრავლდა და გამაგრდა და მისი შემოქმედების ნაყოფი უძნელეს პირობებში ერის პოლიტიკური მონობისა იყო მეცხრამეტე საუკუნის და შემდეგი დროის ახალი ქართული კულტურა. მარტო მწერლობა რომ ავიღოთ ამ დროისა, ის გვაძლევს წარმოდგენას ქართული ჯიშის შემოქმედებით ნიჭზედ: გრიგოლ ორბელიანი, ნიკოლოზ ბარათაშვილი, შემდეგ ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, შემდეგ გრიგოლ რობაქიძე... ეს სიტყვის დიდ მოქმედთა ისეთი რიგია, რომლით წარდგომა დიდ კულტურულ ერთა წინაშეც საქართველოს ამაყად შეუძლია. — ხოლო დღეს ქართველი ერი უარეს მდგომარეობაშია ვიდრე იყო წინათ აღმოსავლეთის მძლავრობის დროს, — იგი ვეშაპის მიერ არის შთანთქმული; და თუ ოდესმე მას ეღირსა რაიმე „სასწაულით“ მისი გაუმაძღარი, მუცლითგან გამოსვლა, მისი მომავალი შემოქმედება **იმდენად** იქნება შესაძლებელი და ნაყოფიერი, **რაოდენადაც** დარჩება მის მიწაზედ ქართველთა მოსახლეობა და ქართული ჯიში მთელი, მაგარი, არა დაკნინებული და შემცირებული. —

და ყოველი კულტურული ერის წიაღში შეგვიძლია ვიხილოთ განსაკუთრებული ჯიში, ყოველთვის ნარევი, რომელიც ჰქმნის განსაზღვრულ პირობებში და გარემოცულობაში მის კულტურას. მოისპობა ეს ჯიში მისი ფიზიკური განადგურებით ან მისი გადაგვარებით სხვა და სხვა მიზეზთა გამო, მოისპობა შემოქმედებაც ერისა. დაკნინდება და შემცირდება ჯიში, დაკნინდება და დაეცემა კულტურაც ერისა, — ერი დიდს ვეღარას შექმნის: რა გვაქვს დანატოვარი „დიდი“ მაგ. ბიზანტიისაგან გარდა ჰაგია-სოფიისა და **„კორპუს იურის“**-ისა, ან „მართლმადიდებლობისა“?... — ერში არსებული ჯიშია აგრეთვე, სხვა ერთა კულტურას რომ ითვისებს და გარდაქმნის ეროვნულად და შემდეგ სხვა ერთაც, თვით მათაც, ვისგანაც მას რაიმე შეუთვისებია, აძლევს მეტსაც, ვიდრე მათგან მიუღია. ხოლო ისეთნი ერნიც არიან, რომელნიც ვერც თვით ჰქმნიან თავისებურ კულტურას და სხვათ ვერაფერს მისცემენ ღირებულების მქონეს, და ვერც სხვათაგან შეთვისებულს გარდაქმნიან ეროვნულად, ვერავითარ პირობებში და ვერავითარ გარემოცულობაში, რათგანაც **მათ წიაღში არ მოიპოვება შემოქმედებითი ნიჭის მქონე ჯიში.** საბედნიეროდ რიცხვი ასეთ ერთა მცირეა, ხოლო საუბედუროდ ვნება მათგან მიყენებული ადამიანთა კულტურისათვის, სხვა, შემოქმედებითი ნიჭის მქონე ერთა განადგურებით, ხშირად დიდი ყოფილა, არის დღესაც და იქნება მუდამ...

მიხ. წერეთლის სიტყვა წარმოთქმული ილია ჭავჭავაძის ტფილისში ჩამოსვენებისას 7 სექტემბერს 1907 წ.[1]

მამულიშვილნო!

„ვინა თქვა საქართველოზედ, რა დიდი ლომი კვდებაო!“ — ბევრმა რამ და ბევრმა ვინმე! ყოფილან ჩვენ ისტორიაში შავნი დრონი, როდესაც თავზარდამცემნი სიტყვანი — საქართველოს დიდი ლომი კვდება, — სიმართლედ მოგვეჩვენებია, ეჰვს შეუპყრია მთელი საქართველოს გონება, მართლა ხომ არ წახდა საქართველო საუკუნოდ! იყო ერთი, უკანასკნელი შავი დრო, ოდეს საქართველოს ლომი პოლიტიკურად მოკვდა, დამარხა რა თვისივე ხელით თვისი საკუთარი თავისუფლება, დამოუკიდებლობა და შემდეგ, მთელი ასი წლის განმავლობაში, მთელი მისი არსება მომაკვდავი სულსა ღაფავდა. — მაგრამ ამ შავ დროებზედ უფრო მეტერმეტყველურად, უფრო მედგრად და უფრო კაცნიერად ილია ჭავჭავაძის მკვლელებმა ჩამოგვძახეს ყურში მთელ საქართველოს, — საქართველო, ეს დიდი ლომი, მართლაც მოკვდა, — მოკვდა ზნეობრივად, და ეს სიკვდილი მისი საუკეთესო ძის, მისი დიდების ვერაგულად მოკვლით გამოიხატა!

ერთ დროს ჩვენც ვიყავით ერი, ჩვენც შევადგენდით კაცობრიობის ნაწილს, ჩვენც გვქონდა ფასი და ხალხს გვეძახდენ. ჩვენი კულტურა, — ჩვენი მწერლობა და მწიგნობრობა, მეცნიერება, სიტყვა-კაზმული ლიტერატურა და სხვა, — ჩვენი საზოგადოებრივი სიძლიერე, — განთქმული იყო არა მარტო კავკასიაში, არამედ კავკასიის გარეშეც. ჩვენი, „გურჯისტანის“ სიძლიერე თავზარსა სცემდა ირგვლივ-მომდგარ მრავალ მტერს, და ჩვენც ვიცავდით ჩვენს თავისუფლებას, მიწა-წყალსა და კულტურას.

მე-IX-XII საუკუნეებში საქართველო სიმდიდრით, სულითა და გონებით გაბრწყინებული იყო, საქართველოს მდიდარმა კულტურამ, ქართულმა ძლიერმა ენამ წარმოშვა ჩანგი რუსთველისა და, სიცოცხლით სავსენი, ჩვენცა ვცდილობდით საშვილიშვილოდ განგვემტკიცებია ეს ჩვენი სულიერი და ნივთიერი სიძლიერე.

მაგრამ ველარ გავუძელით მრავალ-რიცხოვან მტერს, რომელიც ყოველი მხრით გარს გვესია. ვიბრძოლეთ საუკუნეთა განმავლობაში ბრძოლის ველზედ, მაგრამ მთელი აზიის ურდოებს გაკაკებული საქართველოც ვერ გაუძლებდა, და ჩვენც ვიწყეთ ნელ-ნელა დაკარგვა იმ დიადი საუნჯისა, რომელიც მთელმა ერმა შეპკრიბა თავისი შემოქმედებით ქამთა ვითარებაში.

აღმოსავლეთით, დასავლეთით და განსაკუთრებით სამხრეთით მოგვადგა აუარებელი მტერი, მოგვწყვიტა საუკეთესო განათლებული ქვეყნები, შთანთქა ყოველი თავის ველურობის და განადგურების ზღვაში და შეამოკლა, შეასუსტა საქართველოს სიცოცხლე.

მაგრამ მაინც ვიბრძოდით და რაღაც იმედით აღსავსენი დანარჩენ ჩვენ დიდებას, მიწა-წყალსა და კულტურას მაინც ვირჩენდით. ასე მომდინარეობდა ჩვენი ისტორია მეთვრამეტე საუკუნის დამლევამდე, და ეს ისტორია ერთი ხანგრძლივი, საუკუნოებითი წამება იყო ქართველი ერისა, ჩვენი მუდმივი ეჭვი იყო, — საქართველოს დიდმა ლომმა მტრის შიშის ზარის დამცემი ღრიალი შესწყვიტა?

---

[1] ბედი ქართლისა, 1952 წ. მაისი, № 12.

დასუსტებულებმა, დამცირებულებმა და შინაური უთანხმოებითა და მტრობით დაღლილებმა მოვახწიეთ მე-XIX საუკუნის კარამდე. იმდენი სულიერი ძალაც აღარ შეგვწევდა, რომ სურვილი, ძველებური ვაუკაცური ფოლადის სურვილი მაინც შეგვრჩენოდა ბრძოლის განგრძობისა.

თუმცა მთელი საქართველო შეიძრა, ოდეს სცნა სურვილი ერეკლე მეფისა, საქართველო რუსეთისათვის გადაეცა, თუმცა საქართველოშიც გამოჩნდნენ დემოსთენები, რომელთაც სურდათ განეხორციელებიათ დიდი ხნის იდეალი საქართველოს კვლავ გაერთიანებისა, მაგრამ „ირაკლის დიდი ხანია გადაეწყვიტა ბედი ქართლისა", — და არა მარტო ირაკლის, არამედ მთელ მაშინდელ თავად-აზნაურობას, რომელიც განაგებდა საქართველოს ბედ-იღბალს, — და საქართველომაც თავისი ხელით გამოიქრა ყელი რუსეთის ტახტის წინაშე. მთელი ჩვენი პოლიტიკური უზნეობა, მთელი ჩვენი სულიერი დაღლილობა მაშინ გამოჩნდა. არავითარი პროტესტი ხალხის მხრივ, არავითარი ძახილი „ქართველო ხელი ხმალს იკარ!" — გარდა თავ-განწირულ ბატონიშვილთა, რომელთაც ჩვენი უპირველესი თავადები მგლებივით დასდევდენ დასაპერად. ხოლო როდესაც დამკვიდრდა რუსის მთავრობა ჩვენში და შეუდგა ჩვენი ცხოვრების განადგურებას სკვითური ვერაგობით, მაშინ იკბინა ხალხმა თითზედ, მაშინ მისწვდენ ხმალს, მაგრამ გვიანლა იყო, და იმ დიდმა და პატარა აჯანყებებმა, რომლითაც სავსეა მე-XIX საუკუნის ჩვენი ისტორია, ვეღარ განდევნა ძლიერი მტერი, რომელიც მთელი თვისი უკულტურობითა და ველურობით დაგვაწვა თავზედ.

ჩქარი ნაბიჯით მთელი საქართველო ბრწყინვალე კულტურიდან გაველურებამდის, სრულ დეკადანსამდის ჩამოეშვა მე-XIX საუკუნეში, მაშინ როდესაც სხვა დამოუკიდებელი ერები, ან ის ერები, რომლებმაც მოასწრეს მტრის კლანჭებიდან თავის დახწევა, წინ მიდიოდენ და მე-XIX საუკუნის ბრწყინვალე შემოქმედებაში მონაწილეობას იღებდენ.

მე-XIX საუკუნის პირველ ნახევარში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ჩვენში აჯანყებამ უნაყოფოდ ჩაიარა და საქართველოს უფრო მეტი განადგურებით გათავდა, ჩვენი დალაჩრება უმწვერვალესი ხარისხისა იყო. ჩინმენდლებით შეიმოსა მთელი ბრწყინვალე წოდება. ინტელიგენცია თითქმის სულ არ იყო, და ჩვენი მწერლობა ოდნავღა ბეუტავდა, ისევ იმ ჩინოსანთა კალმის ქვეშ თუმცა გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანებმა, ნიკოლოზ ბარათაშვილმა და სხვებმა დიადი, გენიოსური შემოქმედებითი ნიჭი გამოიჩინეს, ენის სიმდიდრე, ჩვენი ენის საუნჯე თვალ-წინ გარდაგვიშალეს, მაგრამ მათ მაინც ვერ შეჰქმნეს ეპოქა ჩვენს ლიტერატურაში. შემოქმედება მათი სიდიდით ვერ იყო ძლიერი, ამას ჩვენი დაბეჩავებული ცხოვრებაც ვერ უწყობდა ხელს, — და ამიტომაც ისინი ჩვენი ახალი მწერლობის წინამორბედებად უნდა ჩაითვალონ მხოლოდ, და არა შემოქმედებად.

მაგრამ დადგა მესამოცე წლები, ის ხანა, როდესაც ბარბაროსულმა რუსეთმაც გაიღვიძა, რათგან მთელმა კაცობრიობამ ამირანისებური სიძლიერით დიდი ნაბიჯი წარსდგა წინ, და ჩვენს ქვეყანასაც მოხვდა ამ საყოველთაოდ აღელვებული ზღვის ტალღები. ჩვენი ცხოვრებაც შეიძრა, შეტოკდა, და ამ ახალ მოძრაობას თავისნი გამომხატველნი უნდა გაჩენოდენ, გაუჩნდენ კიდეც. ჩვენშიც დაიბადენ: აკაკი წერეთელი, სერგი მესხი, ნიკო ნიკოლაძე, ილია ჭავჭავაძე, გიორგი წერეთელი და სხვანი და ამათ იკისრეს ხელმძღვანელობა ჩვენი ცხოვრებისა. აღორძინდა ჩვენი ლიტერატურა, აყვავდა ჩვენი

პოეზია, გაჩნდა პუბლიცისტიკა. გაჩნდა ახალი წესები ლიტერატურული შემოქმედებისა, — და ჩვენც ცოტათი მაინც გაეერიეთ კაცობრიობაში ამ მწერალთა და მოღვაწეთა წყალობით. და სწორედ ილია ჭავჭავაძე იყო პირველი იმათ შორის, — ჩვენი საუკეთესო პოეტი, რომანისტი, პუბლიცისტი ეკონომისტი, ასე გასინჯეთ სოციოლოგიც.

ენა მკვდარი და მხოლოდ რაოდენიმე „წინამორბედთა“ პირში მეტყველი, ენა მდიდარი, მაშინ დაკარგული ჩვენი ერის „განათლებულთა მიერ“ ისე ლაჩრულად, რომ ლაპარაკსაც აღარ კადრულობდენ ქართულად, ენა, რომელიც ათასი წლობით შეევინახეთ და შავთა დროთაც ვერ გადაგვავიწყეს, აღადგინეს, ზემოხსენებულმა საქართველოს შვილებმა, და ილია ჭავჭავაძე პირველი იყო, რომლის პირისაგან მოგვესმენ მძლავრ ქართულად ნათქვამნი, სამაგალითონი, უმშვენიერესნი თხზულებანი მისნი.

ჩვენ ქვეყანას ათასი გასაჭირი ადგა, კაცი არავინ იყო ხმის ამომღები ყველა საჭირბოროტო საკითხებზედ, და ილია პირველი იყო, რომ მეცნიერების იარაღით აღჭურვილი სწყვეტდა რთულ პრობლემებს ჩვენი ცხოვრებისა თავისებური სიღრმით და იმავე შვენიერი ენით, რომელიც მან გაგვაგონა თავის ლიტერატურულ ნაწარმოებებში. ილია იყო შეუდარებელი პუბლიცისტი, ილია იყო გლეხთა მუდმივი მეგობარი, და იგი ამ მეგობრობას ხატავდა როგორც „გლახის ნაამბობში“, „ოთარაანთ ქვრივში“, ისე ბატონ-ყმობის, მონობის წყეულ-კრულვაში და გმობაში, — როგორც საჯარო კრებებზედ, ისე თავის პუბლიცისტურ ნაწარმოებებში. იგი მუდმივი დამცველი იყო შრომის ინტერესებისა, და მაშინ როდესაც საუკეთესო დემოკრატებიც კი მთელი ევროპისა პარიზის კომუნას უშვერად, ურცხვად და ცინიკურად იხსენიებდენ, — ილია მის დამცველად, მისი დიდების ქართულ ჩანგზედ მომღერლად გამოვიდა ჩვენში. ეს რა არის, — თვით სოციალიზმის პრინციპებიც კი არის გატარებული მის მრავალ თხზულებაში. „შრომის ახსნა“, — აი რა იყო ილიას იდეალი.

საქართველოს დაბეჩავებულ საზოგადოებას ორგანონი ეჭირვებოდეს, ილია ჭავჭავაძე იყო სწორედ ის ადამიანი, რომელსაც უდიდესი ღვაწლი მიუძღვის მათ შექმნაში და მათში მუშაობით. მარტო ბანკში და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში რამდენი ენერგია ჩაჰკლა ილია ჭავჭავაძემ ქართული საზოგადოების აღსაღორძინებლად, სამაგალითოა და განსაცვიფრებელი, თუ დაუკვირდება ადამიანი და ღირსეულად დააფასებს ილიას შრომასა და ღვაწლს.

დიალ, ილია ყოველმხრივი მოღვაწეობით გაცილებით მაღლა იდგა ყველა თავის თანამედროვეებზე და თანამოღვაწეებზედ, — თავისი მრავალ-ფეროვანი ნიჭითა და ყოველმხრივი შემოქმედებით.

მაგრამ მე ილიას უწინარეს ყოვლისა ვაფასებ როგორც მამულიშვილს. ის იყო მართლაც საქართველოს გუშაგი მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში. გრიგოლ ორბელიანი ამბობდა ძველ ქართველ ვაჟკაცებზედ: „ვაი მას მტერსა, ვის ანუ, კლდენი, ან ტყეთა სიღრმე არ დაჰფარავიდნენ, ვითარ შურდულებრ მტრედთ შევარდენნი მიესევოდნენ და შემუსრვიდნენო!“ ილია სწორედ ასეთი მამულიშვილი იყო ჩვენ მიერ ლაჩრობრივ ცხოვრებაში. ვაი მას მტერსა, ვის ანუ ბოდიში, ანუ იეზუიტობა არ დაჰფარავდა, — ვით ვეფხვი ილია მივარდებოდა მას და შემუსრვიდა თავისი ცოდნით, ლოგიკით და, — რაც უფრო ძლიერია, — სიმართლით, რათგანაც ილიას არა ჰქონდა ჩვეულე-

ბად მტერს გამოჰკამათებოდა, თუ მის სიტყვებში სიმართლესა ჰხედავდა. განსაკუთრებული რისხვით ილია მოეელინებოდა ხოლმე შინაურს მტერს, რომელიც ცხვრის ტყავში გამოხვეული შინ იეზუიტობდა და თავს იკატუნებდა, გარეთ კი ლომობდა და საქართველოს გაბიაბრუებისათვის არაფერსა ზოგავდა. მტერისა შინა ყოლასა ლომისა გზასა ზედა წოლა სჯობიაო", იტყოდა ხოლმე ილია ძველ ვაჟკაცთა თქმულს, და მართლაც ვინ გაუძლებდა მის დიალექტიკას, მის შეუბრალებელ, მწარე დაცინვას და მძიმე მსჯელობას, რომელიც ვულკანის ჩაქუჩივით სცემდა თავში მტერს და მტვრად აქცევდა მის სუსტსა და იეზუიტურ არგუმენტებს. მასთანაც შეუდარებელი ორატორი, იგი იყო ჩვენი პირველი მამულიშვილი, მოქალაქეობრივი ვაჟკაცობით და სიბრძნით ჩვენი ციცერონი, „მამა ჩვენი სამშობლოისა". და აკი მისი ბედიც ხვდა წილად! ჰოი ისტორიავ, საკვირველ არიან საქმენი შენნი!..

და ეს ილია ბავჭავაძე, რომელიც შეუდარებელი პოეტი იყო, შეუდარებელი პუბლიცისტი და ჩვენი პირველი ეკონომისტი და სოციოლოგი, პირველი საზოგადო მოღვაწე, პირველი მამულიშვილი, რომელსაც ერთად-ერთსა ჰქონდა სული თავისუფალი სრული ადამიანისა იმდენ ლაჩართა და მონური სულის პატრონთა შორის, — ეს ილ. ჭავჭავაძე დღეს კუბოში დევს მთელი საქართველოს წინაშე, ქართველის ხელით განგმირული, ჩვენდა სასირცხოდ, სატირლად და სავალალოდ!

თურმე სულ ტყუილი ყოფილა ჩვენი იმედი, რომ ცოტათი მაინც წინ წავედით მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, სწორედ ისეთი კაცების წყალობით, როგორიც იყო ილია ჭავჭავაძე! სულ ტყუილი ყოფილა ჩვენი ზნეობრივი პროგრესსი, თურმე კიდე უფრო დაცემულ ვართ!

კაცი, რომლისათვისაც ერის ხანგრძლივი სამსახურისათვის იუბილე უნდა გადაგვეხადა, დაფნის გვირგვინით უნდა შეგვემკო მისი შუბლი, ტრიუმფით უნდა შემოგვეყვანა დამაშვრალი მცხოვანი ჩვენს სატახტო ქალაქში, ტყვიით გავგმირეთ, ეკლის გვირგვინი დავადგით, და მისი კუბო შემოვიტანეთ დღეს აქ, ჩვენდა საუკუნო შესარცხვენად!

ვაგლახ, ბედშავო საქართველო! ვინ რას იტყვის, რომ გაიგებს ჩვეხს ასეთს საქციელს, ვინ რას იტყვის, რომ გაიგებს, ვინ მოვკალით, ვინ დავმარხეთ ჩვენივე ხელით ტყვიით განგმირული! — საქართველოს ერი, ლაჩარი, ზნედაცემული, გახრწნილი, უგრძნობელი, რომელმაც მთლად დაჰკარგა კაცთა სახე, — აი ამ ერმა თვით მოჰკლა თავისი საუკეთესო ძე და ყოვლად უგვანონი, უმსგავსონი და სულელნი დაიტოვა თავისი ცხოვრების წინამძღოლებადაო, — აი რას იტყვიან! და მართლაც რას უნდა მოელოდეს ადამიანი იმ ერისაგან, რომელსაც მონური სილაჩრე შეჰპარვია, რომელიც ეს სამი წელიწადია გაჰყვირის ძლიერად, გაჰყვირის შავი ზღვის ნაპირებიდან დაღესტნის საზღვრებამდე — ძირს ჩვენი საკუთარი თავისუფლებაო!... მართლაც და „სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა, ერი ძაბუნი, ლაჩარი, მორჩილი თავის ბედისა. შავთა დროთ სრულად შესცვალეს მის გული ადამანტისა, აღარც მხნე, აღარც მღერალი, მოძულე თავის მიწისა", — და თავისი წარსულისა, თავისი კულტურისა, თავის საკუთარ შვილთა, რომელთაც შუბლში ტყვიით უმასპინძლდებიან!

ახლა რაღა უნდა ვქმნათ? — უპირველეს ყოვლისა მე არ ვეთანხმები აქ წარმოთქმულ სიტყვებს, — ილიას ხსოვნას „შურის ძიება არ ეკადრებაო!" კი ეკადრება! ამ სირცხვილს მხოლოდ შურის ძიებით გავაქარწყლებთ, შურის ძიება მთელი ერისა იმ უმსგავსოთა წინააღმდეგ, რომელთაც დღეს მთელი სა-

ქართველო ძაძით შემოსეს და მთელ ქვეყანაში გააბიაბრუეს, ერთად-ერთი საშუალებაა მთელი ერის გასამართლებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ყველანი დამნაშავენი ვიქმნებით ილიას წინაშე! ყოველივე სხვა ერი ჩვენს ალაგას ამასვე ჩაიდენდა. ჩვენი სიჩუმე ჩვენი ჰუმანური თვისების და ღიდსულოვნობის დამამტკიცებელი კი არ იქმნებოდა, არამედ ჩვენი სისუსტისა და გულგრილობისა!

მაგრამ ასეთი შურის ძიება ვერ დააკმაყოფილებს ჩვენს შეურაცხყოფილ თავმოყვარეობას. ჩვენ უნდა ყველამ ჩავინერგოთ გულში ის მცნებანი, რომელნიც ილიამ თავის თხზულებებში გაატარა და გვიანდერძა: სიყვარული საქართველოსი, იმ განყენებული „საქართველოსი", რომელიც აგრეთვე მისი თანამოღვაწის, აკაკის გულსაც მუდამ ატოკებდა, სიყვარული ჩვენი მიწა-წყლისა და მისი შენახვა, რაიცა ილიას აზრით უმთავრესი საშუალება იყო ჩვენი ერის სიცოცხლისა, სიყვარული ქართველი ხალხისა, რომლის გუშაგად მუდამ უნდა იდგეს ყოველი ჩვენგანი, რომლის უფლება არავის უნდა შევალახვინოთ, ისე, როგორც ილია არავის აძლევდა ამის ნებას. აი რა არის ილიას ნაანდერძევი. შევქმნათ ჩვენც ისეთი ქართული საზოგადოებრივი წრე, — საღი და ზნეობით ამაღლებული, რომელშიც შესაძლებელი აღარ იქმნება ასეთი დანაშაული, როგორსაც ახლა ვხედავთ. მხოლოდ ეს დაგვაკმაყოფილებს. ეს მოგვბანს მოცხებულ ჩირქს. ამით უკვდავვყოფთ ილიას ხსოვნას.

მაგრამ ამ დიად საქმეს ვინ იცის აღვასრულებთ თუ არა! ჯერ-ჯერობით კი ჩვენი დაცემა ილიას მოკვლაში გამოიხატება, ამ უსაშინელეს დანაშაულში, რომლის უუმსგავსოესიც კაცობრიობას არა უნახავს-რა. ვინ იცის. როგორი იქნება ჩვენი მომავალი, აწმყოში კი კარგი რაც იყო აი ამ კუბოში ასვენია, ჩვენ ხელთაგანვე დათრგუნვილი და შეგინებული! დაგვრჩა მხოლოდ სასოწარკვეთილება და ძლიერი ეჭვი ჩვენი მომავლისა!...

შენ კი, დიდებულო ადამიანო, ივერიის ტანჯულო ძევ, გვაპატიე აქ შეკრებილ სრულიად საქართველოს, რომ სწორედ იმ ადგილას მოგისპო სიცოცხლე ჩვენმა ზნეობით დაცემამ, სადაც შენ გულამოსკვნილი სტიროდი „ბედსა ქართლისასა", გვაპატიე, რომ შენს შუბლს ტყვია ვარგუნეთ წილად დიდების გვირგვინის მაგივრად, გვაპატიე, რომ ჩვენ ხატახტო ქალაქში ტრიუმფის მაგივრად სამგლოვიარო პროცესსია გაგიმართეთ! გვაპატიე, — ეს შეეფერება შენს დიდსულოვნობას! იქ, ზეგით, პოეტთა მიერ შემკულ, მდუმარე მთაწმიდაზედ განგისვენებთ, ჩვენ მცხოვან, ტანჯულ ისტორიულ დედაქალაქ თბილისს რომ ბატონობს იდუმალად! მაგრამ ვაგლახ ჩვენ, რომ „იქიდან ველარ გადმობიდავ შენსა სამშობლო მხარეს და ტკბილი ჭიკჭიკითა ველარ დაატკბობ მის არემარეს", ველარ იხილავ მომავალში შენსა ივერსა, „ფენიქსებრ განახლებულსა", თუ მომავალმა ეს ბედი კიდევ გვარგუნა, მაგრამ აწმყოში მაინც ბედნიერი იქმნები, — ველარ იხილავ აგრეთვე იმ ხიწითლეს სირცხვილისა, რომელიც აწ დაცემულმა ივერმა ჭამა შენი წამებითა და რომლის ჩირქსაც იგი დიდხანს ვერ ფოიბანს.

ილია ჭავჭავაძის მოკვლა[1]
(1907—1957)

ნახევარმა საუკუნემ განვლო მას აქეთ, რაც ილია ჭავჭავაძე მოიკლა ვერაგულად.

[1] ბედი ქართლისა, იელისი — 1957 წ. № 24—25.

ის მართლადაც „შავი დრო“, როდესაც უდიდესი ქართველი ტყვიით წაიქცეს, დასაწყისი იყო საქართველოს უკანასკნელი ტრაგედიისა.

რად იყო ილია ჭავჭავაძის მოკვლა ქართველი ერის ტრაგედია? იმიტომ რომ მან დაჰკარგა დიდი მწერალი და დიდი მოღვაწე? არა: ილიას თვისნი დიდნი საქმენი უკვე აღსრულებულნი ჰქონდენ, იგი უკვე მოხუცი იყო, საუკუნოდაც არავინ ცოცხლობს და ცხოვრების მიმწუხრს მოსალოდნელია ყველასათვის ამ სოფლითგან განსვლა. — იმიტომ რომ იგი ქართველთა ხელით მოიკლა? არა: უბედური შემთხვევის, ან მეკობრეთა თავდასხმის მსხვერპლი შეიძლება ყველა შეიქმნას, სულ ერთია ვინ არის დამნაშავე, უცხო თუ თანამემამულე მსხვერპლისა. — რად იყო ილიას მოკვლა დასაწყისი საქართველოს უკანასკნელი ტრაგედიისა? იმიტომ რომ იგი დღემდე გრძელდება და შეიძლება მართლადაც უკანასკნელი იყოს დღეს მოსაკლავად განწირული ქართველი ერისა.

აქ ნათლად უნდა ვხედავდეთ მიზეზს ამ საშინელი მოვლენისა, რომელიც ილიას მოკვლით დაიწყო, და არა ვაბრალოთ მკვლელობის დანაშაული მეკობრეთ, ან რუსის ჟანდარმთ, და ამით გავამარტივოთ რთული მოვლენა და სინიდისი დავიმშვიდოთ, — რომ ქართველ ერს ილიას მოკვლის დანაშაული არ მიუძღვის და სხვა.

ილია დაეცა იმ ბრძოლაში, რომელიც წარმოებდა საქართველოში ილიას ეროვნულ იდეოლოგიასა და უცხო, შორითგან შემოტანილ შარქსიზმს შორის. ამ უკანასკნელის „რეეოლუციონურმა“ სიმკაცრემ და დაუნდობლობამ იმსხვერპლა საქართველოს დიდი „წინასწარმეტყველი“, — მოვლენა, რომლის მსგავსი სხვაგანაც გვინახავს. ქართველ ერს კი არ მიუსჯია სიკვდილი თვისი „წინასწარმეტყველისათვის“, არამედ ვნება მას არგუნეს სასჯელად იმ უსჯულო სინიდისის ქართველთ, რომელთაც ერი არ სწამდა და ილიას მოკვლის თოთხმეტი წლის შემდეგ თვით მთელი ერი, მონობისაგან ახლად განთავისუფლებული, უცხო ძალებით შეიპყრეს, ჯვარს-აცვეს და დღემდე ჯვარზედ ჰყავთ გაკრული.

ილია ჭავჭავაძისთვის ერი ცოცხალი საზოგადოებრივი პიროვნება იყო, ერთი მრთელი რამ, რომლის ნაწილთა შორის ვერავითარი განსხვავება მას ვერ შლის და არც უნდა დაშალოს იგი. დასაბამითგან დღემდე ცხოვრება ქართველი ერისაც მუდამ ცვალებადი იყო, ხოლო თვით იგი იმავე პიროვნებად დარჩა. დროთა სრბოლაში, მისი ისტორიის განმავლობაში მას არა თუ მხოლოდ თვისი განსაკუთრებულ თვისებათა მქონე მოდგმა შეუნახავს, არამედ მას შეუქმნია დიდნი ღირებულებანი კულტურისა. ხშირად განმცდელი დიდი ტრაგედიისა, ხშირად დამარცხებული და განადგურებული, იგი მუდამ იყო მცდელი თვისი ენერგიით ნაცართაგან კვლავ აღდგომისა და განახლებისა, და ამ ენერგიის წყარო იყო ყოველი ნაწილი მისი, ერის შვილი ყოველი სოციალური მდგომარეობისა, — ყოველი წესწყობილების დროს. „ჩვენ ყველანი ერთნი ვართ“, ერთი ერის შვილნიო, ამბობდა ილია. და სამსახურიც საზოგადოებისა მისთვის ერის სამსახური იყო, გაუმჯობესებისათვის და წინსვლისათვის ყველა მის ნაწილთა, ყოველი მისი წევრის უზრუნველ-ყოფილ, თავისუფალ, შეგნებულ და ღირსების მქონე პიროვნებად ქცევისა, — ერთობ მთელი ერის სამარადისოდ და ღირსეულად თვითმყოფობისათვის. ერის ნიეთიერი სიმდიდრე ყველასათვის უნდა იყოს წყარო კეთილდღეობისა, და არა ერთი

ნაწილისათვის ერისა, და ენერგიის გაღება ამ სიმდიდრის ზრდისათვის ყველას მოეთხოვება. — უწარსულო ერი უღირია, ეს თვით იმას ნიშნავს, რომ მისი ცხოვრება საუკუნეთა განმავლობაში უქმი, და თვით იგი ყოველი შემოქმედებითი ხიჭის არა-მქონე ყოფილა. ხოლო რაც წარსულში ერს შეუქმნია დიდი და სამარადისო ღირებულების მქონე, მას შესწავლა, ცოდნა, პატივი უნდა, რომ კულტურულ ერად დადგეს იგი სხვა კულტურულ ერთა შორის. „კეთილის“ შენახვა და „ჯერკვალის“ განგდება ერის ნამოქმედართაგან წარსულისა, ცხოვრების რომელი დარგითგანაც უნდა იყვნენ იგინი, ერთი უდიდეს საზრუნავთაგანია ერის მსახურისათვის, ვინაიდან მხოლოდ წარსულთან უშუალო კავშირი ინახავს იმ სულს, რომელიც მას უდგას იმ დღითგან, როდესაც ერი ერად გახდა. ხოლო გმობა წარსულისა საკუთარი თავის გმობაა, და მოწყვეტა მისგან, — ცადაგვარება, არარად ქცევა, და არა განახლება ცხოვრებისა.

შორს წაგვიყვანდა ილია ჭავჭავაძის მსოფლიოს ხედვის აღწერა. ვიკმაროთ ეს, რაც ვთქვით. ამ აზრებით ხელმძღვანილი ემსახურებოდა ილია თვის ერს, საქართველოს, — სიტყვით, კალმით და საქმით. დიდი პოეტი, ძლიერი თეორეტიკოსი, შეუდარებელი პუბლიცისტი, მრავალფერი ცოდნით აღჭურვილი და აროდეს უსაბუთოდ და უსაფუძვლოდ მწერალი ან მეტყველი, დიდი ენა-მჭევრი, დაუძინებელი მოქმედი ყოველი საქმისა, რომელიც ესაჭიროებოდა ქართველ ერს, მთელ ქართველ ერს, — აი ვინ იყო ილია ჭავჭავაძე, და რა საკვირველია, თუ მან უდიდესი ავტორიტეტი მოიპოვა ქართველი ერის შორის მისი ხანგრძლივი ღვაწლით და თუ იგი ბუნებრივად გახდა მეთაური, ხელმძღვანელი, დამცველი, მესაიდუმლე, „წინასწარმეტყველი“ მისი. — ილიას „შრომის ახსნაც“ სწამდა ყველგან, იგი არ იყო არც ისეთი „ნაციონალისტი“, მხოლოდ მხსი ერი რომ სწამს და სხვა არც ერთი. — მან ისიც იცოდა, რომ ხშირად მხოლოდ ძალით, რევოლუციით მოიპოვებს ჩაგრული ნაწილი ერისა თავისუფლებას და შეიქმნის უკეთესს ცხოვრებას, მაგრამ ისიც იცოდა, რომ დეგენერაცია რევოლუციის იდეისა ბრძოლის პროცესში და მის ხელმძღვანელთა უგნური ხელმძღვანელობა ტერორითა და სისხლის წყურვილით ერის საუკეთესო ნაწილს სპობს, და ამით ე. წ. „მონაპოვარი“ რევოლუციისა დიახ კნინი და მცირეა ხოლმე იმასთან შედარებით, რაც გახელებულთა აღტყინებას ვნება მიუყენებია ერისათვის, და შეიძლება ისეთი „ახალი“ რამ გამოვიდეს ოგრე გამხეცებული რევოლუციითგან, რომ „ძველი“ სანატრელ განმჭრალ სამოთხედ ეჩვენებოდეს ყველაფრისაგან გაძარცულ ადამიანს. მაგალითებს ასეთ მოვლენათა ბევრს ვხედავთ ისტორიაში და ერთი უდიდესი თვალ-წინ გვაქვს. — და ილიამ ისიც იცოდა, რომ საკუთარი ერის უფლებათა დაცვა არ ნიშნავს მეზობლის მტრობას და წახდენას, „უმეზობლობისადმი“ მისწრაფებას, არამედ მისი იდეალიც ერთა შორის თანხმობა და მშვიდობა იყო.

სრულიად სხვა რამ იყო საქართველოში შემოვრილი უცხო მსოფლიოსხედვა, — მარქსიზმი, — და იდეოლოგია და საქმე მის მიმდევარ ქართველთა. ფილოსოფია მარქსიზმისა გამატერიალისტებული დიალექტიკაა იდეალისტის ჰეგელისა, — ერთად-ერთი „მეცნიერული“ სწავლა ბუნების ყველა მოვლენათა და მსგავსადვე სოციალურ მოვლენათა ახსნისათვის, ისტორიის გაგებისათვის, კულტურული კაცობრიობის მომავლის განჭვრეტისათვის და სხვ. „ეკონომიური მატერიალიზმი“, ანუ „ისტორიული მატერიალიზმი“, ანუ „დიალექტიური მატერიალიზმი“, — აი რა არის მარქსიზმის „მეცნიერება“ და მარქსისტები დიალექტიკის განგებით გარდაუვალი სოციალიზმის მოძღვრებას „მეც-

ნიერულ სოციალიზმად“ უწოდებენ, თუმცა არც ერთ ნამდვილ მეცნიერებას არც წინათ დასჭირვებია იდეალისტური ან მატერიალისტური დიალექტიკა თვის აღმოჩენათათვის და არც დღეს სჭირდება მას იგი არსად, გარდა „საბ-ჭოთა“ კომუნისტურ-„პროლეტარული“ საზოგადოებისა. — იდეათა იმ სის-ტემაში, სადაც საწარმოო საშუალებათა განვითარება და განმრავალფეროვანება ჰქმნის ეკონომიურ აგებულებას საზოგადოებისა; სადაც ეს ეკონომიური აგე-ბულებაა საფუძველი, სხვა ყველაფერი სულიერ-კულტურული კი ზედნაშენი მასზედ, ყოველთვის შეცვლილი საფუძვლის შეცვლის შემდეგ; სადაც ეკონო-მიურ განვითარების ნიადაგზედ წარმოშობილ კლასთა შორის ბრძოლაა მთელი ისტორია კულტურულ ერთა და ამ ბრძოლაში გამარჯვებულ გაბატონებულ კლასთა ბატონობა მხოლოდ დამარცხებულ კლასთა საექსპლოატაციოდ არის განმტკიცებული და საფუძვლად უდევს სახელმწიფოთა ცხოვრებას; სადაც უკანასკნელ, კაპიტალისტურ ხანაში საზოგადოებათა განვითარებისა პროლე-ტარიატია ჩაბმული ბურჟუაზიის წინააღმდეგ ბრძოლაში, — პროლეტარიატი, რომელსაც არც სამშობლო აქვს, არც არაფერი სხვა, გარდა ბაზარზედ გასას-ყიდი სამუშაო ძალისა, — პროლეტარიატი, რომელიც იზრდება კაპიტალის კონცენტრაციასთან ერთად და ირაზმება შეგნებულ მხედრობად, რომ თვით გაბატონდეს, თვით ბურჟუაზიული დემოკრატიზმის ხანის განვლითაც, და თვი-სი დიქტატურით უკლასო საზოგადოება შექმნას მთელ მსოფლიოში „ექს-პროპრიატორთა ექსპროპრიაციის“ შემდეგ, — მსოფლიო კომუნიზმი, — და ამით იქმნას დიალექტიკის განგება: თეზისი — პირველ-ყოფილი კომუნიზმი, ანტითეზისი, უარ-ყოფა მისი — კერძო საკუთრებაზედ დამყარებული კლასთა საზოგადოებანი მშრომელთა ექსპლოატაციისა, კვლავ თეზისი, უარყოფა უარ-ყოფისა — მსოფლიო კომუნიზმი, უკლასო საზოგადოება, სადაც ექსპლოატა-ციას ადამიანისა ადგილი არ ექნება, და სხვ. და სხვ. — ასეთ სისტემაში ადგი-ლი არა აქვს არც შემოქმედებით სულს ადამიანისა, არც სულს საზოგადოდ, არც სარწმუნოებას, არც წარსულისა და მის კულტურათა ნამდვილ გაგებას და დაფასებას, არც ერს და მისი პიროვნებისა და მის განსაკუთრებულ უფ-ლებათა დაცვას. ეს მოძღვრება დამშლელია ერის მთლიანობისა, მისი სული-ერი ორგანიზმის განმანადგურებელი, და ამით დამაშორებელი კულტურის წყაროისა, ვინაითგან არავითარი დიდი კულტურა ერის გარეშე არ წარმოშო-ბილა და მსოფლიო კომუნიზმის წიაღში მისი დეგენერაცია და სრული გაქ-რობაც იქნება აუცილებელი, — მით უმეტეს, რომ მარქსიზმისათვის უცხო და მიუღებელია, და სამტროც, ყოველივე არისტოკრატიული, რჩეული ერის შო-რის, ხოლო ის ერი, რომელსაც ვერ შესძლებია თვისი წიაღითგან არისტოკრა-ტიულ ელემენტთა შობა, ყოველთვის არარაობა ყოფილა კულტურული შე-მოქმედების მხრით. თვით დემოკრატიაც არარაობაა, არავითარი ღირებულე-ბის მქონე, თუ თვით „დემოსი“ არად ვარგა, ესე იგი მოკლებულია ყოველ „არისტოკრატიას“. არისტოკრატია „წოდება“ არ არის, რაგვარადაც ზოგს ჰგონია, არამედ შერჩეული ჯიში ერის შორის, შემქმნელი ერის კულტურისა, მისი დიდებისა, თავსმდები აღურაცხელ მოვალეობათა მის დასაცავად, სახელ-მძღვანელოდ და მარადის-ყოფად.

აი ამ მსოფლიოს-ხედვის წინააღმდეგმ მოუხდა ბრძოლა ქართულ ნაციო-ნალიზმს.—ვხმარობ ამ სიტყვას მისი ნამდვილი მნიშვნელობით და არავითარი მნიშვნელობა არ აქვს ჩემთვის მის განქიქებას ცრუ-ჰუმანისტთა მიერ, რო-მელთაც, თითქოს რაღაც უმაღლესი იდეის მსახურთ, არც ერთი ერი არ

სწამს, — არც საკუთარი და არც უცხო! — კონფლიქტი აუცილებელი იყო და ნაციონალისტთათვის ბრძოლა ძნელი, — არა იმიტომ რომ მარქსიზმის დებულებანი თეორიულად აუღებელ სიმაგრეთ წარმოადგენდენ, არამედ სიძნელე სულ სხვა გარემოებისაგან იყო შექმნილი: რუსეთის მიერ საქართველოს მოტყუებით და კერაგობით შეპყრობისა, მისი სახელმწიფოს მოსპობისა და ერის განძარცვის შემდეგ ყველა მის დაწესებულებათაგან, საუკუნ. განმავლობაში ბრძოლით ისეც დაღლილ ქართველ ერს ახლა ძველებზე უფრო ძლიერ მტერთან მოუხდა ბრძოლა, და კიდე შესძლო მან ოც და ათის წლის განმავლობაში გაძაგრება მის წინააღმდგომ, — ბრძოლა, რომელიც მისი დამარცხებით უნდა გათავებულიყო. ძალა-მიხდილს ახლა მას მოსვენება სჭირდებოდა და სხვა მოქმედებით, მშვიდობიანი შრომით გამომრთელება, ზრდა და განვითარება. და მის მოღვაწეთა მიზანი იყო შექმნა ერის ორგანოთა, ნაცვლად რუსეთის მიერ მისგან მოკვეთილთა, რომ გამაგრებულს, გაძლიერებულს, რიცხვობრივად, ნივთიერად და სულიერად გაზრდილს ერს კვლავ დაეწყო ბრძოლა პოლიტიკური თვით-მყოფობის აღსადგენად. ეს ძნელი, დიდი და რთული საქმე იყო და მისთვის ილეოდა მთელი ენერგია ქართველ ეროვნულ მოღვაწეთა. მათთვის შეუძლებელი იყო რევოლუციონურ ნაციონალისტურ რაზმთა შექმნა პოლიტიკური ბრძოლისათვის არა თუ ხალხის მასათა, თვით ინტელიგენციის შორისაც. უცხოეთში ქართული ეროვნული საკითხი არც ერთი სახელმწიფოსათვის არ იდგა; და ბრძოლის განახლება უდიდესი იმპერიის, რუსეთის წინააღმდგომ შეუძლებელ რამედ და აბსურდად იყო მიჩნეული ქართველ მოღვაწეთაგან. — მხოლოდ გვიან, ქართველი ერის ოდენ მომაგრების შემდეგ ზემოთ-მოხსენებულთა ღვაწლით, დაარსდა სოც. ფედერალისტთა პარტია, გარკვეული სოციალურ-პოლიტიკური პროგრამით, — საქართველოს ავტონომიით და სხვ.. ქართული საკითხი უცხოეთის წინაშე მათ დააყენეს და თვით საქართველოში მათ შექმნეს კადრები პოლიტიკურ მებრძოლთა ინტელიგენციისაგან და ხალხის ყველა ნაწილისაგან. 1905 წ. ეს კადრები ქართულ ეროვნულ-სოციალისტთა უკვე მებრძოლ ძალად გამოდის რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდეგ და მეტოქედ სოციალ-დემოკრატთა, ერის უფლებათა დამცველად, მათი აღდგენის მომთხოვნელად. — ილია ჭავჭავაძის იდეათა აღმსარებელ ქართველ პოლიტიკურ მებრძოლთა დარაზმვა კი უფრო გვიან, ილიას მოკვლის შემდეგ შეიქმნა შესაძლებელი. და ამას წინ უსწრებდა კიდე მცირე ორგანიზაციულად, მაგრამ იდეით რადიკალური ნაციონალისტთა ჯგუფი, მებრძოლი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის, ბოლოს თანამოქმედი ილიას მიმდევართა, რომელთაც საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა მათი პოლიტიკური ბრძოლის მიზნად დაისახეს.

ხოლო ესე ყოველი მცირე იყო იმასთან შედარებით, რაც მარქსიზმმა შექმნა საქართველოში პოლიტიკური დარაზმულობის მხრით. მარქსისტებს შეეძლოთ დარაზმულ ძალთა უპირატესობა მოეპოვებიათ საქართველოში, და ამისი მიზეზი აი რა იყო: მათი პროგრამა მხოლოდ პოლიტიკურ-სოციალური იყო, — არა ეროვნული. მათი პროგრამის ე. წ. მინიმუმის განხორციელება შესაძლებელი იყო და არა ოცნება: მოსპობა თვითმპყრობელობისა, დამყარება დემოკრატიისა რუსეთში, მშრომელთა მდგომარეობის გაუმჯობესება და სხვ., — შექმნა წესწყობილებისა, რომელიც აგრეთვე მოისპობოდა შემდეგ და მთელი კაცობრიობა შეეიდოდა სოციალისტურ სამოთხეში. ამისთვის იბრძოდა რუსის ხალხის და რუსეთში მყოფ ყველა სხვა ხალხთა დიდი მასები და ამ დიდ მოძრაობაში შესვლა მისცემდა ქართველ ხალხსაც იმედს უკეთესი

მომავლისა. გარდა ამისა მარქსისტულ-სოციალისტური მოძრაობა საერთაშორისო იყო, და ქართველი ხალხიც, რომელიც რუსის და რუსეთში მყოფ ხალხებთან იბრძოლებდა საერთო მიზანთა მისაღწევად, დიდ ინტერნაციონალთან იქმნებოდა გადაბმული. მთელი რუსეთისა და მთელი კაცობრიობის ამ უზარმაზარ მოძრაობაში შესვლით მას ზურგი ექმნებოდა გამაგრებული და ამით მისი ბრძოლაც გამარჯვებით დამთავრდებოდა. — თუ ვისმე მაინც საჭიროდ მოეჩვენებოდა ყოველივე ამასთან ერთად ქართველი ერის უფლებათა ხსენებაც, მას უპასუხებდენ, — ამგვარი რამ დღეს არა მარტო მშრომელთა „კლასობრივი შეგნების დაბნელება“ იქმნებოდა, არამედ ხელის შემშლელი საერთო დიდი მოძრაობისა. და ამას გარდა, დამყარდება რა გამარჯვების შემდეგ ყოველთა მაცხონებელი დემოკრატია, სხვა საკითხებთან ერთად ეროვნულიც ადვილად გადასაწყვეტი იქნება რუსეთშიო. — ფანატიკოსმა რევოლუციონერებმა, რომლებიც ბრძოლის საშუალებად ტერორს იყენებდნენ, და თვით თავსაც არ ზოგავდნენ, არ ერიდებოდნენ არც დევნას მთავრობის მიერ, არც ციმბირს და კატორღას, არც სახრჩობელას, შექმნეს ძლიერი კადრები თავგანწირულ პროპაგანდისტთა და დარაზმეს საქართველოში ხალხი, ამგვარად სრულიად განთავისუფლებული წმიდა ეროვნული ბრძოლის სიმძიმისაგან და სიძნელეთაგან: შიგნით ბრძოლა მშრომელთა კლასისა „მყველეფელთა“ წინააღმდეგ, განსაკუთრებით თავად-აზნაურობისა, ცხოვრების ეკონომიურად უმჯობესად შეცვლისათვის, გარეთ სხვა ერებთან თანაბრძოლა მთელი რუსეთის დიდ მოძრაობაში პოლიტიკურ მიზანთა მისაღწევად, — დემოკრატიის დასამყარებლად, და სხვ!.. ქართველებს ყველაფრის გადაჭარბება გვიყვარს, და ჩვენი მარქსისტებიც ისე შორს წავიდენ თვისი ანტინაციონალიზმით, რომ „ხალხს“ აყვირებდნენ, — არ „გვინდა ავტონომიაო“, და რაიცა მართლაც საკვირველია, არც ქართული ს. დ.-ული პარტია შექმნეს მათ, არამედ „რუსეთის ს. დ. მუშათა პარტიის“ წევრები იყვნენ. ქართველები იყვნენ მხოლოდ, რომლებსაც საკუთარი ს. დ. პარტია არ უნდოდათ, სხვას კი ყველას ჰქონდა იგი რუსეთში: სომხებს, ებრაელებს, პოლონელებს და სხვ..

ბრძოლა ნაციონალისტთა და მარქსისტთა შორის საქართველოში მკაცრი, უსიამოვნო და მთელი ერისათვის მავნებელი გახდა. თეორიულმა ბრძოლამ უკვე მნიშვნელობა დაჰკარგა. რა მნიშვნელობა ჰქონდა ს. დ.-ებისათვის, დააძტკიცებდენ თუ არა ნაციონალისტები მაგ. ენის „ზედნაშენობის“, ან კლასთა ბრძოლით ისტორიის ამოწურვის, ან ისტორიაში პიროვნების უმნიშვნელობის უსაფუძვლობას და სხვ., ან და აჩვენებდენ თუ არა ნათლად, რომ მაგ. საქართველოს თავად-აზნაურობის მოღვაწეობა მთელი ქართველი ერისათვის იყო და არა მხოლოდ მისი კლასობრივი ინტერესებისათვის, და სხვ.. მარქსიზმმა „ხალხი“ დარაზმა მის წინააღმდგომ, ყველა „გაბატონებულ“ კლასთა წინააღმდგომ, იდეურად და ორგანიზაციულად, „შეგნებულად“ მებრძოლი „მტრის“ დასამარცხებლად, და მარქსისტთათვის უმთავრესი ეს იყო. ხოლო ამით ერის მთლიანობა ისპობოდა, იშლებოდა ის კავშირები, რომელიც საუკუნეთა განმავლობაში აერთებდა ქართველი ერის ნაწილთ და რომელმაც შეინახა იგი ათას წელთა დროის სივრცეზედ ათასი მტრის წინააღმდეგ ბრძოლაში. ერი განხეთქის გზაზედ იდგა, რადგანაც ის ნაწილიც მისი, რომელსაც საჭურველით, ტერორით აღარ ზოგავდენ, საჭურველს ისხამდა თავის დაცვისათვის, და ამგვარად საქართველოს სამოქალაქო ომის ცეცხლი უნდა წაკიდებოდა.

რასაკვირველია ყველა ქართველ მარქსისტს, ყველა ს. დ-ს არ მოსწონ-

და ეს მოვლენა, დამლუპველად მიაჩნდა იგი თვით მათი მოძრაობისათვის. მათ შორის მრავალი იყო ჭკვიანი, გონიერი პიროვნება, და მათი გავლენის და მოქმედების წყალობით მრავალი უბედურება აცდა თავითგან ქვეყანას. მაგრამ მათ შორის იყო აგრეთვე ყოვლად ბოროტი და რეგვენი ელემენტები, რომლებისათვის „გაღრმავება კლასთა ბრძოლისა“ უდიდესი რევოლუციური მიღწევა იყო. ყველაზედ უკეთური მათგანი იყო ფილიპე მახარაძე. და როდესაც მან დაინახა, რომ ნაციონალისტები იდეურად ვერ იქმნენ დამარცხებულნი, არ დაკმაყოფილდა მით, რომ „ხალხის“ დარაზმული ძალა მათი მეტი იყო ვიდრე ნაციონალისტთა და ამ მხრით მათ საფრთხე არ მოელოდა, არამედ იდეური სიკეთილი განიზრახა ნაციონალიზმისა და მისი უდიდესი მეთაური ამოიღო მიზანში. წმინდა იდეური ბრძოლით რომ ვერა დააკლო-რა, ცილისწამებით და დევნით მისდგა ილია ჭავჭავაძეს, და რაც მახარაძემ, გელეიშვილმა და მათმა სხვა მომხრეებმა მის წინააღმდეგ სიბინძურე წერეს, მართლა უდიდეს სირცხვილად არის მოსაგონებელი იმ უბედური ეპოქითგან ჩვენი ცხოვრებისა. და როდესაც ვერც ამან გასჭრა და განმანადგურებელი პასუხი მიიღეს ილიასაგან და შერცხვენა მათი, მაშინ სატანამ საჭურველი ააღებინა მათ ხელში და მოაკლვევინა დიდი ქართველი. რასაკვირველია ილია არ მოკლულა ს. დ.-თა პარტიული დადგენილებით. ერთობ ქართველ ს. დ.-ს არავითარი წილი არ უდევს ამ კრიმინალობაში. მე დარწმუნებული ვარ, რომ თვით მახარაძე და გელეიშვილიც ვერ გაბედავდენ უშუალოდ მოეწყოთ იგი. ხოლო მათ მიერ ილიას დევნით და ცილის წამებით წაქეზებულთა, ვიღაც ღმრთისაგან შეჩვენებულთა საიდუმლო სინედრიონმა დაატეხა თავს ქართველ ერს ეს უბედურება და სირცხვილი. მათ მეკობრეები გამოიყენეს აღმასრულებელ ორგანოდ, რომ ბოროტი საქმე მათი არ განცხადებულიყო და უბრალო თავსდასხმად მეკობრეთა მიეჩნია იგი საზოგადოებას. ხოლო იმ შეჩვენებულთა სახელს და გვარს ვერც გავიგებთ ვეროდეს, და მადლობა ღმერთს, რომ ვერ გავიგებთ! სირცხვილად თვით აქტი ეყოფა იმ დროსაც და ჩვენც, ვინც მას სიმწრით ვიგონებთ. — ილია ჭავჭავაძის მოკვლის შემდეგ ფ. მახარაძე გაქრა საქართველოთგან, ხოლო არა ვითარცა სინიდის-შეწუხებული იუდა, არამედ ვითარცა იუდა, იუდის საქმეთა გამგრძობი.

ილია ჭავჭავაძის მოკვლა მთელმა ქართველმა ერმა განიცადა ვითარცა კვრა ლახვრისა გულსა შუა. გლოვითა და ტირილით აღივსო საქართველო, ყოველი სარწმუნოების და მდგომარეობის ნაწილი ქართველი ერისა, და თუ გლოვა დიდი და ღრმა იყო, დიდი იყო აგრეთვე რისხვა ერისა: მისი თავის მოჭრა მოინდომეს, წაართვეს რა მას მისი დიდი მეთაური. და ეს შეიძლება მიზეზი გამხდარიყო ქართველთა მიერ ურთი-ერთის განადგურებისა. ამან ყველა გონს მოიყვანა. გონს მოგვიყვანა ჩვენც, მაშინდელი ახალგაზრდობის ერთი ნაწილი, რომელმაც არ იცოდა რას როტავდა და რას ჩმახავდა 1905 წლის წინად, ამ წლის დღეებში და შემდეგაც, ღმერთმა იცის ვისი და რაის გავლენით, „რევოლუციონური ბრძოლით“ გატაცებული. ილიას მოკვლამ თვალი აგვიხილა. დავინახეთ „რაშიგან ვართ“. დავირაზმეთ ერის სამსახურისათვის, მივხვდით რა, რომ სხვა უდიდესი მოვალეობა ადამიანისათვის არ არსებობს, და ჩვენმა მცირემ, მაგრამ მტკიცე დარაზმულობამ თავის დროზედ თვისი მოვალეობა ერის წინაშე ნათლად აღასრულა. — გონს მოვიდა თვით ქართული მარქსიზმიც, ქართველთა ს. დ-ია. წარმომიდგენია რას აზრობდა მრავალი მათგანი: რა ნაყოფი გამოიღო ჩვენ მიერ ნაქადაგებმა მოძღვრებამ, მართალია ბოროტთა და გონება-დაბნელებულთა მოქმედებით, მაგრამ ჩრდი-

ლი მათი უკეთურების ჩვენც გვაღდგებაო! და სიტყვები ვლასა მგელაძისა და კარლო ჩხეიძისა ილიას დასაფლავებაზედ ნათლად მოწმობენ, რომ ილიას მოკვლა მათაც ისევე ეცათ ლახვარივით გულს, რაგვარადაც სხვა ქართველს „რევიზია" მათ მიერ მათი მსოფლიოს-ხედვისა და ბრძოლის მეთოდთა მაშინ დაიწყო. და დაიწყო აგრეთვე გამოყოფა ქართული მარქსიზმის წიაღითგან ქართული ეროვნული ს. დ-იისა, რომლის მეთაურებად ერთნი საუკეთესონი გამოვიდნენ. და ყოველივე ამით კვლავ განმეორდა მოვლენა: ყოველი წინასწარმეტყველის მოკვლა მკვლელთა მიზანთა შერცხვენაა და არა მიღწევა, ხოლო მსხვერპლის კულტი ჩნდება ხალხთა შორის: — „ესე არს სისხლი ჩემი თქვენთვის და მრავალთათვის დათხეული, მისატევებელად ცოდვათა", გაისმის შეუწყვეტლად ხმა ხალხის მიმართ ვნებული წინასწარმეტყველისა.

პირველ დიდ მსოფლიო ომში კვლავ საესებით ცხად-იქმნა, რომ „პროლეტარს" სამშობლოც ჰქონია, კაცობაც, ვაჟკაცობაც და ბევრი სხვა რამ ღირსეული, — არა მარტო სამუშაო ძალა, ბაზარზედ გასასყიდი, რაგვარადაც ღაღადებდა სწავლა მარქსიზმისა. „პროლეტარი" გმირულად იბრძოლა სამშობლოსათვის, თვისი ერისათვის, თავადთან, აზნაურთან, „ბურჟუასთან", გლეხთან ერთად, და თუ მას, მებრძოლს, სადმე ვინმე სიცრუის ქადაგებით და მუხთლობით შახვილი ჩასცა ზურგში იგი სატანა იყო, გარეთგან მოსული მაცდური მისი. — აგრეთვე ყოველი ერი, სახელმწიფოს არა მქონე და უცხოსაგან დამონებული, ჩაება ომში ამა თუ იმ სახით და მოითხოვდა მისი პოლიტიკური თვით-მყოფობის აღდგენას და საერთაშორისო ცნობას, როდესაც ზავის შესაკრავად და ქვეყანაზედ კვლავ წესიერების აღსადგენად დასხდებოდენ გამგენი ამა ქვეყნისანი. და მაშინ ქართველთა ს. დ-იის მეთაურს, ნ. ჟორდანიას დაუდგა საკითხი: საქართველოს ბედის გადაწყვეტა ამ დიდ, ქვეყნის გარდამქმნელ დროს, ვის დაედებოდა ვალად და ტვირთად თუ არა მას, ხელმძღვანელს და მბრძანებელს ქართველი ხალხის დიდი ნაწილის დარაზმულობისა? ახალი იდეის სწრაფად მიცემა დარაზმულობისათვის, რომელსაც სხვა იდეა ჰქონდა მიცემული, არა ეროვნული, ადვილი საქმე არ იყო. მაგრამ თვით პოლიტიკური დარაზმულობა არსებობდა, დიდი ძალა მის ზურგს უკან, და ახლა მისი ჭკუისა, მოხერხებისა და პოლიტიკური გამჭრიახობის საქმე იყო ამ ძალის დაყენება ეროვნულ გზაზედ. ყოველივე ეს მას შესწევდა და სრული იმედით თავისი თავისა იგი დროს უცდიდა, ქართველი ერისათვის ის მიეცა, რისთვისაც ილია ჭავჭავაძე იბრძოდა, რომელთანაც მას წინათ მუდმივი თეორიული დავა და შეტაკება ჰქონდა. — როდესაც გერმანიის მიერ ომში დამარცხებულ რუსეთს რევოლუციის ცეცხლი წაეკიდა, იქ თვითმპყრობელობის ნაცვლად დემოკრატია დაჯდა ტახტზედ, ხოლო უკვე პირველი ჟამითგან მისი ბატონობისა ცხად იქმნა, რომ იგი რუსეთის მიერ დამონებულ ერებს თავისუფლებას არ მიანიჭებდა: საქართველოსათვის ეკლესიის ავტოკეფალიაც არ გაიმეტა მან, რაის მომხრე წინათ თვით „მემარჯვენე" რუსი დურნოვოც კი იყო. ესეც კარგად განსჭვრიტა ნ. ჟორდანიამ, რომელმაც უცხოეთში მყოფ რუს რევოლუციონურ პარტიათა განწყობილება დამონებულ ერთა მიმართ კარგად იცოდა! — ხოლო ლენინმა, ფანატიკოსმა მეთაურმა ბოლშევიზმისა, ე. ი. კონსექვენტური მარქსიზმისა, გვერდზედ გადადგა მარქსის დებულება: „მდგომარეობა ჰქმნის შეგნებას და არა შეგნება მდგომარეობასო", და ვერ ნახა რა მან ვერავითარი „მდგომარეობა" სოციალიზმის განხორციელებისათვის, სრული „შეგნებით" და „მეცნიერებით", ე. ი. ზარბაზნით, თოფით და

კეტით, [illegible] ბელითა და ტერორით, სატანური ძალადობით შეუდგა იგი „ძმდგომარეობის“ [illegible] და სოციალისტური სამოთხის დამყარებას ნახევრად ბარბაროსულ ქვეყანაში. მან ერთი სულის შებერვით გააქრო უნიკოთა დემოკრატია და ერთი [illegible] დაამარცხა ბოლშევიზმის წინააღმდეგ მბრძოლი, ადმართა დიქტატურა...

ზუსტად ამ დროს ნ. ჟორდანიამ აღასრულა ის დიდი ისტორიული როლი, რომელიც იგი უკვდავ ყო ქართველთათვის: ჯერ მან გაწმიდა საქართველო ოსმალეთის ფეოდალიზმისგან მოზღვავებულ, გაბოლშევიკებულ რუსის ჯარისკაცთაგან, ჩაუდგა სათავეში ქართულ „ეროვნულ საბჭოს“, რომელიც წინამორბედი იყო დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობისა. მას ნდობა გამოუცხადა მთელმა ქართველმა ერმა და მისმა თავად-აზნაურობამ თვისი ქონება მას გადასცა ერის საჭიროებათათვის მოსახმარებლად. ბოლოს მან ისარგებლა გერმანიის შეგობრული განწყობილებით საქართველოსადმი და გაუწია რა ანგარიში მთელი ერის სურვილს, გამოაცხადა დამოუკიდებლობა საქართველოისა, რომლის პრეზიდენტი და მთავრობის თავმჯდომარე თვით გახდა. მან დაუბრუნა ერს ერთხელ სხვა გზაზედ დამდგარი დიდი ნაწილი მისი, და ქართველმა ერმაც იგი იცნო თვის მეთაურად, დაივიწყა წარსულნი უთანხმოებანი და არარად მიიჩნია აწმყოს შეცდომანიც. არამედ სიხარულით შესცქეროდა მონობისაგან გახთავისუფლებულ სამშობლოს და თვის ახალ მეთაურს.

იმავე განსვენებულმა ვლასა მგელაძემ მამა-დავითის ეკლესიის ზარების რეკით და თვისი ჭეკარე ხმით ჩასძახა საფლავებში იქ დაკრძალულ დიდ ქართველთა: საქართველო აღდგა. მოხდა ის, რაზედაც თქვენ მუდამ ოცნებობდითო! და მაშინ მოხდა შერიგება ქართველთა, და ილიას მიცვალებულს მაშინ შეუერთდა ნ. ჟორდანია ცოცხალი, ბედისაგან არჩეული 117 წლის მონობისაგან განთავისუფლებული და განახლებული საქართველოს საპატრონოდ. ამით იგი დიად სხვა მოვლენად გახდა, ვიდრე წინათ იყო.

მაგრამ იუდა ეამს ეძიებდა! . მახარაძე, ორჯონიკიძე, ორახელაშვილი, მდივანი, ელიავა, ქაეთარაძე და სხვანი ზოგი საქართველოში დაძრწოდა, ზოგი მთავარ იუდაათან, ი. ჯუღაშვილთან იყო მოსკოვში. ყველანი ძირს უთხრიდენ განთავისუფლებულ სამშობლოს, არ ზოგავდენ მათაც, ვინც გუშინ მათი „ამხანაგები“ იყვნენ, რადგანაც ამათ სამშობლო იწამეს. ჯერ შიგნითგან სცადეს ქვეყნის „აფეთქება“, მაგრამ საქართველოში მტკიცედ დამყარებული წესრიგი ვერ შეარყიეს. დამარცხდნენ სასტიკად!—და როდესაც შიგნით ვერა გააწყეს რა, იუდები მოსკოვს გაეკრიფენ და იქითგან მოაწყვეს სამშობლოს ღალატის საქმე ჯუღაშვილთან ერთად.

რუსის ჯარებით დაესხენ თავს საერთაშორისოდ და თვით რუსეთის მიერ ცნობილ საქართველოს და დაიპყრეს იგი. ნ ო ე ჟ ო რ დ ა ნ ი ა, მისი მთავრობა და მათთან ძრაველი ქართველი უცხოეთში გარდმოიხვეწა, სადაც ნ. ჟორდანია სამ ათეულ წელზედ მეტს ილვწოდა თვისი სამშობლოს ასე ვერაგულად დათრგუნულ უფლებათა აღსადგენად, ხოლო იმედ-გაცრუებული, რწმენა-დაკარგული ე. წ. თავისუფალი ეაკობრიობის მიმართ განვიდა ამა სოფლითგან.

ბოლშევიკები დაეპატრონენ საქართველოს და დღემდე „პატრონობენ“ მას თავისებური პატრონობით. წაართვეს ქართველს ღმერთი, დასაყრდნობი მისი, ქრისტე, სასოება მისი, ძღვდელი, მოძღვარი, მნათველი. ჯვარის დამწერი და დამმარხველი მისი, ეკლესია სალოცავი მისი, დღესასწაულები, სიხარული და განსვენება მისი, ზიარება, ერთობ სარწმუნოება, განმაწმედელი მისი, პირველნება და სახლ-კარ-საკუთრება. სიამაყე მისი, „გაპროლეტარეს“

ერი ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით. მისი დამღუპველი რუსეთი მის მეგობრად გამოაცხადეს ძალით, თვით რუსეთი, მთელი უზარმაზარი ტერიტორია „საბჭოთა-კავშირისა", მის სამშობლოდ, რომელიც სოციალისტური „განსაწმიდელია", საითგანაც ერი შემდეგ მსოფლიო სოციალიზმის „სამოთხეში" შევა. და თუ „საბჭოთა-კავშირია" ქართველის სამშობლო, სულ ერთი არ არის, სადაც უნდა ცხოვრობდეს იგი, საქართველოში თუ თურქესტანში თუ ციმბირში, და მის ადგილს რომ მისი რუსი „უფროსი ძმები" დაესახლონ, ესეც ხომ კანონიერია? და ამით ქართველი ერიც და სხვა არა-რუსი ერებიც მოსპობის გზაზედ დააყენა რუსეთმა: დღეს ჩვენ ჩვენ ქვეყანაში 40%-იც აღარა ვართ მოსახლეობისა!

გვეტყვიან, — ქართველი ბოლშევიკებიც რომ არ ყოფილიყვნენ, რუსეთი მაინც დაიპყრობდა საქართველოს, მისი დამცველის დამარცხების შემდეგ ყოველად დაუცველს სხვათაგანო. მართალია, მაგრამ შინა-გამცემელთა დაუხმარებლად უცხო ვეროდეს იმდენ ვნებას ვერ მიაყენებდა საქართველოს, რაც მან ჩვენ იუდათა დახმარებით მიაყენა, და თვით შინა-გამცემლობაც არ დაედებოდა მას სამარადისო სირცხვილად. ჩვენ სხვა მაგალითებიც გვაქვს თვალის წინ იმისა, რომ ქვეყნის ღალატისაგან გამოსული, მოღალატეთა მიერ ხელძღვანილი საზოგადოება ყოველად ბინძურია, და ერი მოკლებულია იმედს ღირსეული ახლო მომავლისა.

და აქ ერთ მოვლენას უნდა დაუკვირდეს ყოველი ქართველიც, განსაკუთრებით ახალგაზრდა, რომელსაც შეიძლება ბედმა არგუნოს ოდესმე საქართველოში ღვაწლი ერისათვის: 40 წლის განმავლობაში საბჭოთა სახელმწიფოში „დიქტატორებმა" დახვრიტეს მილიონობით ადამიანი ყოველი სოციალური მდგომარეობისა და სქესისა, დახოცეს შიმშილით მილიონობითვე, აწამეს საპყრობილეებში და საკატორღო ბანაკებში და აწამებენ დღემდე აგრეთვე მილიონობით ხალხს, გაჟლიტეს ურთი-ერთიც კი, და სხვა მრავალი ბოროტება მათი კიდე სხვა იყო და არის, — და რად? რა მიზნით? ოდესღაც შემდეგ „გასაბედნიერებლად ხალხისა"? ამ საშუალებით გაბედნიერება ვისიმე ხომ აბსურდია, უაზრობა, — ეს ვიცით ბევრი მაგალითითგან წარსულისა, — პირიქით, ასეთ უბედურებათა გამოვლის შემდეგ ერს ძლიერ დიდი ხანი სჭირდება ხოლმე, რომ გამომრთელდეს, სულიერად და ნივთიერად ნაცართაგან აღდგეს. ზოგს ჰგონია, რომ ასეთი რამ რუსის ბუნებაშია. რასაკვირველია თავის საქმეთათვის ყოველმა ერმა თვით უნდა აგოს პასუხი და არა სხვას აბრალოს იგინი, მაგრამ ბოლშევიზმი ყოველგან, ყოველი ერის შორის იმავე ნაყოფს იღებს, თუ მისმა თესლმა სადმე გაიხარა. ესპანიაში, მაგ., ბოლშევიკები „ესპანურად" მძვინვარებდენ ისევე, რაგვარადაც რუსეთში „რუსულად". და სხვ.. მიზეზი ამისა ერთია: ადამიანი შთამომავალია არა-წმიდა, გაიძვერა, ხორცის-მჭამელი, სისხლის-მსმელი და მეომარი მხეცისა, ხოლო გონებით დაჯილდოვებული ბუნებისაგან. მან იცის თვისი ბუნება, და მისი ზნე და წესი, სამართალი და სხვ. ამ ბუნების ასალაგმავად არის მისგან შექმნილი საზოგადოების დაცვისათვის. შემოქმედი სულიც მისი მის ალაგმვას მოითხოვს.

ხოლო შეიპყრობს რა მას წყურვილი სისხლისა და დათრგუნვისა პერიოდულად, განსაკუთრებით მისი ცხოვრების შეცვლის აუცილებლობისაგან გამოწვეულ მოძრაობაში, იგი გონების ჰკარგავს და განარღვევს ყველაფერს, რაც მას საუკუნეთა განმავლობაში შეუქმნია, — ავსაც და კარგსაც, — სჩადის ყოველ სიმხეცეს და უკეთურებას. ამის მაჩვენებელია ყველა დიდი რევოლუ-

ცია. პირველ-ყოფილი იდეალი იკარგება მოძრაობის ქაოსში და სიმხეცე მძვინვარებს, მიზანი მოძრაობისა მოულწეველი, ან ოდნავ მილწეული რჩება.— კიდეე უარესი რამ მომხდარა ხოლმე: ინკვიზიტორები მე-16-ე საუკუნეში ქრისტეს სახელით ცოცხალ ადამიანებს სწვაკდენ საშინელი წამების შემდეგ ათი-ათასობით! და რა უნდა ექმნა ბოლშევიზმს, რომლის თვით მოძღვრებაშია შხამი კაცის-კვლისა, წამებისა, დამცირებისა, დამონებისა!

ეს უნდა იცოდეს ყოველმა ხელმძღვანელმა მოძრაობისა, თუ იგი ნამდვილი მსახურია ერისა. **დამოუკიდებელი აზროვნებაა პირველ ყოვლისა მიხთვის საჭირო,** რომ თვით იყოს პატრონი მის მიერ აღსარებული მოძღვრებისა და არა გონება-ჩლუნგი მონა მისი, გონიერად მიმართოს იგი კეთილ მიზანთა მისაღწევად და სრულიადაც უკუაგდოს, თუ იგი ბოროტებას წარმოშობს. დიან, უამისოდ არაკინ ვარგა მოძრაობის ხელმძღვანელად!

ბოლშევიკები, რომლებიც თითქოს ბევრს ძველს რასმე დაუბრუნდენ, კარგი ხანია მორფიუმს გეიშხაპუნებენ ქართველთ და სხვა მათგან წამებულ ერთაც მათი „ალმშენებლობით", ხელოვნებისა და მეცნიერების მფარველობით, — თუმცა კეტით ადგან თავს საწყალ მეცნიერთ და აიძულებენ, „დიალექტიურ-მატერიალისტურად" იაზროვნონ, — რომ სასიკედილო ტკივილები შეგვინელონ. დღეს იგინი ილია ჭავჭავაძის მოკვლის შემდეგ 50 წლის თავს იგონებენ და ემზადებიან სადღესასწაულოდ. აგრეთვე უკვე კარგი ხანია, რაც მათ დაიწყეს ილიას ქება და დიდება და კიდე მეტად შეაქებენ და ადიდებენ მას ამ დღესასწაულზედ, — კაცს, რომელიც თვით მოჰკლეს, და ახლა თითქოს ამით უნდათ მათ, უსირცხვილოთ, სირცხვილი მოიხადონ.

ჩვენ კი აქ სხვა გრძნობით მოვიგონოთ დიდი მეთაური ქართველი ერისა, რომლის მოკვლითაც ბოლშევიზმმა დაიწყო უკანასკნელი ტრაგედია მისი. და მასთან და მის თანამოაზრეებთან ერთად მოვიგონოთ ოდესმე მათი მეტოქენიც, ნოე ჟორდანია და მისნი თანამოაზრენი, რომელნიც აგრეთვე მსხვერპლნი გახდენ ბოლშევიზმისა, თვით მთელი საქართველოს მსხვერპლად მიმტანისა სატანის საკურთხეველზედ. ერისათვის აღსრულებულმა საქმემ, ერისათვის მსხვერპლობამ და ერთისა და იმავე მტრის მიერ დათრგუნვამ შეერიგა იგინი დიდ ილიასთან და ჩვენც მათი ბედის მოგონებამ შეგვარიგოს აქ, — ყველა ქართველი, ყოველი მოძღვრების აღმსარებელი. მით უმეტეს რომ არც ერთი ჩვენი ძველი სოციალურ-პოლიტიკური პროგრამმა აღარ გამოდგება დღეს საფუძველ-დანგრეული ქართველი ერისა და მისი სრულად შეცვლილი ცხოვრების აღდგენად და განახლებად, თუ თვით ერი ცოცხალი გადურჩა ამ მის უკანასკნელ ტრაგედიას.

მცირე შენიშვნა ქართველთა წინაპართა საკითხისათვის [1]

გერმანულმა გამოცემამ (ამერიკულ ზონაში) „Ost-Probleme" (1951) გამოაქვეყნა თარგმანი ს. ჯანაშიას და ნ. ბერძენიშვილის წერილისა, რომელიც ამ მეცნიერთა მიერ დაბეჭდილი იყო „კომუნისტში" და მერე „პრავდაში" დეკ. 1945 წელს. მისი სათაურია: „ჩვენი კანონიერნი მოთხოვნანი ოსმალეთისაგან". წერილი შეეხება ოსმალეთის მიერ დაპერილ სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს საქართველოს ტერიტორიისა.

ჩვენ არ ვიცით, რა მიზნით გამოაქვეყნეს იგი ამერიკელებმა. გვაინტერე-

---

[1] ზედი ქართლისა, 1950 წ. № 10.

სებს აქ მხოლოდ ერთი რამ, რაიცა დიდი ხნითგან დიდ გაუგებრობას წარმოადგენს: წერილის ავტორებს ხეთელები და სუბარელები, რომლებიც მეორე ათასეულში ქრ. წ. წინა-აზიაში ბატონობდენ, ქართველთა წინაპრებად მიაჩნიათ.

უცხო და ქართველ მეცნიერთაგან ხშირად არის განმეორებული ეს აზრი, ხოლო ჩვენ ვგონებთ, რომ საფუძველი მისი მტკიცე არ არის.

არის ხალხები, რომელთაც სწორედ წინაპართა ენა დაუკარგავსთ და უცხო ენა შეუთვისებიათ და სამშობლო ენად გაუხდიათ განსაზღვრული მიზეზით. ხოლო არის ხალხები, რომელთაც უხსოვარი დროითგან შეუნახავსთ იგივე ენა, რომლითაც წინაპარნი მეტყველებდენ და რომლის ცვალებადობის შესწავლა შეიძლება იმოდენად, რაოდენადაც იგი სჩანს ერის ძველი და ახალი მწერლობის შედარებითგან.

ასეთ შემთხვევაში ძველი ხალხი ახალი ხალხის „წინაპრად" ჩაითვლება, რათგანაც ძველი მეტყველებდა იმ ენით, რომლისაგანაც წარმოსდგა ენა ახლისა.

ხოლო არც ძველი ხეთის ქვეყანაში, არც სუბარეთში, არც ურარტუს ქვეყანაში და არც სხვაგან ძველ მცირე-აზიაში და ჩრდილოეთ შუამდინარის ქვეყანაში არ აღმოჩენილა ჯერ ლურსმული (ან სხვა) წარწერები, რომლების ტექსტი ქართულად ან რომელსამე ენაზედ ქართული ჯგუფისა (მეგრულ-ჭანურად, სვანურად) დაწერილი იყოს. „ხეთური" ენა ინდო-გერმანულია,—ბევრ უცხო ელემენტთა შემცველი, მაგრამ მაინც ინდო-გერმანული. არა—ქართული, „ხურიტების" ენა (სუბარელთა მთავარი ენა) ურარტულის მონათესავედ სჩანს, ურარტული კი ქართულის მონათესავე არ არის. მას მხოლოდ რამოდენიმე გრამატიკული ფორმა და სიტყვა მოეპოვება მსგავსი ქართულისა, რაიცა სრულიად არ ამტკიცებს მის გენეტიურ ნათესაობას ქართულთან. ე. წ. პროტო-ხატური ტექსტები მცირეა, მაგრამ ისიც გვაჩვენებს, რომ ენა არც ქართულია, არც მეგრულ-ჭანური, არც სვანური და არც „პირველ-ყოფილი ქართული" (ე. ი. ენა, რომლის განშტოებისაგან წარმოდგენ ქართული, მეგრულ-ჭანური, სვანური, მათი მრავალი კილოებით).

ერთი ხალხის ტომთა და სხვა ხალხების ტომთა სახელების მსგავსება, თვით იგივეობაც კი, თუ ხშირად ფრიად მნიშვნელოვანია ამ ხალხების ნათესაობის დასამტკიცებლად, ხშირადვე უდიდეს შეცდომას ჩაადენინებს არაფრთხილ მკვლევარს, რომელიც მარტო სახელთა მსგავსებას და იგივეობასაც მეტ მნიშვნელობას მისცემს, ვიდრე მას ეკუთვნის, და სხვა საბუთებზედ არ დაამყარებს ხალხთა ნათესაობას, რომელ საბუთთა შორის ერთი მნიშვნელოვანი ეს მსგავსება და იგივეობაც იქნება.

სულ სხვაა გარდაცემა ერთი ხალხისაგან, ერთი ერისაგან მეორისათვის სიტყვათა, ნივთიერი კულტურის ელემენტთა, სარწმუნოებრივ წარმოდგენათა, ღვთაებათა და სხვ.. რასიული ელემენტებიც შეიძლება საერთო ჰქონდეს სრულიად „უნათესაო" ერთ,— ერთი ხალხითგან მეორეს წიაღში, ან ორივეში შესრული, ორივესათვის უცხო ხალხითგან.—მაგ. ბერძენთა ერში მრავალი იყო არა-ბერძნული, არა-ჩრდილოეთური, მცირე-აზიისა და ხმელთაშუაზღვის ხალხთაგან შესული რასიული ელემენტები; ბერძნულ ენაში მრავალი არა ინდო-გერმანული რამ არის, ბერძნულ სარწმუნოებაში მრავალი სარწმუნოებრივი წარმოდგენა, ღვთაებანი მცირე აზიის ხალხთა; ერთობ კულტურული გაელენა მცირე აზიისა და ხმელთაშუაზღვის ხალხთა დიდი იყო საბერ-

ქნეთზედ, მაგრამ განა რომელიმე ხალხს, ბერძნებზედ ასეთი გავლენის მქონეს, ვილინთა „წინაპრად“ გამოვაცხადებთ? — მსგავსადვე, ხეთელები, სუბარელები, ურარტელები და სხვანი არ არიან ქართველთა წინაპარნი, მიუხედავად იმისა, რომ ქართველთა შორის დღესაც ვხედავთ სხვა ტიპთა გარდა ძველ ხეთურ ტიპსაც (წინა-აზიურს); ბევრი სარწმუნოებრივი წარმოდგენა ქართველ წარმართთა ძველი ხეთური იყო, აგრეთვე უცხო ღვთაებანი იყვნენ შემოსრულნი საქართველოში, როგორც მაგ. „პროტო-ხატური“ ტელეფინუ (შეად. სვან. ტულეფია — მელია) და და სხვ.. და უძველესი სიტყვებიც არის ქართულში შემოსული უძველეს უცხო მეზობელ ხალხთა ენებითგან, აუხსნელი ქართული ენათმეცნიერების ნიადაგზედ, რომლის ვინაობას მხოლოდ მაშინ გავიგებთ, როდესაც მათ სადღაც ჯერ აღმოუჩენელ ან წაუკითხავ ძველ ტექსტებში ვიხილავთ. უფრო რთულია პროცესი ნივთიერი კულტურის შეთვისებისა ხალხთა მიერ ურთი-ერთისაგან. და აქ ჰმართებს მეცნიერს დიდი სიფრთხილე, — აღნიშნოს და გაიგოს მოვლენანი ისე, რომ შემცდარი დასკვნები არ გამოიღოს ხალხთა „ნათესაობისა“ ან ერთის „წინაპრობისა“ მეორისათვის და სხვ..

ჩვენ ხშირად გვითქვამს და ახლა კვლავ ვიმეორებთ, რომ ერთად-ერთი ენა, რომლის გენეტიური ნათესაობა ქართულთან სჩანს, არის სუმერული. მაგრამ ეს ნათესაობაც შორეულია, — არა ისეთი, რომ სუმერული ქართულ ენათა ჯგუფს (ქართულ-მეგრულ-ჭანურ-სვანურ-სუმერულს) ეკუთვნოდეს, ან ქართულ ენათა ჯგუფი სუმერულის განშტოების შედეგი იყოს. ამიტომ აბსურდი იქნებოდა იმისი თქმა, რომ „სუმერნი ქართველთა წინაპარნი იყვნენ“. სუმერულისა და ქართულის ნათესაობა და აგრეთვე საქართველოში ახლად აღმოჩენილი საგნები მეორე ათას. ქრ. წ. (მაგ. თრიალეთში, იხ. შ. ამირანაშვილის ისტ. ქართ. ხელოვნებისა [რუს.], გვ. 31,34), და სხვა მოსაზრებანიც გვეუბნებიან მხოლოდ, რომ ყოფილა ერთი უძველესი ჯგუფი ხალხთა კავკასიაში და მისი სამხრეთით მდებარე ადგილებში მოსახლე, რომელთა ენები ურთი-ერთის მონათესავე იყო. ერთი ამ ხალხთაგანი, სუმერის ხალხი, სამხრეთისაკენ წამოსულა, სამხრეთ მესოპოტამიაში დასახლებულა და იქ შეუქმნია უძველესი დიდებული კულტურა. სხვა ძველ ხალხთა ბედი ამ ჯგუფისა ჯერ არ ვიცით. ხოლო ქართველები, ამავე ჯგუფის ხალხი, ქამთა ვითარებაში მეზობელთა ყოველნაირი გავლენის გამცდელნი, დღესაც ვარსებობთ, მქონენი „ეროვნული“ ისტორიისა და შემქმნელნი „ეროვნული“ კულტურისა.

და ჩვენი ძირების ნახვა, ჩვენ „წინაპართა“ აღმოჩენა შესაძლებელია და მოსალოდნელი სუმერთა წარმოშობის საკითხის საბოლოოდ გამორკვევასთან და გადაწყვეტასთან დაკავშირებითაც.

პარიზი

მიხაკო ფერეთლის ფერილები ივანე ჯავახიშვილისადმი

ლ ო ნ დ ო ნ ი,
16 იანვარი, 1910.

ძვირფასო ბ-ნო ივანე,

მივიღე თქვენი წერილი და ვაჩქარებ პასუხსა. ვერ წარმოიდგენთ, რა მადლობით აღივსო ჩემი გული, როდესაც წავიკითხე თქვენი წერილი: მეუბნებით, პირდაპირ და გულწრფელად მომწერეთო და მეც ვსარგებლობ ამით და მთელი ჩემი აღსარება მინდა გადმოგიშალოთ, თუ ამით თავს არ შეგაწყენთ.

პირველად იმას ვიტყვი, რომ სრულიად დამებნა გზა და კვალი და არ ვიცი რა ვქნა: სახლში ვეღარ დავბრუნდები, რადგანაც ხუთი წლით მეც გამომაძევეს, სხვებთან ერთად. აქ კი მაისს შემდეგ აღარაფერი მექნება. მაგრამ ეს არაფერი; ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ არ ვიცი, როდის აპირებენ ლექტორის მოწვევას და რა პირობებით. ბერიძეს მიტომ ვსწერდი მოემზადეთ მეთქი, თქვენც მიტომ მოგწერეთ, რომ ა ლ ბ ა თ მოიწვევენ, მაშ ისე ხომ არ დასტოვებენ საქმესა და მეც ყ ო ვ ე ლ შ ე მ თ ხ ვ ე ვ ა შ ი ვფიქრობდი, რომ ვინმე გვყოლოდა სახეში. ჩემ თავზედ ბევრი ვიფიქრე, ავსწონდავსწონე ყოვლისფერი და დავრწმუნდი, რომ არ გამოვდგები, კიდევაც რომ მოვახერხო ლექტორობის შოვნა; დიდი მომზადება მჭირდება. მჭირდება ქართული სიტყვიერებისა და მწერლობის ცოდნა, უპირველეს ყოვლისა, და როგორ ღა როდის უნდა შევისწავლო ეს ამ მოკლე ხანში, არ ვიცი. ამას გარდა, მე ინგლისურიც არ ვიცი ისე, რომ ხეირიანად ვსწერო და ვილაპარაკო; ჩემი ინგლისური ნაწვალები და ნაჯახირებით, და დაწერილიც კი არაფრად ღირს, თუ მცოდნემ არ გაასწორა. ასე რომ ინგლისურშიც დიდი მომზადება დამჭირდება, ერთი წლისა მაინც, რომ შევსძლო უხეირო ლექციების კითხვა. —ეი ეს ორი უმთავრესი გარემოება პირდაპირ სპობს ჩემი ლექტორობის შესაძლებლობასაც კი ჯერჯერობით. ამას გარდა, არ ვიცი დანამდვილებით, რა იქნება რას იზამს უორდროპი, როდის მოიწვევენ ლექტორს. ჯერ უორდროპი ისევ ჩვენშია, თუ არ ვიცი სპარსეთში. გაზაფხულამდის არ დაბრუნდება და როცა მოვა, მაშინ უკვე დანამდვილებით გავიგებ ყველაფერს. ეს კი მითხრეს, რომ უბრალო ლექტორს უდიპლომოდაც იღებენო, ხოლო თუ დისერტაციის დაცვა უნდა და კათედრის მიღება, მაშინ უსათუოდ ა ქ ა უ რ ი დიპლომია საჭირო.

ჩემი პლანი კიდევ სხვანაირი იყო. მე მინდოდა მესწავლა და მოვმზადებულიყავ ან ასირიოლოგიაში, ან სპეციალურად ქართულ-სებიურ ფილოლოგიაში. ჩემით აქ დავიწყე ასირიოლოგია, მაგრამ ვატყობ, უხელმძღვანელოდ არაფერი გამოვა, ‘მორს ვერ წავალ. უსისტემოდ სწავლა ძნელია, ხოლო უნი-

ვერსიტეტი კი აძლევს კაცს სისტემას: ან და უდიდესი ნიჭის პატრონი და ზრაძის შემძლე უნდა იყოს კაცი, რომ მიზანს მიაღწიოს. მე კი რა ვქნა? აქ უნივერსიტეტი ძვირია, მე ვერ შევძლებ. ამიტომაც ჩემი ოცნება იყო გერმანიაში შევსულიყავ უნივერსიტეტში და დელიჩთან მესწავლა, თანაც ინგლისური მეზეპირებინა, რომ როცა გავათავებდი, მზად ვყოფილიყავ ლექტორობისათვის, თუ ძანამ სხვა არავინ იქნებოდა, ან სხვა და სხვა ადგილს გადავიდოდა და ძე ვიქნებოდი ძის ძაგიერ. ყოველ შემთხვევაში, მომზადებული ვიქნებოდი.და თუ აქ არა, სხვაგან მაინც ავიღებდი ლექტორობას და ჩემი სპეციალობაც „(ლურსმული) და ქართული იქნებოდა". ნუ დაივიწყებთ, ბატონო ვანო, რომ მე ა რ ა ფ ე რ ი ა რ ვ ი ც ი ს რ უ ლ ი ა დ ამ საგნებში, და კაი ოთხი წლის მომზადება მჭირდება, რომ არ შეგარცხვინოთ. ამიტომაც გწერდით. — უკვე მცოდნე საგნისა ისეთ, რომელსაც ინგლისურის მეტი არა სჭირდებოდეს რა, იქნებ ნახოთ და მოამზადოთ, რომ როდესაც დადგება წამი ლექტორის მოწვევისა, უცბად მივაგნოთ — აი გვყავს ქართველი მეთქი, — და ინგლისელები დიდის სიხარულით მიიღებდნენ.

ეხლა სტიპენდიაზეც უნდა მოგახსენოთ: ისე ვარ დაშინებული და იმედდაკარგული, რომ მეშინია: კიდევაც რომ მოხერხდეს სტიპენდია, ვაი თუ ვერ შევსძლო სწავლა უნივერსიტეტში და შევრცხვე, ან თქვენც და სარაჯიშვილიც უხერხულ მდგომარეობაში ჩაგაყენოთ, მერმე სადღა წაუვიდე სირცხვილსა და თავის მოკვრას? პირმოთნეობით კი არა, არამედ მთელის ჩემის გულით გეუბნებით, რომ თქვენი პატივისცემა ისე მაქვს გულში გამჯდარი იმ დროიდანაც, როდესაც ვერც კი გიცნობდით, რომ თქვენ რომ რამე საყვედური დაიმსახუროთ ჩემის მიზეზით ვისგანმე, ღმერთმა ნუღარ გამახელოს თვალი ამ ქვეყნად! — დავიღალე, ძმაო, ისე დამღალა და გამომატვინა ამ პარტიულმა ცხოვრებამ და ობროდობამ, ისე წაიღო ტვინი, გული, ხალისი, განსაკუთრებით სისტემატიური მუშაობის ნიჭი, რომ რწმენა დავკარგე ჩემის თავისა და მეშინია. დავჩლუნგდი ისე, და მეხსიერება დამეკარგა ისე, რომ წარმოიდგინეთ, როცა ენებს ვსწავლობ, ყველაზე უფრო გრამატიკის სწავლა კი არა, ა ნ ბ ა ნ ი ს შ ე ს წ ა ვ ლ ა მ ი ჭ ი რ ს, არ გამახსოვრდება ფორმები ასოებისა! ასეთია ჩემი მდგომარეობა, და ამიტომაც, როცა ამას წინათ ჩემი ძმა ჩამაცივდა, მოსწერე „სიეზდს" თხოვნა, შაი ქვის სტიპენდია დამინიშნონო, უარი შევუთვალე, მაგრამ რომ აღარ მომეშვა, გავუგზავნე თხოვნა, — ვიცი მაინც არა გამოვა რა და იმიტომ. — თქვენცა მწერთ დაღლილი ვარო მაგრამ თქვენი დაღლა სისტემატიური და ნაყოფიერი შრომისაგან არის. დაისვენებთ და მერმე კიდევ უფრო დიდის ენერგიით შეუდგებით თქვენის მართლაც დიდის გეგმის აღსრულებას. მარტო ხართ, მაგრამ მით უფრო გმირულად იბრძოლებთ და ლელოს გაიტანთ. ჩემი დაღლა კი, პირიქით, უსისტემობისა და სულისკვეთების, უნაყოფო ტანჯვის შედეგია და მიტომ აღარა მაქვს იმედი რომ აღვსდგე. მაგრამ თანაც მიყვარს ეს საგნები, ეხლა ვიცი მხოლოდ, რომ ქართველი კაცისთვის ერთი უდიდესი ნუგეშია მისი წარსულის სწავლა, აგრეთვე ვიცი, რომ ამით იგი არა თუ ჩვენს საცოდავ ერს, არამედ მეცნიერებასაც დიდს სამსახურს უწევს, და მეც მწყურია სწავლა. თუ ეხლაც ვერ შევძელი ჩემი მიზნის მიღწევა, სულ დავეცემი და დავიღუპები, — აი, ძმაო, ამ ორ ცეცხლს შუა ვარ და არ ვიცი რა ვქნა, საით წავიდე. შეგაწუხოთ და მიგაწერიოთ წერილი სარაჯიშვილთან ვაი თუ ვერ გავამართლო იმედი, არა და დაღუპვის კარზედა ვდგავარ. არ გეგონოთ, ამას დაუფიქრებლად გწერდეთ, — ეს ჩემი გულის ნადებია, ბევრი ჩემი ცრემლისა და სასოწარკვეთილების

შემდეგ ჩემდამივე ნათქვამი დასკვნა. არ ვიცი, იქნებ ისევ თქვენა ჰქნათ მადლი და გამომიყვანოთ ამ გაჭირვებიდან მით, რომ მიჩვენოთ სადმე ევროპაში უნივერსიტეტი. სადაც ჩემისთანა ადამიანს შეეძლოს ოთხ წელიწადს თუ დასრულება არა კურსისა, იმდენის სწავლა მაინც. რომ შემდეგ თვით შესძლოს მუშაობა. თუ კი ძლიერ დიდი ენერგია, დიდი ნიჭი და დიდი დრო უნდა ასირიოლოგიის შესწავლას, მაშინ არ ღირს დაწყება. ამასთანავე ისიც მინდა ვიცოდე, რა სჯობია, თუ უნივერსიტეტში შევიდე ასირიოლოგიის ნაწილით, თუ სპეციალურად სემიტოლოგია, რომ შემდეგ ქართულს კვლევისათვის ვიყო სპეციალურად მომზადებული?

ეხლა თქვენს პედაგოგიურ ინსტიტუტს მივმართავ პირდაპირ. რაც მოგწერეთ მართალია. მიიღეთ ყოველივე ეს მხედველობაში და თუ ნახოთ შესაძლებლად, რომ კიდეე არის შესაძლებელი ჩემი სწავლა, ჰქენით მადლი და მისწერეთ დ. სარაჯიშვილს, რომ სტიპენდია მომცეს, ან აქ, ან გერმანიაში, ჩემის ფიქრით, გერმანიაში უფრო იაფია და სჯობია კიდეც. აქ კი. ლონდონში არც კია სპეციალური კურსები ასირიოლოგიისა, ოქსფორდში კი. სადაც ჩვენი კათედრაც უნდა იყოს, ნამეტანი ძვირია ცხოვრება და სწავლა. ისე რომ მოხერხდებოდეს, რომ ოქსფორდში ლექტორადაც ვიყო, სტუდენტადაც, კარგი იქნება, მაგრამ ჯერ-ხნობით ლექტორობას ვერ შეეძლებ მოუმზადებლობის გამო და ინგლისურის უხეიროდ ცოდნის გამოც. ცოტა შეიძლება რომ მქონდეს კი. ინგლისურ საზოგადოებაში ვიქნებოდი, ისეთ ბინას ამოვირჩევდი, ეხლა კი ინგლისელს თვალითაც ვერა ეხედავ. მედუქნეებსა და მერესტორნეებს გარდა.

ქრესტომათიას შევუდგები, როგორც რომ ჩამოვა უორდროპი. ვან ინგლისური ლიტერატურული ენითა სწეროს და მე კი თქვენის დახმარებით, მასალასა და წიგნის გეგმას მივცემ. ძლიერ გაეხარდება. თვითონ უნდოდა შედგენა, მაგრამ ვერ მოახერხა, დამხმარე არავინა ჰყავდა. ამ საქმეს უსათუოდ შევუდგებით. როგორც რომ დაბრუნდება უორდროპი. მას ლექსიკონის (ქართულ-ინგლისურისა და ინგლისურ-ქართულისა) უდიდესი ნაწილიც უკვე შედგენილი აქვს თავის დის დახმარებით.

დასასრულ გისურვებთ ჯანმრთელობას. კარგად მოსვენებას. რომ თქვენი დიდი გეგმა აგესრულებიოთ — ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს ი ს ტ ო რ ი ი ს დ ა წ ე რ ა. ჩვენში რომ ესმოდეთ, თუ რა არის ეს შრომა, მაშინ ასე აღარ გაგიჭირდებოდათ, მაგრამ არ ესმით ჩვენს უბედურებს. ჩემის დღეები არ დამავიწყდება, — თქვენს ლექციაზედ რომ სამი კაცი იყო ერთხელ და... სხვებს რომ ათასობით აწყდებოდა ხალხი! ეს დამახასიათებელია ერთგვარი უმსგავსოებისა ჩვენში, თორემ სხვა მხრივ კი არა არის რა. არც ის ესმით და აფასებენ, რომ ქართულადა სწერთ თქვენს თხზულებებს. რა დიდი მსხვერპლია ეს პირადად თქვენთვის — ეს არ იციან და როდის გაიგებენ, როდის ჩაეარდებიან ჭკუაში ჩვენები, რომ თ ა ვ ი ს ი ვ ე ს ა ს ა რ გ ებ ლ ო დ თ ა ვ ი ს ი ვ ე კაცებს შეუმსუბუქონ შრომა — არ ვიცი!

მგონი მართლაც თავი მოგაბეზრეთ. თქვენი წერილი კი ჩემთვის ძვირფასი რამ არის, არა თუ თავის მომაბეზრებელი, მხოლოდ სინდისი მაწუხებს ხოლმე, რომ დროს გაკარგვინებთ, ისიც ავადმყოფობის დროსა. — აწ აღარ შეგაწუხებთ ხოლმე. მხოლოდ ჩემს ნაჩხირკედელავებს შეგატყობინებთ ხოლმე თუ რამე ვნახე და თქვენც როცა დრო და ხალისი ნახოთ, ათასში ერთხელ, მაშინ მომაწოდეთ შენიშვნები.

ეჰ! მეც თუ ბედმა გამიღიმა ერთხელ, ერთი შევიბერტყე წარსული მძიმე ტვირთი დაღლილობისა და ბრჭყალი ჩავკიდე მეცნიერებას, იქნებ ამან თანდათან უფრო გამომაცოცხლოს, გამამხნევოს და მაშინ არ დავზოგავ ძალღონეს, თავს ძოვიკლავ და აქაურებს მაინც გავაცნობ ჩვენს ვინაობას. სხვა თუ ვერაფერი გავაკეთე.

თქვენი წერილის თარგმანი დავამთავრე. ეხლა ვეძებ ინგლისელს, რომ გავასწორებიო, რადგანაც უორდროპი აქ არ არის. აქ რომ ყოფილიყოს, ის გამისწორებდა. თუ ის დავაბეჭდე, მაშინ კარგად იქნება საქმე. მერმე სხვას მივიტან. ამგვარად, თუ აქ ვიქენ, რაც არის უკვე გაკეთებული თქვენგან, მარისაგან და სხვათაგან (თუმცა „სხვა“ კი არავინ არის მგონი!), იმას მაინც გავაცნობ აქაურებს, და ჯერ-ჯერობით ესეც კარგი იქნება.

თქვენი მარად პატივისმცემელი

მიხ. წერეთელი

ლონდონი
1910, 9 ნოემბერი

ძვირფასო ბატონო ვანო!

მივიღე თქვენი წიგნაკი, რისთვისაც ძლიერ გმადლობთ. მაშინათვე გადავიკითხე და ბრიტანიის მუზეუმში ყველა ის ავტორებიც, რომელთაც თქვენ ეხებით, გადავათვალიერე. მართლაც რომ საკვირველია, ქართული სულ არ იციან ამ მეცნიერებმა და ქართულს კი ადარებენ ძველ მკვდარ ენებსა. ვაგრამ ერთი რამ კი არის: აუარებელი სიტყვა და სიტყვის ძირი მოიპოვება მიდიურსა და ურარტულ ენაში ქართული. მიუხედავად იმისა, რომ ცუდად კითხულობენ და ტრანსკრიპციაც უხეიროა, მაინც ბევრია იქ ქართული ელემენტი. გრამატიკული ფორმებიც ბევრია საერთო; ეს ყოველისფერი თქვენც კარგად იცით და რა არის თქვენი აზრი ამის შესახებ, ძლიერ მაინტერესებს. — ეს მეცნიერები ერთის მხრით ქართულს ადარებენ მიდიურსა, ურარტულსა და სხვათა და ნახულობენ მსგავსებას. ამასთანავე მთელს ამ გრუპას ქართულიანა თურანულ გრუპად აღიარებს უმეტესი მათგანი. მაშ ქართველები თურანელები ვყოფილვართ? მეორეს მხრით ნ. მარი ქართველებს მთელს იმ გრუპიანად (იაფეთიდებს) სემიტების ბიძაშვილებადა სთვლის. თუ ორივე მხარე მართალია, მაშ სემიტები და თურანელებიც ყოფილან ბიძაშვილები. რა აზრისაა მეცნიერება ამის შესახებ? — ამას გარდა ერთი რამ მაფიქრებს: თუ სემიტების ენა და ქართული ერთის მხრით ბიძაშვილებია, აგრეთვე თუ ქართული ღვიძლი შვილია მკვდარ ალაროლიულ ენათა, მაშინ რაც უფრო ძველ ნიმუშებს შევადარებთ ამ ალაროლიულისა და სემიურისას, მით უფრო ახლო ნათესაობა უნდა იყოს მათ შორის. ნამდვილად კი სუმერული ენა (უძველესი იაფეთური) და ბაბილონურ-ასურული სრულიად განირჩეევიან ერთმანეთისაგან, ვიდრე თანამედროვე ქართული (ან ძველი ქართული) და რომელიმე სემიური ენა.

აქ რაღაცაა ისეთი, რაიც ვერ გამომირკვევია და ვერც გამოვარკვევ. მარტო ვარ, უხელმძღვანელოდ. მარტო მუზეუმში კითხვით არა გამოვა რა. გვიანაც დავიწყე სწავლა და სანამ ენებს ვისწავლიდე და მოვიხმარდე ლურს-

მულისათვის, ვინ იცის რამდენი დრო დამჭირდება, ან შევძლებ თუ არა. ეხლა ვნანობ, რატომ როცა დრო იყო, მაშინ არ დავიწყე სწავლა ამ საგნებისა. ცოტათი სასოწარკვეთილება მეპარება, არ ვიცი ვსძლევ თუ არა მას. თან კი ბუნდოვანად ვხედავ, რა ღრმა და ხანგრძლივი წარსული ჰქონია ჩვენს ერსა! რამდენია გასასწორებელი ევროპიელთა მეცნიერებაში. რაულინსონის ძმას (ჯორჯს) რომ ჰკითხო, მაგალითად, — „მესხებმა" „მოსკოვი" დააარსესო!

აბა ჩემთვის წერილების წერისათვის სად გეცლებათ, მაგრამ თუ დრო ნახოთ, ორიოდე სიტყვა გაიმეტეთ ჩემთვის, ან ბერიძეს უთხარით და ის მომწერს.

თქვენი მარად პატივისმცემელი მიხეილ წერეთელი.

P.S. ეხლა თქვენი წიგნიდან „მთვარის თაყვანისცემის" ამბავი მინდა დავწერო. დამპირდნენ. დაგიბეჭდავთო და არ ვიცი, ვნახოთ.

21 დეკემბერი, 1910.

ძვირფასო ბ-ნო ვანო!

წარმოიდგინეთ აქაური ფოსტის სიკეთე! თქვენი გამოგზავნილი წიგნი (ქანური გრამატიკა) ნახეს და მომიტანეს დღეს. დიდად და დიდად გმადლობთ თქვენც და ბატონ მარსაც, რომ მეც მითავაზეთ ეგ წიგნი. ეხლა ვზივარ და ბეჯითად ეკითხულობ.

თქვენი პატივისმცემელი მიხაკო წერეთელი.

14 თებერვალი, 1911.

ძვირფასო ბ-ნო ვანო,

მივიღე თქვენი წერილი და უნდა მოგახსენოთ, რომ დიდად გმადლობთ დახმარებისათვის, სარაჯიშვილისათვის რომ წერილი მიგიწერიათ. მისი ავადმყოფობა კაი ხანია მესმის და არ ვიცი, როგორ არის ეხლა მისი საქმე. ვინ იცის, იქნებ გასაოთებულ გულზედ აღარც კი დაეძებდეს სტიპენდიებსა და ამგვარ საქმეებსა.

ქრესტომატიის გამოცემას უსათუოდ შევუდგებით ამ გაზაფხულზედ, თუ აქ დავრჩი როგორმე. უორდროპი ჩამოვა ამ ორ კვირაში. წერილი მოიწერა, და როგორც ჩამოვა, იმ საათშივე მოველაპარაკები. ვიცი, მას ეს დიდად ეამება, თუ კი კიდევ იმას მოახერხებთ, რომ მანდ გამოიცეს, თუ აქ არ მოხერხდა, ამას რაღა აჯობებს.

თქვენი ახალი გამოკვლევა „ტანისამოსის" შესახებ ძლიერ საინტერესოა, თუ გინდ იმიტომაც. რომ აქამდის არ ვიცით, რომელია ჩვენი ნამდვილი ეროვნული ტანთ-საბურავი და რომელია ნასესხები. თუ დაიბეჭდოს თქვენი მოხსენება, იქნებ სათაური და ნომერი მაცნობოთ იმ გამოცემისა და აქ მუზეუმში წავიკითხავ. აგრეთვე დიდი საქმე იქნება მართლაც, რომ „ეთნოგრაფიულ საზოგადოებას" ჩვენი ნაშთების მოვლის უფლება მიენიჭოს და აგრეთვე დახმარებაც აღმოუჩნდეს.

სურათებიც ძლიერ საინტერესოა, ნეტავ დაახლოებით მაინც ნამდვილია ეს დარჩენილი სურათები? ალბად ნახავდით თამარაშვილის ახალ წიგნს, ფრან-

გულად რომ გამოსცა, „საქართველოს ეკლესიის ისტორია"-ს. იქაც იყო სხვა და სხვა ძველ პიროვნებათა სურათები, კათოლითე ბერებისაგან გადაღებული, და არ ვიცი, ნამდვილია თუ მათი ფანტაზია ან როგორ უნდა გამოარკვიოს კაცმა ნამდვილია თუ არა?

ჩვენებურ საქმიანობაზედ ნულარას ვიტყვით, ძმაო. როგორც მატყობინებენ, თურმე არავინ არაფერს არ აკეთებს ეხლა ჩვენში: არც არავინ პირადად და არც ერთი საზოგადო დაწესებულება. საციციანოს გაყიდვის ამბავმა მეც ძლიერ ამაღელვა, მაგრამ რაც ერთხელ არ იყო გაზეთებში, მას უკან აღარაფერი ყოფილა და არ ვიცი როგორ არის საქმე. ალბათ გაყიდიან, ვინ ან რა დაუშლით! ის კი არა და ალბათ ათასი ოხერია შეჩენილი ვინ იცის ვისგან და როგორ, რომ როგორმე ხელიდან გამოგვაცალონ ეს საუკეთესო ადგილიც.

მშვიდობით, ბ-ნო ვანო. მე ისევ და ისე ვარ როგორც ვიყავ. ეხლა სუმერის ენას ჩავკირკიტებ და პატარა ხანს იქით შეგატყობინებთ ამის შესახებ ჩემს აზრს. ძლიერ საინტერესოა. ახალი ტრანსკრიპცია ტიურო-ლანჟენისა ბევრს რასმეს ჰფენს ნათელს და ქართულს ამსგავსებს ამ ენას.

თქვენი პატივისმცემელი მიხ. წერეთელი.

P.S. კინაღამ არ დამავიწყდა: თქვენი წიგნის („ქართველი ერის ისტორიის") მე-109 გვერდზე რომ ლექსია, ის გადავთარგმნე, მაგრამ „ცხავი აცხავებულია"-ს ვერა მოვუხერხე- რა, ვერ გადავთარგმნე. აგრეთვე მე-113 გვერდზე „ქართლის ცხოვრებიდან" მოყვანილი ციტატა ვერ გადავთარგმნე. არა მაქვს აქ ზაქ. ჭიჭინაძის გამოცემა და ამ ცალკე ამონაწერით კი აზრი ვერ გავიგე.

გთხოვთ, ეს ორი ადგილი როგორმე გადამითარგმნოთ, ანუ კიდეე აჯობებს ქართულადვე დასწერეთ მათ მაგიერ ისეთი ტექსტი, რომ ინგლისურად შემეძლოს გადათარგმნა, და გამომიგზავნოთ. დანარჩენი სულ მზად არის.

თქვენი პატივისმცემელი მიხ. წერეთელი

24 მარტი, 1911.

ძვირფასო ბატონო ვანო!

მივიღე თქვენი წერილი და დიდად გმადლობთ პასუხისათვის და აგრეთვე სარაჯიშვილთან წერილის მიწერისათვის. სარაჯიშვილს მგონი 100 000 მანეთი მუზეუმისთვისაც შეუწირავს და თუ ანდერძით კიდეე 100 000 მანეთს „ისტორიულ საზოგადოებას" უტოვებს, ეს მართლაც დიდი საქმე იქნება. მაგრამ იქნებ ამის გამოც სტიპენდიასაც აღარავის აძლევს და მაშინ მართლაც ვეღარ გავამტყუნებთ. 200 000 მანეთის მიცემის შემდეგ საზოგადო საქმისათვის როგორღა უნდა ვსთხოვოთ სტიპენდია. ყოველ შემთხვევაში ვაჩქარებ ამ წერილს, რადგანაც თბილისში წასვლას აპირებთ, და თუ მოსახერხებელი იქნა, იქნებ მოახერხოთ როგორმე, თუ კი ძნელი და მძიმე სათხოვნელი იქნეს, თავს მაინც და მაინც ნუ შეიწუხებთ. ამ ორ წელიწადს როგორმე გავატარებ, რომ არ მოვკვდე შიმშილით, მერე 1913 წელს ამნისტია იქნება და ისევ დავბრუნდები შინ, თუმცა ამნისტიის იმედით ყოფნაც მხოლოდ უკიდურეს მდგომარეობაში შეიძლება. — თამარაშვილის შესახებ თქვენ მართალს ამბობთ. მართალი მოგახსენოთ, მე ისიც მიკვირს, რომ ასეთს წიგნებს მაინცა სწერს. ხოლო სურათებს რომ მხოლოდ დაახლოებით შეუძლიათ დაგვიხატონ ძველი ცხოვრება, ეს არ მესიამოვნა. მეგონა გიორგი სააკაძისა და

სხვა რამდენიმე პირთა სურათი მაინც ნამდვილი იქნებოდა. — პახომოვის წერილს უსათუოდ წავიკითხავ. აქ არის ეგ გამოცემა მუზეუმში. და თქვენს რეცენზიასაც უსათუოდ ვნახავ, რადგანაც ж. м. н. р. მოსდის მუზეუმს, თუ მოვასწარ ჩემს აქ ყოფნაში. თუ მე რომ მოგწერეთ, „ქ. ერის ისტორიის“ ივ ადგილებს განმიმარტავთ, ძლიერ დაგიმადლებთ, რადგანაც საქმე იმის მიზეზით არის შეჩერებული.

უორდროპი ჩამოვიდა და მართლაც კიდევ უარესად არის, ვიდრე აქედან გავისტუმრეთ. მოველაპარაკე ქრესტომატიის შესახებ და მითხრა, მაგის მასალას დიდი ხანია ვკრეფ, გავათავე კიდეც მასალის შეკრება, მაგრამ გული არა მაქვს მუშაობისა და ავადაც ვარო. მერე შეიძლება დავიწყოო. მგონი ამ ცოტა ხნის შემდეგ თავისი დედითურთ მიდის სამხრეთ საფრანგეთში ზაფხულის გასატარებლად. თუ პ. სურგულაძის ადრესს შემატყობინებთ, ან ჩემს ადრესს მისცემთ ძლიერ კარგი იქნება. მიკვირს, იგი რომში იყო თამარაშვილთან, ხოლო თამარაშვილმა იცის ჩემი ადრესი და არ მიუცია.

ჩემს ამბავს თუ იკითხავთ, ვარ ისევ მუზეუმში გამომწყვდეული და ვმუშაობ, მაგრამ დავიღალე კი ძლიერ. ამ საძაგელ ლონდონში კი გაზაფხული საშინელი სცოდნია და ცოტა არ იყოს, ვერა ვარ კარგად. მაგრამ ეს არ მაწუხებს, — მაწუხებს ის, რომ ჩემ მუშაობას სასურველი ნაყოფი ვერ მოაქვს და ვერც მოიტანს, თუ სხვანაირად არ მოვაწყვე საქმე, თუ სისტემატურად არ ვიმუშავე ვისმეს ხელმძღვანელობით. ძნელი ყოფილა ეს ასირიოლოგია: უნდა იცოდე სემიური ენები და ენათმეცნიერება კარგად, საზოგადო ისტორია და ისტორიული კვლევის მეთოდი, ისტორია მოგზაურობათა და არქეოლოგია მთელის წინა აზიისა და კიდევ ვინ იცის რამდენი წვრილი და მსხვილი რამ. ამას გარდა ლურსმულის წასაკითხავად პირდაპირ „ფოკუზებია“ საჭირო ლოგიკასთან ერთად და ხანდახან ეს გონების „ფოკუზები“ უფროც შველის კაცს, ვიდრე მსჯელობა, ამ მეცნიერებაში. ეს ნიჭი კი ყველას არა აქვს და ამიტომაც ძნელია, ძალიან ძნელია ჩემთვის ყოველივე ესე, მაგრამ რაღაი დავიწყე, არ ვეშვები, და ვნახოთ რა გამოვა. მხოლოდ ერთი რამ არის ჩემთვის ცხადი: რომ ყოფილა დამოუკიდებელი რასა „ქართველთა“, ანუ „იაფეთელთა“ როგორც მარსი უწოდებს. ეს რასა პრესემიური და პრეასიული იყო მცირე აზიაში, სპარსეთში და ბაბილონში. სემური, ელამი, ურარტუ, ხეთა, ნაწილნი არიან ამ რასისა. ხეთელები უნდა იყვნენ პირდაპირნი წინაპარნი ქართველთა. მესხები, ტმელები და სხვ. — ხეთის ტომნი უნდა იყვნენ. ხოლო სუბერი, ელამი და ურარტუ — თუმცა ამავე მოდგმის, მაგრამ გარეშე ბიძაშვილები ქართველთა. თქვენი აზრი, რომ ჩვენი ძველი მწერლობა ხეთურში უნდა ეძიოთ, მართალია. ერთი სიტყვა „ქვეყანა“ ხეთურ ლურსმულში „ქვეყანასავე“ ნიშნავს, როგორც სეისმა გამოიკვლია, და რომ იეროგლიფების წაკითხვა შეიძლებოდეს, ვინ იცის, რა არ გამოჩნდება. — გარდა ამისა, ერთი რამ არის საინტერესო: რაც უფრო უმჯობესდება ტრანსკრიპცია ლურსმულისა, იმდენად ჩნდება იქ ქართული. ძველ სუბერულ ტრანსკრიპციაში ქართული არ იყო თითქმის, ახალში კი ნელ-ნელა ამოდის ქართული სიტყვები; გრამატიკა, განსაკუთრებით ზმნის აგებულება კი ქართულს ისე ჰგავს, რომ განსაცვიფრებელია. შეგატყობინებთ ამის შესახებ ყოველისფერს ამ ზაფხულს, როცა დავანებებ თავს მუზეუმსა და რაც მასალა მაქვს იმის შესახებ დავწერ პატარა რამეს. — იგივე ეტყობა ელამურსა და ახალ სუბერ ტრანსკრიპციას. საყურადღებოა ამ მხრით ვეისბახის ახალი წიგნი „Die Adämenideninschriften“. ერთი სიტყვით, მართალია გიორგი ჯაფარიძეს

და სხვებიც, ვინც ამბობს ძველს პრე-სებიურ და პრე-ასიულ რასის არსებობაზედ ზემოხსენებულ ადგილებში. სემიელებს, ეგვიპტელებსა და ასიელებს დაუღუპავართ და ბოლოს ამ დიდის რასისაგან ჩვენღა გადავრჩენილვართ და შეიძლება კიდევ რამოდენიმე სხვა კავკასიის ხალხი. ხოლო „სომხებს" კი ტყვილა აწვალებს მარსი, ჩემის ფიქრით, სომეხი აქ არაფერ შუაშია. ამ ნარევი ხალხის იაფეთურ რასისადმი მიწერა შეუძლებელია, კლასიფიკაციის პრინციპის მკაცრი მოთხოვნილებების მიხედვით.

გავაგრძელე მაინც წერილი. იყავით კარგად და ჯანმრთელად. მომიკითხეთ გიორგი და თქვენი ოჯახი.

თქვენი მარად პატივისმცემელი ბ. წერეთელი

6 მაისი, 1911.

ძვირფასო ბატონო ვანო!

თქვენი წერილი გავასწორებინე და გავუგზავნე აქაურ ჟურნალ the Quest-ში დასაბეჭდად, მაგრამ შემდეგი პასუხი მივიღე:

1. სტატია გრძელია და ვერ დავბეჭდავთ შეუმოკლებლად, ე. ი. ავტორმა ნება უნდა მოგვცეს შევამოკლოთ და ჩვენ კი გარანტიას ვიძლევით სამეცნიერო ხასიათი არ დავუკარგოთ წერილსაო.

2. სტატია გადმოთარგმნილია წიგნიდან, ჩვენ კი გვსურს ბატონმა ჯავახიშვილმა ნება დაგვრთოს ეს წერილი გამოვსცეთ როგორც ცალკე წერილი მის მიერ Quest-ისთვის დაწერილიო.

3. სტატია მხოლოდ იანვარში 1912 წელს გამოვა, რადგანაც მანამდის მასალა შეგროვილი გვაქვსო.

ეხლა შემატყობინეთ, დავეთანხმო ამაზედ თუ არა. თუ თქვენ თანახმა იქნებით, რომ ამ პირობებში გამოიცეს წერილი, მომწერეთ და შევატყობინებ. აგრეთვე გამომიგზავნეთ თქვენი თანხმობის წერილი ან რომელიმე ევროპულ ენაზედ, ან რუსულად, და ყოველისფერს გავუგზავნი გამომცემელს. თუ ეს არ დაგიჯდეთ ჭკუაში, მაშინ წერილს გამოვართმევ და გავუგზავნი „Morgenländische gesellschaft"-ში. მითხრეს, იქ უფრო კარგი პირობები არისო.

ბევრს არასა გწერთ. ვიცი დრო არა გაქვთ და არ მინდა თქვენი შეწუხება. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ვწერ ქართულად სუბერული ენის შესახებ. ქართულად დავბეჭდავ ჯერ, რადგანაც ძალიან საინტერესოა, თორემ ინგლისურად ვინ მაღირსებს წერილის დაბეჭდვას. ძლიერ ბევრი საინტერესო რამეებია ლექსიკაში და გრამატიკაში.

მე აქა ვრჩები ივლისის დამლევამდი, ვუცდი რასათა კონგრესს. მეც უნდა მივიღო მონაწილეობა. გისურვებთ ყოველივე სიკეთესა და ჯანმრთელობას.

თქვენი მარად პატივისმცემელი ბ. წერეთელი.

P.S. დღეს ვიყავ კონგრესის მდივანთან და მითხრა, 7 წუთის ნება გაქვს სალაპარაკოდ, ხოლო შეიძლება სულაც გამოგრიცხონ როგორც პატარა ერის წარმომადგენელიო. მეც თავი დავუკარი და წამოვედი, — არა ვრჩები კო-

ნგრესზედ. თუ მალე მომწერთ წერილს, შეიძლება კიდევ მომისწროს აქ, თუ არა და სადაც ვიქნები, იქ მომაწვდიან: მე აქედან 20—21 წავალ ლეიფციგში და იქიდან შეგატყობინებთ ჩემს მისამართს.

ვ. ნ.

3 აპრილი, 1913.

ღრმად პატივცემულო ბატონო ვანო!

მივიღე თქვენი წერილი და ძლიერ გამეხარდა, რომ გამომეხმაურეთ. თქვენი წერილები ყოველთვის საუკეთესო ძღვენი იყო ჩემთვის და დარჩება ყოველთვის. ხოლო თანაც ვწუხვარ ხოლმე, რომ დროს გართმევთ. ვიცი, ბევრი სამუშაო გაქვთ და მარტოდ მარტო ხართ ამ დიდ საქმეში, არავინ არ გეხმარებათ. ან კი ვინ უნდა მოგეხმაროთ, ჩვენში ყველა პოლიტიკანობით არის გართული და ვიღას აგონდება მეცნიერება, წარსულის შესწავლა, ან თუ გინდ აწმყოსი მეცნიერულად. ამას წინად ნ. ჟორდანიას წერილებს ვკითხულობდი საქართველოს XIX საუკუნის ისტორიიდან და ისეთი სახით ამტკიცებდა რაღაც-რაღაც უსაფუძვლოებს და ისიც მარტო „აქტებიდან“ ამონაწერი გენერლების წერილებიდან, რომ გეგონებოდა კაცს გადაუყლაპავს მთელი მასალები, რაც მოიპოვება მთელი ასი წლის შესახებო!

თქვენი მონოგრაფიებისა და წიგნების გამოცემა დიდი საქმეა არა მარტო მეცნიერებისათვის, არამედ თვით ჩვენი განკაცებისათვისაც. საუკეთესო პროპაგანდაა იგი საქართველოს იდეისა. მე ეს დაკვირვებითა და გამოცდილებით ვიცი. ჯერ თბილისში რომ ვიყავი თვალით ვნახე, რამდენი ურწმუნო და უმეცარი მოარჯულა თქვენმა ლექციებმა და საქართველო აწამებია. არა იციან რა, არც გაუგონიათ არაფერი საქართველოს წარსულზედ, ჩვენმა გადარჯულებულმა ხალხმა აბა ვინ უნდა შეიყვაროს, რას უნდა ეთაყვანოს, როცა ჩვენი ხალხის არც წარსული იცის, არც აწმყო. აქ კიდევ ერთი მაგალითი ვნახე. ერთ ქართველს, რომელსაც ორი ბროშურა წაუკითხავს და კაცობრიობის სახელით საქართველოს უარყოფდა, ძალით მივაჩეჩე ხელში ქართული წიგნები. რასაკვირველია, თქვენი წიგნებიც მივეცი. წაიკითხა, თუმცა ჯერ მაჰმადიანს რომ ღორის ხორცი შესთავაზო, ისე შეხედა ქართულ, შოვინისტურ წიგნებს. მაგრამ როცა გაიგო, რაში იყო საქმე, როცა გაიგო რომ ქართველები სხვებზედ ნაკლებნი არ ვყოფილვართ წარსულში, ყოყოჩობაც კი დაიწყო, ჩვენც ვყოფილვართ ხალხიო! — სამეცნიერო ტერმინების შემუშავებას დიდი როლი შეუძლია ითამაშოს მწერლობის განვითარებაში. ეხლა ყოველი მწერალი წერის დროს თხზავს ტერმინებს, როცა გვაქვს ეს ტერმინები. მეცნიერებისა და ფილოსოფიის ყველა დარგში, ეხლა თქვენის აღმოჩენით ცხადია, რომ ხელოვნების ტერმინებიც ყოფილა. მხოლოდ შესწავლა უნდა, მუშაობა, და თქვენს წინაშე დიდი მადლობით თავს მოვიხრით მთელი საქართველოს ახალგაზრდობაც და ყველანიც, თუ ერთს დიდ წიგნს დასწერთ, სადაც ყოველნაირი ნამდვილი ქართული ტერმინები იქნება აღნიშნულ-განმარტებული. მე ვერც კი წარმომიდგენია, თუ რა დიდ ცვლილებებს მოიტანს ეს საქმე ჩვენი მწერლობის აღორძინებაში. სამართლის ტერმინების შემუშავება უკვე დამთავრებული გაქვთ, აგრეთვე ხელოვნებისა. ალბათ სამეცნიერო და ფილოსოფიური ტერმინებიც დამუშავებული გექნებათ, და მე ვფიქრობ, დიდი საქმე იქნება, თუ დამოუკიდებლად მეცნიერულ ტრაქტატებისა სამარ-

თლისა, ხელოვნებისა და სხვათა ისტორიისა, ცალკე გამოსცემთ ტერმინოლოგიას. იგი მაშინ ჩვენ სახელმძღვანელოდ იქნება წერისა—მუშაობის დროსა. მაგრამ თქვენ უკეთ იცით, ბატონო ვანო, როგორც უნდა ასრულდეს ის დიდი გეგმა, რომელიც თქვენ გაქვთ დასახული. მოველით მოუთმენლად. ამიტომაც ყველანი „ქართველი ერის ისტორიის“ ორ ტომს, „სამართლის ისტორიასა“, „ხელოვნების ისტორიასა“ და სხვათა. ამასთანავე არ შემიძლია არ აღვნიშნო შემდეგი სასიხარულო მოვლენა ჩვენში. რაღაც ახალი ხანა დადგა ჩვენში. ქართულად ისინი სწერდნენ ჩვენში, ვინც შინ იყო და ისიც ნამდვილი მეთოდით აღჭურვილი მეცნიერი კი არა, არამედ უფრო დილეტანტი იყო. თუმცა ისინიც კი არა სწერდნენ ხოლმე ყოველთვის ქართულად. ხოლო ვინც რუსეთში იყო და კათედრა ეჭირა, მას ან რაღაც ცოტა და უმნიშვნელო დაუწერია ქართულად, ან სულ არაფერი. ვასო პეტრიაშვილმა მარტო ორი წიგნი მოგვცა ქართულად. მელიქიშვილმა და თარხნიშვილმა არაფერი. ცაგარელმა, რომლის ვალდებულება იყო ბევრი მოეცა, რადგანაც სპეციალისტად ითვლებოდა ქართულში, ძლიერ ცოტა. მარმა — მგონი მარტო ერთი წერილი და ასე მოქმედებდა ყველა. თუ კი მით ხელმძღვანელობდნენ, რომ საქართველოში მეცნიერებისათვის მზად არ არის ხალხიო, ან სულ ერთია მეცნიერებისათვის რა ენაზედაც არ უნდა სწეროო, — დიდი შეცდომაა, რადგანაც მეცნიერება ციდან არ ვარდება. რუსეთშიც ასის წლის წინად სამეცნიერო ტრაქტატებს ლექსებითა სწერდნენ, მაგრამ შემდეგ განვითარდა ნამდვილი მეცნიერება. მეცნიერებას დაწყება უნდა, თუ დასაწყისი არ იქნა, განვითარება როგორ შეიძლება მისი? ამას გარდა, არის ისეთი მეცნიერება, რომელიც რომელიმე ენაზედ რომ შეიმუშავო, მართლაც დაკარგულია შრომა და ჯაფა. საქართველოს შესახებ რაც დაუწერია მარს, ქართულად რომ დაეწერა, გაცილებით მეტი მნიშვნელობა ექნებოდა, ვიდრე რუსულად რომ სწერს. რ უ ს ე თ ში რ უ ს ს ა რ ე ი ნ ტ ე რ ე ს ე ბ ა ქ ა რ თ უ ლ ი. არც კი ვიცი, ყოფილა კი ოდესმე რუსი მცოდნე ქართულისა? — ქართულს თუ გინდ თავი დავანებოთ, ვთქვათ ისიც, რომ აკადემიკოსს არ შეუძლია არა სწეროს იმ ენაზედ, რომელიც სახელმწიფო ენაა, მაგ დალოცვილს ერთი რამ მაინც დაეწეროს ევროპიულ ენაზედ, სადაც საქართველოს ინტერესი მეტია, ვიდრე რუსეთში. თქვენ კი ბატონო ვანო, იმიტომ გაქვსთ მოპოვებული ღრმა პატივისცემა და სიყვარული ჩვენს გულში, რომ ქართული მეცნიერების ნამდვილი დამწყები ხართ, ქართულად სწერთ, ქართულად კითხულობთ ლექციებს, საქართველოსთვის გინდათ მეცნიერება. ამას გრძნობს ყველა, ამას აფასებს, ესმის ყველას, რომ ასეთი მუშაობის შედეგი იქნება ნამდვილი ქართული მეცნიერების შექმნა, და ბოლოს და ბოლოს ჩვენ მეცნიერებას გამოეცლება ის შემთხვევითი და ქველმოქმედებითი ხასიათი, რომელიც მას აქამდისა ჰქონდა. მთელი შთამომავლობა უნდა აღიზარდოს ამ აზრით, ამ მიზნით, და საქმეც სასურველად დაგვირგვინდება, თქვენი მოწაფეები ამ აზრისა არიან პეტერბურგში. თქვენგან აქვსთ ჩანერგილი ეს დიდი აზრი. მიწერ-მოწერა მაქვს ა. შანიძესთან. ისეთი ბიჭი ყოფილა, რომ ერთი ათიოდე მაგისთანა ბევრ მნიშვნელოვან სერელს აიტანს ჩვენი სამშობლოს სამეცნიერო კვლევის ყანაზე. თორემ გულზედ როგორ არ გასკდები კაცი, ჩვენში მღვდლებიც აღარ კადრულობენ ქართულად წერას და კეკელიძე რუსულად სწერს ქართულ საეკლესიო მეცნიერების შესახებ!

მაგრამ თქვენმა ავადმყოფობამ კი ძლიერ შემაწუხა. ვიცი აგრეთვე რაც უბედურებაც დაგატყდათ თავზე ზედი-ზედ და რა პირობებში. ეს მომწერა ბერიძემაც და ჩემმა ცოლმაც. ჩემს ცოლს თბილისის სადგურზედ ენახეთ საწყალი დათა როცა ჩამოასვენეთ. მწერდა, ძლიერ შეწუხებული არისო. მეც მომერიდა და ვეღარც სამძიმრის წერილი მოგწერეთ და ვეღარც ხმა გაგეცით. როცა ადამიანი ძლიერ შეწუხებულია, სიჩუმე სჯობია-თქო, ვიფიქრე. მერე კიდევ მამათქვენის გარდაცვალების ამბავი წავიკითხე გაზეთში — თანაც თქვენი პირადი შეუძლოდ ყოფნა. ძნელია ყოველივე ამის ატანა, მაგრამ ქართველებს მართლაც გასაოცარი ძალა გვქონია გაჭირვების ატანისა, რუსი ან თავს იკლავს, ან ლოთდება, ან სულ არა სწუხს. ევროპიელს რაც შეეხება, არ ვიცი იქნებ ვცდებოდე, და რამდენადაც ამათ დაკვირვებივარ, მგონი ამათი ამტანობა უფრო იმით უნდა აიხსნებოდეს, რომ ოჯახის უბედურებას ისე ვერა გრძნობენ, როგორც ჩვენში. მამა, დედა, ძმა და და მათთვის ის არ არის, რაც ჩვენთვის. ჩვენში კი სულ სხვაა, მაგრამ მიუხედავად ამისა არ ვიღუპებით, როცა უსაყვარლესი არსება გამოგვეცლება ხოლმე ხელიდან, „ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა ვით ქვითკირსაო" უბრალო სიტყვა არ არის ჩვენთვის, მიუხედავად ჩვენის დიდის გრძნობიერებისა, და ეს დიდ თვისებად უნდა ჩაითვალოს.

მეც ვერა ვარ, ბატონო ვანო, კარგ მდგომარეობაში. შინ დაბრუნების უფლება წამართვეს, ამნისტიამ არაფერი მომცა და ხან და ხან შიშის ზარი ამიტანს ხოლმე, როცა მომავალს შევყურებ. რა უნდა ექნა, არ ვიცი, თუ ვერ მივიღე შინ დაბრუნების უფლება. ვსწავლობ აქა და თანაც მიძნელდება სწავლა, რადგანაც ჯანმრთელობითაც ვერა ვარ კარგად. ნერვები ძლიერ მოშლილი მაქვს, მახსოვრობა აღარ შემწევს და ენების სწავლის დროს ეს დიდი დაბრკოლება არის. რასაც გვასწავლიან, მავიწყდება მყისვე. არ ვიცი, ეგზამენსაც ვერ დავიჭერ მგონი, როცა დრო მოვა. — აქაური განყოფილება აღმოსავლეთის ენათა ვერ არის ისეთი, როგორც ლეიფციგში და სხვაგან, მაგრამ მაინც კარგია. გვასწავლის ასირიოლოგიას პროფ. ბეტოლდი, ძლიერ ნიჭიერი, გამოცდილი მეცნიერი. სხვა სემიურ ენებსაც ის გვასწავლის. ეგვიპტურს ახალგაზრდა ეგვიპტოლოგი რანკე. ისიც ძლიერ კარგია. მაგრამ ერთი არ მომწონს ამ გერმანელი მეცნიერებისა: ერთობ ტრაბახა და შურიანი ხალხია. ჯერ ერთი ყოველი გერმანელი მეცნიერი სხვა ქვეყნის მეცნიერს კაცად არ სთვლის, მერე კიდევ თავის თავი ჰგონია ყველაზედ მეტი და ისევ თავის კოლლეგებს ეჩხუბება. ამ მხრით ნამდვილი მოსე ჯანაშვილები არიან, ეს საძაგელ შთაბეჭდილებას ახდენს. მეცნიერს როგორ ეკადრება შური, ჯაჯღანი და ტრაბახი. ფრანგ, ინგლისელ მეცნიერებს უფრო ნაკლებად აქვთ ეს თვისება და ძლიერ ძვირად, — ჩემი შედარება ქართულ-სუბერულისა I R A S-ში დაიბეჭდება ივლისში. მაშინ მოუწევს რიგი. დაიბეჭდება პირველი ნაწილი. ამ ორ კვირაში მეორე ნაწილსაც გავაგზავნი და იქნებ ერთად დაბეჭდონ. არ ვიცი, იქნებ ვცდებოდე, მაგრამ სრულიად დარწმუნებული ვარ, რომ სუბერული ახლო მონათესავეა ქართულისა, როგორც გრამატიკულად, ისე სიტყვებით. ამასთანავე შევისწავლე ოდნავ სებიური ენები და მგონია მარსის თეორია სრულიად შემცდარია, როდესაც აღიარებს ქართულ-სემიურის გენეტიკურ ნათესაობას. აგებულება, სული, გრამატიკა, ერთობ ქართულისა სულ სხვაა და პ რ ი ნ ც ი პ უ ლ ა დ განსხვავდება სემიურისაგან, ხოლო ქართულს რაღაც ელემენტი აქვს სემიურისა, რომელიც ალბათ შემდეგ შემოეპარა ქართულს, გავლენის წყალობით, და ეს გავლენა მარსმა გენეტიურ ნათესაობად მიიღო. და მართლაც, სუბერული, რომელიც ქართულს ისე ძლიე-

რად უახლოვდება, სრულიად არა ჰგავს სემიურსა, — ყოველივე ცდა სუბერულ-სემიურ ნათესაობის გამოძებნისა უნაყოფოდ არის აღიარებული, — უნაყოფოდვე ჩაივლის, რადგანაც საკმარისია ერთი თვალის გადაავლებაც, რომ მყისვე დაინახო, რომ არაფერი საერთო ამ ორ ენათა ჯგუფს შორის არ არის. — სუბერულის ქართულთან შედარება უფრო ადვილია, ვიდრე სხვა ლურსმულ წარწერათა ენებისა, რადგანაც სუბერული უკეთ არის ცნობილი. მრავალ სიტყვათა კითხვა და აგრეთვე მრავალი გრამატიკული ფორმა ნ ა მ დ ვ ი ლ ა დ ვიცით, რადგანაც დარჩენილი გვაქვს თვით ასურელთაგან შედგენილი სუბერულ-ასურული გრამატიკები და ლექსიკონები. ხოლო ელამურზედ, ქალდურზედ, ხეთურზედ და სხვა, ეს არ ითქმის, იქ ათასნაირი კითხვა შეიძლება და ამიტომ ფერხდება შედარების საქმე. — ფრიად საინტერესოა მარსის შედარება ქართულ-მედიურისა. ნეტავ მალე დაიბეჭდებოდეს. მაგრამ მაგის მეშინია იმ მხრით, რომ ეგ ძლიერ დიდ როლს აწერს ფონეტიურ კანონებს და ეს კანონები ნამდვილი მათემატიკური ფორმულები ჰგონია, და ეს ისეთ შეცდომათა წყაროა, რომ მეტი აღარ შეიძლება. ამაში დავრწმუნდი, როდესაც „Осп. Габл."-ში მოყვანილი სემიურ-ქართული მაგალითები განვიხილე შარშან. არც ერთი კ ა ნ ო ნ ი თითქმის და არც ერთი მაგალითი სწორი არ არის. აბა დახედეთ, როგორა ხსნის „სასთუმალს" და ადარებს სირიულ „ესალას", ქართულ „მო-კოდ-ებს" და სირიულ „იაკოდ-ს" და მრავალ სხვასა. საქმე ის არის, რომ შედარების დროს ძირითადი ფაქტი უნდა იყოს გამორკვეული — ილეანი, სულ პირველ-ყოფილნი ილეანი სიტყვის მისია ეთანხმებიან თუ არა ერთმანეთს ორ ენაში? გარეგნულ ფორმასაც რომ მიიღებს მკვლევარი მხედველობაში ძირებისას, მაშინ იდეის იგივეობასთან ერთად ეს ორი საბუთი აძლევს მას საფუძველს ერთსა და იგივედ აღიაროს ორი ძირი და ამაზედ დაამყაროს შემდეგ ფონეტიურ ცვალებადობათა კანონი, თორემ ქართული „მო-კიდ-ება" სრულიადაც არ აღნიშნავს ცეცხლის იდეას, არამედ იგი იგივეა, რაც კ ი დ>ჭიდ ხ ე ლ ი ს მოკიდება, „ც ე ც ხ ლ ი ს მოკიდება" და სხვა. მაშინ როდესაც სირიულ „აკოდ" სულ სხვაა. აგრეთვე სირიული ესალას იდეა — უკანალია, ქართული ს ა ს თ უ მ ლ ი ს ა კი თავი! სულ წინააღმდეგი. და ასეა ბოლომდი თითქმის. სუბერულში კი სწორედ ეს პირველყოფილი იდეები ეთანხმება ერთმანეთს და გარეგნულად სიტყვის ძირები თითქმის იგივეა. — ამას გარდა იცის მარმა ლურსმული კითხვა და შეუძლია ტექსტის გადაწერა და გადათარგმნა? ეს თავი და ბოლოა. განსაკუთრებით ალამურ ტექსტთა. თუ ელონი არ არის ამაში, ნაყოფი ნაკლები იქნება, რადგანაც ეს ელამური ჯერ შეუსწავლელი ენაა და კითხვა ბევრნაირი შეიძლება, მრავალია შესასწორებელი. სუმერულში კი ასურელთაგან დატოვებული მასალა მაინც გვაქვს, უეჭველი და სწორი, უმთავრესად მაინც სწორი. გარდა ამისა, თუ მარმა დაამტკიცა ელამურისა და ქართულის ნათესაობა, მაშინ ან ელამურის და სემიურის ნათესაობაც უნდა დაამტკიცოს, რაიც აქამდის შეუძლებლად იყო აღიარებული, ან და ქართულისა და სემიურის ნათესაობა უნდა უარჰყოს. მოუთმენლად მოველი მარის გამოკვლევას, ვნახოთ როგორ შეხედა საკითხს და რა საბუთები აქვს. მე კი, პირადად, ბევრი ვაწვალე ვეისბახის ახალი ტექსტი და ქართული, მაგრამ რამოდენიმე ცალკე ფორმათა (მაგ. მრაველ. რიცხვი ბი და სხვ. ნათესაობ. ბრუნვის ნ ა და სხვ.) და რამოდენიმე საეჭვო სიტყვათა მეტი დანამდვილებით ვერა ვნახე რა. მაშინ, როდესაც სუმერულში უფრო ბევრია მსგავსება გაცილებით. — აგრეთვე ველი როდის გამოვა ლემანის სრული კრებული ურარ-

ტულ ტექსტთა, მინდა ახალი ტრანსკრიპცია და თარგმანი დავამზადო. ის კი გავს ქართულს (მეგრულ-ჭანურს უფრო, ვიდრე სვანურს), მაგრამ რაღაც უცნაური ენაა. ეს შეიძლება იმითიც აიხსნებოდეს, რომ სწორედ არ კითხულობდნენ. მაგრამ ყველაზედ უფრო საინტერესო ხეთური ლურსმულია. ჯერ არ არის ტექსტები გამოცემული. ამბობენ სტამბელები, ერთი ახალგაზრდა ასირიოლოგია გაგზავნილი დელიჩის მიერ გადასაწერად და გამოსაცემადო, და ველი როდის გამოვა. სრული დარწმუნებული ვარ, რომ იქ კი ნამდვილ ქართული ან ჭანური ენაა, ძველის ძველი, დაცული, იმას უნდა შევუდგე, როგორც კი გამოვა. თანაც ნელ-ნელა ვიწაფები ლურსმულ კითხვაში. ეს არის ჩემი მიზანი, და თუ ლურსმულ წარწერათა ენები ქართულს შევადარე ისე მაინც, რომ მართალი იყოს საზოგადოდ ფაქტი ნათესაობისა და შემდეგ იგი ნამდვილმა მეცნიერებმა მეცნიერულად შეიმუშავეს, მე მეტი არა მინდა რა და არც მომეთხოვება მეტი. მინდა ყოვლისფერი ეს ქართულადაც დავსწერო: სუმერულისა და ქართულის შესახებ ქართულადაც დავსწერე და გავუგზავნე სამსონ ფირცხალავას კრებულში დასაბეჭდად, მაგრამ ისე აეწყოთ, რომ შეუძლებელი იყო კორრექტურის გასწორებაც კი! ეხლა ის კრებული შეჩერებულია, ჯერ ერთი იმიტომ, რომ სამსონს ფული არა აქვს (თვითონაც გადასახლებულია როსტოვში), მერე კიდევ ჩემი წერილი თუ ხელახლა არ ააწყვეს და კორექტურები არ გავასწორე, შეუძლებელია ისე მისი დაბეჭდვა. — მართალს ბრძანებთ, ჩვენში წიგნის დაბეჭდვა წამებაა, მაგრამ უნდა მოვითმინოთ და ვეწამოთ, სანამ არ გაუმჯობესდება ჩვენი სტამბები.

მაპატიეთ, ბატონო ვანო, ამდენი ყბედობა, მაგრამ ხომ იცით, როგორ მესიამოვნება თქვენთან ლაპარაკი, და მეც ვისარგებლე შემთხვევით. გისურვებთ სრულს განკურნებას სენისაგან. ავადმყოფობას თქვენთან რა უნდა — ბოროტსა და შტერსაც გადასდებია თქვენი სენი და თქვენ კი ჯანმრთელად გვეგულებოდეთ ყველას თქვენს მოყვარულსა და პატივისმცემელსა.

როცა დრო გქონდესთ ცოტაოდენი და ხალისი, ნუ დამივიწყებთ და მეც უაღრესად მადლობელი ვიქნები თქვენი წერილისა.

თქვენი მარად პატივისმცემელი და მოყვარული მიხ. წერეთელი.

P. S. ამას წინად შინიდან მწერდნენ, გიორგი აქ არისო, ჩვენთანაც დადის ხოლმეო. ნუ თუ კიდევ არ მოუხერხდა საქმე გიორგის პეტერბურგში და ის ოხერი ვოლკოვი კიდევ ეღობება წინ?

29 ნოემბერი, 1913.

ღრმად პატივცემულო ბატონო ვანო!

ძლივს გამოვიდა ინგლისურად პირველი წიგნი ჩემი „სუმერულისა და ქართულისა“ და გიგზავნით ერთ ცალს. შეცდომები იქაც შეპარულა საუბედუროდ. ერთ ცალს პრ. მარსაც ვუგზავნი. ა. შანიძის მისამართი კი არ ვიცი. გთხოვთ, თუ საღმე შეხვდეთ შემთხვევით, გადაეცით მოკითხვა ჩემ მაგიერ და სთხოვეთ მისამართი მისი შემატყობინოს. მე, მართალი მოგახსენოთ, თქვენი აზრი უფრო მაინტერესებს, ვიდრე აქაურებისა, რადგანაც აქაურები ამ საკითხის თაობაზედ ორ ბანაკად არიან გაყოფილნი და ერთმანეთს სჭამენ ებრაელები და არაებრაელები (სემიტობის პატრიოტები და „ანტისემიტები“),— სხვა როგორა ბრძანდებით, ბატონო ვანო? ძლიერ მინდოდა თქვენი ნახვა წარ-

სულ ზაფხულს, მაგრამ საუბედურო ვეღარ ჩამოგისწარით თბილისში. ახლა კი ვეღარ განახავთ ორი წლის გასვლამდის მაინც. იყავით კარგად და ჯანმრთელად. მარად თქვენი პატივისმცემელი და მოყვარული

ბ. წერეთელი.

29/VIII—1918
ბერლინი

ძვირფასო ძმაო ვანო!

უპირველესად მოგიკითხავთ სიყვარულით და გისურვებთ ჯანმრთელობას და მრავალჟამიერ სიცოცხლეს.

მაშინ რომ დამაბარეთ წიგნების საქმე, იმაზედ უნდა გითხრათ, რომ ამ ომის დროს საქმე გართულდა და ისე ადვილად აღარ კეთდება, როგორც წინად. ამას გარდა ვერაფერს ვერ გავიტანთ დღეს გერმანიიდან და მ ი თ უ მ ე ტ ე ს წ ი გ ნ ე ბ ს, თუ მთავრობისაგან არ გექნა ნებართვა. ამისათვის საჭიროა გამოგზავნოთ აქ კაცი, გამოატანოთ თანხა, (რადგან ნისიად და Contre-remboursement უცხოეთში აღარ იძლევიან საქონელს) განსაზღვრული თანხა იმ წიგნების სასყიდლად, რომელიც ეხლა აუცილებლად გვჭირდება და იმავე კაცმა უნდა წამოიღოს უკანვე ტრანსპორტით. აქ რაც იქნება საჭირო, მთავრობასთან დახმარება, ფირმებთან ლაპარაკი ბერლინში და ლეიფციგში წიგნების ეხლა სყიდვისა და შემდეგისათვის დაკვეთის შესახებ, ყველაფერს მე გავაკეთებ, როცა კაცი იქნება აქ. გამოაგზავნეთ ენის მცოდნე კაცი, სპეციალისტი აგრეთვე, მაგალითად შანიძე, და მე და ეგ. აქ და ლეიფციგში საქმეს გავაკეთებთ. თანხა კაი დიდი უნდა იყოს, რადგანაც წიგნები საშინლად გაძვირდა ქაღალდისა და მუშის უქონლობის გამო და ბევრი აღარც კი იშოვება. შეადგინეთ სია უსაჭიროესს წიგნებისა. ასირიოლოგიური მწერლობა თუ გინდათ, ამის სიას მე აქ შევადგენ შანიძესთან ერთად, თქვენ შედგენილ სიასაც შეიძლება რამე დავუმატოთ. — ენის მცოდნე სპეციალისტი მიტომ არის საჭირო, რომ შეიძლება მე აღარც კი ვიყო აქ, ეგ კაცი რომ ჩამოვა: ჩემი მდგომარეობა ძლიერ ძნელია ეხლა აქ. კომიტეტი დაგვაშლევინეს, რაღაი ჩვენში მთავრობა არის და კანონიერი წარმომადგენლები ჰყავს აქ და ნივთიერად ყოველივე სახსარი მოგვესპო კომიტეტის წევრებს. გერმანიის მთავრობამ რასაკვირველია აღგვიკვეთა ხელის შეწყობა, საქართველოს მთავრობა არც კი ფიქრობს ჩვენს დახმარებას, არც კი გვკითხავს, თუ რითი ვცხოვრობთ, და გარდა ამისა, ზოგიერთ ჩვენთაგანზედ, სწორედ იმაზედ, ვინც ყველაზე მეტი იმუშავა, ღმერთმა იცის, რას ლაპარაკობენ — გერმანიის აგენტს ეძახიან და სხვა. — თბილისში შინიდან რაც არა აქვსთ, რა უნდა გამოგზავნონ და ასეთ მდგომარეობაში ჩემი აქ დარჩენა და დამთავრება საქმისა, ძნელია. ამას წინად სპირიდონ კედია წამოვიდა მანდ და იმას შეეეხვეწე, ეშოვნა სესხად ჩემთვის ერთი წლის საცხოვრებელი, და ახლა მის პასუხს ველი, თუ მიშოვნა დავრჩები აქ, თუ არა და უნდა ჩამოვიდე მყისვე შინ.

თავი შეგაწყინეთ პირად მდგომარეობაზედ ლაპარაკით. არ არის სასიამოვნო, რომ მანდ კიდეე რუსული უნივერსიტეტია. უნდა დააბურვინოთ უსათუოდ და ეგ რუსებიც უნდა განიდევნონ მანდედან, თორემ ბუდე შხამისა, რომლითაც მოგვწამვლენ შემდეგ, მანდ არის. ჩვენმა მთავრობამ კი მგონი მაგ რუსებს 60 000 000 მისცა. ასე გავიგე — არ ვიცი რამდენად მართალია. პეტროგრადში რომ ვიყავი, ვნახე პირველად ჩემს სიცოცხლეში პროფ. ნ. მარი. შთაბეჭდილება

იქონია ისეთი, რომ ეგ არის ნამდვილი რუსის მოხელე და სხვა არაფერი. მე სხვა რამ მეგონა. მაგას არც ქართველი და საქართველო სწამს, არც სომეხი და სომხეთი, არამედ ის დაწესებულება და სახელმწიფო, სადაც იგი ადვილად მსახურობს და საშუალება ეძლევა თავისი მეცნიერული გეგმა შეასრულოს ძლიერ ადვილად. გერმანიაში რომ ყოფილიყო, გერმანიის პატრიოტი იქნებოდა ამავე მიზეზის გამო.

ჩემს ამბავს თუ იკითხავთ, ძლიერ დამღალა ამ ოთხი წლის საშინელმა მუშაობამ და ტანჯვამ სულიერმა. ეხლა დაუბრუნდი ისევ ჩემს საქმეს, მაგრამ გარდა ზემოთქმულ გაჭირვებისა კიდევ უფრო ის მტანჯავს, რომ ჩვენს მთავრობას ისეთი ხალხი უდგას სათავეში, რომლებიც კვლავ დაუთრგუნვენ საქართველოს თავისუფლებას. ენახოთ, რას მოგვიტანს მომავალი.

თუ შემთხვევა მოგეცესთ, მომწერეთ წერილი.

თქვენი მარად მოყვარული ძმა მიხაკო წერეთელი.

P. S. თანხა თუ გამოატანოთ კაცს, ან მარკებად გადაახურდავეთ მანდვე, ან ძველი რუსის ფული იყოს, კერენსკის ფულებს და ბონებს აქ არ იღებენ.

მ. წ.

17 აგვისტო, 1920.

თელავი

ძვირფასო ძმაო ვანო!

დღეს მივიღე თქვენი წერილი და ვისწრაფი პასუხი მოგცეთ, სანამ დასასვენებლად წახვიდოდეთ.

განა არ ვიცი, რასაც თქვენა მწერთ, განა არ ვიცი, რომ პირდაპირ დანაშაული იყო ჩემის მხრით საქართველოდან წასვლის ფიქრიც კი. მაგრამ უკიდურესმა მდგომარეობამ და სულიერმა ტკივილებმა მაიძულეს მეფიქრებინა ეს. ვიცი, რომ თქვენ იმდენი მუშაობა გაწევთ, რომ მხოლოდ თავგანწირულ იდეალისტსა და მამულიშვილს შეუძლია ამის ატანა და დახმარება თქვენიცა და ჩვენი უნივერსიტეტისაც ვალია ყველასი, ვისაც კი ცოტა რამის გაკეთება მაინც შეუძლია; ამიტომაც ვერც კი გავბედე თქვენთან მოვსულიყავ, მრცხვენოდა თვალებში შემოხედვაც კი, თითქოს საზიზღარ ღალატს ჩავდივარ, ამიტომაც პეტრესა ვსთხოვე აეხსნა თქვენთვის ჩემი მდგომარეობა.

ჯერ ექვსი წლის განმავლობაში უცხოეთში მუშაობამ და გაჭირვებამ ძლიერ დამაძაბუნეს და ველოდი სამშობლოში დავისვენებ და მერმე შევუდგები მუშაობას მეთქი. მაგრამ იმისთანა დასვენება მიეცა მტერს, როგორც მე დავისვენე! ჯოჯოხეთი დამხვდა აქ ჩემს პირად ცხოვრებაში და მძიმე ჩაქუჩივით დამეცა თავზედ უბედურება და ისედაც მისუსტებული გამსრისა. სხვა, უფრო ძლიერი ადამიანი აიტანდა, მე კი ვერ ავიტანე და ვიძლიე. ამიტომ ვიფიქრე — მე ეხლა მაინც ვერას გავაკეთებ, ვერც საქმეს ვუშველი — მეც დავიღუპები სრულიად მეთქი, და გადავწყვიტე დ რ ო ე ბ ი თ ისევ დავბრუნებულიყავ უცხოეთში, ის საშინელი ჭრილობები, რომელიც ჩემს გულსა და სულს აქ მისცეს, გამიმთელდება და მერმე და მერმე დამშვიდებული და გამაგრებული უფრო სინდისიერად შევასრულებ ჩემს მოვალეობას უნივერსიტეტში მეთქი. ეს იყო ჩემი გეგმა, და ეხლაც მგონია, რომ ასე ემჯობინებოდა. მე მაინც მინდოდა თქვენთან ლაპარაკი და გნახავთ კიდეც, როცა ჩამოვალ, თუმცა, როგორც არა ვსთქვი, მრცხვენია — თქვენი წყენინება ჩემთვის, თქვენც ძალიან კარგად იცით და გრძნობთ, ადვილად მისაღები არ არის. უკვე ათი წელიწადია, რაც თქვენთან არაფერი არა დამიფი-

ცავს რა და ახლაც გულწრფელად გეუბნებით ყოველისფერს — ამიტომ შემინდეთ, რომ გაწუხებთ ჩემის პირადის საქმეებით და ამ აღსარებით და ესეც მაშინ, როდესაც დიდი საზოგადო საქმე გვაქვს.

ჯერ ჩემი წასვლის საქმე არც კი გადაწყვეტილა. არაფერი ვიცი, მგზავნიან თუ არა მგზავნიან. თუ არ გამგზავნა მთავრობამ, აბა მე როგორ წავალ ჩემი საშუალებით. ჩემი მდგომარეობა კი ისეთია, როგორცა გწერთ. მე მგონია და ვგრძნობ, რომ დროებით წასვლა და განელება ჩემი უბედურებისა მიშველიდა. ეხლა, იცით რა გითხრათ ძვირფასო ვანო? თ ქ ვ ე ნ ვ ე მ ი რ ჩ ი ე თ, მირჩიეთ როგორც ამხანაგმა და მეგობარმა, დავრჩე თუ წავიდე? ვინ იცის, იქნებ წასვლა თვით საქმისათვის სჯობდეს, ერთი წლის შემდეგ უკეთ ვიმუშავო, დამშვიდებულმა და გამაგრებულმა.

ველი მოუთმენლად თქვენს წერილს. რასაც მეტყვით, იმას ვიზამ. ამას წინად პეტრეს მოვწერე წერილი, გამიგე როგორ არის ჩემი წასვლის საქმე მეთქი. ჯერ პასუხი არა მაქვს. იქნებ არც უნდათ გაგზავნა ჩემი. მაშინ ხომ ძალაუნებურად უნდა დავრჩე.

გისურვებთ ყოველივე კარგს, მოსვენებასა და ძალების შეკრებას.

თქვენი მოყვარული და პატივისმცემელი ძმა მ. წ ე რ ე თ ე ლ ი.

პროფ. მიხეილ წერეთელი[1]

23 დეკემბერს შეუსრულდა 70 წელი ჩვენს დიდ მამულიშვილს და მეცნიერს მიხეილ წერეთელს.

იმდენად მდიდარია და მრავალფეროვანი მისი მოღვაწეობა ნახევარ საუკუნის მანძილზე, როგორც სამეცნიერო ისე ეროვნული ბრძოლის ასპარეზზე, რომ ამის ვრცლად გადმოშლა „ბედი ქართლისას“ ფურცლებზე შეუძლებელია. უნდა დავკმაყოფილდეთ მხოლოდ მისი ცხოვრების მთავარ მომენტთა აღნიშვნით.

მიხეილი დაიბადა 23 დეკემბერს 1878 წელს სოფ. ცხრუკვეთში, ზემო იმერეთში. ამ სოფლის წერეთლების ოჯახში, განსაკუთრებით მიხეილის მამისა და მისი ორი ძმისა, დიდი ტრადიცია იყო დაცული ქართული მწიგნობრობისა და საზოგადოდ ქართველობისა, „ვეფხის ტყაოსანი“ იქ კაცმა და ქალმა ზეპირად იცოდა, და პატარა მიხეილს, ჯერ კიდევ წერა-კითხვის არ მცოდნეს, ადგილები მოჰყავდა „ვეფხის ტყაოსნიდან“ სტუმრების შესაქცევად.

ქ. ქუთაისში კლასიკური გიმნაზიის დამთავრების შემდეგ მიხეილ წერეთელი სწავლობდა კიევის უნივერსიტეტის ბუნების მეტყველების ფაკულტეტზე, საიდანაც 1900 წ. პოლიტიკურ გამოსვლებში მონაწილეობის მიღებისათვის გამორიცხულ იქნა. ერთი წლის შემდეგ მიხეილი შედის პარიზის უნივერსიტეტში, მაგრამ არც აქ სწყალობს მას ბედი: ერთს საჯარო დემონსტრაციაში მონაწილეობისთვის იძულებულია დასტოვოს პარიზი და გადავიდეს ლონდონში. შემდეგ ის განაგრძობს სწავლას ჟენევის უნივერსიტეტში, ამავე დროს უერთდება პარიზში მყოფ გ. დეკანოზიშვილის ჯგუფს და 1904 წ. ესწრება ფედერალისტთა პარტიის კონგრესს ჟენევაში, იმავე წელს გ. დეკანოზიშვილის დავალებით მიხეილ მიემგზავრება საქართველოში, ასრულებს დაკისრებულ მისიას და ბრუნდება უკან. 1905 წ. იგი ისევ საქართველოშია და მუშაობს ფედერალისტებთან ერთად.

1908 წ. მიხეილ წერეთელი აწარმოებს მუშაობას სტამბოლში დიდი გავლენისა და მდგომარეობის მქონე მაჰმადიან ქართველებთან, რომელთაგან ბევრმა დიდი დახმარება გაუწია საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს, როდესაც იგი პირველი დიდი ომის დროს ოსმალეთში მოქმედებდა, იმავე წელს მიხეილი ბრუნდება ტფილისში და პეტრე სურგულაძესთან, ვალერიან გუნიასთან და სხვებთან ერთად აარსებს საიდუმლო ჯგუფს საქართველოს დამოუკიდებლობისა, რომლის ორგანო იყო „ერი“ და რომელიც ცენზურისაგან ხშირად დახურული სხვადასხვა სახელით გამოდიოდა.

1910 წ., როდესაც დიდი დევნა იყო ქართველ ნაციონალისტთა და ბევრი მამულიშვილი გადაასახლეს რუსებმა, მიხეილი მიდის ლონდონში, პ. სურგულა-

---

[1] ბედი ქართლისა, 1948 წ., № 3.

ძე კი ჟენევაში, სადაც მან ძმ. კერესელიძეებთან ერთად განაახლა დამოუკიდებლობის ჯგუფი და გამოსცა გაზეთი „თავისუფალი საქართველო".

ლონდონში ყოფნის დროს მიხეილი იწყებს აღმოსავლეთის მეცნიერების შესწავლას, რასაც განაგრძობს გერმანიაში ჰაიდელბერგის უნივერსიტეტში. აქ ის ეცნობა ასირიოლოგიას, საზოგადოდ სემიტურ ფილოლოგიას, ეგვიპტოლოგიას, აღმოსავლეთის ისტორიას და კულტურას; ამთავრებს სწავლას და ღებულობს დოქტორის ხარისხს.

1914 წ., ომის გამოცხადებისთანავე „დამოუკიდებლობის ჯგუფი" გაცხოველებულ მუშაობას იწყებს, არსდება დამოუკიდებლობის კომიტეტი, სადაც მ. წერეთელი დიდ როლს თამაშობს. გერმანიაში მოქმედებენ მასთან ერთად გ. მაჩაბელი და გ. კერესელიძე. დანარჩენი წევრები კომიტეტისა მუშაობენ ოსმალეთში.

1916 წ. ლოზანაში იმართება „ეროვნებათა კავშირის" კონგრესი. იქ მიხეილია საქართველოს წარმომადგენელი.

1917 წ., ომის ქარტეხილის დროს, მ. წერეთელი მიემგზავრება საქართველოში წყალქვეშა ნავით მელიტონ ქარცივაძესთან ერთად სხვა და სხვა დავალებებით. ერთი წლის შემდეგ ხელმეორედ მიდის იგი ისევ წყალქვეშა ნავით სამშობლოში.

1918 წ. საქართველო თავისუფალია, გერმანიაში ჩამოდის მისი დელეგაცია და აქ თავდება მუშაობა დამოუკიდებლობის კომიტეტისა.

1918—1919 წ. მიხეილს ვხედავთ საქართველოს წარმომადგენლად სკანდინავიაში.

1920 წ. იგი მიწვეულ იქმნა ტფილისის უნივერსიტეტში ასირიოლოგიისა და ძველი აღმოსავლეთის ისტორიის პროფესორად.

დამოუკიდებლობის დაკარგვის შემდეგ, მიხეილი ბრუნდება ევროპაში კათედრაზე ასიოროლოგიისა და ქართული ენისა ბრიუსელის უნივერსიტეტში, ხოლო 1933 წლიდან 1943-მდე ბერლინის უნივერსიტეტში — ქართული ენისა და მწერლობისა.

მეორე მსოფლიო ომის დროს, მეგობრების თხოვნით, მ. წერეთელი კისრულობს გერმანიაში ქართული ეროვნული კომიტეტის თავმჯდომარეობას. რომელშიაც შედიან აგრეთვე განსვენებულნი ზურაბ ავალიშვილი და სპირიდონ კედია. მუშაობის პირობები ახლა გაცილებით უფრო რთულია და ძნელი, ვინემ ეს პირველი ომის დროს იყო. კომიტეტი იცავს ღირსეულად და უკომპრომისოდ საქართველოს უფლებებს, ხოლო მიზანს ვერ აღწევს. მიხეილი შლის მას და თავის თანამშრომლებთან ერთად სწყვეტს ყოველგვარ კავშირს გერმანულ ხელისუფლებასთან.

პოლიტიკურ მუშაობასთან ერთად, მიხეილმა საზღვარგარეთ დიდი მეცნიერული მუშაობაც გასწია. ამის შესახებ ჩვენ სხვა დროს გვექნება საუბარი. აქ კი აღვნიშნავთ შემდეგს; როდესაც გამოქვეყნდება ყველა მისი შრომები და გამოკვლევანი, განცვიფრებაში და აღფრთოვანებაში მოვა არა მარტო ემიგრაცია, არამედ მთელი საქართველოც, იმდენად დიდია, ახალი და მნიშვნელოვანი ეს გამოკვლევანი ჩვენი ქვეყნისათვის.

მიხეილი მუდამ არაჩვეულებრივ სიყვარულს და მუყაითობას იჩენდა მეცნიერებისადმი, ხოლო ისიც უნდა აღვიაროთ, რომ მეცნიერებას არასოდეს არ დაუჩრდილავს მისი დიდი პატრიოტული შეგნება მოვალეობისა ერის წინაშე, რომელსაც იგი ყოველთვის ყველაფერზე მაღლა აყენებდა. „არიან მოვალეობანი ადამიანისა უმაღლესნი ყოველმეცნიერულ და მსგავს მოვალეობათა, წერს

მ. წერეთელი, მოვალეობანი მოქალაქისა საზოგადოების წინაშე, მოყვასისა მოყვასის წინაშე და ცხოვრების გზას იგი განვლის სრულის ღირსებით, ვისაც ძალუძს განსაზღვრულ დროს შესაფერი მოვალეობა აღასრულოს, თუ გინდ ეს მოვალეობის აღსრულება მისი სიცოცხლის მსხვერპლად შეწირვასაც მოითხოვდეს".

სწორედ ამით დაიმსახურა მიხეილ წერეთელმა უსაზღვრო პატივისცემა თანამემამულეთა, რომ სამშობლოს თავისუფლება და წარმატება თავის არსებობის საფუძვლად ჩაიჩნდა და კლდესავით იდგა ეროვნული აზროვნების სადარაჯოზე. წამებით განვლო ნახევარი საუკუნე და ჯოჯოხეთურ პირობებში თქვა სიტყვა, ქართული სული გამოიტანა და დაიცვა. ყოველი მისი მოქმედება და ნაბიჯი ამკობს ჩვენი ქვეყნის თავისუფლებისათვის ბრძოლის ისტორიას.

უფლება აყრილ საქართველოში მისი სიტყვა მეხივით ჰქუხდა და ეროვნულ ბრძოლას ცეცხლის ენერგიას აძლევდა. განა შეიძლება სხვა რომელიმე ან ვისიმე სიტყვა შეედაროს მის სიტყვას, რომელიც მან ერის წინამძღოლს და ზრახვათა მფლობელს ილიას, ჩვენი წამხდრობისა და სიგიჟის მსხვერპლს, ტფილისში ჩამოსვენებისას რომ უთხრა?!

დამონებულ სამშობლოში, როდესაც ერი თვით უარს ამბობს თავის თავზე, მიხეილის მძლავრი და მჭრელი წერილები იბეჭდება ფედერალისტების მაშინდელ პრესაში, იგი იცავს ქართულ დევნილ სულს, გამოდის საუკეთესო თეორეტიკოსად ეროვნულ საკითხში, და შეუდარებელი პოლემისტი, მოურიდებლად აძხელს ერის ულირს შვილთ.

მისი წიგნი „ერი და კაცობრიობა" უდიდესი ყუმბარა იყო, რომელიც მან ეროვნულ იდეის უარმყოფელთ ესროლა. დიდ ილიას მიმდევარმა ერთად ერთ რეალობად ერი აღიარა და ეროვნული პრობლემა მჭერმეტყველურად დაასაბუთა. „ერი და კაცობრიობა" გადაიქცა მებრძოლი თაობის სახელმძღვანელო წიგნად. მის გამწრთვნელად და აღმზრდელად.

მიხეილი საქართველოს სიდიადეს ძველ წარსულში ეძებს, მისი იდეალი არ არის მარტო დამოუკიდებლობის მოპოვება, არამედ აღდგენა ძველი საქართველოსი. „ქართველი ერის ძველი სამკვიდრებელი საუკუნეთა განმავლობაში ბრძოლის ველია საქართველოსა და მის მებრძოლთა, ამბობს იგი ერთერთ წერილში, და მიუხედავად იმისა, რომ ის ხან მტერს რჩება, ხან მის კანონიერ პატრონს, მიუხედავად იმისა, რომ იქ ქართველობამაც იკლო და ნაწილი მისი უცხოს ხელშია, **ქართველო მას მაინც დაკარგულად არ თვლის,** ვერც ჩასთვლის, და მისი დაბრუნება და კვლავ გაქართველება, **შექმნა ძველი საქართველოსი** არის და იქნება მუდმივი მისწრაფება ქართველისა მუდმივი პოლიტიკური იდეალი მისი, რომელიც მას აძლევს ძალას, სიამაყეს და რწმენას თვისი ერის მომავლისა. ძალა თვით ეს რწმენაა, ეს იდეა ძველი საქართველოს აღდგენისა, უამისოდ თვით საქართველოს იდეა არარაობაა. სინამდვილე რას მოგვიტანს ხვალ, სულ სხვაა, მაგრამ იდეა, იდეალი უკვდავი უნდა რჩებოდეს, როგორც ძალა ქართველთა შთამომავლობათა მამოძრავებელი". აი ამ დიად იდეის სამსახურშია მიხეილ წერეთელი მთელი თავისი სიცოცხლე, მას ქადაგებს და იცავს.

უმაღლეს სისრულემდე მიღწეული კულტურის მატარებელი, იგი აგრეთვე უაღრესად ფაქიზი და სპეტაკი სულის პატრონია. მიუხედავად უძნელეს საარსებო პირობებისა, მიუხედავად იმისა, რომ გზა მუდამ ეკლიანი და სიმწარით აღსავსე ჰქონდა, მიხეილი შორსაა ცხოვრების ყოველდღიურ სიტლანქისაგან და სიმახინჯისაგან და დგას ნათელ მაღლობზე ერის ერთგულ მუშაკად და მექომაგედ.

როგორც ვიცით, მეტი ნაწილი თავის ცხოვრებისა მან უცხოეთში გაატარა, მაგრამ იგი მუდამ იყო და დარჩა მესაიდუმლედ ქართველი ერის ტანჯული გულისა.

„მარად და ყველგან საქართველო, მე
ვარ შენთანა,
შენი სისხლითა გული სრულად
გარდამებანა“.

მწარეა ხვედრი ქართველ მამულიშვილთა, მაგრამ განსაკუთრებით მწარეა შენი ბედი, საყვარელო მიხეილ!

უცხოეთში, შორს მშობლიურ სახლ-კარიდან, განმარტოებული ხვდები შენს იუბილეს.

შენი ძვირფასი ერი სალამს ვერ გიძღვნის და შენი დაბადების დღეს ვერ დღესასწაულობს.

ვერც შენი ერთად-ერთი შვილი ოთარი, შენი ხელით სიმწარეში გამოზრდილი, გაგახარებს და დაგიკოცნის სამშობლოსათვის ფიქრით და დარდით დასერილ სახეს.

ჩვენც, შენი ახლო მეგობრები, შორს ვართ შენგან და არ შეგვიძლია გაგათბოთ ჩვენი შენდამი უსაზღვრო სიყვარულით.

ნუგეშად მაინც მიიღე ის, რომ უცხოეთში მყოფ ქართველმა მოღვაწეებმა ყველა წრეთა დიდი პატივისცემით და თბილი გრძნობით 70 წლის შესრულება მოგილოცეს და დღეგრძელობა გისურვეს.

ერთ დღეს საქართველოც გეტყვის სიტყვას.

ბედი ქართლისა ჯერ არ გადაწყვეტილა.

კ. სალია

მ ი ხ ე ი ლ წ ე რ ე თ ე ლ ი

მოგონებათა ბარდული

გაეშურებით „ფერმისაკენ“ ზედა ხიდიდან ქუთაისისა, თვალს მოჰკრავთ მარცხნით გრძლად გაწვდილ სახლს, ზე რიონის პირას, სანატორიუმის თუ სასტუმროს სახისა. ბენაშვილს ეკუთვნოდა ანდროს. იყო ტანმორჩილი კაცი, ფერმიბინდული და კანმჭნარი — („მჭნარი“ და არა „მჭკნარი“, ასეა ეს კლასიკურ ქართულში, როგორც „ბრჭალი“ და არა „ბრჭყალი“), მშვიდი იყო, წყნარი, ყუდრო, უაღრესად ფაქიზი, ერთი მოხატვით: „გუგული“. ასწავლიდა ქართულს სასულიერო სასწავლებელში, არ მინახავს არც გულმოსული და არც ხმაამაღლებული, ლოტბარობდა მგალობელთა გუნდს გაბრიელ მღვდელმთავარისა. არ გავდა ჩვეულ ლოტბარს, რომელიც ლოტბარობს ვითარ ტორეადორი. ანდრო აქაც ნელი იყო: იდგა ცალგვერდით, უძრავად, მხოლოდ მარჯვენას თუ ააქნევდა ხოლმე, თითქო სიზმარეული, გალობის ხვევულთა რიტმიულ გაყვანისათვის. გუნდი ისე ჰყავდა გაწვრთნილი, რომ ესეც საკმაო იყო. ბენაშვილთან ბინადრობდა ანდრია ტყემალაძე, რომელიც ჩემთან ერთად სწავლობდა ჯერ სასულიერო სასწავლებელში და შემდგომ სასულიერო სემინარიაში, დიდი ხანია, რაც გარდაიცვალა — განუსვენოს უფალმა. ნიჭიერი იყო, თანვე მუყაითი და ბეჯითი: ირიცხებოდა მოწაფეთა პირველ რიგში ყოველთვის, დროდადრო პირველობაც რგუნებია. ხშირად შემიხვევია ხოლმე მასთან. ერთს ნასადილევს, როცა მასთან

ვიყავ, აივანზე ორ გიმნაზიელს მოვკარი თვალი: ახალისებულნი და ჟინაყვანილნი ერთიმეორეს „ეღლაბუცებოდენ“. ერთი მათგანი მოტრიალდა უეცრად და ჩვენს ოთახში შემოიხედა. მომკრა თვალი — შეჩერდა, მე მსინჯავი თვალით შევხედე — ამ დროს თვალხამხამი არ ვიცი, გიმნაზიელი მყისვე გატრიალდა. გამოხედვაში, ეს შემდეგ ვსცანი, უცხო ფრინველის თვალი კიაფობდა. კიდევ უფრო გამაკვირვა მისმა მიხვრამოხვრამ. ეხლა, როცა უკან ვიხედები, მეჩვენება: თითქო უცხო ყმაწვილი მთაერის შვილი ყოფილიყვეს, ხოლო ისეთი, რომელმაც არ იცის თავის შთამოება. აქედან: მიხვრა-მოხვრა ნებიერი და ჯიშით დაქნილი, გარნა არა „გამომწვეეი“ და „ხაზგასმული“. თანვე სახეც აიხაზა მისი ჩემში: სუფთად მოშოთილი, მრავალ მეტყველი და მხვედრი. („მხვედრი“ — ამ სიტყვის გენიალობას ათეული წლების შემდეგ ვწვდი. „მხვედრი“: „მოახვედრა“ ნიშანში აღებულს, „მიხვდა“ საიდუმლოდ გააზრებულს, „ხვედრი“ ბედისაგან.) „ვინ არის?“ შევეკითხე ანდრიას. „ესაა მიხაკო წერეთელიო“, მომიგო. „ესაა“ — ამით უნდოდა გამოეთქვა: ეს იგია, რომელის ირგვლივ ასე ბევრი გსმენიაო.

მიხაკოს ნიჭიერება მთელს ქუთაისში იყო ხმაგავარდნილი, შემდგომ იგი ქუთაისში აღარ მინახავს, ხოლო ჩემს ოცნებაში ცოცხალი დარჩა.

* * *

„ოცნებაში ცოცხალი დარჩა“. ეს რომ „ნამდვილად“ გაიგოს მკითხველმა, საჭიროა ყურადღოს ქვემორე, ბავშობიდანვე მჩვევოდა „გაბნეულობა“, პირდაპირ ფანტასტიკური. უამრავი მაგალითებიდან აქ მხოლოდ ერთი. პირველ წლებში ჩემი ქუთაისში ყოფნისა ამბაკო სულაქველიძის ოჯახში ვიყავი აყვანილი. გაგეგონებათ ალბათ: იგი მასწავლებელი იყო სასულიერო სასწავლებელში. „ფილოსოფოსს“ უხმობდენ. შეიძლება ისიც იცოდეს ვინმემ, რომ ვალოდია სულაქველიძე, დღეს პარიზში მყოფი, შვილია ამბაკოსი. თეკლე, დედა ვალოდიასი, ხშირად მავალებდა ხოლმე, რომელიმე მეზობელ ოჯახიდან მომეტანა სანათხოვროდ: თეფში თუ კარდალი თუ კიდევ სხვა რამ. რამდენჯერ გამოვბრუნებულვარ უკან, რათა გამეგო, თუ რა დამაბარა! ასეთი შემთხვევაც ყოფილა ხანდახან: თეკლე მიხსნის უკანდაბრუნებულს სათხოვარს. მივდივარ და შუა გზიდან კვლავ ვბრუნდები უკან, ხელცარიელი და დარცხვენილი. ეს „გაბნეულობა“ ჩემს ზრდაში არ კლებულობდა პირიქით: იგი კიდეც მატულობდა. ვიყავ „გაბნეული“, რადგან ვიყავ შინაგან „შებოჭვილი“. დღეს ეს „გაბნეულობა“ იქამდე მიდის, რომ ჩემი თანამოსაუბრესთვის იგი ხშირად აუტანელი ხდება. სამაგიეროდ: თუ ჩემს „შუაგულს“ რაიმე „მოხვდა“, ამ სიტყვის ზემო ახსნით — იქნება იგი: შეხვედრა, სიტყვა, სახე, წიგნი, სურათი — მას ვეღარაფერი ამოშლის იქიდან. მიხეილის სახეც ცოცხლად შერჩა ჩემს შუაგულს.

გარეგან-„გაბნეული“ და შინაგან-„შებოჭვილი“ მეოცნებეა. მეც ოცნებაში ვიყავ გამუდმებით გადასული. დავდიოდი მარტო: რამდენჯერ მომივლია განმარტოვებულს სატურიას ველები ფიქრებში გადასულს! დრო ბევრი მქონდა, რადგან გასაოცარი მეხსიერება მქონდა: „მეცადინეობა“ სულაც არ მჭირდებოდა. ფიქრებში მიხეილის სახეც გაიელვებდა ხოლმე. მსურდა გაცნობა — არ მოხდა. აქ ერთი დეტალი. წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლის პირისპირ წიგნთსაცავი იყო ტხორჟევსკის სახელობისა, იქ ხშირად დავდიოდი. იქვე ფოტოგრაფია იყო და გარეთ: გამოფენილი დაფა სურათებით. სურათებში ერთი სურათი, რომელიც, რამდენადაც მახსოვს, წლების განმავლობაში არ მოუხსნიათ. იმ სურათზე იყო გადაღებული მიხეილი მის განუყრელ მეგობართან ერთად: ალექ-

სანდრე მიქელაძესთან, რომელსაც „კუჭიას“ ეძახდენ — რა უხიაგ სახელს არ მიარქმევენ ხოლმე ვინმეს ქვემო იმერეთში და კიდევ უფრო უხიაგს სამეგრელოში! მეგობრები იდგენ მხრებზე მკლავგადაჭდობილნი, ხუთი წუთით მაინც შევჩერებულვარ ხოლმე ამ სურათის წინ: ვაკვირდებოდი სახეებს. მიხეილი — გვრემანი. ხომ გინახავთ თოვლი, მთის კალთებზე დაფენილი, რომელსაც ლაჟვარდის მსუბუქი ციალი გადაჰკრავს? ასეთი იყო ფერი მისი სახის კანისა, „კუჭიასი“ კი უფრო „ღია“ ფერისა. მიხეილი შემმართებელს გავდა, მეგობარი მისი შენელებულს: თითქმის მოდუნებულს. თვალში გეჩრებოდათ: პირველი როგორც თაოსანი და გეზის ამკვალავი, მეორე როგორც ამრქმეელი და გამყოლი, ორი სახისაგან ერთი სახე იფინებოდა.

• • •

მართებულად ვთვლი: ორიოდე სიტყვით მაინც მოვხაზო აქ ტყუპი-მეგობარი მიხეილის სიყმაწვილისა. იგი 1910 წლის შემოდგომაზე გავიცანი პეტერბურგში. ნათელი პიროვნება იყო: იმდენად ნათელი, რომ სინათლით ანთებული მეჩვენებოდა. ეს „ნათელი“ იფინებოდა ვითარ შარავანდი ირგვლივ ნამდვილი თავადის სახისა. არ წამოეგოს მკითხველი „ფსიქოლოგიზმს“, ასე გავრცელებულს დღეს „თავადის“ ხსენებისას! „ჯიში“ ჩვენში „თეორია“ კი არაა, როგორც ევროპაში: იგი „სინამდვილეა“ თვითონ. აბა დააკვირდით! ვაგინებთ ჩვენ ვისმე, ვიტყვით: „უჯიშო!“ ვკრულვთ ჩვენ ვისმე, ვამბობთ: „მისი ჯიში ამოვარდა!“ ისიც ვიცით თანვე, რომ „ჯიშის“ დგენისათვის მარტო „სისხლი“ არ კმარა: ვიცით, რომ მისთვის საჭიროა წვართი სულისა და გულისა და ხასიათისა. „თავადი“ ჩვენში ძველისძველად რჩეული არსი იყო: ნათელმგები ხალხისა, მცველი და მმართავი. იგი „რაინდი“ იყო — რა ოქროსიტყვაა! ბატონყმობა ჩვენში არ ყოფილა „კრეპოსტნიჩესტვო“. აბა განსჭვრიტეთ: „ყმა“ ქართულში არ ნიშნავს „მონას“ — გადაფურცლეთ რუსთაველი! დააკვირდით სიტყვას „ყმაწვილი“ — განა აქ „ყმა“ „მონას“ ნიშნავს? „ბატონ-ყმობა“ „Lehn“-ის სისტემის ხმიერებაა. ეს სისტემა აღმოსავლეთში ქართველებმა შექმნეს, დასავლეთში გერმანელებმა, შექმნეს ერთიმეორის დამოუკიდებლად (საცნაური პარალელი მკვლევართათვის). „თავადობა“ ქართველობაში ბოლო ხანებში გადაგვარდა. ხოლო მის ანარეკლს ჩვენ დრომდეც მოუღწევია. აქ ერთი ზეიმი უნდა ვახსენო, გაგონილი აპოლონ წულაძისაგან, რომელიც მას მოსწრებია და კიდეც დასწრებია მრავალჯერ. ყოველ იანვრის მეორე დღეს თავად გურიელებისას თურმე ზეიმი იმართებოდა, საცა „ყმებად“ გურიელები გამოდიოდენ და „თავადებად“ გლეხები. მინდა მოვიგონო ამ „ანარეკლის“ ერთი გამოშუქებაც კიდევ. 1912 წელს სუფსაში ვარ სადგურზე. ველი ბათუმიდან მომავალ შატარებელს. ვხვდები ვახტანგ გურიელს. ვმუსაიფობთ: ეტკბები მისი ქართული კილოთი: „გურიელურით“. მატარებელი ახლოვდება. მე კასისაკენ ვეშურები ბილეთისათვის. ვახტანგი მეუბნება: „მზადაა უკვე“. მოდის მისი მხლებელი და მაწვდის ბილეთს. მე მიკვირს — მიკვირს ისიც, თუ როგორ ანიშნა ვახტანგმა მხლებელს ბილეთის ყიდვა. ვიგონებ: ჩემთან საუბრისას მან მას რაღაც ჩაურჩურჩულა — ალბათ „ეს“ იყო. ჩემი გაკვირვება გრძელდება. შესმის ვახტანგის სიტყვები: „ჩემს სამფლობელოში, აბა, როგორ გაგაცილოთ სტუმარი, მცირე პატივი მაინც არა გცეთ!“ სიტყვას „სამფლობელოს“ ხაზს უსვამს ღიმილით. ორივეს გვესმის, თუ რა იმალება ამ ღიმილში. დაუვიწყარი სცენა! ვახსენო კიდევ ერთი რამ? ევროპიელნი დამიწუნებენ ამდენ „გადა-

ხვევას“, მაგრამ მე ქართველთათვის ვწერ და ამათ ოღონდ „გული მოფხანე“ მოყოლილით და „არქიტექტურაში“ არ გამოგედავებიან. აი ეს „გულმოსაფხანიც“. ტელემაკმა, უმცროსმა ძმამ ვახტანგისა მითხრა ერთხელ: „ვახტანგს ისეთი ღონე აქვს, რომ პირისბანა უპირსო“. განვცვიფრდი. „მკლავთა კუთები ისე ეკვრივება ბანისას, რომ ბანას ვერ ახერხებსო“. შემდეგ ესეც მიაყოლა: „ვთქვათ, ვახტანგი სადარბაზოდ მივიდა ვინმესთან. და შინ არავინ დახვდა — მაშინ, თუ მონახა იქვე სადმე რკინა, აიღებს, მოღუნავს და სადარბაზო ბარათად დასტოვებსო: „ბარათს“ რო ნახვენ, მიხვდებიან ვინ იყოვო“.

* * *

ზედმეტი არ იქნება, „კუჭიას“ „ბოლოც“ აღვნიშნო. ხმა მომესმა: ლუესი სჭირსო. „მეტაფიზისი“ ამ საიდუმლო ავადობისა ევროპაში არ იციან: იგი „მზის ელემენტის“ დაავადებაა სისხლში. ვერ გამოვუდგები აქ ამის ახსნას: შორს წამიყვანდა — უნდა განმეხილა, თუ როგორ იშვა ძველს მექსიკოში „თეთრი“ მზისაგან „შავი“, თანაც ეგვიპტელთა ერთი გადმოცემაც უნდა მომეშველებია. ვიტყვი მხოლოდ: აღმოსავლეთში, დღესაც, ლუესს, დაავადებულ მზიურ ელემენტს სისხლისა, მზითვე არჩენენ. აქედან რჩევა: ლუეტიკი უნდა ერიდოს ჩრდილოეთს. პეტერბურგის ციემა ჰავამ, ასე მგონია, გაამძაფრა ავადობა „კუჭიასი“. რაშოდენიმე თვის შემდგომ ჩემი მასთან გაცნობისა შეიშალა ეს ნათელი ადამიანი. ხოლო საკვირველი: „სინათლე“, თუმცა მეტაფიზიური „აბრუნდით“, არც შეშლილობაში მოსცილებია მას — ქრისტედ მოეჩვენა თავის თავი. ერთ კვირაში „მოთავდა“ საცოდავი. „გვირგვინი“, რომელსაც მიხეილი თავის წერილში იხსენებს (იხ. „ბედი ქართლისა“ 2), ეს ალმანახი განსვენებულისადმი სამსონ ფირცხალავას მიერ, მისი ინტიმი მეგობრისა, იყო მიძღვნილი. იქ მოთავსებულია ჩემი ნარკვევიც „რუსთაველი“.

* * *

გასული საუკუნის მიწურულში ახალი თაობა სოციალიზმს ეტანებოდა, მარქსისტულ ჯიშისა საკუთრივ. ხმა მომესმა: მიხაკო წერეთელიც მარქსელიაო. აგრეთვე მისი მეგობარიც მიქელაძეო. ვიეთნი იმასაც ამბობდენ: მიხაკომ „კაპიტალის“ პირველი ტომი თარგმნაო. ერთხელ დაბა ჩხარში, ბაზრობისას, რომელიც პარასკეობით იმართებოდა, მეთოდე ქათამაძის აფთიაქში“, საცა ჩხარისა და მიდამო სოფლების „ინტელიგენცია“ თავსიყრიდა — ჰოი ეს ჩხარი ეს ბაზრობა, ეს „აფთიაქი“, ეს მეთოდე: საუცხოვო თემა ბალზაკისათვისაც: არჩილ ჯორჯაძეს კი ეგონა, საქართველოში სარომანო მასალა არ მოიპოვებაო—იქ ერთხელ „ივერიის“ ერთი ნომერი ჩამივარდა ხელში. მოთავსებული იყო ერთი ვებერთელა ფელეტონი — მარქსიზმს ეხებოდა — ხელმოწერილი ფსევდონიმით „un camarade“. გავიგე შემდეგ: ფსევდონიმი მიხეილის ყოფილიყო. ჩემმა ინტერესმა მისდამი იმატა. გავიგე კიდევ: მიხეილი შესულიყო კიევის უნივერსიტეტში. იმავ წელს მონაწილეობა მიეღო სტუდენტების დემონსტრაციაში, წარმოეთქვა რევოლუციური სიტყვა ცეცხლეული, და, მეფის მთავრობის დევნა რომ აეცდინა, გადასულიყო ევროპაში: ჟენევაში. 1902 წლის შემოდგომა. ეხლა მეც ევროპაში ვარ: ლაიფციგში. მსურს გავიგო რაიმე მიხეილის შესახებ. 1903 წელს თავი ამოყო ჟენევაში სიმონ ძველაიამ, რომელსაც სემინარიიდან ვიცნობდი, (ეს შესანიშნავი ყმაწვილი მოითხოვს განსაკუთრებულ ესკიზს; გარდაიცვალა ლეიზენში ჭლექით 1906 წელს, ზაფხულში; გავხდი მოწმედ მისი უკანა-

სკნელი წუთებისა; დავასაფლავე იქვე.) ძველაიასთან ვმართავ მიწერმოწერას. შიგადაშიგ იგი მატყობინებს მიხეილის ამბებსაც: უკანასკნელი ამ ხანაში უკვე ანარქისტია. 1907 წელი, ზაფხული. ოდესაში ვარ გავლით. „გაელა" რამოდენიმე თვეს გრძელდება. მიზეზი — „რომანი". თავზარდამცემი ამბავი: მოკლეს ილია. (ბიოგრაფიისათვის: ილიას სიკვდილი ანგელოზმა მიმხილა სიზმარში, მეორე დღეს მამცნო გაზეთმა; ერთი დეტალიც; „კარდუ" ვიგზნე ჩემში სწორედ მაშინ, ილიას მოკვლა რო გავიგე). ვბრუნდები საქართველოში. მესმის ყოველი მხრით: მიხეილმა ილიას დასაფლავებაზე საქართველოს შინაგან — შემარხველი სიტყვა წარმოსთქვაო. სიტყვა ცეცხლი ყოფილიყო: ამ ცეცხლით წვას ეხლაც გრძნობს ჩემი უფროსი მეგობარი გიგო დიასამიძე, როცა მას მიხეილის სიტყვა მოაგონდება ხოლმე. ტფილისში მოხსენება წავიკითხე „ნაციის იდეის" შესახებ. გავბრუნდი პარიზისაკენ—დავბრუნდი ტფილისში 1908 წელს. აი ამ ხანებში შევხვდი მიხეილს. დავუახლოვდი — დამიახლოვდა. გადის დრო. მიხეილი მიდის კვლავ ევროპაში — ფილოლოგიის შესასწავლად. ყველას უკვირს: პოლიტიკური მებრძოლი და ფილოლოგია? მიკვირს მეც. ირკვევა შემდეგ: თურმე მოწადინებულია იკვლიოს ძირები ქართულისა. წლების სვლაში ჩემთვის სხვა რამეც ირკვევა: რამდენად იფესვები ქართულში, იმდენად ეზიარები კარდუს არსს. ცხადი ხდება: მიხეილის ფილოლოგად ქცევა მის მამულიშვილობას წარმოეშვა. 1927 წელს ბერლინში ვარ. ვხვდები მიხეილს. „გეელის პერანგის" წაკითხვის შემდეგ, ბერლინშივე წერილობით მამცნო თავისი აზრი რომანის შესახებ („ათას წლებზეც" იყო სიტყვა—მკითხველმა თვითონ გამოიცნოს: რა აზრით). გავბრუნდი საქართველოში. 1931 წელი. კვლავ ბერლინში ვარ. 1933 წლიდან მოყოლებული 1943 წლის შემოდგომამდე ვხვდებით ერთიმეორეს, თითქმის ხუთჯერ კვირაში — თუ ბერლინიდან არა ვარ გასული, დაახლოვება მეგობრობაში გადავიდა.

* * *

ჩემს წინ დევს ერთი ფოტოსურათი, გადაღებული უნდა იყოს 1903 წელს, როცა აქ. ჟენევაში, კონფერენცია გაიმართა ქართველ ნაციონალისტთა და ანარქისტთა. დგანან, მარცხნიდან მარჯვნით: სანდრო გაბუნია, კომანდო გოგელია, ვარლამ ჩერქეზიშვილი; სხედან: არჩილ ჯორჯაძე, მიხეილ წერეთელი; ზის ამ ორის შუა, დაბლა: გიორგი დეკანოზიშვილი. ექვსი ქართველი. ტომით: ორი კახელი: ჩერქეზიშვილი და ჯორჯაძე, ერთი ქართლელი: დეკანოზიშვილი, ერთი მეგრელი: გაბუნია, ერთი გურული: გოგელია, ერთი იმერელი: წერეთელი. ამათგან: ნაციონალისტი: დეკანოზიშვილი, ჯორჯაძე; ანარქისტი: ჩერქეზიშვილი, გოგელია, წერეთელი, მგონი გაბუნიაც. ექვსი ქართველი: თვითეული მათგანი დიდი კარდუს ხალასი ფშანი. ვარლამი: დათუთქული „ქართლის ბედით", სიმწარეს ოდნავ მონაქროლი ღიმილით იქარვებს; გიორგი: ურყევი და უტეხი, სჯერა ყველაფერს გადაიტანს; არჩილი: დაღვენთილი უძირო სევდით, ხოლო არა სასომიხდილი; კომანდო: ამაყი შინაგან. თავის თავში დაჯერებული, უზადო შუბლით, „ჩახედული"; სანდრო: გამჭრიახი; ინტუიტივი; მიხეილი: მოშვილდული, როგორც ჯეირანი ციცაბო კლდის პირას, თუ დასჭირდა, უფსკრულს გადაეკლება თავს. ექვსს ქართველს — გრძნობთ ამას — მცველად კარდუს აჩრდილი აფარებია: მარჯისათვის. ამ ექვსიდან: ვარლამს ვიცნობდი გაკვრით, გიორგი არ მინახავს, არჩილთან დაახლოებული ვიყავ ფრიად, კომანდოსთან ერთი საღამო გავატარე პარიზში, სანდროსათვის თვალი მომი-

კრავს, მიხეილის მეგობარი გავხდი. აღარ არიან ამ სოფლად: აღარც ვარლამი, აღარც გიორგი, აღარც არჩილი, აღარც კომანდო, სანდრო თუ ცოცხალია არ ვიცი. „ვა, სოფელო, რა შიგან ხარ!“ დარჩა მიხეილი.

* * *

კონფერენცია ნაციონალისტთა და ანარქისტთა? გაგონილა სადმე ასეთი შეთავსება? მაშინ მეეჭვებოდა ეს, გონებით, გული კი სხვას მეუბნებოდა. ეხლა რომ ვუკვირდები ამ უცნაურობას, გულით მონაქროლი გონებითაც მართლდება, მართლაც: თუ მოიშლებოდა სახელმწიფო წყობილება საერთოდ — ანარქიზმის მიზანი ესაა—მაშინ რუსეთიც, რომელიც პრეისტორიული მამუტივით თავს აწვა საქართველოს, დაიმხობოდა სახელმწიფოებრივი მხრით, და, როგორც შედეგი ამისა, საქართველოც თავისუფლად ამოისუნთქავდა. აი ქვეშეცნეული ხაზი ვარლამ ჩერქეზიშვილის პოლიტიკური ბრძოლისა, ხაზი, რომელიც, ჩემი წვდენით, გეზად გახდა ხსენებული კონფერენციისა. უნდა შევჩერდე ვარლამზე.

* * *

მაოცებს ვარლამის მოელინება, მსოფლიო ისტორიაში იგი ერთადერთია როგორც ანარქიზმისა და ნაციონალიზმის შემზავებელი. მოწყვეტილი მამულს, მოცილებული დედულს, ბავშობიდანვე უცხოეთში გადახვეწილი, მარტო თავის თავს მიყენებული, იგი, სათნო და გულჩვილი, „ანგრევს“ წარმოსახვით სახელმწიფოებს. ამავე დროს დარბის თავქუდმოგლეჯილი, ხან ამ სამინისტროში შეევარდება, ხან იმ სამინისტროში, არ ასვენებს არც ერთს უწყებას, გაიხსნება რაიმე კონფერენცია, უმალვე იქ გამოჩნდება, თავს „აწუხებს“ გამოჩენილ პოლიტიკოსებს საფრანგეთში თუ ინგლისში თუ კიდევ სად, აქვეყნებს ჟურნალებში და გაზეთებში წერილებს, იბრძვის ქადაგად დავარდნილი — იბრძვის ტრაქტატისათვის, საქართველოსა და რუსეთის შორის 1783 წელს დადებულისა. ალბად „შერეკილი“ ეგონათ, „გადაქანებული“, ხანდახან „სასაცილოც“. გარნა სასაცილო არაა სერვანტესის უკვდავი რაინდი, რომელიც იმავე დროს და — ესაა უმაგალითო მსოფლიო ლიტერატურაში — გენიით არის აყვანილი! ამავე გენიით იყო ატეხილი ვარლამი: იგი კარდუს დონ კიხოტია! გენიის „სიგიჟეს“, „მანიას“, ლომბროზოს ბრიყვული თეორიით ხსნიან მრავალნი. ავიწყდებათ ან და არ იციან „მანიის“ მეორე მხარე: „წმინდა შეშლილობა“, რომელიც ცნობილი იყო ანტიკურ სამყაროში. ამ „შეშლობის“ გარეშე — შეეკითხონ დიდ პლატონს — იქ ვერ ეგულვათ: ვერც პროფეტიული წინჭვრეტა, ვერც პოეტური ხილვა და ვერც საიდუმლოს გადმოშშლელი აზრი. ვარლამი იყო „მანიით“ ჭირვეული — პლატონის აზრით. ჭირვეული — ვინაიდან კარდუს მოლანდებით აღვივებული. აღვივებული — რადგან საქართველოს ქვეძირებიდან სულდგმული. აქ ერთი გასაშტერებელი ამბავი, მეტყველი იმისა, თუ რა ღრმად იყო იგი იმ ძირებში ჩაფესვილი. ბავშვობიდანვე სამშობლოს გარე მყოფს გადავიწყებული ჰქონდა ქართული. იცოდა: რუსული, ინგლისური, ფრანგული. სიკვდილის ჟამს რუსულიც დავიწყებოდა, ინგლისურიც და ფრანგულიც — თურმე ქართულად იწყო ლუღლუღი.

აი ვინ იყო, ქართველნო, ვარლამ ჩერქეზიშვილი! მარტოდ მარტო „ტრაქტატი“ ეჭირა ხელში?! „ტრაქტატი“ აქ მხოლოდ გარე-სახე იყო კარდუს „მზიუ-

რი ელვარისა", რომელიც — მეწამული და შუაგულ თეთრ-ალ-გაწვდილი — ბაგ: რატიონთა ალამად გაიშალა, (ამ „ალამის" შესახებ „მესამე საუბარში" კარდუსთან.) მიხეილმა იმ „ელვარით" მიიღო ნათელი ვარლამისაგან. გრძნობს ამას იგი?

* * *

ვარლამის „ლუღლუღი" სიკვდილის წინ მიხეილმა, ვთქვათ ასე, აამეტყველა როგორც ფესვებმწდომმა ფილოლოგმა. არ იფიქროს მკითხველმა: ესჯიდე აქ ვითარ „სპეცი". მე ენათმეცნიერი არა ვარ და კარგად ვიცი, სად თავდება ჩემი საზღვარი. ხშირად ვეხები ენას, საკუთრივ ქართულს — ხოლო ეს შეხება „ფილოლოგიური" როდია. მაგალითისათვის „მარხვა" და „ხსნილი". ფილოლოგები გადაშლიან ამ სიტყვებს ყოველი მათი რადიუსით — დარჩება აუხსნელი მათი შინაგანი საზრისი: ლოგოსი, უკანასკნელის „გამოშიგნვა" — ილიას საყვარელი სიტყვა კიდევ ერთხელ რო ვიხმარო—ფილოსოფიის საქმეა. ერთს ნარკვევში კიდეც ვცადე გადმომეფინა ქვეფარული დენა „მარხვისა" და „ხსნილისა", დენა უნივერსალური მნიშვნელობისა. ლოგოსის ცნაურება ქართულში — (ზემოთმოყვანილი მაგალითი იქ მხოლოდ წვეთია) — ისე ელემენტურია, რომ იგი ენათა შორის სასწაულად მეჩვენება. აი რას ვიკვლევ ქართულში!

* * *

მიხეილი „იმპრესიონისტია" ბუნებით: უშუალოდ აღქმეულ შთაბეჭდილებას უშუალო „რეფლექსით" ხვდება. ეს თვისება სახიფათოა განსაკუთრებით მეცნიერისათვის, თუ — თუ მას „ალღო" აკლია. მიხეილს კი ალღო თანდაყოლილი აქვს. აქ ერთი საოცარი წვლილმანი. ბერლინში მას ხშირად ვეთამაშებოდი ჭადრაკს. თამაშის დაწყებისას იგი ყოველთვის — როცა ის იყო ამრჩევი — თეთრს ფიგურას აგნებდა ჩემს ხელში. მაოცებდა ეს. გავიფიქრე: შესაძლოა ჩემი ცოდნა, თუ რომელ ხელშია დამალული „თეთრი", ვინაიდან აზრი მძაფრი მაქვს მუდამ, მასზე გადაგის მეთქი, მივმართე ეხლა ასეთს ფსიქოლოგიურ ხერხს: ფიგურებს ისე ვიჭერდი, რომ მე თვითონ არ ვიცოდი, რომელ ხელში იყო „თეთრი" და რომელში „შავი". ჩემი გუმანი გამართლდა, ხოლო მისი ალღო მაინც ძლიერი რჩებოდა: ხუთს შემთხვევაში სამჯერ მაინც, თუ არა მეტჯერ, „თეთრი" მიხეილს ხვდებოდა. ეხლა მეორე. მიხეილი „სუბიექტივისტიცაა" ხასიათით. ეს თვისებაც სახიფათოა, განსაკუთრებით მკვლევარისათვის, თუ— თუ მას აკლია „სუბსტანცი": შინაგანი თვისება .მიხეილის „თვითება" გურკა-მაგარია, ბირთვ-მტკიცე, ალღოიანი იმპრესიონისტი და თვითება-მაგარი სუბიექტივისტი: მიმგნებია, მხვედრი, აღმომჩენი. მიხეილიც მიმგნებია, მხვედრი და აღმომჩენი, იმის დასტურს იძლევა მისი კვლევა ქართულისა და სუმერულის ნათესაობის ირგვლივ.

მართალია თუ არა მისი ჰიპოთეზი? პირადად ჩემთვის უთუოდ. მხოლოდ ერთი განხრით. მიხეილის ჰიპოთეზი არღვევს, ცხადია, ნიკო მარის „იაფეტიდურ" თეორიას. ეს თვითონ მიხეილსაც აღუნიშნავს და ხანდახან მკაცრადაც. მე კი მარის თეორიაში ერთი რამ მაფიქრებს ფრიად გულისხმიერი. მარი იკვლევს ენებს არა ევროპაში ერთხელ და სამუდამოდ განმტკიცებული მეთოდით — იგი იკვლევს მათ ისე, როგორც ხანათა მკვლევარნი: „ქვის" ხანას, „ბრინჯაოს" ხანას და ასე მიყოლებით. ეს ხანანი განვრცობილნია ქვეყანაში რადიუსურ ისე, როგორც კლდის კეცეულნი მთაში. პირველნი ენანი — ლოგოსის მცნაურებელნი

უნივერსალურ — ამგვარად განფენილ კეცეულებად მეჩვენებიან და მათში ყოველის უწინარეს ქართული, ჩემი გზნებით: უპირვანდელესი. თუ ეს მართალი გამოდგა — რაიცა მერმისის საქმეა — მაშინ მკვლევარისათვის მარრის თეორია, თუმცაღა მის მიერ ამ მხრით საკმაოდ არანათელყოფილი ერთს მუხლში, რომელიღაც სხვა მოზომვით, გამართლდება.

* * *

ივანე ჯავახიშვილის ხსოვნის აღსანიშნავად ბერლინის ქართველთა სათვისტომოში სხდომა გაიმართა — (არ ვხმარობ „კოლონიას“: იგი აქ სრულიად უადგილოა). სხდომას თავმჯდომარეობდა განსვენებული ლადო ახმეტელი. სიტყვები წარმოსთქვეს: განსვენებულმა შალვა ამირეჯიბმა და გიგო დიასამიძემ. მეც ვილაპარაკე. ღერძი სხდომისა მიხეილის მოხსენება იყო. გასაოცარი ცოდნით და კიდევ უფრო საოცარი სიყვარულით გადმოგვიფინა მან ნაშრომი დიდი „მომნივთებელის“ საქართველოს ისტორიისა: ივანესი ალაგალაგ თავისს ნაკვლევებსაც იხსენებდა — ამას საგანი მოითხოვდა. ბოლოს თავმჯდომარემაც ილაპარაკა. მახსოვს. სთქვა მან: „ამდენი ხანია გადმოხვეწილობაში ვიმყოფები და რაც დღეს განვიცადე, ასეთი რამ არ განმიცდიაო“. ეს განცხადება უმთავრესად მიხეილის მიმართ იყო გულვებული. მიხეილმა ამ მოხსენებაში — რომელიც შემდეგ „ქართველ ერში“ დაიბეჭდა —მოხაზა ამოწურვით ივანეს ადგილი ქართველოლოგიაში და მით: მისი საკუთარიც იქვე. ვიცი — და ეს თვითონ მიხეილმა უკეთ იცის — რომ ივანემ ქართველოლოგიაში გაცილებით უფრო მეტი გააკეთა ვიდრე მან. ხოლო ნუ დაგვავიწყდება, რომ ივანე უმთავრესად „მხოლოდ“-მეცნიერი იყო, მიხეილი კი თანვე პოლიტიკური მებრძოლიც. საგანი კი როგორც იქ „კვლევაში“, ისე იქ, „ბრძოლაში“, ერთი და იგივე: ხაქართველო. დავისახავთ რა ამას, მივიღებთ: ის, რაც „იქ“ აკლია მიხეილს, ემატება „აქ“ სამაგიეროდ. წონასწორობა იმართება — ყოველ შემთხვევაში ჩემთვის. მიხეილი ივანეს „გვერდით“ დგას. ესაა „ჩემი“ რწმენა. ღრმა.

* * *

ეხლა დროა, თვალი მოვავლო ოდნავ არეს, საცა მიხეილი როგორც პოლიტიკური მებრძოლი იმართება. ჩემი სიტყვა არც აქ იქნება სჯა „სპეციისა“, ვინაიდან პოლიტიკოსი არ ვყოფილვარ და არცა ვარ. არ ვარ: არა იმის გამო. ვითომ პოლიტიკის არა გამეგებოდეს რა. არა ვარ იმის გამო, რომ ღრმად და მკაფიოდ მაქვს შეგნებული: მწერალი, რომელიც პოლიტიკაში ერევა, პოლიტიკას ვერას არგებს, თავის თავს კი, როგორც ხელოვანს, ვნებასაც მიაყენებს. „თქვენი ერთი გერმანული წიგნი, საცა მოხატულია ერთი პოლიტიკური პიროვნება“? მესმის შეკითხვა. ჩემი გადაჭრითი პასუხი. მოახდინოს მკითხველმა ერთი უბრალო ცდა: წიგნის კითხვისას არ გაუშვას გონებიდან ერთი ღიად არ თქმული, ხოლო ქვეფარულად გაყვანილი აზრი—„თუ მოსახული პიროვნება აქ მოვლებულ ხაზებში ავლენს თავის თავს“. იგი იქ „დათუებულია“. დაინახავს ერთს რამეს, ეფიქრობ, უფრო გულისხმიერს ვიდრე „პოლიტიკას“, ამ სიტყვის დღევანდელ გაგებით. ჩემი „განმარტება“ მზადაა გამოსაქვეყნებლად.

სულ სხვაა „მამულიშვილობა“. იგი მეტია ვიდრე „პოლიტიკა“ და დავუმატებ: მეტია ვიდრე „პარტიაც“. ნოე ჟორდანია მარქსელია — მე, არა მარქსელი. ვთვლი მას შესანიშნავ მამულიშვილად. არ მჩვევია „ზადნიმ უმომ“ რაიმეს მტკი-

ცება — წაიკითხონ ჩემი ესკიზი, 1920 წელს გამოქვეყნებული, საცა მოვხაზე ჟორდანიას პიროვნება. მარქსელია აკაკი ჩხენკელი — ვიგულვებ თავდადებულ მამულიშვილად. ევგენი გეგეჭკორიც მარქსელია — ძალიან მაგარ მამულიშვილად მიმაჩნია. აქ ერთი დეტალიც. პირდაპირ „ისტორიული“ — გამოადგებათ ოდესმე ქართველ პოლიტიკოსებს. 1943 წელი, ივნისი. ევგენი გვაცილებს. მივდივართ საღამორელე. წინ: გიგო დიასამიძე და ალ. ქორქია, უკან: ევგენი და მე. ევგენი დაბალი ხმით: „გრიგოლ! ჩვენი ერის ბედს ნუ გადავაბამთ ერთი ერის ბედს!“ სიტყვასიტყვით. დააკვირდით ამ „ერთს“: იგი აქ მარტო რიცხვს არ ნიშნავს! დაკვირდით, თუ „როდის“ იყო ეს თქმული! დაინახავთ: პოლიტიკურ გამჭრიახობასთან ერთად მამულიშვილურ ზრუნვასაც (და მერე რამხელას?). მოვალედ ვრაცხ ჩემ თავს, გარდაცვლილებიც გავიხსენო: კარლო ჩხეიძე და ვლასა მგელაძე, ისინიც მარქსელნი და თანვე გულმხურვალე მამულიშვილნიც. პირველი — ნელი, მუუდრო ცეცხლით აღვივებული, მეორე — შმაგური ალით „ავარდნილი“. შემთხვევა უნდა, გამოვიყენო და კარლოს შესახებ ესეც უნდა ვთქვა: გონიერი კაცი იყო, ხოლო ისეთი, რომლის გონი მაინც და მაინც „თვალში არ გეჩრებოდა“. სტამბოლში ვართ. გაიხსენეთ საქართველოს დელეგაცია პარიზისაკენ მიმავალი. შევდივართ ერთხელ „აგია სოფიას“ ტაძარში. ვაკვირდები კარლოს — განცვიფრებულია. მესმის თაყვანებით დაშვებული სიტყვა: „გრიგოლ! „ილიადაა“ ჰომეროსის, ქვებით აგებული!“ ერთი მოსხლეტით მოხატა ტაძარი.

• • •

მიხეილის პოლიტიკური ბრძოლა საქართველოს „თავისთავადობის“ აღდგენისათვის საკმაოდ ცნობილია. ნათქვამს აქ არ გავიმეორებ — მით უფრო, რომ დღეს სხვებიც გადმოშლიან, ერთხელ კიდევ, ამ ბრძოლის დრამატიულ ხვეულებს. მე შევეხები მას როგორც „თეთრი გიორგის“ რაზმის მესვეურს. და, რასაც ამ მხრით მის შესახებ ვიტყვი, ეხება აგრეთვე მის თანამებრძოლთაც. სახეში მყავს უმთავრესად ლეო კერესელიძე, დაღუპული 22. 11. 1943 ბერლინის ყუმბარებით დამეხვისას.

ვინც საქართველოსათვის საქართველოს შუაგულიდან გამოდის, იგი „თეთრ გიორგის“ გვერდს ვერ აუხვევს. „თეთრი გიორგი“ რაინდია ქართველობის და რაინდი: „წმინდა“. განიხილეთ ალავერდობის მისტერია, გადმოფინეთ ფენომენი ლაშარისა — ლაშა: „სხივოსანი“, „ბრწყინვალე“: ლაშარი იგივეა მთაში, რაც ბარში თეთრი გ. — დაინახავთ, რომ ეს ასეა. ეს განხილვა, ეს გადმოფენა მე მიცდია არა ერთხელ: ნათქვამის გამეორება ყოველთვის არაა სათანადო. აქ ავამეტყველებ მხოლოდ ორიოდე „წერილმანს“. 1918 წელს საქართველოს ერგუნა დაკარგული სუვერენობის აღდგენა. მმართველებათ მას მარქსელნი მოექცენ თავს და აი: სახელმწიფო ღერბისათვის ინტერნაციონალისტებმა თეთრ გიორგის მიმართეს. სხვათა შორის წარწერა ამ ღერბზე ჩემი ხელითაა გაყვანილი. დაარსდა მწერალთა კავშირი განსვენებული კოტე მაყაშვილის მეთაურობით — (აი კიდევ ერთი შესანიშნავი ქართველი; გული მწყდება, რომ მისი ხსოვნა ჯერ კიდევ არ აღმინიშნავს). მწერალთა „დღედ“ ავირჩიეთ მაისის მეხუთე დღე: დღე „გიორგობისა“ ახალი სტილით. ამ „დღეს“ საქართველოს გასაბჭოების შემდეგაც ვდღესასწაულობდით. პირველ წელს დღესასწაულზე მე ავიღე სიტყვა: გადმოვშალე „გიორგი“ როგორც მისტერია ქართველთა (მაშინ კიდევ შეიძლებოდა ასეთს საგნებზე საუბარი; მახსოვს მაგალითად: გიორგი ლეონიძემ ერთხელ თემად აიღო „საქართველოს მესიანიზმი“). იმავე ხანებში პავლე ინგო-

როყვამ გამოსცა ლიტერატურული გაზეთი „ლაშარი“. საცა მეც ვიყავ მონაწილე. გაზეთმა ერთი დღე იცოცხლა. დაახლოებით ამ დროსვე პარიზში წარმოიშვა რაზმი „თეთრი გიორგისა“. არავითარი „პოლიტიკა“ არ ყოფილა თეთრი გიორგის ხსოვნით აღდგენაში იქ, საქართველოში. არავითარი კავშირი არ ყოფილა გაბმული ამ „ხსოვნის აღდგენისა“ და უცხოეთში მის „რაზმულად“ დგენის შუა. ყველაფერი ეს მოხდა თავისთავად, მოხდა: რადგან ამ ამბებში საქართველოს „შუაგული ფეთქდა. მიხეილის გული ძგერდა და ძგერს სწორედ ამ შუაგულიდან და მისთვის ვაფასებ მას როგორც ნამდვილ ქართველ მამულიშვილს. ეს მამულიშვილობა გადაძლევს თვითონ „დარაზმულობასაც“, მის ნიადაგზე პოლიტიკურად განრიგებულს.

* * *

„გადაძლევს“. ამით ერთი რამ მინდა აღვიარო აქ, რაიცა ხშირად გამიფიქრია, ხოლო არ გამომითქვამს. „თეთრი გიორგი“ ცოცხალი „ხატია“, ქართველთა მისტერიისაგან შობილი. როგორც ასეთი მისი „ყოფადება“ მხოლოდ მისტიური გეზით თუ შეიძლება. ამ „ყოფადდებას“, ვფიქრობ, მხოლოდ „ორდენის“ სახით ძალუძს განსხეულდეს. გაიხსენეთ პითაგორელთა ორდენი. იგი რიცხვმრავალი არ ყოფილა— რადგან ყველას, ძალიან მომდომებულსაც კი, არ შეეძლო, გამხდარიყო მისი წევრი. წევრობისათვის საჭირო იყო: მზადება შინაგანი სულითა და გონით. მზადება, არა როგორც „სწავლა“ საიდუმლოთა — ეს ყველას შეუძლია. საჭირო იყო: „ხილვა“ საიდუმლოთა და „ხილვა“ როგორც „წვდენა“ სიღრმესი და „წვდენა“ როგორც უშუალოდ „დგენა“ ხილულისა. (ყველაზე უფრო ღრმად ეს გეზი „ქცევისა“ დიდმა პლატონმა აცნაურა მსოფლიოს.). სულისა და გონის ამ გზით ზრდასთან ერთად საჭირო იყო „ხასიათის“ მტკიცება — (გაიხსენონ ქართველებმა გენიალური ხტილი ქართული სიბრძნისა: „მტკიცება — „გამაგრება“, თანვე — „გაწმენდა“: ფქვილს ვწმენდთ ჩვენ „სამტკიცით“). საჭირო იყო „წვართი“ ხასიათისა: წვართი ყოველი ღვარძლისაგან „განმწმენდი“. ორდენი საიდუმლოებით იყო მოცული — ეს იმისათვის, რომ მისი იდეათა სამთავრო „პროფანებს“ არ წაერყვნათ. ეხლა წარმოისახეთ, რომ საქართველოში ამგვარადვე გაიმართა ორდენი „თეთრი გიორგისა“. დაინახავთ თვალნათლივ, რომ იგი მართლაც შესძლებს გარდაქმნას. შინაგან საქართველოს ყოფა, რაიცა, როგორც ყოველი ყოფა საფრთხესკენაა განხრილი — (ამას იგივე ქართული სიბრძნე გვასწავლის: ყოფა „ცდაა“, „ცდაში“ „ცდუნებაცაა“, „ცდუნება“ „ცდენისაკენ“ იხრება, „ცდენა“ „აცდენით“ ისხლიტება). პოლიტიკურად ასეთი ორდენი „ხელმწიფის“ სწორუპოვარ იდეასაგან გამოვა. „ხელმწიფე“. არ გულისხმობს მაინცა და მაინც მეფეს, იგი იგულვებს მხოლოდ „მწიფე ხელს“: სულ ერთია, იქნება იგი მონარქია თუ რესპუბლიკა თუ კიდევ სხვა რამ. მეტი კიდევ: ამ ორდენის წევრებს შეუძლიათ იყვენ სხვადასხვა პარტიებში პოლიტიკურად, მხოლოდ ერთი განსაზღვრით: თუ ეცდებიან ზეპარტიულ არეში გაიყვანონ ლაშარის ხაზი. ვხედავ: გადავცურდი უტოპიაში, რა ვქნა? ლაშარს თუ შეეხე, უთუოდ „გადაგძლევს“.

* * *

მოვაჩუქურთმო დეტალები მიხეილის ხასიათისა? რატომაც არა! ესეც საგულისხმიეროა ფრიად. 1. მიხეილი ოხუნჯია და უყვარს გახუმრება — „თუ გუნებაზეა“. ვზივართ ყავახანაში. შემოდის დავით ღამბაშიძე. მოგვკრავს რა

თვალს, წევს მაღლა წარბებს და აბრდღვიალებული იბადრება მზესუმზირას ღიმილით. მოუჯდება ჩვენს მაგიდას. ვისმენ დიალოგს. მიხეილი: „Я им покажу!“ დავითი: „Болваны этакие!“ ეს ვარლამ ჩერქეზიშვილის სიტყვარიდანაა. ორივე „სცინებენ“ ვარლამს. კილო „ყოფილი“ ბატონის, დიდრაჯა მბრძანებლის, რომელსაც საბრძანებელი ოცნებაში შერჩენია. ხმა: ბოხი, ხოლო თითქო „ჩახველებული“. მიხეილი: „Сукина порода!“ დავითი: „Сволочь!“ ანეკდოტი ანეკდოტს მოსდევს. დავითი მოყოლაში მრეობს — აქ ის მაესტროა. სახის მიმიკაში მიხეილი ძლევს — თვითშობილი მსახიობია. ვარლამის აჩრდილი სხეულს ისხამს: თვალწინ იკრება სერვანტესის რაინდი. რაინდი კიდევ „ისვრის“ სიტყვას: სიტყვა „შეკურთხებაა“, კიდევ უფრო მაგარი. „Ну и пошёл дядя!“ ამას კრაპოტკინი აწვეთებს — ვარლამს იგი თურმე „Дядя“-ს ეძახდა. დიალოგი გრძელდება. სიცილი მატულობს, რაიცა სიყვარულია მხოლოდ. 2. ეხლა დავითთან ვზივარ იმავ ყავახანაში. შემოდის მიხეილი — გვიერთდება. „რას მიირთმევ, მიხეილ?“ უმასპინძლდება დავითი. „ანსბასხერ“ გენაცვალე“. დავითი დაუკვეთს. მიხეილი გაზეთებს ეძებს. დავითი მიჩურჩულებს: „ჩემს ჯიბეს არ კითხულობს, ლუდს არ კადრულობს“. მიხეილი გვიახლოვდება. „ხმიადი რა დაგიკვეთო?“ ეკითხება დავითი. „პრაგენ შინკენ, შენიჭირიმე“. დავითი ღიმილს მაცლებს, უკვეთებს იძასაც. ‘მიხეილი ყავახანის დიასახლისისაკენ მიეშურება მისასალმებლად. დავითი მაწვეთებს „რა იქნებოდა, უბრალო ძეხვი აერჩია!“ ეხლა მეც ვიღიმები. და ასე: უყვარს კარგი სმაჭამა მიხეილს — ვის არ უყვარს იგი? მაგრამ: მიხეილი სიმშილს გადაიტანს და მდარე სასმელს თუ საჭმელს არას გზით არ ინებებს. 3. კვლავ ყავახანაში. მიხეილი დავითს: „როგორ ხარ. ბიჭო?“ დავითი: გარდაქეშანივით — შენ როგორ ხარ?“ მიხეილი: „ძლივს ვაბოგინებ ფეხებს“. დავითი თვალს მიქნევს. მიხეილი სატელეფონესკენ მიდის. დავითი: „შენცა და მეც გაგვისტუმრებს იმ სოფელს, დამიჯერე: უყვარს თავისმოკატუნება“. ვიცინით ორივე. „სულ წუწუნებს“, უმატებს დავითი. 6. მიხეილმა ხანდახან აკვიატება იცის: „აიჩემებს“ რაიმეს და: ვერც რაიმეს დააჯერებ და ვერც გადააჯერებ რაიმეში. ასეთ დროს მე მივმართავ ხოლმე პითაგორელთა ხერხს: არ შევეცილები „პირდაპირ“, მხოლოდ „შორიდან“ მოვუარ საგანს, თითქო მის ირგვლივ არც კი იყოს საუბარი. მიხეილი მისმენს: ჯერ შეეჭვებით, მერე გულდასმით და ბოლოს — ან იმ დღეს ან სხვა დღეს — „არბილებს“ „ანაჩემებს“, ისე, თითქო ეხლა წამოყო თავი უკანასკნელმა. 7. მიხეილს უყვარს ჩვენი საეკლესიო გალობა და გალობს კიდეც 2 თუ 3 კაცისაგან შემდგარ გუნდში — სამწუხაროდ მხოლოდ პანაშვიდის გადახდისას (არც საკვირველია: წირვა-ლოცვა ჩვენთვის, გადმოხვეწილთათვის, „პანაშვიდით“ ისაზღვრება). 8. მუსიკასაც ეტანება იგი. ყველაზე უფრო იპყრობს მას რიხარდ ვაგნერი. იცის კიდეც მისი მუსიკა, იცის ნამდვილი განცდით. ვაგნერის ასეთი „მცოდნე“ ქართველებში არავინ მეგულვება — არც ამ სტრიქონების დამწერი. 9. მიხეილი ადევნებს თვალყურს ლიტერატურას. აქაც დაკვირვებული და ჩახედულია იგი. (აქვე უნდა ვახსენო ზურაბ ავალიშვილიც: დიდი მცოდნე იყო ლიტერატურისა და თანაც ღრმად გაბგები). ხშირად უქია მიხეილს ჩემთან რომენ როლანი. „მუსიკიდან მოდის მის თხრობაო“, უთქვამს. „მუსიკა“ აქ რასაკვირველია არ ნიშნავს „კეთილხმოვანებას“. 10. ისევ ყავახანაში. შემოდის არჩილ გომართელი. „ბოვუშოო“ — ეგებება მიხეილი ღიმილით. ეს „პაროლია“ საპაექრო. იმართება სწორუპოვარი „აკამათლება“ ზემოიმერული კილოსი. აქ არჩილი სჯობნის მიხეილს, რომელსაც ეს კიდეც უხარია. ეხლა მეგრელი გამოჩნდება. მიხეილი

აკნინებს ხმას და შემპარავი გლინვით გადადის მეგრულში. „სქანი“ და —პატენი“ ერთიმეორეს ეცილებიან როგორც ყვიჩილები ვარიების წრეში. მიხეილს აქ ვუკოლ ბერიძე თუ გაეტოლება. ანაზდეულად გურულიც შემოყოფს თავს. მიხეილი სხაპასხუპით: „ასტარანას როგორ ყიდი, ძიაუ, ასტარანას კასტარანას? ეს ჩემთვის ესპერანტოა. ნიშნავს თურმე: „ას ტარანს, კარგს ტარანს“. ეხლა მეც მოვდივარ „ეშხშში“. ვყვები აკაკისაგან გაგონილ ანეკდოტს. სოლომონ მეფეს კბილი ასტკივდა — დარბაისელნი „ართობენ“. ამირეჯიბი თუ ამილანორი: „მაგითანა კბილს კიი“ — ბოლო უცენზუროა. ეხლა წერეთელი: „აგრე მოგინთება!“ პაუზა — გაოცების. შემდეგ მოსხლეტით: „აქეთ ოსმალოს ეცი, იქით ვიღაც ძალთაპირს — აბა რა კბილი გაგიძლებდა?!“ ეიცინით: იქ „ქართლელია“, აქ „იმერელი“. „ეშხშში მოსვლა აბა მე მკითხეთო!“ — ამას დავითი თუ ფიქრობს და იწყებს მოყოლას, რამაც ცენზურა არ იცის. ქართველ ხალხს „უცენზუროს“ „მოდალვაში“ არა მგონია რომელიმე პოეტი შეედაროს, იყოს იგი თუ გინდ გენიოსიც.

• • •

ეხლა მიხეილი ბავარიაში იმყოფება, სადღაც მივარდნილ კუთხეში. ზის ალბათ პატარა ოთახში ვითარ განდეგილი სენაკში. სადღაა ის შეხვედრანი? სადღაა ის ხალისი? ზის განმარტოებული და სდუმს როგორც მარტვილი. დაღონებულია, დამწუხრებული, სდუმს: მხოლოდ გულისცემას უგდებს ყურს—(გული სასწაულს მოელის ყოველთვის). იღვენთება: აგონდება საყვარელი ვაჟი, ერთადერთი შვილი, ომის ორომტრიალში უკვალოდ დაკარგული, ხმაური მოესმის—კარებისაკენ მიაქცევს თვალს. გული ამოვარდნას აპირებს — (ვინ იცის: ეგებ უეცრად ძველებურად შემოანათოს ოთარმა). არავინაა — სულში ფართოვდება სიცალიერე. „ვაი მე, შვილო!“ აღმოხდება საცოდავ მამას. იწმენდს ცრემლებს, თავს იმაგრებს კიდევ. შემდეგ მაგიდას მიმართავს. იქ ჟურნალი დევს ასიროლოგიისა. ფურცლავს მჭნარი თითებით. კითხულობს. გადადის ნელინელ ათასწლებში. ალაგალაგ სუმერული სიტყვა ამოყოფს თავს — სიტყვაში ციალობს ცინცხალა ფესვი ქართულისა. ეხლა საქართველოს ძირებში იძირება მკვლევარი. („განდეგილი“ ეხლა „ივერონის“ მარტვილს მაგონებს, გიორგი მთაწმინდელს — სახეც მიუგავს ეხლა, მოხუცებულობაში, შეუდარებელ სახეს ქართველი წმინდანისა, ლოცვებში შინაგან ანათებულისა.) ჟურნალს განზე გადადებს. შემდეგ წვდება ტექსტს „ვეფხისტყაოსნისა“, მის მიერ დაწმენდილს და განმტკიცებულს — („წმენდა“: „სამტკიცი“). ერთხელ კიდევ გადახედავს მას. შემდეგ გადასინჯავს კვლავ ტექსტის გერმანულ პროზაულ თარგმანს, მის მიერვე შესრულებულს. შრომისათვის თავსდაურთვია სიტყვარი — ამასაც განიხილავს ხელმეორედ. ბოლოს შეუდგება ტექსტს „ეამთააღმწერელისა“ — სწორუპოვარს სამატიანო მწერლობაში. ეხლა იფესვება „ქართლის ცხოვრებაში“: ღრმა ჩახედვით და ნელად აღვიეებული სიყვარულით. „ცხოვრებაჲ ქართლისაჲ“ ზედაშია მისთვის—ეზიარების მას, გულდათუთქული იფერფლება საქართველოს მარადულ ქვეფენებში. ფენები იშმუშნებიან მასში — თვითონაც იშმუშნება როგორც შავარნა — („შავარნა: მზისაგან დამჭნარი მხალი რა მოირწყოს, აცოცხლდეს“, გვიხსნის საბა). მხრებში იმართება. მამულის ფესვებიდან ამოდის ეხლა ვითარ ახლადშობილი.

• • •

და მაინც: გული აღარ უხარის. გულს არჩენს მხოლოდ გული. არის სადმე ასეთი გული, გადაიხსნას მრჩენელად მისი გულისა?

ქართველნი გულმავიწყნი არიან: გულმავიწყნი — რადგან უდარდელნი; უდარდელნი—ვინაიდან მზიური ჯიშისა. („გულმავიწყობა" არც ისე დასაძრახისია: ეს რომ არ გვქონოდა, შესაძლოა, ვერც გადაგვეტანა ამდენი უბედობა, საუკუნოებში თავსდატეხილი!) „მავიწყია" ქართველის გული. ხოლო: თუ ამ გულს ერთი ნაპერწკალი მოხვდა მეორე გულის ცეცხლიდან, მაშინ—მაშინ არც ერთს გულს ქვეყანაზე არ ძალუძს წყაროს ხალასი თვალიეით გადაეხსნას სხვა გულს როგორც მას: გადაეხხნას გახარებად და გასახარებლად. (ტყვილად კი არ მოეპოვებათ ქართველთ მათს გენიალურ სიტყვაში ეს, უგენიალესი სიტყვაც: „გული", როგორ ეადარო მას, შინაგანი პლასტიური ხმიერებით: ლათინური Cor ან ფრანგული Coeur ან გერმანული Herz ან რუსული Сердце;) ამ „ბარდულში მოგონებათა", ვფიქრობ ხელხლებულია კერა, საცა ყუდროდ ღვივა ქართული ცეცხლი, დარწმუნებული ვარ: ორიოდე ნაპერწკალი მისი ჩემს თანამემამულეთ მოხვდებათ და მჯერა: მათი გულები გადაიხსნებიან დღეს მიხეილის დათუთქული გულის მიმართ. სიტყვა, შესაძლოა, საჭიროც აღარ იქნეს — გული უმართლესი სიტყვაა თვითონ.

გრიგოლ რობაქიძე

ნოემბერი 1948
ჟენევა

ს ა რ ჩ ე ვ ი

მიხ. წერეთელი და მისი ნაშრომი „ერი და კაცობრიობა"	3
წიხასიტყვაობა: „ეროვნული საკითხი" და სოციალიზმი	19
თავი პირველი: რა არის საზოგადოება?	35
თავი მეორე: არსებობს თუ არა კაცობრიობა და როგორ?	64
თავი მესამე: ერი და საზოგადოება — კონკრეტული და აბსტრაქტული ცნება	73
თავი მეოთხე: საზოგადოება, ერი, სახელმწიფო	83
თავი მეხუთე: ხალხი, ერი, სახელმწიფო	89
თავი მეექვსე: ერი	96
თავი მეშვიდე: საშობლო	107
თავი მერვე: საერთაშორისო სამართალი და კაცობრიობა	113
თავი მეცხრე: სოციალიზმი, ერი და კაცობრიობა	126
თავი მეათე: ერის უფლება	141
თავი მეთერთმეტე: ერის ღირსება და უპირატესობა	177
თავი მეთორმეტე: „ფონდი კაცობრიობისა", შესაძლებელი მომავალი	179
თავი მეცამეტე: ერის თეორიები	204
თავი მეთოთხმეტე: ქართველი ერი	226
თავი მეთხუთმეტე: დასკვნა: იდეალი და პრაქტიკა	237
დანართი	243

გამომცემლობის რედაქტორი კ. ჯიშკარიანი
მხატვარი ო. ვარვარიძე
სამხატვრო რედაქტორი ი. ჩიქვინიძე
კორექტორი ე. გონჯილაშვილი

სბ 1658

გადაეცა წარმოებას 25.10.89 ხელმოწერილია დასაბეჭდად 7.06.90.
საბეჭდი ქაღალდი 70×108¹/₁₆. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 29,4.
სააღრ.-საგამომც. თაბახი 26,2 ტირაჟი 80 000 შეკვეთის № 139

ფასი 5 მან. 50 კაპ.

თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 380028, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, 14.
Издательство Тбилисского университета, Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 14.
თბილისის უნივერსიტეტის სტამბა, თბილისი, 380028, . ჭავჭავაძის პროსპექტი, 1.
Типография Тбилисского университета, Тбилиси, 380028, пр. И. Чавчавадзе, 1.

დაიბეჭდა და აიკინძა საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსან სტამბაში, თბილისი, ლენინის, 14.
Отпечатано и сброшюровано в Ордена Трудового Красного Знамени типографии Издательства ЦК КП Грузии, г. Тбилиси, ул. Ленина, 14.

Михаил (Михако) Георгиевич Церетели

НАЦИЯ И ЧЕЛОВЕЧЕСТВО

(Социологический анализ)

(на грузинском языке)

Издательство Тбилисского университета

Тбилиси 1990